თავისუფლება,
სამართლიანობა და დემოკრატია
ქართულ აზროვნებაში

კრებული

კრებული გამოცემულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" - ფარგლებში.

კრებული წარმოადგენს ნაწილს ფართომასშტაბიანი კამპანიისა, რომელსაც ეწოდება - „ეს ქვეყანა შენია!" და რომლის მიზანიც არის საქართველოში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პოპულარიზაცია და მათი ცნობადობის გაზრდას.

ეს ქვეყანა შენია
გაიზიარე პასუხისმგებლობა

კრებულის სარედაქციო ჯგუფი:

გიორგი გახელაძე - ჯგუფის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
თამარ მესხი - განათლების მკვლევარი;
სალომე ხურციძე - სამოქალაქო საზოგადოებისა და განათლების მკვლევარი.

დიზაინი:
თორნიკე ბოკუჩავა

ISBN 978-9941-8-1582-9

კრებული უფასოა და მისი გაყიდვა ან
სხვა რაიმე კომერციული მიზნით გამოყენება დაუშვებელია.
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი © 2019 წელი

წინათქმა

წინამდებარე კრებული განკუთვნილია ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, ღირსება, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, პატრიოტიზმი და დემოკრატია. ვეცადეთ, მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა დროთა განმავლობაში ცვლადი და მრავალფეროვანი სურათი ქართულ აზროვნებაში თავისუფლების, სამართლიანობისა და დემოკრატიის შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ კრებული დაგეხმარებათ:

- თვალსაჩინოდ დაინახოთ აღნიშნული ღირებულებებისა და იდეების განვითარება საქართველოში;
- აღმოაჩინოთ პროგრესულად და ღრმად მოაზროვნე როგორც ნაცნობი, ისე უცნობი ქართველი ავტორები;
- კრიტიკულად გაიაზროთ საკუთარი სამოქალაქო იდენტობა დემოკრატიულ საქართველოში.

ავტორებს შორის არიან სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები, განსხვავებული სქესის, ასაკის, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტატუსის მქონე ადამიანები. ავტორების შეხედულებები და გამოხატვის ფორმები მრავალფეროვანია. თქვენ შეხვდებით ნებისმიერი ჟანრის ტექსტს.

კრებული ადვილად გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად თავისუფალ რეჟიმში წაკითხვისათვის, ისე ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში დამხმარე სახელმძღვანელოდ.

დიდი იმედი გვაქვს, რომ კრებული მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, გაუღვივებს თავისუფლების სიყვარულსა და მისი კრიტიკულად გააზრების სურვილს.

კრებულის სარედაქციო ჯგუფი

შინაარსი

შოთა რუსთაველი (1160/65 – 1216)
ვეფხისტყაოსანი, მე-12 საუკუნე (ნაწყვეტები)....9

დავით გურამიშვილი (1705-1792)
დავითიანი, 1787წ. (ნაწყვეტები)....13

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836)
ლოგიკა, 1828წ. (ნაწყვეტი)....16
სიტყვა მონოდება, 1832წ. 17

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845)
ბედი ქართლისა, 1839წ. (ნაწყვეტები) 18

გაბრიელ (ერისკაცობაში გერასიმე) ქიქოძე (1825-1896)
ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1858წ. (ნაწყვეტი) 21

გიორგი წერეთელი (1842-1900)
დედაკაცის აზრი დედა-კაცზედ, 1866 წ. 27

ეკატერინე გაბაშვილი (1851-1938)
გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე, 1870წ. 29

სერგეი მესხი (1845-1883)
რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი? 1871წ. (ნაწყვეტი)....30

ნიკო ავალიშვილი (1844-1929)
ჩვენი საზოგადოება – საზოგადოებრივი ცხოვრება და საქმეები. 1871წ. ჟურნალი „მნათობი" 33

დიმიტრი ყიფიანი (1811-1887)
ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ, 14 ნოემბერი 1879. სოფ. ქვიშხეთი 38
წერა-კითხვის საზოგადოებაზედ, 22 ნოემბერი, 1881 წ. 40

ილია ჭავჭავაძე (1837-1907)
ცხოვრება და კანონი - წერილები, 1877 – 1881წ.წ. (ნაწყვეტები) 44
შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი (ნაწყვეტები)....62
კრიტიკული აზრის უქონლობა, 1888 წ. 69

ნიკო ცხვედაძე (1845-1911)

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა, 1877წ.
(გაზეთი „ივერია", ამონარიდი) 71

ნიკო ნიკოლაძე (1843-1928)

ახალი ახალგაზრდობა, 1873წ. (ნაწყვეტები) 73
მამულის სიყვარული და მსახურება, 1879წ. (ნაწყვეტი) 85
ჩემ პოლიტიკაზე, 1913წ. (ნაწყვეტები) 91

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (1849-1932)

საზოგადოების საყურადღებოდ, 1883წ. 95

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912)

მამასახლისების დრო, 1870-იანი წლები. 97
რა მიზეზია „წერა-კითხვის საზოგადოების" მცირე ნაყოფიერებისა?, 1883წ. 99
ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის, 1905წ 104
მცირე განმარტება, 1907წ. 108
ანდერძი, 1912წ. 109

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913)

ეროვნული საკითხის განმარტების გამო, 1901წ 112
ანტი-პატრიოტიზმის ავი და კარგი, 1908წ 115

ვაჟა-ფშაველა (ნამდვილი სახელი ლუკა რაზიკაშვილი) (1861-1915)

მღვდლების ვინაობა, 1906 წელი 121
სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე, 1907წ. 123
ზოგი რამ ფიქრებიდან, 1915 წ. 124

აკაკი წერეთელი (1840-1915)

სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები, 900-იანი წლები 127
პასუხი მტერ-მოყვრებს, 1912 წლის შემოდგომა 129
სიტყვა გორის „ქართველ ქალთა საზოგადოების" („მანდილოსანი")
წევრთა კრებაზე, 1913წ. 129
ქალის როლი საზოგადოებაში, 1914წ. 130

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965)

ერი და კაცობრიობა - განხილულნი სოციოლოგიურის მხრით, 1910წ. (ნაწყვეტი) 131

გერონტი ქიქოძე (1888-1960)

ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი, 1910 წ. (ნაწყვეტები) 137
თბილისი, 1917წ. 145
ეროვნული სკოლა, 1917წ. 146

ლუარსაბ ბოცვაძე (1866-1919)

პედაგოგიური თხზულებანი, 1908-18წ.წ. 148

დიმიტრი უზნაძე (1887-1950)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, 1917წ. (ნაწყვეტი) 149

კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) (1855-1918)

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მიმართვა ქართველ ერს 1918 წლის 26 მაისს 151

კატო მიქელაძე (1878-1942)

ქართველ ქალებს, 1918წ. ივლისი 153
გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა" 156
რა არის კონსტიტუცია, 1917წ. N1 156
პედაგოგიკა და პარტია, 1917წ. 157

სამაჰმადიანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტი

მოწოდება აჭარის ქართველობას! 10 დეკემბერი, 1918წ. 158
დიდება, 1918წ. 160
ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი" 160

ნინო ნაკაშიძე (1872-1963)

ბავშვის სახლი და მისი დაარსების საჭიროება, 1919წ. 162

სპირიდონ კედია (1884-1948)

სიტყვა დამფუძნებელ კრებაში, 21 მარტი, 1919წ. 165

ნოე რამიშვილი (1881-1930)

სკოლის გარეშე განათლება და ერობა, 1919წ. 172
საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ, 1920წ. 174
გაზეთი „ერთობა" 175
ჩვენ და ეკლესია, 1920წ. ივლისი 175

ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) (1861-1927)

სიტყვა 1920 წლის 28 თებერვალს დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით 177

აკაკი ჩხენკელი (1874-1959)

გამოსვლა დამფუძნებელი კრების სხდომაზე კონსტიტუციის შესახებ, 1920 წ., დეკემბერი. (ნაწყვეტები) 180

გიორგი გვაზავა (1869-1941)

კონსტიტუციის განხილვა - სიტყვა დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 19 იანვარს.............185

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს - 1921წ. 16 თებერვალი.......189

ბენია ჩხიკვიშვილი (1879-1924)

ბენია ჩხიკვიშვილის მიმართვა მოქალაქეებს - 22 თებერვალი, 1921წ..................................191

ალექსანდრე სულხანიშვილი (1896-1990)

მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, 1922-1924.......193

მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937)

შვიდი თავისუფლება, 1906წ..........196
უბის წიგნაკიდან, 1924-1935 წ.წ. 200

დომინიკა ერისთავი-მდივანი (განდეგილი) (1864-1929)

პატარა ერის დიდებულნი ასულნი, 1926წ. (ნაწყვეტი).......202

კონსტანტინე გამსახურდია (1893-1975)

ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი, 1921წ. 203
Anno 1923.......204
წერილი ვაჟისადმი, 1955წ..........208
ღია წერილი გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის დავით მჭედლიშვილისადმი - 1963წ. (ნაწყვეტები).......208
დავიცვათ საქართველოს ბუნება.......210

გრიგოლ ფერაძე (1899-1942)

შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის – „მამაო ჩვენოს" განმარტება, 1933წ. 212

ნოე ჟორდანია (1868-1953)

დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, 1933წ. (წიგნიდან „დემოკრატია")..............................215
ქართველი სოციალ-დემოკრატია, 1947წ.......217

გრიგოლ რობაქიძე (1882-1962)

მიმართვა ახალგაზრდობისადმი, 1954წ. (გადაიცა რადიო თავისუფლების ეთერით)..........221

გიორგი ლეონიძე (1900-1966)

ჩორეხი, 1962წ. 224

რევაზ გაბაშვილი (1882-1969)

ინტერვიუ რეზო გაბაშვილთან, 26 მაისი, 1968 წ. (რადიო „თავისუფლება“) 226

აკაკი ბაქრაძე (1928-1999)

დაკვირვებანი, 1980წ. (ნაწყვეტი: საბჭოთა ტვირთი) 230
მწერლობის მოთვინიერება, 1983წ. (ნაწყვეტი) 231
დიალოგი, 1988წ. (ნაწყვეტი) 231
აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს, 1989წ. (ნაწყვეტი ინტერვიუდან) 232
მთავარია დავიბრუნოთ ღირსება, 1998წ., 22. IV. 236
ქართული საქმე ქართველმა უნდა გააკეთოს, 1999წ.
(ნაწყვეტები უკანასკნელი ინტერვიუდან) 239

მერაბ კოსტავა (1939-1989)

ფიქრები საქართველოს მისიაზე, 1984წ. (ამონარიდი) 246
მიმართვა მომიტინგეებს, 1989წ. 248

მერაბ მამარდაშვილი (1930-1990)

აზროვნებისა და ენის განსაბჭოება, 1990წ. (ნაწყვეტები) 249

ზვიად გამსახურდია (1939-1993)

გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს (ნაწყვეტი) 252

ლევან ბერძენიშვილი (1953-)

სამოქალაქო საზოგადოება, 1998წ. (ნაწყვეტი V თავიდან) 261

ჭაბუა ამირეჯიბი (1921-2013)

ანდერძი შთამომავლებს 266

გია მაისაშვილი (1962-2018)

ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის: შესაძლებლობა,
პასუხისმგებლობა, სოც. სოლიდარობა, 2003წ. (ნაწყვეტი) 268
საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო ჰიმნი, „თავისუფლება“, 2004წ. 269

გია ნოდია (1954-)

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში:
მიღწევები და გამოწვევები, 2005წ. (ნაწყვეტები III თავიდან) 270

ლევან რამიშვილი (1973-)

ჩვენ არჩევანი გვაქვს, 2009წ. (ნაწყვეტი ინტერვიუდან)....279

ზურაბ კიკნაძე (1933-)

შეცვლილი ისტორიული რეალობა, 2009წ. 282

კახა ბენდუქიძე (1956-2014)

ღარიბი ადამიანების გასაქირი, 2010წ. 286
უგზოდ მვლელნოო, უსნავლელნოო, 2010წ....287

ჯანრი კაშია (1939-2012)

საქართველო 228 წლის გზასაყარზე, 2011წ. (ნაწყვეტი)....290

ირაკლი შენგელაია (1947-)

წონასწორობის სამი გაკვეთილი, 2010-2011წ.წ. 292

ლევან გიგინეიშვილი (1972-)

ტოლერანტობის ფენომენი ევროპის და საქართველოს მაგალითებზე, 2016წ. (ამონარიდი ვიდეო-ლექციიდან) 304

გიგი თევზაძე (1967-)

პირდაპირი დემოკრატიის შესახებ, 2017წ. 306
„ვეფხისტყაოსანი", როგორც პოლიტიკურ-სოციალური პროექტი, 2018წ. 309
როგორ ლპება ჩვენი სახელმწიფო, 2018წ. 314
წარსულის განვითარების სცენარები: სხვა ისტორია და სხვა მომავალი, 2018წ. (ნაწყვეტი - სხვა ისტორიის გაკვეთილები)....317

შოთა რუსთაველი
(1160/65 – 1216)

ქართველი პოეტი და მოაზროვნე

- ვეფხისტყაოსანი, მე-12 საუკუნე (ნაწყვეტები)

ნაწყვეტები შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად

წყარო/ბმული: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/40-vephkhistqaosani.pdf

ვეფხისტყაოსანი

ღირებულებები: თანასწორობა, სიქველე, თანადგომა, ერთგულება, ღირსება, სიმართლე, თავისუფლება.

თანასწორობა

39
თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

49
ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

სიქველე

50
მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა - დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!

804
რაცა თქვენთვის არ ვარგ იყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წარსაგებლად!
შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად.

თანადგომა, ერთგულება

306
ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს;
ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წანყმიდოს!
შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს".

703
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,
აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!"

773
მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი;
ასრე უნდა მოხმარება, გაჰვიდოდეს ვისცა ვისი.
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

777
სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,

მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

798
არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, ნასლვა-გვიანსა?!

854
„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.
ან ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია;
თუღა მოჰნახავ, მონახე, ქმენ რაცა შენი ფერია“.

ღირსება

799
რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმექელსა,
შემდრკალსა-შეშინებულსა და სიკვდილისა მეძველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეძველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

800
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

875
თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

სიმართლე

789
„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

790
რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

თავისუფლება და სიქველე

803
მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღვნიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

დავით გურამიშვილი

(1705-1792)

ქართველი პოეტი, მოაზროვნე და სამხედრო

● დავითიანი, 1787წ. (ნაწყვეტები)

ნაწყვეტები შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად

წყარო/ბმული: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/55.davithiani.pdf

დავითიანი

ღირებულებები: განათლება, თავისუფლება, არჩევანი, პასუხისმგებლობა, პატიოსნება, სიმართლე, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა.

განათლება, თავისუფლება, არჩევანი

32 სნავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

33 ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების;
ქკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

34 ჩემის უცებით შევატყვე, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:
ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!

35 ვით უსაჭურლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს სანადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს,
- ეგრეთ ჭკვიანი უნვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

36 ვსძებნე და ვერა ჰვპოე რა მჯობი ამ სნავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!

განათლება, პასუხისმგებლობა, არჩევანი

55 ყმანვილი უნდა სნავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?
ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო!

58 სოლომან ბრძენი სიბრძნითა თავი არს ყოვლის ბრძნებისა;
ბევრი რამ კარგი დასწერა წიგნები ღვთის ბრძანებისა;
ერთი იმასაც მოუხდა გატეხა რამე მცნებისა,
თუ გიჯობთ, ნურცა მას უსმენთ, სიტყვა დამირთავს ნებისა...

პატიოსნება, სიმართლე, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა

172 მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების;
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების.

173 ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდინოს;
სხვა გაფთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არვინ ჩაიდინოს.
კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა მაიხდინოს,
თორემ ბოლოს ვით იქნების, ავზედ ძრახვა დაიცდინოს?

174 ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა:
თავისიცა განიმაგროს, ნუ აფოფნებს სხვის ნიფხავსა.
ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!

175 ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ;
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.
ვინ დაჰფარავს მათს ნათესსა, თვით უმიწოდ ქვიშას ფარცხვენ,
ქვე საწუთროს ქვიტკირსა ზდგმენ,ზე სამკვიდროს ფიჩხით ფაცხვენ.

176 რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძლებს, რაც კაცს სენი გულსა უკოდს, სჩხვლეტს და მსჭვალავს.
სხვის არ მკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს,
თვით ვერ ხედავს, სხვის საჭვრეტლად, თუ არ უნდა, პირს რად ჰკალავს?

სოლომონ დოდაშვილი
(1805-1836)

ფილოსოფოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოს–თეორეტიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. პირველი რესპუბლიკელი მოღვაწე საქართველოში.

● ლოგიკა, 1828წ. (ნაწყვეტი)

ნაწყვეტი შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად
წყარო/ბმული: https://bit.ly/2GJ1SJQ

ლოგიკა

ღირებულებები: ჭეშმარიტება, ინდივიდუალიზმი, პიროვნება, თავისუფლება.

ფილოსოფია უნდა იყოს ადამიანის სულის ნაწარმოები; იგი არავის არა აქვს თანდაყოლილი; იგი შეძენილ უნდა იქნას საკუთარი გონების ძალით, ამ გონების საკუთარი მოქმედებით: ვინაიდან მხოლოდ ეს მოქმედება, მიმართული მოცემული ცნებებისაკენ და არა მათი აგებისაკენ (= მათემატიკა), შეადგენს ფილოსოფოსობას. ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა; ფილოსოფოსობა კი ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, ჩავწვდეთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი, და ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან.

ყურადღება მივაპყროთ თავის თავს – ნიშნავს განვაყენოთ იგი ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის: ეს ხდება, როცა გონებით ვტოვებთ ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ. ჩავწვდეთ თავის თავს – ნიშნავს გულდასმით ვიფიქროთ შინაგან მოვლენებზე, რომლებიც ჩვენში ხდება, გავხადოთ ჩვენი თავი გამოკვლევის უშუალო საგნად. თავისი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა უნარი იმისა, რომ სწორად ვიმსჯელოთ მთელ ქმედით ჩვენს ძალაზე; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, ამ

მოქმედების საზღვრები და მიზანი. გავიგებთ ჩვენს თავს, თუ შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენი აზრების, ცოდნათა და საქციელთა საკმაო მიზეზები. დასასრულ, დავადგენთ სამყაროს ჩვენში და ჩვენთან, როცა ვაყალიბებთ ჩვენში ჰარმონიულ მოქმედებას, წარვმართავთ რა მას ჩვენი დანიშნულებისაკენ. ამრიგად, განყენება და განაზრება, შეცნობა და გაგება თვით ჩვენი თავისა, დაკმაყოფილება თავისი თავისა ასეთი თვითშემეცნებით – აი ფილოსოფიური გამოკვლევის სამი საგანი! პირველი მათგანი მეორის და მესამის იარაღია; მეორე შეადგენს ჩვენი მეცნიერების უახლოეს მიზანს, მესამე კი – შორეულ, მაგრამ უმაღლეს მიზანს.

სიტყვა მოწოდება, 1832წ.

ღირებულებები: ღირსება, თავისუფლება,
პასუხისმგებლობა, მოქალაქეობა.

წყარო/ბმული: https://bit.ly/2MyhPq2

ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი რჯულნი, თავისნი სარწმუნოება, თავისი ენა და თავისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფე და არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აქ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან.

ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?! რაისთვის არს ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილი მამა-პაპათა ჩვენთანა?! ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?! ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენ, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშ რაისთვის ვცოცხლობთ!

ნიკოლოზ ბარათაშვილი
(1817-1845)

ქართველი პოეტი.

- ბედი ქართლისა, 1839წ. (ნაწყვეტები)

სტროფები შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად

წყარო/ბმული: http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/nikoloz_baratashvili/Poema/bedi%20kartlisa.pdf

ბედი ქართლისა

ღირებულებები: ღირსება, თავისუფლება.

* * *

ჰოი, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუღარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!
„აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო!
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, სარწმუნოება,
მას, მინდა მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!"
ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.

„რასა მიბრძანებ", ჰკადრა მან მეფეს,
„ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინღა ახსენოს, აწ საქებელი?"

* * *

ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:
„განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!"

* * *

ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება
სხვადასხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!

* * *

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და, აწ რა ნახა ცოლი ამ აზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით.
ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა,
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“

გაბრიელ ქიქოძე (ერისკაცობაში გერასიმე)
(1825-1896)

სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი, იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წლებში. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი და საპატიო წევრი.

- ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1858წ. (ნაწყვეტი)

ნაწყვეტი შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად

წყარო/ბმული: http://www.orthodoxy.ge/fsiqologia/gabriel/fsiqologia-6.htm#141

ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები

ღირებულებები: თავისუფლება, ნება.

§140. **თავის შინაარსი და კავშირი წინა თავებთან.** როცა მეორე თავში ვაანალიზებდით სულის მოქმედ ანუ სურვილისმიერ უნარებს, ჩვენ ვთქვით, რომ გასაჭირი სულში მოუსვენრობას ბადებს, მოუსვენრობა აღძრავს დაკმაყოფილების ლტოლვას, ანუ მისწრაფებას; ნება კი არის სულის გადაწყვეტილება, გარკვეულად იმოძრაოს (არჩევანი), ანდა გარკვეული მოქმედების თავად დასაწყისი. ამ თავში ჩვენ გადავწყვეტთ ყველა საკითხს ნების მოქმედების შესახებ, განსაკუთრებით კი მთავარს - საკითხს ნების თავისუფლების შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური საკითხი მრავალგზის ყოფილა მრავალი მეტაფიზიკოსის ღრმა გამოკვლევის საგანი, და როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ყველა მეტაფიზიკური საკითხის განხილვისას, ამ საკითხმაც დაბადა ბევრი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. საკითხის არსება ასეთია - თავისუფალია თუ არა ნება თავის მოქმედებაში, ე.ი. თავისუფლად, იძულების გარეშე გადაწყვეტს თუ არა ის იმოქმედოს ასე ან სხვაგვარად, თუ ნებამ ყოველთვის აუცილებლობით უნდა ისურვოს და იმოქმედოს ასე

და არა სხვაგვარად. ჩვენ შევეცდებით გადავწყვიტოთ ეს საკითხი ჩვენი ფსიქოლოგიის საფუძვლების შესატყვისად.

§141. თავისუფლების ცნების განსაზღვრება. თუ ყურადღებით ჩავწვდებით თავისუფლების ჩვენს ცნებას, დავინახავთ, რომ ეს ცნება აუცილებლად გულისხმობს, ჯერ ერთი, გონებას, მეორე, გარკვეული მოქმედების ძალას ან შესაძლებლობას.

ადვილად დაეთანხმება ყველა აზრს იმის შესახებ, რომ სადაც არ არის გონება ან განაზრება, იქ შეუძლებელია იყოს თავისუფლება და რომ თავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ მოაზროვნე არსების ხვედრი და უნდა იყოს მხოლოდ აზროვნების შედეგი. უსულო, გონებას მოკლებული არსება არ შეიძლება იყოს თავისუფალი, რადგან ის მოქმედებს მექანიკურად, ისე, რომ თავის მოქმედებას არ აცნობიერებს და აუცილებლობით ექვემდებარება გარეგან ძალებს. ქვა ვარდება, ანდა წყლის ორთქლი მიიწევს ზემოთ: ესაა მექანიკური ძალების შედეგი და მათ მექანიკური ინერტული მოვლენები ეწოდება. ამის საპირისპიროდ არსება, რომელიც აცნობიერებს თავის მოქმედებებს, გაიაზრებს მათ, განასხვავებს ცუდს კარგისაგან და ამ უკანასკნელისაკენ მიისწრაფვის, აუცილებლობით თავისუფლად არის მიჩნეული. ამიტომ გონებისა და თავისუფლების კავშირის აუცილებლობა ეფუძნება იმას, რომ მხოლოდ გონებას ძალუძს აირჩიოს კარგი და ნება მისკენ მიმართოს. მეორე მხრივ, გონების მქონე ადამიანს რომ არ ჰქონდეს თავისუფლება, მაშინ მას შეეძლებოდა კარგის ცუდისგან განსხვავება, მაგრამ ის ვერ აირჩევდა მათგან ერთ-ერთს, ე.ი. ვერ იმოქმედებდა თავისი გაგების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში გონება უსარგებლო იქნებოდა. გარდა ამისა, თუ მოცემული იქნება თავისუფლება გონების გარეშე, მაშინ სავსებით ვერ წარმოვიდგენთ, რას უნდა ნიშნავდეს ის და როგორი თვისებები ექნება მას, რადგან თავისუფლება ნიშნავს, აკეთებდე მას, რაც უკეთესად მიგაჩნია, გონების გარეშე კი თავად თავისუფლება ვერ განისაზღვრავდა მოქმედების მიმართულებას. მაშასადამე, თავისუფლება უნდა იყოს განუყრელ კავშირში გონებასთან. გონების გარეშე თავისუფლება არის არარა, ოცნება.

მეორე, თავისუფლება აუცილებლობით გულისხმობს ძალას, ანუ მოქმედების შესაძლებლობას. იქ, სადაც არ არის მოქმედების შესაძლებლობა, არც თავისუფლებაა. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ გონებამ აირჩია რაღაც კარგი. თუკი ადამიანს არა აქვს ძალა და შესაძლებლობა ამ კარგისკენ მისწრაფებისა და მისი მიღწევისა, მაშინ მას არც თავისუფლება აქვს. აი, რატომაა, რომ ადამიანის თავისუფლება ვრცელდება მხოლოდ იმ საზღვრებამდე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანთა ძალებს. ციხეში მოხვედრილს არა აქვს იმის თავისუფლება, რომ გამოვიდეს იქიდან. სიმაღლიდან ვარდნილს არ ძალუძს შეაჩეროს ვარდნა შუა გზაზე, არა აქვს ამის თავისუფლება. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ ადამიანის თავისუფლება შემოსაზღვრულია, მხოლოდ ღმერთია უსაზღვრო საკუთარ თავისუფლებაში. ადამიანის თავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია მოქმედების იმ საშუალებებსა და იარაღებზე, რომლებიც მას უბოძა შემოქმედმა ღმერთმა. ჩვენ გვაქვს ფეხები და ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია ვიაროთ ან ვიჯდეთ, მაგრამ არ შეგვიძლია ვიფრინოთ.

მგონი არავინ დაგვიწყებს კამათს იმის თაობაზე, რომ თავისუფლების ცნება აუცილებელ კავშირშია ამ ორ არსებით თვისებასთან, კერძოდ, გონებასთან და გონების ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობასთან. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ თავისუფლების ამ ორი თვისების საფუძველზე ავხსნით ნების მოქმედების ყველა მოვლენას.

§142. მოქმედების მოტივების შესახებ. ნება, როგორც აღვნიშნეთ მე-2 თავში, არის სულის თავად გადაწყვეტილება, დაიწყოს ესა თუ ის მოქმედება. მაგრამ ეს გადაწყვეტილება არასოდეს არ არის მიზეზის, ანუ მოტივის გარეშე: მაშინ ხომ იგი ბრმა, არაცნობიერი იქნებოდა. გადაწყვეტილება, ანუ ნება, ყოველთვის წარმოიშობა ადამიანში სხვადასხვა მოტივის შედეგად. მივუთითებთ მათ შორის ყველაზე არსებითებზე:

ჯერ ერთი, ნება ხშირად, უმეტესწილად მოქმედებს წმინდა გრძნობადი მოტივების, ე.ი. სიამოვნების ან უსიამოვნების წარმოდგენათა ზეგავლენით. ასეთია, მაგალითად, ნება ბავშვებისა, რომლებიც ყოველგვარ სხვა მოსაზრებათა გარეშე, მიისწრაფვიან მხოლოდ იმისაკენ, რაც მათ სასიამოვნოდ ეჩვენებათ. ასეთივეა ნება ბევრი მოზრდილი ადამიანისა, რომლებიც თავისი მოქმედების არჩევისას მუდამ გრძნობათა შთაგონებით ხელმძღვანელობენ. მაგრამ ამ მოტივებში მრავალი ვითარება უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. ნება ზოგჯერ არჩევანს განსაზღვრავს სწრაფად, არაცნობიერად, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ბავშვების და ბევრ ნაკლებად განვითარებულ ადამიანთა მოქმედებაში, ზოგჯერ იძულების ზეგავლენით, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ძლიერ გრძნობათა, რისხვის, შეძრწუნების, ძლიერი ვნების ზეგავლენით, ანდა შეშლილ ადამიანთა მოქმედებისას. ცხადია, ამ შემთხვევების დროს ცოტაა თავისუფლება, რადგან გონება სულ არ მონაწილეობს მოქმედებაში.

თუ ნება - თუმცა დაბალი გრძნობადი ლტოლვების ზეგავლენით, მაგრამ მაინც ცნობიერად, განაზრების საფუძველზე - აკეთებს არჩევანს და გონება გრძნობების იარაღია, ეხმარება არჩევანს, ხელმძღვანელობს ნებას, მაშინ უნდა ვცნოთ, რომ მოქმედება სავსებით თავისუფალია, ნებისეულია. მაგალითად, დავუშვათ, რომ ვინმე შეპყრობილია ანგარებით ან გამდიდრებისაკენ ლტოლვით. როცა ამ მდგომარეობაში მყოფი ძაბავს თავის გონებას, ყველა სულიერ ძალას, რათა მიზანს მიაღწიოს, ის თუმცა მდაბალი გრძნობების საამებლად მოქმედებს, სიამოვნების მიღებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ მაინც თავისუფლად მოქმედებს. თუკი ამბობენ ხოლმე - ვნებები თავისუფლებას გვართმევენო, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანისათვის ძნელია ვნებებისგან განთავისუფლება, როცა ის ემორჩილება მათ. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანი მისულიყო ამ დამონებამდე, იმისათვის, რომ ვნება ჩვევად, ბუნებად ქცეულიყო, საჭირო იყო ვნებისათვის ნების დამორჩილება, ვნების გაბატონება ნებაზე. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი ადამიანი ნების სიმტკიცით ამარცხებს თავის მავნე ჩვევებს, ზოგჯერ კი იშორებს თავიდან უძლიერეს ვნებებს, მაშასადამე, აქაც რჩება არჩევანის შესაძლებლობა.

მეორე. ვნება ზოგჯერ მოქმედებს წმინდა გონებისეული მოტივების შედეგად და მოქმედებს გრძნობათა მისწრაფებების საპირისპიროდ. ნების თავისუფლებაში შეიძლება შევეჭვდეთ, როცა ის სხეულის საჭიროებას ექვემდებარება და სასიამოვნო წარმოდგენის ზეგავლენით აკეთებს არჩევანს. მაგრამ როცა ის ემორჩილება გონების მრწამსს და მოქმედებს თავისი გრძნობების მისწრაფების საპირისპიროდ, თავისი სურვილის საპირისპიროდაც კი, აქ უკვე შეუძლებელია უარვყოთ ადამიანის თავისუფლება. ასეთია ნების მდგომარეობა, როცა სული მოქმედებათა არჩევისას უყურებს არა იმას, რაც ჩვენი გრძნობებისთვისაა სასიამოვნო, არამედ უფრო მეტად იმას, რაც შესატყვისია ჭეშმარიტებისა, როცა ნებას განსაზღვრავენ არა შინაგანი მოტივები, არამედ თავად საგნების ღირსებები. ჩვენ, მაგალითად, ნებაყოფლობით ვუმორჩილებთ ნებას კანონის ავტორიტეტს, მივისწრაფვით კეთილი ქცე-

ვისკენ, თუმცა წუთიერი გრძნობებისათვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა ამის საპირისპირო მოქმედება, ამიტომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება თავისუფლების უარყოფა.

§143. ნების მოტივებისა და მოქმედებათა კავშირების შესახებ. ამგვარად, ნათელია, რომ მოტივებს, რომლებიც განსაზღვრავენ ნების მოქმედების გარკვეულ წესს, არ ძალუძთ თავისუფლება წაართვან ადამიანებს. ეს უკანასკნელი ვითარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კავშირი მოტივსა და მოქმედებას შორის მკაცრად დაემორჩილებოდა აუცილებლობას, ე.ი. თუ გარკვეული მოტივი გარდაუვალად და უსათუოდ წაიყვანდა ნებას, აი, ამ და არა სხვა მოქმედებისაკენ, როგორც სიმძიმე იზიდავს სხეულს ცენტრისაკენ და არა ცენტრიდან. მოტივები ყოველთვისაა, მაგრამ მათი კავშირი მოქმედებასთან არ არის აუცილებელი, ე.ი. ნებას შეუძლია დაეთანხმოს მას, მაგრამ შეუძლია მას არ მისდიოს. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას შემდეგნაირად ედავებიან: „ყოველი სურვილი, ანუ ნება არის გონების ბოლო განსაზღვრა, გონების ბოლო მსჯავრი, მაგრამ არავინ არ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ გონების გადაწყვეტილებები აუცილებლობით არიან აღბეჭდილი, რადგან გონებამ აუცილებლობით უნდა აღიაროს ზოგი წინადადება ჭეშმარიტებად, ზოგი კი - მცდარობად. ზუსტად ასევე გონებას აუცილებლობის ძალით მოსწონს ზოგი მოქმედება, რადგან ისინი ჭეშმარიტნი და სასარგებლონი არიან თავად თავისი არსებით, ზოგი კი არ მოსწონს, რადგან ისინი თავისი არსებით მავნე და ჭეშმარიტების საპირისპირონი არიან. მაშასადამე, არ შეიძლება ვაღიაროთ, რომ ნება, რომელიც მისდევს გონების ამ მსჯავრს, თავისუფალია. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ გაცილებით სჯობია მისდიოს თავისი გრძნობების ჩაგონებას და ისწრაფვოდეს ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებისაკენ, ვიდრე დაელოდოს მომავალ სიკეთეს, მოქმედებს ზუსტად იმავე აუცილებლობით, რომლითაც ამტკიცებს მათემატიკოსი სამკუთხედის სამი კუთხე ორი სწორის ტოლიაო. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ადამიანი ყველა თავის ქცევაში გონების მსჯავრს მისდევს, ის არ არის თავისუფალი. მაგრამ თუ ის არ მისდევს გონებას, მაშინ ბრმად მოქმედებს". ასეთი იყო საბუთები თავისუფლების წინააღმდეგ ფატალიზმის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველისა - კოლენისა - ინგლისელ განსწავლულ მეტაფიზიკოსთან - კლარკთან მიწერილ წერილებში. მაგრამ ბრძენი კლარკი ამ დებულებებს ძალზე საფუძვლიანად უარყოფს. გონების მსჯავრი ყოველთვის აუცილებელია, რადგან საგანთა ბუნებაზეა დაფუძნებული; მაგრამ ნება არ არის აუცილებელ ფიზიკურ კავშირში ამ მსჯავრთან; რადგან ის მუდამ როდი მისდევს ამ მსჯავრს. მოქმედება და თავისუფლება ორი იგივეობრივი იდეაა. სადაც არ არის თავისუფლება, იქ მხოლოდ პასიურობაა და არა მოქმედება. ჭეშმარიტება და ცდომილება გონებისათვის იგივეა, რაც თვალისათვის სინათლე. ჩვენ არ ძალგვიძს არ დავინახოთ, როცა თვალები ღია გვაქვს, არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ ჭეშმარიტება, როცა გონება ჯანმრთელია. მაგრამ ერთია - განსჯა, მეორეა - მოქმედება. ეს ორი რამ სავსებით დამოკიდებულია ორ განსხვავებულ საწყისზე. პირველი პასიურია, მეორე თავისუფალია. პირველი ისევე განსხვავდება მეორისგან, როგორც მხედველობის მქონე ადამიანისათვის განსხვავებულია გზის ხილვა და თავად გზაზე სიარული. არ შეიძლება იმის თქმა, რომ გზაზე სიარული არის შედეგი გზის ხილვისა. ზუსტად ასევე, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნების გადაწყვეტილება არის აუცილებელი შედეგი გონების მსჯავრისა. რა ხშირად ხდება ხოლმე, რომ გონება გარწმუნებს ამა თუ იმ მოქმედების სიკეთეში, მაგრამ ნება არ მისდევს მის მრწამსს. ასევე, ხშირად ხდება

ხოლმე, რომ გონება გიბიძგებს რაიმესაკენ, ნება კი თავისი გრძნობების საწინააღმდეგოს აკეთებს. მაშასადამე, ნების განსაზღვრებებში აუცილებლობა არასოდეს არ არის.

§144. შინაგანი ბრძოლა - თავისუფლების საბუთი. გრძნობათა ჭიდილი გონებასთან, შინაგანი გაორება, რომელსაც ყოველი ადამიანი ამჩნევს თავის თავში, ყველაზე ნათლად ასაბუთებს ადამიანთა ნების თავისუფლებას. იქ, სადაც მოქმედება ექვემდებარება აუცილებელ ფიზიკურ კანონებს, არ შეიძლება ლაპარაკი არავითარ ბრძოლაზე. ამიტომ თუ ნება გარდუვლად წარიმართებოდა აუცილებლობის კანონის მიხედვით, მას აღარ შეეძლებოდა მერყეობა, არჩევანის გაკეთება, არამედ მოიმოქმედებდა ყოველივეს გადაწყვეტილების მიღების გარეშე; სადაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გავაკეთოთ არჩევანი მოქმედებასა და უმოქმედობას შორის, მრავალ მოძრაობათაგან ავირჩიოთ რომელიმე ერთი, უსაფუძვლოა იქ ვივარაუდოთ, არათავისუფალი ნების არსებობა. შინაგანი გრძნობა ყველას გვარწმუნებს, რომ თვით იმ წუთებშიც კი, როდესაც რაღაც ვნება დაუოკებლად მიგვაქანებს რაიმესკენ, შეგვიძლია შევჩერდეთ და დავადანაშაულოთ თავი ჩვენს მოქმედებაში. სინდისი გვკიცხავს ჩვენ ცუდი საქციელისათვის. მისი შინაგანი ხმა შეგნებულად და უტყუარად შთაგვაგონებს, რომ საჭიროა ბრძოლა, საჭიროა მივენდოთ არა ქვენა წარმოდგენებიდან მომდინარე ლტოლვებს, არამედ გონების კარნახს. გრძნობათა შეკავებით, ვნებებზე გამარჯვებით გამოწვეული შინაგანი კმაყოფილება ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ გაიმარჯვა სწორედ ნებამ, რომ იგი იბრძოდა და არ დაუკარგავს თავისუფლება, არ ქცეულა მონად. ყოველი განვითარებული ადამიანისათვის აუცილებელია ასეთი შინაგანი ბრძოლა. იგი შეიძლება ხანდახან შესუსტდეს, მაგრამ გაქრობით მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება გაქრეს: 1. როდესაც მებრძოლი მხარეებიდან ერთ-ერთი სრულიად გადასძლევს მეორეს, მაგ., როდესაც გრძნობები და ვნებანი ისე დაეუფლებიან ადამიანს, რომ მისი ნება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ემორჩილება მათ. მაშინ ქვენა ზრახვათა დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფება მისთვის ნორმალური ვითარებაა. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ბევრი, ვინც მხოლოდ დაბალ ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ცხოვრობს. 2. შინაგანი ბრძოლა შეიძლება შესუსტდეს, მაგრამ არ გაქრება მაშინაც, როდესაც განსჯა იმარჯვებს გრძნობებზე, ხოლო ნება კი ისე სრულქმნილი გახდა, რომ ადამიანი ძლევს საკუთარ თავში გრძნობად ლტოლვებს და ცხოვრობს მხოლოდ ზნეობრივი კანონის შთაგონებით. ვიმეორებთ, ბრძოლა შეიძლება შესუსტდეს, მაგრამ არ შეწყდება, ვინაიდან სრულყოფის რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს ადამიანი, მასში თითქმის მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა ქვენა მისწრაფებებთან.

§145. უმაღლესი თავისუფლების შესახებ. უმაღლესი, დედამიწის ზურგზე შესაძლებელი თავისუფლების მატარებელია მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც შეეჩვია, დაუმორჩილოს თავისი ნება ზნეობრივ კანონს და ცხოვრობს ქრისტიანულ მითითებათა შესატყვისად. ამის მიზეზი შემდეგია: არავინ დაიწყებს დავას იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტად თავისუფალ ადამიანად ინოდება მხოლოდ ის, ვისაც შეიძლება სურდეს ყველაფერი ყოველგვარი შინაგანი თუ გარეგანი იძულების გარეშე და ისრულებს კიდეც თავის სურვილებს არა მხოლოდ იძულების გარეშე, არამედ სიხარულით, სიყვარულით, შინაგანი ტკბობითაც კი.

ჭეშმარიტი ქრისტიანის სურვილები სრულიად ძალდაუტანებელია: არც შიშს, არც სირცხვილს, არც რაიმე გარეშე ძალაუფლებას არ შეუძლია განსაზღვროს მისი სურვილები.

მას ებადება სურვილი მხოლოდ გონების თავისუფალი მრწამსის საფუძველზე, იმის საფუძველზე, რომ თავისი მისწრაფების საგნის უპირატესობაშია დარწმუნებული. ის ირჩევს სიკეთეს და განუდგება ბოროტებას ბუნებრივად, გულის კარნახით. სავსებით მართებულია, რომ კეთილი სურვილები არასოდეს არ იბადებიან ძალმომრეობითი მოტივებით. შეიძლება აიძულო ადამიანი იმოქმედოს ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ შეუძლებელია აიძულო - ისურვოს ასე და არა სხვაგვარად. ამდენად, თუ ადამიანს გულწრფელად, პირუთვნელად სურს სიკეთე, მაშინ მას იგი სურს სრულიად თავისუფლად. მაგრამ თუ ქრისტიანი თავისუფალია თავის სურვილებში, მით უმეტეს თავისუფალია იგი მოქმედებაშიც. ქრისტიანული ზნეობრივი კანონი იმით გამოირჩევა სხვა ადამიანური კანონებისაგან, რომ იგი გადაჭრით გამორიცხავს ყოველგვარ იძულებასა და ძალდატანებას. ჭეშმარიტად ქრისტიანად ყოფნა უნდა ნიშნავდეს სიკეთისაკენ შინაგანად მიდრეკილებას. ჭეშმარიტი ქრისტიანია ის, ვინც კმაყოფილებას პოულობს სათნოებაში, აღასრულებს თავის კანონს შინაგანი ლტოლვის შედეგად, იმის შედეგად, რომ მას ამის გაკეთება სიამოვნებს. დიდი ბრძოლა და ძალისხმევაა საჭირო, რომ მიიყვანო თავი ამ მდგომარეობამდე, მაგრამ ვინც კი მიაღწია აქამდე, მოიპოვა ჭეშმარიტი ქრისტიანული თავისუფლება.

შეიძლება გვითხრან - იმ ადამიანთა მდგომარეობაც, ვინც ვნებებსაა აყოლილი, ხომ ისეთივეა, როგორც აღწერილი მდგომარეობაო: აქაც ადამიანი მოქმედებს შინაგანი ლტოლვების მიხედვით და მოქმედებს სიამოვნებით და სიყვარულით. ნამდვილად, აქ გვაქვს მსგავსება კეთილმოქმედ ადამიანთან, აქაც მოქმედება თავისუფალია (იმიტომაც ისჯება ცოდვა), მაგრამ რაოდენ დიდია განსხვავებაც! გრძნობადობის ბრმა ლტოლვებისა და ვნებების დაკმაყოფილებას ყველაზე უმძიმესი გავლენა აქვს სულის შინაგან ცხოვრებაზე. ვნება იმონებს ნებას, იწვევს შინაგან განხეთქილებას, ბრძოლას და ხშირად უკმაყოფილებასაც, სასოწარკვეთას და მოყირჭებას. ვნების ყოველი დაკმაყოფილება კი არ აწყნარებს, აღელვებს ადამიანს. ერთი სიტყვით, უზნეო ცხოვრება წარმოადგენს სულის არანორმალურ მდგომარეობას, მის მოშლილობას. მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი ატარებს თავის სულში ღვთიურ სამყაროს.

გიორგი წერეთელი
(1842-1900)

ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ნამდვილი წევრი.

- დედაკაცის აზრი დედა-კაცზედ, 1866 წ.

წყარო: გიორგი წერეთელი. თხზულებანი, ტომი 1, გვერდი 33 / „დროება" 1866, N5, გვ.1-2 /

დედაკაცის აზრი დედა-კაცზედ

ღირებულებები: ღირსება, საზოგადოება, თანასწორობა, თავისუფლება.

ახლანდელს დროში დაწინაურებულნი პირნი განათლებულს ქვეყნებში ნამდვილათ გრძნობენ, რომ ქალს საზოგადოებაში არა აქვს მინიჭებული თავისი შესაფერისი მდგომარეობა. ყოველ სახელმწიფოს სჯულში არის ზოგი იმისთანა კანონები, რომლის გამოთაც დედა-კაცი იჩაგრება და იმდენი თავისუფლება არ მიეცემა, რამდენიც საჭიროა სახელმწიფოს კეთილ მდგომარეობისთვის და შთამომავლობის სასარგებლოთ. ეჭვი არ არის, ამ სიტყვებზედ ჩვენი ქალები წყრომას დაგვიწყებენ. - როგორ თუ შესაფერი მდგომარეობა არა გვაქვსო? დაჩაგვრა კი არა, ჩვენოდენი უფლება და ღირსება არავის არა აქვს. აი წარმოვიდგინოთ, როდესაც ქალი და კაცი ქუჩაში ერთათ დასეირნობენ; დედა-კაცი წინ მიდის და მამა-კაცი კი ბიჭსავით უკან აედევნებაო. ქალები არა ვართ, რომ კაცები, როგორც მეფეს მოწიწებით ხელზედ გვკოცნიან და ზოგჯერ ჩვენს წინ მუხლსაც მოიყრიან? აბა ერთი მიჩვენე საზოგადოების ყრილობაში, თუ ქალს ყოველთვის კაცზედ უპირველესი ადგილი არა უჭირავს! ვის გაუგონია ამ გვარი ცილის წამებაო! არა, ეგ ტყუილი მოგიგონია, ვიღაც გამოსულხარ და სწერ; მაგ სიტყვებს არასოდეს ჩვენს თავზედ არ მივიღებთ. ჩვენისთანა ბატონები მამა-კაცები არ არიანო, ჩვენ ოჯახებში ბატონებათ ვზივართ და ისინი კი ოფლის წურწურით შრომობენ და ხარჯს გვაძლევენო.

პატივცემულო მანდილოსანნო, ძლიერ ნუ გაცხარდებით; გული დაიმშვიდეთ და ისე მოისმინეთ ჩემი საუბარი. მე აქ უფრო ერთის გამოჩენილის დედა-კაცის პირით ვლაპარაკობ, რომელსაც არ მოსწონს ქალის ბატონობა ახლანდელს დროში და ამბობს, რომ ამგვარი ბატონობა დედა-კაცისა დამამცირებელი და შეუფერებელი არის. მაშ ახლა განვაგრძობ ლაპარაკს. დედა-კაცს კანონით აკრძალული აქვს, რომ თავისი ნიჭი და გონიერება საზოგადოების წარსამატებლათ მოიხმაროს. დედა-კაცს არ შეუძლიან საზოგადო საქმისთვის იშრომოს, ისე როგორც მამა-კაცსა; იმას არ შეუძლიან ცხოვრების საშუალობა პატიოსანის გარჯით მოიპოვოს. საზოგადოების ჩვეულება დედა-კაცს ნებას არ აძლევს, რომ თავისი გონება გაანათლოს იმდენათ, რამდენათაც მამა-კაცს შეუძლიან თავისის გონების გახსნა. საზოგადოების წესდებულება უშლის დედა-კაცს, რომ ის სახელმწიფო გამგეობის წევრათ გახდეს; იმას არ შეუძლიან შეიქნეს მასწავლებელი, ექიმი, სამოქალაქო თანამდებობის აღმასრულებელი და სხვა. რადგანაც დედა-კაცს არავითარი წყარო თავისუფლათ ცხოვრებისა არ ჰქონია, ამისთვისაც ის გამხდარა სრული მონა მამა-კაცისა.

ქრისტიანობამ თავისის ღვთიურის აზრებით იმ დროში ძირითადი ცვლილება ვერ მოახდინა დედა-კაცის შესახებ. რომის განათლებას არ შეეძლო, რომ საქრისტიანო აზრებზედ გავლენა არ ჰქონოდა, როდესაც ეს აზრები ხალხში ვრცელდებოდნენ. ამ მიზეზებისა გამო ქრისტიანობამ ვერ შეძლო დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამას ჩვენ ახლანდელს დროშიც ნათლად ვხედავთ. ჩვენში დედა-კაცი უწინდელათ არის მამა-კაცის დამოკიდებულების ქვეშ, მაშინ როდესაც ეს დამოკიდებულება იმისთვის სრულიად საჭირო არ არის.

მწერლები, რომელნიც საზოგადო მონებისგან დედა-კაცის განთავისუფლებას ეწინააღმდეგებიან, ორ გვარს საბუთებს წარმოადგენენ. ერთი საბუთი იმას შეიცავს, ვითომც დედა-კაცს თავისი შესაფერი თავისუფლება ქონდეთ მინიჭებული; დედა-კაცის დანიშნულება, იმათის აზრით, ოჯახობა არის და იქ ის სრული თავისუფალიაო. მაგრამ დორას აზრით ოჯახის მოვლის გარდა ქალს კიდევ ბევრი თავისუფალი დრო დარჩება. იმას უნდა ნება მიეცეს, რომ დანარჩენი თავისუფალი დრო საზოგადოების სასარგებლოთ მოიხმაროს, როგორათაც საზოგადოების წევრმა. ერთის სიტყვით, ვისაც ჰგონია, რომ დედა-კაცი მარტო კარგი მეოჯახე უნდა იყოსო, ისინი ძალიან სტყუიან, ამისთვის რომ შეიძლება კარგი კაცი ოჯახის მომვლელი იყოს და ამასთან კარგი ექიმიც, კარგი ვაჭარიც, კარგი ვექილიც, კარგი ისტორიკოსიც, კარგი სახელმწიფო მოხელეც და სხვ. ოჯახობა, როგორც მამა-კაცს, აგრეთვე დედა-კაცს ვერ დაუშლის ისტორიკოსობას და მრავალს სხვა რიგს სამოქალაქო სამსახურსა.

მეორე საბუთი დედა-კაცის წინააღმდეგ ამ აზრს წარმოადგენს: ვითომც იმისი ნიჭიერება და მამა-კაცისა შორის შორს იყოს; მაგრამ ამ გვარი აზრიც დორას ფიქრით სრულიათ უსაფუძვლოა. დორა დისტრია აიღებს ისტორიას და იქ ცხადათ გვიჩვენებს, რომ სწავლაში, პოლიტიკაში და სარწმუნოების სფეროში გამოჩენილი დედა-კაცები ყოფილან.

ახლა ევროპის საზოგადოებაში დაწინავებული პირები უფრო იმ აზრზედ არიან დამყარებულნი, რომ დედა-კაცი განთავისუფლდეს მამა-კაცის ნივთიერებითის დამოკიდებულებისაგან და ის უფლება მიენიჭოს იმათ, რომელიც მამა-კაცს აქვს. რა საკვირველია, ამ გვარი თავისუფლება დედა-კაცს მიანიჭებს ნამდვილს კაცურს ღირსებას და ამასთან იმის დაჩაგრულს მდგომარეობასაც აღადგენს.

ეკატერინე გაბაშვილი

(1851-1938)

ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ თავმჯდომარე. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი (1882-).

- გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე, 1870წ.

ნყარო: გაზეთი „დროება“, 1870 (N1)
ბმული: http://radiomosaic.ge/index.php/rubrics/item/1179-2018-05-17-13-47-55

გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე

ღირებულებები: განათლება, თავისუფლება.

განა ვერა ხედავ, როგორ ყველაში გჯობიათ სწავლულნი ხალხი: როგორც გონივრობაში, ისე ცხოვრებაში, თუ ჭამით, თუ სმით და ჩაცმით? აქედან ჩანს, რომ სწავლას უფრო ადვილად მოაქვს კეთილი ცხოვრება. გარდა ამისა, განა დღიური ლუკმა მარტო ხვნითა და თესვით მოიპოვება? არა, თქვენისთანა მხვნელ-მთესველს კარგი ცხოვრება ვერ უპოვნია და ვერც თქვენ იპოვნით, იმიტომ ხვნასა და თესვასაც სწავლა უნდა. მეორეც ესა, რომ არიან კიდევ სხვა ბევრი გზები ცხოვრებისა, მაგალითად: ვაჭრობა, ხელოსნობა, ოსტატობა, მხატვრობა, მწერლობა, ხელმწიფის სამსახური და სხვა. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს შვილებს არ შეეძლოთ ასრულება ყველაფრისა, რაც მე ჩამოვთვალე. სწავლას ბევრი რამ შეუძლიან, შენიშნულია, რომ ნარჩინებულნი კაცნი ხშირად უფრო თქვენისთანა ხალხიდგან გამოდიან. ასე, ჩემო ნინო, სიხარულით მიეცით თქვენი შვილები სკოლაში, სწავლა დიდი სამკაულია კაცისათვის და მარტო სწავლას შეუძლიან გამოიყვანოს ხალხი იმ უმეცარი მდგომარეობიდგან, რომელშიაც აქამდისინ ყელამდინ არის ჩაფლული...

სერგეი მესხი
(1845-1883)

ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1868 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ "დროებას".

- რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი? 1871წ. (ნაწყვეტი)

(დაიბეჭდა ჟურნალ «კრებულში», 1871 წ., №4, ს. მესხის ხელმოწერით)
ნაწყვეტები შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად
წყარო: სერგეი მესხი, თხზულებანი, ტომი 1. გვერდი 91
ბმული: https://gdl.ge/uploads/other/0/439.pdf

რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?

ღირებულებები: ღირსება, უფლება, საზოგადოება, თანასწორობა, თავისუფლება.

(ვუძღვნი ჩვენს ახალგაზრდა ქალებს)

ამბობენ და მეც ჩემი ყურით გამიგონია, რომ, როცა ჩვენში გავარდა ხმა გლეხების განთავისუფლებისა, ზოგიერთი გლეხი ამბობდა: „ჩემ ბატონს თავის დღეში არ მოვშორდები, ჩემ მამა-პაპას ჰყოლია ბატონი და მეც უნდა მეყოლოსო!.."

სწორეთ ამნაირია ახლანდელი ქალების უმეტესი ნაწილის საქმეც: ისინი მამა-პაპიდგანვე შესჩვევიან თავის მდგომარეობას, მამა-პაპიდგან კაცების ხელქვეითნი ყოფილან და თითქმის არავითარი სურვილი თვით მოქმედება და უფლება იმათ არ ჰქონდათ, და როდესაც ახლა ქალებს ეუბნებიან, დროა განთავისუფლდეთ ამ მონობისაგან, თქვენც ისეთი სწავლა-განათლების, ჭკუა-გონების გამოჩენისა და მოქმედების უფლება უნდა გქონდესთ, როგორიც კაცებსა აქვს და ამით თქვენც უნდა დაეხმაროთ კაცობრიობის წარმატებასაო, - ისინი გაკვირვებულნი არიან და ამბობენ: „ჩვენ ახლაც კარგ მდგომარეობაში ვართ, რის უფლებები, სადაური მოქმედება, რომელი სწავლა-განათლებაო! ასე უცხოვრია ჩვენ მამა-პაპას და ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთო!"

ძალიან ძნელია, რომელსამე კაცს მისი ცუდი მდგომარეობა აუხსნა, თუ კი ამნაირ მდგომარეობაში მყოფი თვითონ არა გრძნობს ამას. საპყრობილეში დამწყვდეული დამნაშავე ისე შესჩვევია თავის დამწყვდევას, თავის ოთახის დამპალ ჰაერს, იმის ნოტიო, ოთხ კედელს და გახრეკილ დოშაკს, რომ იმათი მოშორება ეძნელება და ვერ გაუგია - რა სიტკბოება უნდა იყოს კაცისათვის თავისუფლება. აგრეთვე ქალიც: თავის სამოქმედო ასპარეზათ იმას მხოლოთ სასტუმრო, საწოლი და სატანცაო ოთახები მიაჩნია და ამის გამო ვერ გაუგია, რათ ეუბნებიან, რომ ქალის დანიშნულება მარტო კეკლუცობაში და კაცების და თავის გრძნობების დაკმაყოფილებაში არ მდგომარეობსო: ვერ გაუგია - რათ აშორებენ მოარშიყე კავალერს, ტკბილი ხმების გამომძახ ფორტეპიანოს და რათ აჩეჩებენ ხელში რაღაც „უფლებებს", რომელნიც არც იცის, სად და როგორ მოიხმაროს!

ყველგან და ყველა ქალი რომ ასე ჰფიქრობდეს და სკიდეს თავის მდგომარეობაზე, მაშინ, უეჭველია, დღეს ამ საგანზე მკითხველთან ლაპარაკი არ მოგვიხდებოდა. მაგრამ ღვთის მადლით, უმრავლესი ნაწილი დასავლეთ ევროპისა და რუსეთის განათლებული ქალებისა და ამერიკაში თითქმის ყველანი - სულ სხვანაირათ სჯიან ახლა ქალის დანიშნულებაზე და ისინი სხვაფრივაც მოქმედებენ, იმისთვის, რომ ქალებმა შემდეგში მაინც ამ თავის დანიშნულებისა დაგვარათ, ცხოვრებისა და მოქმედების უფლება შეიძინონ.

ჩვენი დედა-მიწის ზურგზედ ისეთი სულდგმულები არიან, რომელთაც ვერასგზით, ათასი საბუთით და არგუმენტითაც, ვერ დაუმტკიცებ რომელსამე ახალ აზრს და ვერ ჩააგონებ ამ აზრის, ან ხვა რომელიმე საქმის სიკეთეს და სარგებლიანობას. ამისთანა სულდგმულებს გარდა, ახლა თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ქალების კაცებთან გათანასწორება, ე. ი. იმათთვის ყველა ამ უფლების მინიჭება, რაც კაცებს აქვთ, შეუმსუბუქებს მამობრივ სქესს ცხოვრების ტვირთს და საზოგადოთ გააერთი-ორებს მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას.

ყველასთვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური აზრებითა და ცრუ მორწმუნეობით არა აქვს დახშული, ცხადად დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორათ არის გაჩენილი, რომ იმის დამონავება, სხვა-და-სხვა უფლებების წართმევა, სიკეთის მაგივრად ვნებს კაცობრიობას და აფუჭებს იმის ბუნებას და ხასიათს, როგორც საზოგადოთ გაფუჭებულია ყოველი, „მონისა" და „ბატონის" ბუნება და ხასიათი; დამტკიცებულია, რომ ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობებისათვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხშირათ ხელსაც ისეთნაირათ შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთო მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას.

ჩვენ გვსურს გავაცნოთ მკითხველს ის სახსრები და ღონისძიება, რომლითაც განათლებული ქალები კაცების მონობისაგან დახსნას და საზოგადოთ თავის ცუდი მდგომარეობისაგან გამოსვლას აპირებენ. თავიდანვე ვიტყვი, რომ ეს ღონისძიება - ქალების სამოქალაქო უფლებების შეძენა, მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესაბა და ჭკუა-გონების გახსნაა. სამივე ესენი ისეთნაირათ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, ისეთნაირათ კუდი-კუდზე არიან გადაბმული, რომ ერთის უმეორისოთ შეძენა და მეორეს უმესამოთ - შეუძლებელი საქმეა. მართლა, როგორ შეიძლება რომელიმე სამოქალაქო უფლების შეძენა, ვსთქვათ სახელმწიფო სამსახურში შესვლისა, თუ ადამიანი გონება გახსნილი არ არის? ღა-

რიბს, რომელსაც ლუკმა პური არა აქვს, როგორ შეუძლია ჭკუის გამდიდრებას მისდიოს და ან უჭკუო კაცს როგორ შეუძლია თავის ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესოს?

ამიტომაც ქალებმა ამ სამთავე საშუალებას ერთნაირი ყურადღება მიაქციეს და ერთნაირათ სცდილობენ, როგორც სამოქალაქო უფლების შეძენას, აგრეთვე სწავლის მიღებასა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყველაზე უფრო გაცხარებული ეს სიტყვითი, ლიტერატურული მოძრაობა ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და ამ უკანასკნელ დროს რუსეთში იყო. ამნაირი ქადაგებით ქალებმა ამ ქვეყნებში ბევრი მომხრე შეიძინეს და თავის აზრები გაავრცელეს საზოგადოებაში; ახლა ყოველ განათლებულ კაცს რცხვენოდა ეთქვა, რომ ქალი მარტო საარშიყოთ არის გაჩენილი და იმის საქმე მარტო შვილის შობა და სტუმრის შექცევა არისო. ამას მაშინდა ხშირათ ახლაც მხოლოთ ზოგიერთი ჯიუტი და გონება დახშული პირი ამტკიცებდა.

მაგრამ მარტო ლიტერატურული მოძრაობით, მარტო ქალების სასარგებლო აზრების გავრცელებით მაგდენი არაფერი გამოდიოდა: იმათი მდგომარეობა ისევ უნინდელურათ შევიწროვებული იყო. მაშინ ქალებმა მიაქციეს ყურადღება ერთ საშუალებას, რომელსაც ყოველთვის და ყველგან მიმართავენ ხოლმე, როდესაც რომელიმე მძიმე საქმის ასრულება ჰსურთ: მე ვამბობ ასსოციაციაზე. დარწმუნდნენ თუ არა ქალები, რომ განცალკევებული მეცადინეობით ისინი ბევრს ვერას გაარიგებენ, იმათ ასობით და ათასობით დაიწყეს თავის შეყრა და ერთათ ასსოციაციით შეუდგნენ თავის საქმეს. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან ყოველ წელიწადს ათასობით იკრიბებიან მიტინგზე ქალები, ლაპარაკობენ თავის მდგომარეობაზე, ეძებენ თავის მონობის მოსასპობელ საშუალებებს, მართავენ ქალებისათვის სასწავლებლებს, ეხმარებიან ერთმანეთს ისეთი მუშაობის მოპოებაში, რომლითაც ქალს კაცისაგან დამოუკიდებლათ ცხოვრება შეეძლოს. ამ მიტინგებზე ათასობით ესწრებიან კაცებიც და ამნაირათ იმათი საშუალებით, ქალები უფრო მსწრაფლათ და უფრო კარგათ ავრცელებენ თავის აზრებს, ვიდრე ბეჭდვით.

ნიკო ავალიშვილი
(1844-1929)

ქართველი ჟურნალისტი, მთარგმნელი, თეატრალური მოღვანე. 1869-1872 ნლებში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს". დიდი დახმარება გაუნია სიღნაღიდან თბილისამდე შოსეს შეკეთებას. საგარეჯოში მცხოვრებლებთან მოლაპარაკებით 1877 ნელს გაიხსნა კოოპერატივი „ივრის დამზოგველი ამხანაგობა". იგი კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

○ ჩვენი საზოგადოება. - საზოგადოებრივი ცხოვრება და საქმეები. 1871ნ. ჟურნალი „მნათობი"

ნყარო: ქართული პუბლიცისტიკა: ქრესტომათია (XIX საუკუნე) / ივ. ჯაეახიშვილის სახ. თბილ. სახელმნ. უნ-ტი ; 2007 [შემდგ: დალი ჩიკვილაძე].
ბმულები: https://blt.ly/317pvU3

ჩვენი საზოგადოება

ღირებულებები: საზოგადოება, პასუხისმგელობა, თანადგომა, ინტერესი, მოქალაქეობა, საზოგადო საქმე.

რა გრძნობებით და საბუთებით ხელმძღვანელობენ ჩვენში საზოგადო საქმეების ნარმოებაში. საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადო საქმე, საზოგადო საჭიროება და სარგებლობა!.. რა ლამაზი სიტყვებია! ეს სიტყვები ისე ხშირად გესმის შენ, ჩემო მკითხველო, რომ მგონია, ისე ხშირად პურსაც არ სჭამ ხოლმე. იქნება არც შენ გეხმაროს იშვიათად ეს სიტყვები შენს მეგობრებსა და ნაცნობებში, როდესაც კი შენს თავმოყვარეობას შთაუგონებია შენთვის რიგიან და ამ დროების კაცად გამოჩენა. ან კი რა საკვირველია? განა არ ვიცი, რომ ჩვენ ცხოვრებაში უფრო მომეტებული ყურადღება გვაქვს მიპყრობილი ჩვენი ცხოვრების გარეგნობაზედ და მაშ, რაღა თქმა უნდა, რომ სადაც თავის გამოჩენა დაგვჭირდება, იქ ყველა გვარ ლამაზ სიტყვას ვიხმარებთ... საზოგადო საქმეს დახმარება უნდა, საზოგადო სა-

ქიროებას – დაკმაყოფილება, საზოგადო სარგებლობას – მიღწევა – ვღაღადებთ დღე-მუდამ და ისე გავარჯიშებული გვაქს ეს სიტყვები, რომ მსმენელს ეგონება, თითქოს ჩვენი დროის ერთი ნამიც არა გვაქვს მომცდარი სხვა რამე კერძოობითს და ან ამგვარ უკადრისს საქმეზე. მაგრამ სად არის ეს დახმარება, დაკმაყოფილება, მიღწევა საზოგადო საქმისა, რომელზედაც ასე დაუღალავად და თითქმის დაკმაყოფილებულის აღტაცებით ვარწმუნებთ ყველა ჩვენ გულ-მარტივ მსმენელს, იმ დაჯერებით, თითქოს მართლა და ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოობრივი ცხოვრების მსგავსება მაინც იყოს, ან კიდევ ყველა ჩვენგანი ამ საზოგადოობრივი ცხოვრებისა დიდი მომქმედი და მომხრე იყოს!... მაგრამ მანამ ჩვენში საზოგადოების მყოფობაზედ ვიტყოდე რასმე, ჯერ განვმარტავ, თუ ნებას მომცემ, ჩემო მკითხველო, რას ეწოდება საზოგადოება. – თვითონ სიტყვა ცხადად ჰხატავს თვის მნიშვნელობას: საზოგადო, ესე იგი საერთო, ყველას კუთვნილი....

ვრცელის აზრით, საზოგადოება არის მრავალთ პირთ კრება, რომელნიც ერთ გვარ გარემოებაში სცხოვრობენ და ერთ ნაირ ბუნებითს, ზნეობითს და ნივთიერებითს გავლენის ქვეშ არიან. ამ გვარ საზოგადოების წევრებად იგულისხმებიან ყველანი, ვინც კი ერთ ქვეყანაში სცხოვრებენ და ერთნაირი, ან თითქმის ერთნაირი, ჩვეულებისა და ხასიათისანი არიან. მაგრამ ეს არის გარეგანი სახე ვრცელის აზრით წოდებული საზოგადოებისა, და ამ გარეგან სახეს, მარტოდ აღებულს, ცხოვრებაში არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმისგარდა, რომ გაფანტულად, ველურად ცხოვრების მაგიერად – ერთად არიან შეჯგუფებულნი და რაიმე მსგავსება აქვსთ მოქალაქოობრივი ცხოვრებისა. შინაგანი არსი და მნიშვნელობა ამ გვარი საზოგადოებისა ის არის, რომ ყველა, ან თითქმის ყველა წევრი ამ საზოგადოებისა თავის თავს ვალად ჰრაცხავს, რომ ემსახუროს, ზნეობითის, გონებითის, გინდ ნივთიერებითის დახმარებით, ერთს დედა-აზრს – ჭეშმარიტებას, ანუ საყოველთავო, საზოგადო ცხოვრების გაადვილებას და ზნეობის გაუმჯობესობას...

ამ გვარი საზოგადოობრივი ცხოვრების მქონე ხალხში თითქოს თავის თავად ფუძნდებიან საზოგადოს ხარჯით საზოგადო დაწესებულებები: ბანკები, პურის მაგაზიები, სასწავლებლები, თეატრები, საზოგადო საკითხავები, მაწარმოებელთ და მომხმარებელთ საზოგადოებები, კეთდება გზები, ხიდები, საზოგადო ხარჯით იგზავნებიან ნიჭიერი ყმაწვილები სხვა-და-სხვა მაღალ სასწავლებლებში და ყველა ნიჭს ეძლევა თავის შესაფერი გზა, გამოიცემიან და ვრცელდებიან სხვა-და-სხვა სასარგებლო წიგნები და სალიტერატურო გამოცემაები, და სხვა და სხვა...

ჩვენი ცხოვრება, ჩემო კეთილო მკითხველო, ამ ზევით ნათქვამის გვარს ვერაფერს ვერ წარმოგვიდგენს. ჩვენში აჩრდილი თუა, თორემ ნამდვილი საზოგადოობრივი ცხოვრება კი სრულებით არ-არის. ჩვენ ვცხოვრებთ ან თითოობით ანუ გროვებად, ბინადარ ობა-ობად, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. რომ კარგად დავაცქერდეთ ჩვენს ცხოვრებას, უფრო ერთ შემთხვევაში იმისთანა პირებს შევხვდებით, რომელთაც საკუთარი არსების მეტი არავინ არაფრად მიაჩნიათ... თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო. ამ სიტყვების მიმდევარი პირები თავიანთ თავის მეტს ვერავის ჰხედვენ ქვეყანაზედ...

ამ გვარ წევრებს გარდა ჩვენს ცხოვრებაში ვხედავთ რამდენსამე კაცს ან სახლობას, დამეგობრებულს ან ნათესაობით დაახლოვებულს, რომელნიც ერთმანეთში სცხოვრებენ და

თავიანთ «ნუთის სოფლის» ცხოვრებას «ტკბილად» ატარებენ. ესენი, თუ შემთხვევა ექნებათ და ქეიფზედაც იქნებიან, ეხმარებიან ერთმანეთს... ხან და-ხან სადილ-ვახშმად ან ლოტოზედ მიიწვევენ ერთმანეთს და ლხინს-მასპინძლობას გაუწევენ, ხოლო შემთხვევის ჟამს მცბიერობით და ცარიელი სიტყვებით ისეთს თანაგრძნობას აღმოუჩენენ, რომ სამმა კაცმა ყური უგდოს, ეგონება, ეს ხალხი ერთის სულისა და ერთის ხორცისაგან არიანო.

ერთის სიტყვით, ჩვენ ცხოვრებაში ვხედავთ, რომ რამდენიმე კაცი ან სახლობა ერთად სჭამენ, ჰსმენ, ცეკვა ტანცაობენ, ლოტოს ან ქაღალდს თამაშობენ, ჭორაობენ – განურჩევლად ქალებიც და კაცებიც – და ამასთან ერთმანეთს ქებას შეასხმენ, ხოლო სხვას, ვინც კი იმათი ჭკვისა და წრისა არ არის, – ყველას აძაგებენ და ჰგმობენ, აი, ჩემო მკითხველო, სწორედ ამ ცხოვრებას ეძახიან ჩვენში საზოგადოობრივს ცხოვრებას, საზოგადო სარგებლობისადმი ლტოლვას და სხვა ამისთანა მშვენიერ სიტყვებს...

აბა, ახლა გადავხედოთ ამ საზოგადო სასარგებლო საქმეებს, – როგორ ეკიდებიან ჩვენში. შეძლებული იძახის: მე ფულის სესხება არ მომინდება და იმათ იზრუნონ, ვისაც ფულის სესხება დასჭირდებაო, ხოლო ამ უკანასკნელებს, შეუძლებლობისა გამო, არაფერი აქვსთ, რომ ბანკი შეადგინონ და – მაშასადამე, საზოგადოდ შედგენილი ბანკი არა გვაქვს, ერთი იძახის, ჩემი შვილისთვის მე თითონ ვიზრუნავო; ზოგი ამბობს, – როგორც მამა- პაპას უცხოვრია, ჩემმა შვილმაც ისე იცხოვროსო – სწავლა რა საჭირო არისო. მესამე საბუთიანობს: მე ერთი შვილი მყავს გასაზრდელი და იმდენს რათ მივცემ, რამდენსაც ორისა და სამის პატრონი აძლევსო, და ზოგიც კიდევ იმას ამბობს, – მე შვილი არა მყავს და სხვის შვილის გასაზრდელად მე რათ მივცემო ფულს, – და ყველა ამ საბუთების შედეგი ის არის, რომ ჩვენ საზოგადო სახალხო შკოლები არა გვაქვს და რაც გვაქვს, ისიც – უხეიროები. ზოგი იძახის მე წელიწადში ერთხელ ძლივს მომიხდება სადმე წასვლა და ვინც ხშირად დადის – გზების გაკეთებაზედაც იმან იზრუნოსო, – და ამის გამო რიგიანი გზები და ბოგირები არა გვაქვს. ზოგი იძახის მამაპაპას თუ არ უვლია ქართულ თეატრში, მე ვიცი, ვერ უცხოვრია, და ზოგი კიდევ... რომ ჩვენი მწიგნობრობა და სიტყვიერება კიბორჩხალური ნაბიჯით მოძრაობს. ზოგი კიდევ იმას საბუთიანობს, რომ მე «თერგდალეულებისა» და «წვეროსნებისა» არა მწამსო, იმათი «მაწარმოებელთ და მომხმარებელთ საზოგადოებისა» არა-ვიცი რაო, ღვინო და პური მქონდეს გასასყიდი, თორემ, ადვილად მტერი მოგიკვდეს, ადვილად მე ის გავყიდო: მოვა ავეტიქა, ან ფარემუზა და იმას ხელ-და-ხელ მივყიდი, კიდევაც თუ დამჭირდა – სესხადაც გამოვართმევ; თუნდ ნახევარ ფასიც მომცეს საქონელში, ან თუმანზედ ათი შაური სარგებელი გამომართოს, მაინც იმისი მირჩევნია, ამიტომ რომ ნაღდია – და ხელსაც გავიმართავ ხოლმე, – და ზედაც დაართავს ანდაზას: არ გაგიგონიათ, შვილოსა, დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო; – და ყველა ამ ანდაზას და საბუთების შედეგიც ის არის, რომ ჩვენ არა ვითარი «მაწარმოებელთ და მომხმარებელთ საზოგადოებები» არა გვაქვს, რის გამოც ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჩვენი მაწარმოებლები კვერცხში ქათამს აძლევენ და თავიანთ ნაწარმოებებს ჩარჩ კარაპეტას ან ფარემუზაზედ ნახევარ ფასად ჰყიდიან... ამ ნათქვამიდგან, ჩემო გულმშვიდო და შენის მოთმინებით სულის მომპოვებელო მკითხველო, აშკარად დაინახავდი, რომ ჩვენში საზოგადოობრივი ნიშანიც არ არის, რომ ჩვენ ყველანი თითქმის საკუთარი დღიური ცხოვრებითა ვცხოვრებთ, არა გვაქვს მომავალი

ცხოვრებისათვის ზრუნვა, არა გვაქვს ერთმანერთის დაკითხვა და დახმარება ცხოვრებაში, რაც საკუთრად მე არა მჭირდება, იმისთვის თავს არ ვიხეთქავ თუნდა ათას ჩემისთანას სჭირდებოდეს, «დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს გვირჩევნია» და ამიტომაც ჩვენი ცხოვრების შედეგი ის არის, რომ არა გვაქვს არც ერთი საზოგადო დაწესებულებაები... არც ერთი გროში არ გვემეტება საზოგადო საქმის დახმარებისათვის, ან როგორც მომეტებული ჩვენგანი ამბობს – «სხვისთვის», თუმცა ნამდვილად რომ ვსაჯოდ, სხვისთვის არავინ არაფერს არ აძლევს, არამედ ყოველთვის – თავისთვის, იმ საბუთის ძალით, რომ თვითვეულის კეთილდღეობა შეადგენს საზოგადო კეთილდღეობას და თვითვეულის უბედურება – საზოგადო უბედურებას... ამ ნათქვამებზედ ძალიან ბევრი არ დამეთანხმება და ამ უთანხმოების საბუთათაც წარმომიდგენს იმ ჩვენი ცხოვრების მოვლინებაებს, რომელნიც თითქოს უნდა ითვლებოდნენ საზოგადოობრივი ცხოვრების შედეგად, სახელდობრ: სასოფლო შკოლები და პურის მაგაზიები, თავად-აზნაურთ ბანკი (რომლის შედგენაზედაც დიდი ხანია, რაც ლაპარაკობენ); ექვსი ქართული დრო-გამოშვებითი გამოცემა და კიდევ წელიწადში ერთი-ორი წიგნის დაბეჭდვა; ქართული თეატრი, რომელიც ამ უკანასკნელ ერთ წელიწადში სწორედ თერთმეტჯერ წარმოდგენილა; კახეთის მებატონეთ ღვინის ვაჭრობის ამხანაგობაები (კამპანიები) და ახლა მომხმარებელთ და მანარმოებელთ საზოგადოება, რომელიც ეხლა აპირობს შედგენას? – რას ამბობ, მეუბნები მკითხველო, ეს რა არის, თუ არ ჩვენი საზოგადოობრივი ცხოვრება?! საზოგადო საქმის დახმარება?

მართალია, მკითხველო, ეს ყველა ჩამოთვლილი – საზოგადოობრივი ცხოვრების ნაწარმოებსა ჰგავს და მხოლოდ ჰგავს; მაგრამ კარგად რომ გამოვიკვლიოთ ეს საქმეები, ცხადად დავინახავთ, რომ ამ საქმეებშიაც საზოგადო დახმარება ან სულ არ-არის და ან ძალიან სუსტია...

ამაზედ უკეთეს მდგომარეობაში არც ქართული ლიტერატურაა და არც ქართული თეატრი. ეს საქმეებიც თითო მუჭა ხალხის თავგამოდებული შრომითა და ცდით სწარმოებს და საზოგადო დახმარება თითქმის სრულებით არა აქვს.

ამის დამამტკიცებელი საბუთიც ის არის, რომ სალიტერატურო ასპარეზზედ თითქმის ყველა მუქთად შრომობს და ზოგი კი თავის ჯიბიდგანაც ახმარებს რასმე ღონეს სალიტერატურო გამოცემაების წარმოებისათვის. ქართული თეატრის მცირედობაც და საზოგადოების დაუხმარებლობაც აშკარაა. აბა, როგორ შეიძლება კაცმა დაიკვეხოს ისეთ თეატრზედ, რომელიც წელიწადში ორჯერ-სამჯერ მოხდება ხან აქ, ხან იქ, ისიც ზოგჯერ ზარალით. არც ბანკია ჯერ სათქმელი, რადგან თითქმის ხუთი წელიწადია ლაპარაკია და დაბოლოება კი ჯერ არ სად არის. ერთის სიტყვით, ჩვენში ყველა საქმე, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრების სახე აძევს, ყველა ეს საქმეები კეთდებიან არა მთელი საზოგადოებისაგან, არამედ თითო მუჭა ხალხისაგან, რომელთ ღონე არა ჰყოფნის მათ წარმატებით წარმოებას და ამის გამო ბევრი მათგანი ან უხეიროდ ღონღიალებს და ან დასაწყისშივე ისპობა. რადგან ყველა საქმეს მშრომელი უნდა და მშრომელს – შრომის ჯილდო, ამის გამო, რაც უნდა საქმე ავიღოთ, ღონის ძიებას ითხოვს, რომ თვისი წარმოებისათვის მშრომელი მიიზიდოს.

ჩვენში არც ერთს, ასე ვსთქვათ, საზოგადო საქმეს არა აქვს ამ გვარი გარემოება, რადგან თითო მუჭა მკეთებლების ღონის-ძიებით კეთდება. ყველა ამ გვარ საქმეს უნდა დახმარება მთელი საზოგადოებისა და უფრო უმეტესად შეძლებული საზოგადოებისა...

მაგრამ ისიც კი შესანიშნავია, თუ ჩვენში როგორ ეხებიან საზოგადო საქმეებს და მის დახმარებაში რა მიმართულებითა და გაგებით ხელმძღვანელობენ რამე საზოგადო საქმის წარმოებაზედ, რომ დაელაპარაკოთ ვისმე და დახმარება სთხოვოთ. უეჭველია, ყველაზედ უპირველესად იმას გკითხავენ, თუ ვინ ურევია იმ საქმეში. ეს კითხვა, რასაკვირველია, კანონიერია... ისინი დარწმუნებულნი არიან, – თუმცა ეს დარწმუნება არაფერ რიგიან საბუთზედ არა აქვსთ დამყარებული, – რომ საქმეს კარგად გააკეთებენ და სათაკილოც არ არის იმ საქმეში მონაწილეობის მიღება; გარნა თუ მეორე ხარისხის ხალხის ხელშია საქმე, რაც უნდა კარგი გამკეთებელნიც იყვნენ საქმისა, მაინც ყოვლად დარწმუნებულნი არიან, რომ საქმეს ვერ აღასრულებენ და არც მონაწილეობის მიღება ღირს იმათში. ამ გვარ გარემოებაებს შემდეგ, რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენში ბევრი სასარგებლო საქმე დაბრკოლდება... ეს გარეგანი განსხვავების მიხედულობა და მიმდევარობა ისე გამჯდარია ჩვენს ცხოვრებაში, რომ ყველანი თვალ დახუჭვილები ემონებიან ამას...



დიმიტრი ყიფიანი
(1811-1887)

ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1864-1870 წლებში, ტფილისის ქალაქის თავი 1875-1879 წლებში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თავმჯდომარე 1879-1882 წლებში.

● ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ, 14 ნოემბერი 1879. სოფ. ქვიშხეთი (წერილი რედაქტორს)

წყარო: დიმიტრი ყიფიანი, თხზულებანი, ტომი 2; [შეადგინა თამაზ კოლოგუამ], ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2017წ.
ბმული: https://bit.ly/2YBXfMl

ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ

ღირებულებები: თვითმმართველობა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, პლურალიზმი, პასუხისმგებლობა, ნდობა, მოქალაქეობა, საზოგადო საქმე.

მოწყალეო ხელმწიფეო!

თქვენი გაზეთის #247-ში გამოქვეყნებული ნ. ი. ნიკოლაძის სტატიის საპასუხოდ[1], გთხოვთ, ჩემს ორიოდ სიტყვასაც დაუთმოთ ადგილი.

---

[1] *„ნ. ი. ნიკოლაძის სტატიის საპასუხოდ" – იგულისხმება ნ. ნიკოლაძის სტატია „Деятельность Тифлисской думы (письмо к редактору „Кавказа")" [„ტფილისის სათათბიროს საქმიანობა (წერილი „კავკაზის" რედაქტორს")], რომელიც გაზეთ „კავკაზის" 1879 წლის 13 ნოემბრის 247-ე ნომერში გამოქვეყნდა და რომელშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული როგორც ზოგადად თბილისის სა-თათბირო, ისე სათათბიროს ცალკეული წევრები (უნდა ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის ამ წერილში დიმ. ყიფიანი ნახსენები არ არის).*

ის, რისი თქმაც ახლა მსურს, წესითა და რიგით, როგორც თბილისის სათათბიროს ხმოსანს, იქვე უნდა განმეცხადებინა, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ, რადგანაც თბილისიდან გასული ვარ.

ქალაქის თვითმმართველობაში ზოგჯერ წამოქრიან ხოლმე ისეთ საკითხს, რომელიც იქ არმყოფ ხმოსანს აკისრებს ზნეობრივ ვალს, სათათბიროს წევრებსაც და ამომრჩევლებსაც რაიმე ფორმით მშვიდად და მიუკერძოებლად მიაწვდინოს თავისი სათქმელი.

სწორედ ამგვარ საკითხთა რიგს მივაკუთვნებ ამა თვის 5 რიცხვში ბ-ნი ნიკოლაძის მიერ ქალაქის სათათბიროში წამოყენებულ წინადადებას.

უპირველეს ყოვლისა, მეგობრული გრძნობითა და პატივისცემით მივმართავ თვითონ ბ-ნ ნიკოლაძეს და გულახდილად მოვახსენებ, რომ კატეგორიულად არ ვეთანხმები მას. არ ვეთანხმები არც დუმაში ჩამოყალიბებული ჯგუფების მისეულ დახასიათებას, არც მის შეხედულებებს ამ ჯგუფების მიერ დამკვიდრებული ურთიერთობის წესის შესახებ, დასასრულ, არც მის უცერემონიო დამოკიდებულებას ხმოსანთა მიმართ, რომლებმაც, თავის მხრივ, ამგვარივე უცერემონიო ფორმით უკუაგდეს ნიკოლაძის წინადადება. არ ვეთანხმები იმიტომ, რომ ეს ყველაფერი არღვევს სიმშვიდესა და კოლეგიურ დამოკიდებულებას, რომელთა გარეშე ვერ იმუშავებს ისეთი დანესებულება, როგორსაც ქალაქის სათათბირო წარმოადგენს.

ახლა კი საქმის შესახებ.

ბ-ნმა ნიკოლაძემ განაცხადა, რომ ქალაქის ზემო და ქვემო ნაწილებს შორის არ არის ისეთი კავშირი, როგორიც შეეფერება თბილისს, მის ეკონომიკურ, სავაჭრო, ადმინისტრაციულ, სტრატეგიულ და etc, etc, etc მნიშვნელობას. მან ასევე განაცხადა, რომ აუტანელია დღევანდელი მდგომარეობა ძველი ქალაქის შიდა ნაწილისა, „ვაჭრობის ამ საუკუნოვანი კერისა", და, თუ გვსურს ქალაქის გაჯანსაღება, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ვითარება უნდა შეიცვალოს.

ცხადია, ვერავინ იტყვის, რომ ეს ასე არ არის; არავის მოუვა აზრად, ამტკიცოს, რომ სასარგებლო, საჭირო, აუცილებელი არ არის ქალაქის ნაწილებს შორის კავშირის გაუმჯობესება, ახალი კეთილმოწყობილი ქუჩის ან თუნდაც ბულვარის გაყვანა. მე, ცხადია, შეურაცხყოფას მივაყენებდი ქალაქის სათათბიროს მთელ პერსონალს, თუ ვიტყოდი, რომ მისი 72 წევრიდან თუნდაც ერთი იქნებოდა ამის წინააღმდეგი.

მაშ, რაშია საქმე?

ბ-ნმა ნიკოლაძემ ამ ძველი და მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად შემოგვთავაზა: გამოვთხოვოთ ქალაქს 12 000 კვადრატული საჟენი მიწის ექსპროპრიაციის უფლება თავისი შენობა-ნაგებობებიანად, ავიღოთ ეს შენობა-ნაგებობები ანუ ჭუჭყსა და ლაფში ჩაფლული ქოხმახები, ამ ტერიტორიაზე გავიყვანოთ 400 საჟენი სიგრძისა და 10 საჟენი სიგანის ბულვარი, მის გასწვრივ ჩავყაროთ ჩრდილიანი, თუნდაც ლოქინის საშინლად ძვირი სანერგიდან ჩამოტანილი ხეები, ბულვარის ორივე მხარეს მიწა დავყოთ ათსაჟენიანი სიგანის ნაკვეთებად და ეს ნაკვეთები გავასხვისოთ ახალი შენობების ასაშენებლად.

და ამ მოსაზრებებს ყველანი თოფნაკრავებივით გაემიჯნენ! – ნუთუ იმიტომ, რომ სომხურ ბაზარში მოწყობილი დუქნებიდან და საწვრილმანოებიდან, რომელიმე ორპირსა თუ ლაილაშშიც რომ აღარ ეკადრებათ, მიღებული შემოსავალი შესაძლოა დღევანდელთან შედარებით სამჯერ თუ ოთხჯერ შემცირდეს?

მე კი ვფიქრობ – არც მეტი, არც ნაკლები – გვანუხებს რაღაც ფუჭი მოჩვენება, რომელმაც, თუ ავად არა ვართ, არ უნდა შეგვაშინოს და ამ საფრთხობელასთანაც უფრო ახლოს უნდა მივიდეთ. დარწმუნებული ვარ, იგი სავსებით უწყინარია და თვით ბაზარში მდგარი სომხებისადმიც კი იმაზე მეტად კეთილგანწყობილია, ვიდრე ამას თვითონ ბ-ნი ნიკოლაძე ვარაუდობდა.

საქმის განხილვაზე მეტი ხომ ჯერჯერობით არც არაფერი მოგვეთხოვება? მაშ, რატომ არ სურთ ჩემს მეგობრებს, დაავალონ სპეციალურ კომპეტენტურ კომისიას, გამოწვლილვით შეისწავლოს საკითხი, შეიმუშავოს საფუძვლიანი მოხსენება და მათვე წარუდგინოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად?

თუკი ამის შემდეგ, მოწყალეო ბატონებო, უკუაგდებთ ნ. ი. ნიკოლაძის წინადადებას, უკიდურეს შემთხვევაში, იმ ხალხს, თქვენ რომ უფლებებით აღგჭურვათ, იმათ, ვისი ნდობითაც დღეს სარგებლობთ, ამის თქმის საფუძველს მაინც არ მისცემთ, რომ მოქმედებთ ქალაქის ინტერესების წინააღმდეგ და მხოლოდ ნათესავებისა და ნაცნობებისთვის ეძებთ სარგებელს.

დამიჯერეთ, ასეთი ხმები არა ერთხელ და ორჯერ მომისმენია და ამ ყველაფერს კეთილი ბოლო არ ექნება.

გულწრფელი სურვილი მაქვს, თუნდაც თქვენივე პირადი სარგებლისათვის, აღნიშნული საკითხი თავიდან დააყენოთ სათათბიროს სხდომაზე და რაც უფრო მალე მოხდება ეს – მით უკეთესი. და ამასაც გირჩევთ: ქიშპი და ვნებები დერეფანში დატოვეთ. თუ ხმაური აუცილებელია, ხმაური დერეფანში ჯობია.

წერა-კითხვის საზოგადოებაზედ,
22 ნოემბერი, 1881 წ.

(წერილი რედაქტორს)

წყარო: დიმიტრი ყიფიანი, თხზულებანი, ტომი 2; [შეადგინა თამაზ ჯოლოგუამ], ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2017წ.
ბმული: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/257327/1/Txzuleban-_tomi_II.pdf

---

ღირებულებები: თვითმმართველობა, ანგარიშვალდებულება,
გამჭვირვალობა, პლურალიზმი, პასუხისმგებლობა,
ნდობა, მოქალაქეობა, საზოგადო საქმე.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი უბოძოთ ამ წერილსა, რადგან საქვეყნო საქმეზედა გნერთ და რაც აქ თქვენ შეგეხებოდეთ, მართალია თუ არა, ესეც დასძინოთ და შესაძლოდ დაინახოთ.

ბევრჯერ გვიკითხავს და სხვებისაგანაც გაგვიგონია, რა მიზეზია, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მმართველობა არავის რას გვატყობინებს და არცა-

რას გაზეთებით აცხადებს, თუ როგორ რას ჰმოქმედებს და როგორ ჰმართავს ამ საქვეყნო საქმესაო. თვითან საზოგადოების თავსმჯდომარესაც თურმე რამდენჯერმე უთქვამს მმართველობის სხდომაში[1], ჩვენი ყოველი დადგინება და განკარგულება უნდა გამოცხადდებოდეს ხოლმეო, საქვეყნო საქმეში დასამალავი არა უნდა იყოს რაო; თქვენთვისაც თურმე უთხოვნია, ბატ. რედაქტორო, დაბეჭდეთ ხოლმე თქვენ გაზეთში, რასაც მმართველობა გამოგიგზავნისთო და თქვენც გითქვამთ, დიაღ უსასყიდლოდ დავბეჭდავ, რაც კი ამ საქმეზედ დასაბეჭდავად მომივაო.* (* - ნამდვილია, „წერა-კითხვის საზოგადოების" გამგეობას ჩვენ დავპირდით, რომ უფასოდ დაუბეჭდავთ გაზეთში ყოველ იმათ დადგინებას და გარდაწყვეტილებასა. [„დროების" რედაქცია]).

გვესმოდა ესა და გვიკვირდა, რაღა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ საქვეყნო საქმეზედ დაყენებული პირები მაინც ასე მდუმარებდნენ?

დღეს წავიკითხეთ თქვენი გაზეთის #243-ში მმართველობის „განცხადებანი"[2] და ახლა კი ვხედავთ, რა მიზეზითაც არა იბეჭდებოდა რა: „კი არავის ეგონოს, რომ ვმკელობელობდეთო"[3]. იქნება მართლა? აბა ერთი დაგაკვირდეთ:

---

[1] *„საზოგადოების თავსმჯდომარესაც თურმე რამდენ-ჯერმე უთქვამს მმართველობის სხდომაში" – „საზოგადოების თავსმჯდომარეში" აქ იგულისხმება თვითონ ავტორი ტექსტისა – დიმ. ყიფიანი, რომელიც „ქშწ-კგ საზოგადოებას" თავმჯდომარეობდა 1879-1882 წლებში. ხოლო საკუთარ ვინაობას აქ ავტორი იმიტომ მალავს, რომ, როგორც ეს ს. მესხისადმი მიწერილი და ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული წერილიდან ჩანს, დიმ. ყიფიანს არ სურდა, წერილის ავტორის ვინაობა გამომჟღავნებულიყო.*

[2] *„თქვენი გაზეთის #243-ში მმართველობის „განცხადებანი" – დიმ. ყიფიანის წინამდებარე თხზულება პასუხია „ქშწ-კგ საზოგადოების" გამგეობის მიერ „დროებაში" (1881, 20 ნოემბერი, #243) გამოქვეყნებული ტექსტისა „განცხადებანი", რომელსაც აქ სრულად ვიმოწმებთ:*

„თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთ, რაც შეიძლება მალე აცნობონ პასუხი შემდეგის საგნების შესახებ:

1) რამდენჯერ და როდის მიუღიათ წიგნები და სასწავლო ნივთები გამგეობისაგან ღარიბ მოსწავლეთათვის დასარიგებლად?
2) რამდენი ეგზემპლიარი მოუვიდათ თვითოეული სახელმძღვანელოსი და ნივთისა?
3) როგორ მოახმარეს სკოლას გამგეობისაგან შემოწირული წიგნები და ნივთები?
4) რამდენი მოწაფე ქალი და ვაჟი სწავლობს ამ ჟამად სკოლაში?
5) რამდენი ღარიბი ურევია?
6) რა წიგნები და ნივთები არის უფრო საჭირონი სკოლისათვის და
7) რამდენი ეგზემპლიარი თვითეული სახელმძღვანელოსი და წიგნისა უნდა იქმნას გამოგზავნილი სკოლაში ღარიბებისათვის დასარიგებლად.

ყოველი ამისი პასუხი ეჭირვება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ახლავე; შემდეგისათვის კი გამგეობა სთხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთ ყოველს წელიწადს პირველის მარტისათვის მოუთხოვნელად გამოგზავნონ ხოლმე შემდეგი ცნობები:

1) რამდენი მოწაფეა თქვენს სკოლაში (ქალი და ვაჟი)?
2) რამდენი მათგანი ღარიბია იმდენად, რომ სრულიად არ შეუძლიან საკუთარის ღონისძიებით მოიპოვოს წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები?
3) რა წიგნები და რა ნივთები და რამდენი უნდა იქმნას გამოგზავნილი სკოლის ღარიბთათვის?

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა სთხოვს სკოლის მასწავლებელთ, არ დაუგვიანონ ამ წერილის პასუხი, რომელსაც გამოგზავნიან შემდეგის ადრესით:

В Тифлис. В канцелярию Тифлисского Общества Распространения Грамотности среди Грузинского населения наместничества Кавказского. Овражская улица, дом №9 Паресова.

თავსმჯდომარის ამხანაგი ილ. ჭავჭავაძე
საქმეთა მწარმოებელი გრ. ყიფშიძე".

[3] *„კი არავის ეგონოს, რომ ვმკელობელობდეთო" – „მკელობელი": კოჭლი (ორბელიანი 1965: 493), კუტი (ჩუბინაშვი-ლი 1961: 285). ჩანს, ავტორი ამით ამბობს: არავის ეგონოს, საქმეს გამართულად ვერ ვუძღვებოდეთო, საქმეში მოვიკოჭლებდეთო.*

1. თქვენს საკუთარს ნესდებულებას თუ ჰკითხულობთ ხოლმე[1] გამგეობა საიდან გაჩენიათ, რომ იმის სახელით აცხადებთ 7 საკითხავსა? ნესდების მე-12, 16, 18, 19, 20 და 21-რთე მუხლში არის ხსენება მმართველობისა; და თუ ამას გარდა გამგეობაც არის დაარსებული, რატომ საზოგადოების ნევრთ ამისი არა შეგვიტყვიარა?

2. გამგეობა ითხოვს სოფლის სკოლების მასნავლებელთაგან, სხვათა შორის: „რამდენჯერ და როდის მიუღიათ ნიგნები და სასნავლო ნივთები გამგეობისაგან და რამდენი ეგზემპლიარი მოუვიდათ (თუ მიუვიდათ?) თვითოეული სახელმძღვანელოსი და ნივთისა?

თვითონ გამგეობა კითხულობს: იქნება თქვენ მაინც გახსომდეთ და ღმერთს დაამადლეთ, გვითხარით, როდის რა შემოგაწიეთო?!

თუ გამგეობა მმართველობის მაგიერად იხსენება, მმართველობას სეკრეტარი ჰყავს* (*ცირკულიარს რომ ყიფშიძე ანერს ხელსა, ეს გვარი ნევრთა სიაში ვერსად ამოვიკითხეთ და როგორ არის ამისი საქმე? [დ. ყ.]) და სამნერლო აქვს[2]; ერთს კარგი ჯამაგირი ეძლევა და მეორეს სახარჯო ფული; რათა თუ საქმე სამნერლოში ისე უთავბოლოთა სნარმოებს, რომ რომელ სკოლას როდის რა გაუგზავნეს, თვითან კი აღარ იციან და ახლა ამათა ჰკითხვენ, როდის რა გამოგიგზავნეთო?

გამგეობისაგან ჩვენ არა მოგვსვლია რაო, რომ გიპასუხონ, მაშინ რაღასა იქთ?

ამა-და-ამ დროს ესა-და-ეს რომ გამოგიგზავნეთ, როგორ მოიხმარეთო, ეს რომ გეკითხათ, კიდევ ჰო; თორემ „როდის რა გამოგიგზავნეთო", რა საკითხავია? იმათა ჰსცდით, თუ თქვენს დაუდევრობას აშკარავებთ?

3. შემდეგისათვის გამგეობა მასნავლებლებს ვალადა ჰსდებს ყოველ ნელინადს მოუთხოვნელად გამოგზავნონ ხოლმე სამს მუხლში მოხსენებული სხვა-და-სხვა ცნობები.

---

[1] *„წესდებულებას თუ ჰკითხულობთ ხოლმე" – „ქშწ-კგ საზოგადოების წესდება („წესდებულება") იხ. ნანიტაშვილი... 2004: 132-141.*

[2] *„მმართველობას სეკრეტარი ჰყავს და სამწერლო აქვს" – „ქშწ-კგ საზოგადოების" მდივანი („სეკრეტარი") ამ დროს იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი. წინამდებარე პუბლიკაციამდე დიმ. ყი-ფიანი 1881 წ. 14 ნოემბერს ქვიშხეთიდან თბილისში სწერს ალ. სარაჯიშვილს (წერილი რუსულ ენაზეა. ვიმოწმებთ შემოკლებულად): „თავს უფლებას ვაძლევ განმეორებით, ამჯერად წერილობით, უმორჩილესად გთხოვოთ ის, რის შესახებაც ადრე პირადად გელაპარაკეთ:*
1. შეუდექით „საზოგადოების" მმართველობის წევრ-მდივნის მოვალეობის შესრულებას.
2. მმართველობის ყველა გადაწყვეტილების შესახებ მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი ცნობები მიაწოდეთ გაზეთ „დროებას", რომლის რედაქტორმა და ჩვენი „საზოგადოების" ფრიად პატივსაცემმა წევრმა სერგეი სიმონის ძე მესხმა არაერთხელ პირადად აღმითქვა, რომ უსასყიდლოდ დაბეჭდავს ჩვენთან დაკავშირებულ მასალებს; და
3. „საზოგადოების" წევრებისათვის სპეციალური ბროშურის სახით ან სხვა რაიმე ფორმით დაბეჭდეთ ზედმიწევნით სრული ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა აქამდე ჩვენს მმართველობაში.
წლიური ანგარიში ვერ მოიცავს ყველაფერს, ხოლო „საზოგადოების" წევრებმა უნდა იცოდნენ, რას აკეთებს მათ მიერ არჩეული მმართველობა ან რა განზრახულებები აქვს მას.
ამ თხოვნით მოგმართავთ, როგორც „საზოგადოების" მმართველობის მდივანს. ამასთანავე, შემატყობინეთ, როდიდან შეუდგებით ჩემი, როგორც თავმჯდომარის, მოთხოვნათა შესრულებას და ისიც, თუ რა დაბრკოლებებს წააწყდებით მოვალეობის შესრულების დროს" (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. #788, ფ. 2; ჩხეტია 1947: 375-376).
იმავე წლის 29 ნოემბრის საპასუხო წერილით ალ. სარაჯიშვილი ატყობინებს დიმ. ყიფიანს – „ქშწ-კგ საზოგადოებამ" გადაწყვიტა, თავისი დადგენილებები გამოაქვეყნოს თვეში ერთხელ, ხოლო 1882 წლის მაისისთვის მოამზადოს „საზოგადოების" სამი წლის ანგარიში (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. #1617, ფ. 1). რაც შეეხება სიტყვას „სამწერლო", იგი ნიშნავს კანცელარიას (Канцелярия: სამწერლო – ჩუბინაშვილი 1971: 426; სამწერლო: ... канцелярия – ჩუბინაშვილი 1984: 1098).

ეს რაღა არის? სასოფლო სკოლების საბრალო ოსტატები თქვენი ატჩოტების წერას უნდა მოანდომოთ?[1]

თქვენი პირველი ვალია, რომ სკოლებს ხელს უმართავდეთ; მაგრამ იმათი თქვენ წინამე ვალდებულება გულითადი უფრო უნდა იყოს და არა ბრძანებითი: როდესაც ხელს უმართავდეთ, ან მაშინვე უნდა დაანახვოთ, რასაც ვალსა სდებთ, ან იმათს ნამუსზედ უნდა მიაგდოთ, მოგახსენებენ რასმე თუ არა. თქვენ კი მაინცა-და-მაინც თვალ-ყურის დევნება არ უნდა მოაკლოთ; ტვირთს უნდა შეუმსუბუქებდეთ, რომ დაგიმადლონ და ყოველს გაჭირვებაში გულდანდობით თქვენ მოგმართავდნენ.

დიდად სასურველია, რომ ყოველს სახალხო სკოლას საზოგადოება ისე უყურებდეს, როგორც თავისას; მაგრამ საკუთარიც რომ იყოს, ან მაშინ კი ივარგებს ეგ ბიუროკრატიული კილო, რომლითაც თქვენი ცირკულიარი არის დაწერილი?

მმართველობის ბატონო წევრნო! დარწმუნებულნი ვართ, რომ საზოგადოების წევრნი ყველანი გულსმოდგინებითა გთხოვენ, ყოველი თქვენი დადგინება და გადაწყვეტილება მაშინვე გამოაცხადოთ ხოლმე, რომ იმათაც შეეძლებოდეთ დროზედ მოგაწვდინონ თავისი აზრი და იქნება უმჯობესი გზაც დაგანახვონ.

მმართველობის მეინახეთ გარდა, ვინც წევრთაგანი ამაში ჩვენ არ მოგვიდგება, ალბად თვითან იტყვის.

22 ნოემბერი, 1881 წ.
[ქვიშხეთი]

---

[1] *„ატჩოტების წერას უნდა მოანდომოთ?" – „ატჩოტი" (რუს. Отчёт): ანგარიში/ანგარიშგება*

ილია ჭავჭავაძე
(1837-1907)

დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, საქართველოს 1861—1907 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

○ ცხოვრება და კანონი - წერილები, 1877 – 1881წ.წ. (ნაწყვეტები)

ნაწყვეტები შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად
წყარო/ბმული: https://www.gdl.ge/ge/publication/ilia-chavchavadze1.page

ცხოვრება და კანონი

წერილი პირველი

ღირებულებები: უფლება, მოვალეობა, სამართლიანობა, კანონი, კეთილდღეობა, თავისუფლება.

ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ. მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თვის ჯალაბს საზრდოებისათვის. იგი თავგადადებით, თავგამომეტებით დღედაღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოებული ლუკმაპური ძლევამოსილობაა

მისის მხნეობისა, შრომისმოყვარეობისა. თუმცა ესრეთ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი — იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ ნადგმა ძლევამოსილობაა ხვალისათვის, მეორე - სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი - სულით თუ ხორცით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე - სულითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამისი მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, - ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, - ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონთმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით, ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, აქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვადა გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ ვეცდებით, ამის პასუხი მივცეთ მკითხველსა.

1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცვალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: ნადი, ეხლა თავისუფალი

ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტევეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის. აი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზედ, თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა. მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მაპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა. ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოქრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევაზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედააზრიც სრულად უარჰყო.

წერილი მეოთხე

ღირებულებები: სახელმწიფო, თვითმმართველობა, ცენტრალიზაცია, არჩევნები, პარლამენტი, თავისუფლება, საკუთრება, კეთილდღეობა, სამართლიანობა, კანონიერება, უფლებამოსილება, პატივი, ღირსება, თანასწორობა.

1865 წელსა დამტკიცებულ იქმნა და აღსრულებაშიაც მოვიდა სასოფლო მმართველობის წესდებულება. ვიდრე გავარჩევთ მას, თუ რამოდენად მოუხდა იგი ჩვენს ცხოვრებასა, რამოდენად აღგვისრულდა მასზედ დანდობილი იმედი, არ იქნება მეტი, რაც შეიძლება მოკლედ, გამოვსთქვათ ზოგიერთი აზრი შინაგანს მმართველობაზედ საზოგადოდ.

ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის აყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ, რუსის იმპერია აყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად. ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარებაა: ერთი მთელის სახელმწიფოის საჭიროებისა და მეორე - საზოგადოებისა. ეს ორივე-გვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მომდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებად, რამდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია; განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითოეულს მის ნაწილში, ამ ორგვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის. ეგ მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოვლის მმართველობისა.

ქვეყნიერობაზედ მართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, - ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში".

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო - საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო.

როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავანყოთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვავნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი".

თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინდამაინც არ არის, ისე იღვნოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზედ ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი - ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვარის პოვნაც ძნელია, იმიტომ - რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი- ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან, თუ ყოველსფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვითმმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს - მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი. ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია - როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას.

ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ. ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ ძნელია ამათ შუა ნამდვილის საზღვარის დადება, თუ ყველაფერში არა, ზოგიერთში მაინცა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსაც და მეორესაც ისეთი თვალსაჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მეოხებით კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემთხვევაში, გაარჩიოს, ან ერთი რის მოღვაწე და პატრონი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვისება თვითოეულისა ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საგნის უკეთ ცნობისათვისა ცოტაა, ამისათვის გვსურს ამჟამად ეგ თვისება ცოტაოდენად დაწვრილებით აღვნიშნოთ.

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და

მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველადა.

ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება. ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი.

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თვისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიღწეულია. მეორეს მხრით - უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულისტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგგვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და გაწესებული. თვითმმართველობა ხელქვევითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი.

რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვითმმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა

მცხოვრებთა შორის განმანილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი[1] ორღანოა.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორღანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.

ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა - თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, - ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მინვდენილი.

რუსეთშია მაგ თვითმმართველობას დიდი ფართო გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთელი რუსეთი ამას სიხარულით მიეგება. იქ ჯერ სოფლის, გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვითმმართველობის უფლება, მერე მაზრასა და გუბერნიასა ერთად და ამ სახით ყოველს განყოფილებაში დაიდგინა თვითმმართველობითი გამგეობა ადგილობრივთა საქმეთა. იგი დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა, და ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვითმმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვადასხვაგვარობაზედ არ არის დამოკიდებული, რომ იგი ყოველგვარს უმაღლეს მთავრობას უხდება.

თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი.

უმთავრესი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი არიან:

1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა;

2. უმაღლესის მთავრობისაგან განწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის გადანანილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლოდ გადუხადოს სახელმწიფოს თავისი შესახვედრი მოვალეობა;

---

[1] შენიშვნა: „ხელისუფლება" სწორედ ამ მხრით არის ხმარებული ჩვენს დასტულამაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე". თითონ დასტულამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ „ხელისუფალად" წოდებულ არიან.

3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა;

4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს;

5. ადგილობრივის საზოგადოების პირველდაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა;

6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება;

7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება;

8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა;

9.უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

უმთავრესნი საფუძველნი თვითმმართველობისანი არიან:

1.ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია; მაშასადამე ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას;

2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვევით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარიხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია;

3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა;

4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე.

ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ იგი, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ, ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთხმად რად უჩივისო?

ჩვენ ვეცდებით ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერი პასუხი მივცეთ შემდეგს წერილში.

წერილი მეხუთე

ღირებულებები: სახელმწიფო, თვითმმართველობა, არჩევნები, თანასწორობა, თავისუფლება, კერძო და საზოგადო საკუთრება, მოქალაქეობა, კეთილდღეობა, სამართლიანობა, კანონიერება, უფლებამოსილება, პატივი, ღირსება.

ვისაც ცნობილი ჰქონდა თვითმმართველობის არსებითნი თვისებანი და კუთვნილებანი, დიდი ნიჭი არ დასჭირდებოდა წინასწარმეტყველობისა, რომ გამოეცნო, რა შედეგიც მოელოდა იმ წყობილებას, რომელიც დადგინებულია ჩვენში 1865 წ. 11 აპრილის წესდებითა შესახებ ჩვენებურ სოფლების მმართველობისა.

პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვითმმართველობის არსებითნი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და, რაკი თვითმმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვა, იქ თვითმმართველობას წურავინ დაემდურება, იმიტომ რომ იქ თვითმმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია. ეს ნაკლი თითონ შიდა-იმპერიის წესდებასაც თან შეჰყვა და, რადგანაც ერთსა და იმავე მიზეზს ერთი და იგივე შედეგი თან მოსდევს, ამიტომაც იქაც, როგორც ჩვენში, სოფლის მმართველობაზედ დიდი ჩივილი და დრდტვინვა ისმის. თუ რომ კეთილი კიდევ სჭირს, - ძალიან ცოტა-კი, - შიდა-იმპერიის წესდებას, ეგ კეთილი იმაში მდგომარეობს, რომ იქაურს სოფლის ვითარებას, ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს წყობას, ცოტად თუ ბევრად, ყურადღება მიუქცევია კანონთმდებლისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენს წესდებაზედ: იგი მთლად გადმოღებულია რუსეთიდამ. რასაკვირველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველასათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე ყველგან გამოსადეგია, და იმისთანანიც, - რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს.

ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა ეგრეთ-წოდებული თვითმმართველობა. ამ სახით, მეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ. სხვა მიზეზიც არის, მაგრამ ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ეხლა კი შევუდგებით ამ ორის მიზეზის დაწვრილებითს გამოკვლევას.

ჩვენ წინა წერილში ჩამოვთვალეთ ის ოთხნი უმთავრესნი დედა-აზრნი, ურომელთოდაც თვითმმართველობა თვითმმართველობად არ უნდა იხსენიებოდეს. ერთი იმათგანი ის არის, რომ ხმა და არჩევნის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული-წლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიაც ხვედრი წილი უნდა ჰქონდეს. წესდების 7 მუხ. ძალით კი, ხმა და არჩევანის უფლება ეკუთვნით მარტო იმ სახლში უფროსთ გლეხთ, რომელნიც კამერალიის აღწერაში ცალკე კომლად არიან ხსენებულნი. ამრიგად, სოფლის მმართველობის წრეში მცხოვრებნი ყველა-

ნი კი არ არიან წევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისა, არამედ — ზოგნი, თუმცა მთელის საზოგადოების ავკარგიანობა, ავად თუ კარგად გამგეობა, მოღვაწეობა, ყოველთათვის ერთნაირად სანყენია და საამური. თავად-აზნაურნი, ვაჭარნი, მოქალაქენი, სამღვდელო პირნი, სოფელში ბინადრად მცხოვრებნი, და თითონ გლეხნიც, კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გასულნი, ამ უფლებას გამოკლებულნი არიან და ამის გამო არც ერთს სასოფლო მოვალეობაშიაც არც ერთს მათგანს წილი არ უდევსთ, რასაკვირველია იმ გლეხთა გარდა, რომელნიც კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გამოსულან. ამათ, თუმცა არავითარი უფლება არა აქვთ სასოფლო საქმეთა გამგეობაში, მაგრამ სასოფლო მოვალეობის ტვირთი კი კისრად აწევთ ისე, როგორც სხვას. წარმოიდგინეთ, რომ ერთის კამერალიის აღწერის დროდამ მეორემდი ათს წელიწადზედ ნაკლებ დრო არ გადის და მაშინ ცხადი იქნება, რამოდენა ძალი ხალხი უფლებას მოკლებულია ხოლმე, მაშინ როდესაც ყოველი ტვირთი კი სოფლისა ზურგად ჰკიდია.

ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული. თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ენევა სხვებთან ერთად. მაშასადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდამ - დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, - მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორ-მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დამალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს.

სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი დაურღვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში. როგორც გაუქმება ერთის რომელისამე ასოსი ადამიანის აგებულებაში ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს ასუსტებს და უღონოდ ჰქმნის, როცა მის კეთილდღეობის მზრუნველობაში ერთნი არიან და მეორენი არა. მაშასადამე, თვითმმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორღანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონემოკლებული უნდა იყოს, საცა სოფლის ერთობაზედ არ არის დამყარებული. რუსეთში რომ სოფელი უჯრა-უჯრად დაჰყვეს, ერთს წყობას მიანიჭეს შვება და აჰკიდეს ტვირთი თვითმმართველობისა და მეორე გამოაკლეს ერთსაც და მეორესაც, იქ ამას ხელმოსაჭიდებელი მიზეზი მაინც ჰქონდა[*].

სოფელი, სოფლის საზოგადოება, რუსეთში სულ სხვა ნიადაგზეა დანდობილი და სხვა ნიადაგზე ამოსული. იქ გლეხობა კომლეულობით, მემკვიდრეობით არა ჰფლობს ერთსა და იმავე მიწას; იქ მიწა სახასოა, ესე იგი საერთოა და არავის არა აქვს ისე დაჩემებული სამუდამოდ, როგორც ჩვენში. ამის გამო იქ სოფელი წარმოადგენს მიწის შესახებ ორნაირს მფლობელობას: ერთის მხრით - სოფლეულად სახასო, საერთო მფლობელობას გლეხთა მიერ, მეორეს მხრით - კერძოობით და განსაკუთრებულს მფლობელობას თავად-აზნაურთა მიერ. სოფლის გამგეობა, რომელიც თვითმმართველობის შინაგანი არსებაა, ამ ორს,

ვითომ ურთიერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მფლობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა, - კანონმდებელთა აზრით, - და მათს ინტერესებს ერთს კვალში ვერ ჩააყენებდა. ამის გამო, საჭიროდ დაინახეს განცალკევება, განთვითეულება გლეხისა და თავად-აზნაურობისა სასოფლო მმართველობაში. ეს დარღვევა სოფლისა, სოფლის ერთობისა, მიბაძვის ბრალიც იყო. თვალწინ ჰყვანდათ სამაგალითოდ ინგლისი კი არა, რომელიც პირველსახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა, არამედ ერთი სხვა სახელმწიფო, რომელიც ამგვარებში ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც ამგვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარხსენებულ ბატონ-ყმობის დროს.

ეს სახელმწიფო გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსია. იქ საზოგადოებრივის წყობის პირველ წერტილიდამვე მცხოვრებნი სამს უჯრად დაყოფილნი არიან: Gutsherren - მინათმფლობელნი, Bürgern - მოქალაქენი, Bauern - გლეხნი, და ეს განთვითეულება პრუსიის მონარქიას ფეხიდამ თავამდე მთელს აგებულებაში გატარებული აქვსო, ამბობს ერთი მწერალი. უკანასკნელი საპროვინციალო წესდება პრუსიისა, მის გამო გაცხარებული ბაასი პარლამენტში, ცხადად ამტკიცებს, - იქაური „გუტსველტმარკ“-ობა, ესე იგი მინათმფლობელი თავად-აზნაურობა, სადა სცემდა: ყველა ტვირთი გლეხსაო, ყველა შვება ჩვენაო. დანინაურებული თაობა-კი ეუბნებოდა, შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო და ტვირთიცაო.

* * *

ეგრეთი ყოველ მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ - საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხიღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი - არა. ამის გამო გლეხი უყურებს თვის მმართველობას ისე კი არა, როგორც უფლებას, არამედ როგორც ტვირთს, გარდასახადს რასმეს, და ყოვლის ღონისძიებითა ცდილობს, შორს იყოს სოფლობაზედაც და მმართველობაზედაც, რომელიც სიკეთეს ყველას უნაწილებს და ტვირთს-კი ერთსა ჰკიდებს ზურგზედ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი უფლება დღესვე ჩამოართვან გლეხს, გლეხი წარბსაც არ შეიხრის; და თითონ თავად-აზნაურობაცა და სხვა წოდების კაცნიც უნდა ჰგრძნობდნენ, ჩვენის ფიქრით, დიდს დანაკლისს, რომ სოფლის გამგეობა, როგორც სოფელში მცხოვრებთ, იმათაც, ნებით თუ უნებლიეთ, შეეხება და ამ გამგეობაში არც ხმა აქვთ და არც არჩევანის უფლება.

რაკი წესდებამ გამოაკლო სოფლის თვითმმართველობიდამ ზოგიერთი წოდებანი, სოფლადვე მცხოვრებნი, რაკი არ მიანიჭა მათ არარაიმე ხმა და უფლება სოფლის გამგეობასა და წარმომადგენლობაში, ამას, რასაკვირველია, ისიც ზედ უნდა დაჰყოლოდა, რომ ისინი სოფლის მმართველობის ქვემდებარეობიდანაც გაეთავისუფლებინა. ასეც მოახდინა. 23, 36, 39 მუხლთა ძალითა ყველანი, ვინც-კი გლეხკაცობას არ ეკუთვნის - თავადნი, აზნაურნი,

მღვდელნი, დიაკვნები, მოქალაქენი, სოფლად მოვაჭრენი, მებატონეების შინამოსამსახურენიც კი, თავისუფალნი არიან სოფლის სამმართველოს გამგეობისაგან; ვერც სოფლის უფროსი მოხელე-მამასახლისი, ვერც სოფლის სასამართლო მათ ვერ შეეხებიან. ამით წესდებამ ხელ-ფეხი შეუკრა სოფლის მმართველობასა; ამით უარჰყო მეორე ძირეული კანონი თვითმმართველობისა, სახელდობრ იგი, რომ ადგილის სამმართველოის ხელქვევით უნდა იყვნენ ყველანი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობენ; ამით უარ-ჰყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა; უამისოდ სოფლის სამმართველო თავის-დღეში ვერ მოიპოვებს მცხოვრებთა თვალში იმ პატივს, რომელიც სანატრელია და ურომლისოდაც მისი წარმატება და სიკეთე შეუძლებელია.

* * *

ნინათაც მოგვიხსენებია და ახლაც ვიმეორებთ, რომ შეუმლელს თვითმმართველობას საზოგადოდ და სოფლისას კერძოდ ორი მხარე აქვს: ერთი - მთავრობითი, მეორე საზოგადოებითი. პირველით სოფლის თვითმმართველობა მთავრობის პირველ-წყობის ორღანოა, მეორით - საზოგადოებისა, სოფლისა; პირველით ემსახურება სახელმწიფოს, მეორით - საზოგადოებას; პირველით წარმომადგენელია სოფელში მთავრობისა, მეორით - მთავრობაში სოფლისა. წინათ გასინჯული გვაქვს, სოფლის თვითმმართველობა რამოდენად წარმომადგენელია ჩვენში სოფლისა, საზოგადოებისა. ჩვენ იქ ის აზრი გამოვთქვით, რომ ჩვენის სოფლის თვითმმართველობითი წყობა წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის სოფლის საზოგადოებისა. მთავრობითი მხარეც რომ გავუსინჯოთ ჩვენს სოფლის მმართველობას, აქაც ბევრს სანუგეშოს ვერას ვიპოვით.

მთავრობითი მხარე თვითმმართველობისა იმით არის ძვირფასი საზოგადოდ ყველასათვის და გლეხისთვის საკუთრივ, რომ ამ მხრით სოფლის თვითმმართველობა მახლობელი მფარველია მისი, მისი ადამიანობისა, მისი ღირსებისა, მისი პატივისა და ქონებისა. რაკი ზემოხსენებულთა მუხლთა (23, 36 და 39) ასე შემოაჭრეს ფრთები ამ მფარველობას, სახარბიელო რაღა დარჩა გლეხს თვითმმართველობაში? რაც მისთვის სანუკვარი იყო, ის ჩამოცლილი აქვს მთავრობითსა მხარეს თვითმმართველობისას; სხვა ამ მხრის რაღა დარჩა თვითმმართველობაში გლეხკაცს სანატრელი და ხელმოსაჭიდი? არაფერი. თვითმმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორღანოდ, რომელმაც ასრულებაში უნდა მოიყვანოს ყოველი ბრძანება უმაღლესის მთავრობისა, აბეგროს ხალხი, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამგვარი, ესე იგი, რაც გლეხკაცს სამძიმოდ მიაჩნია, იმაში ძალა უნდა დაატანოს. და მართლადაც ამის მეტს არც არას აკეთებს სოფლის სამმართველო, და არც არავინ ნაღვლობს, რომ მეტი რამ გააკეთებინონ. ამის გამო, ამ მხრით სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირეზედ მიყუდებულია, და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა აასრულოს და ჩაგრულთაც მფარველობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე. ამ სახით, ჩვენს სოფლის თვითმმართველობას უკეთესი მხარე ჩამოეცალა და მარტო იმ კვალში ჩადგა და

გაისისწვრივა, რომლითაც იგი უფრო ნაკლებ სანდომია გლეხკაცისათვის. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდომება, რომ თავში საცემი ჯოხი პატარა შორს იყოს და არა ცხვირწინ, რაკი უამისობა შეუძლებელია.

ამიტომაც გლეხკაცი ვერაფრად აფასებს თავის სამმართველოს, რომელიც მისთვის ყველგან არ არის გამოსადეგი არც ფარად, არც ხმლად; ამიტომაც თავის სამმართველოს მოხელე კაცი, და თითონ კანონიც, მისთვის ჰგონია მოგონილი, რომ მარტო მე მადინოს ცხვირში ძმარიო, როცა დავაშავებო, ან როცა სახელმწიფო სამსახურზედ უკან დავიწევო, რადგანაც არც მოხელე და არც კანონი მოსარჩლედ და მფარველად არ გამოსჩენია; ამიტომაც იმედი აქვს აყრილი კანონზედაც, მის ძლიერებაზედაც, მის მიუდგომელობაზედაც; ამიტომაც იგი ისე გულგრილად ეკიდება მოხელეთა არჩევანის საქმეს: მისთვის სულ ერთია, პეპია იქნება თუ დათუნა. მე ხომ ჩემი ხარჯი და ბეგარა არ ამცდებაო და გაჭირვებაში კიდევ არც ერთს შეუძლიან შველა, და არც მეორესაო, ამბობს გლეხი.

ამ სახით, ჩვენს თვითმმართველობას სოფლისას ჩამოთლილი აქვს ის მხარეც, რომლითაც იგი წარმომადგენელი უნდა იყოს საზოგადოებისა, ესე იგი მთელის სოფლისა, და ის მხარეც მთავრობითის წარმომადგენლობისა, რომლითაც იგი უფრო სანატრელია გლეხკაცობისათვის. ჩვენმა წესდებამ თუმცა კარგა ფართო მოედანი შემოუხაზა სოფლის თვითმმართველობას სავარჯიშოდ და სამოქმედოდ, მაგრამ თითონ ფალავანს-კი ხელფეხი შეუკრა; ამიტომაც ჩვენის სოფლის თვითმმართველობა ასე უნაყოფოა, ასე უმოქმედოა იმ სიკეთისათვის, რომელსაც ყოველი კაცი სამართლიანად გამოელოდა თვითმმართველობისაგან.

სიკეთისათვის ხომ ასე ფრთამოკვეცილია ჩვენის სოფლის თვითმმართველობა, ბოროტისათვის-კი ფართო გზა აქვს. თუ, ვინიცობაა, სოფლის მოხელეთა, მაგალითებრ - მამასახლისმა, ნაცვალმა და მოსამართლეებმა ვნება რამ მიაყენეს სოფლის მცხოვრებსა, აშკარად უკანონობა გაუწიეს სოფელს საზოგადოდ, ანუ თვითოეულს მცხოვრებს ცალკედ, ვნებულს ნება არა აქვს, ჩვენის წესდებით, საზოგადო სამართლის წინაშე იძიოს თვისი დანაკლისი, ნება არა აქვს საზოგადო სამართლით სდევნოს დამნაშავეს და ბოროტმომქმედს მოხელესა. 72 და 73 მუხლნი წესდებისა ამბობენ, რომ ყოველი საჩივარი ამგვარებში უნდა მიიმართოს მაზრის უფროსისადმი და, თუ იგი დაინახავს, რომ მოხელე კაცი ღირსია სამართალში მიცემისა, მხოლოდ მაშინ უნდა მიეცეს მოხელე სამართალს; სოფლის მოსამართლეებს-კი სამართალში აძლევს მარტო გუბერნატორი, ისიც მაზრის უფროსის წარდგენითა. ჩვენს წესდებას დავიწყებული აქვს, რომ მაზრის უფროსიც და სოფლის მოხელეც ორივ ერთგვარი საფეხურები არიან ერთისა და იმავე კიბისა; ორივესათვის ერთნაირად სასურველია, რომ უფლების წინაშე ყოველივე მტყუანი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ის კი ცოტაა, რომ ხშირად სოფლის მოხელე და მაზრის უფროსი ერთმანეთს ხელსა ჰბანენ, ერთმანეთს გადაებმიან ხოლმე უსურვაზივითა?! ამიტომაც სოფელი არ არის, რომ არ უჩიოდეს მოხელეთა ავკაცობას, მაგრამ, აბა, ბევრი მაგალითია, რომ მოხელე სამართალში იყოს მიცემული? ამიტომაც პასუხმგებლობა სოფლის მოხელეთა თითქმის სრულიად გაუქმებულია. ამ სახით, დარღვეულია მესამე ძირეული კანონიც თვითმმართველობისა, სახელდობრ ისა, რომ ყოველივე თანამდებობის მექონი კაცი პასუხმგებელი უნდა იყოს საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს წინაშე, და არა წინაშე თვისთა უფროსთა. ყველას უნდა ჰქონდეს ნება, მოხელეთა უფროსის დაუკითხავად, სდევნოს ბოროტმომქმედს მოხელეს საზოგადო სამართლით და იძიოს მისგან ყოველივე უკანონოდ დანაკლისი.

ამ სახით, ჩვენის სოფლის თვითმმართველობას ოთხიდამ სამი უმთავრესი საფუძველი თვითმმართველობისა აკლია: 1. ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, - და არა აქვს; 2. ადგილობრივ სამმართველოს ყოველსფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით, და არ იდევნება. მეოთხე საფუძველიც, თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სახელდობრ მით - რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირჩევს მხოლოდ გლეხი, ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში ხსენებული.

ყოველ ამის გამო ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ პირველ ხანებში - და ბევრგან ეხლაც - ჩვენის სოფლის მმართველობას იმისთანა მაზრის მოხელენი შეხვდნენ, რომელთაც, გაუნათლებლობისა და სიბრიყვის გამო, არ ესმოდათ სიკეთე თვითმმართველობისა, და ვისაც ესმოდა, თვალში ეჩოთირებოდა, როგორც მის უფლების მოცილე რამ. და რადგანაც მახლობელნი მწრთენელნი სოფლის ახალის მოხელეობისა ისინი იყვნენ, რასაკვირველია, სოფლის სამმართველოს იმ მხარეს უფრო გაუბრტყელებდნენ, რომლითაც იგი მათთვის უფრო გამოსადეგი, უფრო სახეირო იქნებოდა და უფრო სანუკბარი მათის პატივმოყვარეობისათვის და თავმოწონებისათვის. ეგრეცა ჰქმნეს. მათ სოფლის სამმართველოს ჩამოაცილეს ის მცირედი სიკეთეც საზოგადოებრივი, რომელიც ნაპერწკალსავით ბჟუტავს წესდების ზოგიერთს მუხლში, და შეჰქმნეს იგი მარტო დაბალ საპოლიციო ორღანოდ. ამ სახისაა ეხლა ჩვენის სოფლის სამმართველო. დღესაც იქამდინ გაუპატიურებულია სოფლის სამმართველო, რომ გლეხკაცი, მინამ სოფლის სასამართლოში შევა, ჯერ საჭიროდ ხედავს მაზრის უფროსთან გამოიქცეს და ბრძანება სთხოვოს, სოფლის სასამართლომ საქმე გამირჩიოსო. მაზრის უფროსებიც აძლევენ ამისთანა ბრძანებას, თითქო, თუ არ მისის ბრძანებით, სასამართლოს ნება არა აქვს საქმის განხილვაში შევიდეს. ამისი მაგალითი ერთი და ორი კი არ არის, ეს თითქმის ყველგან ჩვეულებად მიაღებინეს გლეხკაცს.

აი სადამდი გაინვდინა ფეხი და ხელი მაზრის მმართველობამ, რომ თითონ თავი აიმაღლოს, ხალხის თვალში ძირს დასცეს სოფლის მმართველობა და თავის ყურმოჭრილ ყმად გაიხადოს. ჩვენ იმას აღარ ვამბობთ, რა უპატიურად ექცევიან თითონ სოფლის მოხელეებსა. მამასახლისი, სოფლის მოსამართლე, რომელთაც თითონ ბისმარკიც კი საჭიროდ დაინახავდა ხელი გაეწოდა, როცა შეხვდებოდა, ბევრჯერ მინახავს, რომ მაზრის უფროსის ჩაფარს მათრახით წინ გაეგდოს. თითონ მაზრის უფროსი როგორ ექცევა ან ერთს, ან მეორეს, - მაგას ნუღარ გვკითხავთ. ერთის სიტყვით, სოფლის მმართველნი, სოფლის ამორჩეულნი კაცნი, სოფლის წარმომადგენელნი, - დღეს მაზრის უფროსის და პრისტავების ბიჭებად არიან და არა მოხელედ.

აი ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გლეხკაცობა არა ჰგრძნობს და არც გამოელის თავის სამმართველოსაგან არარაიმე სიკეთეს და ყველა იგი არც თავისად მიაჩნია; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის სამმართველო ყოველმხრივ ღონემიხდილია სიკეთისათვის; აი აქ არის სათავე იმ სამდურავისა, რომელიც ყოველ მხრიდამ ისმის სოფლის სამმართველოზედ

და მის მოხელეებზედ; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის მმართველობას კაი კაცი ერიდება და მოხელეობას არა კისრულობს; აი ეს არის მიზეზი, რომ გლეხკაცი თავს არ იცხელებს, კაი კაცი ამოვირყიოვო, და თითონ არჩევანიც თამაშისთვის მოგონილი ჰგონია.

წერილი მეექვსე - მომრიგებელი მოსამართლობა ჩვენში

ღირებულებები: სახელმწიფო, სასამართლო, არჩევნები,
თანასწორობა, განათლება, სამართლიანობა,
ნდობა, კანონიერება, კეთილდღეობა.

ბატონ-ყმობის გაუქმებას და სოფლის სამმართველოს დადგენას ზედ მოჰყვა ცვლილება ღვინისა და არაყის ბაჟის თაობაზედ. თუმცა ამ საგანს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ეკონომიურის ვითარებისათვის და თუმცა ამან დიდი ზედმოქმედებაც იქონია ჩვენის ხალხის ქონებითს მეტნაკლებობაზედ, მაგრამ მაინც მაგის გამოკვლევას ამჟამად ვერ შევუდგებით. თავის დროზედ მაგ ღირსშესანიშნავს საქმეს ისევ დავუბრუნდებით. ეხლა კი ჩვენ უფრო გვეხერხება სოფლის სამმართველოს გამოკვლევიდამ პირდაპირ გადასვლა განსამართლების წესზედ. თუმცა ამით ქორონიკული ჯაჭვი ირღვევა, მაგრამ რჩება შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მმართველობის და განსამართლების წესთა შორის საზოგადოდ. ჩვენ აქ სახეში გვექმნება მხოლოდ ერთი ნაწილი განსამართლების წესისა, რომელსაც ჩვენის ხალხის ცხოვრების დირეზედ უდგას ფეხი, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც შეეხება მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობასა და აგებულებასა.

რომ ჩვენა და ჩვენნი მკითხველნი ერთნაირის საწყაოთი შევუდგეთ ჩვენში დადგენილ მომრიგებელ მოსამართლობის ავ-კარგიანობის აწყვასა, საჭიროა ვიცოდეთ ის აზრი და საფუძველი, რომელზედაც არის დამყარებული მომრიგებელ მოსამართლობის წესი, ის აზრი და სანადელი, რომელიც დაუნიშნავს კანონმდებელს მისაღწევად. ეს მით უფრო სარგო იქნება ჩვენთვის, რომ იგი აზრი, საფუძველი და სანადელი, რომელიც ამ შემთხვევაში წინ ნასძღომია კანონმდებელს, არის ჭეშმარიტი ნაყოფი მეცნიერებისა და ევროპის ცივილიზაციის გამოცდილებისა. არც ერთს კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარკვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩაჰრთვია, როგორც განსამართლების წესსა საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არც ერთს კანონმდებლობას არ შეჰხვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნა და გონებითი ძალნი ესე შესაფერად შესწვდომოდეს ამისთანა მაღალს, უაღრესს და რთულს საქმეს, როგორც განსამართლების წესის დადგენაა. კანონმდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და ჭეშმარიტების სიყვარულით არ შესჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობილება, გარდა ზოგიერთის ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვადასხვა გარე-

მოებისა გამო. ეს სიკეთე რუსეთის განსამართლების წესისა და კანონმდებელთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც.

* * *

რასაკვირველია, ნამდვილად ცნობილს და გამოკვლეულს ადგილობრივს გარემოებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველს მთავრობითს განკარგულებაში საზოგადოდ და კანონმდებლობაში საკუთრივ; მაგრამ როცა უმთავრესნი და არსებითნი საფუძველნი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდენია და, თუ აქ ცვლილებამ უნდა დაუთმოს რამე ადგილობრივს გარემოებას, თვით უმთავრესი და არსებითი საფუძველი კი არ უნდა გამოაცალოს საქმეს, არამედ საქმის მარტო წვრილმანი კუთვნილებანი უნდა შეურჩიოს და შეუფეროს გარემოებასა. რასაკვირველია, ჩვენში არც აქაური გარემოება იყო ნამდვილად ვისგანმე ცნობილი და გამოკვლეული, არც უმთავრესი და არსებითი საფუძველი ცვლილებისა იყო პატივცემული. მას სრულიად ჩამოათალეს, რაც მის უცილო თვისებას და ღირსებას შეადგენდა.

* * *

რაც უნდა მარტივი წესი იყოს განსამართლებისა, კანონმდებელთა აზრით, თუ თითონ სასამართლო შორს არის მოდავეზედ, ან იმ ადგილზედ, საცა მფლობელობა დარღვეულ იქმნა, ანუ ზიანი და წანახედი მოხდა და სხვა ამგვარი, მაშინ წესი თვის საგანს ვერ მისწვდება, რადგანაც მოდავისათვის არც ანგარიშია, და ხშირად არც ღონისძიებაა, შორს წავიდეს მცირე საფასური საქმისათვის. სამართალი თვის მნიშვნელობას აუქმებს, როცა სამისა თუ ათის მანეთის მაძიებელი იძულებულია ასს ვერსტზედ წავიდეს, ანუ როცა საქმე იმისთანაა, რომ დაუყონებლივ მოხელვა უნდოდეს, და მინამ მაძიებელი შეატყობინებდეს სამართალს და მინამ სამართალი ადგილობრივ გამოძიებისათვის მოვიდოდეს, ყოველივე კვალი საქმისა წაშლილი იყოს. საბუთები მფლობელობის დარღვევისა, ანუ უძრავის ქონების წანახედისა, მარტო ადგილობრივ შეიკრიბება და მხოლოდ მაშინ, როცა სიმართლის დარღვევის უმალვე, დაუყონებლივ შეუდგებიან საქმეს; უამისოდ სამართლიანი გადაწყვეტა საცილობელის საქმისა ძნელდება ხოლმე და ხშირად შეუძლებელიც ხდება.

ამიტომაც საჭიროა, საზოგადო სასამართლოების გარდა, ცალკე ადგილობრივი სასამართლოც დანესდესო, იმისთანა სასამართლო, რომელიც მოდავისათვის მახლობლად იყოსო და ისეთი მარტივი საქმის საწარმოო წესები ჰქონდესო, რომ შეეფერებოდეს უმრავლესის ხალხის საჭიროებასაო.

საჭიროება და მიუცილებლობა ამისთანა მარტივის და ადგილობრივის სასამართლოსი აღიარებულია ყოველს კეთილად განწყობილს სახელმწიფოშიო. მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსიო; ამიტომაც მას ჰქვიან მომრიგებელი სამართალიო.

* * *

უმაღლესმა მთავრობამ უარ-ჰყო უწინდელი განსამართლების წესი და მის მაგიერ საჭიროდ დაინახა, რომ უფრო მომეტებულ ხალხს სახელმწიფოისას იმისთანა სამართალი უქირს, 1. რომელიც მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ, ასე რომ ყველამ ყოველს ჟამს, რაც უნდა პატარა გაჭირვება ჰქონდეს, მიჰმართოს ხოლმე და დაუყონებლივ სწრაფად განსამართლდეს; 2. რომელსაც ისეთი მარტივი წესი წარმოებისა ჰქონდეს, რომ უცოდინარმა კაცმაც თავისი საქმე აწარმოოს; 3. რომელსაც, რამოდენადაც შესაძლოა, ფორმალობა არ უშლიდეს, რომ ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს; 4. რომელსაც წინ უნდა მიუძღოდეს ადგილობრივის ვითარების ცოდნა, ცოდნა ხალხის ზნისა, ხალხის ჩვეულებისა და ერთმანეთზედ დამოკიდებულებისა; 5. სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივსა სცემს, და რომელსაც, როგორც ადგილობრივს მოსახლეს და მცხოვრებს, თითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელოში; მშვიდობიანობა, უშიშროება არ იქმნას დარღვეულ; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის, წანახედი, ზიანი უზღვევლად არ დარჩება; ხოლო უკეთესი მხარე, უმაღლესი მნიშვნელობა ამგვარის მოსამართლობისა მორიგებით გათავებაა საქმისა. აქაც დანახულია და ცნობილი, რომ თუ მოსამართლე ხალხის თვალში სანდო, სარწმუნო კაცი არ არის, მოსამართლე ამ მომრიგებელ შუაკაცობას ვერ აღასრულებს. როგორც ამის გამო, ისე იმ მიზეზებით, რომელნიც ზემოთ მოგვიხსენებია, მტკიცე და მიუცილებელ საჭიროებად აღიარებულია და დადგენილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე თითონ მცხოვრებლებმა აღმოირჩიონ ხოლმე თვის შორის.

* * *

მართლა-და დასაჯერი არ არის, რომ ხალხი სადმე და როდისმე ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელი, ხოლო არჩევანით განწესება მომრიგებელ მოსამართლისა რომ კარგი რამ არის, - ამაზედ ეხლა ეჭვი აქვთ მარტო ბრმებსა და რეგვნებსა. ყოველს მოსამართლეს საერთოდ და მომრიგებელს საკუთრივ, უნდა ხალხის მიერ ნდობა ჰქონდესო, უნდა ხალხისაგან ცნობილი იყოს, როგორც ღირსეული და სარწმუნო კაციო. ნუთუ სადმე ხალხი საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ იმისთანა ტყის ნადირი იყოს, არ ესმოდეს, - ვისზედ მიენდობა უფრო გული, ვინ უფრო ღირსეული და სარწმუნო კაცია მის ახლომახლო, რომ მას წაავლოს ხელი და იგი დაიყენოს მოსამართლედ? აქ მომზადებულობა და მოუმზადებლობა რა შუაშია? საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში, ესე იგი ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერების სიოც არ მიჰკარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველმხრივ მოუმზადებელი იყო, ჯერ მაშინ მეთქი - მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრივ არ განიწესებდა. სჩანს, აქ ხალხის მოუმზადებლობას, თუ განათლებას, ადგილი არა აქვს; სჩანს, ხალხის მოუმზადებლობა საბუთი კი არ არის წინააღმდეგ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისა, არამედ უქმი სიტყვაა უქმის კაცისა.

ამას თავი დავანებოთ, ვთქვათ რომ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისათვის ხალხი ცოტად თუ ბევრად მომზადებული უნდა იყოსო. მითამ ამით რაო? თუ რუსეთის ხალხი იცნეს მომზადებულად, რომ არჩევანით განიწესოს თვისი მახლობელი მომრიგებელი მოსამართლე, ჩვენს ხალხს რაღა ღმერთი გაუწყრა?! ნუთუ რუსეთის ხალხის უმრავლესობა - მუჟიკობა, ჩვენის ხალხის უმრავლესობაზედ - გლეხობაზედ მაღლა დგას მიხვედრილობით, გონების თვალით, გონების ყურით, რომ იქ მუჟიკობა მომზადებულად სცნეს და მიანიჭეს სხვებთან ერთად უფლება მოსამართლის არჩევანისა, და აქ კი გლეხობა - მოუმზადებელად, და ამიტომაც ეგ უფლება ჩამოართვეს? თუ ამ შემთხვევაში განსხვავება რამ არის ამ ორთა ხალხთა უმრავლესობათა შორის, ის განსხვავებაა, რომ სასწორი სიკეთისა ჩვენის ხალხისაკენ უფრო დაიწევს. ჩვენი გლეხი გაცილებით წინ არის რუსის მუჟიკზედა ზნეობითაც, გონების თვალითაც და მიხვედრილობითაც.

* * *

ეხლა ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლა მოუმზადებელია. მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის-დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის აღმორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით-კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლეო და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულთმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემოთ თავში, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, „ადგილობრივს ვითარებას" ეგრე წინდაუხედავად ეძახიან.

* * *

რამ აიძულა აქაური კანონმდებლობა, რომ ხალხს მომრიგებელი მოსამართლე არ დაუახლოვა? სხვა არაფერმა, ჩვენის ფიქრით, გარდა ფულის ანგარიშისა. სამართალი და განათლების საქმე ასეთი უაღრესნი და არსებითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სამართლის ურიგოდ მოწყობილება სვავია - რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია - რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. ფული ორმოში იმალება იქ, საცა იმედი გაწყვეტილია, რომ ჩემი ნანარმოები ჩემი იქნება, თუ ვინმე გაბედა და შემეცილებაო. და თუ ფული არ მუშაობს, თუ ხალხში თანხა უშიშრად არა ტრიალებს, თუ ხალხში მკვიდრი იმედი არ არის დამყარებული, რომ ყოველს ცილებას ადვილად გადამარჩენს სამართალიო, ყოველს დანაკარგს ადვილად და სწრაფად დამიბრუნებსო, - მაშინ სიმდიდრე ხალხისა, და აქედამ სიმდიდრეც სახელმწიფოსი, ამაო ნატვრაა. მაშინ ურთიერთშორისი ყისტი, ეხტიბარი (კრედიტი), ნდობა გატეხილია და, საცა ეს არ არის ფრთაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნი-

შადურიც რომ ამოსცხოთ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის მხოლოობითი წყარო ხალხის სიმდიდრეა, - ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ წაადგმევინებთ. კანონის სიმტკიცე, სიმკვიდრე, მიუდგომელობა, დადგრომილება, არამც თუ დიდი რამ არის, - ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის, და ეგე ყოველიფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ უნდა იცოდეს-მეთქი გულდადებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნდება, მე ჩემი არ დამეკარგება, ერთის სიტყვით - სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად. თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ვიმეორებთ, ყოველიფერი ამაოა, მაშასადამე, ამისთანა საქმეში, როგორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში - დიდი შეცდომა და შეუვსებელი ნაკლია.

შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი (ნაწყვეტები)

ნაწყვეტები შერჩეულია ღირებულებების შესაბამისად
წყარო/ბმული: https://www.gdl.ge/ge/publication/ilia-chavchavadze1.page

---

ღირებულებები: სამართლიანობა, კონსერვატორობა, ლიბერალობა, პლურალიზმი, მოქალაქეობა, კეთილდღეობა, თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია.

დასაწყისი უარმყოფელის მიმართულებისა რუსეთში. — მომხრეობა ძველისა და ახალისა. — ორი დიდი ბანაკი. — „მამები და შვილები". — ევროპის კონსერვატორობა და ლიბერალობა. — ორკეცი სინჯვა საქმისა. — რუსეთში კონსერვატორობა რეტროგრადობად გადიქცა და ლიბერალობა მარტო უარყოფად. — პისარევი და მისი ზედმოქმედება. — რამ წაიტყუა ყმაწვილ-კაცობა. — რით იკვებებიან დღესაც ჩვენებური შინგამომცხვარი ლიბერალები. — Современник-ი და ბაზაროვი, ბაზაროვი და პისარევი. — რათ მოხდა? — ჩვენებურ ლიბერალების უკან ჩამორჩომა. — არ იციან.

— ჩვენშიაც ორი ბანაკია. — ახალი გუნდი ჩვენებურებისა. — მათი მიმართულება. — სლავიანების მაგალითი. — რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა? — ჩვენი პროგრამა. — ჩვენი სანყაო რა უნდა იყოს. — თვით-ამორჩეული დეპუტატები და ვენზელები. — ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად. აქაც ასე მოხდა. ცხადიც არის, რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვ-მაგარი კიდევ ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე

დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეჯერებულია და ჟამთა ხნიერობით ბექედდაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა. თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი — ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად საღი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით, თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარმყოფელნი და ახალის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი", მეორეს — „შვილებისა". ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად. „მამობა და შვილობა" თვალად გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალ-წყალა ჭკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძვით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმაწვილე სამყოფი იყო ზოგიერთი ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე - მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მაღიარებელნი არიან ან ერთნი ან მეორენი.

პირველს შეხედვაში კაცს ეგონება - რუსეთის „მამების" ბანაკი ერთის მხრით და „შვილებისა" მეორეს მხრით, ევროპის კონსერვატორობას და ლიბერალობას მოასწავებსო.. ჩვენის ფიქრით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჰგავს ევროპის ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვით. რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა არ არის დღეს-აქამომდე.

ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის - რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა - ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, - მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას — ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი — ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდან განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს და-

სდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრეთ-წოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა — მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად.

ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადასცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ, ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მარტო ორი ნყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ — რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს ნყობას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა; გაქირი ჰქმნეს ამაზედ და წინ ფეხი ვეღარ გადმოაბიჯეს. ამისი მაგალითი „Русский Вестник“-ია და „Московские Ведомости“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ღაღადებდა „Московские Ведомости“, დამნაშავეებს რაღა გასამართლება უნდაო, აიღეთ და ჩამოარჩვეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსამართლების წესს, რომლის შემოღებისათვისაც განსვენებული იმპერატორი მადლობით მოიხსენიება ისტორიაში. არც ერთი კონსერვატორი ევროპისა არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა მაგ დიდს და ახალს დაწყობილებას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები“, რაღა უნდა ვსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინათ იქნებოდა მათის წყალობით.

ეგრეთმა წყალ-გაღმა გაბიჯებამ „მამებისა“-მ, ანუ უკეთ ვსთქვათ, გაქირმა, - გააგულისა „შვილები“. ამან გააფიცხა, გაამწვავა და გააკაპასა „მამებისა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარაყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედეგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარმყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით, ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა

ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადურჩნენ.

ასე თუ ისე, პისარევის უარყოფა დიდ მოდად შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი ნაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე — ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე — ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამ-გვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმაწვილ-კაცობის ბევრი წილი. დღესაც, აბა დააკვირდით ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. აბა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ, ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულები.

დღეს რუსეთმა ბევრით წინ წამოიწია, თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადიქცა რეტროგრადობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავი გაიტანა, თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი ხელოვნებაზედ, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხსა და თავადზედაც; ყოველს ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელ- ქვეშ. ცხოვრების შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი საგანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აჰხსნა დასადგენად და ბევრი განსადევნად. მაგრამ რადგანაც ყოველი ესე ჯერ „ჩოტკში“ ჩაგდებული არ არის, ყოველს ამას ჯერ ჯამი არ აქვს გამოყვანილი, რომ მზა-მზარეულად ხელზედ დახვევის მეტი არა უნდოდეს რა, და რადგანაც ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თითონ აჰხსნან ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი- ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს. ამ სახით, ჩვენ ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირ-წინ გაეპარათ, და თუ გაოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაუღიათ, ვაი ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ შეუტყვიათ, რა დღეში არიან ჩაცვივნულები.

თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა- შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის

ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს- აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც

წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლა დააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისი მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო", — ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მოუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

* * *

ამ ერთის თვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობდნენ, გარდა ჩვენის ესრეთ-წოდებულ „დეპუტატებისაგან" კონვოელებისათვის ვენზელების თხოვნისა. ქუჩაში შეხვედრის დროს ნაცნობები ერთმანეთს მწარეს ღიმილით ან გაჯავრებულნი

ჰკითხავდნენ: „გაიგე, როგორ შევურცხვენივართ ჩვენს დეპუტატებსაო. პოლშელებს უთხოვნიათ, ჩვენს ენას სხვადასხვა უფლება მიანიჭეთ, ჩვენს ქვეყანაშიაც ის ცვლილება შემოიღეთ, რომელიც რუსეთს ეღირსა განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს და ჩვენებს კი ვენზელების მეტი არა უთხოვნიათ რაო".

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა „დედაკაცების" და „მამაკაცების" ხმაც და მთელმა საზოგადოებამ შეჰქმნა ყაყანი. ყველა სწუხდა, ყველა ცხარობდა.

მაგრამ აქ არც სამწუხარო და არც გასაცხარებელი არა იყო რა. სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია — რა არის „დეპუტატი", ან არა სცოდნია — როგორ „ვირჩევთ" ჩვენ დეპუტატებს.

დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს.

ახლა ეს გვიბრძანეთ: ვინ ამოირჩია ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

— არავინ.

— ვინ ამოირჩია ტბილისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

— არავინ.

ოთხიოდე თუ ხუთიოდ პირნი ერთად შეიკრიბნენ, თავი თვისი თვითვე ამოირჩიეს და გაემგზავრნენ პეტერბურგისკენ. იქ ერთს მათგანს, როგორც ნაცნობს, დაჩაგრულმა კონვოელებმა სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ, რომ მიცვალებულ ხელმწიფის სახსოვრად ვენზელები ჩვენც დაგვირიგონო; იმანაც იშუამდგომლა და კონვოელებს ვენზელები უწყალობეს.

ეს რა ცოდვაა, ან გული რათ უნდა მოგვდიოდეს! თუკი ევროპაში თვითმფლობელობა, თვითმართველობა და სხვადასხვა თვით-უფლებები შემოიღეს, ჩვენ რაღა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის სიტყვის და ერთის დაწესებულების შემოღება ვერ შევიძლოთ. შემოვიღეთ თვით-ამორჩევა, და ჩვენმა თვით-ამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საყვედური მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.

ხან იმაზედა ვჯავრობთ, ვენზელები რათ ითხოვესო, ხან იმაზედ, რატომ იგივე არ ითხოვეს, რაც პოლშელმა დეპუტატებმაო. ერთიც და მეორეც უსაფუძვლო ჯავრობაა.

ჩვენი დეპუტატები თვით-ამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები — ამორჩეულნი საზოგადოებისაგან. ჩვენებს უნდა თავის-თავზედ და თავიანთ მეგობრებზედ ეზრუნათ, პოლშელებს — საზოგადოებაზედ; ჩვენებმა თავიანთ ნათესავ, ან მეგობრებ კონვოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისათვის სხვადასხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშად სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა — რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედა-ენა შემოეღოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსულის ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ" უკეთ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები" ასე როგორ შეირცხვენდნენ თავსა, დარწმუნებული ვართ, რო ეკითხათ, ყველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვესმის, ვიდრე ქართულიო, — ოღონდ, ოღონდ...

ერთის სიტყვით, პოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედ ეზრუნათ და იზრუნეს კიდეც. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ თავზედ, ან თავიანთ მეგობარ-ნათესავებზედ.

კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ, თვით-ამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა, და ვიძახით კი — რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ვეღრიჭებით, ვიცინით, — დახე, დახე ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვეს კონვოელებს ვენზელებიო.

ახი არ იქნება, რომ „რევიზორის" გოროდნიჩი გაგვიჩნდეს საიდანმე და გვითხრას, — რო იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დასცინითო!

კრიტიკული აზრის უქონლობა, 1888 წ.

წყარო/ბმული: https://www.gdl.ge/ge/publication/ilia-chavchavadze1.page

---

ღირებულებები: სამართლიანობა, პლურალიზმი,
მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება.

თუ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებას ჩაუკვირდებით, შენიშნავთ ერთს არასასიამოვნო გარემოებას, რომელიც ხელს უშლის ერთის და მეორის წარმატებასაც. არც მწერლობასა და არც საზოგადოებას არ აღმოუჩენია ნამდვილი გზა, რომლითაც უნდა მსვლელობდეს აზრი და გონება, არ დაუდგენია ნამდვილი აზრი ჩვენის წარსულ და აწმყოს ვითარების შესახებ, და სამართლიანად ვერ დაგვიფასებია, ვერ გამოგვიკვლევია ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ჯერჯერობით ვერ შევთანხმებულვართ და ვერ აღმოგვიჩენია ის ცენტრალური წერტილი, სადაც გადანასკულია ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთის სიტყვით, დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება ამით არის უსიამოვნო, ჩვენის წარმატების დამაბრკოლებელი, და გვიჩვენებს ჩვენის გონების გაუწრთვნელობას, ჩვენს გაუფრთხილებლობას და დაუკვირებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ...

ჩვენა ვთქვით, რომ კრიტიკული აზრი ვერ დაგვიდგენია ჩვენის ვითარების შესახებ, სამართლიანად ვერ დაგვიფასებია ჩვენი წარსული და აწმყო. კრიტიკულის აზრის უქონლობა იმოდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ, თუ ცოტათი მაინც ჩაუკვირდებით ჩვენს აზროვნებასა. აი, სხვათა შორის, აქ არის იმის მიზეზი, რომ ვერც ჩვენის ისტორიის შესწავლა და კვლევა ვერ დამდგარა ჯერჯერობით ნამდვილს გზაზე, და ვერც საზოგადო აზრის მიმდინარეობა. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, ვითომ ყველანი ერთისა და იმავე გზით უნდა ვმსვლელობდეთ, ერთსა და იმავე ყაიდაზე ვგრძნობდეთ და ვგონებდეთ, რომ ყველანი ერთისა და იმავე აზრისა ვიყვნეთ, არამედ იმასა, რომ ჩვენ ერთმანერთის აზრი და მოქმედება ვერ დაგვიფასებია და სამართლიანის თვალით არ გაგვისინჯავს,

და თუ ერთმანერთს წუნსა ვდებთ, მხოლოდ იმისთვის, რომ სურვილი და ღონე არა გვაქვს ერთმანერთის აზრსა და მიზიდულებას საძირკველი გავუსინჯოთ.

ყოველ დაწინაურებულ საზოგადოებაში აზრის სხვადასხვაობა, მრავალგვარობა კრიტიკის შედეგია და სხვადასხვა აზრისა და მიმართულების მიმდევართ აქვთ ისეთი წერტილი, რომელიც ყველასათვის საერთოა. ჩვენში კი სხვადასხვაობა აზრისა კრიტიკულის აზრის უქონლობის ბრალია და ჩვენის გაუფრთხილებლობისა. ჩვენში ხშირად ერთისა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებელს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ სწორედ გასაოცარია. მაგალითად, ადიდეთ წარსული, აქეთ ძველთა გმირობა და საქვეყნოდ აღიარეთ, რომ ჩვენნი ძველნი შესანიშნავნი იყვნენო, და უსათუოდ გამოვარდება ვინმე და დაგვძახებს, ვითომ თქვენ ადიდებთ ყოველს ნაკლულევანებას წარსულისას, სამარეში იყურებით და მერმისისათვის ზურგი შეგიბრუნებიათ; რა არის პატივსაცემი წარსულშიო, რომელს ერს არ გამოუჩენია გმირობა, რომელს არ გამოუცდია ლხინი და ჭირიო. პირიქით, თუ ვინმემ სთქვა, რომ ჩვენი წარსული შესანიშნავს არაფერს წარმოადგენს, იმაში არც ერთი ნათელი წერტილი არ მოიპოვებაო, მაშინ უსათუოდ ვინმე ყელში გეცემათ და დაგძახებთ, როგორ თუ ჩვენი წარსული სრულიად ტიალ-ოხერიაო. თუ გაბედეთ და სთქვით, რომ ვახტანგ მეფის კანონდებულება დიდი ნაშთია ჩვენის წარსულისაო, რომ იგი ნაყოფია დიდის შრომისა და ჭკუისა, არ შეიძლება ვინმემ არ გიპასუხოთ, რომ იგი კანონდებულება შეიცავს მრავალს მუხლებს, რომელნიც სრულიად არ ეთანხმებიან კაცთმოყვარეობას და დაწინაურებულის ერის ცხოვრებასაო და მამასადამე, არც თვით კანონდებულება არის საყურადღებო და შესანიშნავიო. გაბედეთ და სთქვით, რომ ესა და ეს მწერალი დიდად შესანიშნავია, თავისის ნაწერებით დიდი სამსახური გაუწია სამშობლო მწერლობასა და ენასაო, და მაშინვე მოგვარდებიან და შეგძახებენ, რომ თქვენა სცდებით და უღირს მწერალს ადიდებთო. საბუთად იმას დაგისახელებენ, რომ ამ მწერალმა ამა და ამ დროს ესა და ეს უგვანო აზრი წარმოსთქვა და თანაც ესა და ეს საქციელი ჩაიდინაო. თუ გაბედეთ და სთქვით, რომ ჩვენში მწერლობა დიდი ძალაა საზოგადოების წარმატებისაო, მაშინვე, თქვენის აზრის მიუხედავად, გაიძახიან, რომ ჩვენი მწერლობა სრულიად უძლურია, უფერულია, ენა გარყვნილიაო და სხვანი და ამასთანავე დაგწამებენ, რომ საკუთარის ნაკლულევანების აღმოჩენას ერიდებითო და უფრთხითო. ვინმემ რომ სთქვას, საჭიროა ვეცადოთ, თავადაზნაურობამ საკუთარი სკოლები იქონიოსო, იმ წამსვე მოგვარდებიან და დაგწამებენ, რომ საკუთრად თავადაზნაურობის მომხრე ხართ, არისტოკრატიულის აზრებითა ხართ გამსჭვალულიო და გლეხობას სრულიად არ დაეძებთო. თუ გლეხობაზე იზრუნეთ, მაშინ დაგწამებენ მტრობას თავადაზნაურობისამდი და სხვა.

ეხლა ვიკითხოთ, ნუთუ ამ გვარი უთანხმოება აზრისა, ერთმანერთის გაუგებლობა სამწუხარო არ არის? განა ყოველივე ესე შესაძლებელი იქნებოდა, ჩვენში რომ კრიტიკული აზრი მუშაობდეს? განა ეგ შესაძლებელი იქნებოდა, თუ რომ ჩვენ შეჩვეულნი ვიყვნეთ სამართლიანს მსჯელობას და ყოველსავე საქმის რიგიანად დაფასებას და აწონ-დაწონვას?

ცხადია, რომ ზემოთმოხსენებული გარემოება ხელს უშლის ყოველ საზოგადო საქმის წარმატებას, რადგანაც ყოველივე უსაფუძვლო შეტაკება აზრისა მოითხოვს გარდამეტებულს ლაპარაკს, მითქმა-მოთქმას, რომელიც სრულიად წარმოუდგენელია იქ, სადაც კრიტიკული აზრი მუშაობს. ასე და ამ რიგად ხშირად მრავალს სიტყვასა ვხარჯავთ იმისათვის, რაიცა სრულიად უეჭველი უნდა იყოს.

ნიკო ცხვედაძე

(1845-1911)

პედაგოგი, პუბლიცისტი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

○ ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა, 1877წ. (გაზეთი „ივერია", ამონარიდი)

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა

ღირებულებები: განათლება, დემოკრატია, ხალხი

...ახლა სასწავლებლების დაარსება. განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწავლებლებს აქვთ საძირკვლათ დემოკრატიული ნიადაგი. ამათ მოელის ხანგრძლივობა, დიდი-ხნობით მოქმედება. თუ ეს ასეა, თუ ეხლანდელ სასწავლებლებლების გახსნა არის დაფუძნებული თვითონ ხალხის სურვილზე, მის მონდომილობაზე, მის საჭიროებაზე, მაშ რაღა კითხვა უნდა, რომ ხალხის ყველა გულის შემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება, ვისაც კი შეუძლიან კალმის ხელში აღება, ვალდებულია, აი ეხლა დაეხმაროს სასწავლებლების ხასიათის განმარტებას.

ცხადია, რომ რასაც ხალხის სასარგებლოდ, მისის ყოფა-ცხოვრების გასამჯობინებლად, ნინ-წასაწევად ჰმართავენ, ყოველს მას დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხის მოთხოვნილებასთან; იგი უნდა იყვნეს პირდაპირ დადგენილი ხალხის მოთხოვნილებაზე, რომ სარგებლობა რამ მოიტანოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა რომ სასოფლო სასწავლებლის, მომართვის, მოწყობილობის და დაფუძნების ჟამსაც კაცს უნდა ჰქონდეს თვალ წინ ხალხის

მოთხოვნილება და ყოფა-ცხოვრება. ...გლეხს უსწავლელობის გამო უჭირდება ცოტა მამულში ბევრი მოიყვანოს და თუ კიდევ ბევრი მამული აქვს და მოიყვანა ბლომათ მოსავალი, მაშინ ამ მოსავალს მიფლანგ-მოფლანგავს უბრალოდ და დაჯდება ცარიელი. ამას ხომ იმოდენა ცოდნა და გამოცდილება არა აქვს, რომ თავისას შრომის ნაყოფი გონივრულად გამოიყენოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ხალხის მხსნელად უნდა გახდეს განათლება, რომელსაც შეუძლიან ნელ-ნელობით დაბადოს გლეხში სურვილი თავისი ნამუშევრის განკარგებისა და შრომის ნაყოფი ცნობიერად და სიფრთხილით მოახმარებინოს, ხოლო განათლების გავრცელება ხალხში შესაძლოა მხოლოდ სასწავლებლებით, რომლებიდგანაც თვითონ ხალხი მოელის გამოცოცხლებას და ფეხზედ დადგომას.



ნიკო ნიკოლაძე
(1843-1928)

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართველოს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" დამაარსებელი და საპატიო თავმჯდომარე (1917-), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921). ოცი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქალაქ ფოთს. მან პირველმა დაბეჭდა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა. წიგნის გამომცემელი ამხანაგობა "ქართული წიგნი", დამაარსებელი, თავმჯდომარე.

- ახალი ახალგაზრდობა, 1873წ. (ნაწყვეტები)

(დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში", №1, ხელმოწერით ნ. სკანდელი)
წყარო: https://www.gdl.ge/ge/publication/niko-nikoladze.page

ახალი ახალგაზრდობა

ღირებულებები: ერი, საზოგადოება, პროგრესი, სამართლიანობა, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, მშვიდობა, მოქალაქეობა, თვითმმართველობა.

მინდა ჩვენი ბრძოლის სახე და პლანი დავხატო, თითოეულ წინამძღოლს მისი მოვალეობა შემოუსაზღვრო და სწორათ გავანაწილო ჩვენი მცირედი ძალა!

შექსპირი

I

ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრმისთვისაც ცხადი საქმე შეიქნა. ჩვენი ხალხის და საზოგადოების ცხოვრება, ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, იმ ნაირათ დატრიალდა და შეიცვალა, იმას ისეთი მოთხოვნილება და საქმეები დაუხვდა გზაზე, ის ისეთ დაბრკოლებებს წააწყდა, რომ ძველებურმა ჭკუამ და გამოცდილებამ პირი დააღო, დამუნჯდა და ძალაუნებურათ თავისი უვარგისობა და უმეცრება აღიარა. ვინც უწინდელ დროში, 1861-მდი, ჩვენს საზოგადოებას გონიერების, გამოცდილების, მოხერხების და ჭკუის მადნათ მიაჩნდა, ვისიც სიტყვა და რჩევა შავი-ზღვიდამ კასპიის ზღვამდი განუხილავთ, უწინაღმდეგოთ ბეჯითად მიიღებდა, ის დღეს ყველას საბრალო უმეცრათ, გაფლიდებულ მკითხავათ მიაჩნია. ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს მიზანდა წაუხდინა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვნო უბედურებას ვერც იმათმა ჭაღარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა და შეურაცხჰყო ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა «მოთხოვნილებამ».

* * *

ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება. რისთვის დანესებულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისთვის, თუ სავნებელი, დარჩეს ის, თუ შეიცვალოს, ან როგორ შეიცვალოს, რა დაარსდეს მის მაგიერ, – ეს კითხვები თურმე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი. და როცა ამ კითხვებით ისინი ჩვენს ბრძენებს მიადგენ და პასუხი მოითხოვეს, ბრძენებმა, რასაკვირველია, ენაც ვერ გააჭაჭანეს, სული ჩაიბანდეს და გაიბერენ, ვითომდა ამის პასუხები ჩვენ კი ვიცით, მაგრამ არ ვიტყვითო.

* * *

ამ უბედურმა თაობამ, თავის უკანასკნელ მოქმედებებში, იმოდენა უხეირობა და სისუსტე გამოიჩინა, რომ შებრალების მეტი აღარაფერი გრძნობა არ ეძვრის გულში ჩვენი დროების კაცს. როგორც წყალ-წაღებული კაცი ხავსსა და ლანდს ხელს სტაცებს და სიპს, ან როკს ეჯახება, ისე ამ ძველმა თაობამ ხელი წაავლო ყველაფერს, რაც კი იმის თვალ წინ მიჰქონდა ცხოვრების აღელვებულ ტალღას... ერთი სიტყვით, ყველაფერს მოეპოტინა ეს თაობა, და ვერაფერს ვერ მოჰკიდა ხელი, ყველაფერი მოინდომა, და ვერაფერი გაარიგა, ვერაფერს მისწვდა, ვერაფერი დაამტკიცა, თავისი საკუთარი უძლურების მეტი.

* * *

IV

აქ შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ამ თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა...

1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზდული აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალოთ, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ? თვითონ ეს თაობა დამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბმელათ. იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა, თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რა ნაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლის საჭიროება, ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი. მარტო ერთი მხრით შეეძლო ამ თაობას ძველის დაჩაგვრა და დათრგუნვა, – იმ მხურვალე სიყვარულით, რომელიც ახალგაზრდა გულში უნდა ღვივოდეს საზოგადო ბედნიერების და საქმისადმი. ამ გრძნობამ, ამ სიყვარულმა აამაღლა ეს თაობა საზოგადოების თვალში, და შეავსო მისი ნაკლულევანება ცხოვრების ცოდნაში. როცა ძველი თაობის საკუთარი სარგებლობის ძებნას გვერდს ამოუდგა ახალი თაობის საზოგადოებრივი გრძნობა, ძველმა თაობამ უნებურათ, უგრძნობელათ თავი დახარა და უნდომელათ დაიწია. ეს გავლენა ჰქონდა 1861 წლის თაობის «სიტყვას», და ეს «სიტყვა» იმაში მდგომარეობდა, რომ გონება-გახსნილი, დაწინაურებული კაცის უმთავრესი ვალია თავისი ხალხის და საზოგადოების დახმარება და ბედის გაუმჯობესება.

ამ «სიტყვამ», ამ აზრმა გზა გაიკვალა საზოგადოების ტვინისკენ........მაგრამ ამ თაობის ნაკლულევანება იმაში მდგომარეობდა, რომ მის ნიჭიერ და გონიერ წარმომადგენელს, ილია ჭავჭავაძეს, დამხმარე და თანამოაზრე ბევრი არავინ ყავდა. მის თანამშრომლებს, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონია, არც დახელოვნებული ცოდნა. ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც, ისე რომ ჭავჭავაძეს მარტო სიტყვით, წერა-ბეჭდვით შეეძლო, ისიც ცოტა ხნის განმავლობაში, თავისი მიზნის სდევნა. და თუმც იმის მოქმედებას ფუჭათ არ ჩაუვლია, თუმც იმას გვარიანი კვალი დაუტოვებია ჩვენ ცხოვრებაში, ის როდი უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინდელ გარემოებებს და ჭავჭავაძის ნიჭსა უმეტესი გავლენის მიცემა შეეძლოთ ჩვენი ახალი თაობისთვის; და უმძიმესი მეხის დაცემა უნდა შეძლებოდათ ძველი თაობის მდგომარეობაზე და გავლენაზე.

V

რათ დაემართა ჩვენ ახალგაზრდობას ამნაირი უბედურება, რა მიზეზი იყო, რომ იმან ვერ დაიკავა ჩვენ ცხოვრებაში ის ადგილი, რომელიც თითქო საგანგებოთ დაუმზადა იმას ბედმა და გარემოებამ?

ეს ადვილად ასახსნელი და გამოსაძიებელი კითხვაა. თითოეულ დროებას, თითოეულ თაობას თავისი საკუთარი საქმე და საჭიროება მოსდევს. ხანდისხან საზოგადოებას ეკონომიური მდგომარეობა აწუხებს, მაშინ ის კანს იცვლის თავისი ეკონომიური განყობილებით, და ამ დროს საჭიროა ისეთი თაობა, რომელსაც ეკონომიური ცვლილებების მოხდენა და გამოყენება შეეძლოს. სხომის საზოგადოება გარეშე მტერს ებრძვის, მაშინ ის იტანჯება ბრძოლის ველზე, და ამ დროს საჭიროა სამხედრო სწავლაში დახელოვნებული თაობა.

მშვიდობიანობის დროს, როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი დგებიან, ხალხი მშვიდობიანათ შრომობს და ცხოვრობს, მაშინ საჭიროა მნარმოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, აღებ-მიცემის მცოდნე, გზების და გამსაღებელი ადგილების გამომძებნელი. მაგრამ თითქმის ნიადაგ როგორც მშვიდობიანობის, ისე ბრძოლის დროს, როგორც ცვლილებებში, ისე მყუდროებაში, საჭიროა ახალი თაობის აღმზრდელი პირები, საჭიროა სამოქალაქო და პოლიტიკური განყობილების მცოდნე მოთავეები. როცა საზოგადოებას უეცრათ რომელიმე ამ პირებთაგანი სჭირდება, მაშინ მის თვალში და ცხოვრებაში ძალა და გავლენა იმ თაობას ეძლევა, რომელსაც შეუძლია საჭირო პირების წარმოდგენა და მოხმარება. საზოგადოება იმას არასოდეს არ დაეძებს, ახალთაობას ეკუთვნის საჭირო პირი თუ ძველს, ნამეტნათ ახალგაზდაა ის, თუ შუა კაცია, ანა და მოხუცი. იმას ეს პირი სჭირია, ის სარგებლობს მისი ცოდნით და მოხერხებით და უჯერებს იმას, სანამ ის მისთვის საჭირო და გამოსადეგია. იცვლება დრო და გარემოება, საზოგადოებას სხვა საჭიროება კარს ადგება, ის სხვა პირებს ეძებს და უჯერებს...

მაშასადამე, ჩვენში 1861 წლის თაობას, ისეთი წევრები სჭიროდა, რომელნიც დამზადებული და გაჩვეული ყოფილიყვნენ მაშინდელი საზოგადოებრივი საქმეების მმართვაში. საუბედუროთ, ეს თაობა ჩვენ ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიით, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადიოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღვოდა: გლეხების გათავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს, ერთი მხრით, ძველი თაობის განუკურნველ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და, მეორეს მხრით, გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება, მაშინდელს ჩვენს ახალგაზრდობას ხეირიანი დამზადება და იარაღი რომ გამოჰყოლოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსვლის დროს. რათ არ გამოჰყვა იმას ეს დამზადება და იარაღი?

VI

ამის პასუხს ჩვენ ადვილათ მოვძებნით, თუ კი გაკვრით თვალს გადავავლებთ იმ მდგომარეობას და გარემოებებს, რომელშიაც იზდებოდა მაშინდელი ჩვენი ახალგაზრდობა. ნუ დავივიწყებთ, რომ როცა ეს ახალგაზდობა სწავლას შეუდგა, ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ ისმოდა გაუმჯობესების საჭიროება და სურვილი. სწავლის მიმზიდველი ძალა, იმ დროს, მარტო იმ უპირატესობაში მდგომარეობდა, რომელსაც დიპლომები და «განათლების ბზინვა» ახალგაზდა კაცს სამსახურის ასპარეზზე აძლევდა. დაობებულ, უმოძრაო ცხოვრებაში აღზრდილ ახალგაზდას გზავნიდენ უნივერსიტეტში, სადაც საკმაო მოძრაობა არ ეძლეოდა ახალი მიმართულების ძალას. ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაჰყოლოდა, ის თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას. იმას როდი აკმაყოფილებდა ადამისწლის პროფესორების დაძველებული და მამაპაპური ლექციები, იმას არ აძინებდა დიპლომის იმედი და მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ყოველი ხეირიანი ახალგაზდის გონებაში ჯგუფ-ჯგუფათ იბადებიან და პასუხს მოუსვენარათ ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ თავიანთი შრომით და გაგებულებით, შეუდგენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პროფესორების ლექციებთან.

ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით, მეცადინეობდენ ესენი, დამზადებულიყვნენ ჩვენი ხალხის სასრგებლო მსახურებათ, და, რამდენათაც კი მაშინდელი გარემოებები და მათი ნიჭი იმათ ამის ნებას აძლევდენ, კიდეც მოემზადენ. ამგვარი იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი იმ დროის ახალგაზდების მომზადება. სხვები, ნაკლები ნიჭისა და ჭკუის პატრონები, ძველ გატკეპნილ გზას შეუდგენ. იმათ ლექციები იზეპირეს... მაგრამ ჩვენი პროფესორები და მათი ყურის მგდებელი ახალგაზდები ივიწყებდენ, რომ აუდიტორიაში ას მსმენელზე იქნება მარტო ერთი იყოს ისეთი, რომელიც სწავლის წინწაწევას და ფილოსოფიას შეუდგებოდა, და რომელსაც, მაშასადამე, ეს წვრილმანი ფაქტი როდესმე გამოადგებოდა. დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი კაცი კი ცხოვრებაში სამოქმედოთ, საზოგადოებაში სასამსახუროთ ემზადებოდა, და იმათ მორიელების კუდის გამოხატვა კი არა, თვითონ ამ საზოგადოების გაცნობა, მისი საჭიროების გამოკვლევა, მისი საექიმო საშუალებების გამოძებნა სჭიროდათ... იმის მაგიერ, რომ ეჩვენებიათ მოსწავლისთვის თანამედროვე მეცნიერების აზრი, მისი მიმართულება და დასკვნები, მოსწავლის თვალწინ, მომაკვდინებელი სიზანტით და მიმძინებელი უნიჭობით იმ გზას ხატავდენ, რომლითაც უვლია მეცნიერებას, და იმას კი არ ამბობდენ, რა გამოძებნა მეცნიერებამ, რა დაამტკიცა, რა შესცვალა და, განსაკუთრებით, როგორ უნდა შეიცვალოს ეხლანდელი ჩვენი ფიქრი და რწმუნება, ჩვენი ცხოვრება და განწყობილება, რომ მეცნიერების დასკვნას დაეთანხმოს და მისი საუნჯით ისარგებლოს კაცობრიობამ. მოსწავლის მეხსიერებას ათი ათასი უმნიშვნელო, ან წვრილმანი ფაქტების დამახსოვრებით ღალავდენ, მოაზრების ჩვეულებას კი მასში არავინ სძვრიდა. ამას გარდა უარესი ვნება იმას მოჰქონდა, რომ ფაქტებით ტიკჭორასავით გაბერილ ახალგაზდაში არავინ ზნეობით მხარეს არ ზდიდა. მოსწავლეს ფაქტებს აჩვენებდენ, მაგრამ არავინ არ სცდილობდა მასში ხასიათი და ზნე აეზარდა, პატიოსნების კანონები გულში ჩაენერგა, პატიოსანი შრომისთვის შეეჩვია... მარტო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყოს, კაცს კაცად

ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია, ამას ივიწყებდა უნივერსტეტის სწავლა. ის სრულიადაც არ ეხებოდა მოსწავლეებში ზნეობითი მხარის გაკეთილშობილებას, ის ახალგაზდა კაცს ცხოვრებას და მოქმედების მიზანს, იდეალს არ უხატავდა, ის მასში კაცურ ხასიათს არ ზდიდა და დაუღალავ, ნიადაგ შრომას, მტკიცე გზაზე სვლას, მიზნის დაუვიწყებლობას არ აჩვევდა. ამის გამო, უნივერსიტეტებიდამ გამოდიოდენ ახალგაზრდები, რომელთაც გაცნობილი ჰყავდათ პეპელები და ბუზანკალები, იუსტინიანის ინსტიტუტები, ეგვიპტური მონუმენტები. მაგრამ ნამდვილი ცოდნით, საზოგადოებრივი მეცნიერებით და სამოქმედო ხასიათით თვითონ პეპელებზე უფრო სუსტნი იყვნენ და ეგვიპტური მონუმენტებსავით უსარგებლო უნდა გამომდგარიყვნენ საზოგადოების ცხოვრებაში. მართლაც, უმეტესი ნაწილი ამ თაობისა პეპელასავით დაჰქროდა ქუჩა-ქუჩა და დღეში თხუთმეტ-ჯერ ტანსაცმელს და აზრს იცვლიდა...

VII

მაგრამ ვიმეორებ, თუმცა ახალი თაობა ასე სუსტათ მომზადებული და დაიარაღებული გამოვიდა, თუმცა მისი ძალა თითქმის მარტო ერთი კაცის ძალაში მდგომარეობდა, თუმცა ამ თაობამ ის ადგილი ვერ დაიკავა, რომელიც მისთვის გარემოებებს დაემზადებიია, ჩვენი საზოგადოების ცხოვრება იმ რიგათ მობრუნდა და შეიცვალა, რომ ძველ-თაობას მუხლები მოესხლიტა და ახალ მიმართულებას ასპარეზი თავისუფალი ხვდება და რჩება. ჩვენი ახალგაზდობა მეტისმეტათ შეცდება, თუ დაივიწყა, რომ ამ ბედნიერი მდგომარეობის მიზეზი და წყარო მარტო იმ ეკონომიურ ცვლილებაში კი არ მდგომარეობს, რომელიც გლეხ-კაცების ბედის შეცვლამ მოახდინა. მარტო ეს მიზეზი რომ ყოფილიყო, ძველი თაობა ამაყათ და მარჯვეთ ჩაჩუმდებოდა, იტყოდა, ძალას ვემორჩილებიო, ანა და ცვლილება მე თვითონ მომწონსო. არა. ძველი თაობა კიდევ და უფრო მეტათ მეორე გარემოებამ მოჰკლა... ეს მეორე გარემოება აი რაში მდგომარეობს.

ყოველი ძველი თაობის ძალა, არათუ მარტო ჩვენში, არამედ ყოველგან დედამიწაზე, იმაში მდგომარეობს, რომ ეს თაობა ეპატრონება მთელი წარსული ხალხის ცხოვრების სამკვიდრებელს. წარსული დროების მოაზრეები, მწერლები, აზრები და ჩვეულებები, წარსული დიდება და შეძლება, იმათი სიტყვით, მათი საკუთარი იარაღი და სამკვიდრებელია... დღეს რომელიმე ძველი თაობის მოთავემ რომ ამ სიტყვების თქმა გაბედოს, ჩვენ თაობას მისი ტყავის გართმევა შეეძლება, და საზოგადოების თანაგრძნობა ჩვენი თაობის მხრით იქნება.

მართლაც, რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას? ეკონომიური მხრით იმას გაღარიბებული და გატყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზნაურობა ღუპავს. პოლიტიკური მხრით – ზნე დაცემული, გაცალცალკევებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. ზნეობითი მხრით – გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის-ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანობის დავიწყება. ლიტერატურული მხრით – დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა. გონებითი მხრით – სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა. რომელ დიდებაზე მიგვითითებს

ჩვენ ძველი თაობა?... ის ხელცარიელია, გაკოტრებულია... იმას თვითონ აღარ სწამს თავის საკუთარი ღმერთები. იმას თავის საკუთარ თვალში მოჰკვდომია თავისი რწმუნება და იმედი... აი, ეს გარემოება ჰკლავს ჩვენში ძველ თაობას.

ახალი მიმართულება, ახალი თაობა შემოდის ჩვენ ცხოვრებაში, ეხლანდელი მეცნიერების დახმარებით, როგორც ამ მეცნიერების წარმომადგენელი, მისი იარაღით აღჭურვილი... ახალმა მეცნიერებამ, თავისი ორიოდე მოგონების ჩვენებით, მოჰკლა ძველი მიმართულება, ძველი სული და თაობა, და, იმედია, სამუდამოთაც მოჰკლავს ძველ ცხოვრებას. თუ ახალმა თაობამ ახალ მეცნიერებას, ხელი გაუწყო და მისი მისაღები ხეირიანათ გამოიყენა. როგორ?

VIII

ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო თავისი ტეხნიკური მხრით, შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ორთქლის გემით და სხვა იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველასთვის უეჭვო და ცხადი შეიქნა, რომ ვერაფერი თოხარიკი, ვერაფერი ხარ-კამბეჩი ვერ იმოქმედებს იმდენს, როგორც ერთი უბრალო ორთქლმავალი. ეს აზრი ჩაიქრა ხალხის ტვინში. უწინდელ დროში რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქლმავალს სასწაულებას მიაწერდენ და იტყოდენ, აი ბატონო, ილია წინასწარმეტყველი რომ ზეცას ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურმეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქმავალი კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონებით გამოგონილია, და ყველამ იცის, რომ მამა აბრაამს ის არ ჰქონია, და მამა იაკობი აქლემებით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარემოება ბევრ ცრუ მორწმუნებას სპობს და მოსპობს ხალხის ტვინში, და ღრმათ შეცვლის მის აზრს და მოქმედებას. მაგრამ არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუდგამს. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი, ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესობის გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას. ეს მხარე მეტის-მეტათ შესანიშნავი და გავლენიანია. ეს სწავლა პრაქტიკულათ გამოსადეგია ჩვენი საზოგადოებისთვის, მით, მაგალითად, რომ გვიჩვენებს, რამდენი უსარგებლო ვაი ვაგლახის აცილება, რამდენი მძიმე გაჭირვების გვერდის ახვევა, რამდენი ხეირიანი ძველის გამოყენება შეიძლება, გონიერათ რომ იყოს გაწყობილი საზოგადოების ცხოვრება. ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრიობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყნაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირათ გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთათ არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და, ძალისა დაგვარათ, ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას. ბევრი ამ სწავლის აზრებთაგანი ცხოვრებაში შევიდა, განხორციელდა, გამოდგა და გაძლიერდა. სხვების რიგიც მალე მოვა, და ნამეტნათ შორს არც ის დროა, როცა მთელი ეს მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ სწავლათ შეიქმნება.

აი, ამ სწავლას უნდა მოსთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი, რომლითაც საბოლოოთ უნდა დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო და ჩვენი ძველი თაობის უკანასკნელი ნავსაყუდი. როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრესს, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების ნაყოფის შემოტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხეირო ჩვეულებებს და გაწყობილებას. ჩვენმა ახალმა თაობამ ეს მეცნიერება რომ ისწავლოს და მისი დასკვნები და მაგალითები გაახორციელოს და ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების ყვავილები გვერდში ამოუყენოს, ბრმებიც კი დაინახავენ, რომ ძველმა ცხოვრებამ ბარგი უნდა აიკრას და სამარისკენ გაემგზავროს, როგორც ბარგი აიკრევინეს ნეტარ ხსენებულ ანტონ კათალიკოზს. მაშინ, უეჭველია, ახალი მეცნიერება იმ სარგებლობას მოიტანს, რომელსაც უნდა ელოდეს მისგან თანამედროვე კაცობრიობა და ჩვენთვის ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, ჩვენ მდგომარეობას და ეხლანდელ გარემოებებს ჩვენი ხალხისთვის არც იარაღი და არც იმედი დაუტოვებია, ერთის მეტი – მეცნიერების ნაყოფის გონიერათ მოხმარებით ფეხზე წამოდგომა და უმჯობესი მომავლის დამზადება და მოპოება. რაც არ დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა ცხოვრებამ, რაც მოგვტაცა ბედის და ძველი თაობის ბრმა ძალამ, ის უნდა ვეძიოთ ჩვენ მეცნიერებაში (პოლიტიკური ეკონომიის კანონების ცოდნა – რედ.) და მისი ძალით და დახმარებით უნდა გავამზადოთ მომავალი ბედი ჩვენი ქვეყნისა.

IX

მაშასადამე, ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენი ახალი თაობისთვის ცალიერი ასპარეზი და გვარიანი იარაღი დაუმზადებია. რანაირათ შეიძლება ამ ასპარეზით და იარაღით სარგებლობა... ამის გამოკვლევას დიდი დავიდარაბა როდი სჭირია. ჯერ ეს ვიკითხოთ, რა საქმე, რა შრომა ადგია კარზე ჩვენ ხალხს? რა საჭიროებები დააფიქრებენ ამ ახლობელ მომავალში ჩვენ საზოგადოებას?

ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში ცხოვრება ისე წაყრუებული და მიძინებული აღარ არის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინეთ იყო. ვინ არ იცის, რომ გლეხების გათავისუფლებამ ზოგიერთი მხრით ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა, რომელიც ხშირათ აფიქრებთ ჩვენ საზოგადოებას? ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებას და სასამართლოების ახალ წესს შესანიშნავი ცვლილებები მოსდევენ ქალაქების და მაზრების გამგეობაში, და როდესმე – ჩვენში ქალაქების საზოგადოებრივი გამგეობა და ერობა (земство) შემოიღება? ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში თითქმის ყველგან სურვილი იბადება, რაც შეიძლება უფრო სარგებლიანათ გამოიყენონ პატრონებმა თავიანთი მიწა-წყალი და ადგილ-მამული?... მაშინ ახალგაზრდობას, კეთილი და პატიოსანი სურვილის მეტი, ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნის გამოჩენა დასჭირდება; იმ ცოდნის, მაგალითად, რომელიც გზების გაყვანას, ხარკის განაწილებას, სკოლების მმართვას და სხვ. შეეხება. თუ მაშინ ახალგაზდობას საკმაო წევრები არ ეყოლა, ამგვარ ცოდნაში დახელოვნებული, თუ, ვთქვათ, იმან თვითონ, თავისი საკუთარი ძალით, ვერ მოახერხა ხალხის საქმეების გამგებლობა, რაც შეეხება სკოლებს და მაღაზიებს, გზას და ბეგარას, სასოფლო და სამაზრო სესხებს, და სხვ., შენი მტერია, ცუდათ წავა მაშინ რო-

გორც მთელი ერობის საქმე (რადგანც ძველ თაობას ამ საგნებში სულ არაფერი ესმის), ისე ჩვენი ახალგაზდობის გავლენა საზოგადოებაზე და ხალხზე.

აქედამ ცხადია, რომ როგორც წინანდელი მოაზრება ჩვენ საზოგადოებრივი მეცნიერების საჭიროებას გვიმტკიცებდა, ისე ჩვენი საზოგადოების ახლობელი მომავალი ჩვენგან ამავე მეცნიერების იმ ნაწილის ცოდნას მოითხოვს, რომელიც სამოქალაქო განწყობილებას შეეხება. რა რიგათ უნდა გაიწყოს ქალაქების შინაგანი მმართველობა, მაზრების და სოფლების წესი და დახმარება, რა უნდა ქნას საზოგადოებამ და ერობამ, რომ ხეირიანათ გააწყოს ადგილობრივი მმართვა... ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნით დაიარაღებული ახალგაზდობა, გარემოებების შემწეობით, ხმას ადვილათ ჩააკმენდინებს ჩვენს ძველს თაობას, რომელსაც უმისოთაც გვარიანი ბურთი უძევს პირში, და როგორც ამ ხმის ჩაკმედინებით, ისე იმ სარგებლობით, რომელსაც ის პირდაპირ ჩვენს საზოგადოებას მოუტონს, ის ადვილათ დაიკავებს ჩვენს ხალხის ცხოვრებაში იმ ბედნიერ ადგილს, რომელიც ხეირიან და ნამდვილათ განათლებულ და პატიოსან ახალგაზდობას უნდა ეკუთვნოდეს.

X

ეხლა ორიოდე სიტყვა იმაზედ უნდა ვთქვათ, თუ რანაირი განწყობილებაა საჭირო, ჩვენი აზრით, თვითონ ახალგაზრდებს შუა, რა რიგი საზოგადო მოქმედება უნდა ჰქონდეთ იმათ მხედველობაში, რაგვარი შეერთება ძალისა, რომ მათ შრომას და მოქმედებას რაც შეიძლება უფრო მეტი ხეირი და ბარაქა ჰქონდეს. შესანიშნავია, რომ ჩვენ ახალგაზდობაში, რომელიც რუსულ უნივერსიტეტებში ჩემ დროს სწავლულობდა, ხშირათ ყოფილა მოლაპარაკება «საზოგადო საქმეზე და შრომაზე», ხშირათ შემოტანილა აზრი შეერთებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე, მაგრამ არც ერთჯერ ამ აზრს და ლაპარაკს დასკვნა და ნამდვილი დაგვირგვინება არ ღირსებია. თითქმის ყოველთვის ახალგაზდები საქმეს ცხარეთ და ხალისიანათ ეკიდებოდენ, მაგრამ ყოველთვის, ორიოდ სხდომის შემდეგ აღტაცება და ხალისი ჰქრებოდა, ტყდებოდა აყალმაყალი რამე უბრალო საქმეზე ან კითხვაზე, შესდგებოდა «პარტიები», და საქმის მაგიერ გამოდიოდა უსაფუძვლო განხეთქილება და საყვედური... მაშინდელი ჩვენი ახალგაზდები, უმეტეს ნაწილათ, ისეთ საქმეს ჰკიდებდენ ხელს, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა და მოძრაობა არ უნდა ჰქონოდა, ან არ მიეცემოდა ნამდვილი საქმის და შრომის უქონლობის გამო. ახალგაზდობის ძალა და მოქმედების ხალისი ბაასში და ერთმანეთთან შეტაკებაში იხარჯებოდა. მთელი თვეების განმავლობაში ყმაწვილები სხვადასხვა «უსტავებს» სჯიდენ, სჩხრეკდენ, ანესებდენ, – იმისი არ იყოს, ეშმაკს ღვინო არ ჰქონდა და ტიკჭორას კი ალბობდაო. და ამ სჯისა და გარკვევის დროს უნებურათ სწყდებოდა უთანხმოება, სამდურავი, განხეთქილება და ერთმანეთის სიძულვილი...

მეორე მიზეზი უფრო სანუგეშოა. არაფერი არ აახლოებს კაცებს ერთმანეთს შუა ისე, როგორც საზოგადო მტერის, ან მოწინააღმდეგის ყოლა. როცა ეს მტერი ახლოს დგას, როცა ის თვალგამოხილულია, კაცი ინსტინქტით უახლოვდება თავის მოძმეს და წვრილმან განსხვავებას და უთანხმოებას როდიღა იხსენებს; და როცა სტყდება ბრძოლა, მაშინ ხომ სრულიად ივიწყება ყოველგვარი განხეთქილება და ერთი რაზმის მებრძოლები თითქმის ერთ

გვამს, ერთ თავს და ერთ მკლავს შეადგენენ. მაშინდელი ჩვენი ახალგაზდობა ნამეტნათ მოშორებული იყო როგორც მტერზე, ისე სამშობლოზე. მას თითქოს ბურუსში აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზე, მთებს გადაღმა, სამშობლოში, ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მეხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მეხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოს. და ამ ანგარიშის გაწმენდაში მისი მოძმე ახალგაზდა, რომელიც დღეს მის გვერდით დგას, საჭირო ან სასარგებლო იქნება. ეს ყველაფერი იმას კარგათ არ ესმოდა, ნამდვილათ იქნება არც კი სჯეროდა. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დღეს რკინის გზებმა ჩვენ ახალგაზდობას სამშობლო დაუახლოვეს. დღეს შინისკენ გასეირნება ადვილია. ფოსტა ათ დღეში მოდის, «დროებასაც» ხშირათ მოაქვს საქართველოს ამბები... დღეს სჩანს საქმე, სჩანს ასპარეზი, სჩანს გამარჯვების იმედი, სჩანს ნამდვილი რწმუნება, რომ ხეირიანი და გონიერი ახალგაზდა უსარგებლოთ როდიღა გაატარებს თავის სიცოცხლეს, თუ კი სარგებლობის მოტანა მოინდომა. ეს არაფერი არ სჩანდა უწინ, როცა ჩვენი ახალგაზდობა თავის უმჯობეს დროს, უბედნიერეს წელიწადებს უსარგებლოთ და უნაყოფოთ ჰკარგავდა პეტერბურგის და მოსკოვის ქუჩებში და აუდიტორიებში. ვინ იტყვის, რომ ამ ცვლილებას, ჩვენ ახლანდელ ახალგაზდობაში სულ სხვა ნაირი შრომის და მოქმედების აღძრვა არ უნდა შეეძლოს?

მართალია, ეხლაც სუფევს ჩვენ ახალგაზდობაში სხვა და სხვა ნაირი აყალმაყალი თუ არა, უთანხმოება მაინც, მაგრამ ეს ახალგაზდობის ხვედრია, და უამისოთ ახალგაზდობა ახალგაზდობაც არ იქნებოდა. მაგრამ დღეს მე უმეტეს ნაწილში უფრო თეორეტიკული, ვინემ პიროვნული, უთანხმოება შემინიშნავს... თვითონ ცხოვრება, რამდენიმე წლის შემდეგ, დაანახებს ჩვენ ახალგაზდობას, რომ არც მარტო «გონება გამხსნელი» მეცნიერება ვარგა, თუ კაცს მასთანა ისეთი ცოდნა არა აქვს, რომელსაც ცხოვრებაში პრაქტიკულათ გამოდგომა შეუძლია, და არც მარტო ტექნიკური მეცნიერება, თუ კაცი გონებაგაუხსნელია და ვერც ცხოვრებას იცნობს, ვერც მის კანონებს, ვერც მის მოვლენებს, და ამ რიგათ თვითონ იმ მაშინას ემსგავსება, რომლის მოვლა იმას მაშინალურათ ასწავლეს...

ამისთანა უთანხმოება და განხეთქილება დიდ ხანს ვერ გაძლებს, და ადრე თუ გვიან გაჰქრება ახალგაზდობაში. ამასთანავე, თან და თან უფრო გაიღვიძებს შეერთების სურვილი, რაკი შეერთებული შრომა საზოგადო მიზნისთვის უფრო და უფრო საჭირო და აუცილებელ საქმეთ გამოჩნდება...

XI

ციურიხში ამჟამათ ათიოდე ჩვენებური ახალგაზდა სწავლობს, ზოგი უნივერსიტეტში და ზოგი პოლიტტეხნიკურში. არ ვიცი, ბედათ უნდა ჩაეთვალოს იმათ ეს, თუ უბედობათ, მაგრამ რადგანაც მათ ციურიხელ დიპლომს ჩვენში ადგილის შოვნის ძალა არ ექნება, ეს ყმაწვილები ნამდვილი სწავლის, ნამდვილი ცოდნის მიღებას უნდა ცდილობდენ, თორემ მათი ღვაწლი და მგზავრობა ფუჭეთ ჩაივლის. ამ მიზეზითაა, თუ სხვით, – ესე იგი შვეიცარიულ ცხოვრების ნახედვით, იმათ განუზრახავთ, ისეთ ნაირათ წაიყვანონ თავიანთი სწავლა და ისერიგათ გამოიყენონ ურთიერთის ძალა და ცოდნა, რომ ყველა მათგანს შრომა გაუადვილდეს და

ნაყოფათ ხეირიანი დამზადება და გონების გახსნა დარჩეს. ამ მიზნის მისაღწეველათ ამ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ, უფრაზებოთ, უშფოთოთ, და უაყალ-მაყალოთ, ისეთი ძმური ამხანაგობის ან საზოგადოების შედგენა, რომელშიაც თითოეულ წევრს მოვალეობა ექნება ერთი რომელიმე საგანი შეისწავლოს და დანარჩენ წევრებს თავისი ცოდნა ამ საგანზე გაუზიაროს.

რადგანც მარტო ცალ-ცალკე საგნის შესწავლის გარდა, კაცს თანამედროვე საზოგადოების და ცხოვრების ცოდნაც სჭირია, იმათ ერთმანეთში გაუნაწილებიათ ახალი ისტორიის შესწავლა სხვა და სხვა ევროპიელი ხალხებისა, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა სხვა და სხვა ენებზე, ზოგიერთი ჩვენ ცხოვრებაში გამოსადეგი საგნების გამოცნობა და სხვ. და სხვ., და კვირაში ერთხელ, დანიშნულ დღეს, ისინი იკრიბებიან, და თითოეული მათგანი დანარჩენს უკითხავს, რაც შესანიშნავი რამ ნახა თავის არჩეულ საგანში. ამ ნაირათ ყოველი წევრი სარგებლობს არა თუ თავისი საკუთარი შრომის ნაყოფით, არამედ დანარჩენი ცხრა კაცის შრომითაც, და იტყობს ისეთ ამბებს, ისეთ ცნობებს, რომელსაც, მარტო რომ ყოფილიყო, ან ენების უცოდნელობით, ან დროს უქონლობით, ვერ შეიტყობდა, ან ვერ გაიგებდა. რადგანაც ამ ყმაწვილებს ეს საქმე გამოუწყიათ უფრო იმისთვის, რომ ერთმანეთს სწავლა და შრომა გაუადვილონ, იმათ როდი რცხვენიათ ერთმანეთის გამოკითხვა უცნობ საგნებზე, ან თავიანთი უცოდინარობის გამოჩენა. ისინი თავიანთ თავს შეუცდომელ ბრძენებათ კი არა, მოსწავლე ახალგაზდებათ სთვლიან. ამის გამო, თითოეული წევრისაგან წარმოდგენილი «ანგარიშის» წაკითხვის შემდეგ, იწყება თურმე გამოკითხვა, ახსნა, დამატება, გარკვევა და სხვ. ისე, რომ ანგარიშის საგანი გვარიანი სინათლით იბეჭდება მსმენელების გონებაში. რაღა თქმა უნდა, რომ ეს მეტის-მეტათ სასარგებლო და მომავალიანი საქმეა, მით უფრო, რომ ამ ყმაწვილებს, როგორც გავიგე, ძლიერ მტკიცეთ სურთ როგორც საფუძვლიანი სწავლის მიღება, ისე თანამედროვე ისტორიის გაცნობა, იმ მიზნით, რომ შემდეგში, სწავლის დასრულების მერმე, სასარგებლო და გამოსადეგ წევრებათ შეიქნენ ჩვენი საზოგადოების და ქვეყნისა...

XII

ეს ჩინებული მაგალითი, თვითონ ციურიხში უნაყოფოთაც რომ დარჩეს, მაინც გამოსადეგი და მიბაძვის ღირსი იქნება ჩვენი ახალგაზდობისთვის, მით უფრო, რომ მისი ხეირიანი გამოყენება ჩვენ ბევრ მცოდნე და დამარაგებულ ახალგაზდას დაგვიმზადებს. ერთათ სწავლა, ერთმანეთის ხელის გაწყობა რჩევით და სწავლის წყაროების ჩვენებით მარტო სწავლას კი არ გაადვილებს ამხანაგობის წევრებისთვის: ის თითოეულ მოზიარეს წაახალისებს, წააქეზებს და ძალას მოუმატებს საერთო შრომისათვის... შეერთებული სწავლის შემწეობით ჩვენში შეერთებული შრომის შეძლება დაარსდება. ყმაწვილები ერთათ შრომას, ერთათ რაზმში დგომას, ერთმანეთის კლავში კლავის გაყრას შეეჩვევიან, და ამით ჩვენი ახალი თაობის ძალა ერთი ათათ და ერთი ასათ გადიდდება. დღეს ჩვენ ის ნაკლულოვანება გვჭირს, რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასსავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდეს... საზოგადო საქმეში ყოველანაირი ხასიათი გამოსადეგია, თუ კი

მიზანი და პატიოსნება ყველას ერთი და იგივე აქვს... სხვა და სხვა გვარი ხასიათების და ტემპერამენტების გონიერ შეერთებას, ერთი და იმავე მიზნის მისაღწევლათ, დაასწავლის ამხანაგური სწავლა სიყმაწვილეში. და რაც უფრო დიდხანს გაძლებს ამნაირი ამხანაგობა, მით უფრო მტკიცეთ დაფუძნდება ჩვენ ახალგაზდობაში გონიერი სულგრძელობა წვრილმან განსხვავების და უთანხმოების შესახებ და შეურყეველი დაუვიწყარი მოთხოვნილება უმთავრესი საზოგადო მიზნისა და ხასიათის პატიოსნებისა.

XIII

ამნაირათ, ადრე თუ გვიან, ჩვენ საზოგადოებას შეეძინება გვარიანათ დამარაგებული ახალგაზდობა, რომელსაც პატიოსან მიმართულებას გარდა საფუძვლათ ცოდნა და მოხერხება ექნება. მაგრამ უსარგებლო არ იქნება დაუმატოთ აქვე, რომ ამ პატიოსან მიმართულებას, ამ ცოდნას და მოხერხებას ერთი ძვირფასი თვისება უნდა აგვირგვინებდეს, თუ ახალგაზდობას თავისი ძალის და სწავლის ხეირიანათ მოხმარება სურს. ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა. ვისაც ჩვენში ცხოვრება და მოქმედება სურს, – თუ კი იმას ცხოვრება ჯამაგირის ან შემოსავლის ქეიფიანურ ხარჯვათ არ მიაჩნია, – ის თავის საქციელს და მოქმედებას ისე უნდა აწყობდეს, თითქოს საბრძოლველათ ემზადებოდეს. ამისთვის აუცილებელი საჭიროა ამხანაგებთან დაახლოვება, საერთო მოქმედების დამარაგება, საერთო პლანის განესება, ისე, რომ მთელ ახალგაზდობას არათუ მარტო საერთო მიზანი, არამედ საერთო გზაც ჰქონდეს. ახალგაზდობას მისი რიცხვის სიმცირე ასუსტებს, და ამას ყველაზე უფრო ადვილათ ძალისა და ღონის გონიერი მოხმარება მოუხდება. ჩვენ ამ გონიერ ძალის მოხმარებას უნდა შევეჩვიოთ, უსარგებლო მიდებ-მოდებას თავი უნდა დავანებოთ და იმ რიგი განწყობილება უნდა მივცეთ ჩვენ ძალას და რაზმს, რომ თითოეულის შრომას პირდაპირი და ჯეროვანი სარგებლობა მოჰქონდეს. ჩვენ ერთი სურვილის, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთის მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი გონიერი მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთ მიზნისკენ მიდრეკილი ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი მეხი დავცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამპალ ცხოვრებას. მარტო ამნაირი, ამხანაგური განწყობილებით, შეგვეძლება ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და პატრონობა...

პარტიებზე ბევრი რამ იყო თქმული, მაგრამ ის კი ბევრს არ ახსოვს, რომ ყოველ საზოგადოებაში, რაგინდ ჩამორჩენილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარათ, ან მალულათ, სდუღს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება. და როცა პარტიებს შუა ბრძოლა სდუღს, როცა გაცხარებული წინააღმდეგობა და ქიშპობაა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას უნდა ერგოს საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა, საქმე თითქმის ყოველთვის იმ პარტიის სასარგებლოთ სწყდება, რომელსაც არათუ მარტო ხეირიანათ დამზადებული წევრები ჰყავს, თან გონიერი გამოყენება შეუძლია თავისი წევრების ძალისა და ცოდნის. ამ გამოყენების ნებას მარტო ერთობა, მარტო დისციპლინა აძლევს პარტიას. ამის მაგალითების მოყვანა განა საჭიროა?...

XIV

ახლა მკითხველი მეტყვის: – ეს ყველა ყველაო, მაგრამ რისთვის, ან რა მიზეზით დაგიწერია ამ სიგრძე ქადაგებაო. ეს მე თავში უნდა ამეხსნა, მაგრამ რადგანც იქ არ ამიხსნია, ეხლა მაინც შევასრულებ ამ მოვალეობას, და ვიტყვი, რამ გამომათქმევინა ეს შენიშვნები და მოაზრება. ჯერ ეს უნდა ვთქვა, რომ ეს მძიმე «ქადაგება» საყოველთაოთ დაწერილი არ არის. ის იმათთვისაა დანიშნული, ვისაც სმენა და გაგონება აქვს. ამის გარდა, ამ ნაწერში მოყვანილი შენიშვნები, უმეტეს ნაწილათ მაინც, ჩვენი ახალგაზდობისგან გამოთქმული აზრები და კითხვებია. მე იმათთვის ყური მომიკრავს აქა-იქ, შემითანასწორებია, შემიერთებია და ხელახლავ ერთიანათ იმათთვის წარმიდგენია, ვისგანაც გაგონილი მქონდა ზოგიერთი კერძოობითი შენიშვნა. ამას გარდა, ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენი ახალი ახალგაზდობა ბევრი აღარ ჩამოგავს უწინდელ თაობას, ბევრი მხრით წინ წასულა იმაზე და იმ სურათს დამსგავსებია, იმ იდეალს დაახლოვებია, რომელიც ჩვენ გვენატრებოდა, და რადგანაც ამ ნაირათ გაუკეთესებული ახალგაზდობის ძალის დაკარგვა ათასჯერ უფრო გულმომაკვდინებელი იქნებოდა ვინემ უწინდელი ყმაწვილების გამოუდგომლობა, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ორიოდე რჩევის და შენიშვნის მიცემა, ორიოდე გაფრთხილების და სურვილის გამოთქმა. ეს ჩვენი მოვალეობაც იყო და თან ჩვენი საქმისთვის გამოსადეგი საქციელი: ექნება ჩვენ ნაწერს კეთილი შედეგი თუ არა, მოიტანს ის იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ მისგან მოველით, თუ არ მოიტანს ამას, მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ, მომავალს, რომ თავი დავანებოთ, აწმყოც საკმაო საფუძველს გვაძლევდა ამ გრძელი «ქადაგების» დაწერისთვის.

მამულის სიყვარული და მსახურება, 1879წ. (ნაწყვეტი)

(დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილ ალმანახში «საახალწლო», რომელიც გამოვიდა 1880 წელს.)

ღირებულებები: ერი, საზოგადოება, პროგრესი,
პლურალიზმი, სამართლიანობა, თავისუფლება,
მოქალაქეობა, თანხმობა.

ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი, ეს ხომ ერთი და მეორეც ის, როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერების იარაღით აჭღურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოთ ჰფლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე იმ პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოთ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხის ძალა იღალება, სუსტდება და სრულიადაც ჰქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფა-

ნტება უხეიროდ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც ილევა ხალხის გონებითი და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშპობა და სამდურავი იბადება, ერთობა იკარგება, და ხალხი ორ ბანაკად იყოფა. ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანაკად...

რასაკვირველია, უმიზეზოდ როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად, ეს უბედური განაწილება და განხეთქილება. ჩვენს ქვეყანას ძველად მეომრები სჭიროდა, და მეომრებს რჩენა უნდოდა. ზოგი გარეშე მტერს ებრძოდა, რომ მშრომელი ხალხი უცხოეთლების შემოსევისაგან დაეხსნა, და ეს მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით არჩენდა, გულწრფელის გრძნობით ემსახურებოდა მის დამცველ ჯარს, რომელიც მაშინ მისი კეთილი, მფარველი ანგელოზი იყო.

მაგრამ დროთა ვითარებისაგან ამ ნაირი გონიერი შრომის განაწილება ჩვეულებად გადაიქცა, და ბოლოს მშრომელ ხალხს რჩენა და ბეგარა ისეთმა პირებმა მოსთხოვეს, რომელნიც მას არც მტრისაგან იფარავდენ, არც უცხოეთლების წინ ეხმარებოდენ... მიწა-წყალი ხალხს ხელიდგან გამოეცალა და მთელი ხალხი იმ კაცთ ყურმოჭრილ ყმად გადაიქცა, რომელნიც უსაქმოდ ცხოვრობდენ და უსაქმობის გამო მარტო სიამოვნებაში ან ქეიფში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს... ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მენველი ძროხის მდგომარეობიდგან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვიახლოებს, ჩვენის მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის გათავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულ-მდგომარეობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება, მაშინ დაძმობილდება, მაშინ შეადგენს ერთ ძმურ ოჯახს, როცა სადაო არა ექნებათ რა სხვადასხვა წოდებას, როცა ყველანი შრომას გაერთობიან და შრომას ისე გაინაწილებენ, რომ თითოეულის შრომა ყველა სხვის შრომის გაადვილება იქნება და არა გაძნელება.

ამის მაგიერ, რომ ნამდვილი განხეთქილების შემცირებას ან მოსპობას ვცდილობდეთ, ჩვენ რას ვშვრებით? გვინდა გავყუჩდეთ ამ საწყენს საგანზე, გვინდა ხმა არ ამოვიღოთ, გვინდა გაჩუმებით დავაჯეროთ გარეშე პირები, თითქო ჩვენსა, ჩვენის ხალხის ოჯახში, მართლა ერთობა და ძმობა მეფობდეს... ათასი რომ ვიყვიროთ, – ჩვენში ერთობა სუფევსო, ძმობა მეფობსო, კეთილი განწყობილება არსებობსო, ამით, ჩვენ მარტო საკუთარ თავს მოვატყუებთ, ჩვენ ხალხს ვავნებთ, მის მომავალს წავახდენთ... ჩვენს ცრუპატრიოტებს კი – ამ უკანასკნელის წლის განმავლობაში – მეტი შრომა არა ჰქონიათ რა, რომ ეს ბრძოლა, ეს განხეთქილება დამალონ, მათზე ხმა არ ამოიღონ... ჩვენი ცრუპატრიოტები რომ თავის მამულის გონიერნი მსახურნი იყვნენ, მათი პირველი და უმთავრესი შრომა ჩვენი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე იქნებოდა მიქცეული...

ზემოთ ვსთქვი, რომ ჩვენი ხალხის სხვადასხვა წოდებას შუა ბრძოლა არსებობს. ბრძოლა ორნაირია ქვეყანაზე. არის ერთი ბრძოლა, მავნებელი და დამღუპველი, ბრძოლა ლუკმა

პურისათვის, დამშეულებს შუა ბრძოლა, როცა ერთი მეორეს პირიდგან საჭმელს სტაცებს და თითოეული მარტო სხვისგან წართმეულით რჩება. ამგვარი ბრძოლა კიდეც კლავს, მაგრამ მეორე ნაირი ბრძოლაც არის ხოლმე ხალხში გამართული, თავმოყვარეობის ბრძოლა, ქიშპობა იმაზე, თუ ვინ როგორ ისახელებს თავს, ვინ აჯობებს თავის ტოლს, ვინ უკეთესად წაიყვანს საქმეს. რამდენადაც ხალხის ბედისთვის მავნებელია პირველი გვარი ბრძოლა, სწორედ იმდენად სასარგებლოა მეორე ნაირი. ჩვენს პატრიოტებს კი ამ ორ ნაირ ბრძოლას შუა განსხვავება არ სმისთ. იმათ სადღაც ყური მოუკრავთ, რომ ბრძოლა მავნებელიაო, და ის კი ვერ გაუგიათ, თუ რანაირი ბრძოლა ყოფილა მავნებელი, და რანაირი – სასარგებლო. იმ ნამდვილსა და დამღუპველ ბრძოლას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ისინი კალთას აფარებენ და მალვენ. მაგიერად ცდილობენ მოსპონ ჩვენში მეორე ნაირი ბრძოლა, რომლისგანაც ჩვენ ყველანი მარტო ამ მეორეს უნდა ველოდეთ, ცდილობენ კაზარმული წესი შემოიღონ და დაუხშონ გონება ყველას, ვინც მიზნისკენ მათსავით ზანტად არ მიიკლაკნება. რაც უფრო რომელიმე ხალხი მდიდარია გონებითის ძალით, რაც უფრო მოძრავია, ძლიერია მისი შვილების ჭკუა-გონება, მით უძლურია მასში ეს მეორე ნაირი ბრძოლა. მაგალითად, თუნდ საფრანგეთი დავასახელოთ, ან ინგლისი... რამდენჯერ მომხდარა ხოლმე, რომ ლუი ბლანი გამბეტას შეტაკებოდეს, ან გამბეტა ლუი ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და მთელი ევროპის წინ. ხან ერთს მათგანს გაუმარჯვია, ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებლებია... საფრანგეთის ხალხი მარტო მით არის ძლიერი, მარტო იმით სჯობს სხვა ხალხს, რომ ათას და ათი-ათას ამგვარ ბრძოლას მისი გონება განუვითარებია, მისი გამოცდილება გაუდიდებია, და საკუთარის ჭკუით სიარული უსწავლებია...

აზრების ამნაირი ბრძოლა მით უფრო სასარგებლოა, რომ ის სრულიადაც არ სპობს ნამდვილ დისციპლინას, რომელიც ყოველი მოქმედი საზოგადოებისთვის აუცილებლად საჭიროა. დაბნევის, გაცალკევების საჭიროებას კი არ ვქადაგობ. როცა ვამბობ, აზრების ბრძოლა და შეტაკება სასარგებლოა ჩვენი საზოგადოებისთვის მეთქი. სრულიადაც არა. ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა, და მერე თუ ნამდვილად მამული გვიყვარს, თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობაზედ უფრო დიდათ მიგვაჩნია, ყველა იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღოს. ამ უმრავლესობისგან მიღებულის გადაწყვეტილების ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გამოსადეგ დისციპლინას და არა ფელდფებლური მონობა ერთის რომელისამე კერპისა, – და არა თვალდახუჭული დაჯერება მისი, რასაც ეს კერპი წამოროტავს ან ბრძანებს.

ათასჯერ შეტაკებულან მწერლობაში და პარლამენტში გამბეტა და ლუი ბლანი, მაგრამ არც ერთის მათგანისთვის ამ შეტაკების სიმწარესა და დაუზოგველობას არ დაუშლია ერთად ყოფნა ყველა იმ კითხვებისა და იმ საგნების განრჩევასა და განსჯაში, რაც რესპუბლიკის ინტერესებს ეხებოდა. საქმე რომ კენჭის ყრაზე მივარდებოდა, გამბეტას კენჭი და ლუი ბლანის კენჭი ორივე ერთსა და იმავე უჯრაში ერთად ვარდებოდა, ორივე ერთად ან «ჰოს» ამბობდენ, ან «არას». ერთი მეორის ჯიბრით კი არ მოქმედებდა, ერთი მაშინ როდი იძახოდა «არაო», როცა მეორე «ჰოს» იტყოდა. უთანხმოება მათს შორის მარტო იმაზე იყო, – მტერს რა გზით მოვერიოთო, მაგრამ მტერზე რომ საქმე მივარდებოდა, ორივე ხან ერთნაირად ებრძოდა მტერს, ხან თითოეული თავისებურად...

რაც ჩვენის მომავლისთვის საჭიროა, იმას ჩვენ როდი ვიკარებთ, მაგიერად მავნებელს კი გულში ვიხუტებთ. აზრების სიუხვეს, შედარებას, ნინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვათ ვთვლით ვდევნით; გვგონია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა ყველა ჩვენის ქვეყნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაყვებიან... ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვანყობთ. განა ეს უბედურება არ არის, მაშ რა ოხრობაა? დისციპლინა დიდი რამ არის ხალხის ცხოვრებაში. დიდი უბედურებაა ხალხისთვის, როცა მისი გონებითი და ფიზიკური ძალა დაფანტულად, უთავბოლოდ, უგზოუკვლოდ იხარჯება. შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო პირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი ან ათი ათასი გენიოსი, ცალცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა... გონიერი შრომის შეერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ათასი კაცის ტვინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს, რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ, სულ ერთიანად შრომაზედ იყოს მიქცეული, რომ ამ ძალისაგან ან ამ მოხერხებისაგან არაფერი იკარგებოდეს... მაშინ საქმე კარგად ნავა და ერთი მოთავის ბედზე როდიღა იქნება დამოკიდებული საქმის, ქვეყნის იღბალი. თუნდ მოკვდეს ეს მოთავე, თუნდ ნახდეს, თუნდ შეცდეს, თუნდ ათას სხვა მოთავეს დაემართოს ამგვარივე უბედურება, მშრომლების საქმე მაინც ხეიეიანად ნარმართული იქნება: მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს, თითქმის თითოეულს ამ მშრომელთაგანს მოთავედ გახდომა შეეძლება, და საქმე უპატრონოდ თავის დღეში აღარ დარჩება. მაშინ მოთავე მარტო დროშაა საქმის, ის დროშა, რომლის გარშემოც რიგზე დგებიან გონიერი მშრომელები. მაშინ ეს დროშა მარტო მას მიებარება, ვინც ყველაზე უფრო მაღალია, ვისაც სხვაზე უფრო შორს უჭრის თვალი...

ნუ დავივინყებთ ამას, და ამ მხრით გადავხედოთ აბა ჩვენს მდგომარეობას. აქაც შევეყრებით ზოგიერთს ისეთს კანონს ისტორიული განვითარებისას, რომლის ცოდნაც უსარგებლო არ იქნება ჩვენთვის.

VII

უნინდელს დროში ჩვენს საზოგადოებაში მარტო ბრმა დისციპლინა არსებობდა. მთელი მხარე ან მთელი ხეობა, ან მთელი სოფელი ერთს კაცს მიჰყვებოდა... როგორც ცხვრის ფარა თხას, გაჰყვება ხოლმე. დღესაც ბევრია ამისთანა მაგალითი ჩვენს თვალ-ნინ, დღესაც ბევრს ალაგს მინახავს, რომ დიდი ჩინით ან დიდი სიმდიდრით აღჭურვილს კაცს, გონებით კი ღარიბს და ხასიათით სუსტს, უშველებელი ხმა და გავლენა ჰქონოდეს საზოგადოებაში. ათასი და ათიათასი უჯერის მას, და იმას კი არავინ კითხულობს, მართლა ჭკუისთვის, ან პატიოსნებისთვის მისცეს ეს ჩინი, მართლა ჭკუითა ან პატიოსნებით მოიგო ეს გავლენა?.. ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ამ პირველ-დროინდელს მდგომარეობაშია.

მარტო ახალგაზრდობის მცირედი ნანილი გამოვიდა, როგორც იქნა, ბრმა მონების კლანჭებიდგან, და, რასაკვირველია, იმნამსვე მეორე უბედურებაში ჩავარდა... ჩვენი ახალგაზრდობაც ასე მოიქცა... ადვილად მიხვდა, რომ უშველებელი უგუნურობა ყოფილა ეს ბრმა მორჩილება: რაკი ამაზე შუბლი მიახალა, ის მოტრიალდა და პირდაპირ მეორე გზას

დაადგა: «აღარავის დაუემორჩილები, სხვისას აღარაფერს ვიწამებ, მარტო ჩემს საკუთარ შეხედულებას გავყვები, მარტო ჩემს გონებას ვიცნობ»! უწინდელს მონობას უეჭველად ეს შედეგი უნდა მოეტანა. ამის გამო, ეხლანდელი ჩვენი ახალგაზრდობა დაფანტულია გონებითად: ზოგი მარჯვნივ მიდის, ზოგი მარცხნივ, ზოგი წყლისკენ მიიწევს, ზოგი ტყისკენ, ზოგი ხტის, ზოგი წევს, ზოგიც სეირნობს... საზოგადოებრივი მეცნიერება ხეირიანად შესწავლილი და გაცნობილი რომ ჰქონდესთ ამ ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენი საზოგადო კითხვების უმეტეს ნაწილზედაც ერთი აზრისა და შეხედულობის იქნებოდენ, ისე, როგორც ყველა თანახმაა ახლა იმისი, რომ ორჯერ ორი ოთხია, ან იმისი, რომ სახლის ასაშენებლად ჯერ საძირკველი უნდა გათხაროს კაცმა, მერე კედლები ამოიყვანოს, და მერე ჭერი გააკეთოს და არა ამ ჭერის გამართვით დაიწყოს სახლის შენება... ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი კი ამ სიბრმავის სიძულვილით დაფანტულად და ცალ-ცალკე დახეტიალობს. ამ ხეტიალის უსარგებლობა და მავნებლობა ბევრს ესმის.

ბევრი ქადაგობს, არ ვარგა ამგვარი დაფანტულობაო. ბევრი იხვეწება – ერთობა ვიქონიოთო, ერთი მიზნისკენ წარვემართოთო... ხალხში ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა ამისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად გათავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა, სწორედ ისე ახალგაზრდობის ცხოვრებაში, გონიერი და საჭირო დისციპლინა მარტო მაშინ დაარსდება, როცა ჩვენი მოთავეები ბრმა მორჩილების ძებნას დაიწყებენ, და მარტო თავისი გონების ძალით, მოიგებენ ახალგაზრდობის შემუშავებულს, მონიფებულს, თვალ-ახელილს გონებას... ამის მაგიერ ჩვენი მოქმედი პირები იმ საქციელს ადგიან, რომელიც მხოლოდ მცირე საქმეს, ვიწრო ამხანაგობას, უმომავლო მიზანს შეეფერება, და არა დიდს, სახალხო, საქვეყნო საქმეს... რაც კი რამ გაკეთებულა ქვეყანაზე დიდი ან სახეირო, ხალხისთვის, გაკეთებულა აშკარად, საქვეყნოდ, პირდაპირ, მარტო პატიოსანი საშუალებით, მარტო ნამდვილის ძალით, გონებითის ან ფიზიკურის ძალით, და არა ოინობით, პირფერობით, ფარისევლობით, და სხვა ამ რიგი საშუალებით. მარტო «კლიკას», ავაზაკურს ბრბოს შეეფერება ქვეშქვეშურად მოქმედება საზოგადო ასპარეზზე, მარტო უმომავლო ხალხს, დაცემულს და უიმედო საზოგადოებას მოუხდება დაფაროს თავისი თავი, თავისი მიზანი და საშუალება, და ჩუმ-ჩუმად, მალულად ეძიოს თავის ხსნა... ნუ-თუ იქამდი დაეცა ჩვენი ხალხიც, იქამდი ბოლო მოეღო საქართველოს, რომ ამნაირი უმომავლო და უიმედო ქვეყნად უნდა ჩავთვალოთ? ნუ-თუ მარტო იეზუიტური გზა დარჩენილა მის საშველად, მარტო ოინების, სიცრუის და თვალებისახვევის გზა? ნუ-თუ ჩვენი ხალხი იმდენად დაცემულა, იმისთანა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ვეღარ აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ გზას, ვერ მოინელებს იმ საზრდოს, რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან აძლიერებს?... ხალხი კი აღარ ყოფილა, ველურთ უბანი ყოფილა, სულითა და გულით დაცემული, და რაღას უშველის მასზე ზრუნვა ან მისთვის შრომა?.. მაინც ხომ ვერ აღადგენს მკვდარს ეს იეზუიტური და მიმაძინებელი გზა, ეს საზოგადო გონების დამხშველი მოქმედება!

VIII

მაგრამ ეს ტყუილია, – ჩვენი ხალხი, ღვთის მადლით, შორს არის ამგვარ უიმედო მდგომარეობისაგან. ღმერთმა ნუ ჰქნას, ამისთანა უბედურებაში რომ ჩავარდეს... არა, ჩვენი ხალხი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდნილა. ის სულ სხვანაირი სამსახურის ღირსია.

ღირსია, რომ მისი საქმეც ისე წაიყვანოს მისმა მოთაურებმა, როგორც ყოველი ხეირიანი ხალხის საქმე წაყვანილა ქვეყნიერებაზე. ეს ჩვენი ხალხიც ღირსია, რომ გონება განვუვითაროთ, აზრის მუშაობას შევაჩვიოთ, საკუთარის ხელით მოვანშენდინოთ მისი წყლულები, საკუთარის შრომით გავამართვინოთ სამართლიანი განწყობილება, საკუთარის მუხლით სიარული დავაწყებინოთ, და ყველა ამას, ხომ, მარტო პირდაპირი, ყველასთვის აშკარა თვალსაჩინო შრომა მოიტანს... მაშ, ტირილსა და გოდებას თავი დავანებოთ, დავივიწყოთ უხეირო ოინები, ნუღარ ვიკადრებთ იმ გლახურ ცრემლის ჩვენებას, რომელსაც ამოდენა ხანია მისცემია ჩვენი მწერლობა... თუ მართლა გნამს მისი მომავალი, თუ მართლა და გულწრფელად გვინდა მისი მსახურება, ერთი სიტყვით, თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით – სამართლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით – მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თითონ გვაქვს, იმ მომავლისკენ უნდა მიუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვნამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა. მარტო ის ხალხიაო ღირსი ბედნიერების, სთქვა ვიქტორ ჰიუგომ სომხებზე, რომელიც მომავალს შეჩერებიაო; და ვინც მარტო წარსულს შესცქერის, ის სამარეს ითხრისო...

მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ – მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც. ხალხის ცხოვრებაშიაც ის კანონი მოქმედებს, რომელიც აღებ-მიცემის დედაბურჯად დგას: ყველა მარტო იმ კაცს ენდობა, მარტო იმას ასესხებს ფულს ან კრედიტს გაუხსნის და შემწეობას მისცემს, ვისაც თავისი რამ აქვს შესაფერი. – აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჯერ ჩვენი რამ შევიძინოთ, ჩვენდათავად გავძლიერდეთ, ჩვენი მუხლი და წელი გავიმაგროთ და მაშინ ერთი დასტვენის მეტი არაფერი დაგვჭირდება: მაშინ ყველას ჩვენი ნდობაც ექნება, პატივიც და რწმუნებაც, მაშინ ყველა მეგობრებად გაგვიხდება და შემწეობას არავინ დაგვაკლებს. მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზლუქუნი, არც ჩურჩული. და სანამ ამ „საკუთარის გაძლიერების" გზას გულდაგულ და პირდაპირ არ დავადგებით, მანამდი კი ათასიც რომ იბღავლოს ჩვენმა მწერლობამ, ათასიც რომ იჩურჩულონ ჩვენმა მოქმედმა პირებმა, კაცი ყურადღებას არ მოგვაქცევს და შემწეობას არ გვაღირსებს, ყველას ის აზრი ექნება თავში: «სუსტი ხარ, ქვეყანაზე ადგილი რათ გიკავია, თვალს რათ გვჭრი შენის წყლულების ჩვენებით, რა გიყო, რა გიშველო, ხომ ფეხზე ვერ დაგაყენებ, თუ შენდა-თავად წამოდგომა არ შეგიძლიაო»!

მოახერხებს ეხლანდელი ჩვენი თაობა ამ საქმის წაყვანას, ამ მიზნის მიწევნას კი არა, ძებნას? არა მგონია. ერთობ შეჩვეულია ის ზლუქუნსა და ტირილს, ერთობ ნაჩვევია სხვისი იმედით ყოფნას, ერთობ გადაჩვეულია სიარულს, საკუთარის ძალით სარგებლობას... დროა, დიდი ხანია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედ - მოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რომელსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებლობა მოითხოვს...

... თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა... ოცი წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ჩვენი ქვეყანა, ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნები, მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... მაშინ რუსე-

თისთვის საჭირო და დასაფასებელი იქნება ჩვენი-ხალხის დახმარება... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზა- მზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინა. ამნაირად დამარაგებულ ხალხს ექნება ადგილი ხალხთა საერთო ტაბლაზე... და ვინც მაშინ დაფანტული, უძლური იქნება, მას არავინ ყურადღებას არ მიაქცევს...

ჩემ პოლიტიკაზე, 1913წ. (ნაწყვეტები)

დაიბეჭდა ცალკე ბროშურად გაზეთ «იმერეთის» საპასუხოდ, ხელმოწერით ნ. ნიკოლაძე.

ღირებულებები: ერი, საზოგადოება, პროგრესი,
სამართლიანობა, თავისუფლება, პასუხისმგებლობა,
პროგრესი, მოქალაქეობა, თვითმმართველობა, დემოკრატია.

მოკლედ გიამბობთ ჩემი დროის ქართველ მოღვაწის გასაჭირს: იქნება მით მომავლის საქმე გაადვილდეს. მთქმელს გამგონი უნდა. როცა ჯეროვანი ურთიერთობა არ მყარდება ამ ორ მხარეს შუა, წვალებას გაცლა სჯობს. ნამეტანი ვიმეცადინე მწერლურ (ჟურნალისტურ – რედ.) ასპარეზისთვის მზადებაში. ამ მიზეზით მიჭირდა და ახლაც მიჭირს, საერთო ხოროსთვის ბანის მიცემა. როცა ქართულ მწერლობაში გავები, მის თარს მარტო ერთი სიმი ება, შიგ მარტო ერთი, დიახ, სწორი, მაგრამ ერთობ ცალმხრივი, დედა-აზრი სუფევდა. ჩვენს განვითარებაში ის (კეისრისა კეისარსა!) 1830 წლის მოძრაობას შემოეტანა და გრიგოლ ორბელიანს დაემყარებია: დედა-ენის დაცვა. 1860 წ. მოძრაობამ ამ საქმეს ახალი მსახურები მიაშველა: სტამბა, შკოლა, სახელმძღვანელო. ჩემმა დამზადებამ დედა-ენა, მიზნად კი არა, მარტო ერთ იარაღთაგანად მაჩვენა ერის კეთილდღეობისა. მესმოდა, არა მარტო ენით იკვებება ხალხი, ქართული ენა სისრულით ხელთ ეპყრა ჩვენს ერს, როცა მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში თითოეულად შემოეცალა ყოველივე ის, რაც ეროვნებას შეადგენს. მაშ, არც მარტო ენა აღადგენს ამ ეროვნებას მეთქი, ვფიქრობდი. საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველ-მყოფი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას, და თვითმართველობას. ძველი მოღვაწეების ნაშრომის შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლაებისგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მაგალითად ყველასგან ერთიანად დავიწყებულ საადგილ-მამულო ბანკები.

ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ (დამფუძნებელთაგან ახლა მეტი არავინ მეგულება ცოცხლებში), რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წ.წ., რამდენ ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თფილისის ქა-

ლაქის თავად სომხებს დიმ. ყიფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვითმმართველობა შემოვაღებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობათ გავაფართოვეთ. რასაკვირველია, ახალი საქმეების აღძვრას მოჰყვა შეტაკება სხვა და სხვა აზრებს, ინტერესებს, თავმოყვარეობათა შორის. ეს «ალიაქოთი» სულ მე დამბრალდა. ვინც დედა-ენის მეტს არას იცნობდა, დამემდურა, ძალას უსარგებლო საქმეებზე გვაფლანგვინებსო. შკოლის მეტი აღარა გვქირია რაო. ყველა ეს ხიზნის, ბანკის, თვითმართველობის საქმეები ქართულ ერთობას არღვევენო. გაგონილა ქართველობაში ასეთი შფოთიო?

გამოველ «შინაურ მტრად». დავღუნე თავი, მოვშორდი ქართულ მწერლობას. მუდამ ერთ სიმზე ჟღერა ვის არ მობეზრდება? ვიფიქრე: შინაურ ბრძოლას სჯობს სხვა სარბიელი მოვიძებნო მეთქი. რაკი უმეტესი ნაწილი იმ საქმეებისა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის ბედი ჰკიდია, რუსის მთავრობის ხელშია, მოდი რუსულად ახსნას დავუწყებ ჩვენს გასაჭირს, იქნება ამით ვისმე ვარგო მეთქი... სრულიად დავივიწროვე მოქმედების ფარგალი, ვეხებოდი მარტო იმ საქმეებს, რომელნიც არავის წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდენ: გზებს, არხებს, პორტებს, ვაჭრობას, მრეწველობას, ჯანმრთელობას, თვითმმართველობას. ჩვენში ესეც არავის ეპიტნავა... მღაღადებლის ხმად რჩებოდა უდაბნოში... ქართველობის პოლიტიკურ ბედზე ერთაზროვანს, ერთბანაკად მდგომს ერს რა არ გაუვიდოდა? ჩვენ კი ამ პსიხოლოგიურ ხანაში ერთმანეთს შევესიეთ და შევაკვდით, ერთმანეთი გავაბათილეთ. ყურადრებას ვინღა მოგვაქცევდა? მტერ-მეზობელი ყველა იმას ლოცულობდა: «ნამკიდებელო ნაკიდე, ორივეს თავი ნაწყვიტეო!» მტრის გულისა გავხდით, მიტომ, რომ თავის დროზე ურთიერთობა ვერ მოვიწესრიგეთ.

რაგინდ მებრძოლი ტემპერამენტი მქონოდეს, რაგინდ მართალი ყოფილვიყო, უნდა მოვერიდებოდი ახალთაობასთან ბრძოლას, ასეთ შემთხვევაში თვით გამარჯვებაც კი დამარცხებაა იმისთვის, ვინც ქვეყნის სიკეთეს პირად თავმოყვარეობაზე მაღლა სთვლის. ახალთაობისთვის ამგვარი შეცთომა იმნაირადვე აუცილებელია, როგორც მოზარდ ბავშვისთვის სხვა-და-სხვა «ასაკის სენი»: კბილების ქრა, წითელა, ყვავილი, ქუნთრუშა, ცუდყვავილა. მათი ერთად ერთი წამალი დროა...

ამ დუმილს, ამ თავის-კვლას არათუ არავინ მიმადლის, პირიქით, მაყვედრიან! ხმას ძალად რომ ამომაღებინებენ, უარესად მემდურიან, თავისას რათ ამბობს, რატომ არ გვეთანხმებაო. თავისუფლების, დამოუკიდებლობის მცველები ვართო, და იმის ნებასაც არ მაძლევენ, – გულში დამარხული მქონდეს საკუთარი აზრი. უნდათ, მეც ისეთ მჩვრად მაქციონ, რომელიც ბრბოს ფეხის ხმას მიზდევს, იქნება წინამძღვრად ჩავითვალოო. ნურას უკაცრავად: სამსახურს თამაშად ვერ გავხდი!...

V

სამი მტერი ჰყავს ქართულ განვითარებას. ერთი – საკუთარი მწერლობის აზრის სივიწროე, თუ ინერცია გახლავსთ. მარტო ის სწამს და ახსოვს, რასაც დიდი ხანია შეჩვევია. დედა-ენის მეტი თუ რამ სჭირია ერს, ბევრს როდი ესმის. მეორე უბედურება ის გვჭირს, რომ

ოჯახი, შკოლა ჯერ როდი გვაძლევს საკმაო მომზადებას. ამის გამო სხვის ლიტერატურაშიაც უფრო მჩატეს, შემცდარს, შეშლილსა და უვიც მწერლებს ვეწაფებით, ვინემ თანამედროვე ცოდნით დაიარაღებულს. მესამე, ორივეზე უფრო მძიმე გასაჭირი ისაა, რომ ვისაც ჩვენში ღირსებია ნამდვილი განათლების, სწორე ცოდნის, შეძენა, ის როდი ეკარება ჩვენს მწერლობას, ან ჩვენს საზოგადო საქმეებს. ამ მიზეზით ესენი თითქმის ერთიანად ერთობ დაუმზადებელ მეთაურების ხელშია. სულ ცოტა, ჩემ დროს ათას კაცს მაინც გაუთავებია ჩვენგანს უმაღლესი სასწავლებელი. სადაა მათი გავლენა ხალხის აზროვნებაზე?..

ბრძოლას კი არ უარვყოფ, – როგორც ბ. ურო მწამებს, – ვამბობ, ბრძოლას შესაფერი მზადება უნდა მეთქი. აი, მაგალითად, რა შედარებით ვხსნიდი იმ ბრძოლის უნაყოფობას, რომელიც მოწინავე რუსის პარტიამ ამ ოცდაათი წლის წინათ მოიხადა და წააგო. ვადარებდი რუსეთის და საზღვარგარეთელ წრეებს... თვით ბ. უროც გრძნობს თავის მხილების სისუსტეს.

«ნიკოლაძე მხოლოდ სიტყვით უარჰყოფს ბრძოლას, საქმით კი ის მებრძოლი იყო და არის. მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ბრძოლაა, თუმც ამ ბრძოლას საფუძვლად პრაქტიკული მიზანი უდევსო,» სწერს.

ნუთუ, მარტო ლიტერატურული ჩემი მოღვაწეობაა ბრძოლა? საზოგადოებრივიც რომ ბრძოლა არ იყოს, ამდენი მტერი განა დამესეოდა? ხომ არ ვმწერლობდი ახლა? ხედავთ, მაინც, წაქცეულსაც მებრძვიან. რომელ პირადი მიზნის მიმდევარს გასჩენია სადმე ან როდესმე ამდენი მოწინააღმდეგე, განა თვით ამ ბრძოლის სიმწარე არ აჩენს მის სიმაღლეს? სასაცილო ისიც არის, რომ ჩვენს მეტაფიზიკოსს ჩემი ბრძოლის საფუძველი – პრაქტიკული მიზანი – ნაკლად მიაჩნია! მართალია, სიცოცხლე, ლექვივით, მთვარისთვის ყეფაში და ზუვილში არ გამიტარებია. მიუწვდომელ ოცნების, ბრმა მიმბაძაობის მაგიერ მიზნად ყოველთვის მქონია ჩემი ქვეყნის მორიგი საჭიროების შესწავლა, დაკმაყოფილება. ამ ჩემმა «პარქტიკულმა» მიმართულებამ, არა თუ ზოგი რამ გამარიგებინა, იმ საცოდაობას და პასუხის გებას გადამარჩინა, რომელიც ჩემ მოწინააღმდეგების ხსოვნას სამუდამო დაღათ დაემჩნევა. არავინ გამიბრიყვებია რჩევით, – რასაც ფლობთ, რასაც გაძლევდენ, წიხლი ჰკარით, მანანა მოგელისთ ციდამო. არავინ დამიღუპავს უსწორ, უიმედო ბრძოლაში ჩათრევით, არავის დატანჯული სახე სინიდისს არ მიშფოთებს: მე სადა ვარ, და შენ სადო? ჩემ ნაშრომში ვერავინ ვერაფერს გამოძებნის ქვეყნის შემცდენელს, მღუპველს. მას ბევრი ხამი თაობა დატაკებია, მთვარეს რათ არ ეპოტინებიო, მაგრამ ვინც მონიფებულა, მიმხვდარა, რომ ეს ღირსება ყოფილა. დაე, ბ. ურომ ამას «მონობამორჩილება» უწოდოს, «ბიუროკრატიის მსახურება,» იმის დაწერაც გაბედოს «ნიკოლაძის ცხოვრება რაც იყო, უმჯობესია მისთვის, არ გავიხსენოთო!» რა ესმის, რა სპეტაკი ხელი უნდა ჰქონდეს სხვის ცხოვრების შემხებს? ვაპატიოთ ეს ხამობა ბ. უროს, იქნება გასწორდეს. თორემ ნახავს, ლაფს როდი დავაჯერებ, ცეცხლში ვურგავ თავს.

VI

განსაკუთრებით იმით ჯირითობს ჩემზე ბ. ურო – ავტონომიის, ქართველობის მტერია, შავრაზმელია, ძველ თავის აზრს უღალატაო... რათ ვიქნებოდი ავტონომიის მტერი, როცა მთელი ჩემი მოღვაწეობა – როგორც წინათ დავამტკიცე – თვითმმართველობას მოვანდომე? ავტონომიაზე ყოველთვის მარტო იმას ვამბობდი, რომ რასაც ჩვენში ამ სახელს არქმევენ, მეცნიერებაში «ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა» ჰქვია, და ჩვენც ეს სახელი რომ ვიხმაროთ, უფრო ადვილად მივაღწევთ მიზანს მეთქი. მტრობაა ეს, თუ მოყვრობა?...

უკიდურესობის მომხრე ვერსად ასცილდება სოციალ-დემოკრატიის გავლენას. ცხოვრება მარტო ამ პარტიას აწოდებს თავ უზოგავი ბრძოლის მასალად: მუშას, უქონებო, უიმედო ხალხს, რომელსაც დასაკარგავი არა აქვს-რა და ყოველი ნაძალადევი მოგებას უქადის. ქართველობის მიზნები კი მარტო ზომიერების გზით მიიწევნება...

უკიდურესობა მარტო მანამდია შესანდობი, სანამ ხალხის დაბალი, უმეცარი წრეების ღვიძებას, წვრთნას, ამაღლებას ემსახურება... მტკიცედ იცოდეთ, – ის ჩვენებური კინტოა, პროვოკატორობს, გაჭირვების დღეს «მიიმალება», გაბრიყვებული ხალხის მწარე ბედს არ გაიზიარებს. რაც უფრო წინ წავა ხალხის პოლიტიკური გამოცდილება, ეს ჭეშმარიტება თანდა-თან უფრო მეტისთვის ცხადი შეიქმნება, რომ ქართველობას ამ მიმბაძავ უკიდურესობისგან არავითარი სიკეთე არ მოელის. აი, ამ ურგებ, მავნე უკიდურესობის მიზეზით იძულებული გავხდი მეფიქრა, რომ ავტონომიაც, ფედერალიზმიც, ქართველობაც, «ტაქტიკისთვის» დაუჩემებია ამ მკვდრათ-ნაშობ პარტიას, რომელსაც ქართველობასთან ბუნებრივი კავშირი თავის დღეში არც ჰქონია, არც ეღირსება... ერთი კი წამცდა. ამ ჩემ მიმართულებას ჩემი პოლიტიკა დავარქვი. ჩემი შიგ არაფერია, მისი გამოკვლევის, გახსენების, განათების მეტი. ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალ მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი-ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდა? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ, ვითომ, დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? საძებნი გზა ჩვენსავით დახშული როდი ჰქონდათ, უფლებაც სისრულით ხელთ-ეპყრათ, ვისთანაც უნდოდათ საქმე დაეკავებიათ, კავშირი შეეკრათ, ბრძანებისამებრ მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა... სანამ გვირგვინს ერის არსებობას შესწირვიდენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონის- ძიება იხმარეს... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს; მას ვერც ჩვენ მოვერევით, როგორც უნაყოფოდ, უკვალოდ, უსახელოდ დაიღუპა ყოველი სახსარი, მათ დროს სხვა რამე მიზნისკენ მიმართული, ისრევე წყალწაღებულია ყველა სხვა მეცადინეობაზე ნახმარი საშუალება. ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება...

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ (1849-1932)

ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1908 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ქალთა ახალი საზოგადოება "განათლება", რომელმაც სახალხო განათლების საქმეში საგრძნობი წვლილი შეიტანა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საპატიო წევრი (1914-).

● საზოგადოების საყურადღებოდ, 1883წ.

წყარო: გაზეთი „დროება“, სტატია „საზოგადოების საყურადღებოდ“, 8.11.1883

საზოგადოების საყურადღებოდ

ღირებულებები: საზოგადოება, თანასწორობა

ეხლა არავისთვის არც გასაკვირველია და არც იშვიათად სანახავია, რომ ქალი არათუ თავს ირჩენდეს, თითქმის მთელი ოჯახი იმის ნამუშავარს შესცქეროდეს. მშრომელნი ქალნი უმთავრესად მასწავლებლობასა და აღზრდას ჰკიდებენ ხელს; გაჭირვება ნებას არ აძლევს სხვა გზის გამოკვლევისას და ამას გარდა ქალები ბუნებითვე მიილტვიან ამ ხელობისადმი. ამის მაგალითად შეგვიძლიან დავასახელოთ ამერიკა და უმეტესი ნაწილი ევროპისა. გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვათ, რომ თბილისში ყოველ-წლივ ოც-და-ათამდის მასწავლებელი ქალი ემატება. დღითი-დღე მათ შრომას ფასი აკლდება, რადგანაც ისე გაჭირებულნი და ხელ-მოკლედ არიან, რომ ყველა პირობებს უნდა დათანხმდენ და უმადურს ბედს დაემორჩილონ. ბევრნი მათგანნი ქალაქის ერთი ბოლონდამ მეორე ბოლომდე უნდა გავიდენ ყოველ ცისმარე დღეს და დილის რვა საათიდამ ორ საათამდის თავი შეაკლან თვეში 15 მანეთს. ზაფხულობით რომ სრულებით უნუგეშოდ რჩებიან, რადგან სასწავლებლები უმეტესს ნაწილში ზაფხულობით ჯამაგირს არ აძლევენ.

რა საშუალებით შეიძლება მშრომელს ქალს ხელი ისე გავუმართოთ, რომ ერთი ორი თვე შეეძლოს თავის დარჩენა, ვიდრე შრომის ნახევარ ფასს მაინც შეაძლევენ? ავადმყოფობის დროს და გაჭირებაში როგორ იშოვოს იმან სესხით ფული ცოტა ხნობით მაინც, როგორ გაუადვილონ საზოგადოებას მასნავლებლის შოვნა და მასწავლებლებს გაკვეთილებისა, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩნენ და არ მოუნდეთ კარ-და-კარ სიარული?

ჩვენ როგორც ვიცით, ამ კითხვების გამოკვლევაში არიან ის პირნი, რომელთაც სურთ შეადგინონ საზოგადოება აღმზრდელთა და მასნავლებელთა ქალთა შორის. იმედია, ყველა განათლებული და კაცთ-მოყვარე თანაგრძნობით მიეგებება და შემწეობას გაუწევს ამ მომავალ ნორჩ საზოგადოებას და დასანყისშივე ყურადღებას არ მოაკლებს.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(1840-1912)

ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. განსაკუთრებით დიდია ღვაწლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასა და საქმიანობაში.

● მამასახლისების დრო, 1870-იანი წლები.

წყარო/ბმული: https://www.gdl.ge/ge/publication/iakob-gogebashvili.page

---

მამასახლისების დრო

ღირებულებები: არჩევნები, თვითმმართველობა, ერთმმართველობა, თავისუფლება, სამართლიანობა, ერი.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქართველი ბავშვი ქართველი დედ-მამისაგან იბადება. ეს დედ-მამა ვიღასგან დაიბადა? რასაკვირველია, თავის დედ-მამისგან. ამ უკანასკნელთაც თავისი მშობლები ჰყავდათ. ასე რომ ვიაროთ წარსულისაკენ, ბოლოს მივალთ იმ პირველ ქართველ დედ-მამასთან, რომელთაც თავდაპირველად წარმოშობეს ქართველები.

პირველს ქართველს თურმე ქართლოსი ერქვა და ამის გამო მის შთამომავალთ დაერქვათ ქართველები.თავდაპირველად ქართველები მხოლოდ ერთს დიდს ოჯახს შეადგენდნენ. შემდეგში ამ სახლობამ იბარტყა, იმრავლა და ბევრ სახლობად გადაიქცა. ჯერ ქართველებმა დაიჭირეს ერთი მხარე, მერმე მეორე, შემდეგ მესამე, მას უკან მეოთხე.ბოლოს და ბოლოს დაისაკუთრეს ის მიწა-წყალი, ანუ ქვეყანა, რომელსაც საქართველო დაერქვა და ახლაც ამ სახელით არის ცნობილი

ძველისძველს დროში საქართველოს ყველა კუთხეს თავისი საკუთარი მმართველი ჰყავდა. ამ მმართველს მამასახლისი ერქვა. თავთავისი მამასახლისი ჰყავდათ: კახეთსაც, ქართლსაც, მესხეთსაც, იმერეთსაც, სამეგრელოსაც, გურიასაც, სვანეთსაც. მამასახლისი უმთავრესად ჯარის უფროსი იყო. იგი ან თვითონ წინამძღოლობდა ჯარსა, ან სხვას ნიშნავდა ჯარის წინამძღოლად, უფრო გამოცდილს და მამაცს ქართველსა. ხოლო კანონების დადგენილება და მართვაგამგებლობა კი თვით ხალხის ხელში იყო. ხალხი ადგენდა კანონებსა, ირჩევდა მთავარ მოხელეებს, აყენებდა მოსამართლეებს და ესენი ასრულებდნენ თავისს მოვალეობასა, თანახმად კანონისა და ხალხის სურვილისა. როგორც ყოველს ნაწილს საქართველოისას ჰყავდა მამასახლისი, ისე ყოველი ქალაქი, დაბა და სოფელი ირჩევდა თავისს საკუთარ მამასახლისსა. საჩივრებისათვის ასეთი წესი არსებობდა:მომჩივარი მიმართავდა მამასახლისს და თავის მხრივ მედიატორედ, ანუ შუაკაცად, დაასახელებდა ორს სინდისიერს კაცსა. მამასახლისი თავისით მიუმატებდა მათ ორს სხვა მედიატორესა. ამ სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე ყოველითვის იყო თვით მამასახლისი. იგი დანიშნულს დროზე დაიბარებდა ბრალდებულსაც, მომჩივარსაც და მედიატორებსაც, და ესენი უსათუოდ უნდა გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში. ხუთი მედიატორის განაჩენი სავალდებულო იყო და ხელშეუხებელი მამასახლისისათვისაც, მომჩივრისათვისაც და ბრალდებულისათვისაც. ამ სახით, სამართალი იმ დროს იყო სიტყვიერი, სწრაფი და იაფი.

უფროსს მამასახლისად ითვლებოდა ქართლის მამასახლისი, რომელსაც მცხეთის მამასახლისს ეძახდნენ, რადგანაც ბინა მას მცხეთაში ჰქონდა. მაშინ მცხეთა იყო დედაქალაქი მთელის საქართველოისა. მცხეთაში მოხდებოდა ხოლმე მამასახლისების კრება,როდესაც რაიმე საქვეყნო საქმე უნდა განეხილათ, იმისთანა საქმე, რომელიც შეეხებოდა მთელს საქართველოსა. უფრო კი კრება მაშინ იმართებოდა, როცა რომელსამე კუთხეს საქართველოისას მტერი შემოსევას უპირებდა. ამ კრებაზე მოწვევას მამასახლისებს უგზავნიდა მცხეთის მამასახლისი და იგივე იყო თავმჯდომარე მამასახლისების კრებისა. ლაშქრობის დროს მთავარ წინამძღოლი ჯარისა იყო მცხეთის მამასახლისი და მას ემორჩილებოდენენ წინამძღოლნი სხვადასხვა კუთხის ჯარისა.

მამასახლისების ხანამ მრავალი საუკუნოების განმავლობაში გასტანა საქართველოში... შემდეგში მამასახლისობა გაუქმდა საქართველოში და ერთმთავრობა, ანუ მეფობა, დაწესდა. რა მიზეზით მოხდა ესა?

საქართველოს გარშემო სხვა სახელმწიფოები არსებობდნენ. ამ სახელმწიფოებში დაწესებული იყო ერთმთავრობა, ანუ მეფობა. მეფე იყო ერთადერთი გამგე მთელის სახელმწიფოსი. ის თავისს ნებაზე ჩუმად შეჰკრებდა ხოლმე ჯარსა და უცებ შემოესეოდა საქართველოსა. მინამ მამასახლისები შეიკრიბებოდნენ და განკარგულებას მოახდენდნენ, მტერი საქმეს გაუჭირვებდა ხოლმე ჩვენს ქვეყანასა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოს ხალხმა მოინადინა გაეუქმებინა მამასახლისობა და დაეწესებინა ერთი მბრძანებელი, ერთი მეფე მთელის საქართველოსათვის. ხალხი ფიქრობდა: ერთი მბრძანებელი სწრაფად იმოქმედებს, საჩქაროდ შეკრებს ჯარსა, მტერს საზღვარზედვე დაუხვდება და არ შემოუშვებს ჩვენს ქვეყანაში, ამასთან საქართველოს ერთობასაც გააძლიერებსო.

ეს თავისი წადილი განახორციელა ქართველმა ხალხმა და ერთი მეფე დაისვა. მაგრამ არგო კი ამან ქვეყანას? მართლია, ერთობისათვის და გარეშე მტრის მოგერებისათვის ერ-

თმეფობა უკეთესი გამოდგა მრავალ მამასახლისობაზე, მაგრამ სამაგიეროდ ეს არ მოუხდა ხალხის თვითმართველობას. მეფეებმა თანდათან ჩამოართვეს ხალხსა საარჩევნო უფლება და თვითონ დაიწყეს დანიშვნა მოხელეებისა და მოსამართლეებისა. კანონების დადგენაც და გამოცემაც თვითონ მიითვისეს. მაგრამ ხალხი ამ შევიწროებას შეურიგდა, რადგანაც გარეშე მტერს უფრო მარჯვედ იგერებდა ერთი მეფე, ვიდრე წინანდელი ბევრი მამასახლისები. მასუკან საქართველოში დამკვიდრდა ერთმთავრობა, ანუ მეფობა, და მრავალის საუკუნის განმავლობაში ქართველებს ბევრი მეფე ჰყოლიათ, მაგრამ ესენი ხალხს ახლა თითქმის ყველა დავიწყებული ჰყავს.

ქართველი ხალხი იხსენიებს და ადიდებს მხოლოდ იმ თავის მეფეებს, რომელნიც დიდს ჭკუას და მამაცობას იჩენდნენ, მტერზე ბრწყინვალედ იმარჯვებდნენ, კაცთმოყვარეობით იყვნენ შემკულნი, ხალხზე ზრუნავდნენ, მის თავისუფლებას ნაკლებად ავიწროებდნენ და განათლებას ჰფენდნენ მის შორისა. ასეთები იყვნენ: პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე.

რა მიზეზია „წერა-კითხვის საზოგადოების“ მცირე ნაყოფიერებისა?, 1883წ.

(ხელმოუწერლად დაიბეჭდა მეთაურ წერილებად გაზეთ „დროებაში“ 1883 წელს)

ღირებულებები: სამოქალაქო საზოგადოება, პასუხისმგებლობა, არჩევნები, თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, თავისუფლება, სამართლიანობა, განათლება, ერი.

1879 წელს ჩვენში დაარსდა საზოგადოება ქართველთა შორის განათლების გასავრცელებლად. ყველა კვერს დაგვიკრავს, რომ ამისთანა მაღალ-მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანებისთვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იდებს ზრუნვას მთელს ერზედ, მისთვის არ არსებობენ: არც თავადი, არც აზნაური, არც სამღვდელო, არც გლეხი: იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობასა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, - მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით თითქმის მთელი სამეფო თამარისა.

ამ გვარს საზოგადოებას ბევრი კეთილი წადილისათვის უნა შეესხა ფრთები და დიდი იმედი დაებადა ჩვენს საზოგადოებაში. სწორედ ესეც მოხდა, მაგრამ მოვესწარით ამ წადილების განხორციელების დასაწყისსა? სამწუხაროდ ამ შემთხვევაში ჩვენზედ უკუღმა აღსრულდა ერთი მარჯვე ანდაზა, და ჯერჯერობით სპილოს რწყილი ვაშობინეთ.

საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა ას-ასობით მაინც უნდა ესწრებოდეს, ვერც ერთხელ ვერ შესდგა თავის დროზედ , რადგანაც ორმოც-და-ათი კაცი, კანონიერი რიცხვი, ვერც ერთხელ ვერ მოგროვდა.

საზოგადოების წევრებად ქართველები ითვლებიან არა ათიათასობით, არამედ ასობით. წევრები საზოგადოებისა ისე გულ-გრილად ეპყრობიან საქმესა, რომ რის ვაი-ვაგლახით შემოდის საზოგადოების კასაში მხოლოდ მეათედი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ყოველ წლივ უნდა გროვდებოდეს . გამგეობასაც გადაედო ეს გულგრილობა, და იგი ვერ იჩენს ჯეროვან უნარს და მხნეობასა, და მას რაიმე შესამჩნევი კვალი ჯერ არ გაუვლია. ორიოდე სკოლა, ორიოდე წიგნაკის გამოცემა, სამიოდე სტიპენდია და ერთი შკაფი წიგნები, აი მთელი მისი მოქმედების ნაყოფი დღემდინ.

რა არის უმთავრესი მიზეზი ამ გვარი უძლურებისა? საზოგადოება და მისი გამგეობა რად არ წარმოგვიდგენს ცოცხალს, მოქმედ მხნე დაწესებულებას და რატომ ჰგავს სნეულ და მიხრწნილს საზოგადოებრივ ორგანიზმსა? თავ-და-პირველ მიზეზად ასახელებდნენ და ასახელებენ ბევრნი გარეგან დაბრკოლებასა. ამ დაბრკოლებაზედ ბევრი ითქვა როგორც დასტამბული სიტყვის შუამავლობით, ისე პირადადაც. მაგრამ უნდა გავტყდეთ, და მოგახსენოთ, რომ ამ მიზეზის მნიშვნელობა ერთობ გაზვიადებულია. იგი უშლიდა ერთს გვარს მმართველობის მოქმედებას, სახელდობრ სკოლების გახსნასა. მაგრამ განა საზოგადოებისა და მმართველობის მოქმედება მხოლოდ სკოლებით იწყება და სკოლებით თავდება? განა სკოლების დაარსება შეადგენს ანსაც და ჰაესაც? სრულიადაც არა, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოების გამოცემას, სახალხო წიგნების ბეჭდვას, ქართული ბიბლიოთეკების დაარსებას ყველა შესანიშნავ ცენტრებში, ქართული ენის სწავლების გაძლიერებას ქართული სახელმძღვანელოების და წიგნების შეწირვით ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ხელმოკლე სასოფლო და სამოქალაქო სკოლებში, სახალხო საუბრების გამართვას და სხვ. ამ კალაპოტში სიარულს და წარმატებას ხომ არა- რაიმე გარეგანი ღობე არ უშლიდა. მაგრამ სად არის ან დას-დასი სახელმძღვანელონი, ან სახალხო წიგნები, ან სახალხო ბიბლიოთეკები, ან სახალხო საუბრები? სად არის კიდევ საკვირაო სკოლები, რომელთა დაარსება შედარებით ისეთი ადვილია და რომელთაც სრულიად არ შეეხებოდა ის გარეგანი დაბრკოლება, რომელიც წინ აღუდგა სამუდამო სკოლების გამრავლებასა?...

იძულებულები ვართ მოგახსენოთ, რომ თვით სამუდამო სკოლების დაარსებას წეს გარეგანი დაბრკოლება თავიდან ასცილდებოდა, თუ რომ გამგეობას გამოეჩინა მომეტებული გულის- ყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა და სიმარჯვე.

მეორე მიზეზიც მოჰყავდათ, და მოჰყავთ იმ გვარ პირთა რომელთაც უჭირავთ წარჩინებული ადგილები ჩვენს საზოგადო ასპარეზზედ. მათი აზრით, წერა-კითხვის საზოგადოების მეტად ზანტი მოქმედება წარმოსდგება ჩვენი ერის მოუმზადებლობისაგანო. ამ გვარი რთული და მაღალმნიშვნელოვანი საზოგადო საქმეების კეთილად წარმართვას ეჭირვება მრავალი მცოდნე და მხნე პირიო. ჩვენში კი ამ გვარს პირებს თითებზე ჩამოსთვლითო. საზოგადოების დაარსება სრულიადაც არ ამტკიცებს ჩვენს მისთვის მომზადებასაო. სამიოდ- ოთხმა დაწინაურებულმა პირმა გამოიდო თავი, შეადგინა წესდება, სწერა ჟურნალ-გაზეთებში ამ საქმის მნიშვნელობაზედ, დროებით თანაგრძნობა აღძრა საზოგადოებაში ;მაგრამ წამის თანაგრძნობა გავს ბურბუშელის ცეცხლს, რომელიც მხოლოდ რავდენსამე

ნამს გაანათებს, მერმე ჩაქრება და გარშემო იმისთანავე სიცივესა სტოვებს, როგორიც წინად იყოო.

ჩვენ მეტ ნაკლებად უარ-ვყოფთ ამ აზრსაცა. განათლებულნი პირნი უფრო ნაკლებად გვყავდა წარსულ საუკუნეებში; მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უშლიდა სკოლების სიმრავლეს და წერა-კითხვის გავრცელებას არამც თუ ქალაქებში, თითქმის ყველა სოფლებშიაც. ისტორიასაც რომ არ გამოვეკიდოთ და ახლანდელს ჩვენს მდგომარეობას დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ ჩვენ მართლა ისეთი ღატაკნი არა ვართ განათლებული პირებითა, როგორც ჰგონია ბევრსა. ბლომი ნაწილი თავად-აზნაურობისა ამჟამად ნასწავლთა დასს ეკუთვნის; სამღვდელოება, მოქალაქეობა და თვით გლეხობაც დღითი-დღით ავსებენ თხელს რაზმს ინტელეგენციისასა, რომელიც ამჟამად წარმოადგენს შესამჩნევს ძალას. ყოველს საქართველოს ქალაქში მოიპოვება ნასწავლთა დასი, რომელსაც ცოდნაც და მნეობაც ნებას აძლევს ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღოს წერა-კითხვის საზოგადოების საქმეების წარმოებაში... სიძნელეც და სირთულეც ამ საქმისა ძალიან გაზვიადებულია: იგი ბევრად ადვილია იმისთანა საქმეებზედ, რომელნიც ნარცხადაც არ მოვლენ მასთან თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით და საყოველთაო სარგებლობით. არც მასწავლებლობა სახალხო სკოლებში, არც სახელმძღვანელოების და სახალხო წიგნების შედგენა და გამოცემა, არც საკვირაო სკოლები შეიძლება ჩავთვალოთ იმისთანა საქმედ, რომლის განხორციელება არ შეეძლოს ჩვენს ნასწავლ დასსა.

მაშ რა მიზეზია?

ნამდვილი, ჭეშმარიტი მიზეზი წერა-კითხვის საზოგადოების მცირე ნაყოფიერებისა გახლავთ იგივე, რაც აქამდინ ხელს უშლის და მეტ-ნაკლებობით ასუსტებს იმისთანა ნიჭით და მხნეობით შემკულ ერსა, როგორც არის საფრანგეთის ერი. ჩვენ ვამბობთ იმ მართვის სისტემაზედ, რომელსაც ჰქვიან ცენტრალიზაცია...

სამწუხაროდ, წერა-კითხვის საზოგადოების საქმეების მართვა თავდაპირველად ცენტრალიზაციის სისტემაზედ მოეწყო , ცენტრალიზაციის კალაპოტში ჩაიჭედა. ათიოდე თბილისში მცხოვრები პირნი , აღმორჩეული თბლისელებისგანვე, მართავენ და განაგებენ ამ რთულ საქმეს... იგინი მოვალენი არიან საქმე წინ წააყენონ კახეთშიაც და გურიაშიაც, სვანეთშიაც და მესხეთშიაც. არცერთი კუთხე საქართველოსი თვითონ, თავისი საკუთარი ძალით და მხნეობითა არ იღებს მონაწილეობას თავისივე განათლების საქმეში. ყველგან დაიმედებულნი არიან თბილისელ გამგეობაზედ, ყოველი კუთხე ცენტრიდან მოელის საქმის დაწყებასა და გაკეთებასა. შემოსცქერიან თბილისს: სიღნაღიც, თელავიც, დუშეთიც, გორიც,ახალციხეც ქუთაისიც, ონიც, ზუგდიდიც, ოზურგეთიც, სოხუმიც. ძალა-უნებურად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასაც ეს ბიუროკრატიული სენი დაემართათ. ამ სენის წყალობით ბევრი ოზმა ქაღალდი დაიწერა, ბევრი ბოთლი მელანი დაიცალა და საქმე კი ცოტა გაკეთდა და კეთდება.

შემცდარი ვიქნებით, თუ ამაში არ გავამტყუნებთ გამგეობასა... მაგალითად ავიღოთ საწევრო ფულის შემოტანა. საზოგადოების წევრები გაფანტულები არიან მთელი ჩვენის ქვეყნის პირზედ. ფული მათ ან სრულიად არ შემოაქვთ, ან თუ შემოაქვთ, უდრო-უდროოდ, გვიან. გამგეობას კი ვალად აქვს იზრუნოს საწევრო გულის დროით შემოტანაზედ. სხვა რაღა ღონისძიება აქვს მას, თუ არა სწეროს წერილები ამ დაუდევარს წევრებსა! ისიც სწერს, სწერს და სწერს; მაგრამ ამ წერით მისი კასა არამც თუ არ ივსება, არამედ ემატება დეფი-

ციტად ის ფასი, რომელსაც ითხოვს ეს მინერ- მონერა, ასე სჭირს ქაღალდის სიტყვას, რომელიც იმისთან დაუდევარ ადამიანს, როგორიც გახლავს, სამწუხაროდ, ჩვენი ქართველი, ავიწყდება რამდენიმე წამის შემდეგ და ამის გამო უქმად რჩება.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გამგეობასა აქვს თავისი განყოფილება, აგენტურა, საქართველოს ყველა კუთხეში და ამ აგენტურის წევრებად ამორჩეული ჰყავს სამიოდე განათლებული და საზოგადო სიკეთის მოყვარე პირი. ეს პირები იმოქმედებენ ადგილობრივ საზოგადოებაში, უმთავრესად არა მინერ-მონერით, არამედ ცოცხალი სიტყვით, რომელსაც ყველგან დიდი გავლენა აქვს. იგინი ეცდებიან პროპაგანდით, ჩაგონებითჩინით აღძრან თანაგრძნობა საზოგადოებისადმი, იშოვნონ ბლომად წევრები თავის დროზე ჰკრიფონ, საწევრო ფულები უგზავნონსაზოგადოების გამგეობას თბილისში.

წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფო მმართველებს სოფლად მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები არ ჰყავს და თვითეული გლეხი იძულებულია ცალკე გზავნოს სახელმწიფო ხარჯის ფული თბილისის ხაზინაში. ცხადია, რომ ამ გვარი წესი დიდად შემავიწროვებელი იქნებოდა გლეხებისათვისაც, მმართველობისთვისაც და ესრედ წოდებულს ნედოიმკებს ერთი ათად აქცევდა.

სწორედ ამგვარი წესი არსებობს წერა-კითხვის საზოგადოების ხარჯის მოკრეფაში. არც ერთს ადგილს, თბილისის გარეშე, გამგეობას არა ჰყავს პირნი, რომელნიც მას უწევდნენ იმისთანავე სამსახურს, როგორც მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევდნენ მმართველობას. ყოველმა წევრმა, პროვენციაშ მცხოვრებმა, უნდა ცალკე დასწეროს წერილი, ჩასდოს შიგ ფული, მიიტანოს ფოსტაშ, და გამოგზავნოს თბილისში. ვინც სულით და გულით თანაუგრძნობს განათლების საქმესა, მისთვის ეს მცირედი გარჯა არაფერია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი პირები ჯერად ღარიბნი ვართ. უმეტესი ნაწილი ისე გულგრილად უყურებს ამ საქმეს, რომ მათთვის ნამდვლ დაბრკოლებას შეადგენს წერილის დაწერა, ფოსტაში მიტანა და ფულიანი კონვერტის გამოგზავნა. ადგილობრივი აგენტები ამ დაბრკოლებას სრულიად მოსპობდნენ, მარჯვე დროს გამოართმევდნენ წევრებს ფულსა, ერთად მოუყრიდნენ თავსა და გამოგზავნიდნენ თბილისში.

ავიღოთ სკოლების გახსნა და ხელმძღვანელობა. გამგეობამ ერთი ღონისძიება იხმარა სკოლების გამრავლებისთვის: დაბეჭდა ფორმა, რომელზედაც უნდა შესდგეს სოფლების განაჩენები სკოლების გახსნის თაობაზე და აღუთქვა მათ განსაზღვრული შემწეობა. მეტი მას არა შეეძლო რა და სხვას ვერაფერს მოვსთხოვთ. მაგრამ ცხადია ყველასათვის, რომ ეს სრულიად საკმარისი არ არის. დაბეჭდილი ფორმა ან ვერ მიაღწევს, ან თუ მიაღწია, წამკითხველი იქნება არც კი ამოჩნდეს, და თუნდაც წაიკითხონ , მაგდენად ყურს არ გაიბერტყენ. აქაც საჭიროა ცოცხალი სიტყვა, პირადად ჩაგონება სკოლის სარგებლობისა, შეგულიანება გლეხებისა, გაქარწყლება სკოლის მოწინააღმდეგეთა აზრებისა, რომელნიც ყველგან მოიპოვებიან და გულს უცრუებენ გლეხევს ამ წმინდა საქმეზედ, და სხვანი. გახსნილ სკოლას ზედამხედველობა ექირვება, ხელმძღვანელობა და ზრუნვა უნდა, რომ სკოლამ ნაყოფი დაანახოს გლეხობასა და შეაყვაროს თავისი თავი. ყველა ეს თითქმის შეუძლებელია თბილისში მყოფი გამგეობისათვის, და სამაგიეროდ ადვილია იმ განათლებული „საზოგადოების" წევრთათვის , რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, პროვინციის სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში.

ავიღოთ მესამე საგანი. საზოგადოება ბეჭდავს საბავშვო და სახალხო წიგნებსა, მაგრამ ესენი სულ არ იყიდებიან, ან მცირედ საღდებიან. სამი ნელიწადია, მაგალითად, რაც საზოგადოებამ დაბეჭდა იმისთანა საჭირო წიგნი, როგორიც არის „იგავ-არაკნი" თავ. რაფ. ერისთავისა. მაგრამ დღემდინ მესამედი ძლივს არის გაყიდული. რათა? იმიტომ, რომ ცენტრალურ გამგეობას მხოლოდ ერთი ღონისძიება აქვს წიგნების გავრცელებისათვის- გაზეთებში გამოცხადება; ხოლო ეს ღონისძიება საკმარისი არ ჩნდება იმისთანა დაწინაურებულ ქვეყნებშიც კი, სადაც სნავლა- განათლების სურვილი დიდია, სადაც წიგნებს შეძენა შეადგენს ერთს უსაჭიროესს მოთხოვნილებასა. ამ გვარს ქვეყნებშიაც კი ყოველ შესანშნავ კუთხეში და კუნჭულში მართავენ წიგნების საწყობებსა, „რომელნიც გაყიდვას წიგნებისას მეტად აადვილებენ, რადგანაც ადგილობრივად და გაურჯელად აკმაყოფლებენ ადგილობრივი მცხოვრებლების მოთხოვნილებასა... ჩვენს ქვეყანაში წიგნის კითხვის სურვილი, დიდებში, თუ პატარებში, იმდენად სუსტია ჯერედ, რომ, ვიმეორებთ, იმისთანა მცირე დაბრკოლებაც, როგორც წიგნის ფოსტით დაბარებაა თბილისიდგან, ფუჭადა ხდის ამ სურვილსა. რათა ეს დაბრკოლება თავიდან ავიცილოთ, წიგნები მოვფინოთ კუთხითი-კუთხემდინ, საჭიროა, რომ ისინი საქართველოს ყოველს კუთხეში იპოვებდნენ, ყველგან თვალში ეჩხირებოდნენ მცხოვრებლებსა და თითქოს ეუბნებოდნენ: მიყიდეთ, თუ უმეცრების მოყბარენი არა ხართო; და ისინიც იყიდიან ერთი ათად უფრო ხშირად, ვიდრე ახლა ყიდულობენ.

რომელი მხარეც უნდა აიღოთ წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედებისა, ყველგან საჭიროა ადგილობრივი მოქმედნი პირნი, ადგილობრივი ხელმძღვანელნი. საკვირაო სკოლების წარმოება, სახალხო და საბავშვო წიგნების თარგმნა, თუ შედგენა, სახალხო საუბრების გამართვა, სახალხო ბიბლიოთეკების დაარსება, წიგნებით შემწეობა ღარიბთა მოსწავლეთათვის, სპექტაკლებისა და სალიტერატურო საღამოების გამართვა საზოგადოების სასარგებლოდ - ყველა ეს ერთად და თვითეულად ითხოვს ადგილობრივს თაოსნობას, ადგილობრივ სარისტასა. თბილისში მყოფი გამგეობა უნდა იქნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგირ მიმცემი თავისი პროვინციალური განყოფილებისა, აგენტურებისა.

შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ პროვინციის ქართველებს არა აქვთ თავი ამ გვარი საქმისათვის და მათი მონაწილეობა იქნება ამაო და ფუჭი. ჩვენი ქვეყნის ყველა თვალ-საჩინო კუთხეში იპოვებიან პირნი, რომელთაც ცოდნა და სურვილი სრულს შეძლებას აძლევენ მიიღონ ნაყოფიერი მონაწილეეობა ამ საქმეში. საჭიროა მხოლოდ, რომ იგინი გამოწვეულ იქმნან ამ ასპარეზზედ, აღიარებულ იქმნან აგენტებად და მიენიჭოს მათ ჯეროვანი სანქცია საზოგადოებისაგან.

როცა ეს მოხდება, როდესაც ყოველ კუთხეში და ყოველ ქალაქში დანესდება წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი, ანუ აგენტურები, ჩარხი წერა-კითხვის საზოგადოებისა სწრაფად დატრიალდება, დაიბადება პატიოსანი გაჯიბრება საქართველოს კუთხეებს შორის ხალხის განათლების შესახებ და ერთი ოცად მეტი გაკეთდება ყოველ წლივ, ვიდრე ახლა კეთდება.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს:
ქ.დუშეთის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სალომე რუხიაშვილმა,
მაიკო ქინქარაშვილმა და ნუცა თანიაშვილმა.

ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის, 1905წ.

(ისტორიული ცნობა)

ღირებულებები: არჩევნები, თვითმმართველობა, თანასწორობა, თავისუფლება, ავტონომია, სამართლიანობა, ერი.

ქართული ეკლესიის განახლებისა და აღორძინების საკითხმა ამ უკანასკნელ წლებში ძლიერად მოიცვა ქართული საზოგადოებრიობა და სამღვდელოება. ინტერესი ამ საკითხისადმი ჩვენს ხანაში კიდევ უფრო გაიზარდა იმის წყალობით, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე კავკასიის მეფისნაცვალს პეტიცია მიართვეს საქართველოს ორივე გუბერნიის ქალაქის თავებმა, თავადაზნაურთა წინამძღოლებმა და ქართული ეკლესიის სხვა წევრებმა, რომელთა შორის იყვნენ მთელ ქვეყანაში ცნობილი პირები.

ამ გარემოების გამო დროულად მიგვაჩნია მივსცეთ ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ბედის შესახებ.

ქართულმა ეკლესიამ, რომელიც ნარმოიშვა მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქართველების მიერ მოციქულთასწორი ნინოსაგან ქრისტიანობის მიღებისას, თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძლზე განვლო სამი მთავარი პერიოდი: ანტიოქიური, ნაციონალური და რუსული.

პირველი - ანტიოქიური პერიოდი გრძელდებოდა წელინადზე მეტს და ატარებდა წმინდა ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ ხასიათს. ქართული ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა გარეგანი ძალის, უცხო ხელისუფლის, ანტიოქიის პატრიარქის მიერ. ინიშნებოდა არა ქართველთადან, არამედ ბერძენთაგან, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ მრევლთან. ეს გრძელდებოდა V საუკუნემდე. ამ საუკუნეში, ენერგიული ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლანის დროს, ქართული ეკლესია ღებულობს ავტონომიას, ხოლო მისი ეპისკოპოსი - კათალიკოსის ტიტულს, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ავტონომია. რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება - თვითონვე შეერჩია და დაენიშნა კათალიკოსი, ხოლო კათალიკოსად მუდამ ბერძენი ინიშნებოდა. ამ ჩინოვნიკმა კათალიკოსმა გაძლო ასი წელინადი. მიუხედავად ქართველების ყველა ღონისძიებისა - მიეცათ მისთვის ცოცხალი, ნაციონალური ხასიათი. მხოლოდ მეექვსე საუკუნეში, მეფე ადარნასეს დროს, ქართულმა ეკლესიამ პირველად შეძლო მოეპოვებინა უფლება იმისა, რომ სათავეში ჰყოლოდა არჩეული კათალიკოსი, საქართველოს ნამდვილი შვილი. მხოლოდ ამ მომენტიდან იცვლება ანტიოქიური პერიოდი ნაციონალურით, ჩინოვნიკურ-უწყებრივი - არჩევნობითობით, და ქართული ეკლესიის სათავეში, ნაცვლად ანტიოქელი არქიეპისკოპოსებისა, დგებიან ქართველ ეპისკოპოსთა კრების მიერ მრევლის მონაწილეობით არჩეული ბუნებით ქართველები და ავტონომიური კათალიკოსის ტიტული უკვე ნარმოადგენს არა ცარიელ სიტყვას, არამედ რეალურ სინამდვილეს. თუ რა მკვდარ ორგანიზმს ნარმოადგენდა ქართული ეკლესია ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული პერიოდის მთელ მანძილზე და როგორ გაცოცხლდა ეს ორგანიზმი, როგორ აღვისო ძალითა და ენერგიით არჩევნობითი სისტემის შემოღებისას ამას ქვემოთ დავინახავთ, ახლა კი განვაგრძოთ ეს ისტორიული ცნობა.

იმ საფრთხის პირობებში, რომელშიც მაშინ ქართველი ხალხი და მისი ეკლესია იმყოფებოდა, მმართველობის შაბლონური გზა არაფრად არ ვარგოდა, ეს კარგად ესმოდათ მაშინდელ ქართველებს და ამიტომ არაიშვიათად კათალიკოსის პოსტზე ირჩევდნენ არა უხუცეს მიტროპოლიტს, არამედ ახალგაზრდა, ნიჭიერ ეპისკოპოსს, რომელიც ყველაზე მეტ იმედებს იძლეოდა სარწმუნოებისა და ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში. უფრო მეტიც, როცა არ ჰყავდათ კათალიკოსის პოსტისთვის სავსებით შესაფერი კანდიდატი ბერად აღკვეცილი სამღვდელოებიდან, ქართველები, წინააღმდეგ ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის მაშინდელი ჩვეულებისა, თამამად ირჩევდნენ ღირსეულს, თეთრი, ცოლიანი სამღვდელოებიდან. ქართულ მატიანეებში დასახელებულია ცხრა ასეთი დაოჯახებული, ცოლიანი კათალიკოსი. ასეთი არჩევანი თუმცა ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ საეკლესიო პრაქტიკას, მაგრამ არ შეიძლება გაპროტესტებული ყოფილიყო მსოფლიო პატრიარქის მიერ, რადგან მას სრული გამართლება ჰქონდა პირველდაწყებითი სამოციქულო ეკლესიის მაგალითებით და ეყრდნობოდა მოციქულის შემდეგს სიტყვებს: „რითაც მოციქული ეპისკოპოსობის ნებას აძლევდა ოჯახიან პირს და ამ თანამდებობისადმი გზას უღობავდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მეორედ იყვნენ დაქორწინებული."

ნაციონალურ-არჩევითი პერიოდი თავის მხრივ იყოფა ორ ქვეპერიოდად: ავტონომიური ანუ კათოლიკოსური პერიოდი და ავტოკეფალიური ანუ პატრიარქის პერიოდი. პირველ პერიოდში არჩეული კათალიკოსისათვის საჭირო იყო ანტიოქიის პატრიარქის სანქცია და, გარდა იმისა, ქართულ ეკლესიას უფლება არ ჰქონოდა თვითონ მოემზადებინა მირონი, ვალდებული იყო იგი მიეღო ანტიოქიიდან, რისთვისაც ყოველწლიურად გარკვეულ თანხებს ხარჯავდა. ყოველივე სხვა მხრივ კი საქართველოს კათოლიკოსი სრულიად დამოუკიდებელი იყო და ანტიოქიის პატრიარქს არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო ქართული ეკლესიის მართვაში.

ეს ნორმალური დამოკიდებულება გრძელდებოდა მერვე საუკუნემდე, როცა ქართველთა დაჟინებითი მცდელობისა და ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევის წყალობით ანტიოქიის პატრიარქი იძულებული გახდა უარი ეთქვა კათალიკოსის არჩევის დადასტურების უფლებაზე და ქართული ეკლესიისათვის მიენიჭებინა მირონის მომზადების უფლება. ამ მომენტიდან წყდება ნომინალური დამოკიდებულება და ავტონომიური კათოლიკოსი ხდება თვითმეთაური, სრულიად საქართველოს დამოუკიდებელი ავტოკეფალიური პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სამღვდელოება ერისკაცების მონაწილეობით. ავტოკეფალიური მეთაურის რეზიდენციად ხდება დედაქალაქი მცხეთა, რის გამოც იგი ატარებს ტიტულს მცხეთის პატრიარქისას, რომელიც სავსებით დამოუკიდებლად მართავს არა მარტო სრულიად საქართველოს ეკლესიას, დაღესტნიდან შავ ზღვამდე, არამედ მომიჯნავე მართლმადიდებელ ტომებსაც, რომლებიც კავკასიის ქედის გაღმა და გამოღმა მხარეს ცხოვრობდნენ.

მაგრამ ამასთან ერთად დასავლეთ საქართველოს მიტროპოლიტი სარგებლობდა სრული ავტონომიით შინაგან მმართველობაში, ხოლო ზოგჯერ კათოლიკოსადაც იწოდებოდა და ეს არავითარ პროტესტს არ იწვევდა მცხეთის პატრიარქის მხრივ, რომლის უმაღლესობას იგი ყოველთვის სცნობდა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დადასტურებული იყო ჯერ ადგილობრივი, ანტიოქიის, ხოლო შემდეგ - მეექვსე მსოფლიო კრების მიერ. ამიტომ ანტიოქიის კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქები მცხეთის პატრიარქს ყოველთვის ისე ეპყრობოდნენ, როგორც მათ ტოლს, და საეკლესიო კრებებზე ივერიის ეკლესიის წარმომადგენლები

სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, რითაც სხვა ავტოკეფალიური ეკლესიის წარმომადგენლები. ასევე ქართული ეკლესიის, როგორც დამოუკიდებლის, წარმომადგენელი ესწრებოდა რუსული ეკლესიის კრებასაც 1666 წელს როცა ასამართლებდნენ პატრიარქ ნიკონს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქართული ეკლესიის უფლებები დამოუკიდებელი მმართველობის დარგში მოპოვებულ იქნა არა შუამდგომლობათა გზით ანტიოქიის პატრიარქის წინაშე, რომელიც მათ ჯიუტად უარყოფდა. არამედ, ასე ვთქვათ, ნახევრადრევოლუციური გზით. ასე, მაგალითად ქართველები თავისი არქიეპისკოპოსისაგან მოითხოვდნენ, რომ მას ეკლესია ემართა დამოუკიდებლად, ანტიოქიის პატრიარქისგან დამოუკიდებლად. იგიც ამას აკეთებდა. ანტიოქიის პატრიარქმა პროტესტი განაცხადა და მუქარა დაიწყო. მაგრამ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მას ურჩია, რომ დიდი უბედურების თავიდან აცილების მიზნით დაედასტურებინა ავტონომია, რომელიც ფაქტიურად თვით ქართველებმა დაიწყეს. ანტიოქიის პატრიარქი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. იმავე პატრიარქს არაფრის გულისათვის არ უნდოდა ქართული ეკლესიისათვის მიეცა მირონის დამზადების ნება; მაგრამ, როცა პატრიარქის ჯიუტობის გამო მოთმინებიდან გამოსულმა ქართველებმა თვითნებურად დაიწყეს მირონის დამზადება, მაშინ პატრიარქი, რომელსაც არც პლასტუნები ჰყავდა და არც დრაგუნები, დათმობაზე წავიდა. მთელს ამ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდა ეკონომიური მატერიალიზმი, რომელსაც წმინდა მამები სიტყვებით ასე გაავთრებით უარყოფენ, მაგრამ საქმით არანაკლებ სწამთ, ვიდრე ცოდვილ ეკონომისტებს. საქმე ისაა, რომ ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში ჰქონდა ვრცელი მამულები, რომლებიც სხვადასხვა დროს მას შესწირეს ქართველმა მეფეებმა და დიდებულებმა. ამ მამულებს მართავდა ანტიოქიელი იღუმენი, რომელიც პატრიარქს ყოველწლიურად დიდძალს ფულს უგზავნიდა. ქართველებთან ყოველგვარი მძაფრი შეტაკებისას პატრიარქს ეშინოდა ამ მამულების კონფისკაციისა და ეს შიში აიძულებდა მას დაედასტურებინა ქართველი სამღვდელოებისა და ქართველი მრევლის მიერ ჩადენილი წმიდა რევოლუციური აქტები.

მაგრამ ქართული ეკლესიის ერთმმართველობა, - ერთთავობა შეწყდა XV საუკუნეში. ამ დროს დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად გამოეყო აღმოსავლეთ საქართველოს, შექმნა საკუთარი სამეფო და არაიშვიათად ენეოდა ბრძოლას ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ამის შედეგად ერთიანი ნაციონალური პატრიარქატი გაიყო ორ დამოუკიდებელ ნახევრად. დასავლეთ საქართველო ირჩევს თავის კათალიკოსს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დასავლეთ საქართველოს მთავარი მიტროპოლიტი ავტონომიური მეთვალყურიდან გადაიქცევა ავტოკეფალიურ მეთაურად და მრევლს მართავს სრულიად დამოუკიდებლად მცხეთის პატრიარქისაგან, თუმცა თეორიულად კვლავაც ცნობს მის უმაღლესობას. ქართული ეკლესიის ეს ორმმართველობა, ორუფროსობა გრძელდება თითქმის ოთხ საუკუნეს და მხოლოდ 1875 წელს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მხრივ კვლავ უქვემდებარდება აღმოსავლეთ საქართველოს, ერთმმართველობა კვლავ მკვიდრდება ეკლესიაში. საქართველოსა და მცხეთის პატრიარქი - კათალიკოსი კვლავ ხდება სრულიად საქართველოს ეკლესიის ერთმმართველი, მეთაური. ამგვარად, ერთიანი სასულიერო ორგანიზმის სახით, ქართული ეკლესია ქართველ ხალხთან ერთად XIX საუკუნის დასაწყისში შედის რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა. მაგრამ როგორი? კიდევ უფრო ბიუროკრატიული, ვიდრე ანტიოქიური. სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს უმორჩილებენ

ძალადმმართველ სინოდს წმინდა ბიუროკრატიულ კოლეგიას. მის წევრებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავს, აჯილდოებს და სამუშაოდან ითხოვს საერო ბიუროკრატი, რომელსაც სინოდის ობერპროკურორი ენოდება. მაგრამ დამოკიდებული კათოლიკოსიც არახელსაყრელი აღმოჩნდება: იგი, ძველი ჩვეულებისამებრ და სინდისისა და მოვალეობის კარნახით, თავისი მრევლის ინტერესებს უფრო ეხმარება, ვიდრე პეტერბურგის სასულიერო ბიუროკრატიას, და მას აყენებენ თანამდებობიდან, აუქმებენ კათალიკოსატს და აწესებენ რუსულ საეგზარქოსოს, რომელიც მთლიანად ემორჩილება წმ. სინოდს. არჩევითი საფუძველი სრულიად იცვლება და მის ნაცვლად შემოდის ადმინისტრაციული დანიშვნების სისტება. პირველ ეგზარქოსად ნიშნავენ ყველაზე წყნარ, ყველაზე მორჩილ ქართველ მიტროპოლიტს, მაგრამ მასშიც ცოცხალი აღმოჩნდება ძველი ქართული სული და ამიტომ მას მალე ათავისუფლებენ დასასვენებლად და რუსეთშიც კი გაიწვევენ, სადაც, საყვარელი სამშობლოსაგან გადახვეწილი, ამთავრებს თავის ცხოვრებას. საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება ფეოფილაქტ რუსანოვი, რომელიც აწესებს ქართული ეკლესიის დენაციონალიზაციის, მისი ნაჩქარევი გარუსების, გაუპიროვნების უწესრიგო სისტემას. მას რუსეთიდან ქართულ ნიადაგზე გადმოაქვს ბერძნულ-ლათინურ-სლავური სასულიერო სემინარია ყოველგვარი ცვლილების და ადგილობრივ გარემოსთან შეთანხმების გარეშე. სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი იქამდე მიდის, რომ ამ სემინარიაში ყველა საგანი ისწავლება მხოლოდდამხოლოდ რუსულ ენაზე და ქართული ენის ცალკე კათედრაც კი უარყოფილი და გამორიცხულია. უფროსებისა და მასწავლებელთა პერსონალი შედგება რუსებისაგან, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ქართველ ხალხთან.

და ეს მკაცრი სისტემა, რომელიც გამსჭვალულია წმინდა ფსიქოპათრიური სიძულვილით ყოველივე ქართულისადმნი, გამოყენებული იყო ისე ულმობლად, რომ 1819 წლიდან დაწყებული ჩვენს დრომდე, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეგზარქოსად ერთჯერაც არ ყოფილა დანიშნული ქართველი, თუმცა ქართველ სასულიერო პირთა შორის იყვნენ ისეთი მაღალგანათლებული და ფრიად ღირსეული იერარქიები, როგორც, მაგალითად, იმერეთის განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი, - პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრი, ფილოსოფოსი-ღვთისმეტყველი, რომელსაც საქართველოს სამრევლო ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე თვლიდა წმინდანად მკაცრი ასკეტური ცხოვრებისა და ჭეშმარიტად მოციქულისებრი მოღვაწეობის გამო.

შემდეგ წესად შემოვიდა, რომ ქართული სასულიერო სამინარიის რექტორის პოსტზე საერთოდ სრულიად არ დაენიშნათ ქართველი. ეს წესი არ წარმოადგენს ერთეულ გამონაკლისს მთელი საუკუნის მანძილზე, თუმცა ქართველებს შორის იყვნენ ფრიად ღირსეული და სრულუფლებიანი პირები - ღვთისმეტყველების კანდიდატები და მაგისტრები. ეს სისტემა ქართული ელემენტის გაუქმებისა და შევიწროვებისა მიყვანილი იყო ყველაზე მძაფრ უკიდურესობამდე.

ქართული ეკლესიის მმართველობის ბიუროკრატიული და ნაციონალურ-საარჩევნო სისტემის ღირსებების შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა გავეცნოთ იმას, თუ რა ნაყოფს იძლეოდა ერთიცა და მეორე სისტემაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამას ჩვეენ მეორე სტატიაში გავაკეთებთ...

მცირე განმარტება, 1907წ.

(პირველად დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი გზა"(1907, N15))

ღირებულებები: თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ერი.

საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვუძღვნა „ჩვენი გზის" შენიშვნას შესახებ ჩემი პანია წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ზაკავკაზიე"-ში, და იმედი მაქვს, რომ „ჩვენი გზის" რედაქცია არ დაიშურებს მცირეოდენ ადგილს ამ სტრიქონებისათვის.

ხსენებულს პანია წერილში მე განსვენებულს ილიას შევეხე არა როგორც მგოსანს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვანეს; არამედ როგორც წევრს თავად-აზნაურთა წოდებისა, და აღვნიშნე, რომ იგი ყოველთვის ებრძოდა ვიწრო ეგოისტურ წოდებრივს მიმართულებს, რომელსაც არ ერიდებოდა დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურობისა. დავასახელე ორი შესანიშნავი ფაქტი. როცა სათავადაზნაურო ბანკის წესდებას ადგენენ, დიდს უმრავლესობას უნდოდა წმინდა მოგება მოხმარებოდა მხოლოდ მემამულეთ, რომელნიც აარსებდენ ბანკს. ილია წინ აღუდგა ამ წადილს და დიდი მეცადინეობის შედეგად მიაღებინა ის აზრი, რომ მოგება ხმარდებოდეს როგორც მემამულეთ, ისე მხვნელ-მთესველთა წოდებათა (в пользу замлевладельческого и землеедельческого сословня), როცა სააზნაურო სკოლას აარსებდნენ აქაც ილია ეცადა, რომ სტიპენდიანტებად ინიშნებოდნენ არა მარტო კეთილშობილთა შვილები, არამედ მხვნელ-მთესველებისაც.

ამ ორ ფაქტს ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილმა „თბილ.ლისტოკ"-ში დაუმატა შემდეგი ფრიად დამახასიათებელი შემთხვევა: ბატონყმობის გაუქმების წინად, თავად-აზნაურობამ მოახდინა საზოგადო კრება რომელზედაც თითქმის ყველანი ითხოვდენ თურმე გლეხების გათავისუფლებას უმამულოდ, უმიწოდ. ილია თურმე მედგრად აღუდგა წინ ასეთ აზრსა და მოთხოვა განთავისუფლება გლეხებისა მიწა-წყლით. ამან თურმე მეტად გააბრაზა კრება, ასე რომ ილია კინაღამ დარბაზში ხანჯლით დაჩეხეს, და შემდეგაც თურმე მოსაკლავად დასდევდნენ.

რაც შეეხება ილიას შეხედულებას წოდებათა არსებობაზე, ყოველი მისი ნაწერი, პროზით თუ ლექსით მჭევრ-მეტყველური ღაღადისია ამ არსებობის წინააღმდეგ. დაწინაურებულს ქვეყნებში: ამერიკაში, ავსტრალიას და ახალ-ზელანდიაში წოდება აღარ არსებობს, მოსპობილია, და ჩვენშიაც ასე უნდა მოხდეს მომავალში. ეს კარგად იცოდა ილიამ და სრულიად თანაუგრძნობდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ასე ადვილი არ არის. მაგალითად, ევროპა საზოგადოდ და კერძოდ ინგლისი მეზობელ ქვეყნებზე უფრო დაწინაურებულნი არიან თავისუფლებით და კულტურით. მაგრამ რას ვხედავთ? ინგლისელებმა ძლიერი მეფობა მთლად დააუძლურეს, მაგრამ ლორდები-კი თავიდან ვერ მოიშორეს, და ისინი დღემდინ მაჯლაჯუნასავით აწვანან გლეხკაცობასაც, მუშებსაც, ბურჟუაზიასაც, ქვემო პალატასაც და თვით მეფესაც. მიუხედავად ამისა, ლორდების წინააღმდეგ ტერორს არავინა ხმარობს, რადგანაც სრული იმედი აქვთ, რომ მათ მშრალზე გარიყავენ კულტურული ღონისძიებით.

ყველა კარგად ხედავს,რომ ჩვენი თავად-აზნაურობა აჩრდილიც არ არის ინგლისის ლორდებისა. მას დაკარგული აქვს ყოველი ძალა და მნიშვნელობა, და მამულიც-კი ხელი-

დან აქვს ნასული. თითქმის მთელი თავისი უძრავი ქონება დაგირავებული აქვთ დიდ ფასად, შემოსავალი ძლივს ასდის სარგებელს, და წინანდელნი დიდნი მესაკუთრენი დღეს უბრალო მოურავების როლს ასრულებენ. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ყველას მდიდარი გვეგონა, არ შეადგენდა გამოკლებას. ორივე მამული კახეთისა და საგურამოსი დაგირავებული ქონდა იმდენ ფასში, რომ შემოსავალი სარგებელს მთლად ვერ იხდიდა, და ბანკს რომ მისთვის პენსია არ დაენიშნა, სიბერის დროს შიმშილს გამოსცდიდა.

ასეთს ყოფაში ჩავარდნილს თავად-აზნაურობას დღენი დათვლილი ჰქონია ყველგან, და ჩვენშიაც იგი ახლო მომავალში გახდება მსხვერპლი უბრალო ევოლუციისა, ან სიცოცხლეს შეირჩენს იმით, რომ მშრომელი ხალხის თანასწორ და ღირსეულ მოძმედ გადაიქცევა. ყოველი ძალმომრეობა, ყოველი ტერორისტული აქტი, გარდა გაფიცვისა და ბოიკოტისა, აქ არამც თუ არააჩქარებს ამ ცვლილების და ლიკვიდაციის განხორციელებას, არამედ შეაჩერებს და დააგვიანებს, სწორედ ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის ბარბაროსულმა მოკვლამ იგი კი არ დაამცირა, დიდად დაეხმარა მის სახელს, მისს დიდებას, მის გავლენას და უკვდავებას...

პირადად მთელს ჩვენს სიცოცხლეში გულ-წრფელნი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა, და ყოველგვარი ბატონობისა გვძულდა და ვეწინააღმდეგებოდით მას: გვძულდა ბატონობა თავად-აზნაურობისა, ბიუროკრატიის, ბურჟუაზიისა... მშრომელის ხალხის სრულს განთავისუფლებას-კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და, რაც-კი შეგვეძლო ვეხმარებოდით. ჯერ ისევ ოც-და-ხუთის წლის წინად, სახელდობრ 1881 წელს, აპრილის თვეში გაზეთ „დროება"-ში ჩვენ დავსტამბეთ ორი მოწინავე წერილი, სადაც გავატარეთ ის აზრი, რომ ვიდრე მიწა სავსებით არ გადავა მხვნელ-მთესველთა ხელში, ზავოდები, ფაბრიკები მუშათა ხელში კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილდღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლება მეთქი, და დარჩება ახლანდელი აუტანელი მდგომარეობა, როდესაც მცირე ნაწილი კაცობრიობისა ჰყარს სიმდიდრისაგან და უმრავლესობა სიღატაკისაგანაო... ეს უკანასკნელი აზრი, მეტ-ნაკლებობით მართალი ოც-დახუთის წლის წინათ მმართველების შესახებაც, ახლა საფუძველს არის მოკლებული, რადგანაც სიმდიდრით ჩვენში ეხლა თითქმის აღარავინა ჰყარს, და ყველას სიღატაკის ნატისუსალი ასდის.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:
არგვეთის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, ლედი კიპაროიძემ

ანდერძი, 1912წ.

ღირებულებები: სამოქალაქო საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, საზოგადო სარგებელი, ქველმოქმედება, განათლება, დემოკრატია.

მე, ქვემორე ხელისმომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, საღი გონებით და მტკიცე მეხსიერებით, ჩემი გარდაცვალების შემთხვევისათვის, ვაცხადებ ჩემს შემდგენ ნება- სურვილს:

ქართულ და რუსულ დაწერილ გამოუკლებლივ ყველა ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნების კლიშეებსა, ლითოგრაფიულ ქვასა, რომელზედაც მოგრავირებულია საქართველოს რუკა და წარმოადგენს „ბუნების კარის" დანართს და ინახება მესხიევის ლითოგრაფიაში, ასევე ყველა ჩემს სტატიას, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწერებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულს მოსახლეობას შორის

„წერა-კითხვის გამავრცელებელ" თბილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას ვუანდერძებ მიწის ნაკვეთს ვერაზე თბილისში, ზომით 264 კვადრატულ საჟენს, რომელიც 1901 წელს ვიყიდე ნაფიც ვექილ ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარისგან და მის რწმუნებულისაგან აზნაურების გერასიმე დიმიტრის ძე პოლშგენისა და ვლადიმერ ალექსის ძე ოსიპოვისგან, აქტით N-208, რომელიც მოხდენილია იმავე წელს ქალაქ თბილისის უფროს ნოტარიუსთან.

ამასთან ერთად „წერა-კითხვის საზოგადოებას" ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები:

პირველი: ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის ვალდებულია დაარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად იმყოფება.

მეორე: ყოველწლიურად აძლიოს ყოველი ნახევარი წლის განმავლობაში ასოცი მანეთი ჩემ მოხუც დას ეფემია სიმონის ასულს ინოურის ქვრივს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, მის ღარიბ შვილს გიორგის, ოჯახთან ერთად, სანამ ეს შესაძლო იქნება.

მესამე: თუ ჩემი სტიპენდიანტები: ძმისწული შალვა გოგებაშვილი, ამჟამად კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი, აგრეთვე ჩემი დისწულის შვილი, კონსტანტინე კასრაძე, მანგეინელი სტუდენტი, ვერ მიიღებენ საკმაო სტიპენდიებს, საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობით, მაშინ ეს გამგეობა მისცევს ორთავეს შესაძლებლობას ჩემი სახელმძღვანელოების შემოსავლის ხარჯზე დაამთავრონ უმაღლესი განათლება.

მეოთხე: ჩემი ქართული და რუსული წიგნების ყველა გაყიდული ეგზემპლიარიდან „წერა-კითხვის საზოგადოება" გადასდებს არანაკლებ 1 კაპეიკსა სახალხო- საგანმანათლებლო კაპიტალის შესაქმნელად, რომლის პროცენტებით იგი, ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ელემენტის გასაძლიერებლად, უმთავრესად სპეციალურ, კერძოდ კი პედაგოგიურ სასწავლებლებში აღზრდის ყველაზე ნიჭიერ და სახალხო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებული ბავშვებს: გლეხებისა, მუშებისა და ღარიბ სახალხო მასწავლებელთა, ამავე კაპიტალისთვის ვნიშნავ ჩემი მიწის ნაკვეთს ვერაზე, რომელსაც საზოგადოების გამგეობა გაჰყიდის მხოლოდ მაშინ, როცა მიწის ფასი ძალიან აიწევს და მთელ აღებულ თანხას შეუერთებს ჩემს სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალს. ამავე კაპიტალის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ჩემი ნაღდი თავისუფალი თანხების დაახლოებით ნახევარი, ჩემი სხვა ანდერძის თანახმად. საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებლის ხარჯვას სტიპენდიისათვის საზოგადოების გამგეობა არ იწყებს მანამ, სანამ ის არ მიაღწევს ათი ათას (10.000) მანეთამდე.

მეხუთე: ჩემი წიგნების შემოსავლიდან კი საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურ სუბსიდიას არანაკლებ 300 მანეთისა აძლევს ქართულ პედაგოგიურ ჟურნალს „განათლე-

ბას", რათა ამ ჟურნალმა, რომელიც აუცილებლად საჭიროა „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, არ შესწყვიტოს თავისი არსებობა დეფიციტის მძიმე ტვირთის გამო.

მეექვსე: ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც ჰონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში" და რომლებიც ჩემი თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის.

მეშვიდე: ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებულ იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ. ჩემი ამათუიმ სახელმძღვანელოს გამოცემის შეწყვეტისათვის კი საჭიროა გამგეობისა და საზოგადო კრების აგრეთვე სამი მეოთხედის უმრავლესობა.

მერვე: სამი წლის განმავლობაში ჩემი გარდაცვალების დღიდან საზოგადოების გამგეობა წესრიგში მოიყვანს და დაბეჭდავს ჩემს მიერ ჯერ გამოუცემელ როგორც ქართულ, ისე რუსულ სტატიებს. როგორც რუსული, ისე ქართული სტატიები იბეჭდება ცალკე ტომებად იმავე ქრონოლოგიური რიგით, რომლითაც ჩემს მიერ გამოცემულია ჩემი რჩეული ქართული სტატიების პირველი ტომი. ხარჯებს ორი პირველი ტომის გამოსაცემად გამგეობა ეწევა ჩემი სახელმძღვანელოების მოგებიდან იმ შემთხვევაში, თუ-მე ვერ მოვახერხე ამ მიზნისთვის დავსტოვო განსაკუთრებული, სპეციალურად-საჭირო თანხა.

მეცხრე: „წერა-კითხვის საზოგადოების" გამგეობა ყოველწლიურად ათავსებს თავის ანგარიშში განსაკუთრებული ნაწილის სახით რაც შეიძლება ზედმიწევნით ცნობებს ჩემი სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემის, მათი გაყიდვით მიღებული წმინდა მოგების და ამ მოგების გამოყენების შესახებ ჩემი ამა ანდერძის თანახმად.

მეათე: თუ „წერა-კითხვის საზოგადოება" რაიმე განსაკუთრებულ გარემოებათა გამო იძულებული შეიქნება შესწყვიტოს თავისი არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოგება და სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნეს სწორედ იმ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოხატულია ამა ჩემს ანდერძში.

ამა ჩემი ანდერძის აღმასრულებლად ვნიშნავ: ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილს, ვალერიან ლევანის ძე გუნიას, ნიკოლოზ იოსების ძე ლომაურს, შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილს და სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილს. 1912 წელი 14 მარტი.

ესე ანდერძი შეადგინა, გადასწერა და მას ხელი მოაწერა თვითონ მოანდერძემ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილმა.

მოწმენი: ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე
დიმიტრი მოსეს ძე პეტრაძე
გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:
პაოლო იაშვილის სახელობის, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ, სალომე გაფრინდაშვილმა.

არჩილ ჯორჯაძე
(1872-1913)

ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, ფილოსოფოსი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი. საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიის ავტორი, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების კონსოლიდაციის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენდა.

- ეროვნული საკითხის განმარტების გამო, 1901წ.

წყარო/ბმული: https://burusi.wordpress.com/2010/03/23/archil-jorjadze-3/

ეროვნული საკითხის განმარტების გამო

ღირებულებები: ერი, საზოგადოება, პროგრესი, სამართლიანობა, თანასწორობა, თავისუფლება.

არსად, არც ერთ საზოგადოებაში არ შეხვდებით იმისთანა ბუნდოვან და გამოურკვეველ შეხედულებას ეროვნებაზე, როგორც ქართველ საზოგადოებაში. ამ საგანზე ბევრს ლაპარაკობენ – სიტყვით და ბეჭვდით – მხოლოს ამით საქმეს არა ეშველა რა – ეროვნება იყო და არი ჩვენთვის გაუგებარი ამოცანა. ჩვენ არ ვკისრულობთ ამჟამად ამ ცნების ფილოსოფიურ განმარტების შემუშავებას, ფილოსოფიური განმარტება ყოველთვის მეტად ზოგადია და ჩვენ მკითხველს არ მოვაბეზრებთ თავს ამ ზოგადი ციტატების მოყვანით. გვინდა მივმართოთ უბრალო მეთოდს. გვინდა სხვა გზით გავარკვიოთ ეს საგანი. ამისთვის მივაქციოთ ყურადრება ჩვენი ხალხის ცხოვრებას, გადავშალოთ მისი შინაარსი, მისი სული და გული. ამ ცხოვრების შინარსის შესწავლით გაგვიდვილდება იმისი გაგება, თუ რა არის ერი, ეროვნება და ეროვნული საკითხი.

ქართველი ხალხი ძველ დროიდანვე დასახლდა ერთ განსაზღვრულ მიწაზე. ამ ხალხს ისტორიულ მსვლელობაში ერთგვარობა დაეკარგა და იგი დაიყო წოდებებათ: გლეხი,

მღვდელი, თავადი და მეფე შეადგენდნენ ოთხ საფეხურს ერთი და იგივე კიბისა. შემდეგში სხვადასხვა ცვლილებათა ზეგავლენით ჩვენს ცხოვრებას უფრო რთული ხასიათი დაეტყო. მისი სოციალური აგებულება უფრო რთული გახდა. რთული ხასიათი დაეტყო ჩვენს სულიერ ვითარებასაც. მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი ცხოვრობდა იმ მიწაზე რომელზედაც დასახლდა თავიდანვე და ამავე დროს მას არ დავიწყებია ის ენა რომელზედაც იგი თავიდანვე ლაპარაკობდა. მაშასადამე თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას დავინახავთ რომ ქართველ ხალხს საუკუნების განმავლობაში, მიუხედავად მრავალგვარი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებათა, შეურყევლად შეურჩენია ორი რამ: მიწა და ენა. რასაკვირველია ჩვენს ტერიტორიას ამ ხნის განმავლობაში ხან აკლდებოდა ერთი ნაწილი, ხან ემატებოდა მეორე: ჩვენს ენაშიაც ხან ერთი უცხო სიტყვა შემოდიოდა, ხან მეორე. მხოლოდ დღემდე ქართველ ხალხს აქვს განსაზღვრული ტერიტორია და განკერძოებული ენა და ეს ორი საგანი ჩვენი ცხოვრების არსებით თვისებას შეადგენდა და ახლაც შეადგენს. მიწა და მისი ნაწარმოები – ცხოვრების ეკონომიური საფუძველი; ენა და ის ყოველი რაც ენის საშვალებით გამოიხატება ცხოვრების სულიერ და ფსიქიკურ საფუძვლად ჩაითვლება... შეიგნო რა ქართველმა კაცმა ენის მნიშვნელობა მან დაიწყო მისი საშვალებით თავისი აზრის და გრძნობის გამოხატვა. აქედან წარმოსდგა კულტურა, კანონმდებლობა, ღვთისმეტყველება, ლიტერატურა და სხვა...

...ჩვენ არ შევდივართ იმის ძიებაში, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ერთმანეთში ამ ორ ცხოვრების ფაქტორს – ეკონომიურ ურთიერთობას და კულტურას. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ქართულ ცხოვრების შინაარს შეადგენს ის, რაც ამ ორ ნიადაგზე აღმოცენდა. ეკონომიურ ურთიერთიერთობის შინარს შეიცავს: გლეხი და მისი მემამულესთან დამოკიდებულობა, მუშა და მისი დამოკიდებულება მრეწველთან. ამ ეკონომიურ ურთიერთობებს თავისი იურიდიული ფორმა აქვს, სოფელში – თემობა, ქალაქში – თვითმართველობა, კულტურულ ცხოვრების შინაარსს შეადგენს: ლიტერეტურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარება, ჩვენი პიროვნების და აზრის განმტკიცება.

მაშასადამე, ყველა ეს ერთად შეერთებული, ჩვენი ეროვნული ცხოვრების შინაარს შეადგენს. მხოლოდ ეს აზრი უფრო შემდეგი მოსაზრებითაა. როდესაც ჩვენ ტერიტორიას გარე მტერი ემუქრებოდა ხოლმე, ქართველი ერი ამ მტერს ებრძოდა, რადგან იცოდა, რომ მიწა იმის მარჩენალია, რომ ამ მიწაზე ცხოვრობს ერთ ენაზე მოსაუბრე ერი, რომელსაც ერთი ბნე, ერთი ჩვეულება, ერთი სარწმუნოება, ერთი ლხინი და ჭირი ჰქონდა.

ყოველივე ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელიც აერთებდა ჩვენ ერს და მეორე ერიდგან არჩევდა მას. მხოლოდ საკითხია – განა ჩვენი ხალხის ყველა ნაწილი ერთსა და იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდა? განა ძველ დროში არ იყო ნივთიერი უთანასწორება: ღარიბი და მდიდარი, ბედნიერი და უბედური?

ჩვენი ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვეუბნება რომ წარსულში, თუ არა მეტი, არანაკლები ქონებრივი უთანასწორება იყო ჩვენში და რომ წოდებრივ დაყოფას ღრმა ეკონომიური საფუძველი ქონდა. ნივთიერი ძალა ერთი წოდების ხელში იყო. ასე, რომ ეკონომიკური განხეთქილება, შეუგნებელი უთანხმოება ძველ დროშიც იყო. ამის-და მიუხედავად, ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ყველას, ვისაც კი მისი პოლოტიკური დამონება სურდა. რითი აიხსნება ასეთი გარემოება? ხალხი შევიწროებული და შეხუთულია, ხოლო მო-

ადგებოდა რა მას მტერი, იგი ივიწყებდა თავის ვარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩდა ვიდრე შინაური ბატონი, რომ მიუხედავად ნივთიერ უთანასწორებისა, ჩვენი გლეხი რაღაცით დაკავშირებული იყო სხვა წოდებასთან. მას შინაური მონობა ერჩია გარეშე ძალის მონობას. ეს რაღაც იყო – ენა, ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია და სხვა და ის სხვა – ის რასაც მეცნიერები ფიზიკურ ფაქტორს უწოდებენ. მაშასადამე ჩვენი ხალხი თავის თავს იცავდა, იცავდა თავის მიწას და სარწმუნოვებას.

ყველა ამისი დაცვა მას თავისუფლების დაცვად მიაჩნდა და გარეშე მტერს იგი უყურებდა როგორც იმის სიცოცხლის და თავისუფლების დამამხობელს. ასე, რომ ძველ დროში ეროვნული კითხვა ქართველი ხალხის, სიცოცხლის და თავისუფლების კითხვა იყო. სიცოცხლე და თავისუფლება ხომ ხალხს თავისებურად ესმოდა.

სიცოცხლე – გამრავლების და ბედნიერების უფლება. თავისუფლება კი – ამ უფლების ხელშეუხებლობა, შურყევლობა...

...ჩვენს დროში რაღა არის ეროვნული საკითხი? რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარი მოვლენისა, ერთი მხრივ, ეროვნული თანხმობის, მეორეს მხრივ, თანამედროვე ეკონომიური წინაღმდეგობისა, განხეთქილებისა? რანაირად შეზავდეს ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება? ამ კითხვის გამოკვლევისთვის ჩვენ დაბეჯიტებით უნდა ვიცოდეთ ის თუ რა არის ეროვნება ანუ ნაციონალიზმი, შეგნება იმ აზრისა, რომ მე როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან წარმოდგება ეს კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა. ისტორიულ მსვლელობაში ადამიანი ერთბაშად ვერ მიხვდა, რომ ყოველი ადამიანი ადამიანია, ვიდრე ის იმ აზრამდე მივიდოდა, მისთვის საჭირო იყო განვლილი გზა განევლო, ოჯახების შეერთებიდან თან-და -თან თემი შედგა, თემების შეერთებიდან – ხალხი და ხალხი ცნობიერების გაღვიძების წყალობით ერად იქცა. ასე რომ მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავის ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე ერი თვით მცოდნე ხალხია, ეროვნება – შეგნება ნათესაობის და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის, შეგნება აგრეთვე იმ აზრისა, რომ ეგ კავშირი სხვა, უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლისთვის აუცილებელი და უსაჭიროესი იარაღია.

მაშასადამე, ეროვნება კავშირი ყოფილა, ხალხის მთლიანობა, გაერთიანება, ეკონომიური ბრძოლა კი განხეთქილება, ცხოვრების გათიშვა, ერთობის დარღვევა. რა საფუძველზე შეიძლება ამ წინაღმდეგობის შეთანხმება?..

ჩვენის აზრით, იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც უვნებლად დარჩა ჩვენი ეროვნება ჩვენს წარსულ ისტორიაში. ეკონომიური წინაღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია. თუ ძველად ეს წინააღმდეგობა ხშირად შეგნებული იყო, ჩვენს დროში იგი აშკარად შეიქმნა ჩვენი ხალხისათვის. მხოლოდ ჩვენი დროის უპირატესობა კიდევ იმაშია რომ ჩვენ უფრო მეტი ეროვნული სიმნიფე დაგვეტყო. ამისათვის ვეცადეთ რამდენადაც კი ღონე შეგვწევს ჩვენი ხალხი ნივთიერად გავაღონიეროთ და ამით შევუმსუმბუქოთ ეკონომიური წინააღმდეგობის სასტიკი ზეგავლენა. მხოლოთ ამ ცდაში ყოველთვის ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ ზოგიერთ პირობებში ერის ერთიანობა და განუყოფლობა მეტის კეთილდღეობის თავდებია, ვიდრე მისი დანაწილება დაქუცმაცება.

ჩვენი ნაციონალური მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის გაუქმებას ადვილად მოჰყვება ჩვენი ეროვნული კულტურის გაუქმებაც. ამისათვის არ არის შეწყნარებული ის აზრი, ვითომ კავკასიაში ეროვნულ ბრძოლას არ აქვს ადგილი და ვითომ კავკასიაში ერთა შორის ბრძოლა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლაა.

ანტი-პატრიოტიზმის ავი და კარგი, 1908წ.

ღირებულებები: ერი, საზოგადოება, პროგრესი,
სამართლიანობა, თანასწორობა, თავისუფლება, დემოკრატია.

წასულ წელს ევროპაში ორი სოციალისტური კონგრესი მოხდა. ერთი კონგრესი ნაციონალური – საფრანგეთში (ნანსი), მეორე – შტუდგარტში, ინტერნაციონალისტური. ამ კონგრესებზე ძირითადი განსახილველი საგანი ეროვნული პრობლემა იყო. ნაცინალისტური პრობლემისადმი ინტერესი ფრიად გაიზარდა ევროპაში ამ ბოლო ხანებში. სოციალისტ-ანარქისტ-სინდიკატთა წრეებში ეროვნულ პრინციპს მკაცრი მოწინააღმდეგნი აღმოუჩნდნენ. გაჩნდნენ ანტიმილიტარისტები და ანტიპატრიოტები, რომელნიც ჯარში ეწეოდნენ პროპაგანდას და უქადაგებდნენ ჯარისკაცებს, რომ თუ ვინიცობაა ევროპაში ომი გამოცხადდა, ჯარისკაცებმა უარი უნდა თქვან ომში გასვლაზე და უნდა აუჯანყდნენ იმ მთავრობას, რომელიც ჰგზავნის მათ ომშიო. ამ მოძრაობის ბელადი და იდეოლოგად გამოვიდა გუსტავ ერვე.

აღსანიშნავია, რომ გ. ერვეს სასტიკ მოწინააღმდეგებად ევროპის სოციალ-დრემოკრატია გამოვიდა. სოციალ-დემოკრატია მხურვალედ გამოესარჩლა ეროვნულ პრინციპს და აშკარად გამოამჟღავნა თავისი პატრიოტული გრძნობანი.

გ. ერვეს მახვილი სწორედ ამ პატრიოტულ-სოციალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული. თავის წიგნში „სოციალიზმი და პატრიოტიზმი" მოჰყავს საყურადღებო ცნობები ევროპის სოც- დემოკრატების პოზიციის გამოსარკვევად. 9 ივნისს 1903 წელს საფრანგეთის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია ინტერნაციონალიზმი არც სამშობლოს გაუქმებას მოასწავებს და არც მის უარყოფასო, ოთხი თვის შემდეგ ფრანგთა მუშათა პარტიის ნაციონალურ კონგრესზე აღიარეს თუ საფრანგეთს მტერი დაესხა, იგი ჰპოვებს მხურვალე დამცველებს მუშათა პარტიის სოციალისტთა შორისო. ჟორესმა 15 აპრილს 1905 წ. შემდეგი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტში: საფრანგეთის ხანგრძლივი ისტორია ისეთი მშვენიერი შეთანხმება- შეზავებაა გენისობისა, გმირობისა და კეთილშობიური ადამიანის გრძნობებისა, რომ მაშინაც კი, როდესაც მას შავი დღეები უნახავს, იგი შუქსა ჰფენდა. უარამ რომელმაც საფრანგეთის მკერდის ნაწილი დაზიანა და გული აუტირა, ვერ გამოაცალა ძალ-ღონე და მისი წინ სვლა ვერ შეაჩერა. ქვეყანაზე არავინ არ არი რომ, მის წინაშე წედი ან თავი მოიხაროსო.

1891 წელს ლიბკნეხტმა გერმანიის ნაციონალურ კონგრესზე თქვა: „მე იმას მაყვედრებენ, რომ განვაცხადე, თუ გერმანიას სხვა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა, თუ მტრის მოსაგერიებლად ომი მოგვიხდა, ჩვენ დავიცავთ სამშობლოს -მეთქი. დიახ მე ესა ვთქვი,

ბევრჯელ მითქვამს და კიდევაც ვიტყვი, თუ გერმანიის განსაცდელი მოევლინება – ჩვენ ყველანი, ახალგაზდა და მოხუცნი თოფს მხარზე წამოვიკიდებთ და მტერს შევესევით (მიუბრუნდა მემეარჯვენებს და განაგრძნობს). თქვენს საყურადღებოდ არ ვამბობ მაგას, არამედ ჩვენიანების საყურადრებოდ, რადგან ეს მიწა ჩვენი სამშობლოც არი, ჩვენი სამშობლო უფრო არი, ვიდრე თქვენი და ამის გულისთვის სულის უკანასკნელ ძგერამდე ვიბრძოლებთ. გაძლევთ ამაში სიტყვას. ამონაწერებით აღარ ავაქრელებ ფურცლებს. ამგვარი განცხადებებით, რეზოლუტიებით სავსეა არა მარტო ორატორების სიტყვები, არამედ კონგრესებისა და მიტინგების დადგენილებანი...

აი თუნდაც მაგალითისთვის შარშან მომხდარი კონგრესის ანგარიშები გადასინჯეთ. ჟორესმა განაცხადა: ნაცია და სამშობლო ჩემთვის იმგვარი ფაქტებია, რომელსაც სოციალისტური და ჰუმანური ღირებულება აქვს. განსაზღვრული ღირებულება ნაციას არც სოციალისტურ საზოგადეობაში ეკარგებაო. გედმა სთქვა „მუშათა კლასმა უნდა დაიცვას თავისი სამშობლო, რათა ამავე დროს დაიცვას ის აუარებელი სიმდიდირე, რომელიც რევოლუციის შემდეგ მის ხელში უნდა გადავიდესო. ნანტის კონგრესზე იონის რეზოლუცია, რომელიც იწვევდა სოციალისტებს აჯანყებისკენ მთავრობის წინააღმდეგ ომის გამოცხადების ჟამს უარყოფილი იქნა 251 ხმით წინააღმდეგ 41 ხმისა (12 უარი თქვა კენჭისყრაზე) აგრეთევე დამარცხდა შტუტგარტშიც, სადაც იმავე ხანებში გაიმართა ინტერნაციონალური კონგრესი.

ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ერვე თუ მისი მოწინააღმდეგნი? ერვეს აზრების გაცნობა ხელს შეგვიწყობს უფრო ღრმათ ჩაუფიქრდეთ საგანს და გამოვამჟღავნოთ ნამდვილი ხასიათი ეროვნებისა.

თავდაპირველად უნდა გვახსოვდეს, ბატ გ. ერვე საუბედუროდ მარტოოდენ ევროპელთა საქმეებს ეხება. მას ევროპელთა სახელმწიფონი და ერნი ყავს მხედველობაში და ეს საკმარისი არ არი ეროვნული პრობლემის სავსებით გადაწყვეტისა. ევროპის შესახებ კი ის ამნაირად სჯის.

იქ დღეს დაახლოებით ყველგან ერთნაირი პირობები დამყარდა. კაპიტალი მთელ ევროპას მოეფინა და მთელს ევროპაში მსგავსი ეკონომიური პირობები შეიქმნა. ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ევოლუციაც ერთ კალაპოტშია ჩაყენებული. ყველგან არსებობს ის მინიმუმი თავისუფლებისა, რომელიც საჭიროა კაპიტალისტური წყობილების განვითარებისთვის. მსგავს სოციალურ- პოლიტიკურ პირობებს შესამჩნევი ცვლილება უნდა მოეხდინა ევროპელთა აზროვნებაში. ერთმა სახელმწიფომ რომ გაიმარჯვოს კიდევაც მცირე სახელმწიფოზე, დამარცხებული სახელმწიფოს ერი შესამჩნევად არაფერს დაკარგავს. ვთქვათ გერმანიამ ერთხელ აჯობა საფრანგეთს და წაგლიჯა რომელიმე პროვინცია. რას დაკარგავს ფრანგები, რისი უნდა ეშინოდეთ მათ? აშკარაა მათ არავინ ამოწყვიტავს. ის დრო წავიდა, როდესაც დაპყრობილებს ხოცავდნენ, ან კიდევ მონებად ჰყიდიდნენ, ან იქნება ქონებას დაკარგავენ? არც ამის შიში უნდა ქონდეთ. ელზას ლოორენი დაიპყრეს გერმანელებმა, მაგრამ გამარჯვებულებს ქონების კონფისკაცია არ მოუხდენიათ. ენა უნდა დაკარგონ? თუ მოინდომეს არ დაკარგავენ. კანადა ორი საუკუნეა რაც ინგლისელებს ეკუთვნის, მაგრამ იქაურ ფრანგებს ფრანგული არ დავიწყებიათ. დამარცხებულნი მაშინ კარგავენ ენას, ამბობს შეუფერებელ აზრს ერვე, როდესაც საერთო ენის დაკარგვა ან როდესაც სამშობლო ენის დაკარგვა მათთვის სასარგებლოაო. ხოლო ამისთვის რამოდენიმე საუკუნეა

საჭირო და თუნდაც დაკარგოს ხალხმა თავისი ენა. მდიდიარი და მეტყველი, იმის ნაცვლად ხომ შეიძენს იგი სხვას, რა ნაკლებ მდიდიარსა და მეტყველ ენას, ასე რომ არც ეს გარემოებაა ასე ტრაგიკული...

...კი, მაგრამ ნაციონალური ტემპერამენტი და ხასიათი? მათ ხომ მოელის განსაცდელი? საფრანგეთმა რომ შემოიერთოს გერმანის პროვინციები, გერმანელებს ტემპერამენტი და ხასიათი მით არ დაეკარგება. არც ფრანგებს მოუვა ამგვარი უბედურება გერმანელებს რომ ჩაუვარდნენ ხელში. და რომ დაჰკარგონ კიდევაც, პირველი და უკანასკნელი არ იქნება, ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხნის „სუფთა" და შეურეველ რასიულ თვისებების პატრონი ვაროო. დარჩა პოლიტიკური ფორმა. საფრანგეთში რესპუბლიკაა, გერმანიაში კონსტიტიციური მონარქია, მაგრამ ევროპის პოლიტიკური, განურჩევლად რესპუბლიკაა იგი თუ კონსტიტუციონალური მონარქია, ზედაპირულად ჰფარავს მთელ ევროპის საზოგადოების ერთგვარ უკუღმართ ეკონომიურ ორგანიზაციას. ასე რომ რესპუბლიკის მნიშვნელობის გაზვიადებას მაინც და მინც დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდესო.

საკვირველი ამბავია, ფიქრობს გ. ერვე. სოციალისტები აღიარებენ იმ აზრს, რომ თვითეულ ქვეყანაში შემაძრწუნებელი და საშინელი კლასთა ბრძოლა წარმოებს, ამავე დროს ეს სოციალისტები მზად არიან სისხლი დაათხიონ ამ კლასთა ბრძოლაში კი არა, იმ ბრძოლაში რომელიც ჩნდება ერთი ქვეყნის გაერთიანებული კლასებისა მეორე ქვეყნის გაერთიანებული კლასებთან. ომის დროს ისინი მართველ კლასებს სოლიდარობას უცხადებენ. ბრძოლის ველზე ისინი მზად არიან თავიანთი მოპირდაპირე კლასის მეთაურებთან ერთად მიიღონ ზიარება ერთის ჯამიდან. ისინი ინტერნაციონალისტები არიან, მაგრმ გამოუცხადებს თუ არა გერმანია ომს საფრანგეთს ან საფრანგეთი გერმანიას მაშინ, მათის აზრით, გერმანელი და ფრანგი პროლეტარიატი ერთმანეთს უნდა დაერიოს და ყელები დასჭრან თავიანთი სამშობლოს განსადიდიებლად. ერთი მხრივ ბებელმა, მეორე მხრივ ჟორესმა თოფ-იარაღით ხელში თავი უნდა დასდონ. ერთმა გერმანელთა სამშობლოსთვის, მეორემ ფრანგთა სამსობლოსთვის. აი ამგვარ წინააღმდეგობის ქსელში გაებნენ სიციალისტ-პატრიოტებიო.

გ.ერვე განაგრძობს: „რა არის სამშობლო, ერი, ეროვნება? ზოგნი ამბობენ სამშობლო ის ადგილია, სადაც დავიბადეთო. თუ თქვენ დაიბადეთ ერთ რომელიმე სოფელში, ეს სოფელი გეყვარებათ და თქვენი სიყვარული ბუნებრივი ქნება, მაგრამ ამ პატარა სოფლისადმი სიყვარულიდან სრულიად არ გამომდინერობს სიყვარული იმ დიდ ქვეყნისადმი, რომელსაც ჰქვიან საფრანგეთი ან გერმანია, რომელიც შენ თვალითაც არ გინახავს, რადგან არ განშორებულხარ შენ დაბადების ადგილსაო. მაშ სამშობლო სხვა რამ ყოფილა...

...სამშობლო წინაპართა მიწა-წყალიაო. წინაპართა შარავანდედით მორთვა ყველგან არის მიღებული. მართალია ბევრი სისხლი დაუღვრიათ ამ ჩვენ წინაპრებს, მაგრამ რისი გულისთვის? ბატონების, აზნაურების მეფეების გულისთვისო. ცოტანი იყვნენ რომლებიც ხალხის ინტერესებისთვის იღვწოდნენ. მაშ თავი დავანებოთ წინაპრებს. სამშობლო, ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენი მოდგმის, ჩვენი რასა ცხოვრობსო. ევროპაში არ არის არც ერთი სახელმწიფო, სადაც მარტო ერთი მოდგმის ხალხი ცხოვრობდეს. გერმანიში გერმანელები და სლავიანებია, საფრნგეთში პროვანსალები არიან, რომელთაც უფრო იტალიელებთან აქვს ნათესაობა, ვიდრე ჩრდილოთ საფრანგეთში მცხოვრებ ფრანგებთან. ჩრდილოეთში ბევრი ფლამანდიდიელი სცხოვრობს, ბრეტონელი უფრო ახლოა ირ-

ლანდიელებთან და შოტლანდიელებთან". ხოლო თუ მართლა სამშობლო ის არი, სადაც ერთი ჩამომავლობის ხალხი ცხოვრობს, მაშინ ერთი სამშობლო უნდა დაარსდეს, რადგან ეხლანდელ იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს და ინგლისელებს აზიაში საერთო წინაპრები ყავთო. სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც ერთ ენაზე ლაპარაკობენო. ელზასელები გერმანულს ლაპარაკობენ. საფრანგეთს კი ეკუთვნოდნენ და პატრიოტებიც იყვნენ საფრანგეთის. ბრეტონელებმა ფლამანდელებმა ეხლახანს ისწავლეს ფრანგული. შვეიცარიაში მკვიდრთა ერთი ნაწილი ფრანგულ ლაპარაკობს, მეორენი გერმანულს, მესამე იტალიურს და ამასთან არსებობს სამშობლო, ანუ ერი შვეიცართა. კუბელები ესპანურს ლაპარაკობენ, ხოლო თავისი კუნძულიდან გარეკეს ესპანელები და ჩამოშორდნენ ესპანეთს. შეერთებულ შტატებში ინგლისურს ლაპარაკობენ, ხოლო ამერიკელები ინგლისს არ თვლიან სამშობლოდაო. ასე რომ არც ენა ჰქმნის თურმე ეროვნებას. სამშობლო – ეგ საერთო აზრთა, გრძნობათა, ზნეთა წარმოშობის ნიადაგიაო. ეს ხომ სულ ტყუილიაო. კარგი ურთობა აქვთ ფრანგ-კლერიკალებს და ანტიკლერიკალებს, თავისუფალ მოაზრეთა და ანტისემიტებს, ნაციონალისტებს და დრეიფუსისტებს, როიალისტებს და ბონაპარტისტებს, სოციალისტებს და რესპუბლიკელებს. სამშობლო – ეგ ჩვენი საერთო დედაა, დიდი ოჯახია, რომლის წევრებს საერთო ინტერესები აქვთ, ლტოლვილების საერთო საგანიო. ოჰ. ამ დიდი ოჯახში ზოგი შვილი მდიდრეულის შემკულ სუფრას მიჯდომია, ზოგი კი მუდმივად შრომობს და აცხობს იმ საზოგადოებრივ ქადას, რომელსაც შეექცევიან სუფრასთან მისი ბედნიერი ძმები. კარგი დედაა თქვენმა მზემ! დედას ხომ ერთნაირად უყვარს თავისი შვილები. ყველას აჭმევს, ასმევს და ეალერსება და იმ დედას განა დედა ერქმის ვინც ერთ შვილს აძღობს მეორეს კი შიმშილით კლავს. არა, ეგ ხომ დედინაცვალია და არა დედა! და დღევანდელი სამშობლო ამ დედინაცვალს გავსო.

ამ თეორიულ მოსაზრებებს თავისი ღირსებაც აქვთ და ნაკლოვანებაც...

ღირსება იმაშია, რომ მართლაც ეროვნება არ შეადგენს არც ერთ განცალკევებულად არსებული ზემოთ ჩამოთვლილი თვისება, მაგრამ ყოველი ეს თვისება საჭირო ელემენტს შეადგენდა ეროვნული შემეცნების შექმნის პროცესში. ამ გარემოებას ყურადრებას არ აქცევს გ. ერვე და აქ მისი თეორია სუსტობს და სუსტია ამიტომ ზოგიერთი აქედან გამომდინარე პრაქტიკული მოსაზრებაც. მთავარი საფუძველი გ. ერვეს თეორისაა შეურყეველი რწება, შეურყეველია ის აზრი, არც ენას არც რასას და არც საერთო თავგადასავალს არც სხვა რამ ამ ხასიათისა არა ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს სასწაული არ მოუხდენია არც ამ ელემენტებს ერთად აღებულს. ეროვნების წარმოშობისთვის საჭირო იყო სხვაგვარი ძალა, საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფის, ჩაკირვისა და შეერთების ძალა შეწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო. დაახლოებით ამ დეფინაციას აღიარებს გ. ერვეც, როდესაც ამბობს ერი ან სამშობლო – ეგ უწინარეს ყოვლისა ადამიანთა მასაა, რომელიც ცხოვრობს ერთ კანონის ქვეშ. მართლადაც ერი ჩნდება იქ სადაც ჩნდება კანონი, ე.ი. სახელმწიფო თავისი ორგანოებით, რაც უნდა შეურევველი იყოს ეთნიკურად, რომელიმე ხალხი რაც გინდა სუფთა და ორიგინალურ ენაზე ლაპარაკობდეს იგი. იმ დრომდე ხალხი ერად არ ხდება სანამ სახელმწიფო არ იბადება. ე.ი. სანამ საგვარეულო წესი არ დაინგრევა და ნათესაობის ადგილს ტერიტორიული პრინციპი არ დაიჭერს, და როდესაც სახელმწიფო იბადება და იწყებს მუშაობას ეროვნების შესაქმნელად...

მაშინ ამ საქმეში უმნიშვნელო ფუნქციას არ ასრულებს ენა, რასა, საერთო თავდადასავალი და სხვა ამდაგვარი, რაზედაც ჩვენ უკვე ქონდა ლაპარაკი. ქართული ერის შესწავლის დროს. გ. ერვეს ამ გარემოებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ერვეს. უნდა ავღნიშნოთ, თუმცა ერვე წინააღმდეგია სამშობლოს პრინციპებისა და პატრიოტული გრძნობებისა, ხოლო მასაც ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებლად მიაჩნია სამსობლოს დაცვა. წარსულში, როდესაც ჯერ კიდე მონობა არსებობდა და როდესაც დაპყრობილ ხალხს ხშირად ხოცავდნენ, ან მონებად აქცევდნენ, ამ შემთხვევაში ბრძოლა ერვეს პატივსადებ საქმედ მიიაჩნია. ძველი რომის პლებეებს ეს პლებეურობა ერჩივნათ მონობას და პლებეის უნდა ჰქონოდა პატრიოტული გრძნობა და სამშობლოც უნდა დაეცვა, ხოლო მას შემდეგ, რაც უცხოელი მტერი ტყვეებს არცა ჭამს, არც კლავს, მას შემდეგ რაც მონობა ან სულ გაუქმდა ან მას სიმკაცრე დაეკარგა, ღარიბებს, მდაბიო ხალხს, არავითარი რეალური ინტერესი არა ქვს დაიცვას სამშობლო, სადაც ღარიბები პარიებათ ითვლებიანო. მაგრამ არის ერთი გარემოება, როდესაც ერვეს აზრით, სამშობლოს დაცვა და ომი არა მარტო ნებადართულია, სავალდებულოც არის ზნეობის პრინციპების მხრივ. ეს ის გარემოებაა, როდესაც მმართველი კლასები უცხოელებს იწვევენ თავიანთი პრივილეგიების დასაცავად, ომი გარეშე მტერთა ამ შემთხვევაში გონივრულიცაა, ზნეობრივიცო. ასე სჯის ერვე. ყოველივე ეს რომ მივიღოთ მხედველობაში უნდა ვსთქვათ რომ ერვეს სისრულით და სამართლიანად ვერ განუმარტავს ეროვნული პრობლემა. საქმე ის არის, რომ კაცობრიობა მარტოოდენ დასავლეთ ევროპელებისაგან არ შესდგება...

დასავლეთ ევროპა უკვე ერთ კულტურულ სხეულს შეადგენს. იქ უკვე ევროპის სახელმწიფოთა ფედერაციაზე შესაძლებელია ლაპარაკი. იქ მართლა დაიყო მთელი საზოგადოება ორ კლასად და იქ იზრდება და მუშავდება ატმოსფერო და პირობები ახალი საზოგადოების დამყარებისთვის. იქ ომი ერთი ხალხისა მეორეს წინააღმდეგ უგნურობაა. იქ რეალურად თავს იჩენს ინტერნაციონალი და ამიტომ და ამ ინტერნაციონალის ოჯახის წევრებს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი არა აქვთ რა. და თითქოს მართალია ერვე, რომელიც უკიჟინებს ევროპიელ სოციალისტ-პატრიოტებს, თქვენთვის ინტერნაციონალიზმი ცარიელი სიტყვაა, ნამდვილად კი თქვენ გაბატონებული კლასების აზრებით ხართ მოშხამული და არწმუნებთ მუშა ხალხს, რომ ვითომ მდიდარსა და ღარიბს შორის ზოგიერთ შემთხვევაში, ომის დროს, მაგალითად, არა თუ შესაძლებელია სოლიდარობა აუცილებელიცაა. თუ სამშობლო და პატრიოტიზმი მოპირდაპირე და ერთმანეთში მოურიგებელ კლასთა სოლოდარობის და ერთობის განმტკიცების ერთგვარი საშვალებაა. იქ სადაც საზოგადოებრივი სტრუქტურა მარტოოდენ ორი მოპირდაპირე კლასისგან შედგება, სადაც კლასთა ბრძოლა უტყუარი ფაქტია, არამედ მთავარი ძარღვი ადამიანთა განთავისუფლებისა, იქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი თანამედროვე ხასიათის პატრიოტულ გრძნობით აღზდას და განვითარებას, ვინაიდან იგი გრძნობა აბნელებს კლასობრივ შემეცნებას, ანელებს ატეხილ ინტერესთა წინააღმდეგობას და ამით აგვიანებს ადამიანთა განთავისუფლების დღეს. ასეთია პრინციპი, მაგრამ ამ საგანს სხვა მხარეც აქვს. ჯერ ევროპაშიც არის იმისთანა კუთხეები (ევროპის ოსმალეთი, ბალკანეთი, გერმანიის პოლონეთი) სადაც ჯერ კიდევ მკაფიოდ არ გამოსულან სოციალური კატეგორიები, სადაც რასიულ, სარწმუნოებრივ, ლინგვისტურ და ეთნიკურ ელემენტებს ერთი მეორესთან შეხლას ისეთი მწვავე კონფლიქტი მოსდევს ხოლმე, რომ უიარაღოთ საქმე არც

ეხლა რიგდება, არც მომავალში გარიგდება, მაგრამ გახედეთ ევროპის გარეთ. რა აჭრელებულ სურათს წარმოადგენს, ჯერ ხანობით უბადრუკი კაცობრიობა. არ ვიცი რას იტყოდა და რას იზავდა გ. ერვე, აზიის და აფრიკის უვიცი, შავი და წითელკანიანი ხალხი რომ გალაშქრებულიყო ევროპის წიინაღმდეგ. ავღანელი და ტიბეტის დალაილამის თაყვანისცემელი რომ მისდგომოდა პარიზსა, მის მუზეუმებს, ბიბლიოთეკებსა, შრომის ბირჟებს. არ ვიცი რა გუნებაზე დადგებოდა ერვე ამ ფერადკანიანთა ლაშქრით შემოსევის დროს, ხოლო დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა რომ ევროპის პროლეტარიატი ინტერნაციონალი იარაღს აისხამდა და იარაღით ხელში დაიცავდა თავის კულტურას, თავის ნაამაგრს, თავის ოცნებას თავის მომავალს განადგურებისა, ძალმომრეობისა და დაპყრობისგან...

თუ ამდაგვარი უბედურება შეემთხვა ევროპას, ამბობს პროფესორი -სოციალისტი ჟორჟ რენარი: სასტიკი მოპირდაპირენი სამშობლოს პრინციპებისა გაიგებენ და მიხვდებიან რამდენად საჭიროა ჯერ კიდევ თვით სოციალური სამართლიანობის უზვრუნველსაყოფად დაცვა, გარეშე მტრის შემოსევისგან დედა-მიწის ერთი კუთხისა მაინც, სადაც ოცნება ფართოდ არის გაშლილი და სადაც ამუშავებენ უკეთეს საზოგადოებას – დასავლეთი ქვეყნის ამ სანუკვარო და სანაქებო საქმეს.

ვიმეორებთ, ევროპაში თითქოს მზადდება ნიადაგი ევროპის ფედარაციის დამყარებისთვის, ევროპული ინტერნაციონალის განვითარებისთვის, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს ეროვნულ ერთეულებთა გაუქმებას, არამედ მათ დაკავშირებას. ევროპის გარეშე კი მის საზღვრებს განაპირაზე კიდევ სხვა ბევრ საერთოსა ვხედავთ, სხვა ბევრ პირობებს ვამჩნევთ და აქ სხვაგვარი თეორიაა საჭირო სინამდვილის განსამარტად და პრაქტიკული პოლიტიკის სანარმოებლად.

დაკვირვების და შესწავლისათვის საგნად ავიღოთ ისევ ჩვენი ქვეყნისა და ამის მდგომარეობის გათვალისწინებით შევიმუშავოდ პრაქტიკული პოლიტიკის გეგმა.

ვაჟა-ფშაველა
(ნამდვილი სახელი
ლუკა რაზიკაშვილი)
(1861-1915)

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი,
პოეტი, მწერალი, მასწავლებელი.

● მღვდლების ვინაობა, 1906 წელი

წყარო/ბმული: https://www.gdl.ge/ge/publication/va-ja-fshavela.page

მღვდლების ვინაობა

ღირებულებები: მოქალაქეობა, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება, საჯაროობა.

გაიძროთ ანაფორები, შეიკრიჭოთ თმები და გამოეწყოთ „პინჯაკებში", „მტაცკურად", მაშინ სულ სხვა მნიშვნელობას მივცემთ თქვენს რევოლუციონერობას. დღეს კი თუმცა ყველაფერს კარგს, უკეთესს, სასარგებლოს ბრძანებთ, მაგრამ ბოლოს ჩვენთვის სამავნებლო იქნება. თქვენს წოდებას პროგრესიული აზრების ქადაგებით მკვიდრად ბოძებს უდგამთ და მომავალ ცხოვრებას ეგ არ შეჰფერის, არც შეჰშვენის; ახალმა ცხოვრებამ სრულიად სხვა გზა და დანიშნულება უნდა მისცეს თქვენს წოდებას, მშობლიური მამობრივი მზრუნველობა უნდა ჩამოგყაროსთ, თქვენ აღზრდის საქმეში, სკოლებში ადგილი აღარ გექნებათ, რათა უკუღმა არ მომართოთ თქვენი ყოვლად შემძლებელი ენა. მომავალი ცხოვრება თქვენ პროგრესიულ ელემენტად ვერ ჩაგთვლისთ. დიაღ, ვერ ჩაგთვლისთ, ვიდრე სამღვთო ნერილის მცნებათა თავისებურად გამოყენებაზე ხელს არ აიღებთ და არ მოიშლით მექურჭლის ხელობას, რომელიც ქოთანს საითაც ჰნებავს, ყურს იქით მოაბამს... ვსტყუი? მაშ რატომ აქამდის, ვიდრე ბიუროკრატიის ბაგეზე იყავით დაბმულები და იმის დალაბანდზე სთამამობ-

დით, არა ჰქადაგებდით მაგას, რასაც დღეს ამბობთ? თუ დროთა ვითარებას დააბრალებთ, ცენზურას და სხვა?

მღვდლებო–სოციალისტებო! ჩემში თქვენის მოღვაწეობის წყალობით აღძრული გრძნობა ეს არის, იქნება თქვენც გეწყინოსთ, თქვენს წოდების გარეშე ბევრს სხვასაც, მე პირადად მწყინს, როცა ჰმღვდლობთ, ანაფორები გაცვიათ და ჰრევოლუციონერობთ... გაიხადეთ ან ანაფორები და სთქვით სამოქალაქო აზრები როგორც მოქალაქეთა, ან არა და გეცვასთ ანაფორა და სთქვით შეუბღალავად, განურყვნელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა იესო ნაზარეველმა. არც არაფერი იმით დაშავდება... თქვენი გავლენა ხალხზე გეუბნებით გამოცხადებით, აშკარად, საბოლოოდ მავნებელი გამოდგება, არ არი მოსაწონი თქვენი გავლენა ვინაიდან იგი სასარგებლო ნაყოფს არ გამოიღებს და მხოლოდ მონებს აღუზრდის ქვეყანას და არა ნამდვილ მამულიშვილებს და მოქალაქეებს... საწყინო იყო თუმცა ბევრ სოციალისტ–რევოლუციონერს არ სწყინდა, არამედ ესახელებოდა კიდევაცმ მამა გაპონი რომ მუშებს გაუძღვა წინ, შარშან იანვარს სასახლისაკე. ამით გაპონმა რუსეთის სოციალისტებს რამდენიმე ჩანახი ლაფი დაასხცა თავზე, თუმცა უკანასკნელებმა ვერც კი იგრძნეს. კიდევ კარგი, რომ გაპონიც ყალბი სოციალისტი გამოდგა.

დღეს კი თქვენი მოღვაწეობა ნაყოფიერია და უფრო ნაყოფიერი იქნება თუ იქადაგებთ მაგ მოწინავე აზრებს, როგორც მოქალაქენი და არა როგორც მღვდლები.

იქნება სთქვათ: მღვდლობა, ანაფორები რას გვიშველისო. მაგრამ ხომ ყოველი „პრისტავი" ამბობს და გვეფიცება, როცა ეტყვი, გაიხადე მუნდირიო, გამოდი სამსახურიდან და ხალხს შეუერთდიო დიაღ, ფიცითა სქდება; ნამდვილი ქვეყნის ერთგული ვარ, მუნდირში ხალხს უფრო ბევრში რაშიმე გამოვადგებიო. საქმით კი გამოდის, რომ ამჯურა ხალხს ვნების მეტი ქვეყნისთვის არაფერი მოაქვს, რადგან ვის პურსაცა სჭამენ, იმის ხმალს იქნევენ. ძაღლი საცა სალაფავსა სჭამს, იქა ჰყეფს. ურიის პური სჭამე და ურიის ხმალი მოიქნიეო, ხომ მოგეხსენებათ?

ეს ერთიჯურა მღვდლების ვინაობა ვიცით, ხოლო არიან სხვა მღვდლები, რომელნიც არ ვიცი, რომელ პარტიას ეკუთნიან. მე ვამბობ ხევსურეთის მღვდლებზე. ამას წინათ ქრისტ. აღმად. საზოგადოებამ ააშენა, საცა არა მგონია, ხევსურეთში საყდრები და დანიშნა მღვდლები. საკმაო ჯამაგირებიც გაუჩინა, თითო მათგანი იღებს წელიწადში (600 მ.). და ერთხელ თუ დაენახვება წლის განმავლობაში თავის მრევლს, დანარჩენი დრო თავ–თავიანთ სახლებში სხედან (ნუ დაივიწყებთ, რომ ეს მღვდლები სულ ბარელები არიან გარდა ს. ახიელისა) და იღებენ პენსიებს. აი ესეც ნიმუში ბიუროკრატიის კეთილგონიერებისა. სად არიან ეს მამანი? რას ფიქრობენ? ნუ თუ არაფერს მოვალეობას არა ჰგრძნობენ წინაშე ერისა... თუ სამღთო წესების ასრულებას არავინ სთხოვს, მაინც ამით მართლულობენ მუდამ მღვდლები თავსა, საპოლიტიკო მოღვაწეობა ხომ ფართოა. მთაში პროვოკაცია იკიდებს ფეხს და ბიუროკრატია აბამს თავის აბლაბუდას. ამ შემთხვევაში მაინც თვალს აუხელენ ხალხს და გააფრთხილებენ. თქვენვე ბრძანეთ, რომელ პარტიას უნდა ეკუთნოდენ ეს მღვდლები. ვგონებ ჩემთან ერთად თქვენც იტყვით, რომ სულიერი მამები არიან „მიიღე ჯამაგირის" პარტიისა...

მღვდლების ვინაობა ფასობს გენერლების ვინაობასთან, მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე პირმა თავადაზნაურთაგანმა დეპეშა გაგზავნა სათათბიროში და მოულოცა კეთილგონიერი მოქმედება და უსურვა მოღვაწეობა კვალად ქვეყნის საკეთილდღეოდ და კერძოდ

საქართველოსთვის და სხვა. ეს სნყენიათ გენერლებს, გენერლებს და მხოლოდ გენერლებს (იხ. „შრომა" N 59) და გამოუცხადეს პროტესტი დეპეშის გამგზავნელთ და აკუთნეს დეპეშას „ანტიდვორიანსკოე სოდერჟანიე". გულნადებისა, თავის ვინაობის გამომჟღავნებაც სწორედ ასეთი უნდა. ანკი რის გენერლები არიან, თუ ასე არ მოიქცენ. რიღას „ვოენის" კაცები იქნებიან, რომ ამ დროს შეუშინდენ და ან გარემოებას. აკი არც შაეშინდათ და სთქვეს: ჩვენა ვართ და ესა ვართ, აბა ვინ რა ყურებზე ხახვს დაგვათლისო. მოდი და ნუ იტყვი: ურიის პური ჭამე და ურიის ხმალი მოიქნიეო. მოდი და ნუ აღახომ ბაგეთა და არ დაიძახებ რაც ძალი და ღონე გაქვს: აი მალადეც გენერლებო, ორბელიანებო, ჭავჭავაძეებო, ერისთავებო და სხვანო, მარილნო ამა ქვეყნისანო, საქართველოს დამამშვენებელნო! რა უჭირს ამ ქვეყანას, რომელსაც თქვენისთანა გენერლები და გავლენილი პირები ჰყავს?! ვინ გაუბედავს დაჩაგროს იგი, შეუგინოს ეროვნება, – გაანაცარმტვეროს...

უეჭველია, რომ საქართველოს ისტორია არ დაივიწყებს თქვენს ღვაწლს, როგორც მსოფლიო ისტორიამ არ დაივიწყა ღვაწლი გეროსტრატისა, რომელმაც დაწვა მშვენიერი დიანის ტაძარი.

სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე, 1907წ.

ღირებულებები: მოქალაქეობა,
თავისუფლება, საზოგადო საქმე, ერი.

ბნელმა ძალამ აისრულა თავისი სანადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებავად და სასახელოდ; მისი საკვებავია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიაც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი – კერძოს. იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირობდენ ამ 40–50 წლის წინათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულს ფორმას – ბატონყმობას. მაშინ არ იყო სწავლა-განათლება ისე გავრცელებული, როგორც დღეს არის, არც მეასედად; სად იყო მაშინ ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ბუნებრივი ჭკუა და ნამუსი იმათ მეტი ჰქონიათ. მეტისმეტად ნაწყენმა ბატონებმა თავხედურის საქციელით ახალგაზრდა კაცისა, „კაცია ადამიანის?!" ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე იმ მოსაზრებით – იქნება საქართველოსთვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს, როგორც ნასწავლ კაცისა, და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს მაშინ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ მომიშივდესო. მოსე-

ულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი: ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის. და დღეს კი, როცა უფრო ვითომდა გავნათლდით, დავკარგეთ ნამუსი, ადამიანობა, არ დავინდეთ მისი ჭაღარა! განსვენებულს კი დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა და ამიტომ ნანასავით უმღეროდა მის მიერ აღზრდილ საქართველოს, წყლულ გულს ანუგეშებდა: „შვილები ნამოგესწრნენ, ვაჟკაცნი, გულმტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო". მაგრამ ეს სრულიად არ გამართლდა, იმათ შორის მახინჯებიც გამოერივნენ. გამოერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქართველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი. რა არის, მაშ, თუ არ კვლა საქართველოსი?

ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედ-იღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად" გაჰხდომიათ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება.

დიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვექიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეალებს – ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს ათასში ერთხელ მაინც – გაიგოს ჩვენი ყოფაცხოვრება – გავიზარდენით, ავმაღლდით, თუ დავეცით უარესად და დავკნინდით, და შეგვავედრებს ღმერთს, რათა მოგვცეს მან ძალა გაუკეთესებისა, ერთობისა, სიყვარულისა, – ჭკუა-გონება ნათელი, რათა არ გაჰქრეს შენი საყვარელი, სათაყვანებელი ერი, ლამაზი გარეგნობით, გალამაზდეს ყოფაცხოვრების სათანადო წყობილებით.

მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, დიდებულო ადამიანო!

ზოგი რამ ფიქრებიდან, 1915 წ.

ღირებულებები: თავისუფლება,
საზოგადო საქმე, ერი, პროგრესი.

სიბერე ერთ ბისტად არა ღირს. უშნო, ულაზათო, სრულებით არ უხდება სიცოცხლეს. აბა, დააკვირდით სიბერეს და, ვინც მოხუცი ბრძანდებით, - იგრძენით, სიბერე დარღვევაა, უარყოფაა სიცოცხლისა, ხოლო პირისფარეში სიკვდილისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა გამოვა ? აი რა: ბებერი რაც არის, აღარ ვარგა ცხოვრება-სიცოცხლისათვის; სიკვდილს კი სრულიად შაეფერება, შაეთანხმება, და როგორც ქართველები ვიტყვით, - ასლი საიმისოა.

რაში ვარგა ბებერი ხარი ? ბებერი ცხენი ? ბებერი ცხოველი თუ მცენარე, რაც უნდა იყოს ? არაფერში: ჰკარ ბებერს თოფი და გადააბრუნე, როცა აღარ ვარგია ურემში, გუთანში

თუ ეტლში შესაბმელად, ცხენი - ზედსაჯდომელად, - როცა ცხოველი აღარ ვარგია ამ მიზნისთვის, რისთვისაც ღმერთს გაუჩენია, უნდა მოისპოს, ბებერ ხეს ? დაჰკარ ცული და მოსჭერი, დაურთე ცეცხლს და დაწვი. ასეა წესი ბუნებისა და სხვანაირად მოქცევა რომ მოვიწადინოთ ძალიან გულით, ვერ მოვიქცევით: სიცოცხლის, ცხოვრების ლოღიკა არ გვაძლევს ამის ნებას. ბუნება დაუძლურებულს ყველაფერსა ჰკლავს და ხელში გვაჩენებს: ჩვენც როგორც გამოგვადგება, ისე გამოვიყენებთ, თუ არა და ვფლავთ მიწაში, ან გაგვაქვს სანაგვეზე. სიბერე განა მარტო ფიზიკური უძლურებაა ? არა. იგი იმავე დროს ზნეობრივი დაბეჩავებაც არი.

ხალხს მშვენივრად აქვს დახასიათებული სიბერე:

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭაღარა,
შინ ჯალაფთ მოვძულებივარ,
გარედ უნდივარ აღარა.
როსტომ თქვა: სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
ჯაჭვი გავცვითე პერანგად,
ახლა აღებაც გაჭირდა.
ვაი ჩემს ამ დროით მოყრასა,
ჩემს ამის მოხილებასა:
ენას ჩამედვა ბორკილი
თვალთ მიშლის ახილებასა;
ვეღარც ვის სიტყვას შავუქცევ,
ვეღარც ვის შაგინებასა.

უკბილობა, ჭაღარა, მხედველობის სისუსტე, უძლურება მკლავებში, მუხლებში - ეს ისეთი ნიშნებია, რომ მოთმინებისკენ ჰხრის ძალა-უნებურად ადამიანის ხასიათს, იწვევს ძუნწობას. ნდომათა და ნადილთა რიცხვი ძალაუნებურად კლებულობს, რადგან ენერგია სულისა დაუძლურებულია, ფიზიკური ღონე ნაკლებია და თავის თავის იმედიც დაკარგულია, ყოველ მოქმედებაში შიში, სიფრთხილე გამოსჭვივის. სიარულიც კი აშინებს მოხუცს, არ წავიქცე და არ დავიმსხვრეო, ამიტომ ახალგაზრდათა და მოხუცებულთა ერთად ცხოვრება უხერხულია. ამათი ხასიათები ერთი მეორეს არ უდგება, აზრი აზრს არ ეთანხმება, გემოვნება - გემოვნებას. სიბერე მხოლოდ სიბრალულს იწვევს, ერთგვარ პატივისცემას თავის სისუსტისა და უძლურების გამო. ერთადერთი ღირსება სიბერისა გამოცდილებაა. მაგრამ უბედურებაც ის არი, რო სიკვდილი აღარ აცლის მოხუცს ისარგებლოს გამოცდილებით ცხოვრებაში. სიბერეს ერთი ნაკლი სჭირს: ერთხელ შემუშავებულს, თავში ჩაჭდეულს აზრს ვეღარ შეაცვლევინებ ვერა გზით. ბებერი განა მარტო ცხოველები შეიძლება იყოს ბუნებაში ? არა, ჩვენს ცხოვრებაში ბებერი აზრი, ბებერი ჩვეულება, ბებერი გრძნობა ძალიან ბევრია, ხოლო გარჩევა ერთსა და მეორეს შორის ისაა, რო ბებერი აზრები და ჩეულებანი დიდხანს, ძალიან დიდხანს სცოცხლობენ, თუ ადამიანმა ძალად არ მოუსპო მათ არსებობა: ამ მოსპობით, რა საკვირველია, უკეთესდება ცხოვრება, ადამიანს ბედნიერება ემატება. მაგრამ მაგარი ის არი, რომ ადამიანს ძალიან ეძნელება ამ ბებერი აზრების განდევნა, თავიდან მოშორება, რადგან ისინი უკვე ჩვეულებად ქცეულან.

ბებერ ჩვეულებად მარტო ღვინო-არაყის სმა და თამბაქოს წევა კი არ არი. ვინ იცის, რა დროიდან დღესნამდე ღიღინებს ქართველი კაცი ამ მისთვის უსაყვარლეს შაირსა:

კაცმა კაცი დაჰპატიჟოს,
დასვა და ანადიმოსა;
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა-ო.

არა, სხვაც ბევრია ჩვენს ცხოვრებაში ფრიად მობერებული, წელში მოხრილი, დაჩაჩანაკებული ჩვეულება, რომ ისევ ვებღაუქებით ორის ხელით და არ გვინდა ხელიდან გაუშვათ. ან რა დაშავდება ვითომ იმით, რომ სტუმარს ღვინო ან არაყი არ დავალევინოთ ?! არაფერი, სრულიად არაფერი, პირიქით დიდი სიკეთეც არი, როგორც მასპინძლისა, ისე სტუმრისათვის; გარდა იმისა, ზედმეტ ხარჯსა და ტანჯვას ასცდება ორივე - გაიგებენ ერთი მეორის სიტყვას, შაეძლებათ დარბაისლური მსჯელობა, დალაგებული მასლაათი. მთვრალი კაცი კი ნახევრად გიჟია; მაინც ეს სიგიჟე გვიყვარს, თუმცა იმავე დროს კიდეც გვენუნება; სიმთვრალეს დაჩვეულს უყვარს მთვრალობა, უნდა მთვრალი იყოს. დღევანდელი ცხოვრება შაებრძოლა ამ მავნებელს, დაბერებულს ჩვეულებას და ჰსურს იგი განდევნოს თავის მიდამოდან. ვნახოთ ვინ დარჩება გამარჯვებული - ადამიანი თუ მის მიერ შექმნილი ჩეულებანი. რა კარგი იქნებოდა, მკითხველო, იგივე ცხოვრება შაჰბრძოლებოდა დანარჩენს, თმაზე უმრავლეს, ბებერ აზრებს, ბებერს დახავსებულ ჩვეულებებს. ვინ იცის როდის მოვესწრებით ამას.

ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა. ხომ იცით, არიან და იყვნენ მეცნიერნი იმ აზრისანი, ვითომც შეიძლებოდეს ერის სიბერე და სიკვდილიც კი, როგორც სიყრმე, სიჭაბუკე, დავაჟკაცება და სხვა. ამტკიცებენ ისინი ამას იმის გამო, რადგან იგონებენ ყოფილ, არსებულ და აწ მოსპობილ ერებს. თუმცა ძნელია იმათ დაეთანხმოს კაცი, მაგრამ არა უშავს, ჩვენც თანახმა გაუხდეთ. ხოლო ერთი რამ უნდა შევნიშნოთ იმათ მოძღვრებას: შეიძლება ერთი დაბერდეს სხვადასხვა პირობების და მიზეზების გამო, და იგი მალე ისევ გაახალგაზრდავდება, თუ სხვა, მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალუძს. ცალკე აღებული და დაბერებული ადამიანის ბოლო მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია. რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმც იგი მუდამ ახლდება - ახალგაზრდათა შემატებით? ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა. ხანა საჭირო არ არი, ეს შეიძლება ერის სიჭაბუკის დროს მოხდეს. ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-შეჯაჭვული, უნდა მას ჰქონდეს სარბიელი. დიაღ, მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე, და იგი ინვევს ერის სიბერეს, სხვაფრივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია მანამდე, სანამ მზე ანათებს დღით და ღამით მთვარე.

ხომ იცით მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, ხოლო თუ თავისუფალია, ორასსაც გადააჭარბებს. არ გინახავთ ქათამზე ნადირობის დროს დატუსაღებული ქორი ? დიაღ, როცა უკვე თავისუფლებაში აღზდილ ქორს, თავისუფლებას ჩვეულს, ატუსაღებს ვინმე, იგი ერთ კვირასაც ვერა სძლებს მონობაში და კვდება. რამ მოკლაო რომ იკითხოთ, „გულმაო" - გიპასუხებენ.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ
(1840-1915)

ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

● სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები, 900-იანი წლები

წყარო: აკაკი წერეთელი - უცნობი პუბლიცისტიკა; ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010წ. ბმული: https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/utsnobi-publitsistika/669

სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები

ღირებულებები: არჩევნები, პლურალიზმი, თანასწორობა, მრავალფეროვნება, ერი.

ას წელზე მეტია, რაც საქართველო ძილმა წაიღო და დღესაც კიდევ ბურანშია. ყოველგვარ სარბიელზე ბარგშენასვამს ხანდახან, სამ წელიწადში ერთხელ, როცა კენჭის ყრის დრო მოვა, ძალდატანებით გამოაჭყეტინებენ ხოლმე თვალებს და იმასაც მიტომ, რომ კენჭის კეთილად მოხმარება არ შეუძლია. როგორც ახალგამოღვიძებულს მზის სხივები სჭრის თვალებს და ვერასა ჰხედავს, ისე საბრალო ჩვენი ხალხიც ვეღარ უმართავს თვალს დღევანდელი ცხოვრების ქიატს, ბარბაცობს, აქეთ-იქით ეხლება, არეულობას ახდენს შინაურობაში და ვნების მეტი ვერა მოაქვს რა და აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც არჩევნობითი უფლება მონიჭებული გვაქვს, მაგრამ ვერა ვხმარობთ თვითონ ჩვენვე, უკუღმართად გამოზრდილები. კენჭის ყრის უფლება ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამგვარია: მარშლების ასარჩევი, ბანკის მმართველობის და სახელმწიფო საბჭოს დეპუტატების, ამ ბოლო ხანში შემოღებული. მარშლების არჩევა კუჭზეა დამყარებული: ქუთაისში ზუთხი სჭრის და ტფილისში კი თართგელაქნური, წყალ-წყალაა და მიტომაც არას ვიტყვი იმაზე, ბანკის ამრჩევლების დროშაზე ასე სწერია: „აქამდე სხვები სჭამდენ და ახლა კიდევ სხვებმა სჭამონო". არც ამათზე ღირს

ხმის ამოღება. დაგვრჩა მხოლოდ მესამე: კენჭო- ბია დეპუტატის ასარჩევათ. ამან სამად გაჰყო ქართველობა: სოციალ-დემოკრატებად, ფედერალისტებად და ნაციონალისტებად. ესენი ერთსა და იმავე კურდღელს მისდევენ. მაგრამ ისე კი არევიათ გზა და კვალი, რომ ერთმანეთს ეღობებიან წინ. ეს სამი გუნდი ერთმანეთის ნევრს სასიკვდილოდ არა ჰზოგვენ და მით [ამღვრევენ] შინაურ საქმეებს. ახირებულ მონადირესავით აქ, შინ ხელში დასაჭერ ჩიტებს უშვებენ და ჰაერში მომფრინალ ქორს კი მისდევენ დასაჭერად და იმასაც უხერხულად, მხოლოდ „ჰაუ! ჰაუს!" შეძახებით. ეს წრეები სამივე მომწონს მათის გულწრფელობით, მაგრამ არც ერთს არ ვეთანხმები სავსებით.

ავიღოთ სოციალ-დემოკრატები – რა არის მათი მიმდევრების მისწრაფება? ისევე, რაც მაცხოვრის: ხალხთა შორის კაცობრიობისადმი „ძმობის, ერთობის და თანასწორობის" მინიჭება, ესე იგი სასუფევლის მიცემა – სადაც არც ეროვნება და სისხლხორცობა და არც მტერ-მოყვარობაა – ყველა თანასწორად იქნება ბედნიერი. მაგრამ მაცხოვარმა რომ ეს ამქვეყნად [შეუძლებლად] დაინახა, სასუფეველი საიქიოს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა ადამიანს და აქ კი თავისი მოძღვრება სასუფევლისთვის მოსამზადებელ იარაღათ დასტოვა. სოციალ-დემოკრატებმა კი [თავიანთი] სურვილით აქვე, ამ ქვეყნადვე მოინდომეს საიქიოდან ქვეყნად გადმოტანა სასუფევლის, სადაც არც ეროვნობა არის და არც სხვა რამ ქვეყნიური მოთხოვნილება, გარდა თანასწორობისა და ეს კი შეუძლებელია. ბუნების შემოქმედებითი ძალა ქარხანა და [მაშინა] როდია, რომ ყოლიფერი თანასწორად გამოიყვანოს... ის სხვადასხვაობის მშობელია და ამით აფერადებს ქვეყნიერებას, რომ მას მიანიჭოს მშვენიერება. უამისოთ რა იქნებოდა ქვეყნიერება? ერთგვარი რამ, მალე მოსაწყენი უდაბნო! მოვიტანოთ მაგალითი. დედამიწა ათას კუთხედ განიყოფება: აღმოსავლეთად, დასავლეთად, სამხრეთად და ჩრდილოეთად. თითოეულს მათგანს თავისი საკუთარი ელ-ფერი აქვს და ზეგავლენაც სხვადასხვანაირი. მცენარეობაც სხვადასხვანაირი იზრდება და ცხოველიც. ერთი მეორისას არა ჰგავს. ამათი ერთიმეორედ გარდაქმნა არაფერ ძალას არ შეუძლია. ასე რომ, საქართველოში შობილი ყოველთვის ქართულ ელ-ფერით დარჩება და იმას ვერ გარდაქმნი, ვერ გააესკიმოსებ ძალმომრეობით. გაერთიანება კი თანასწორობით, ძმობით და სიყვარულით მოსახერხებელია. და აი, ამას გვიქადაგებს ქრისტიანობა. ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი შეიძლება არაბიც იყოს, ელინიც, იუდეველიც და სხვებიც. სრულიად საჭირო არ არის მათი ელფერის შეცვლა და ეროვნებაზე ხელის აღება! ის, ვინც ცდილობს, რომ თავისი სამშობლო გააძლიეროს მხოლოდ გულწრფელის და კეთილის სამსახურით და მერე ისე შეუერთოს მსოფლიოს, ის მთელ ქვეყანასაც ემსახურება – აი, რატომ მწამს მე სოციალ-დემოკრატობა და ჩვენი ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ეროვნობას რომ არ უარყოფდენ და თავის მოძღვრებასაც, იმ მოძღვრებას, რომელსაც ქრისტე მხოლოდ სიყვარულს უდებს საფუძვლად, ხანდახან მსხვერპლს არ უდებდენ, სრულის მათი თაყვანისმცემელი ვიქნებოდი.

პასუხი მტერ-მოყვრებს, 1912 წლის შემოდგომა

ღირებულებები: პატიოსნება, სიმართლე,
არჩევნები, პლურალიზმი, პატივისცემა.

ადამიანს რომ შუბლის კანი გაუმაგრდება და სირცხვილ- ნამუსს დაჰკარგავს, მაშინ ენასაც იგრძელებს, რომ თავისი ჩირქი სხვას გადასცხოს როგორმე. მინახავს კაცისმკვლელები, თავისგამართლებას რომ ვეღარ ახერხებდენ, ბრალს მოკლულს ადებდენ: „თვითონ შემომაკვდაო!.." აგრეთვე შევხვედრივარ ქურდს, რომ ამტკიცებდა: მე კი არ მოვიპარე ფული, მე კი არ დავხარჯე, თვითონ შემომეჭამა – შემომეხრჯაო. თითქმის მართლა ფულს დაეტანებიოს ძალა ადამიანისათვის, რომ მას ქურდობა ჩაედინა. სწორედ ამნაირად მექცევიან მე ის ვაჟბატონები, ფედერალისტების ქურქში გამოხვეულები, ვითომ საზოგადო საქმისათვის თავდადებულები, საქვეყნო საქმეს აკეთებენ. ხმას ავრცელებენ გაზეთების საშუალობით, ვითომც მე ფედერალისტების წინააღმდეგად გამოვსულიყავი და კიტა აბაშიძისთვის შავის მიცემა მსურვებოდეს. ღმერთი, რჯული, რომ ეს ტყუილია. მე სრულიად არ მდომებია არჩევანში ჩარევა. თვითონ გამომიწვიეს და როცა გამაშავეს, მერე მომაწერეს ის, რაც მე არ ჩამიდენია. ჩემ ამრჩევლებს არაფერი ფედერალისტების შესახებ არ ჰქონიათ მხედველობაში. აქ იყო მხოლოდ საპირადო მოსაზრება, უსამართლო და შავი. და თუ მე ხმას არ ვიღებ და ფარდას არ ვხდი სიმართლეს, მაქვს ამისი მიზეზი: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო", ამბობს რუსთველი და ამას ხალხი ამატებს: „მოქნეული და მოზომილი არ ხაზულაო". ამისი არ იყოს, არც მე მინდა საქვეყნოდ გამომჟღავნება წერილობით და მიტომაც ვსთხოვ იმ ჩემ მოწინააღმდეგე კიტაელებს, რომ სამედიატორო სამართალში გამომყვენ. დეე, იმ მედიატორებმა განიხილონ საქმე და რასაც ისინი გადასწყვეტენ, ვეთანხმები. მე ჩემის მხრით მედიატორებად ვნიშნავ: ვანო ელიაშვილს და იაკობ ფანცხავას, ორივეს ფედერალისტს.

სიტყვა გორის „ქართველ ქალთა საზოგადოების" („მანდილოსანი") წევრთა კრებაზე, 1913წ.

ღირებულებები: თანასწორობა,
თანხმობა, საზოგადო საქმე.

გული მიკვდებოდა, ქალებს რომ აქნობამდე ძილით შეპყრობილთ გხედავდით, მაგრამ ეხლა მოხარული ვარ, რომ გხედავთ გამოღვიძებულთ, რომ აქ შეკრებილხართ არა უმიზნოთ, არა ლოტოს სათამაშოდ, არამედ საზოგადო საქმისათვის.

50 წელი დაკვირვებული ვარ ჩვენ საქმიანობას და დავრწმუნდი, რომ იგი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ; ეს იმიტომ, რომ ამ საქმიანობაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას. რომ საქმე კარგად წარიმართოს, საჭიროა საზოგადო საქმეში დედაკაცების დახმარებაც.

გადავათვალიერე თქვენი წესდება და დავრწმუნდი, რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, თუ თანხმობით იმუშავებთ. ერიდეთ ერთმანეთში უთანხმოებას, მტრობას. ამ უთანხმოებამ, მტრობამ დაღუპა საქართველო და ვიღუპებით დღესაც. ამან წარმომათქმევინა მნარე სიტყვები: ერთი ქართველი საზოგადო საქმეში გმირია, ბევრი კი ყველა ვირიამეთქი. იარეთ, იმუშავეთ ერთად, თანხმობით და მაშინ თქვენი შრომაც ნაყოფს მოიტანს.

ქალის როლი საზოგადოებაში, 1914წ.

ღირებულება: თანასწორობა.

---

1. ქალის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში.
2. რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა?

აკაკის პასუხი

1. როგორც დაბადება მოგვითხრობს, ღმერთმა რომ პირველი კაცი, ადამი, გააჩინა, უკმაყოფილო დარჩა; ბევრი ნაკლი აღმოაჩინა მასში და შექმნა ქალი. ეს ლეგენდა გვაგულისხმებს: თუ ქალი უფროსად ნდომებოდა უფალს, მაშინ თავის ძვალს გამოუღებდა, თუ უმცროსად – ფეხისას, მაგრამ ნიშნად თა- ნასწორობისა შუადან გამოუღო გვერდი.

2. ნარსულს, რომ ძველი დიდების მოქმედება ქვაკუთხედად დაუდვას ახლანდელ მოთხოვნილებას, ამის ასასრულებლად ყოლიფერი ხელთა აქვსთ: გრძნობაცა და გონებაც. პირადად მე მრწამს, რომ დღევანდელ მომაკვდავ საქართველოს ქალები გამოაბრუნებენ.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965)

მეცნიერი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, ფილოლოგი. პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის "თეთრი გიორგის", ერთ-ერთი ლიდერი (1926-), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1942-).

● ერი და კაცობრიობა - განხილულნი სოციოლოგიურის მხრით, 1910წ. (ნაწყვეტი)

წყარო: http://www.nplg.gov.ge/blos/ka/00001186/

ერი და კაცობრიობა - განხილულნი სოციოლოგიურის მხრით

ღირებულებები: მრავალფეროვნება, საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.

ერი ერთ თვით შემგნებ არსს წარმოადგენს, ერთ სოციალურ შინაარსის მქონე სუპერორგანიზმასა, თავისი სიცოცხლის დამცველს. ამას აქვს თავისი ვნებანი, იდეალები, მისწრაფებანი და სხვა. ამიტომ ერი როგორც სოციალური არსი გაცილებით უკეთილშობილესი არსია, ვიდრე ყველა სხვა არსებულნი სოციალურნი არსნი წარსულში და აწმყოში.

ერი სოციალური მონადაა. ნუ ვინ იტყვის და დაიწყებს დავას რომ მონადათა ნამდვილი არსებობა ფილოსოფიურად საეჭვოა. ჩვენ აქ მონადათა ნამდვილი არსებობა არ გვაინტერესებს, ჩვენთვის აქ საჭიროა ცნება მონადათა, როგორც ერთ განუყოფელ ცოცხალ არსთა. ჩვენთვის ეს გონებისაგან შეთხზული საშუალება მსოფლიო საგანთა წარმოდგენისა საუცხოვოა ცნებათა ნათელ ყოფისთვის, როდესაც ამ საგანთა ინდივიდუალობა გვინდა გავარკვიოთ და ამ მხრით ერის მონადად დასახვა არც არსებითი შეცდომა არის და მსჯელობასაც აადვილებს.

როდესაც ერი ერად ხდება, დიახაც, იგი ცოცხალი არსია, სოციალური ინდივიდუალობაა, მონადაა. განვიმეორებთ: ერი უფრო „ცოცხალია", ვიდრე სახელმწიფო, ვიდრე ხალხი, საკუთარი წარმოება, საკუთარი ხელოვნება, მეცნიერება, ზნე–ჩვეულება, სამართლის ნორმები, სარწმუნოება, საკუთარი ენა, საკუთარი ეთნიური ტიპიც–ყოველივე ეს ერს ახასიათებს, როგორც ერთ სოციალურ ინდიუვიდუალობას.მართალია, ზოგ ამ თვისებათაგანი სხვა ერთა თვისებაც არის, მაგალითად, ორ ერს შეიძლება ერთი და იგივე რელიგია ჰქონდეს, ზოგიც დაკარგულია ,მაგალითად, საკუთარი სამართალი და პოლიტიკა, რომელთა ადგილიც სხვა სახელმწიფოსგან ძალით შემოტანილ სამართალსა და პოლიტიკას დაუჭერია.ზოგიც ნასესხებია, მაგრამ ყოველთვის საერთოსა და ნასესხებს ადევს ეროვნული ელფერი. დაკარგული კი ან ყოველთვის არსებობს რომელიმე ფორმით, როგორც მაგალითად კონვენციონალური სამართალი, ან ძალით შემოტანილის დათრგუნვა და საკუთარის შემოღების სურვილი ყოველთვის არსებობს ერში.

ყოველ ერს აქვს თავისი სპეციალური ორგანოები, რაიცა აჩვენებს მის ცოცხალ მონადობასა. საფრანგეთის ეკონომიკური ორგანოები, ხელოვნებისა და მეცნიერებისა სამართლისა და პოლიტიკისა, ერთი სიტყვით, როგორც უბრალოდ ამბობენ ხოლმე – მისი სიმდიდრე, მისი ლიტერატურა და ენა,მისი მუსიკა, მისი მეცნიერება,მისი ჯარი,მისი პარლამენტი და სამინისტროები–საფრანგეთისაა და არა სხვისი,საფრანგეთის ტერრიტორიაზედაა,რომელიც საზღვრებით არის შემოფარგლული და რომელსაც გეოგრაფიის რუკაზედ, ე.ი კაცობრიობას შორის განსაზღვრული ადგილი უჭირავს.

ვერავითარი კლასთა ბრძოლა ვერა შლის ეროვნულ ერთობასა.ყოველი კლასთა ბრძოლა მხოლოდ ამ ერთიანობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა მტერია, მსურველია იმავე სოციალურ ერთეულში სხვანაირი მოწესრიგებისა და არა თვით სოციალური ორგანიზმის დარღვევისა,მაშინ როდესაც ეროვნული მოძრაობის სურვილია ერთი ერის მეორისაგან გამოყოფისა,ვინაიდან მეორე პირველის სოციალური ინდივიდუალობის გაქრობას ცდილობს თავისი სახელმწიფოს ორგანოთა შემწეობითა.

აიღეთ სამაგიეროდ რომელიმე დიდი სახელმწიფო,მგალითად, რუსეთი. ეს დიდი ვეებერთელა სოციალური უფრო მექანიზმი, ვიდრე ორგანიზმი და რამდენი ხალხი ჰყავს შთანთქმული ძალით! სად არის ან საერთო ეკონომიკა, ან საერთო ენა, ან საერთო ლიტერატურა და სხვა? სად არის ნამდვილი სოციალური ცხოვრება, გარდა სახელმწიფო მოწესრიგებისა და ნაძალადევი სამართლისა, რომლის ტლანქმა ძალამაც ლამის არის გაანადგუროს არა თუ სხვა ერები, არამედ რუსის ერიც. რუსთან დღეს სხვა ერებს სამხედრო წესებიღა აერთებს და სხვა თითქმის არაფერი.ყველა ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ერს შეუქმნია დღეს საკუთარი სოციალური ორგანოები. იგინი ნამდვილი სოციალური ორგანიზმები არიან და არა მათ გაერთიანებას წარმოადგენს დღეს რუსეთის სახელმწიფო, არამედ მათი სიკვდილის მსურველ დიდ სახელმწიფო ორგანიზმსა, მაგრამ სამაგიეროდ ყველა ეროვნული ორგანიზმი გაურბის მის სიმკაცრესა, აღარა სურს მასთან დარჩენა, თავს სრულ წლოვანადა სთვლის და მიილტვის თავისუფალ, დამოუკიდებლელ, ეროვნულ–სოციალურ ორგანიზმთა შექმნისკენ. თვით ციმბირიც, რუსის ხალხით დასახელბული, ვეღარა სძლებს თავისი დედის ეკლიან კალთაში და ცალკე სურს დასახლდეს, წარმოადგინოს ერი. დიახ, დიდი სახელმწიფო მითი განირჩევა ერისაგან, რომ პირველი უფრო უსულო სოციალური ორგანიზმია

ან სხვათა დამხრჩობი ვეშაპი, უკანასკნელს კი სოციალური სული უდგია. განვითარება ამ სულისა,მისი ზრდა და სიმწიფე ნიშნავს ერთა ორგანიზმების სოციალური სიმტკიცის განდიდებას,ამასთანავე სახელმწიფოს ტლანქ, უსულო მექნიზმთა დაშლას. ნიშანავს ამ ვეშაპთა სიკვდილს, უდიდესს რევოლუციას,რომელიც კი ოდესმე ხდება ხოლმე ადამიანთა ცხოვრების ისტორიაში.

ქართველი ერის ერთი ნაწილი დღეს გაოსმალების გზაზე ადგია, ჟამთა ვითარებაში ეს ნაწილი ძალით ჩამოაჭრეს ქართულ ეროვნულ ორგანიზმსა. ქართველს არ სურდა ნებით მოსცილებოდა თავის საზოგადოებას. საუკუნეობით იბრძოდნენ გმირები, მაგრამ დღეს ხალხიღა დარჩენილა ამ ქართველთაგან. იგინი აღარ არიან ნაწილი ქართველი ერისა. ზოგი ისევ საქართველოს ტერიტორიაზედ დარჩენილა, ზოგიც გადასახლებულა ოსმალეთის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ აქ დარჩენილიც და გადასახლებულიც სოციალური მასალაა ქართველი ერისა. ბევრს გაღვიძებაც ეტყობა: თხოულობენ ქართულ სკოლებს, შეუნახავთ ქართული ენა, რომლის განვითარებასაც თხოლულობენ. შერჩენიათ კიდევ ტიპი ქართული და მრავალი ზნე ჩვეულება, ქართველი ერიც სცდილობა დაიბრუნოს თავისი დაკარგული ნაწილი და როდესაც ერთ ნაწილს მაინც დავიბრუნებთ, გავხდით ისევ ჩვენი ერის ნაწილად, მაშინ იმ ნაწილთ დაბრუნებაც ადვილი იქნება, სადაც ენაც კი დავიწყებიათ და მცირე მოგონებებიღა დარჩენილა ქართველობისა, მაშინ კვლავ აღსდგება საქართველო, ისევ გაცოცხლდება საქართველოს ეროვნული ერთობა, ერთობა კულტურისა, მაშინ ვიხილავთ აჭარელ, სამცხელ, ტაოს მწერალთა და ხელოვანთა, იქაურ ქართველ გმირთა, რომელთაც ქართული ეროვნება ისევე ექმნებათ მჯდარი გულში, როგორც გურულსა ან კახელსა, მხოლოდ ამ შემთვევაში იქმნებიან ისინი ნაწილნი ქართევლი ერისა, ეხლა კი მოლოდ ხალხის ნაწილნი არიან, უბრალო სოციალური მასალა. ამ მასალის გადამუშავება და ეროვნულ ელემენტებად შექმნა თვით ჩვენი დანარჩენიერი ერის მხენობისაგან და ენერგიისგან არის დამოკიდებული.

თვით სული ცალკე რომელიმე ერის ადამიანისა ეროვნულ სოციალურ ატმოსფეროშია განვითარებული. გადაასახლეთ მაგალითად ფრანგი გერმანიაში, იგი მაინც ფრანგი რჩება მრავალ წელთა განმავლობაში.მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ოჯახი ნახევრად გერმანელისგან შედგება, შთამომავლობა შეიძლება გაგერმანელდეს. თვითონაც გადასახლებული კი–მაინც ფრანგი იქნება, თუმცა თავის სოციალურ ორგანიზმს მოშორებული.იგი ერთი სოციალური უჯრედია, სხვა სოციალურ ორგანიზმში შემთხვევით მოყოლილი, მაგრამ დაუბრუნეთ იგი თავის ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმს, იგი უფრო ბუნებრივად იგრძნობს თავსა.

ფრიად იტანჯება მთელი ნაწილი ერისა სხვა ეროვნულ ორგანიზმში მოყოლილი, დაუბრუნეთ ელზას ლოტარინგია საფრანგეთს,ან ტრიესტი იტალიელებს, იგინი კმაყოფილნი იქნებიან უარეს ეკონომიკურ პირობებშიაც რომ ჩავარდნენ.იტალიელთა უკიდურესი ნაციონალისტები – ტრიესტელები არიან.აბა, უთხარით ტრიესტელს ავსტრიელი ხარო: მე იტალიელი ვარ და უფრო იტალიელი, ვიდრე სხვა ყველა იტელიელები–იმ საათშივე ასეთ პასუხს მიიღებთ.

აქ საკვირველიც არაფერია. ბუნებრივი ნაწილი ერისა მიისწრაფის თავისი ბუნებრვი ორაგანიზმისკენ და შეურყეველი, შეუჩერებელია ასეთი მოძრაობა.ეს სისხლისა და საზოგადოებრივობის ნათესაობაა და მსგავსად ქიმიურ ელემენტთა ნათესაობისა, ეს ნათესაობაც საშინელ ლტოლვილებას წარმოადგენს მსგავსისას მსგვსისადმი.

ასეთია სიცოცხლე ერისა,მაგრამ მიუხედავად ერის ასეთი სიცხოველისა ერთა ისტორიაში მაინც ვამჩნევთ ისეთ მოვლენებს, რომ გადაგვარება ეროვნული სოცალური ორგანიზმისა არ არის შეუძლებელი მოვლენა და განსაზღვრულ აუტანელ ცუდ პირობებში ერს, როგორც დაჩაგრულს, ისე თავისუფალს გადაგვარების ნიშნები გამოაჩნდება ხოლმე.აგრეთვე ზოგი ხალხი უცხო დიდ სახელნმიფოში მოყოლილი, არა დაპყრობით, არამედ გადასახლებით ისეთ პირობებში ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას, რომ სახელმწიფოს საშინელი მექნიზმი პირდაპირ მტვრად აქცევს ხოლმე შიგ მოყოლილ ეროვნულ ელმენტებს.პირველი მოვლენის მაგალითი ბევრია, მაგალითად, საქართველო. მერეს მაგალითი კი შეერთებული შტატებია,სადაც უცხო ელემენტები მალე ითქვიფება ანგლო–საქსონელების სოციალურ მორევში.

ჩვენ აქ არ შევუდგებით გადაგვარების მიზეზთა გამოკვლევას.ეს სულ სხვა საგანია. ვიტყვით მხოლოდ რაში გამოიხატება ეს გადაგვარება:როდესაც ეროვნული ორგანიზმის ზრდა დამთავრებულია, როგორც არა ვსთქვით, მას აქვს ყველა სოცილური ორგანო თავის ფუნქციათა აღსასრულებლად: ეკონომიკური, არტისტული, სარწმუნოებისა და მეცნიერებისა, ზნეობრივი, იურიდიული, პოლიტიკური. რაც უფრო რთულია და სპეციალური ორგანო, მით უფრო მგრძნობიარეა იგი. ეკონომიკური ორგანო ყველაზე უფრო საზოგადო და მარტივია, მაგარი და მტკიცე. პოლიტიკური კი ყველაზე უფრო სპეციალური, რთული და მგრძნობიარე. უმეტეს შემთხვევაში ერის გადაგვარება იწყება ამ რთულ და მგრძნობიარე ორგანოს ატროფიიდან და თავდება ეკონომიკურ ორგანოთა გაქრობით. შემდეგ თვით ხალხი და ტერიტორია ჰქრება, ეს ორი უპირველესი ელემენტი ეროვნულ–სოციალური ორგანიზმისა, მისი მასალა და საფუძველი.

საქართველომ მაგალითად ჯერ პოლიტიკური ორგანო დაჰკარგა შემდეგ კი თანდათან მიდის მისი სოციალური ორგანიზმის დაცემა. დაიშალა მისი იურიდიული ორგანიზმი პოლიტიკური ორგანიზმის დაშლის შემდეგ, დაეცა ეკლესია და განიძარცვა სიმდიდრისაგან, დაეცნენ ზნე– ჩვეულებანი, მწერლობა, ენა, გაღარიბდა მთელი ერი ეკონომიკურად. თითქმის მთელი მესამედი მისი ტერიტორიისა ოსმალებმა წაიღეს და ზედ დარჩენილი ქართველობა გადააგვარეს და დაუკარგეს ეროვნება, შეარჩინეს მხოლოდ მცირეოდენიღა– ხალხობა. დანარჩენი ორი მესამედი ტერიტორიისა თანდათან ეხლა გვეცლება ხელიდან. ხალხი დაბნევის გზაზედ არის დამდგარი, ენაც ირყვნება და საზოგადოების მაღალ კლასსებს თითქმის ავიწყდება იგი.ამაში იხატება საქართველოს გადაგვარება, ქართველი ერი ებრძვის მართალია გადაგვარებას, მაგრამ ვინ იცის მიაღწევს თუ არა დაშლილი ეროვნული ორგანიზმის აღდგენას–იმდენი ხელის შემშლელი პირობა ახვევია გარს. თუ სძლია ამ პირობათა მისი ეროვნული ორგანიზმი ხელახლავე აღსდგება თუ ძლეულ იქნა მისი ეროვნული ორგანიზმი გაქრება, ტერიტორია – საფუძველი საზოგადოებისა დაიკარგება, ხალხი გაიბნევა მთელ დედამიწაზედ და გახდება მხოლოდ სოციალურ მასალად– ქართველ ხალხად, მსგავსად სომეხთა და ურიათა.

ბერვი მოიპოვება ერი მსგავსი ქართველთა, იგინიც მსგავს მდგომარეობაში არიან მათი გადაგვარებაც და პროგრესიც განიზომება აგრეთვე იმ რთულის მეტრით, რომელიც გათლილია სოციალურ ორგანოთა კლასიფიკაციის მიხედვით (დე–გრეფ).

არიან ერნი,რომელთა გადაგვარებას ზომავენ ხოლმე ძლიერ მარტივი მეტრით,რომელიც ერთი სოციალური ორგანოს ატროფიის მიხედვით არის გათვლილი.მაგალითად საფრანგეთს ამ უკანასკნელ ხანებში ეტყობოდა მისი გენეზიური ორგანოს გადაგვარება .მთელი საფრანგეთი სასონარკვეთილებას მიეცა ხალხი აღარ მრავლდება და გადაგვარების გზაზედ ვდგავართო. მაგრამ ასეთი გადაგვარება ისეთ შინაგან მიზეზთაგან არის გამოწვეული, რომ ერის სხვა სოციალური ორგანოებს შეუძლიათ მისი თავიდან აცილება, და საფრანგეთიც სცდილობს მოსპოს თვით მიზეზი ასეთი გადაგვარებისა. – სულ სხვა როცა გადაგვარება ყველა სოციალურ ორგანოს ეტყობა.

რამდენადაც ერებს იდენტური საერთო ორგანოები აქვთ, იმდენად ერი საერთო ცნებას წარმოადგენს. რამდენადაც ეს ორგანოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, იმდენად ერს აქვს თავისი ინდივიდუალობა.სოციალურ ევოლუციას შეუქმნია მრავალფეროვნება ერთა, მიუხედავად მათი იდენტიურ ორგანოთა ,ისევე როგორც ფრანგი ფილოსოფოსის ბერსონის აზრით, სიცოცხლეს შეუქმნია სახეთა და ინდივიდთა მრავალფეროვნება. მიუხედავად მათ იდენტიურ ორგანოთა საზოგადო ცნება ერისა არის ერთობა მრავალფეროვნებაში, კონკრეტული ერი არის ინდივიდუალობა, ერი ნაკვეთი მრავალფეროვნებისა ერის არსებობის საერთო მოვლენაში.ეს აუცილებელი პირობაა ყოველ განსაზღვრის შესაძლებლობისა, ,რადგანაც განსაზღვრა სწორედ ჩვენებაა ერთის მხრით მრავალფეროვნებათა ერთობისა, მეორეს მხრით ჩვენება ამ ერთობაში მრავალფეროვანების ცალკე ნაკვეთთა არსებობისა. ხოლო დაუსრულებელი ერთფეროვნება განუსაზღვრელია, მიუწვდომელი.იგი არავითარ განსაზღვრას არ ემორჩილება, ვინაიდან განსაზღვრა მსგავსებათა და განსხვავებათა შედეგია. ერთფეროვნებას კი არც მსგავსება აქვს და არც განსხვავება.

ერის საზოგადო არსებობა, მისი სოციალური ორგანიზმობა და არა მექნიზმობა– აი, რა არის ერთობა მისი ცნებისა. ერის ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა, საკუთარი ენა, ლიტერატურა. სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, რომელსაც მიუხედავად სხვა ერის სარწმუნოებათა მსგავსებისა იმ სოციალური წრის ელფერი ადევს სადაც იგი დამკვიდრებულა.–განსაკუთრებული სოციალური ელფერი თვითოეული ეროვნული ინდივიდისა,თვით შეგნება ეროვნული ორგანიზმისა,რომელიც უპირველეს ყოვლისა თავის დაცვისათვის ბრძლაში გამოიხატება–აი რა ჰქმნის ერის ინდივიდუალობას,აი რა უჩვენებს რომ იგი განსაკუთრებული ერთი ნაკვეთია ერთა მრავალფეროვნებისა.

ეხლა ყველა ელემენტი გვაქვს ერის განსაზღვრისათვის. რაც ზემოთა ვსთქვით საკმარისია. ერის ეკუთვნის ერთ–ერთ რომელიმე რასას ან რამდენიმე რასის ხალხის ნარევისაგან შედგება, ე.ი განსაზღვრული სოციალური მასალისაგან. მჭიდრო კოჰეზიის ერი წარმომდგარია უფრო მდაბალ სოციალურ ორგანიზმთაგან დროთა ვითარებაში და დღეს ერთად ერთი ბუნებრივი სოციალური ორგანიზმია დაფუძნებული განსაზღვრულ ტერიტორიაზედ რომელსაც შეუძლია განვითარება, ცვალებადობა, გადაგვარება, სიკვდილი, ბროლა არსებობისთვის, თავის დაცვა გამარჯვება და დამარცხებაც, –მაღალ კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში. იგი ინდივიდუალობაა, ვინაიდან აქვს საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკაც, როდესაც სახელმწიფოს შეადგენს,აქვს თვითშეგნება, თავმოყვარეობა სურვილი, სიცოცხლისა,და ყოველივე ეს არა ჰგავს სხვა ერთა იმავე

თვისებათა.იგინი მისი საკუთრებანი არიან.განსაკუთრებით ენა წარმოადგენს ასეთ თავისებურებას. როგორც გამოცდილნი შენიშნავენ. გერმანული და ბერძნული ფილოსოფიის ნამდვილი გაგება ძლერ ძნელია თუ ეს ენები არ იცი.განსაზღვრა ერისა, მაშასადამე, ასეთნაირად არის შესაძლებელი:

ერი ეს არის ერთი სოციალური სუპერ– ორგანიზმი ანუ ჰიპერ– ორგანიზმი. შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალათაგან,რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მონესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა. ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა, ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა –საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვით შეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა.

ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲥᲘᲥᲝᲫᲔ
(1888-1960)

მწერალი, პოლიტიკოსი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1917 წელს იყო ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი კომიტეტის წევრი, იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს, 1918 წელს რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს", რომელიც იყო ედპ-ის ორგანო, 1919 წელს აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად ედპ-ის სიით, იყო ხელოვნების კომისიის მდივანი, 1919 წლის 21 მაისს დატოვა პარტია და ფრაქცია და იყო დამოუკიდებელი დეპუტატი.

○ ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი, 1910 წ.
(ნაწყვეტები)

წყარო: 1910 წ. გაზ. „დროება",
ბმული: https://bit.ly/2YYIK0E

ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

ღირებულებები: თავისუფლება, პიროვნება, საზოგადოება, მრავალფეროვნება, ერი, სამართლიანობა, პროგრესი.

ჩვენ ყველანი მომავლის იდეალებით ვცხოვრობთ, თვით მაშინაც კი, როცა ზნეობა ადამიანობის ზედმეტ დამატებად მიგვაჩნია და არსებობის აზრს „მომენტის შერჩევაში" ვხედავთ.

წარსული ჩვენს წარმოდგენაში ხშირად სევდის მომგვრელ სასაფლაოსა ჰგავს ან კიდევ „მიტოვებულ ქალაქს", როგორც ერთმა მგოსანმა სთქვა.

მომავალი ოცნებაა, „მუდმივი ზღაპარი მზის სამეფოზე" და საუკეთესო ნაწილი ჩვენი სულისა სწორედ ამ ოცნებაშია შეტანილი. ადამიანი ან, მით უმეტს, მთელი ხალხი უიდეალოდ, რაღაც დაუმთავრებელ არსებად მიგვაჩნია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად. ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ ადამიანისაგან, რომ ის ყოველ თავის მოქმედებაში ცხოვრების იდეით ხელმძღვანელობდეს და პირუტყვულად ვთვლით ისეთ ყოფაქცევას, რომელიც მომენტების მოთხოვნილებებს ვერ გასცილებია. . . ზნეობრივ პიროვნებას და ზნეობრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში და მიზანთა წინდაყენება ადამიანობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია.

მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით ამ კეთილშობილ ნიჭს ადამიანისას, ადვილად დავინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია იმის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არა ნაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველებისაგან: ადამიანი ისტორიული არსებაა...

* * *

მორალური პიროვნება აუცილებლად გულისხმობს მოქმედების მოტივთა სიმრავლეს.

იმ მოქმედებას, რომელსაც წინ მხოლოდ ერთი მოტივი უძღვის, ჩვენი ეთიკური შემეცნება სრულიად გულგრილად უცქერის; აქ შეუძლებელია გარჩევა სავალდებულოსა და არსებულის, დასადასტურებელსა და უარსაყოფელს შორის. უცნაური იქნებოდა სიქველე და სათნოება მოგვეთხროვა მშიერი მგლისთვის, რომელიც თავის წინაშე უპატრონო კრავს ხედავს, იმიტომ რომ ერთადერთი მოტივი, რომელიც ასეთ შემთხვევაში იმის მგლურ არსებაში მოქმედებს, უსათუოდ შიმშილის მოკვლაა, ხოლო ერთადერთი მიზანი - კრავის შექმა. მორალური აღშფოთებაც უადგილო იქნებოდა აქ. რასაკვირველია, სადაც მოქმედებას წინ არჩევანი არ მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და სადაც თავისუფლების შეგნება არ არის, იქ არ არის განსხვავებაც ბოროტებასა და სიკეთეს შორის.

ადამიანში კი, პირიქით თითქმის ყოველთვის არსებობს ეს შეგნება თავისუფლებისა ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე, ეს შესაძლებლობა მოტივთა არჩევისა. მშიერია ის თუ მაძღარი, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო, ის თავისი თანაარსის წინაშე აუცილებლად სხვა მოტივებსაც განიცდის. მრავალ გრძნობათა და მოსაზრებათა ურთიერთობასა და ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვეულებრივად მისი ნებისყოფა და გადაწყვეტილება, თუ რასაკვირველია, ის სომნამბულისტურ მდგომარეობაში არ არი, ან არ არი მთვრალი, ან შეპყრობილი მრალური სიგიჟით.

ამ შემთხვევებში კი იგი მართლაც ცხოველს უახლოვდება, რადგან მისი ცნობიერება მოწყვეტილია მისსავე წარსულს და მისი ნებისყოფა მექანიკური აუცილებლობით, მომენტალური გრძნობით და მოსაზრებით ან, უკვეთ ვთქვათ, მოუსაზრებელობით ისაზღვრება. ადამიანობა კი არასოდეს არ შეიძლება ყოველ მხეცზე უმხეცესი აღმოჩნდეს. მომენტის თვალსაზრისით ადამიანობა ხშირად უბადრუკია, უნიჭო, სულიერად ღარიბი. ისტორიულად

გაშლილი კი, იგი ყოველთვის მდიდარია, მრავალმომქმედი, სულირად განუზომელი, როგორც კეთილის, ისე ბოროტისკენ.

პიროვნების ეს სიფართოვე, მოტივების ეს მრავალფერადობა აუცილებელი პირობაა ზნეობრივი მოქმედებისათვის. თავისუფლების გრძნობაც, რომელიც თან სდევს ჩვეულებრივ ჩვენს მოქმედებას, აქედანვე გამომდინარეობს. ჩვენი ნების შებოჭვას ჩვეულებრივ ჩვენ მხოლოდ ძლიერი აღელვების დროს ვგრძნობთ, როცა რაიმე ძლიერი აფექტით გამსჭვალულნი მარტოდმარტო თავზარდამცემ შიშს ან აღშფოთებას, ან მძულვარებას, ან უსაზღვრო სიყვარულს ვემორჩილებით.

მაგრამ თვით ასეთ წუთებშიც არ ძალგვიძს ჩავახშოთ ის ხმა, რომელიც შეიძლება ყრუდ, მაგრამ ყოველთვის დაჟინებით გვახსენებს, რომ ჩვენი პიროვნება ბევრად მეტია, ვიდრე ერთი რომელიმე თუნდ უძლიერესი აფექტი. ესაა საფუძველი პიროვნული თავისუფლების შეგნებისა; ჩვენ შეურყევლად გვნამს, რომ ჩვენი ნებისყოფის აქტი, ჯერ კდიევ შეუსრულებელი მოქმედება, მომავალი გადაწყვეტილება, ჩვენს ხელთაა, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რომელი გაიმარჯვებს იმ მრავალრიცხოვან მოტივთა შორის, რომელნიც თითქმის ყოველთვის ჩვენს ფსიქიკაში იბრძვიან. ჩვენს თავისუფლებას ვგრძნობთ მომავლის წინაშე.

ნებისყოფის თავისუფლებას მხოლოდ ეს ვიწროდ განსაზღვრული აზრი აქვს. ინდეტერმინისტული მოძღვრება კი, რომელიც ნებისყოფას ფსიქიური მიზეზობრივობის გარეშე აყენებს, სავსებით ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ მდგომარეობას, ამიტომ რომ არავითარ ფსიქიკურ გამოცდილებაში არ არსებობს მოქმედება, რომელიც განსაზღვრული არ იყოს რაიმე მოტივით.

არა უმიზეზობა, არამედ მიზეზთა და მოტივთა ბრძოლა და არჩევაა წყარო იმ თავისებური განცდისა, რომელსაც ჩვენ შეგნებული პიროვნების და მისი ნების თავისუფლებას ვუწოდებთ.

ჩვენ ქვევით დავინახეთ, რომ ზნეობრივი იდეალების და ნორმების ფსიქიკური ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელს უწყობენ უმაღლეს მოტივებს - გაიმარჯვონ უმდაბლესებზე, და რომ ამიტომ არვის შეუძლია თავისი უზნეობა იმით გაამართლოს, თითქო მისი ბუნება და ხასიათი ერთხელ და სამუდამოდ ისეა მოწყობილი, რომ აუცილებლად დასაძრახისი და უარყოფითი ინსტინქტები დღესასწაულობენ იდეალურსა და კეთილშობილზე.

ამგვარად არჩევანის თავისუფლება, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო მდიდარი და მრავალმხრივია პიროვნება, რაც უფრო ფართოა მისი გონებრივი ჰორიზონტი, სრულიად ეწინააღმდეგება იმ ყოვლად უსაფუძვლო აზრს, რომლითაც ეგრეთწოდებული ინდეტერმინისტული თეორია ხელმძღვანელობს ადამიანის მოქმედების ახსნაში. ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა პიროვნების მორალურად დაფასება და გასამართლება, რომ მისი ნებისმყოფა და მოქმედება ფსიქიკურ ურთიერთობათა გარეშე მდგარიყო, ე.ი. უმიზეზო ყოფილიყო და განუსაზღვრელი თავის გამოხატულებაში. არ შეიძლება პასუხისმგებელი გავხადოთ ვინმე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზეზი მის შინაგან ბუნებაში არ დევს. ფსიქიკურად გაბრუებული ადამიანის ნებისყოფა და მოქმედება სწორედ იმიტომ რჩება ეთიკური განსჯის გარეშე, რომ მათი მიზეზი უწინარეს ყოვლისა არა შინაგან ხასიათში უნდა ვეძებოთ, არამედ რაიმე გარეგან ძალაში: ჰიპნოზში, ნარკოზში ან ალკოჰოლში.

სულის სიმაღლე და სიფაქიზე სამართლიანად მხოლოდ მაშინ გვერიცხება აქტივში, ხოლო სულის სიმდაბლე და სიდუხმირე პასივში, როცა როგორც ერთში, ისე მეორეში მთლი ჩვენი შეგნებული პიროვნება გამოსჭვივის ისე, როგორც ის არი თავისთავად, გარეშე ძალთაგან დამოუკიდებლად. კეთილშობილება, რომელიც შემთხვევით ან რაიმე უცნაური გაუგებრობის წყალობით აღმოცენებულა, დაახლოებით იმდენადვე ფასობს, რამდენადაც შეშლილის ვაჟკაცობა ან ხელგაშლილობა და გულწრფელობა შეზარხოშებული მოქეიფესი.

ცხადია, რომ ნებისყოფის თავისუფლება იმ მნიშვნელობით, რომელსაც მას ჩვენ აქ ვაძლევთ, აუცილებლად გაულისხმობს თავისი შინაგანი „მეს" გამორკვევას, თავისი კერძო წარსულისა და იდეალის გათვალისწინებას; უბადრუკია და შესაბრალისი ის პიროვნება და ხალხი, რომელსაც თავისი თავი ვერ უპოვნია ან დაუკარგავს თავისი ისტორიულად შემუშავებული ინდივიდუალური თუ სოციალური ხასიათი. მისი თავისუფლება, მისი ზნეობრივი ძალა შემცირებულიდა დაკნინებულია, მისი ნიჭი დამოუკიდებელი შემოქმედებისა ძლიერ საეჭვოა, მისი მორალური ღირებულებანი და კულტურა - უფერული უგავლენო. . . თანდათანობითი და შეუწყვეტელია ცხოვრება და განვითარება შეგნებისა, როგორც ინტელექტუალურ და ემოციონალურ, ისე ნებისყოფის სფეროშიაც; არსად არსებობს ნებისყოფის აქტი, რომელსაც შეწყვეტილი ჰქონდეს ყოველივე კავშირი დანარჩენ ფსიქიკურ ენერგიასთან, რომელიც შინაგან მიზეზობრივ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდეს შეგნების წარსულ ცხოვრებასთან. უმიზეზობა სულიერ განცდათა სფეროში ისევე უაზროა, როგორც ფიზიკურ მოვლენათა სამეფოში, ისევე როგორც სხვაგან, მსოფლიოში.

ამ გარემოებისაგან გამომდინარეობს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების იდეის დამატებად ან კორელატად.

ჩვენ თვითნებობას ან რჩევის თავისუფლებას მხოლოდ მომავლის, ჯერ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე ვგრძნობთ. პირიქით, როცა შესაძლებლობა სინადვილედ იქცევა და მომავალი წარსულად, ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც ჩვენ თავისუფალი გადაწყვეტილების ნაყოფი გვეგონა, აუცილებელი ყოფილა და რაც მოხდა - მოხდა სწორედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. საბედისწერო ელფერი ეძლევა წარსულს ამ გარემოების წყალობით. ჩვენი მომავლის მჭედლები თვით ჩვენა ვართ ჩვენი ღრმა რწმენის მიხედვით, თუმცა ესე მომავალი იმ გრდემლის და კვერისაგანაცაა დამოკიდებული, რომელიც არსებითად ჩვენი ბუნებისაგან განსხვავდება. მაგრამ განა ჩვენ ჰეფესტოსი ბევრად უფრო მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია, ვიდრე ვულკანი - მისი ღვთაებრივი სამჭედური?! და აი, საკმაოა ამ „ჰეფესტოსმა" უკან მოიხედოს, საკმაოა რეალობის თვალსაზრისით შეხედოს იმას, რაც აქამდის იმის შეგნებაში იდეალობის ან შესაძლებლობის სახით არსებობდა და სულ ადვილად დაინახავს, რომ მისი ადამიანური არსება ისევე ექვემდებარება აუცილებლობას და მის კანონებს, როგორც ყოველი სხვა არსება, უკანასკნელი ლიტონისაგან დაწყებული უდიადეს ზეციურ მნათობამდე.

ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ თავისუფლების გრძნობა მხოლოდ ილუზიაა, გონების შეცდომა ან უშინაარსო მოჩვენება, - რომელიც შეიძლება მოსპობილ იქნას ლოგიკური შრომისა და თვითგანრთვნის შემწეობით. შეურყეველი ფსიქიკური ფაქტია ეს გრძნობა, ისევე როგორც შეგნება მომავლისა, რომელთაც იგი განუყრელადაა შეკავშირებული.

კიდევ მეტი: თვით აუცილებლობის განცდა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენს სულიერ გამოცდილებაში არ არსებობდეს იდეა პიროვნული თავისუფლებისა. როგორც ბევრი სხვა კორელატური ცნებანი, როგორც, მაგალითად,იდეანი - სიცოცხლისა და სიკვდილისა, სუბიექტისა და ობიექტისა, წარსულისა და მომავლისა, ისე აუცილებლობა და თავისუფლებაც ყოველთვის ურთიერთს გულისხმობენ. და ერთი მათგანის აღმოფხვრა უსათუოდ მეორესაც გაიყოლებდა თან ცნობიერებისაგან.

ჩვენ რომ მარტო მომავლის შეგნება გვქონოდა, ჩვენი თავი აბსოლუტურად თავისუფალი გვეგონებოდა, ჩვენ ყოველ მომენტში გამოვიდოდით როგორც მიზეზი მოვლენათა და არა როგორც შედეგი. პირიქით, მარტო წარსულის ცოდნით კი ბედისწერის კლანქებში ვიგრძნბდით თავს. წინააღმდეგობა აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის იგივე წარსულისა და მომავლის წინააღმდეგობაა ადამიანის ხელში, ის დისჰარმონიის და ტრაგიზმის უდიდეს წყაროდ უნდა ჩაითვალოს; ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რომ „მერანს" თავისუფლად მივაქანებთ მომავლისაკენ, მაღალი მიზნებისაკენ, ბედნიერი, მშვენიერი ან ფართო და მდიდარი არსებობისაკენ, - მაგრამ შეუწყვეტლად გარკვევით გვესმის, თუ როგორ მოგვდევს უკან კვალდაკვალ ჩვენი წარსული, ხშირად შეიძლება უარყოფილი, ხშირად შეიძლება ჩვენი „შავბედითი შავი ყორანი", - და რაც უფრო შორს მივდივართ განვითარების გზაზე, მით უფრო იზრდება ეს სამეფო „ისტორიული აუცილებლობისა"; დიახ, ჩვენი თვითნებობა, არჩევანის შეძლება, თავისუფლების შეგნება მოტივთა სხვადასხვაობასა და სიმრავლეზეა დამყარებული, მაგრამ თვითეული გრძნობა და წარმოდგენა, რომელიც ჩვენი მოქმედების მოტივებად თუ მიზეზად გამოდის, უკანასკნელი რგოლია ფსიქიკურ მოვლენათა გრძელი ჯაჭვისა, რომლის დასაბამი იკარგება დაუსრულებლობაში; ინდივიდუალური შეგნების აწმყოს ის აერთებს მის წარსულთან, შემდეგ ახლო ნათესაობის, გვარტომობის, ეროვნების, ბოლოს მთელი კაცობრიობის სულიერ ცხოვრებასთან.

არსად არ წყდება ეს კავშირი, თუმცა ხშირად იგი სუსტია, შეუგნებელი.

საბედისწერო ტრაგიზმი ჩვენი „ისტორიული გუნებისა" სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „შეხედულების ფორმა", რომელშიც ის იშლება, დროება, ბევრად ნაკლებ აძლევს ასპარეზს თავისუფლებას, ვიდრე, მაგალითად, გამოცდილების მეორე მატარებელი - სივრცის წარმოდგენა. უკანასკნელი სამდიმენსიონალურია და ჩვენ შედარებით თავისუფლად შეგვიძლია მოძრაობა ექვსი მხრით სამივე მიმართულებაში ან ერთს ადგილზე გაჩერება, დროება კი მხოლოდ ერთდიმენსიონალურია და აქაც ყოველთვის მხოლოდ ერთი მხრისკენ მივდივართ, სახელდობრ, წარსულიდან მომავლისაკენ. აწმყოდან წარსულისაკენ კი ხიდი ყოველთვის ჩატეხილი გვხვდება. გარდაუვალია ეს ვიწრო, მაგრამ უძირო უფსკრული, დროების მიერ გათხრილი ზურგს უკან; ჩვენ შეგვიძლია ხელი გავუწოდოთ იმას, რაც ამ უფსკრულს გაღმა დარჩა, შეგვიძლია მახსოვრობაში გავაცოცხლოთ განვლილი ჟამის აჩრდილნი. მუდმივ ახლობელნი, მაგრამ მაინც მუდმივ მიუწვდომელნი არიან ისინი ჩვენთვის, იმიტომ რომ დროთაბრუნვასთან თვით ჩვენ ვიცვლებით, თვით ჩვენს სულს აჩენს ის წარუშლელ, აღმოუფხვრელ ბეჭედს.

ეს მძაფრი წინააღმდეგობა აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის არ იარსებებდა ჩვენთვის, მარტო სივრცის ჩარჩოებში რომ ვყოფილიყავით მოთავსებულნი ან, მაგალითად, დროება რომ მხოლოდ სივრცის მეოთხე დიმენსია ყოფილიყო და არა ფორმა მთელი ჩვენი

შინაგანი და გარეგნული გამოცდილებისა. მაგრამ მაშინ არ იარსებებდა არც მისწრაფება იდეალისადმი.

თუ ჩვენს ზევით სადმე მართლაც არის უზენაესი არსება თავისუფალი ჟამთა მიმდინარეობისაგან, არსება, რომლისთვისაც ერთ მომენტში მარადისობა ძევს, მას უეჭველად არ ეცოდინება, თუ რა არი დისჰარმონია სავალდებულოს და არსებულს შორის, თუ რა არი ადამიანური სევდა და ლტოლვა ახალი იდეალებისა და ახალი ცხოვრებისადმი.

პლატონის მეტაფიზიკურ მორალს საბერძნეთის და რომის აზროვნებაში შეიძლება არც ერთი ეთიკური სისტემა არ მიახლოვებია იმდენად, რამდენადაც სტოიციზმი და ის „მსოფლიო კაეშნის“ ფილოსოფია, რომელმაც ელინთა ამაყი და უდრეკი სტოა შესცვალა ძველი საზოგადოების დაღუპვის წინა დღეებში.

უდიდესი სიკეთე სტოიკური ეთიკისათვის დამოუკიდებელი, ზნეობრივი პიროვნებაა, ხოლო საბოლოო მიზანი, - რომლისკენაც ყოველი ადამიანური შეგნება უნდა მიილტვოდეს, - სულიერი მშვიდობა, გარეგნული ბორკილისაგან განთავისუფლება და თავის თავით დაკმაყოფილებაა, გარეგნული ღირებულებანი თავის თავად არც სიკეთენი არიან და არც ბოროტებანი; სიმდიდრეს, მატერიალურ კეთილდღეობას, ჯანსაღობას, გვარიშვილობას, ოჯახს და ეროვნებას არავითარი მორალური ფასი არა აქვს შეგნებული პიროვნების დამოუკიდებლად, რომელსაც შეუძლია მათი საშუალებით თავისი შინაგანი ბუნება გაშალოს. მხოლოდ ხასიათის, მხოლოდ შინაგანი „მეს" დაფასება შეიძლება ზნეობრივად, მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად, ბოროტად ან კეთილად. თვით ეთიკური მოქმედების ფასიც ამ შეგნებულ „მეზეა" დამოკიდებული; დადასტურებული მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელსაც კეთილშობილი ხასიათი უძევს საძირკვლად, ხოლო უარყოფითი ისეთი, რომელიც საძრახ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, თუმცა შეიძლება პირველმა გარეგნულად საზარალო შედეგები გამოიწვიოს, ხოლო მეორემ - სასარგებლო. არა მოქმედება, არამედ ხასიათია ობიექტი ზნეობრივი გასამართლებისა.

* * *

„ძლიერ, ძლიერ იშვიათად, ერთხელ მთელი საუკუნის განმავლობაში ის ამ ნაგავშიც გამოურევს ხოლმე ობოლ მარგალიტს. გენიოსურ პიროვნებას და იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით კიდევ უფრო ნათელჰყოს ადამიანობის საერთო უნიჭობა და სიბადრუკე. და მართლაც, თუ „ისტორიულ ადამიანს" ისტორიულსავე პერსპექტივას ძალდატანებით მოვაშორებთ, თუ დამოუკიდებელ ატომად მივიჩნევთ იმას, რაც ნამდვილად მხოლოდ დიად ორგანულ მთლიანობაში ცხოვრობს, მაშინ არა თუ საშუალო მომაკვდავი, არამედ თვით ლეონარდო და ვინჩი და მიქელ-ანჯელო მოგვეჩვენება უსრულო და განუსაზღვრელ არსებად, ერთი რომელიმე მნიშვნელოვანის მხრივ მაინც ყოველ შემთხვევაში უდიდეს და უნიჭიერეს პიროვნებასაც შეიძლება აღმოაჩნდეს პატარა ნაწილაკი იმ ორი „დამახასიათებელი თვისებისა", რომელთაგან უკანასკნელი არც თვით „ფილოსოფიურ გეიოსს და ბრძენს" შოპენჰაუერს ჰკლებია თვალსაჩინოდ. და მართლაც, ვინ არი ეს ადამიანობის პესიმისტი

მსაჯული, რომლის ობიექტურ-კულტურული შემოქმედება და ანდერძი გერმანელთა ისტორიის ამამაღლებელ და გამაკეთილშობილებელ ფურცლებს წარმოადგენს? მხდალი ეგოისტი ფართო თვალებით სხვისი ნაკლოვანების დასანახავად და მიჩლუნგებულ ალღოთი თავისივე საკუთარ ცოდვების საგრძნობლად!

საჭიროა ავმაღლდეთ ამ უღირს ატომისტურ და ინდივიდუალისტურ შეხედულებაზე, საჭიროა ადამიანობას ვუცქიროთ,ისე როგორც იგი სინამდვილეშია, ე.ი. როგოროც იგი არა მარტო ჩვენს აბსტრაქციაში, არამედ თავის ისტორიაში იშლება, საჭიროა დავინახოთ, რომ კაცობრიობა მეტია, ვიდრე უბრალო გროვა ხშირად უმნიშვნელო, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ ელემენტთა და ჩვენში აღმოცენდება ღრმა გულწრფელი რწმენა ადამიანური სიდიადის, მშვენიერებისა და გენიოსობისადმი. ხშირად კაცს ადამიანები ცალ-ცალკე უფრო სძულს, ვიდრე უყვარს, მაგრამ მაინც ადამიანობის თაყვანისმცემელი რჩება და ხშირად კაცს ეზიზღება თავის თანამემამულეთა სილაჩრე, სულმოკლეობა, უნიჭობა და მცონარობა, მაგრამ მაინც ძლიერი პატრიოტიზმით არი გამსჭვალული: ეროვნული და ჰუმანიტარული გრძნობა არ არის არჩილების ან ალფრედების სიყვარული და პირველთა ან მეორეთა არჩევა სანტიმენტალური ცრემლების დასაფრქვევად; არც პირველნი და არც მეორენი ცალ ცალკე შეიძლება სრულიადაც არ ფასობენ იმდენად, რომ მათთვის ღირდეს თავის შეწუხება, მით უმეტეს თავის განწირვა. პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი არი, უწინარეს ყოვლისა, სიყვარული და მოკრძალება დიად ეროვნულ და კაცობრიულ გენიოსობის წინაშე, იმ ისტორიულ სულის წინაშე, რომელიც ობიექტურ კულტურულ შემოქმედებაში თავისი უკვდავების ძეგლს იდგამს.

თავის თავის ცნობამ ამ ისტორიული ძალის ნაწილად, თავისი პიროვნების, ე.ი. სუბიექტური სულის მის ქვემდებარე ნაწილად აღიარება და შემოქმედება იმ მხრივ რა მხრივაც ის უნდა ვითარდებოდეს, - აი, ნამდვილი შინაარსი ნათლად გაგებული ნაციონალური და ჰუმანიტარული გრძნობისა, რომელიც ხშირად ადამიანთა და მათ სისუსტეთა სიძულვილით და მხილებით საზრდოობს.

დიდი ზნეობრივი ტრაგედიაა კაცობრიობის ისტორია საერთოდ, თუმცა ცალკე პიროვნებათა ცხოვრება შეიძლება უფრო ხშირად უშინაარსო და ზნეობრივად უღირს ფარსს ჰგავდეს. მართლაც, რა არი აღმოსავლეთის, საბერძნეთის, რომის, პირველყოფილ ქრისტიანობის ისტორია, ან ჯვაროსანთა ომები, აღორძინების ხანა რეფორმაცია, „ბრძოლა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის", „ბრძოლა თეთრსა და ალისფერ ვარდს შორის", „ოცდაათი წლის ომები", რევოლუციის ეპოქა, ნაპოლეონის ომები, ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, თუ არა უზარმაზარი, შემაძრწუნებელი მოქმედებანი მსოფლიო დრამისა, რომელიც შეუწყვეტლივ, საბედისწერო აუცილებლობით, ეხლა გათვალისწინებულით უუმცირეს მიზეზებამდე, ამხობს და ანადგურებს ცხოვრებას, რათა მეტი ცხოვრება შექმნას. სადაა ამ ტრაგედიის დასასრული, თუ არა მის ზნეობრივ გამართლებაში, თუ არა თვით უზენაესი ადამიანობის იდეაში, რომელიც მიღწეული უნდა იქნას, მაგრამ რომელიც სავალალოდ ჭეშმარიტად არასოდეს არ იქნება მიღწეული...

განა მთლი ეს სანახაობა, უაღრესი და უბრწინვალესი ყოველ სანახაობათა შორის, იმავე მოდგმის ქმნილება არ არი, რომელიც თავის ყოველდღიურ არსებობაში თავისსავე წარსულს და, მაშასადამე, მთლიანობას მოწყვეტილი, ხშირად ასე გაუტანელია, მხდალი, ეგოისტური, სულმდაბალი, უნიჭო.

თვით ქართველი ერი, რომელსაც თუ ინდივიდუალისტური დახასიათების თვალსაზრისით შევხედავთ, ასე ნათლად ეტყობა დღეს მცონარობა, პასივობა, თავისი თავის უპატივცემულობა, რომელსაც ძვალსა და რბილში წამბაძველობა აქვს გამჯდარი და უკუღმართი მსახიობობა შინაც და გარეთაც, მხიარულებაშიც და მწუხარებაშიც; უმოქმედობაშიც და იდეალებისთვის ბრძოლაშიც; განა ეს, დღეს შინაურების და გარეულების მიერ ყბადაღებული ქართველი ერი როგორც მთელი, როგორც ისტორიული არსება, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირი არ არის? რა განსაცვიფრებელი ზნეობრივი ენერგია არ გამოააშკარავა მან საუკუნეთა განმავლობაში თავის დამოუკიდებელ ეროვნულ მეობის შესანახად. განა საფიქრებელია, რომ ეს ენერგია სამუდამოდ გაქრა, რომ ის ეხლა აღარ არსებობს. რასაკვირველია, არა! საჭიროა მხოლოდ „დაკარგული მთლიანობის" აღდგენა, საჭიროა მხოლოდ პაწია, ხშირად სმენისათვის მიუწვდომელი ხმების „მწყობრ მელოდიაში" შეერთება...

* * *

ცხადია, ამ შეთვისების მისაღწევად ზნეობრივად სავალდებულოა, რომ ტლანქი და მოუხეშავი ეგოიზმი დაექვემდებაროს ფაქიზი „მეობის გრძნობას", ხოლო ეს უკანასკნელი - „თანაგრძნობას" თუ ალტრუიზმს, სულ ერთია, რომელ სოციალურ გულისთქმადაც უნდა გამოიხატოს ის.

ამ შემთხვევაში ჭეშმარიტმა ზნეობამ არ იცის, თუ რა არის კომპრომისი; ადამიანური ცხოვრების თვალსაზრისით შეგნებული პიროვნება უფრო მაღლა დგას, ვიდრე უსიცოცხლო საგანი, ეროვნება კიდევ უფრო მაღლა, ვიდრე თუნდ უძვირფასესი პიროვნება, კაცობრიობის სიდიადე კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმის წინაშე თავი უნდა მოიხაროს უძლიერესმა და უკულტურესმა ერმაც; მის წინაშე უნდა დადუმდეს ყოველი ვიწრო ინდივიდუალისტური და ნაციონალისტური ინტერესი, რომელიც ადამიანობის ამაღლებულ იდეალს ეწინააღმდეგება.

* * *

მართლაც, როგორც კულტურული კაცობრიობა წარმოდგენილია ეროვნულ განსხვავებათა გარეშე, ისე განვითარებული საზოგადოებაც შეუძლებელია იქ, სადაც ძლიერი ინდივიდუალური თავისებურება, განუმეორებლობა და ბრძოლა არ არსებობს. ძლიერი მუსიკალური ნაწარმოები უმაღლესი სულიერების გამოსახატავად, ლეიტმოტივთა და კონსონანსთან ერთად; აუცილებლად ქვემდებარე მოტივებს და დისონანსაც საჭიროებს, ხოლო ძლიერი საზოგადოებრიობა - ინდივიდუალურ ნიჭთა განსხვავებას. კონკურენციას, შეტაკებას, დიფერენციას და დისჰარმონიას მოკლებული საზოგადოება უთვითმოქმედო და უსუსურია, როგორც ერთფეროვანი, მოსაწყენი სპარსული მუსიკალური მელოდია.

თბილისი, 1917წ.

წყარო: „ეროვნული ენერგია", გვერდი 181, 1917 წ.

ღირებულებები: ერი, დემოკრატია, არჩევნები,
თანასწორობა, მონაწილეობა, მოქალაქეობა,
სამართლიანობა, თავისუფლება.

მაგრამ რა იქნებოდა თავისუფალი საქართველო უთბილისოთ? ეს იქნებოდა ცხედარი, რომელსაც დოსტაქარმა ოპერაციის დროს გული ამოაცალა. ქვეყანა სრულიად გაიყინებოდა და გაშეშდებოდა ასეთი ოპერაციის შემდეგ. არა ნაკლებ სასტიკი იქნებოდა თვით თბილისის ბედი. დიდ ქალაქს არ შეუძლია არსებობა თუ მას ფართოთ შემოფარგლული ჰინტერლანდი არ აკრავს. თბილისი რომ მომავალ საქართველოს პოლიტიკური საზღვრებიდან გამოეთიშოს, ეს დიდი სააღებმიცემო და საკულტურო ცენტრი დაბეჩავდება.

საქართველოს ინტერესი მოითხოვს, რომ თბილისის მაჯა ძლიერად სცემდეს. თბილისის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველო ფართოდ და თავისუფლად იყოს გაშლილი.

რასაკვირველია, ქართველმა ერმა ახლა შეურყევლად უნდა დაამტკიცოს, რომ თბილისი მისი საკუთრებაა და არა სხვისი. ისტორიული საბუთები არ კმარა. ისეთ ფხიზელ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ადამიანები ახალგაზრდა და ჯანსაღი კუნთების ძალას მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ათასწლოვან, მტვრიან სიგელებს. ამიტომ მოახლოებულ საქალაქო არჩევნებს ჩვენთვის შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს: ეს პირველი შემთხვევაა, როცა საარჩევნო ბრძოლაში ფართო დემოკრატია იღებს მონაწილეობას. საარჩევნო უფლება ეძლევა თვით ქალებსაც, რაიცა იშვიათი მოვლენაა დასავლეთ ევროპაში. აი, აქ გვმართებს ენერგიის მოკრეფა. უნდა დავამტკიცოთ, რომ კონკურენტები მხოლოდ უსამართლო პრივილეგიებით გვჯობნიდნენ, ხოლო დღეს უძლეველნი გავხდით თავისუფალი შეჯიბრების წყალობით. გვგონია, რომ შევსძლებთ ამის დამტკიცებას. ქართველი დემოკრატია უეჭველად ყველაზე უფრო გაწვრთნილი, შეგნებული და ცხოველმყოფელი დემოკრატიაა ამიერკავკასიაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქალაქის ძველმა პრივილეგიანმა წოდებებმა მის იერიშებს დიდხანს გაუძლოს.

ზოგიერთმა დამახასიათებელმა მოვლენამ განსაკუთრებით განამტკიცა ეს ჩვენი რწმენა. ბოლო დროს ქართველ ერში საერთოდ გაძლიერდა სამოქალაქო ელემენტები და ზოგიერთმა ქალაქმა, რომელიც წინათ უცხოელებით იყო დასახლებული, წმინდა ქართული ხასიათი მიიღო.

ბატონყმობის მოსპობამდე ქართველი ხალხი მიჯაჭვული იყო სოფელს, ქართველი არისტოკრატია ქალაქს მხოლოდ დროგამოშვებით ესტუმრებოდა. საქართველოს პროვინციული ქალაქების ნაციონალიზაცია სულ ბოლო წლებში მოხდა.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ჩვენი დედაქალაქის განვითარებაა. თუ ოფიციალურ სტატისტიკას დავენდობით, რუსეთთან შეერთების დროს თბილისში სამოცდათხუთმეტი პროც. სომეხი, თხუთმეტი პროც. მაჰმადიანი და მხოლოდ ათი პროც. ქართველი ყოფილა. შემდეგ კი მათი რიცხვი ნელ-ნელა გაზრდილა.

ამგვარად როგორც ცხოვრების ტენდენცია, ისე ქართველი დემოკრატია ამჟარად გვიქადის, რომ თბილისს განსაკუთრებული ქართული ხასიათი მიეცემა ახლო მომავალში. მოსალოდნელია, რომ ქართველობა გაიმარჯვებს არა მარტო რიცხვით, არამედ იდეალებითაც. რისთვის იბრძვის ქართველი დემოკრატია? ის იბრძვის იმისთვის, რომ ქალაქს უფრო ჯანსაღი და ლაზათიანი იერი მიეცეს, რომ როგორც გადასახადი, ისე კეთილდღეობა უფრო სამართლიანად იყოს განაწილებული.

თბილისს ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირია, რომ ევროპიულად მოწყობილი ქალაქი გახდეს. მისი ქუჩები ვიწრო, ოღრო-ჩოღრო და მტვრიანია, მისი ბინები უჰაერო და უსინათლო. თვითმმართველობამ უნდა იზრუნოს იაფ-ფასიან ბინების ასაგებად, როგორც ამას ევროპის მუნიციპალიტეტები შვრება, თვითმმართველობამ უნდა იზრუნოს აგრეთვე ჩრდილოვან პარკებისა და ხეივნებისა, საასპარეზო მოედნებისა, აბანოებისა და ძეგლებისათვის, როგორც ამას თანამედროვე ესთეტიური გემოვნება და თანამედროვე ჰიგიენა მოითხოვს.

ჩვენ, ვინც ახალგაზრდა თაობას ვეკუთვნით, ვიმედოვნებთ, რომ სხვაგვარ თბილისს ვიხილავთ ჩვენი ცხოვრების სამხარზე. ჩვენს ფანტაზიაში ისახება კიდეც მისი კონტურები. ეს არის ქართული სტილის ქალაქი ევროპიული მოთხოვნილების მიხედვით მოწყობილი. არ სჩანს არც ყაზარმისებული მახინჯი შენობა, არც ხახვისთავიანი ეკლესია, არც რუსულ-ქართული ჟარგონის მოლაპარაკე ადამიანი. ცენტრი შოთა რუსთაველის მოედანს უჭირავს, ქუჩები და ბულვარები ცაცხვებითაა დაჩრდილული, საგიმნასტო დარბაზებს ქართველი შევარდნები აცხოველებენ.

ჩვენმა ნებისყოფამ ჩვენი ოცნების მიხედვით თანდათან უნდა გარდაქმნას ძველი თბილისი.

ეროვნული სკოლა, 1917წ.

წყარო: „პატარა ერის ხვედრი." გვ 250, 1917 წ.

ღირებულებები: ერი, პოლიტიკა, ლიბერალობა,
სახელმწიფო, თვითმმართველობა, მოქალაქეობა, სამართლიანობა.

ეროვნული სკოლის შესახებ დღეს სრული ერთსულოვნება სუფევს ქართველ საზოგადოებაში. საყოველთაოდ აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ პირველდაწყებითი სწავლა-განათლება დედაენის შემწეობით უნდა წარმოებდეს, რომ დედაენა საფუძვლად უნდა დაედოს თვით ჰუმანიტარული და სპეციალური ცოდნის შეძენას. თანამედროვე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ენა და აზროვნება მჭიდროდ გადაჭდობილია ერთმანეთში, რომ პირველის შეფერხება ან დამახინჯება აუცილებლად უკანასკნელის შეფერხებას და დამახინჯებას იწვევს.

მაგრამ ჩვენი ეროვნული სკოლა მარტოოდენ მეცნიერული საკითხი როდია: მას უარყოფენ არა პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებები და საღი პედაგოგიკა იძულებულია ქედი მოიხაროს სკოლის ყალბი პოლიტიკის წინაშე. ჩვენი ნორჩი თაობის გადაგვარება ბოლო დრომდე სრულიად შეგნებულად ხდებოდა უმაღლესი სახელმწიფოებრივი

იდეის სახელით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მტრის შემოსევას იშვიათად მოუტანია ჩვენი სამშობლოსთვის ისეთი ზიანი, როგორც უცხო სკოლის შემოჭრამ მოუტანა.

ბოლო დროს ლიბერალური აზროვნების გავლენის ქვეშ რუსის მთავრობა დათმობის გზას დაადგა. ორიოდე წლის წინათ ჩაგრულ ერებს უფლება მიეცათ კერძო სასწავლებლებში სწავლა-განათლება დედაენაზე აწარმოონ. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ეს დათმობა სრულიად არ წყვეტს ძირითად საკითხს.

რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერი ხდება ჩვენს ხალხში სწავლის წყურვილი. ამ წყურვილის დაკმაყოფილება სავსებით მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება: საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა-განათლების შემოღებით. ეს კი მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. კერძო თაოსნობა განსაზღვრულია. კიდევ უფრო განსაზღვრულია თანხა, რომელიც კერძო პირებსა და საზოგადოებებს მოეპოვება სასწავლებლის გასახსნელად. ვერც რიცხვით, ვერც გავლენით კერძო სასწავლებელი ქიშპობას ვერ გაუწევს სახელმწიფო სასწავლებელს, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის მხარეზეა კიდე ერთი დიდი უპირატესობა: სანამ სახელმწიფო დაწესებულებებში და ეკონომიკურ ცხოვრებაში რუსული ენაა გაბატონებული, მცხოვრებთა მასა ყოველთვის სამინისტრო სასწავლებელს აირჩევს ყოველი პედაგოგიური მოსაზრების დამოუკიდებლად. ეს ბუნებრივია. ენა, სხვათა შორის, სოციალური ბრძოლის იარაღია: ვინც ამ იარაღს მოკლებულია, ის ადვილად მარცხდება თანამედროვე შმაგ შეჯიბრებაში.

ქართული ენა სკოლაში მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ჯეროვან ადგილს, როცა ის სახელმწიფოებრივ დაწესებულებასა და ეკონომიკურ ცხოვრებაში შეუზღუდავად გაბატონდება. ეს კი პოლიტიკური თვითმმართველობის მოპოვებას გულისხმობს. ამიტომ, ვინც საღ პედაგოგიკას იცავს და ეროვნული სკოლის შემოღებას ითხოვს, საღი პოლიტიკის გზასაც უნდა დაადგეს და ეროვნული თვითმმართველობა მოითხოვოს.

ლუარსაბ ბოცვაძე
(1866-1919)

პედაგოგი, „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თვალსაჩინო წევრი, 1908 ნელს დააარსა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი „განათლება", რომელსაც რედაქტორობდა 1908-1918 წლებში.

● პედაგოგიური თხზულებანი, 1908-18ნ.ნ. (ამონარიდი)

წყარო: ნიგნი „პედაგოგიური თხზულებანი", თბილისი, 1982, გვ. 16-17.

პედაგოგიური თხზულებანი

ღირებულებები: განათლება, ხალხი, ერი

სკოლა ხალხის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს, ყურადღებით ისმენდეს ხალხის ხმას და აძლევდეს დროსა და ადგილის შესაფერს სწავლა-განათლებას მეურნეობის მხრივაც. სკოლის დანიშნულებაა, არა ამოჰკვეთოს, არამედ გააკეთილშობილოს ხალხის ზნეობითნი თვისებანი. სკოლის საქმე ისე მოაწყეთ, რომ გლეხი ჰხედავდეს იმისს სარგებლობას და ჰნახავთ, მოსწავლეთა რიცხვიც და სწავლის სურვილიც როგორ იმატებს; პირიქით, თუ გლეხი სარგებლობას სკოლისას ვერ ჰხედავს, გულსაც აიცრუებს სკოლაზედ...

მჭიდრო კავშირი სკოლასა და ერს შორის დედაბოძია ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს ისე ვერაფერი ვერ განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც სამშობლო ენა და ლიტერატურის შესწავლა; ენა და ლიტერატურაა უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალს თაობას ძვირფასს განძსავით შეუნახავს საუკეთესო ნაწარმოები გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლით ყოველი მოსწავლე გულითა და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და ჭეშმარიტს სულიერს შვილობას გაუწევს. ...თუ მასწავლებელი იმ ერის წარსულის და აწმყოს ცოდნით არის შეიარაღებული, რომლის შვილებსაც ასწავლის, თუ იმის ენისა და ლიტერატურის სიყვარული და პატივისცემა აქვს, ის უეჭველად დიდს ნუგეშს, შვებას, ლხენას და სიკეთეს მოჰფენს ხალხს.

დიმიტრი უზნაძე

(1887-1950)

ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი, აქტიურად მონაწილეობდა 1910-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი იყო საქართველოს სოციალ-ფერედალისტთა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, 1917-1919 წლებში კი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი.

○ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები 1917წ. (ნაწყვეტი)

(მოხსენება საქართველოს ეროვნული საბჭოს განათლების კომისიისათვის)
წყარო/ბმული: https://bit.ly/2YBMokP

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები

ღირებულებები: დემოკრატია, მოქალაქეობა, თვითმმართველობა, განათლება

დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა მოქალაქე. ამიტომ, ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პედაგოგიურ პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამჟამად ამ საკითხზე ენერგიული სჯა-ბაასია გაჩაღებული. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრ-

დისთ, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში, მაგრამ რა საშუალებები აქვს სახალხო სკოლას ამ მნიშვნელოვანი მიზნის განსახორციელებლად?

პირველ ყოვლისა, აუცილებელია მივცეთ ბავშვებს ცოდნის გარკვეული რაოდენობა მოცემულ საკითხზე; სახალხო სკოლის პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოსაზრება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში. სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს, იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობისა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის შეგნებას. იგი განამტკიცებს ბავშვებში იმის რწმენას, რომ შემთხვევითი და დროებითი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ განამტკიცოს და განავითაროს მუდმივი და წარუვალი, რომ პრიმატია არა პირადული, რომელიც, არსებითად შემთხვევითია, არამედ საზოგადოებრივი, რომელიც წარუვალია, მუდმივია და აუცილებელი.

ეს რომ გაკეთდება, ხასიათის სამოქალაქო აღზრდა, უეჭველად, უზრუნველყოფილი იქნება. ამრიგად, მთელ რიგ საქმეებში (ექსკურსია, კლასი, დისციპლინა და ა.შ.) თვითმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი და მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. ყოველივე ეს შეფერილი იქნება საერთო საქმისადმი სამსახურის სურვილით, მუდმივი და წარუვალის შექმნის მზაობის შეგნებით.

ᲙᲘᲠᲘᲝᲜ II (ᲔᲠᲘᲡᲙᲐᲪᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲔᲠᲝᲜᲘᲛᲔᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲫᲐᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ)

(1855-1918)

ქართველი ისტორიკოსი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917-1918 წლებში.

○ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მიმართვა ქართველ ერს 1918 წლის 26 მაისს

წყარო: სცსსა. ლეონიდე ოქროპირიძის პირადი საარქივო ფონდი #1459, საქმე #40, ფ. 1, 1918 წელი, 26 მაისი.
ბმული: https://burusi.wordpress.com/2013/05/26/kirion-3/

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მიმართვა ქართველ ერს 1918 წლის 26 მაისს

ღირებულებები: თავისუფლება, მოქალაქეობა, ერთობა.

„ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან; ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა". (ფს.117.24)

დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა!

დიდი ისტორიული დღე გაგვითენდა. 26 მაისი სამუდამოდ და საშვილიშვილოდ დარჩება ფრიად მნიშვნელოვან დღეთ. აღსრულდა ჩვენი უდიდესი ნატვრა, ჩვენ ნეტარ ხსენებულთა წინაპართა მუდმივი ლტოლვილება. ღმერთმა განუსვენოს იმ თავდადებულ მამულიშვილებს, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობისთვის და თავგანწირულად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. დიდი წვალების შემდეგ იშვა ჩვენი თავისუფლება და ობლის კვერივით გვიან გამოცხვა.

მადლობა ღმერთს! ასი წლის მონობის ბორკილი აეხსნა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს. ეს უდიდესი აქტი ერთხმად მიიღო ყველა წოდების ქართველმა, მიუხედავად პარტი-

ებისა და რწმენისა. აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. 26 მაისს 5 საათზე გაისმა პირველი თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საქართველოში. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე – სიფხიზლეს თხოულობს ჩვენგან.

ერთობაში არის ძალაო, ამბობენ და თუ ესეა, ეხლანდელი მომენტი მით უმეტეს მოითხოვს ყველასგან ძმურ შეერთებას და შრომას.

თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგვზარდა ჩვენ და კაცად გვაქცია. როდესაც კაცს უბედურება თავზედ დაატყდება დაჰკარგავს მას, ველური კაცის ხარისხზედ ჩამოდის იგი. მონობისთანა მწარე ხვედრი დედამიწამ არ იცის. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგი დამაგვირგვინებელია ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღმრთიური ნიჭია.

ჭეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა, თუ პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დაიცვას მამაცმა მამულიშვილმა მოპოვებული თავისუფლება. „კაცი ჯაბანი რითა სჯობს – ამბობს უკვდავი შოთა – დიაცსა ქსლისა მბეჭველსა და სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა".

მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს ყველა იმ ერებს, რომელნიც ჩვენთან ერთად იცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში!

მიიღე ეს უძველესი ბაირაღი, რომელიც დიდი სიფრთხილით დაცული იყო ერთს ქართველ ოჯახში და რომელიც არა ერთხელ ჩვენ წინაპართა ძლევამოსილი მოუტანიათ სამშობლოში, - გაუფრთხილდეთ მას, როგორც ეროვნულ სიწმინდეს.

ლოცვა კურთხევა და მადლი უფლისა ჩვენისა გიძღოდეთ და მარად ჰფარვიდეს ქართველ ერს. ამინ!

ᲙᲐᲢᲝ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ
(1878-1942)

ქართველი პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში რეგიონალური ქსელი „ქალთა ლიგა" ჩამოყალიბდა, გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა" (1917-1918).

- ქართველ ქალებს, 1918წ. ივლისი

წყარო: "ხმა ქართველი ქალისა" 20 ივლისი 1918, N 17;
ბმული: https://civil.ge/ka/archives/248661

ქართველ ქალებს

ღირებულებები: ერი, სამშობლო, ღირსება, ზრუნვა, პატივისცემა, სიყვარული, თავისუფლება, მოქალაქეობა, სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, სუვერენობა, თანასწორობა, ტოლერანტობა, თვითმმართველობა, პასუხისმგებლობა, არჩევანი, სამართლიანობა.

თვითოეულ ერს, თვითოეულ ხალხს უკავია დედა-მიწის ზურგზე განსაზღვრული სივრცე, განსაზღვრული მანძილი, განსაზღვრული ალაგი, ანუ ტერიტორია.

რაკი ერი იბადება, ვითარდება, საზრდოობს და მრავლდება ერთ ტერიტორიაზე, ამის გამო იგი თავისთავად იმსჭვალება ამ ტერიტორიისადმი ისეთივე ბუნებრივი, სათუთი და ცხოველური მიზიდულობით, როგორითაც გამსჭვალულია ხოლმე მოსიყვარულე შვილი მშობელი დედ-მამისადმი.

შეგნებული ადამიანისათვის სამშობლო და მშობელი ერთიმეორის ფარდი, ერთიმეორის მაგიერი და სწორი ცნებაა. ნესიერათ განვითარებული, ე.ი. ცალმხრიობას, სიდუხჭირეს და სიმახინჯეს აცილებული ადამიანის გულში იმოდენივე ალაგი აქეს დათმობილი სამშობლოს, რამდენიც მშობლების სიყვარულსა და პატივისცემას, მშობლების კეთილდღეობისთვის ზრუნვასა და მათი ღირსების დაცვას.

ჩვენ, – ქართველები, – არასოდეს არ ვყოფილვართ ეულები, უბინადრონი, საკუთარ სამშობლოს მოკლებულნი. ჩვენი სამშობლო ყოფილა და არის ის დედამიწის პატარა ნაწილი, რომელიც ოქროს ხატივით ასვენია შავსა და კასპის ზღვებს შუა და თვალ-მარგალიტებიან ჩარჩოთ გარს შემორტყმია ბუმბერაზი კავკასიონის ქედი.

სიკეთე ჩვენი სამშობლოსი: – იშვიათი მოხდენილობა და სიკეკლუცე მისი გარეგნობისა, სისადე და უებროება მისი ჰაერისა, საოცნებო სიმდიდრე და უხვი მომცემლობა მისი ნიადაგისა იზიდავდა ამ ქვეყნისაკენ ყველა მესაზღვრე ერებსა და უღვიძებდა მათ გაუნელებულ სურვილს, რომ ხელში ჩაეგდოთ იგი.

ამიტომ პანია საქართველოს ხანგრძლივი წარსულის მეტი ნაწილი წარმოადგენს ყველა მხრიდან მოსეულ მტერთან განუწყვეტელ ბრძოლას და თუ უკანასკნელთ დაელიათ ტყვია და თოფის წამალი, თუ მათ მოუდუნდათ და დაუჩლუნგდათ ხმალ-ხანჯალი, თუ მტრებმა მარტო კალთები ჩამოაცილეს ჩვენს სამშობლოს და დაპყრობა მისი მაინც ვერ შეძლეს, თუ ამ შეუწყვეტელ ხმლის ტრიალში და გამუდმებულ თოფის სროლაში გართული ქართველი არ გაველურდა გონებით და გრძნობით, თუ მიუხედავად სამძიმო პირობებისა, ქართველმა არამც დაივიწყა ნიგნი და მწერლობა, პირიქით, მოახერხა საკუთარი კულტურის შექმნა, და სისრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ენა და მნიგმნობრობა, ამით უნდა ვუმადლოდეთ ქართველ ქალებს.

არსად, არც ერთ ერშიდ ისე გავრცელებული არ ყოფილა ქალისადმი პატივისმცემა და სიყვარული როგორც ჩვენში, საქართველოში. ისტორიას რომ თავი დავანებოთ თვით უბრალო სიტყვებიც კი დაამტკიცებენ ზემოხსენებულ აზრს. ავიღოთ მაგალითად სიტყვები: „დედ-მამა. „და-ძმა", „ცოლ-ქმარი", „ქალ-ვაჟი" და სხვა მრავალი. ყველგან პირველ ადგილზედ ქალი არის დაყენებული. საუკეთესო მოწამენათ ქრისტიანობისთვის ჩვენში შუშანიკ და ქეთევან ითვლებიან. ოქროს ხანათ მიაჩნიათ ქართველებს ის ხანა, როდესაც თამარი მეფობდა და თუ საქართველო დღეს არ აღგვილა პირისაგან ამა ქვეყნისა, ეს მხოლოდ იმ დედებს უნდა მივანეროთ, რომელთა შვილნი თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს და თავისუფლებას; რომელთა ტკბილი ნანა ბავშვობიდანვე უნერგავდა საქართველოს შვილებს თავისი ხალხისა და ერის სიყვარულს...

მაგრამ დაჰბერა ისტორიის ულმობელმა ტალღამ და ჩვენს სამშობლოს უბედურობა ეწვია. რუსეთთან შეერთებით გადაწყდა საქართველოს ბედიც და ის თავისუფლება, რომლისთვისაც რამოდენიმე ათასი საუკუნე იბრძოდნენ ქართველები, ჩაესვენა შავს სამარეში.

თუ გსურთ რომ რომელიმე ერი, ხალხი დაიმონო, თუ გსურს წაართვა მას ძალა არსებობისა, და მოუსპო შეგნება თვით შემეცნებისა, უნდა ეცადო, რომ ქალი გააფუქსავატო, ჩაჰკლა მასში ყოველივე სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსადმი და თუ ეს შესძელი, იმედი გქონდეს, რომ სულ მალე მიაღწევ შენს სანადელს. ჩვენშიც ასე მოხდა. უპირველესყოვლისა ქალმა მიიღო და შეითვისა რუსის გამათახსირებელი პოლიტიკა. მშვენიერი „ნანა" რუსის „Баюшки-баю"-ზე შესცვალა და „დედის" მაგიერ „მამოჩკა" გვესმოდა. ამ იდეით აღზრდილი შვილები თავისთავად ცხადია, ვერ შესძლებდნენ შეესრულებინათ ის, რაც მამა-პაპათაგან ჰქონდათ ნაანდერძევი და მიჰყვენ თავის ბედს.

ას-ჩვიდმეტი წლის მონობამ ძირიანად ამოგლიჯა ჩვენი გულის ფიცრიდან ის ჭეშმარიტი გრძნობა, რომელსაც სამშობლოსადმი სიყვარული ეწოდება. მაგრამ ის იმედი, რომე-

ლიც ჰყვაოდა ქართველის გულში, გაიფურჩქნა და დღეს კვლავ ვიხილეთ თავისუფლება. თუ ქალმა ხელი შეუწყო ჩვენი ერის გადაგვარებას, ისევ ქალმა უნდა აღადგინოს იგი, იმ დროს, როცა ქალი სრული ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებით იქნება შემოსილი საქართველოში. ჩვენმა დედებმა და დებმა უნდა განამტკიცონ და ხელიდან არ გაუშვან სისხლით მონაპოვი თავისუფლება.

ამისთვის საჭიროა უპირველესად ყოვლისა უფლებათა თანასწორობა. შეუძლებელია იმ ერმა, იმ ხალხმა შეინარჩუნოს თავისუფლება, სადაც არ არის სქესთა უფლებრივი თანასწორობა. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია ჩაერიოს თავისუფლების ფერხულში, სადაც არ არსებობს არავითარი მონობა, ჩაგვრა და დამცირება. რას წარმოადგენდა დღემდის ქალი? – ყოველივე უფლება მოკლებულ არსებას. მას შემდეგ რა რომ მატრიარლქალური ხანა შეიცვალა პატრიარქალურად და მამაკაცებმა ძალით ჩაიგდეს ხელში უფლება, ქალი, როგორც ასეთი გარდაიქცა მამაკაცის სრულ საკუთრებათ. ეს უკანასკნელიც მას უყურებდა, როგორც ვნებათა ღელვის დამამშვიდებელ საგანს და საკმარისი იყო, რომ ქალს აღარ დაეკმაყოფილებინა მისი მხეცური ინსტიქტი რომ მას გარედ გამოაგდებდნენ, როგორც უვარგის ჩვარსა.

განვლო დრომ და ქალი თან და თან აგნებდა თავის მდგომარეობას. ბევრი გამოჩენილი პირი იბრძოდა ქალთა უფლების გასაუმჯობესებლად, ბევრი ზეგარდმომადლოთ მონიჭებული ნიჭი გაიძახოდა და მოუხმობდა მსოფლიოს თანასწორობისაკენ, მაგრამ ხმა მათი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... მათ შორის ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში დიდებული ქართველი გაიძახოდა: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია"-ო, ეხლა მეოცე საუკუნეში კი, როდესაც ყველას პირზედ აკერია „ძმობა-ერთობა-თავისუფლება", როდესაც თავგამოდებით ქადაგებენ მიწის სოციალიზაციას, საერთაშორისო ძმობა-ერთობას და ათას სხვას, გარდა ერთი-ორი პიროვნებისა, ხმას არავინ იღებს ქალთა სწორუფლიანობაზე. მაშ ვინ უნდა იზრუნოს თქვენთვის, თუ არა თქვენ, ასულნო საქართველოსავ?!

თუ რუსეთის გამათახსირებელმა პოლიტიკამ ჩაკლა თქვენში უნარი ბრძოლისა, დე ეხლა, ამ ჟამსა თავისუფლებისას გაიღვიძოს თქვენში ძველ დედათა მიმალულმა ძლიერმა სულმა და მთელი ქვეყნის ძალ-ღონით, მთელის თქვენის სულიერი მისწრაფებით და გულის ჰანგებით შეჰღაღადეთ თავისუფალ ქვეყანას: „ჩვენც ადამიანები ვართ და უნდა მოგვცეთ ის უფლება, რითაც ყოველი თქვენგანი სარგებლობს"-თქო. და იქნებ დღევანდელმა დამახინჯებულმა ქართველურმა სულმა იგრძნოს თავის შეცდომა და განამტკიცოს პრინციპი თავისუფლებისა და სწორუფლიანობისა თავის ქვეყანაში. დიადი მომავალი მოგიწოდებთ ქართველ ქალებს დიადი მოვალეობისადმი, რომლისთვისაც საჭიროა სიფხიზლე, სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლე.

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი (1917-1918) გამოდიოდა ქუთაისში. გაზეთის რედაქტორი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფემინისტი და პუბლიცისტი კატო (ეკატერინე) მიქელაძე. გაზეთს გამოსცემდა ქუთაისის ქალთა კლუბი. 1918 წლიდან კი — „ინტერპარტიული ქალთა ლიგა". სულ გამოიცა გაზეთის 50 ნომერი. პუბლიკაციათა ავტორები იყვნენ: კ. მიქელაძე, ნ. ნადირაძე, ე. გაბაშვილი, ს. მგელაძე, დ. ახვლედიანი, დ. თომაშვილი, ოლ. ბუაჩიძე და სხვა

რა არის კონსტიტუცია, 1917წ. N1

(გაზეთის სარედაქციო განმარტება)

ღირებულებები: კონსტიტუცია, მოქალაქე, თანასწორობა, კანონიერება, უფლებები.

კონსტიტუცია ჰქვია იმ ძირითადს კანონებს, რომელიც ხსნის თუ რა პირობებში ღებულობს მოქალაქე მონაწილეობას თავის ქვეყნის მმართველობაში.

ნამდვილი კონსტიტუცია აქვს იმ ქვეყანას სადაც დაცულია ორი ძირითადი პირობები: 1.ადამიანის ბუნებრივი უფლებების უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისათვის.

2. სხვა და სხვა მმართველობა სახელმწიფოში იყო განცალკევებული. მმართველობის გაყოფა მდგომარეობს შემდეგში:

1.განცალკევებული უნდა იყოს სასამართლო 2. კანონმდებელთაგან. ე.ი წარმომადგენელთა პალატიდან და აღმასრულებელი მთავრობა ე.ი. მმართველობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა, მინისტრებთა და მოხელეთა, რომელთაც ჰყავთ კანონი სისრულეში. იმ საზოგადოებაში სადაც არ არსებობს გარანტია სამართლისა და გარკვეული გაყოფა საზოგადო მმართველობისა არ არის კონსტიტუცია.

ასეთი დაყოფა მმართველობისა მით არის საჭირო, რომ სხვადასხვა მოხელეებს რომელთა მოვალეობა მხოლოთ ამა თუ ის დანაშუალის აღნიშვნა ნება არ ჰქონდეს მოქალაქის დასჯისა, რასაც ნებას მათ აძლევდა ძველი რეჟიმის მართველობა.

პედაგოგიკა და პარტია, 1917წ.

წყარო: გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა", 1917 წელი, N6,
ბმული: https://gdl.ge/uploads/other/0/630.pdf

ღირებულებები: პიროვნება, თანხმობა, ინდივიდუალიზმი.

ყველასგან ცნობილია ის პარტიული კინკლაობა და ჟინი, რაც სამწუხაროდ ჩვენში ამ ჟამად არსებობს, ხშირად პარტიული ჯინი პირადობაზე გადადის და გუშინდელი მეგობრები დღეს დაუძინარი მტერნი გამხდარან ერთმანეთის. ეს უცნაური მოვლენაა, მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება მაინც: იდეური ბრძოლა- ეს ფრიად დასაფასებელი და ხალხის გონებრივი განვითარების მაჩვენებელი- პირადულ უთანხმოებათ, გამხდარა. ასეთია სავალალოდ დღევანდელი ჩვენი საზოგადეობრივი მდგომარეობა, პარტიულ ნიადაგზე აღმოცენებული, მაგრამ თუ პედაგოგიკაშიც - ამ წმინდათა წმინდა საქმეში - შეიჭრებოდა პარტიული ჟინიანობა - ეს აღარ მეგონა! როდესაც დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობის.......... ევროპის გამოჩენილ პედაგოგებს შემოეხედნათ ქუთაისის თეატრში, იფიქრებდნენ, რომ იქ იყო პარლამენტარული არჩევნები და არა პედაგოგიური. დაღლილ დაქანცული თავმჯდომარე რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს : „ბატონებო, კავშირის გამგეობაში არჩეულია ყველა პარტიებიდან: 3 სოციალ-დემოკრატებიდან, 3 სოციალისტ-ფედერალისტებიდან, 2 სოციალისტ- რევოლუციონერებიდან და 1 ნაციონალ-დემოკრატებიდან". ასეთი განცხადების შემდეგ პარტიების წარმომადგენლობის რაოდენობაზე - ატყდება ერთი ყიჟინა და აურ-ზაური. აღარაფერი ესმით ერთი-მეორესი. პარტიული ჟინიანობით გააფთრებულებს აღარავის მოსდით თავში გააკრიტიკონ ის , თუ რამდენად გამოსადეგნი იქმებიან საქმისათვის არჩეული პირები! ბოლოს, ერთი პარტიის წარმომადგენლის გამოკლებით (მ.დ.) დამთავრდა როგორც იყო არჩევნები! როცა პირველად სახ. მასწ. კავშირი არსებობდა (1915 წ 27 დეკემბ.) გამოცხადებული იყო, რომ ის იქნებოდა უპარტიო. დღეს კი იმდენი აურ-ზაური ატყდა კავშირის გამგეობის პარტიულ არჩევნებზე!

ვერ გამიგია - რა საჭიროა პედაგოგიკაში პარტია! ხომ ვერცერთი ნამდვილი პედაგოგი, რა პარტიისაც არ უნდა იყოს ის, ვერ გადაუხვევს საღ პედაგოგიკურ პრინციპებს! ეს პრინციპები კი ახალი პედაგოგიკისა მოითხოვს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას ნაციონალურ სკოლაში და არა პარტიობას. ჩვენ უნდა ვცთილობდეთ საზოგადოდ ყოველ საქმეში - და კერძოთ პედაგოგიკაში გვყავდეს ნამდვილი საქმის მცოდნე ხალხი რომელიც შეძლებენ სრულს გათვიცნობიერებას ბავშვის გონებისას და არა მარტო პარტიული პირები რომელთა პედაგოგიური ნიჭი და ცოდნა გაცნობილი არ არის.საბჭოს ყველა არსებულმა პარტიებმა დაუკვირდნენ ამ ნაკლს, და პარტიულს შექიშპებას, ნუ ამსხვერპლებენ ასეთს დიდ საქმეს, როგორიც არის მომავალი თაობის ინტელექტუალური და ინდივიდუალური განვითარება.

ნინო ნადირაძე

სამაჰმადიანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტი

● მოწოდება აჭარის ქართველობას!, 1918წ. 10 დეკემბერი

წყარო: გაზეთი „საქართველო", N236-ში, 1918 წ. 10 დეკემბერს;
ბმული: https://civil.ge/ka/archives/270582

მოწოდება აჭარის ქართველობას!

ღირებულებები: ერი, თავისუფლება, მოქალაქეობა, სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, სუვერენობა, თანასწორობა, ტოლერანტობა, თვითმმართველობა, პასუხისმგებლობა, არჩევანი, თანასწორობა, სამართლიანობა.

ძმებო! მაჰმადიანო ქართველებო! დადგა დრო ძველი შეცდომები გამოვასწოროთ. მოვიხსნათ მძიმე უღელი თურქების ბატონობისა, მოვიშოროთ ის შერცხვენა, რომელიც თავს დაგვატყდა; მოვიშოროთ ჩვენი მძარცველები, ამკლებლები და შემარცხვენელნი. დადგა დრო, როცა შეგვიძლია ჩვენი საქმე, ჩვენი ბედი თვითონ მოვაწყოთ.

თქვენ გეცოდინებათ, ომი გათავდა, ოთხთა კავშირს ჯერ გამოეცალა ბულგარეთი და შეურიგდა ინგლისელებს და ფრანგებს, მას მოჰყვა ავსტრია. ბოლოს გერმანიამაც იარაღი დაყარა. ოსმალეთი კიდევ ადრე დაეცა, ის დათანხმდა ყველა პირობებს, რომელიც ინგლისმა წამოუყენა. უნდა აჰყაროს იარაღი მთელ თავის ჯარს, მხოლოდ შიგნით მცველები დასტოვოს. უკვე გახსნა ჩანაკალე და ინგლისელები შემოვიდნენ სტამბოლში. ოსმალეთმა უნდა დასცალოს ყველა დაჭერილი ადგილები და დაბრუნდეს თავის ძველ საზღვრებზე.

ამგვარად, ოსმალთა ჯარი უნდა გავიდეს ჩვენი ქვეყნიდანაც. უნდა დასცალონ ახალციხი-ახალქალაქის მაზრები, ქობულეთი, აჭარა, მურღული, ბათომი, გონია. კარგა ხანია ისინი

უნდა გასულიყვნენ ჩვენი ქვეყნიდან, მართალია ნელ-ნელა გადიან, მაგრამ რაღაცა ფეხს ითრევენ, კიდევ ახალს ხიფათში ჩაგვაგდებენ.

ჩვენში ბევრი ხალხის მტერი ცუდ ხმას ავრცელებს. გვეუბნებიან ქრისტიანი ქართველები შურს იძიებენ, გვემტერებიან, დაგვეცემიანო. ყველაფერი ტყუილია. ჩვენ თავდები ვართ, რომ ქრისტიან ქართველებს მხოლოდ ჩვენი კარგი უნდათ, არავითარი შურის ძიება, არავითარი დანაკარგის ძებნა არ იქნება, ძველი ყველაფერი სულ დავიწყენილია და ქრისტიანი ქართველობა ძმურ ხელს გვიწვდის. თქვენ თურქის აფიცრები გატყუებენ. სტამბოლში ძველი მთავრობა დაეცა. ენვერი, თალაათი და მათი ამხანაგები გაიქცნენ. ჩვენში დარჩენილი ითთიჰადის კაცები ახლა ცდილობენ დროებით თავი შემოგვაფარონ. არ დაუჯეროთ მათ, არ აიღოთ იარაღი. არ დასტოვოთ ჩვენში ჩვენი ნამუსის შემარცხვენელი თურქის აფიცრები და ჯარის კაცები; არ მისცეთ მათ ნება ჯარის ტანისამოსი დაყარონ და ჩვენებურად ჩაიცვან. ოსმალებს ნუ აჰყვებით, თორემ ახალ უბედურებაში ჩავარდებით. ოსმალეთი ინგრევა, არაბისტანი მოშორდა. თვითონ ოსმალეთი აირ-დაირია, გაღარიბდა და შენუხდა. გურჯებს, მახმადიან ქართველებს თურქებისაგან ხეირი არა აქვთ ნუ გადაეეკიდებით ჩვენ ძმებს, ქრისტიან ქართველებს, შეუერთდეთ საქართველოს. მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას, ფართო თვითმართველობას, ყოველივე ჩვენ შინაურ საქმეებს ჩვენ თვითონ მოვანყობთ. ჩვენი რჯულის საქმეები, ჩვენი მედრესეები, მართველობა ჩვენ ხელთ იქნება. მხოლოდ ქრისტიან ქართველებთან გვექნება საერთო საზღვარი და საერთო საქმეები. არავინ მოგატყუოთ, ჩვენ რჯულის საქმეებში ქრისტიანი ქართველები არ ჩაერევიან. მაშ, ძმებო, ნუ ავყვებით თურქებს და მათ დამქაშებს. ჩვენ საქმეებს ჩვე თვითონ ჩავუდგეთ სათავეში და ჩვენ ძმებთან , ქრისტიან ქართველებთან ერთად, მოვანყოთ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება.

გაუმარჯოს თავისუფალ სამაჰმადიანო საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ!

გაუმარჯოს მუსულმან ქართველებს!

სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე მემედბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე.

კომიტეტის წევრები: ზია-ბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე, ახმედ ბეგ თულუმბაზადე ბეჟანიძე, კადირ ბეგ შერვაშიძე, ჰაიდარ ბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაძიძე, სულეიმან ეფენდი დიასამიძე, იუსუფ ეფენდი ქათამაძე, ქემალ-ნოღაიდელი, ხასია თხილაიშვილი.

მაჰმადიან ქართველთა ბატალიონის უფროსი ასლან ბეგ აბაშიძე.

დიდება, 1918წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი 1918-1921 წლებში და საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი 1991-2004 წლებში. ის ამავადროულად პირველი ქართულიეროვნული ჰიმნია. ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს (1880-1959).

წყარო: https://bit.ly/335FkMX

ღირებულებები: ერი, სამშობლო,
თავისუფლება, ერთობა, სიყვარული.

დიდება ზეცით კურთხეულს!
დიდება ქვეყნად სამოთხეს!
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს!
დიდება ჩვენი სიცოცხლის მიზანს დიადსა!
„ვაშა!" ტრფობასა, სიყვარულს,
„ვაშა!" შვებასა, სიხარულს, „სალამი!"
ჭეშმარიტების შუქ-განთიადსა.

ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი"

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი, რომელიც გამოიცემოდა 1918-1919 წლებში. სულ გამოიცა 17 ნომერი.
„ჯარი და დემოკრატია", 1918წ.
(N3, 15 დეკემბერი, 1918წ. - მოწინავე წერილი)

ბმული: https://civil.ge/ka/archives/273239

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია,
მოქალაქეობა, თვითმმართველობა,
სახელმწიფო, ერი.

ერთს ევროპიელ კონსერვატორს უთქვამს: როცა ჯარზე ვლაპარაკობთ, დემოკრატიაზ აღარ უნდა ვილაპარაკოთო, თუ კარგათ დაუკვირდებით, ადვილათ მიხვდებით, რომ ეს შ ხედულება სიყალბეზეა აშენებული და არსებითათ მიმართულია როგორც ხალხის, დემო რატიის, ისე თვით ჯარის ინტერესების წინააღმდეგ.

ამის თქმა შეეძლოთ ძველი ნესწყობილების მომხრეებს, რომელნიც ჯარის მიზანს უმთავრესათ სამეფო ტახტის დაცვაში ხედავდენ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ეთქმის იმათ, ვინც დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის იბრძვის და ვისაც თავისუფალი სამშობლოს და რესპუბლიკის დაცვა გამტკიცება ახალი ჯარის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია.

რესპუბლიკა ნიშნავს საზოგადო მართვა-გამგებლობას, დემოკრატია მოასწავებს ხალხურ სახელმწიფოებრივობას, ერის თვით ბრძანებლობას, თვით მართველობას და თავისუფლებას. მამასადამე ამ თავისუფლების და სახალხო წყობილების დამცველი ძალა არის და უნდა იქნეს ძალა დემოკრატიული, ძალა რესპუბლიკანური.

შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ქვეყანაში ხალხის შეიარაღებული ნაწილი ჯარი მონარქიული იყოს და პოლიტიკური წყობილება, დემოკრატიული ან, პირიქით პოლიტიკური წყობილება მონარქიული იყოს, ხოლო ჯარი დემოკრატიული. ამგვარი წინააღმდეგობა დროებით თუ წარმოიშობა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინათვე აღსდგეს თანხმოვა და მთლიანობა სახელმწიფურ წყობილებისა და ჯარის აგებულებას შორის.

ყველგან სადაც კი ნამდვილი დემოკრატია არსებობს, ჯარიც დემოკრატიულ ლტოლვილებით არის გაჟღენთილი. ხოლო სადაც ჯარი დემოკრატიულია, იქ დემოკრატიის საერთაშორისო ხელუხლებლობა მტკიცე და უზრუნველყოფილია.

ევროპა-ამერიკის დემოკრატიულ რესპუბლიკებში სამშობლოს და თავისუფლების ბედს სდარაჯობს გათვიცნობიერებული ჯარი, რომელიც მთელი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანია. იქ ჯარი და ერი ერთიმეორეს არ უპირდაპირდებიან, ჯარი იგივე შეიარაღებული ერია, რომელიც ყოველთვის მზათაა მტლად დაედვას თავის დემოკრატიულ სამშობლოს კეთილ დღეობას. ჯარი კარჩაკეტილში როდია მომწყვდეული. ჩამოშორებული მთელი ხალხის, მთელი სახელმწიფოს მოქალაქობრივ და კულტურულ ცხოვრებას იგი ერის სულისკვეთებით არის გარემოცული, მისი ცხოვრებით სცხოვრობს, ხარობს და ზეიმობს საერთო საერო სიხარულით, სწუხს და იტანჯება საზოგადო სახალხო მწუხარებით.

ჯარს იქ ღრმათ აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ძვალრბილში აქვს გამჯდარი, რომ უსიტყვოთ, შეუპოვრათ და თავდადებით უნდა დაიცვას თავის ქვეყნის კულტურა და თავისუფლება. და რაც უფრო დემოკრატიულათ არის მოწყობილი სამშობლოს ნესწყობილება, მით უფრო კულტურულათ ამაღლებულია მეომარი, მით უფრო ესმის როგორც ჯარს, ისე მთელ ხალხს ხამშობლოს და თავისუფლების დაცვის საჭიროება.

დემოკრატია მშვიდობის მყოფელია. მაგრამ, როდესაც მის სამშობლოს ყოველ მხრიდან ემუქრებიან და მუდამ ჟამს მოსალოდნელია თავდასხმა და სისხლით მოპოებული თავისუფლების განადგურება, მას ჰმართებს მკლავის მომამაცურება, შეიარაღებულ ძალების წვრთნა, სამხედრო ძლიერების შექმნა დროის და გარემოების შესაფერათ.

და აი სწორეთ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ დღეს, აი ასეთ სამხედრო ძლიერების შექმნისაკენ მიისწრაფის ჩვენი დემოკრატიული მთავრობა.

ჩვენი რესპუბლიკის თავისუფლება ჩვენ ხელთ არის.

ნინო ნაკაშიძე
(1872-1963)

ქართველი მწერალი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. პირველი ქართული საბავშვო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

● ბავშვის სახლი და მისი დაარსების საჭიროება, 1919წ.

(ეს მოხსენება წაიკითხა ნინო ნაკაშიძემ დედისა და ბავშვის საცვის საზოგადოების პედაგოგიურ სექციაში)
წყარო: ჟურნალი „განათლება“ 1919 წელი

ბავშვის სახლი და მისი დაარსების საჭიროება

ღირებულებები: მოქალაქეობა, უფლება, საზოგადოება, თანადგომა, თვითმოქმედება, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, თანასწორობა, სამართლიანობა.

თანამედროვე სახელმწიფოთა წინაშე გასული საუკუნის დასასრულს საშინელი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი ღვთის ანაბარად, უპატრონოდ მიგდებულ ქუჩის ბავშვების შესახებ. ყველა გონიერი ადამიანი, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს უკვირდებოდა, ხედავდა იმ საშინელსა და თავზარდამცემ მოვლენას, რომ ფაქტიურად ქუჩის ბავშვებად ხდებოდნენ ყველა პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ქალაქის მასის შვილები და რომ ეს მოვლენა პირდაპირ ზღაპრულის სისწრაფით ვრცელდება სოფლებზედაც.

პროლეტარიატის ბავშვები, რომელთა დედ-მამა მოწყვეტილი არიან ოჯახურ კერას და არ შეუძლიათ ცოტად თუ ბევრად სერიოზული ყურადღება მიაქციონ შვილებს, ბავშვები, რომლებმაც არ იციან რა არის წმინდა ბავშვური სიხარული, რომლებიც იძულებულნი არიან მძიმე, ბავშვის ნაზ ორგანიზმის მჩაგვრელი შრომით მოიპოვონ თავისთვის და ხშირად ოჯახისთვისაც ლუკმა და პური, - ეს ბავშვები, როცა იზრდებიან, ხდებიან პირდაპირ საშიშარ მოვლენად საზოგადოებისთვის და წარმოადგენენ სწორედ იმ ელემენტს, საიდანაც გამო-

დიან დამნაშავენი, და უფრო მეტად კი სრულიად გულგრილნი თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობისადმი. ყველასა და ყველაფრის მიმართ საშინელი სიძულვილით გამსჭვალულნი, ქუჩის ბავშვები, გარდაიქცევიან საზოგადოებრივ ბოროტებად, თუ საზოგადოებამ ბავშვების გამრყვნელ მიზეზებს არ გამოუცხადა საერთო და სასტიკი ბრძოლა.

ამნაირი ბრძოლა დაიწყო გასულ საუკუნის მეორე ნახევარში - ყველაზე უწინ ამერიკაში და შემდეგ გადმოვიდა ევროპაშიც (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი).

ერთ უმთავრეს საშვალებად ბავშვების, ამ მომავალ მოქალაქეთა ქუჩის წყალობით ფიზიკური და ზნეობრივი გახრწნილებისა და გადაგვარების წინააღმდეგ საბრძოლველად, ახლა ყველგან განათლებულ ქვეყნებში, ბავშვის სახლები და საბავშვო კლუბები ითვლება.

სწორედ ამნაირი ტიპის (სახის) დაწესებულების დაარსება მიმაჩნია მე აუცილებელ საჭიროებად თბილისისათვის.

და, თუ ევროპაში მოზადრი თაობის დაცვის საზოგადოება იმდენ ძალღონეს ანდომებს ბავშვების გამხრწნელ გავლენასთან ბრძოლას, მით უფრო დიდი მოვალეობა გვაწევს ჩვენ ამ ხანად ასეთი ბრძოლისათვის.

ის დაწესებულება, რომლის დაფუძნებასაც ჩვენ ვაპირებთ, უნდა აღმოცენდეს, ჩემის აზრით, ამერიკის და შვეციის საბავშვო კლუბების პრინციპებზე და ამერიკისა და ინგლისის „სეტლემენტების" მზგავსად.

ასეთი დაწესებულების მიზანს უნდა შეადგენდეს: ბავშვებში თვითმოქმედების აღზრდა, განვითარება მოქალაქეობრივი შეგნებისა და საზოგადოებრივ პსიქოლოგიური გრძნობებისა და ჩვეულებებისა, განვითარება და გაძლიერება საკაცობრიო სოლიდარობისა და ყველა ადამიანთან ერთნაირი ძმური კავშირისა, ბავშვების ბუნებრივი ნიჭისა და უნარის განვითარება; ქუჩის გამხრწნელ გავლენის მოსპობა, და ბოლოს, ბავშვებისათვის გადაცემა, როგორც განყენებული, საზოგადო, ისე პრაქტიკული ცოდნისა.

ქუჩის ბავშვების აღზრდის ერთი უმთავრესი მიზანთაგანი უნდა იყოს მათში თვითმოქმედების განვითარება, უნარი საკუთარი შემოქმედებითი მუშაობისა, დიდმნიშვნელოვანია საერთოდ აღზრდის საქმეში, ქუჩის ბავშვების აღზრდაში ითვისევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. საღი თვითმოქმედების განვითარება განუყოფელია საკუთარი ყოფა-ქცევისა და პასუხის მგებლობის შეგნების განვითარებისაგან და, ამიტომ, ევროპისა და ამერიკის მოზარდთა კლუბებში, „სეტლემენტებში" მთელი პედაგოგიური მუშაობა ემყარება იმაზე, რომ რაც შეიძლება, მეტი თავისუფლება მიენიჭოს ბავშვების ორგანიზაციას შინაური ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგების საქმეში.

ყველა ბავშვები კოლექტიურად პასუხისმგებელნი არიან თავისი ორგანიზაციის კედლებში წესიერების დაცვაში, ნივთების გაფუჭებაში და სხვ. ამერიკის ზოგიერთ კლუბებში ბავშვები (ხელმძღვანელთან რჩევის შემდგომ) თითონ არჩევენ სწავლა-თამაშობათა წესს. ჩემის აზრით, ეს უკანასკნელი წესი ვერ განხორციელდება ჩვენში, ყოველ შემთხვევაში ჩვენი „ბავშვის სახლის" მოღვაწეობის პირველ ხანებში. მაგრამ პირველ ნაბიჯიდანვე საჭიროა მიენიჭოს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება ბავშვების თვითმოქმედებას და თაოსნობას. გამოცდიელბამ გამოარკვია, რომ, როცა ბავშვი ეჩვევა თვითმოქმედებას, აღმზრდელის მიერ ნაჩვენებ ფარგლებში იგი ამასთანავე ითვისებს შეგნებას ზნეობრივ პასუხისმგებლობისას თავის მოქმედებაში; ეს კი უმთავრესი საფუძველია ზნეობრივი აღზრდისა. ამას გა-

რდა ბავშვის თაოსნობის ასეთი თავისუფლების დროს ვითარდება თავდაჭერის და პირადი მოქმედებისა და სურვილების კოლექტივის ინტერესებთან შეთანხმების უნარი, მუშავდება ზნეობრივი დისციპლინა ქვეყნის მომავალ მოქალაქისა.

უნდა აღვნიშნო ერთი დიდმნიშვნელოვანი მხარე, რომელიც, ჩემის აზრით, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ თფილისში ბავშვის სახლის დაარსების დროს. დღევანდელ პირობებში ტფილისის „ბავშვის სახლი" ინტერნაციონალური უნდა იყოს. ერთი მთავარი მიზანთაგანი - ბავშვებში საკაცობრიო სოლიდარობის, შეგნების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ორგანიზაცია ინტერნაციონალური იქნება. ამას გარდა ტფილისის ქუჩის ერთ-ერთ გახრწნილ მხარეს ეროვნული შუღლიც შეადგენს, რომლითაც ხელოვნურად იჟღინთება ბავშვის სული. ასეთი გამხრწნელი გავლენის მოსპობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომავალი ორგანიზაცია ინტერნაციონალური იქნება. „ბავშვის სახლი" ყველა ბავშვის სამშობლო ენაზე თავისუფალი განვითარებით და საერთო, მეგობრული თამაშობითა და გართობით შექმნის ადამიანებისადმი სიყვარულსა და ძმობის იმ ატმოსფეროს, ურომლისოდაც შეუძლებელია განვითარდეს და მომაგრდეს ნამდვილი პროგრესიული პედაგოგიური პრინციპი.

ეს საკითხები, მოხსენების პრინციპიალ მხარეების განხილვის შემდეგ, უნდა განვიხილოთ პრაქტიკული თვალსაზრისით, და რაც ადრე განვიხილავთ, რაც უფრო მალე შევუდგებით საქმეს, მით უკეთესი, რადგან ცხოვრება არ იცდის და ბავშვები იღუპებიან იმ საზოგადოების თვალწინ, რომლის წევრებადაც ისინი უნდა გახდნენ მომავალში. თუ ჩვენ ვგრძნობთ მოვალეობას ჩვენი ქვეყნის მომავლის და კაცობრიობის წინაშე, ან ჩვენს საზოგადოებას არ დავიწყებია თავისი მოვალეობა უბედურ და მიტოვებულ ბავშვების წინაშე, ჩვენი დაწყებულებაც არ დარჩება დაუხმარებლად და გადაიქცევა დიდ საზოგადოებრივ საქმედ. ყოველი მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა თავს მოვალედ დასახავს მხარი მოგვცეს ჩვენ. მე ვფიქრობ, რომ ეს კეთილი საქმე უნდა დავუკავშიროთ იმ „ბავშვის სახელს", რომლის უდროოდ დაკარგვამ გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის თანაგრძნობის გამოძახილი, რომლის მამაც სდგას ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო ადგილზე, დედა კი არის ინიციატორი ჩვენს მიერ განზრახული და დაწყებული საქმისა - ქუჩის ბავშვების აღზრდის საქმისა. დაკარგული ბავშვი ყველა ნაცნობების სიტყვით, იშვიათად კეთილი, ფაქიზი, და გონიერი იყო.

ამისათვის წინადადებას ვიძლევი დავარქვათ ჩვენს ბავშვის სახლს „ანდრეიკა ჟორდანიას სახელობის ბავშვთა სახლი".

სპირიდონ კედია

(1884-1948)

პოლიტიკური ლიდერი, პუბლიცისტი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე 1917 წლიდან, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი 1919-1921წ.წ. ოპოზიციაში ედგა მმართველ (სოციალ-დემოკრატიულ) პარტიას; აკრიტიკებდა მის საგარეო და საშინაო, განსაკუთრებით კი, პერიფერიებთან ურთიერთობის პოლიტიკას; სხვებთან ერთად გამოსცემდა გაზეთ "საქართველო"-ს.

○ სიტყვა დამფუძნებელ კრებაში, 1919წ. 21 მარტი

წყარო/ბმული: http://sakhalkho.ge/?p=1528

სიტყვა დამფუძნებელ კრებაში

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია,
ერი, სახელმწიფო, ანგარიშვალდებულება, საკუთრება.

დამფუძნებელი კრების წევრნო! არასოდეს ასეთის სიმკაცრით არ გამოთქმულა წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის. ის გარემოება, რომ ჩვენ დამფუძნებელ კრებაში 127 მეტი სოციალისტი ზის, ხოლო სინამდვილე ძალას გვატანს სახელმწიფოს აღსაგებად საღი ბურჟუაზიული საფუძვლები და მეთოდი ვიხმაროთ, – ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ სურვილი და დიდი რწმენაც უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად და სინამდვილის გარდასაქმნელად. ეს გარემოება თანაც გვეუბნება, რომ საჭიროა გადავხედოთ წარსულ გზასა და მოქმედებას. ამ წარსულის გადახედვა და გადასინჯვა ქართველმა ხალხმა თქვენ დაგავალათ ბ.ბ. დამფუძნებელი კრების წევრნო.

პირველათ საქართველომ თავის თავი ჩაიბარა და დაიყუდნა, პირველათ მთელი ქართველი ხალხი დაეუფლა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობას; ეს პირველათ აირჩია და შეადგინა დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს ძირითადი კანონები უნდა დასწეროს. ამით ისტორიამ დიდი მოვალეობა დაგვაკისრა. ჩვენს ნამოქმედებს და ნააზრებს ისტორია წაიკითხავს და განსჯის. ჩვენი დღევანდელი ნამოქმედარი განსაზღვრავს მომავლის მიმართულებას და ბედს. და სწორედ ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით თავისუფალნი და ჩვენი ქეიფის ამყოლნი ჩვენი უფლების მოხმარებაში, ჩვენს მოქმედებაში, საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერთი წუთია და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ჩვენი ქვეყნის უკვდავება, იმის ნიშნები კი ბევრად ბევრია ჩვენს ყოველდღიურ მოქმედებაში. პირველი საქმე, რომელიც უნდა დამფუძნებელ კრებას გაეკეთებინა, მთავრობის შედგენა იყო; ეს უკვე მოხდა და ახალი მთავრობა წარსდგა კიდევაც დამფუძნებელი კრების წინაშე. ეს მთავრობა ჩვენთვის უცნობი არ არის. მისი შემადგენლობა იგივეა, რაც საქართველოს პარლამენტის დროს იყო. არავითარი ახალი ელემენტები ამ მთავრობაში არ შემოსულა, არც პიროვნების სახით და არც როგორც ფსიქოლოგიური მოტივი. ამიტომაც ამ მთავრობის მომავალი საქმიანობის წარმოდგენა შეიძლება მისი წარსული მოქმედების ანალიზის საშუალებით.

14 მარტს მთავრობა წარსდგა ჩვენს წინაშე თავის მოქმედების ანგარიშით. 21 მარტს მან დაგვიხატა მომავალი მოქმედების პროგრამა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 21 მარტის შემდეგ ჩვენი მთავრობის ძირითადი შეხედულებები და პროგრამა ვერ გამოიცვლებოდა და დარჩებოდა, რაც 21 მატრამდე იყო. ამიტომაც მისი მომავალი მოქმედება რომ გამოვიცნოთ, საკმარისია გადავხედოთ მის წარსულს, იმას თუ რას წარმოადგენდა იგი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ერთი უმთავრესი აქტი საქართველოს ცხოვრებაში – საქართველოს დამოუკიდებლობა – მოხდა ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა და მთელი იმ მიმართულების წინააღმდეგ საიდანაც მთავრობა არის გამოსული. მეორედ, რაც ძირითადია და ცენტრი და რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ქართველი ხალხის ენერგიაც და პოლიტიკაც, ჩვენი მთავრობის მისწრაფებას არ წარმოადგენდა და მის განხორციელებაში მას არც ფსიხოლოგიური მონაწილეობა მიუღია და არც მოქმედებითი. ეს მოვლენა აღნიშნული იყო თვით მთავრობის თავმჯდომარის სიტყვაში. ცხადია, რომ ის მთავრობა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ძიება თავის დღეში არ ჰქონია და რომელმაც მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მართვა- გამგეობა, ცხადია, რომ ასეთი მთავრობა ვერ გამოიჩენდა იმ შემოქმედებით სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომლითაც მხოლოდ შეიძლებოდა ამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შენობის აგება და გამაგრება. აქედან წარმოსდგა მთელი რიგი შეცდომებისა საშინაო და საგარეო მოქმედებაში. ეს ხალხი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იყო ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. მისთვის გაუგებარი იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც ყველგან უაღრეს კომპრომისს თხოულობს; ამის ნაცვლად ეს ხალხი აწარმოებს ცალმხრივ და დამქსაქსველ პოლიტიკას, იდგა კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და საზოგადოებაში სთესდა `კამაგის~ და შეურიგებლობის იდეოლოგიას. ის გარემოება ნაკლებად იყო სახიფათო საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც ქართული ეთნოგრაფია, სადაც ტერიტორია

მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, სადაც შეგნება და ფსიქოლოგია წმინდა ეროვნულია. ხოლო ასეთი პოლიტიკა დამღუპავი და საბედისწერო შეიქმნა საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც სხვა და სხვა ისტორიის დროს ან ეთნოგრაფია აჭრელებულა ან თუ ეთნოგრაფიული ერთფეროვნება შენახულა, სამაგიეროდ ფსიქიკით და შეგნებით გადაგვარებულია.

და მართლაც მთავრობას საქართველოს განაპირა კუთხეებში შეცდომა შეცდომაზე მოდის. სოხუმის ოლქი, ბათუმის და ზაქათალას ოლქები, იგივე ბორჩალო, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, ყველა ეს კუთხეები ერთი ცოცხალი სურათია ჩვენი მთავრობის შემცდარი პოლიტიკისა.

ამავე პოლიტიკის შედეგი იყო საქართველოს სრული იზოლაცია მეზობელ სახელმწიფოთაგან, როგორიცაა აზერბეიჯანი, მთიელთა რესპუბლიკა და სომხეთი. ეს იმიტომ მოხდა, რომ მთავრობის პოლიტიკა, რომელიც რევოლიუციონურ-სოციალიზმის პროგრამას ადგა, ვერ შეურიგდა და არ დაინდო მეზობელი სახელმწიფონი, რომელნიც ძალიან შორს იყვნენ სარევოლიუციო სოციალიზმის პროგრამასთან. საქ-ს მთავრობა ამ სახელმწიფოებთან დაახლოებას ეროვნული სახელმწიფოებრივი საზომითა და საჭიროებით კი არ არკვევდა, არამედ პარტიულ იდეოლოგიის თვალსაზრისით და ამიტომაც განმარტოებული რჩებოდა. მისი მოქმედების ხაზია მუდმივი მერყეობა ქანაობა ერთის მხრივ ამ მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა, და ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის, მეორე მხრივ, და იგი დღესაც ამ ყოფაშია. მთავრობას დღესაც არა აქვს გამორკვეული სახელმწიფოებრივი შემოქმედების ორიენტაცია, ის თუ რომელ პრინციპს მისცეს უპირატესობა და სახელმძღვანელოდ გაიხადოს, მოსკოვის პრინციპი თუ პარიზისა. დღეს ეს ორი ცენტრია მთელს ევროპასა და ამერიკაში. ორი ცენტრი გარს იკრებს განსხვავებული იდეალისა და მეთოდის ხალხებს. ერთიმეორის უარმყოფელ ღირებულებებს შეიცავს ჩვენი მთავრობის პოლიტიკა და არ ჩანს თუ საითკენ იხრება ის. და ეს გაურკვევლობა უაღრესად მავნებელია და სახიფათო. თუ ერთის მხრით, ჩვენ მთავრობას მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მეორე მხრივ მასთან პრინციპული სიყვარული აკავშირებს, მაშინ, როცა პარიზის ცენტრი ჩვენი მთავრობისათვის მხოლოთ და მხოლოთ პრინციპიალური მძულვარების საგანს წარმოადგენს. ეს გარემოება ხელს უშლის იმას, რომ საქართველოს იდეა ანტანტის იდეამ დაინათესაოს.

ამნაირად, მთავრობის პოლიტიკა შინ გვასუსტებს, გვაკარგვინებს ტერიტორიას, გამოგვთიშა მეზობელ სახელმწიფოებისაგან და განმარტოებით დაგვსვა. მან აქაც ვერ შეგვარიგა იმ ერთადერთ ორიენტაციას და ცენტრს, რომელიც დღეს წესიერებისა და სახელმწიფოებრივი სიმტკიცის იდეას წარმოადგენს.

მეორე მხრივ, ახალგაზრდა სახელმწიფოს გამაგრებისათვის, იმ პირობებში, რა პირობებშიც ჩვენ აღმოვჩნდით, აუცილებელი იყო წესიერი ჯარის შექმნა, ჩვენი მთავრობის პოლიტიკა კი ამ საქმეს იმ თავითვე მტრულად შეხვდა, ვინაიდან იგი წლობით აღიზარდა ამ რეგულიარი ჯარის სიძულვილში, რადგანაც მისი მისწრაფება საერთაშორისო გაიარაღება იყო. ეს იდეალური შეხედულება, პრინციპიალური პოზიცია ამ საკითხისადმი მან პირდაპირ ჩვენს სინამდვილეში გადმოიტანა და ჯარის შექმნა შეაფერხა, თითქმის შეუძლებელი გახადა.

ამგვარათ, ორი გარემოება, – ერთი მხრით, შეუძლებლობა იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობის შესაფერი ჯარი შექმნილიყო, ხოლო, მეორე მხრით, ფართო ლოზუნგები და ინტერნაციონალური პოლიტიკა, – აი, ეს ორი ფაქტორი საქართველოს გამაგრებას ხელს უშლიდა. ჯარის შექმნის მაგიერ მთავრობა ინტერნაციონალისტურ სოლიდარობის ფრაზებს რაზმავდა. შედეგათ ბორჩალოს საქმე მივიღეთ. ბორჩალოს შემთხვევა აშკარად მოწმობს, რომ ჩვენი მთავრობა ძმობა-ერთობის ფრაზეოლოგიას არ შერჩენოდა და საქ-ლო დროზე გაეფრთხილებია, მაშინ საქართველოს თავზე არ დაატყდებოდა ის სირცხვილი და უბედურობა, რომელიც ბორჩალოში მოუვიდა. ეს მაზრა, საქართველოს უდავო ნაწილი თვით ძველი მთავრობის აზრითაც, ნაწილათ ჩამოგვეჭრა და ნაწილათ კიდევ სადავოთ გახდა. და ამის საბუთზე ჩვენ მთავრობას თავისი ხელიც უწერია! აქედან ვამბობთ ჩვენ კატეგორიულ აზრს: საქართველოს რომ დროზედ მიეღო საჭირო ზომები, მტერი ბორჩალოში ვერ შემოვიდოდა და ბორჩალოს მაზრა დღესაც მთლიანათ საქართველოს ხელში იქნებოდა. მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ მთავრობას არ ჰქონდა ალღო და ინსტიქტი მტრის ცნობისა, სწორეთ იმიტომ, რომ მთავრობა კიდევ სოლიდარობაზე ლაპარაკობდა, როდესაც მტრის ჯარები გამალებით უკვე თბილისისკენ მოდიოდნენ, აი სწორეთ იმიტომ მოგვივიდა ბორჩალოს კატასტროფა.

რომ ამ საგანს თავი დავანებოთ და შევხედოთ მთავრობის მოქმედებას წმინდა შინაურ პოლიტიკის ფარგალში, ჩვენ აქ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ მისი სრული უსუსურობა და ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სახელმწიფოს შექმნის საქმისთვის.

ძველი წყობილების შენობა დანგრეულია და ახალის სიმტკიცე აქამდის ვერ ავაგეთ; სასამართლოს დამოუკიდებლობა, რომელიც ყოველგან და ყოველ რეჟიმის პატიოსანი მამულიშვილის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა, საქართველოში არ არსებობს. სასამართლო ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ იმყოფება. ახალი დემოკრატიული წესი სასამართლოს ინსტიტუტის შესაქმნელად ვერ გამოვიყენეთ ისე, როგორც საჭირო იყო; არჩეულ მოსამართლეთა შორის ბევრი ისეთია, რომელიც ამ თანამდებობისთვის სრულიად გამოუსადეგია. ამ ორ მომენტით იწყება სასამართლოს გახრწნა და თუ საქმეს დროზე არ მივეშველეთ, სასამართლოს გახრწნას თან მოყვება საზოგადოების დაშლა-გათახსირებაც. ადმინისტრაცია ვერ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, იგი პარტიული ანგარიშის გამასწორებელი აგენტი უფროა, ვიდრე სახელმწიფოს ცხოვრების წესიერების აგენტი.

უმთავრესი ძარღვი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა რაზედაც ჩვენი მომავალი ჰკიდია, გახლავთ ჩვენი ეკონომიური ვითარება. გარედან რომ არავითარი ხიფათი არ მოგველოდეს და საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენი დამოუკიდებლობა სრულიად უზრუნველყოფილი იყოს, ვიმეორებ, რომ ამ მხრივ საქართველოს არავითარი შიში და ხიფათიც რომ არ მოელოდეს, მაშინაც გვეეჭვება ჩვენი ნორჩი ქვეყნის ბედი, რადგან ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ისეთი წესით მიდის, რომ შეუძლებელია კატასტროფამდის არ ჩავახწიოთ. ვის მიუძღვის ამაში ბრალი? რა თქმა უნდა, ერთ წუთსაც არ უნდა დავკარგოთ მხედველობიდან ის საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც დღეს არსებობს, რომელიც ართულებს და აძნელებს ეკონომიურ ცხოვრებას, ნორმალურ ეკონომიურ საქმიანობას. ეს ერთი მიზეზი უნდა სახეში ვიქონიოთ, როდესაც დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას ვიხილავთ. მაგრამ ამის გვერდით არის ადგილობრივი წმინდა სუბიექტიური მეორე

მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ეკონომიურ დაშლა-განადგურებას. აი, სწორედ აქ არის ჩვენი მთავრობის სოციალისტური ცოდო და დანაშაული. 1918 წლის შვიდი თვის თავისუფლება ჩვენმა ძველმა მთავრობამ 26 მილიონი ვალით დაამთავრა. მომავალ წლისთვის იგივე მთავრობა ერთი ორად მეტ ვალს ვარაუდობს. მთელი ქონება, რომელიც საქართველოს თავის წილად დარჩა ძველი რეჟიმისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტით, ერთ განძს წარმოადგენდა, დიდ განძს, რამაც ფინანსიურ-ეკონომიურად დიდი დახმარება გაგვიწია ამა თუ იმ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში. სახელმწიფოს ამ ქონებიდან ბევრი რამ, რა თქმა უნდა, უთავბოლოდ დაეკარგა. დღეს ეს მზამზარეული ქონება გამოგველია, აღარ გვაქვს; ასე რომ, მომდინარე წლის ვალი სწორედ ამის გამო, გაცილებით იმაზე მეტი იქნება, რაც ნავარაუდევია ჩვენის ბიუჯეტით. ვალით ცხოვრობს მთელი სახელმწიფო, ვალით ცხოვრობენ ჩვენი თვითმმართველობები. ამავე დროს ფულის ფასი თანდათან ეცემა და ცხოვრება უფრო და უფრო ძვირდება. მოსალოდნელია ჩვენშიაც ის მოხდეს, რაც საფრანგეთში რევოლუციის დროს, როდესაც ზოგი პირველი საჭიროების საქონელი მისი წონა ქაღალდის ფული ღირდა. თქვენ წარმოიდგინეთ პროგრესიულად სანოვაგის გაძვირებისა და ფულის გაიაფების სვლა და მაშინ დაინახავთ თქვენ დამოუკიდებლობის საფრთხესა და კატასტროფას. და აქამდისინ არავითარი ღონისძიება არ იყო მიღებული მთავრობის მიერ, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა გამოებრუნებინა. მთავრობას არ სურს ისარგებლოს იმ ნაცადის და ერთადერთი გზით, რომლითაც ყოველგან და ყოველთვის შექმნილია და დაგროვილია ხალხის სიმდიდრე. არ არის არავითარი გარანტია, რომ მესაკუთრეს შეუძლია თავისი მოძრავი და უძრავი ქონება თავისუფლად მოიხმაროს, დაიმუშაოს გადაატრიალოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ბანკები და სხვადასხვა საკრედიტო დანესებულებები თავიანთ ოპერაციებს არ ანარმოებდნენ, მათ დაჰკარგეს ნდობა. ხალხს ბანკებში ფული აღარ მიაქვს, როგორც ის იყო უმალ. სოფლის ხალხი, ვის ხელშიც დღეს მთელი ფულია თავმოყრილი, უნდობლად უცქერის ბანკებს, იმიტომ, რომ დარწმუნებული არ არის, რომ თუ იქ ფული შეიტანა, მას უკან მიიღებს საჭიროების დროს. დღეს მნარმოებელი კი მარტოკა სოფელია, ქალაქში მას შემოაქვს თავისი ნანარმოები და ქალაქიდან მასვე სისტემატიურად ფული გააქვს. ამ ფულს იგი შინ უძრავად აბინავებს. ეს ფული, ამნაირად, ტრიალიდან გამოდის და ჰკარგავს საზოგადო ღირებულებას, მისი ფასი თვით მის პატრონისთვისაც ეცემა. იმავე დროს სოფლის მეურნეობა თანდათან კრიზისში შედის. რევოლუციური ნესით მინის საკითხის გადაჭრამ ყველა დააზარალა, საერთო მეურნეობა დასცა და სარგებლობა ვერავის მოუტანა. თუ ნმინდა პოლიტიკურ სფეროში რევოლუცია ადვილად ასატანია, ეკონომიურ ცხოვრებაში ასე არ გახლავთ; რევოლუციონერულ ღონისძიებას აქ პირდაპირ დანგრევა და განადგურება შემოაქვს. ამ ნესმა მთელი ერთი ნაწილი საზოგადოებისა ქუჩაში უსახსრო დაჰყარა, ხოლო საზოგადოების მეორე ნანილში მტაცებლობა და ნართმევის ინსტიკტი აუშვა, საერთოდ სოფლის მეურნეობაში არევ-დარევა და ანარქია შეიტანა. ამის ავტორია ჩვენი მთავრობა. მაგრამ როგორც სხვა დარგშიაც, მან აქაც კისერი მოიტეხა და ლოღიკურ ნინააღმდეგობაში გაიხლართა. თუ მემამულის მიმართ იგი დაადგა საკუთრების უარყოფის გზას და მინები სრულიად უსასყიდლოდ ჩამოართვა, უმინწყლო და მცირე მამულიან გლეხების მიმართ კი საკუთრების პრინციპს დაადგა – ამ კატეგორიის მინის მუშებს მთავრობა მხოლოდ სასყიდლით აძლევს ჩამორთმეულ მინებს.

ასეთი უსისტემო და ულოღიკო ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც სარევოლუციო დემაგოგიას ვერ გასცილებია და შემთხვევითი პარტიული ზრახვებისთვის არის მოგონილი, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას ვერ მოაგვარებს და სოფლის მეურნეობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობასაც გაანადგურებს.

საქონლის გატანა-შემოტანა გაძნელდა. მთელი 7 – 8 თვის განმავლობაში მთავრობამ თავისი ბეცი პოლიტიკით საქონლის გატანა-შემოტანა შეაფერხა, და მხოლოდ ეხლა, როგორც ეს მთავრობის ოფიციოზულ პრესაში ირკვევა, იგი ადგება იმ გზას, რომელსაც მისგან ყოველთვის უშედეგოთ მოვითხოვდით, ეს არის თავისუფალი და კერძო ინიციატივის გზა.

მრეწველობის საკითხი ჩვენში კიდევ უფრო უნუგეშოა. არავის არ აქვს გარანტია, რომ თუ საქმე დაიწყო, რაიმე დადებით შედეგებს მიაღწევს. მუშების პროფესიონალურ კავშირების საკითხი, მათი დღევანდელის ფორმით პირდაპირ შეუძლებელს ჰყოფს ეკონომიურ საქმიანობას. ამ მიზეზების გამო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მიექანება უფსკრულისაკენ. ეხლა უკვე თვით სოციალისტებისთვისაც ცხადია, რომ მისი გამობრუნება სოციალისტურის წესით და ექსპერიმენტებით ყოვლად შეუძლებელია, და რაც უფრო მალე დაადგება მთავრობა ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ შემოქმედების გზას, მით უფრო მალე და ადვილად შეიძლება ჩვენი ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჩვენი სახელმწიფოს კონსოლიდაცია. მან უნდა დაგმოს სარევოლიუციო სოციალიზმის გზა და მოიპოვოს ხალხის თვალში ნდობა, მოიპოვოს ნდობა ყოველი მესაკუთრე-მეურნის და ვაჭარ-მრეწველის თვალში. ამის გარანტიებს კი მთავრობა არ იძლევა, და მაშინ, როდესაც თავის დეკლარაციაში ისეთ წვრილმანსაც კი აღნიშნავს, როგორიცაა სანიტარული ზომების მიღება, იგი საჭიროდ არ სთვლის უთხრას სოფლის ხალხს და ქალაქის ვაჭარ-მრეწველებს, რომ მათი ნამუშევარი, პირადი ინიციატივით ან თაოსნობით შექმნილი საქმე და ქონება ხელშეუხებელი იქნება. მთავრობას ვერ გაუბედნია, ან თუ არ სურს საქვეყნოთ და ხმამაღლა იცნოს მესაკუთრის უფლება თავის საკუთრებაზედ! ხოლო თუ ეს არ მოხდა, ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩვენი მდგომარეობის გამობრუნება.

თუ რაიმე დადებითი იყო მთავრობის მოქმედებაში აქამდის, ეს იმდენად ხდებოდა, რამდენადაც იგი ხანდახან უახლოვდებოდა თავის პრაქტიკასა და მოქმედებაში იმ ბურჟუაზიულ ზომებს, რომლის დიდი შემოქმედებითი როლი ცხოვრებით და გამოცდილებით არის დადასტურებული, ხოლო რამდენადაც იგი შორდებოდა ამ ნაცად იარაღს და წაისოციალისტ-რევოლიუციონერებდა იმდენად მეტ ზიანს აძლევდა ჩვენს შინაგან და საგარეო მდგომარეობას. როგორი უნდა იყოს მომავალში ჩვენი დამოკიდებულება ამგვარი წარსულის მქონე მთავრობისადმი. მთავრობის მომავალი პოლიტიკა იქნება გაგრძელება მისი წარსული პოლიტიკისა. ხოლო მისი წარსული პოლიტიკა, როგორც ეს დავინახეთ, აღსავსეა მრავალი და საბედისწერო შეცდომებით. იგი პრინციპიალურად მიუღებელია, რადგან სახელმწიფოსი და საზოგადო ცხოვრების ამშლელია და არა დამლაგებელი. ამიტომ თავისთავად ცხადია და აშკარა, მთავრობას ენ ბლოც ნდობას ვერ მივცემთ მის მომავალ მოქმედებაში. მაგრამ არის ერთი საკითხი, გარდუვალად ყველასთვის სავალდებულო საკითხი, უზენაესი სავალდებულო კატეგორია – ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი. ამ საკითხში ყველა მთავრობასთან ვიქნებით, ყოველ გასაჭირის დროსა. დანარჩენ საკითხებში, სადაც მთავრობის რევოლიუციური სოციალიზმის მისწრაფება და

მეთოდია, პრინციპულ და საქმიან ოპოზიციას დავადგებით, რადგან დღევანდელი მთავრობა მხოლოდ შეიძლება დადგეს გამოსადეგი, როდესაც იგი თავის თავს რადიკალურად გარდაქმნის. მთავრობის მუშაობა იმდენად იქნება პოზიტიური და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის, რამდენად იგი თავის მომავალ მოქმედებაში თავის წარსულს დაუპირისპირდება; რამდენადაც იგი შესძლებს თავის უარყოფას და დაადგება ნამდვილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ გზას, იმდენად უფრო სასარგებლო და უფრო სწორი იქნება მისი ნაბიჯი და უფრო მტკიცე ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. მისი წარსული პოლიტიკის გაგრძელება კი ჩვენს ქვეყანას დაღუპავს და გაანადგურებს.

ამით ვამთავრებ მთავრობის დეკლარაციისა და ანგარიშის მოკლე განხილვას და დასასრულს უნდა მხოლოდ სურვილი გამოვთქვა, რომ დამფუძნებელ კრებამ, რომელსაც დაევალა ჩვენი ქვეყნის დაფუძნება, გამოიჩინოს საჭირო გონების სიფხიზლე და უტოპიურს ანთებაში არ ჩასწვას ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი.

ნოე რამიშვილი

(1881-1930)

ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ჯარის რეორგანიზაცია, სკოლის რეფორმა, კავშირგაბმულობის სფეროს განვითარება, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თბილისის უნივერსიტეტის მიმართ.

○ სკოლის გარეშე განათლება და ერობა, 1919წ.

(მოხსენდა ერობათა ყრილობას 1919 წ.
ენკენისთვეში)
წყარო: ჟურნალი „განათლება“ 1919 წელი

სკოლის გარეშე განათლება და ერობა

ღირებულებები: მოქალაქეობა, უფლება, რესპუბლიკა, ერობა, თვითმმართველობა, პასუხისმგებლობა, არჩევანი, თანასწორობა, სამართლიანობა.

სკოლის გარეშე განათლების წესიერ ნიადაგზე დაყენება - ეს, ეჭვი არ უნდა, ხელს შეუწყობს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის კანონების და მთავრობის განკარგულების ცხოვრებაში შეგნებით გატარებას და განხორციელებას. ხოლო ეს დიდი საქმე უნდა იკისრონ თვითმართველობის ორგანოებმა.

სკოლის გარეშე დარჩენილი მცხოვრებნი განიყოფებიან სამ უმთავრეს ჯგუფათ: 1) წერა-კითხვის უცოდინარ მოზრდილ მცხოვრებთა ჯგუფი, 2) დასაწყისს სკოლებში კურს დამთავრებულთა და სწავლის გაგრძელების მსურველთა ჯგუფი და 3) მთელი დანარჩენი, წერა-კითხვის მცოდნე, სკოლის ასაკს გადაცილებული მცხოვრებთა ნაწილი. - პირველი

კატეგორიის მცხოვრებთათვის საჭიროა საკვირაო ელემენტარული და მოძრავი სკოლების გახსნა, მეორე კატეგორიისთვის განსაკუთრებული კურსების მოწყობა. დასახელებულ დაწესებულებებთან გასწვრივ უნდა დაარსდეს: ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, მოეწყოს სახალხო კითხვები, ლექციები და სხვა.

საკვირაო სკოლები - თითოეულ დაწყებით სკოლასთან არსდება საკვირაო სკოლა. მეცადინეობას აწარმოებენ სკოლაში ადგილობრივი სკოლისავე მასწავლებლები განსაკუთრებული გასამრჯელოთი.

მოძრავი სკოლები - რესპუბლიკის იმ ნაწილებში (მაგ. დუშეთის მაზრა, თიანეთის, კახეთის, სვანეთი, ლეჩხუმი) სადაც დაწყებით სკოლათა რიცხვი, და, მამასადამე, მასწავლებელთა რიცხვიც მცირეა, წერა-კითხვა უნდა გავრცელდეს მოძრავი სკოლების საშუალებით. ამ მიზნისთვის სამაზრო ერობა იწვევს განსაკუთრებულ გამოცდილ მასწავლებლებს. ეს მასწავლებლები წინდაწინვე შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით აწარმოებენ სწავლას სხვა და სხვა სოფლებში, გადადიან ერთი სოფლიდან მეორეში, აწყობენ ორგანიზაციას, თვითონ ამზადებენ წერა-კითხვის მცოდნე პირთაგან თანაშემწეებს, რომელთაც აკისრებენ წ. კ. გავრცელებას ხალხში.

სისტემატიური საღამოს კურსები და სკოლები გაფართოვებული კურსით - დაწყებით სკოლებში კურს დამთავრებულთათვის თვითოეულ სათემო ერთეულის რაიონში იმართება უმაღლესი დაწყებითი სკოლები, ან კურსები.

სახალხო კითხვები და ლექციები - თვითოეულ წვრილ ერთეულის სამოქმედო რაიონში იმართება სახალხო კითხვები ჯადო ფარნის საშუალებით. სახალხო კითხვებს რომ სისტემატიური ხასიათი მიეცეს, საჭიროა სამაზრო ერობამ შეიმუშაოს საერთო მოქმედების გეგმა ამ დარგში, აგრეთვე სია იმ მასალისა, რომელიც უნდა იქმნას წაკითხული სოფლებში ადგილობრივ მოთხოვნილების და გვარად. სახალხო კითხვების მოწყობა-გამართვის დროს ფართო ადგილი უნდა დაეთმოს კინემატოგრაფიით სარგებლობასა, რის შეძენა თითოეული სამაზრო ერობისათვის სასურველია. სასურველი და საჭიროა სამაზრო ერობამ დაამზადოს ბუნდოვანი სურათებიც ადგილობრივ ცხოვრებიდან, შეიძინოს რამდენიმე ჯადო ფარანი.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოები - ბიბლიოთეკების და სამკითხველოების მოწყობას სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. თითოეულ სკოლასთან უნდა გაიხსნას სამკითხველო, ხოლო თითოეული სათემო ერთეულის რაიონში, ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

სახალხო თეატრი - სამაზრო ერობებმა არა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციონ სახალხო წარმოდგენების სისტემატიურად მოწყობას სოფლებში, რისთვისაც უნდა შეადგინოს მოძრავი სცენის მოყვარეთა ჯგუფი განსაზღვრული გასამრჯელოთი.

აძლევს რა დიდ მნიშვნელობას სკოლის გარეშე განათლების ფართო ნიადაგზე დაყენებას და მისი ორგანიზაციის ნორმალ კალაპოტში ჩაყენებას განათლების სამინისტრო მიმართავს ერობებს წინადადებით გააჩაღონ ეხლავე ორგანიზაციული მუშაობა: შეიმუშავონ უპირველეს ყოვლისა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელი, საერთო სამოქმედო გეგმა აღნიშნულ დარგში, აგრეთევა საჭიროა ხარჯების სავარაუდო აღრიცხვა. წარმოდგენილ მასალის მიხედვთ სამინისტრო თავის მხრივ გაიღებს თანხას და ერობებთან ერთად იმუშავებს საერთო მიზნის განსახორციელებლად.

საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ, 1920წ.

(განათლების მინისტრის მოხსენება)
წყარო: ჟურნალი „განათლება" 1920 წელი

ღირებულებები: მოქალაქეობა, უფლება, სახელმწიფო, პასუხისმგებლობა, თანასწორობა, სამართლიანობა.

საყოველთაო სწავლების შემოღება ისეთს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის, რომ სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს მისი თეორიული დასაბუთება. მართალია, ფრიად რთულია ეს საკითხი და მეტად ძნელია მისი პრაქტიკულად განხორციელება, განსაკუთრებით რესპუბლიკის მძიმე ფინანსიურისა და ეკონომიური მდგომარეობის გამო, მაგრამ სწორედ ეს მდგომარეობა გვიკარნახებს ამ სერიოზიული საქმის დაჩქარებას და სასურველად მოწესრიგებას.

სამინისტროს აზრით, მიუხედავათ იმისა, რომ ამ საქმის განხორციელებას ხელს შეუშლის ხალხის ფართო მასსის ჯეროვანი მოუმზადებლობა და ამასთანავე ამით გამოწვეული ხარჯი მეტად მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც შევიწროებულ სახელმწიფო ხაზინას, საყოველთაო სწავლება უნდა იყოს სავალდებულო და უფასო. დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის შვილს უნდა შეეძლოს ასეთს სკოლაში სწავლა-განათლების იმ აუცილებელი მინიმუმის მიღება, რომელიც სავალდებულოდ იქნება ცნობილი სახელმწიფოსგან.

საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლებას უნდა ჰქონდეს საზოგადო განათლების ხასიათი, ვინაიდან ამ საფეხურზე რაიმე სპეციალური, თუნდა პრიმიტიული, ცოდნის შეძენაც არ არის მიზანშეწონილად ცნობილი: მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ საფეხურზე სწავლების მეთოდი უნდა იყოს ისეთი, რომელიც პირველ დაწყებით სწავლას აახლოებს დაბალი სპეციალური ცოდნის შეძენასთან. ამ პრინციპის მიხედვით დღევანდელ სახალხო სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა და საპატიო ადგილი ეთმობა ხელსაქმე-ხელგარჯილობის სწავლებას, მაგრამ იგი შემოღებულია არა როგორც წმინდა სპეციალური საგანი, არამედ როგორც დამხმარე საშუალება, როგორც მეთოდი საზოგადო განათლების სასწავლო საგანთა უკეთ შესათვისებლად.

უფასო საყოველთაო სახელმწიფო სკოლებში სასწავლო წლის რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ როგორ მიზანს დაისახავს ასეთი სასწავლებელი. ვინაიდან რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობისა და საერთო ბიუჯეტის მიხედვით სახელმწიფოს ჯედ დიდი შეუზომელი ხარჯების გაწევა არ შეუძლიან, ამიტომ საყოველთაო სავალდებულო სწავლება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ დაბალი საზოგადო განათლების პირველ საფეხურზე, ე.ი. ოთხწლიანი კურსის პირველ დაწყებით სასწავლებელში, შემდეგ კი შესაძლებელია სახელმწიფომ იკისროს მეორე საფეხურის უფასო სწავლებაც.

თუ გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებას, რომ პირველ დაწყებითი სასწავლებელი რამოდენათმე მაინც დამთავრებულ-დასრულებული ხასიათის ცოდნას უნდა იძლეოდეს, სამი წლისადი ამისთვის ძალიან ცოტა იქმნებოდა: ამ ხნის განმავლობაში ყმაწვილი რიგიან წერა კითხვასაც ვერ შეისწავლის, არა თუ შეიძენს იმ საჭირო ცოდნას, რომელიც წერა კითხვასთან ერთად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სახელმწიფოს ყოველი წევრისათვის.

ამ მიზნის მიხედვით, ოთხ განყოფილებიანი პირველ დაწყებითი სასწავლებელი მიზანშეწონილად არის ცნობილი, როგორც ყოფილი ეროვნული საბჭოსი და განათლების კომისიის მიერ, აგრეთვე დამფუძნებელი კრების განათლების კომისიისგანაც.

ვინაიდან საყოველთაო განათლებას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამიტომ მის განხორციელებას თვით რესპუბლიკა უნდა ხელმძღვანელობდეს თავისი ცენტრალურისა და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების საშუალებით. ამისთვის ამ დიდ საქმეში დიდსა და ენერგიულ მონაწილეობას უნდა იღებდეს ფართო საზოგადოებრივი თვით მოქმედება სახალხო განათლების სამინისტროს საერთო ხელმძღვანელბით.

გაზეთი „ერთობა“

ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამოდიოდა „თანამედროვე აზრის“ (1915-1917) ნაცვლად. 1918 წლის 26 ნოემბრიდან ინოდებოდა, როგორც „ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა“. 19120 წლიდან რედაქტორი იყო ლევან ნათაძე - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობას ეწეოდა განათლების სისტემის რეფორმირების ხელშეწყობის კუთხით, მონაწილეობდა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში.

ჩვენ და ეკლესია, 1920წ. ივლისი

(მონინავე წერილი)
წყარო: გაზეთი „ერთობა“, 13 ივლისი, 1920 წელი, N155;
ბმული: https://civil.ge/ka/archives/280443

ღირებულებები: პატივისცემა, თავისუფლება,
მოქალაქეობა, სახელმწიფო, ეკლესია,
დამოუკიდებლობა, ერი, უფლებები, თანასწორობა, ტოლერანტობა.

ამ ბოლო დროს ისევ წარმოსდგა საკითხი ეკლესიასთან დამოკიდებულების შესახებ. საქართველოში რამდენიმე სარწმუნოების ხალხი ცხოვრობს. მართლმადიდებელი, მუსულმანი, გრიგორიანი და სხვ. რომელიმე მათგანის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაყენება – იქნებოდა დიდი კლერიკალური ნაბიჯი და თან დანარჩენი სარწმუნოების ხელოვნური დაჩაგვრა. ეკლესია კი საგანია რწმენის. სარწმუნოება საქმეა სვინდისის. ხოლო სვინდისის თავისუფლება მოითხოვს ყოველ სარწმუნოებას მოვეპყროთ სრულის თანასწორობით ისე, როგორ ყოველ რწმენას, ყოველ მსოფლმხედველობას. ამ ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ არ ვებრძვით სარწმუნოებას სახელმწიფოებრივი იარაღით, არ ვცდილობთ ერთის დაჩაგვრას და მეორეს გაბატონებას. მაგრამ არც სარწმუნოების მიმდევართ (სასულიერო პირებს) ვაძლევთ საშუალებას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრე-

ბაში ჩაერიონ და რწმენის საკითხი პოლიტიკურ ფაქტორათ აქციონ. სამღვდელოების ასეთ ტენდენციებს, რომელსაც აქვს ისტორიული მიზეზები, მაგრამ არა აქვს გასამართლებული საბუთი დღევანდელ ვითარებაში, ჩვენ გადაჭრით უარყოფთ.

ეკლესია თავისუფალია, დამოუკიდებელი კავშირია მორწმუნეთა შორის და სახელმწიფო მათ რწმენის საგანში არ ერევა.

აქედან იბადება აუცილებლობა ეკლესიის და სახელმწიფოს განშორების, მათი ცალკ ცალკე ცხოვრებისა.

ფაქტიურათ ეს ჩვენში უკვე უკვე რევოლუციის პირველ დღეებიდანვე განხორციელებულია. იურიდიულათ ამის ჩამოყალიბება მოითხოვს მხოლოდ განსაკუთრებულ ორგანოების შექმნას იმ ფუნქციების შესასრულებლათ, რომელთაც წინეთ სამღვდელოებას ითხოვდა, ე. ი. დაბადებას, ქორწინებას, გარდაცვალებას და სხვათა. რეგისტრაციას, სამოქალაქო ქორწინების წესის შემუშავებას და სხვა.

ამ მხრივ სადაო და სადავიდარაბო არაფერია.

მაგრამ ეკლესია წარსულში დიდი ეროვნული მოვლენა იყო, ეკლესიის გარშემო იყრიდა თავს სახელმწიფოებრივი ენერგია, იქ იყო ელემენტი – ერის შემაერთებელი და ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული კულტურა უმთავრესათ ეკლესია-მონასტრებში გროვდებოდა. ბერ-მონაზონთა კოლეგია იყო მთავარი მატარებელი სულიერი კულტურის და ეს ქმნიდა სამღვდელოების ბატონობას. დღეს სულიერი კულტურის მეთაურობა მათი იმდენათ დაკარგულია, რომ წარსულშიც მათი ასეთი როლი ბევრს არა სჯერა. მაგრამ ქონებრივი კულტურა კი დიდია მოგროვილი ეკლესია მონასტრებში.

ეს ქონება ეკუთვნის ერს, მთელ ხალხს და არა ეკლესიის მსახურთ ბერ-მონაზონთ. იგინი დღემდე მხოლოდ მცველია ამ ქონების. როგორი მცველი ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ უარჰყოფს, რომ ამ სიმდიდრის დიდი ნაწილი ისე გაქრა, რომ მის კვალს ვერავინ მიაგნებს.

ამით იკარგება დიდი ისტორიული განძი, იკარგება კულტურის ნაშთები, ძვირფასი ხელნაწერები, ისტორიული საბუთები და სხვა ფასოვანი განძეულობა. ეკლესია, სანამ იგი სახელმწიფოსთან იყო გადაქსოვილი, კიდევ შესძლებდა ამის ასე თუ ისე დაცვას. დღეს მისგან განშორებული და მის მფარველობას მოკლებული, იგი ამ მისიას ვერ შეასრულებს.

დღეს ერის ცენტრი სახელმწიფოა, მისი კულტურის დამცველი სახელმწიფოს ორგანოებია. და ეს ეროვნული ისტორიული განძიც ერს უნდა გადაეცეს დასაცველათ და კულტურულ-ისტორიული მიზნებისთვის.

ჩვენ უნდა ავღნიშნოთ აქვე, რომ სარწმუნოების თავისუფლება გვიკარნახებს, არ შევუერთოთ ამ ისტორიულ – სამლოცველო ხატები – დანარჩენ სიმდიდრეს – მეფეთა, პატრიარქთა შესამოსელს, და სხვა განძეულობას, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ.

პირველი მლოცველთ უნდა დავუტოვოთ, ვინაიდან მათი სარწმუნოების შელახვა, რაც უნდა შემცდარათ მიგვაჩნდეს, სახელმწიფოსთვის მაინც დაუშვებელია, თუ ამას რაიმე განსაკუთრებული საქციელი სამღვდელოებისა (ყოველი რელიგიის) არ გამოიწვევს. დანარჩენი განძეულობა კი უნდა სახელმწიფომ დაუყონებლივ მოაგროვოს და ისტორიისთვის შეინახოს. ასევე უნდა მოუაროს სახელმწიფომ ისტორიულ ძეგლებს, კოშკებს, ძველ მონასტერთა მხატვრობას, შენობას და სხვა. ამას მოითხოვს ინტერესი კულტურის, ინტერესი ერის, ამას გვიკარნახებს პრინციპი ეკლესიის და სახელმწიფოს გათიშვის.

ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) (1861-1927)

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წლებში, საქართველოს ეროვნული გმირი. აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში.

● სიტყვა 1920 წლის 28 თებერვალს დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით

წყარო/ბმული: https://bit.ly/2Z5pBhl

სიტყვა 1920 წლის 28 თებერვალს დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით

ღირებულებები: თავისუფლება, კანონიერება, რესპუბლიკა, სამართლიანობა, კეთილდღეობა.

„თქვენ აზნაურებისა (თავისუფლებისა) ჩვენებულ ხართ, ძმანო, განა ხოლო აზნაურობა ნუ მიზეზად ხორცთა, არამედ სიყვარულისა, მისთვის ჰმონებდით ურთიერთარს"
(გალატ. 5, 13).

ამ სიტყვებით მოგვმართავს მოციქული პავლე და ამით გვიმტკიცებს, რომ თავისუფლება არის ნიჭი ღვთისა. ეს სიტყვები საუკეთესოდ შეეფერება დღევანდელ დღესასწაულს, წლისთავს ამ თავისუფლების დაბრუნებისა. ვამბობთ „დაბრუნებისა", ვინაითგან ეს ნიჭი

ღვთისა ნაგვერთვა ამქვეყნიურის უსამართლობით და ძალმომრეობით. 28 თებერვლის აქტმა დაგვიბრუნა ეს თავისუფლება და, რასაკვირველია, ეს დღე მათთვის, ვინც მოტრფიალეა თავისუფლებისა, ვინ მას მოელოდა და მისთვის იბრძოდა, არის დიდი სიხარულის დღე.

დიახ, ახლა დამყარდა იმნაირი წესწყობილება, როდესაც ხალხის სინდისმა თვალ-ყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას, ვისაც ცხოვრება აყენებს მართვა-გამგეობის სათავეში. ახლა პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს უფლებამოსილთა თვითნებობისაგან, ვინაითგან დაიმსხვრა ბორკილები, რომლითაც მრავალი საუკუნოების განმავლობაში შებოჭილი ვიყავით, თვითეული ჩვენგანი პასუხისმგებელია მხოლოდ ღვთის და სინდისის წინაშე, წინაშე მართლმსაჯულებისა და კანონისა. საქართველოს რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანია ეს დღე, როგორც დღე დამფუძნებელი კრების მოწვევის და ამ გზით თავისუფლების გამაგრებისა და კანონიერების გზაზე დადგომისა. დიდი ბედნიერებაა, უდიდესი მონაპოვარია ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამისთვის, მამულიშვილნო, წრფელის გულით გილოცავთ ყველა ამას. ეკლესია და ქრისტეს სწავლა დამცველია თავისუფლებისა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ერთი რუსეთის მეცნიერი, რომელმაც შესწირა თავი თავისუფლებისათვის ბრძოლას, ამბობს: „ქრისტიანობას სწამს შეერთება იესო ქრისტეს პიროვნებაში ღვთისა და კაცისა, შეერთება მიწიერის და ზეციერისა, ღვთაებრივის და კაცობრიულისა და მოითხოვს ამნაირსავე შეერთებას, ამნაირსავე ღმერთკაცობას ყველა მორწმუნისაგან, ყველა ჩვენგანმა უნდა თავის არსებაში განასახიეროს ღმერთი სიტყვით და საქმით." ჩვენ უნდა ჩვენს ცხოვრებაში განვახორციელოთ ზნეობრივი მხარე, რომელიც აძლევს სიმაგრეს და ძალას ჩვენს მოქმედებას. თავისუფლება უნდა გამოიხატოს მოძმეთადმი სიყვარულში, პატივისცემაში მოძმის პიროვნებისა, მისი რწმენისა და მისწრაფებისა. თუ ჩვენ სიტყვით ვქადაგებთ თავისუფლებას და საქმით მას ვარღვევთ და ვცდილობთ მხოლოდ პირადი თავისუფლებისათვის, მაშინ ეს იქნება არა თავისუფლება, არამედ თვითნებობა.

რას ვხედავთ ახლა? არის განხორციელებული ჩვენში პიროვნების დაფასება? საუბედუროთ, არა. პიროვნების დაფასება გარეშე პარტიული თვალსაზრისისა არ არსებობს.

ჩვენში ძველ წესწყობილების დროს ზიზღს იწვევდა დიდების მოყვარეობა იმათი, ვინც მთავრობის მაღალ საფეხურებზე მსახურობდა, მაგრამ ახლაც არ ვხედავთ ამ დიდებისმოყვარეობას დემოკრატიულ არისტოკრატიის, ახალ მოდის თავადობას?

მექრთამეობა უწინდელის მოხელეებისა განსაცვიფრებლად მიგვაჩნდა, მაგრამ ამაში ახლა ჩამოვრჩებით ძველ მოხელეებს?

უწინ გვეჯავრებოდა სისხლისღვრა, ახლაც განა კაცი კაცისათვის მგელი არ არის? განა ერთმანეთის შეუბრალებლობა ახლაც იმნაირად არ მეფობს, როგორც ძველად?

რა არის ამის მიზეზი? რისთვის არ განგვკურნა ჩვენ თავისუფლებამ? მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ მოღვაწეობაში და მოქმედებაში ნამეტანათ შევამცირეთ ზნეობრივი ელემენტი. განვდევნეთ შკოლიდან და ცხოვრებიდან ქრისტეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლა, ურომლისოდ ჩვენი მოღვაწეობა ცალმხრივია, მას არ ასულიერებს ღვთის სასოება ჩვენში, ერთმანეთის სიყვარული, ურომლისოდ თავისუფლება იღებს არასასურველ მიმართულებას... უამისოდ თავისუფლება ორივე გვერდით მჭრელი მახვილია, რომელმაც შეიძლება მოგვიტანოს სარგებლობის ნილ მავნებლობა, გაამეფოს ანარქია, ამისთვის თავისუფლება, პეტრე მოციქულის თქმით, არა საფარველად უკეთურებისა უნდა გვქონდეს, არამედ ძმათა სიყვარულისათვის (პეტრე, I, 2, 1-7), ხოლო ასვლებით „არა მიზეზად ხორცთა," არამედ სიყვარულით ურთიერთარს მორჩილებისათვის (გალატ. 5, 13), მშვიდობა და ძმურის სიყვარულის დაბრუნებისათვის ამქვეყნად. „უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ და შეიჭმებოდეთ იხილეთნვე უკვე ურთიერთარს განილინეთ." ვიმეორებ, დაუდვათ ჩვენს თავისუფლებას საფუძვლად ქორსტეს ზნეობრივი სნავლა, მისი იდეალების ცხოვრებაში განხორციელება და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიყოთ სასარგებლო ნევრნი სახელმნიფოსი. შევევედროთ უფალს მოგვცეს მან ამნაირი მიმართულება და მაშინ გვექნება ნამდვილი თავისუფლება, მაშინ გაიფურჩქნება ჩვენი სამშობლო მხარე და ვიქნებით ბედნიერნი.

აკაკი ჩხენკელი
(1874-1959)

ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, იურისტი და პუბლიცისტი. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

● გამოსვლა დამფუძნებელი კრების სხდომაზე კონსტიტუციის შესახებ, 1920 წ., დეკემბერი. (ნაწყვეტები)

წყარო: გაზ. „ერთობა“ - 1920წ. 25 - დეკემბერი - №295-98
ბმული: https://bit.ly/2Ozwkwn

გამოსვლა დამფუძნებელი კრების სხდომაზე კონსტიტუციის შესახებ

ღირებულებები: კონსტიტუცია, წარმომადგენლობა, დემოკრატია, თავისუფლება, მოქალაქეობა, სახელმწიფო, საზოგადოება, სამოქალაქო უფლება, ერი, საზოგადოებრივი შრომა, განსაზოგადოებრივობა, დამოუკიდებლობა, სუვერენობა, ერობა, თემი, ინიციატივა, წესრიგი, რესპუბლიკა, თვითმმართველობა, პასუხისმგებლობა, არჩევანი, თანასწორობა, სამართლიანობა.

დამფუძნებელი კრება არის პოლიტიკური დაწესებულება, ამიტომ აქ ალაგი არ უნდა ჰქონდეს ისეთ განყენებულ, ასე ვთქვათ, ფილოსოფიურ მსჯელობას, მაგ. თავისუფლებაზე, ... კითხვა, სადაა საზღვარი თავისუფლებისა .... ჯერაც სადაოთაა მიჩნეული ფილოსოფიაში, ხოლო სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც იმუშავებს კონსტიტუციას, არ შეუძლია დაუცადოს ამ დავის გადაწყვეტას. მან უნდა შექმნას ისეთი ნორმები, რომელნიც უზრუნვე-

ლყოფენ ადამიანის და მოქალაქის თავისუფლებას საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესების ფარგლებში.

მაშასადამე, მე ვამბობ, არის რასაკვირველია, ზოგადი პრინციპები,რომლებიც უკვე შემუშავებულია და ეს პრინციპები გინდა არ გინდა, – უნდა მიიღოო. მაგალითად, წარმომადგენლობითი სისტემა. თქვენ ამბობთ, რომ ხალხს გადავსცეთ კანონმდებლობის საქმე, რაიც ფიზიკურად შეუძლებელია.აქედან, წარმომადგენლობითი სისტემა ერთ-ერთი პრინციპია, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ. რასაკვირველია, წარმომადგენლობაც არის და წარმომადგენლობაც; მაგრამ თვით პრინციპი შემუშავებულია უკვე დასაბამიდან.

მე ჯერ კიდევ 1908 წელში ვამტკიცებდი, რომ საქართველო თავისი სოციალ-ეკონომიურ პირობებით დიდათ განსხვავდება რუსეთისაგან. .... საქართველო უფრო ჰგავს ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოს, ვინემ რუსეთს. მაშინ მე მაინტერესებდა იურიდიული საკითხები. მაგ. რუსეთმა პირდაპირ გადმოსწერა ევროპის სახელმწოიფოებიდან სამოქალაქო უფლება და პროცესი, მაგრამ ვინაიდან რუსეთის თემური წყობილება, მისი ფსიქოლოგია დიდათ განსხვავდება ევროპისაგან, ამ იურიდიულმა ნორმებმა რუსეთის სოფელში ნიადაგი ვერ ჰპოვა; საქართველოს კი ისინი უფრო შეესაბამებოდნენ და კიდეც ხელი შეუწყვეს მის მოქალაქეობრივ განვითარებას. ჩვენმა პროვინციელებმა: გურულებმა, იმერლებმა მშვენივრად იციან, თუ როგორ კარგათ შეითვისა ჩვენმა გლეხმა სამოქალაქო უფლება, როგორ მოხერხებულათ სარგებლობს ის მით.

აი, ამ მხრივ განსხვავდება, თუ გნებავთ, ჩვენი რევოლუციური სული რუსეთისაგან, და მართლაც, როცა მე ფრონტზე ვხედავდი ჩვენს ჯარისკაცებსა და გვარდიელთ, – დავრწმუნდი, რომ ისინი არიან არა მარტო გლეხები და მუშები, არა მარტო კლასის წარმომადგენელნი – არამედ მოქალაქენი, წარმომადგენელნი არა მარტო ჩვენი რევოლუციის აღმაფრენისა, არამედ შეუპოვარი დამცველნი ერისა, სახელმწიფოისა, მისი ზღვრეებისა. აი, ამაშია დიდი განსხვავება ჩვენსა და რუსეთს შორის.

ჩვენ, რასაკვირველია, ვართ მოწინააღმდეგე წარსული წყობილებისა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვიშლის ვთქვათ, რომ ის მდიდარი, ხშირათ საბედისწერო თავგადასავალი, რომელიც განვლო ჩვენმა ერმა მის ისტორიულ მსვლელობაში წარმომშობია დღევანდელ ქართველ ტიპისა, მისი ეროვნულ ღირსება-ნაკლოვანებათა.

რევოლუცია არის ის ბაზა, რომელზედაც ემყარება მთელი ჩვენი სახელმწიფოს აგებულება. მე მახსოვს, როცა ამ დროშას (მიუთითებს ეროვნულ დროშაზე) იმუშავებდნენ, – ჩვენ მაშინ ვიყავით ფრეილინის ქუჩაზე და მე მომიტანეს პროექტი ამ დროშისა, მაშინ მე თავმჯდომარე ვიყავი ეროვნულ საბჭოსი, და ძალიან მომეწონა იგი.

რატომ მომეწონა?

ცხადია, იმიტომ, რომ ფონი იყო წითელი სისხლის ფერი, ზოლები იყო ნაციონალური. ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი დასაბამი, ჩვენი დროშა რევოლუციიდან მომდინარეობს.

აქ იყო არა ერთხელ ნათქვამი, რომ კონსტიტუცია ძალთა განწყობილების შედეგიაო. მე ვიტყოდი, იგი უნდა ემყარებოდეს რეალობას, მასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს მარტო სარკე რეალობისა და სხვა არაფერი. კონსტიტუციამ უნდა გამოხატოს არა მარტო ის, რაც არის, არამედ ისიც, რაც უნდა

იქნეს. .... კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის იურიდიული ფორმა, მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც, ე.ი. მასში უნდა იყოს ჩაქსოვილი შესაძლებლობა სოციალურ ცხოვრების წინსვლისა და ყოველმხრივი განვითარებისა. .... ის არის ერთგვარი კალაპოტი, რომლის შიგნით ცხოვრება მიმდინარეობს და სადაც ადამიანი და მოქალაქე ჰპოვებს თავის სარბიელს. მაშასადამე, კონსტიტუცია, როგორც საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გამოხატულება, არ უნდა ზღუდავდეს ამ ძალებს, პირიქით თავისივე საშოში უნდა ატარებდეს შესაძლებლობას მათი ჭიდილისა, რაც მოასწავებს ერთის ძლევას მეორისაგან და მით ცხოვრების განვითარებას. .... ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ რაც შეიძლება ჩქარა მივცეთ ხალხს კონსტიტუცია, ეს მისთვის საჭიროა, ეს არის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი მის ხელში, რომლის დახმარებით ის გაიკაფავს თავის გზას, რომლითაც ის უზრუნველყოფს თავის დამოუკიდებლობას და მომავალს.

პროექტის შედგენის დროს ხელმძღვანელობდენ ორი ძირითდი დებულებით. ეს არის: საზოგადოებრივი შრომა და დემოკრატიზმი. ჩვენი კონსტიტუცია აგებული წმინდა დემოკრატიულ საფუძვლებზე, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივ შრომის განვითარებას, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, როგორც სახელმწიფოს, ისე თვითმართველობათა მიერ.

ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელიც ჩვენ გვინდა შევიტანოთ ჩვენს კონსტიტუციაში, ეს საზოგადოებრივი წარმოების გაჩაღება-მოწყობა არის. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ სახელმწიფო უნდა გამოვიდეს უაღრესათ სამეურნეო ორგანიზაციად. აქ არის სიმძიმის ცენტრი. ამაში არ დაგვეთანხმებიან ნაციონალ-დემოკრატები და ეს იმიტომ, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში ისინი მომხრენი არიან ცნობილ ლოზუნგის „laissez faire, laissez passer" .... არ დაგვეთანხმებიან იმიტომ, რომ სახელმწიფო მათ წარმოდგენილი აქვთ, როგორც მარტო წესიერების დამცველი, რომელიც დარაჯობს მოქალაქის საქმიანობას, ხოლო თვითონ არავითარ ღირებულებას არ ქმნის. ეს ასე იყო მართლაც წინეთ. სახელმწიფო უძღვებოდა მარტო პოლიტიკურ საქმეებს, ჩვენ კი გვინდა ის თვითონ ეწეოდეს საკუთარ წარმოებას და აღებ-მიცემობას სხვა და სხვა დარგში, და არა მარტო სახელმწიფო, არამედ თვითმართველობაც: ერობა, მუნიციპალიტეტი, თემი იმავ სახელმწიფოს ხელმძღვანელობით. საზოგადოებრივი მეურნეობა ჩვენი რწმენით, გზას გაუკაფავს იმ წეს-წყობილებას, საითკენაც ჩვენ მივილტვით.

უვიცია ის სოციალისტი, რომელიც ფიქრობს ვითომ სიმდიდრის განაწილება სოციალიზმს მოასწავებდეს. არა, წარმოების განსაზოგადოებრივობა, აი რაა ჩვენი ძირითადი დებულება.

კონსტიტუციის შესამუშავებლათ უნდა ვისარგებლოთ ევროპის გამოცდილებით, მით უფრო მეტის უფლებით ითქმის იგივე, როცა კითხვა ეკონომიურ და სოციალურ კანონმდებლობას ეხება. პოლიტიკურათ ჩვენ შეიძლება საკმაოთ მომზადეული ვართ, მაგრამ ეკონომიურათ ჩვენ თითქმის ყველა კულტურულ ერებს ჩამოვრჩებით. ამიტომ გაცილებით მეტი სიფრთხილე გვმართებს ამ სფეროში, გაცილებით მეტი დაკვირვება და შესწავლა სხვა ქვეყნების ცხოვრებისა. ეკონომიურ კანონების გადალახვა დაუსჯელათ არავის ჩაუვლის.

მეორე ძირითადი დებულება, რომლის განსახიერება ჩვენი კონსტიტუცია უნდა იყოს, არის დასრულებული დემოკრატია. რას ნიშნავს ეს? ერთი ფრაზით რომ გამოვსთქვათ, ეს ნიშნავს ხალხის სუვერენობას, უზენაესობას. ჩვენი თვალსაზრისით, სუვერენობა ეკუთვნის ხალხს, სხვას არავის.

ხალხის სუვერენობა მაინც შესაძლოა განხორციელდეს ... ეს არის ინიციატივის და რეფერენდუმის უფლება. ..... ჩვენ გვინდა განვახორციელოთ ხალხის სუვერენობა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ობიექტურათ: გარდა საკანონმდებლო წარმომადგენლობისა, რომლის საშუალებით ხალხი ანხორციელებს თავის ხელმწიფობას, მას აქვს აგრეთვე ორი მძლავრი საშუალება; ინიციატივა და რეფერენდუმი, რომლითაც მას შეუძლია გარდაქმნას მთელი წყობილება.

მართალი უნდა ითქვას, ის რაც, ჩვენ გვინდა გავატაროთ კონსტიტუციაში, ორიგინალურია, ის არ ემყარება, არც პრაქტიკას, არც თეორიას, ვქმნი ისეთ რამეს, რომელიც სხვისთვის არ არის მაინცდამაინც დიდათ გასაგები, მარტივი. დააკვირდით, კომისიის პროექტში უარყოფილია პრეზიდენტი, როგორც ასეთი, მაგრამ ის მთავრობის თავმჯდომარეს აკისრებს მის როლს, მეორეს მხრით იგივე პროექტი გულისხმობს მთავრობის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე და იმავე დროს საზღვრავს მთავრობის თავმჯდომარის სამსახურის ვადას, როგორც უპასუხისმგებლო პრეზიდენტისა. ერთი სიტყვით, პროექტს გადმოაქვს უპრეზიდენტო სისტემა შვეიცარიიდან, მაგრამ იმავე დროს სურს შემოიღოს პოლიტიკური მთავრობა ე.ი. მისი პასუხისმგებლობა, საფრანგეთიდან. ჩვენ რომ პოლიტიკური და ძლიერი მთავრობა გვექივრება, ეს უდაოა, მამასადამე, პასუხისმგებლობაც უნდა არსებობდეს პარლამენტის წინაშე. როგორ შევათანხოთ ერთმანეთს ეს ორი პრინციპი: ფრანგული პასუხმგებლობა და შვეიცარული უპრეზიდენტობა? ეს კითხვა არც ისე ადვილია გადასაჭრელათ, მეთოდოლოგიურათ კი ძლიერ რთულია.

პრეზიდენტი ერთგვარი აჩრდილია მონარქისა, როგორც ეს უკვე უთქვამს აქ დეპ. კ. ჯაფარიძეს, მას გაუკეთებია კიდეც სათანადო ექსკურსია ისტორიიდან. დემოკრატიას მართლაც არ სურს არც მონარქი და არც მისი აჩრდილი. პროექტშიც, ხომ, მაგ., მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია, უბრალო მომაკვდავთან გათანასწორებული: თუ პრეზიდენტი უპასუხისმგებლოა, ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია თვით სისხლის სამართალშიც კი შეიძლება მისი მიცემა, თუ რამე დააშავა, და ასამართლებს ჩვეულებრივი სამსაჯულო.

პროექტი გულისხმობს პასუხისმგებლობას მთავრობისა პარლამენტის წინაშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობა გადადგება, როცა ეს მას მოეპრიანება, არა, ის გადადგება მხოლოდ მაშინ, როცა პარლამენტი ნათლათ და გადაჭრით დაადგენს თავის უნდობლობას მთავრობის მიმართ. აქ არის პასუხისმგებლობასთან ერთათ მორჩილებაც, თუ გნებავთ. ამით პროექტს სურს მთავრობა უფრო დაუკავშიროს, დაუახლოვოს პარლამენტს.

საჭიროა ერთგვარი კრიტერიუმი, საიდანაც უნდა გამოდიოდეს თვითეული მოქალაქე, განურჩევლათ ეროვნებისა. პირველყოვლისა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეროვნული უმცირესობა ისე, როგორც უმრავლესობა მთელის თავის არსებით ჩათრეულია სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს საქმიანობა მას აკისრებს მთელ რიგს უფლებათა და მოვალეობათა, ცხრა მეათედი მისი მოქმედებისა ამ საერთო ცხოვრებაში არის ჩაქსოვილი. ამიტომ უმცირესობის წარმომადგენელი, სომეხი თუ რუსი, უნდა გრძნობდეს თავის თავს პირველ ყოვლისა რესპუბლიკის მოქალაქედ; ის უნდა გაიმსჭვალოს იმ რწმენით, რომ რესპუბლიკის გაჭირვება მისი გაჭირვებაა, რესპუბლიკის დალხინება მისი დალხინებაა.

და იმ წუთიდან, როცა უმცირესობის წარმომადგენელი შეისისხლხორცებს ამ უბრალო, მარტივ, მაგრამ აუცილებელ ჭეშმარიტებას, მაშინ ჩვენ უკვე გვაქვს კრიტერიუმი, საიდანაც გამოვალთ და ყოველგვარ საკითხს წმინდა ეროვნულ ხასიათისა მშვიდობიანად გადავწყვეტთ. მე მომხრე ვარ უფლებათა მაქსიმუმის ეროვნულ უმცირესობისათვის, მხოლოდ ეს უფლებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდენ მთელის ინტერესებს, ძირს არ უნდა უთხრიდნენ რესპუბლიკის არსებობას.

ჩვენ მუდამ ვამტკიცებდით, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მჭიდროთ არის დაკავშირებული მის საშინაო პოლიტიკასთან. სიმძიმის ცენტრი მუდამ საშინაო პოლიტიკისაკენ უნდა იხრებოდეს და არა წინაუკმო. თუ საშინაო პოლიტიკა საღი და გონიერი გაქვთ, თქვენი საგარეო პოლიტიკაც საღი და გონიერი იქნება.

მე ვახსენე აქ ჩვენი ეროვნული დროშა, რომელზედაც გამოქარგულია ეროვნული ღერბიც. ეს მაგონებს ბისმარკის აფორიზმს: „შევსვათ გერმანიის ხალხი ცხენზე და მერე თვითონაც გაექანებაო". – მე ვფიქრობ ქართველი ერი, მისი ემბლემა ძლევამოსილი გიორგი უკვე ზის თავის თეთრ რაშზე, ის გასწევს შურდულივით თავის მიზნისაკენ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ
(1869-1941)

პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლიდერი და საპარლამენტო ფრაქციის მეთაური.

● კონსტიტუციის განხილვა - სიტყვა დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 19 იანვარს

(სხდომას თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი)
წყარო/ბმული: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/28003/1/Sakartvelo_1921_N17.pdf

კონსტიტუციის განხილვა - სიტყვა დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 19 იანვარს

ღირებულებები: კონსტიტუცია, დემოკრატია, რესპუბლიკა, მოქალაქეობა, ადამიანის უფლებები, თანასწორობა

ბატონებო! თავდაპირველად თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ტერმინოლოგიას. ჩვენ კონსტიტუციაში არის ნახმარი ტერმინები: „მოქალაქე" და „ქვეშევრდომი". მე მგონია კარგი იქნებოდა, თუ მხოლოდ ერთ ტერმინს „მოქალაქე"-ს ვიხმარდით. „ქვეშევრდომი" ეს არის შემეცნება გადამოცემული რუსეთის წესწყობილებიდან. რუსეთში, როგორც მოგეხსენებათ მოქალაქეს არ ქონდა, ან ძალიან ნაკლებად, უფლება, განსაკუთრებით კი პოლიტიკური უფლება. ამიტომ ის იყო უბრალო მოსახლე, ანუ ქვეშევრდომი. ჩვენში კი მას შემდეგ, რაც დამყარდა დემოკრატიული რესპუბლიკა და გამოცხადდა პრინციპი ხალხის ბატონობისა, ხალხის ხელმწიფობისა, ასეთი ტერმინი მიუღებელი უნდა იყოს, განსაკუთრებით ჩვენს კონსტიტუციაში. მოქალაქეობა ეს არ ნიშნავს მხოლოდ აქტივობას, როგორც იყო თქმული. მოქალაქე ნიშნავს ადამიანს, რომელიც სცხოვრობს უფლებრივ სახელმწიფოში. ყოველ უფლებრივ სახელმწიფოში არის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც, მოქალაქე ერთნაირად ხატავს როგორც მოვალეობას, ისე უფლებას.

თვით მოქალაქეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მას უნდა ეჭიროს თავისი ადგილი კონსტიტუციაში. მოქალაქეობა ნიშნავს ერთნაირ განწყობილებას, რომელიც სუფევს ადამიანსა და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფო შეუძლებელია, თუ მას არ ყავს მოქალაქენი. რა უფლება აქვს სახელმწიფოს ადამიანს მიმართ? რა უფლება აქვს ადამიანს, სახელმწიფოს მიმართ?

ერთი და იმავე დროს აქ ადამიანი, რომელსაც ვეძახით მოქალაქეს, გამოდის როგორც ობიექტი უფლებისა, იმდენად, რამდენად იგი არის ვალდებული სახელმწიფოს წინაშე, – და გამოდის ამავე დროს, როგორც სუბიექტი უფლებისა, რამდენად იგი თვითონ არის მატარებელი სახელმწიფოებრივი უფლებისა. მაშასადამე მათი განწყობილება გამორკვეული უნდა იყოს. გამორკვეული უნდა იყოს იდეა, თუ ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უფლება და განსაკუთრებული მოვალეობა სახელმწიფოს მიმართ. როცა ასე ვაყენებთ საკითხს, მაშინ თავდაპირველად ჩვენ აზროვნებაში იხატება ტერიტორიალური იდეა. მართლაც როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, თავდაპირველად გვეხატება ტერიტორიალური შემოხაზულობა საქართველოსი. მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომელიც აქ იყო ნარმოთქმული გობეჩიას მიერ, შეუძლებელია ვაღიაროთ საქართველოს მოქალაქეებად ყველა ის ხალხი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდნენ. საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა არა შემთხვევით, იმიტომ მარტომ, რომ ჩვენ მოვისურვეთ, და ეს სურვილი საკმარისი იყო სახელმწიფოს ასაგებად, არამედ იმიტომ, რომ იცით საზღვრები საქართველოსი უკვე გამორკვეველი იყო დიდი ხნის წინეთ, შორეულ საუკუნეებში. საქართველო იყო მთლიანი სახელმწიფო, როგორც ჩვენს წარმოდგენაში, ისე გარეშე პირთა წარმოდგენაში. ამისთანა პირობებში რასაკვირველია ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეცა ისეთივე უფლება იმ ხალხისათვის, რომელნიც დროებით იყვნენ ჩვენში შემოჭრილნი და სრულიად შემთხვევით, განსაკუთრებით რევოლუციის და ომის დროს. მაშინ ჩვენი ქვეყანა სავსე იყო სრულიად შემთხვევით შემოსულ ძალებით და რასაკვირველია ყოვლად შეუძლებელი იყო მიგვენიჭებია მოქალაქის უფლება ასეთი ხალხისათვის. პირიქით საჭირო იყო ჩვენი ტერიტორია განმენდილიყო იმ ხალხისაგან, რომელსაც არავითარი კავშირი საქართველოსთან არ ქონდათ, არც ფსიქოლოგიური, არც ნათესაობით და არც ეკონომიური. ჩვენ ტერიტორიაზე უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ის მკვიდრი მცხოვრებნი, რომელნიც მართლაც იყვნენ შეკავშირებულნი ჩვენ ტერიტორიასთან ეკონომიურად, ფსიქოლოგიურად, ჩამომავლობით და ნათესაობით.

ამნაირად, როდესაც ვარკვევთ მოქალაქეობის საკითხს, კიდევ ვიმეორებ, ჩვენს აზროვნებაში იხატება ტერიტორიალური იდეა და მას აქვს დიდი მნიშვნელობა მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტაში. ჩვენ რომ ავიღოთ და ჩვენს ტერიტორიაზე ყველა მცხოვრები გამოვაცხადოთ ჩვენს მოქალაქეებად; ეს იქნება ფაქტიური შეცდომა იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში არიან ბევრი ისეთი პირები, რომელნიც საქართველოსთან დაკავშირებულნი არ არიან, მაშასადამე, ჩვენ უფლება არ გვაქვს, ყველა გამოვაცხადოთ საქართველოს მოქალაქეებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იმყოფებიან ჩვენ ტერიტორიაზე. მეორეს მხრივ შეუძლებელია ჩვენ შევზღუდოთ ტერიტორიალური იდეით საქართველოს მოქალაქეობა იმიტომ, რომ ბევრი ქართველნი, როგორც ნათქვამი იყო, მართლაც არიან სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში, ისინი ჩვენ ტერიტორიასთან არიან დაკავშირებულნი სულით და გულით, ჩამომავლობით. ფსიქოლოგიურად შეიძლება ქართველი კაცი სცხოვრობდეს

შორს სადმე ამერიკაში, მაგრამ მას უფრო უყვარდეს თავისი სამშობლო, უფრო თავგანწირული იყოს მისთვის, ერთი სიტყვით გამოიჩინოს მეტი სამოქალაქო უნარი და სულიერი განწყობილილება, ვიდრე იმ ადამიანმა, რომელიც სცხოვრობს საქართველოში და ამისი შეგნება კი არ აქვს. აქედან სჩანს, რომ ამ ტერიტორიალურ იდეაში, რომელსაც საფუძვლად უდებთ მოქალაქეობას, უნდა შევიტანოთ შესწორება, დავუმატოთ მეორე იდეა – იდეა შთამომავლობისა.

ამ საზოგადო მოსაზრების მიხედვით პროექტის მეორე თავში ცოტა რამ არის ჩასამატებელი და ბევრი კი ამოსაშლელი. აი პირველ მუხლში სწერია: „საქართველოს მოქალაქეთ ითვლება შვილი საქართველოს მოქალაქისა", საკმარისია ეს ფრაზა წაიკითხოთ, დაინახავთ, რომ რაღაც აკლია. აქ აწერია „შვილი საქართველოს მოქალაქისა"–მაგრამ მოქალაქე თვით ვინ არის, ამაზე კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი. ეს დიდი შეცდომა არის, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ჩვენ შემოგვაქვს შესწორება: პირველი მუხლი უნდა იყოს ასეთი: „საქართველოს მოქალაქეთ ითვლება ის, ვინც უკვე აღიარებული იყო საქართველოს მოქალაქეთ"(სათანადო კანონით). ეს იქნება ლოღიკური იმიტომ, რომ გამოცემულ კანონში, სავსედ არის გატარებული ტერიტორიული პრინციპი.

მაშასადამე პირველ აბზაცში იქნება ნათქვამი, რომ საქართველოს მოქალაქე არის ის, ვინც უკვე ცნობილი იყო მოქალაქეთ და შემდეგ, სასურველია მოქალაქეებათ ითვლებიან ყველანი ამ პირთა ნათესავობით კავშირში მყოფნი- შვილი, ცოლი, ქვრივი, შვილად აყვანილი და სხვა. შემდეგ მისაღებია ჩვენთვის მოქალაქეობის მინიჭება ნატურალიზაციის წესით, მხოლოდ უნდა დაუმატო, რომ თვით წესი ამ მიღებისა უნდა იყოს განმარტებული ცალკე კანონით. იმიტომ რომ თვით წესი ამ მიღებისა უნდა იყოს განმარტებული ცალკე კანონით, იმიტომ რომ თვით წესი, თუ ვინ და სად უნდა შეიტანოს თხოვნა, ვინ უნდა იყოს განმარტებული ცალკე კანონით, იმიტომ რომ თვით წესი, თუ ვინ და სად უნდა შეიტანონ თხოვნა, ვინ უნდა განიხილოს და როდის- ეს არის პროცესუალური მხარე საკითხისა და ყოვლად შეუძლებელია ასეთი დეტალიზაცია შეტანილი იყოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციაში უნდა იყოს გამოხატული მხოლოდ ძირითადი პრინციპები სახელმწიფოს აღნაგობისა. ამიტომ მთელი 16 მუხლი უნდა ამოღებულ იქნას სრულიად თავისი შენიშვნებით, მაგრამ ამით არ მთავრდება ჩვენი შესწორებანი. მე-15 მუხლში კი უნდა დარჩეს პირველი -5 აბზაცი, სადაც არის ჩამოთვლილი რომ მოქალაქეთ შეიძლება იყოს მოქალაქის შვილი, ქორწინების გარეშე შობილი ჩვენი მოქალაქე დედისაგან, ცოლი ან ქვრივი მოქალაქისაგან, შვილად აყვანილი და უცხოეთში გათხოვილი ქალი, რომელიც დაქვრივების შემდეგ დაბრუნდება საქართველოში, აქამდის მისაღებია. მხოლოდ ამის შემდეგ რაც არის: სულ უნდა ამოიშალოს ბოლომდის, იმიტომ რომ აქ არის დეტალიზაცია, რომელიც ახდენს კოლიზიას სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობასთან,. აი შემდეგ აბზაცში სწერია, რომ მოქალაქეთ მიიღება შვილი უცხოეთში გათხოვილი და შემდეგ დაქვრივებული ჩენი მოქალაქე ქალისა, თუ ის არ განაცხადებს აურვულს მამის მოქალაქეობაში დარჩენისა, ეს დამატება ყოვლად მიუღებელია.

აიღეთ ასეთი მაგალითი, ქალს, რომელიც გათხოვდა საფრანგეთში, ეყოლა შვილი და იზრდება საფრანგეთში, ის სრულიად ფრანგი არის, შემდეგ თუ ეს ქალი დაქვრივდა და დაბრუნდა ჩვენში, თურმე ის გაფრანგებული შვილი მისი, რომელმაც ერთი სიტყვა არ იცის ქართული, თურმე ის გამოდის ჩვენი მოქალაქეთ, თუ ის არ განაცხადებს რომ მას სუ-

რს მამის მოქალაქეობაში დარჩენა, ჯერ ერთი, რა უფლება გვაქვს, როდესაც ვიცით, რომ საფრანგეთის კანონის მიხედვით ის ადამიანი ფრანგი მოქალაქეა, ვთქვათ, რომ ის ჩვენი მოქალაქეა. ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს. ამიტომ ეს დამატება მიუღებელია. იხილეთ მეორე მაგალითი. ამბობენ, ოსმალეთის ჰარამხანებს ამშვენებენ ბევრი ქართველი ქალები. ჩვენი კონსტიტუციით გამოდის, რომ ყველა მათი შვილები, რომ დაიზრდებიან, ეს ბეგები და ფაშები, მთელი ეს თათრობა, თუ არ განაცხადებენ უარს ოსმალეთის მოქალაქეობაზე, თურმე ჩვენი მოქალაქეები ყოფილან. ბატონებო, ჯერ ერთი ჩვენ ამის განხორციელებას ვერ შევძლებთ, მეორე რით გვინდა ასეთი ხალხი შემოვიყვანოთ და მესამე ჩვენ შევეჯახებით ოსმალეთს. ჩვენ არ გვაქვს უფლება შევეხოთ სხვის კანონმდებლობას. და ასეთი მუხლით კი აშკარა კოლიზია სტატუტების. იგი უნდა ამოვშალოთ.

იგივე უნდა ითქვას შესახებ იმ დამატებისა, სადაც ნათქვამია, რომ შვილი ქართველი ქალისა, რომელიც მითხოვდება უცხოელს და დარჩება საქართველოში, თუ არ განაცხადებს სურვილს მამის მოქალაქეობაში დარჩენისა, ითვლება ჩვენს მოქალაქედ, ეს იგივეა, რაც იყო წინა დამატებაში.

ეს შვილი არის საფრანგეთის მოქალაქე და რასაკვირველია ჩვენი უფლება არაა ის ვაღიაროთ ჩვენს მოქალაქეთ.

მე-17-ე მუხლს ვეთანხმები, რადგან 2 მოქალაქეობა შეუწყნარებელია. რაც შეეხება 18 მუხლს, მისი პირველი აბზაცი მისაღებია, მაგრამ მეორე აბზაცი უნდა ამოიშალოს. იქ ნათქვამია, რომ ჩვენი მოქალაქე, თუ იგი უცხო სახელმწიფოს სამსახურში შევიდა, ჰკარგავს საქართველოს მოქალაქეობას. მე მგონია ეს არც საჭიროა და ხელსაყრელი. მართალია ეს დებულება არის მიღებული ინგლისში, საფრანგეთში, დიდ სახელმწიფოებში, მაგრამ ეს დებულება ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და თუ რომელიმე ჩვენი მოქალაქე იმდენ ნიჭს გამოიჩენს რომ წავა საზღვარ გარეთ, გაიკაფავს გზას და სამსახურში შევა, ამისთანა კაცს ტაში უნდა დაუკრათ და არ ამოვშალოთ ჩვენი მოქალაქეობიდან.

ბევრი არის ისეთი ახალგაზრდა, ჩვენი მოქალაქე, რომელიც ისწრაფვის გააფართოვოს გასაქანი მოქმედებისა, იმუშავოს, მეტი შეიძინოს სხვაგან და ნუ დავემუქრებით ამისთანა ახალგაზრდას, რომ იგი ამოშლილი იქნება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა სიიდან იმისათვის, რომ ის უცხოეთში ადგილს დაიჭერს, დაიჭიროს, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, დაიჭიროს, მაგრამ ჩვენი მოქალაქე იყოს. მაშასადამე ეს დამატებაც უნდა ამოიშალოს.

შემდეგ უნდა ვსთქვა, რომ უკანასკნელ აბზაცშიც შესწორება უნდა შევიტანოთ. იქ არის ნათქვამი, რომ მოქალაქეობას კარგავს ქართველი ქალი, რომელიც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს სურვილს ჩვენ მოქალაქედ დარჩენისა. ჩვენ უნდა მივიღოთ, როგორც ყველგან არის მიღებული, რომ გათხოვება სცვლის მოქალაქეობას. ჩვენ პროექტში ვამბობთ, რომ საქართველოს მოქალაქეს ცოლი არის ჩვენი მოქალაქე, ისე რომ ქართველმა რომ შეირთოს ფრანგი ქალი, ეს უკანასკნელი ხდება ჩვენ მოქალაქეთ. ასეთი პრინციპი უნდა მივიღოთ იმ შემთხვევაშიც, თუ ქართველი ქალი თხოვდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზედ, იგი კარგავს ჩვენ მოქალაქეობას. აქ არ იქნება კოლიზია. აი ყველა ჩვენი მოსაზრებანი...

დეტალიზაცია არ არის ეხლა საჭირო, ეს მერმისის საქმეა, შეთანხმების, მოლაპარაკების და კონსტიტუციაში კი შესატანი არ არი.

ივანე ჯავახიშვილი
(1876-1940)

ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) თანადამფუძნებელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი და წევრი (1907-), საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

○ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს - 1921წ. 16 თებერვალი

წყარო/ბმული: http://archives.gov.ge/uploads/other/3/3971.pdf

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს - 1921წ. 16 თებერვალი

ღირებულება: თავისუფლება.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს

პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მონვეულს საგანგებო სხდომაზე

16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ, სამეცნიერო სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი და ფიზიკური ძალა გამოიყენონ ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ. უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულეტეტის პლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებებათათვის

რექტორი, პროფესორი. ივ. ჯავახიშვილი

ამასთანავე გაახლებთ აქვე დართულ სიას უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობისა.

ბენია ჩხიკვიშვილი
(1879-1924)

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, გურიის დროებითი პარლამენტის თავმჯდომარე (1905-1907), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. სოხუმის (1917-1918) და შემდგომ თბილისის (1919-1920) ქალაქის თავი. 1921 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორად.

● ბენია ჩხიკვიშვილის მიმართვა მოქალაქეებს - 1921წ. 22 თებერვალი

წყარო: „საქართველოს რესპუბლიკა", N40, თებერვლის 22, 1921 წ.;
ბმული: https://civil.ge/ka/archives/259235

ბენია ჩხიკვიშვილის მიმართვა მოქალაქეებს - 1921წ. 22 თებერვალი

ღირებულებები: თავისუფლება, ერი, დამოუკიდებლობა, დემოკრატია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა.

მოქალაქენო!

პირველი ბრწყინვალე გამარჯვება უკვე მოპოვებულია ჩვენი სახელოვანი ჯარის და გვარდიის მიერ.

დედაქალაქი საქართველოისა ფეხზე დამდგარმა ერმა ხელიდან გამოგლიჯა შემოსეულ მტერს – საბჭოთა რუსეთის და სომხეთის ბარბაროსებს.

მტერი წელში გაწყვეტილია, მაგრამ ის ჯერ თავ გასრესილი მაინც არაა.

არ მოგატყუილოს ვინმე ამ დიდმა გამარჯვებამ! ეხლა გვჭირია მთელი ძალღონის მოკრება, რომ დაწყებული გამარჯვება ღირსეულათ დავაგვირგვინოთ.

ამისთვის საჭიროა კვლავაც ერთსულოვნება კიდევ უფრო გაძლიერებული.

ყველა თავის სადარაჯოზე, ყველა თავის საქმეზე გაეშურეთ!

მებრძოლნო იარაღით ხელში ფრონტისკენ!

წესიერებას ყველა უნდა იცავდეს!

ერთი წვეთი ღვინო არ დაილიოს, ერთი მთვრალი ქალაქში არ იყოს!

ცნობის მოყვარე მოქალაქენი ქუჩებში უსაქმოთ სეირნობით ხელს ნუ შეგვიშლიან.

ვისაც ყავს ცხენი გამოსადეგი ყველამ თავისით მიიყვანოს ზურგის უფროსის სამმართველოში.

ვისაც აქვს თოფ-იარაღი და ხმარება არ შეუძლია, გადაეცით მთავრობას და ის ჩააბარებს მებრძოლთ ხელში იმ იარაღებს!

ერთი ვაზნაც არ დაიტოვოთ სახლში.

ყველაფერი ფრონტს, ყველაფერი თავდაცვას უნდა მოხმარდეს.

სიმშვიდე, წესიერება, ერთსულოვნება და გაბედულება აი რა გვიხსნის ჩვენ საბოლოოთ და რას უნდა ემსახურებოდეს ყოველი მოქალაქე.

ესაა ჩვენი ყველასი ვალდებულება დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თავისუფალი სამშობლოს წინაშე და ვინც ამას ნებით არ შეიგნებს, ასეთებისათვის მთავრობას იძულებითი საშვალებანი აქვს, ის ორგულებს არ დაინდობს!

აღმოსავლეთ საქართველოს გენ.-გუბ. ჩხიკვიშვილი
19 თებერვალი, 1921 წ.
თბილისი

ალექსანდრე სულხანიშვილი

(1896-1990)

ქართველი სამხედრო ოფიცერი, 1918-21 წლებში მსახურობდა საქართველოს ეროვნულ ჯარში. საქართველოს ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ იბრძოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმში და მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში.

- მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, 1922-1924 (ამონარიდი)

წყარო/ბმული: http://lveria.blz/214-mogonebebl-seflculta-razmze.html

მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

ღირებულებები: თავისუფლება, დამოუკიდებლობა

საშინლად აღმაშფოთებელი იყო 1921 წლის დამარცხება, მაგრამ საჭირო იყო მოვალეობის მოხდა ისტორიის წინაშე. მტერმაც მოგვცა საამისო საბაბი. საქართველოს დაკავების დღიდანვე შეუდგნენ რუსები საუკეთესო მამულიშვილების დევნას, გადასახლებას, დახვრეტასა და ქვეყნის დანიოკებას. ქართველ ერშიაც იმავე დღიდან დაიწყო ძალების შემოკრება, დარაზმვა და ბრძოლისათვის მზადება. ერთი ასეთი საშუალებათაგანი იყო პარტიზანული ბრძოლების გაჩაღება, არევ-დარევის შეტანა მტრის ბანაკში.

ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელიც თავიდანვე გამოირჩეოდა ქართველ მხედრობაში თავისი მაღალი პატრიოტიზმითა და გმირული თვისებებით. მე, როგორც ამ რაზმის ერთ-ერთმა წევრმა, გადავწყვიტე ზოგიერთი ცნობების მიწოდება მომავალი თაობისათვის. მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა ამას, რომ დღეს ამ წრიდან ბევრი აღარ არის ცოცხალი და არც არავის დაუწერია აქამდე რაიმე ამის შესახებ.

ამნაირად, ჩემი მოგონებები აგებულია ცოცხალ ფაქტებზე. ყველაფერი, რაც მე მინახავს, განმიცდია და რის მოწმეც ვიყავ პირველი დღიდან ბოლომდე, გადმოცემული მაქვს მიუდგომლად. შეიძლება ზოგი რამ გამომრჩა, ანდა დამავიწყდა, მაგრამ ჩვენი ბრძოლების მთავარი მოვლენები და ფაქტები სწორად მაქვს აღნიშნული. ამდენად, იმედი მაქვს, რომ ჩემი მოგონებები ზოგიერთ საყურადღებო მასალას მიაწვდის მკითხველს შეფიცულთა რაზმის მოქმედების გასაცნობად. ამ ბრძოლის დროს ჩვენ ვალში არ დავრჩენილვართ სამშობლოს წინაშე; გავაკეთეთ, რაც მძიმე პირობებში იყო შესაძლებელი, ამას შევწირეთ არა მარტო ჩვენი პირადი ცხოვრება, არამედ ჩვენი ოჯახებიც.

ამით მიგვინდვია ისტორიისათვის ჩვენი მოქმედების ავ-კარგის განსჯა, ხოლო მაღალმა ღმერთმა უწყის, რომ არ დაგვზარებია ჩვენი სიცოცხლის გაწწირვა სამშობლოსათვის.

... იმ მთებში რამდენიმე ფშაველი ოჯახი ცხოვრობდა და მათ დაგვიკლეს სააღდგომო საკლავი. მოგვივიდა ღვინოც და ეს დღესასწაული ისე ვიუქმეთ, როგორც წესი და რიგია. ამ დღეს სტუმრებიც გვყავდნენ, რა თქმა უნდა, მოკავშირეები და დიდად სანდო კაცები. მათ შორის იყო ჩვენი საუკეთესო მოკავშირე, ხევსური დიმიტრი ქინქარაული, რომელსაც ხევსურები „ბაბო"-ს ეძახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ ორკლასიანი განათლება ჰქონდა მიღებული, იყო დიდად ნიჭიერი კაცი და ჭეშმარიტი ქართველი. მან ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია. სხვათა შორის, დიმიტრი გახლდათ ესპერანტოს ჩინებული მცოდნეც და მიმოწერა ჰქონდა არა მარტო ინგლისსა და ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. იგი ხევსურეთიდან ჩამოსახლებულა კახეთში, თელავის მაზრაში. შროშანის ტყეებში, სადაც ის ცხოვრობდა, მის გარდა კიდევ ათიოდე კომლი ხევსური მოსახლეობდა. დიმიტრი გახლდათ მათი ხევისბერიც.

სააღდგომო ნადიმის სუფრაზე თავ-თავის ალაგას ჩამოლაგდნენ დამსწრენი. რაღა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ უპირატესობა სტუმრებს ეკუთვნოდათ. არაერთი პატრიოტული სიტყვა წარმოითქვა ამ სუფრაზე, მაგრამ მათგან მხოლოდ დიმიტრის მიერ წარმოთქმული სიტყვები ჩამრჩა დღემდე მეხსიერებაში. ასე მოგვმართა მან მთელ რაზმს: „დღეს ჩვენ ვუქმობთ ბრწყინვალე საქრისტიანო დღეს, აღდგომას, და მასთან ერთად ბრძოლის დასაწყისს წმინდა საქმისათვის. აი, ამ მთებში ბალახმა აიტანა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დაქნილი ბილიკები. რუსეთის უსამართლობას ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ვითომდა მოყვრულად მოსულნი, მტრად გადაგვექცნენ, რომლებიც ოჯახებს გვინიოკებდნენ და ქალებს გვიუპატიურებდნენ. იგივე მეორდება დღესაც. შენ, ქაქუცაო, - მიმართა მას, - შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელი ბილიკები, თქვენ, რაზმელებო, - მოგვმართა ახლა ჩვენ, - ალბათ გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა თავის ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი[1], რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლამაზი ქვეყნის სიდიადე. ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს. ეს არის ჩვენი მთავარი მტერი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შეძლო ჩვენმა მამა-პაპამ. ჩვენი წინაპრების თავგანწირული ღვაწლის მეოხებით კიდევ ღვივის საქართველოს ნაპერწკალი. ჩვენ არ უნდა ჩა-

ვაქროთ ეს ნაპერწკალი. დღეს თქვენზეა დამოკიდებული ამ ნაპერწკლის გაღვივება. მაშ, გაუმარჯოს დიდი თამარის და ერეკლეს საქართველოს!.."

ამის შემდეგ ასე მიმართა ბელადმა დამსწრე საზოგადოებას: „ისეთი სიტყვა წარმოსთქვა დიმიტრიმ, რომ ბევრი რამის დამატება აღარ არის საჭირო. დღეს ჩვენი სამშობლო გასაჭირშია. რუსეთმა ხელმეორედ გამოგვგლიჯა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მრავალჯერ ყოფილა ანიოკებული ჩვენი ქვეყანა, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ ჩვენს წინაპრებს და არ დამორჩილებიან მტერს. მათ ბრძოლა უგრძელებიათ. დღეს ჩვენ გვხვდა წილად, რომ პირველებმა დავიწყოთ ბრძოლა და მთელ ქვეყნიერებას ვაჩვენოთ, რომ საქართველოს თავისუფლება სურს თავის მიწა-წყალზე და არ დაემორჩილება არავითარ მტერს. გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს და ამ ჩვენი პატარა რაზმის მისწრაფებას!

მიხეილ ჯავახიშვილი
(1880-1937)

ქართველი მწერალი, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

● შვიდი თავისუფლება, 1906წ.

წყარო: გაზეთი "გლეხი" - 1906, 28 ივნისი;
ბმული: https://gdl.ge/uploads/other/0/427.pdf

შვიდი თავისუფლება

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია, მოქალაქეობა.

იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს თვით ხალხი განაგებს, თავის არჩეულ სანდო კაცების შემწეობით, ყოველს მცხოვრებს აქვს უფლებები, რომელთა წართმევა ან შელახვა არავის შეუძლიან. ამ უფლებებით ყველა სარგებლობს, რა ტომისა, რა წამომავლობისა, ან რა რჯულისაც არ უნდა იყოს, სარგებლობს მდიდარიც და ღარიბ-ღატაკიც. ამ უფლებათა თავისუფალ სარგებლობას უწოდებენ თავისუფლებას. ამისთანა თავისუფლება შვიდია. აქ ჩამოვთვლით მათ და თან განვმარტავთ, თუ რაში მდგომარეობს თვითოეული მათგანი:

I პიროვნების ხელშეუხებლობა

ე.ი. არავის, არც მთავრობის კაცს, არც სხვას არ შეუძლია ტყუილუბრალოდ ვინმე შეურაცხყოს ან ავნოს რამე. არავის შეუძლიან დააპატიმროს ადამიანი, თუ ხელთ სასამართლოს დადგენილება არა აქვს. მოსამართლეს კი თავად ხალხი ირჩევს და ხელი არა აქვს სასამართლოს მოქმედებაში. მაგალითად, ინგლისში ამისთანა წესია: ვთქვათ, ვისმეზედ ეჭვი მიიტანეს, რომ მან ბოროტმოქმედება რამე ჩაიდინა ან დანაშაულობა რამე მიუძღვის და დააპატიმრეს. დაპატიმრებული 24 საათის (ხოლო იმ ადგილებში, საცა მსაჯული არ არის და იგი დაშორებულია), 3 დღის

განმავლობაში უნდა წარუდგინონ მსაჯულს. მსაჯული გამოუცხადებს, თუ რა ბრალსა სდებენ და დაუყოვნებლივ გამოიძიებენ საქმეს. თუ აღმოჩნდა, რომ დაპატიმრებული დამნაშავეა, მაშინ მსაჯული წერილობით ბრძანებას გასცემს, რომ დამნაშავეს დაპატიმრება გაუგრძელონ, და სასამართლოში აძლევს. მსაჯულმა თავის ბრძანებაში უნდა აღნიშნოს დაპატიმრების მიზეზიც.

ხოლო თუ მსაჯულმა სცნო, რომ კაცი უსაფუძვლოდაა დაპატიმრებული, და გაათავისუფლა, პატიმარს უფლება აქვს სისხლის სამართალში მისცეს ის, ვინც მის დაპატიმრების ბრძანება გასცა, გინდ ეს დიდი მოხელეც იყოს, და აგრეთვე ისინიც, რომელთაც ეს ბრძანება აასრულეს. ნაპატიმარს შეუძლიან, აგრეთვე, მოსთხოვოს მათ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მას უსაფუძვლო დაპატიმრებამ მიაყენა. ხალხის მოხელე ან ის პოლიციელი, რომელმაც დააპატიმრა, თავს ვერ გაიმართლებს მით რომ, მე „უფროსმა მიბრძანაო". უმცროსი მოხელე მოვალე არ არის, აასრულოს უფროსის ბრძანება, რომელიც უსაფუძვლოდ ან უკანონოდ მიაჩნია, და თუ ამისთანა ბრძანება აასრულა, იგი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

არცთუ ვინმეს ბინაში შესვლა, იქაურობის გაჩხრეკა და გადაქოთება შეუძლიან პოლიციას, ხელთ სასამართლოს წერილობითი ბრძანება არა აქვს, და ისიც მხოლოდ მზის ჩასვლამდის შეუძლიან. არავის შეუძლია წერილების გახსნა ფოსტაში, თუნდ უმაღლესი მოხელისაგან ჰქონდეს ნაბრძანები. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ აქვთ სასამართლოს წერილობითი ბრძანება. ამის დამრღვევი პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე.

ყველას, იქნება ეს ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი, ფრანგი ან სხვა რაიმე ტომის ან რჯულის კაცი, თავისუფლად შეუძლია, საცა უნდა იქ წავიდეს ან დასახლდეს, რა ხელობასაც უნდა იმას მოჰკიდოს ხელი, ან სხვადასხვა ქონება შეიძინოს. ქაღალდები კი, რომელშიც კაცის გვარი, სახელი, წლოვანება და სხვაა აღნიშნული (ეგრეთ წოდებული პასპორტები), და ურომლისოდაც ჩვენში კაცი ფეხს ვერ გაადგამს, განათლებულ ქვეყნებში უცხო ხილია. ამერიკაში ყველას იარაღის ტარების უფლებაც კი აქვს.

იმ ქვეყნებში, საცა პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობაა, შეუძლებელია, რაც ჩვენში ეხლა ხდება: იქ ვერ იფარფაშებს უბრალო ჩაფარი, ყაზახი, პოლიციელი ან აფიცერი, რომელთაგან თვითეული ჩვენში ნამდვილი მეფეა და მთელ ხალხს თავის ქეიფზე ათამაშებს. გუბერნატორი იქ ვერ გამოსცემს საგანგებო წესებს, რომლის ძალითაც უბრალო დანაშაულობისათვის კაცს სიცოცხლეს უსპობენ. შეუძლებელია იქ ტყუილ-უბრალოდ საომარ დროის წესების გამოცხადება, ხალხის დახოცვა და ქუჩაში ხალხის უდიერი ჩხრეკა, ცემა-ტყეპა და ყველა ის, რაც ჩვენებურს კაცს კარგა აქვს გაცნობილი.

II სინდისის და რწმენის თავისუფლება

ე.ი. ყველას თავისუფლად შეუძლიან თავის რწმენა, აზრი იქონიოს, თავის რჯულს მისდიოს. შეუძლია სწამდეს ღმერთი, უარჰყოს იგი, ერთი სიტყვით თავის აზრის, რწმენისა და რჯულის საქმეში არავის არ უნდა დაეკითხოს, არავის შეუძლია ძალით მოახვიოს ესა თუ ის აზრი, რწმენა და რჯული. მით უმეტეს არავის შეუძლია ამა თუ იმ აზრის, ან რჯულის გულისათვის შეაწუხოს, ან სდევნოს ვინმე. ყველა ეს სინდისის საქმეა და მისი შეზღუდვა, შევიწროება არავის შეუძლია.

III და IV თავისუფლება სიტყვისა და წერა-კითხვისა

ე. ი. ყველას თავისუფლად შეუძლია თავისი აზრი, რწმენა გამოსთქვას, დაწეროს ან დაბეჭდოს. ამისათვის ყველას თავისუფლად შეუძლია სტამბა იქონიოს და ჰბეჭდოს ყოვე-

ლგვარი წიგნები, წიგნაკები, ჟურნალ-გაზეთები, ფურცლები და სხვა. და ყველა ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო მთავრობის რაიმე ნებართვა. ამ წიგნაკებში, ჟურნალ-გაზეთებში, ფურცლებში ყველას თავისუფლად შეუძლია ანგარიში გაუწიოს ან გაჰკიცხოს მთავრობისა და მოხელეთა მოქმედება, ძალიან წარჩინებულნიც რომ იყვნენ ეს მოხელენი. დაბეჭდილ წიგნაკების, ჟურნალ-გაზეთების და ფურცლების გავრცელება და ვაჭრობა ყველას თავისუფლად შეუძლია.

აგრეთვე ყველას შეუძლია თავისუფლად ლაპარაკი კრებებზე, ყრილობებზედ. ყველას თავისუფლად შეუძლია გაჰკიცხოს და ანგარიში გაუწიოს მთავრობისა და მოხელეთა მოქმედებას და არავის შეუძლია ეს დაუშალოს.

ხოლო თუ ვინმემ ბოროტად გამოიყენა ეს თავისუფლება და ლაპარაკში ცილი დასწამა ვისმე, ჭორი გაავრცელა ან ტყუილი ცნობა მიაწოდა ხალხს, მაშინვე დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

სიტყვის და წერის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და იმიტომ არის საჭირო, რომ მოხელეთა ძალმომრეობა შეიზღუდოს, თუ მსაჯული უკანონობას ჩაიდენს, მოხელე ქრთამს აიღებს ან დასჩაგრავს ვისმე, ვინ გამოესარჩლება უძლურს? თავისუფალი სიტყვა. რაკი თავისუფალი სიტყვის შემწეობით უკანონობას გაიგებენ, ხალხი ეცდება თავიდან აიშოროს და დასაჯოს ამისთანა უკანონობის ჩამდენი.

V თავისუფლება კრებისა

ე.ი. ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა შეიკრიბნენ, რათა თავიანთ საქმეებზე და სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მოილაპარაკონ. ამისთვის სრულიადაც საჭირო არ არის მთავრობის რაიმე ნებართვა ან განცხადება. ხალხს შეუძლია მრავლად შეიკრიბოს და ქუჩა-ქუჩა იაროს სიმღერით, დროშებით და სხვა. არც თუ ამის დაშლა შეუძლია ვისმე, ამ კრებებზე თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი სხვა და სხვა საგნებზე, მთავრობის, მოხელეთა მოქმედებაზე და სხვა...

კრების თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, რადგან ხალხს თვითმოქმედებას აჩვევს...

VI კავშირგაბმულობის თავისუფლება

ე.ი. თუ რაიმე მიზნის მისაღწევად რამდენიმე კაცს შეერთება, შეკავშირება სურს, არავის შეუძლია ამის დაშლა. კავშირების შედგენა ერთობ ესაჭიროებათ მუშებს და გლეხებს. და საზოგადოდ მათ, ვინც სხვა და სხვა მეპატრონეთაგან არის დაჩაგრული და შევიწროებული. მეპატრონენი და მემამულენი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოსწოვონ მუშებს და გლეხებს. ამიტომ მეპატრონეს ან მემამულეს სრულიად არ აწუხებს მუშისა და გლეხის გაჭირვება. ღარიბმა და მშრომელმა ხალხმა კარგად იცის, რომ მეპატრონენი და მემამულენი მათ გაჭირვებას არ უშველიან: მუშა და გლეხი შეიძლება წელებზე ფეხს იდგამდეს, სნეულდებოდეს, სიბნელით იყოს მოცული, შიშველ-ტიტველი და მშიერი დაიარებოდეს, ყველა ეს არ აწუხებს მეპატრონეთ და მემამულეთ. მუშებმა შეიგნეს, რომ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თვითონვე უნდა იზრუნონ. და აი ამისთვის ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან, შეთანხმებულ მოქმედების პირობას სდებენ და კავშირს აარსებენ. ყოველი

მუშა ცალცალკე მეპატრონესთან ბრძოლაში სუსტია. იგი ვერაფერს გააწყობს მასთან. მეპატრონე ადგილიდან დაითხოვს და მის მაგიერ მისვე ამხანაგს მიიღებს. ხოლო თუ მუშები პირობას დასდებენ, რომ ერთი პირი იქონიონ, ერთად იმოქმედონ, მაშინ ისინი უკვე ძალას წარმოადგენენ, იმისთანა ძალას, რომელსაც მეპატრონემ ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიოს. მაშინ იგი ისე უდიერად ვეღარ მოეპყრობა მუშებს, რადგან იცის, რომ ერთს რომ აწყენინოს, ან ტყუილუბრალოდ დასაჯოს, მას ამხანაგები გამოესარჩლებიან. ძალაუნებურად უთმობს მუშებს და თანდათან მუშები აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.

გლეხებსაც სჭირიათ შეკავშირება: მემამულეებთან საბრძოლველად და მეურნეობის გასაძღოლად. მემამულეებთან საბრძოლველად გლეხები კავშირს აარსებენ და საიჯარო ქირის შემცირებას მოითხოვენ. თუ მემამულემ არ დაუთმო, მაშინ ისინი მოსამსახურეთ ჩამოართმევენ, მუშებს არ მისცემენ მიწებს დასამუშავებლად და სხვა. შეკავშირებულ გლეხებს შეუძლიათ მთლად ჩამოართვან მიწები მემამულეებს. როდესაც შეერთებულის ძალით ებრძვიან მემამულეებს, გლეხები ყოველთვის თავისას გაიყვანენ, იმიტომ, რომ ერთი პირი აქვთ, თორემ წინად ერთი რომ უარს ეტყოდა უზომო იჯარის ფასის გადახდაზე, მისსივე მეზობელი იღებდა მიწას.

გაუმჯობესებულ იარაღის, კარგი თესლის შესაძენად და ნაწარმოებ საქონლის, პურის, კვერცხების, ერბოს და სხვა გასაყიდად გლეხებს კავშირები ესაჭიროებათ. გაუმჯობესებული იარაღის და საუკეთესო თესლის შესაძენად საჭიროა დიდი ფული. ერთი გლეხი ვერ შესძლებს ყველა ამის შეძენას. საერთო ძალ-ღონით კი, საერთო ფულით, გლეხები შესძლებენ როგორც გაუმჯობესებულ იარაღის, ისე საუკეთესო თესლის შეძენას. საქონლის გასაყიდად გლეხმა საჭიროა იცოდეს, საით წაიღოს საქონელი, რამდენი დაამზადოს, - ამასაც იგი მარტოკა ვერ მოახერხებს. ამასაც ხარჯი უნდა! საზოგადო ძალ-ღონით კი მათ შეუძლიანთ გაიჩინონ საზოგადო საწყობი, საზოგადო დუქანი, იქონიონ მიწერ-მოწერა ვაჭრებთან და მყვლეფელ ჩარჩებსაც თავს დააღწევენ. ამრიგად, კავშირებს გლეხებთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

VII გაფიცვის თავისუფლება

ე.ი. ქარხანა-ფაბრიკის, სოფლის მუშებს საზოგადო სავაჭრო, საზოგადოებრივ და საქალაქო დაწესებულებაში მოსამსახურეებს, თუ მათი გაჭირვება აუტანელი გახდა, შეუძლიანთ გაფიცვა გამოაცხადონ, ე. ი. მუშაობაზე ხელი აიღონ და ამისათვის პასუხს არ აგებენ.

თუ გაფიცვის თავისუფლება არ არის, კავშირების თავისუფლება მაშინ ფუჭი სიტყვა იქნება, და ხალხს არ მოუტანს იმ სარგებლობას, რომლის მოტანაც შეეძლო. ერთმა მუშამ მუშაობა აღკვეთოს, მეპატრონე მაშინვე დაითხოვს, მაგრამ თუ მრავალი მუშა, მთელი კავშირი სწყვეტს მუშაობას, მაშინ მეპატრონე იძულებულია დაუთმოს, რადგან თვითეული მოცდენილი დღე მას დიდ ზარალს აყენებს. ხოლო მუშების დათხოვნა არ შეუძლიან, რადგან დათხოვნილ ამხანაგების ადგილის დაჭერას არავინ იკისრებს. ამრიგად, რათა კავშირის მოქმედებას რამე ნაყოფი ჰქონდეს, საჭიროა კავშირების თავისუფლებასთანავე გაფიცვის თავისუფლებაც არსებობდეს; ხოლო თუ გაფიცვის თავისუფლება არ იქნება, მაშინ ყოველ გაფიცვაში მთავრობა ჩაერევა თავის ჯარით და პოლიციელებით და მუშებს გაფიცვას შეაწყვეტინებს, რადგან მუშები გაცილებით სუსტნი არიან, ვიდრე მეპატრონეთა და ჯარის კავშირი.

ამრიგად, ყოველ მშრომელს გაფიცვის თავისუფლება ისევე ესაჭიროება, როგორც დანარჩენი თავისუფლება.

ამრიგად, პიროვნების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სინდისისა და რწმენისა, სიტყვა- წერისა, კრებისა, თავისუფლება კავშირებისა და გაფიცვისა, აი, ის შვიდი უმთავრესი თავისუფლება, რომელიც უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, რჯულისა და ეროვნებისა.

უბის წიგნაკიდან, 1924-1935 წ.წ.

წყარო/ბმული: https://burusi.wordpress.com/2009/06/10/mikheil-javakhishvili/

ღირებულებები: თავისუფლება, ერი, დამოუკიდებლობა, დემოკრატია, მოქალქეობა, თანხმობა, პატივისცემა.

1924

დამარცხებული და განადგურებული საქართველო დაემსგავსა ქეციანს, დაღრეჯილს, დაშინებულ და კბილებალესილ მგელს;

ქართველებს გულში ჩირქი დაუგუბდათ და სულში ხანძარი მოედოთ;

ორი მეგობარი: ბოლ. და მენ. 1920წ. შეხვდნენ ერთ ოჯახში. მენ-მა ის არ დააპატიმრა. მეგობარმა და ნათესაობამ დასძლიეს სახელმწიფო. 1924 წ. ბოლშევიკმა შეიტყუა მენშევიკი და დააპატიმრა.

სახელმწიფო მანქანას ყალიბი არა აქვს. იგი ხალხს ამსხვრევს და ნაგლეჯებს აქეთ-იქით ჰყრის. საქართველო გაიტენა ქვრივებით, ობლებით, ცრემლით და ვაებით.

1925

1925 დეკ. ყრილობაზე მარიამ ორახელაშვილმა განაცხადა: სხვა ენები მოვსპოთ და რუსულის სწავლა გავაძლიეროთ, რათა ჩვენებს შეეძლოთ რუსეთში სამსახური. მეფის მოხელეებს ამაზე მეტი არაფერი უთქვამთ.

პირდაუბანელი, დაუვარცხნელი, დაკონკილი, აგრეხილი, კუზიანი ტფილისი(ქუჩები), აწეწილი.

1926

ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის შესარიგებლად საჭიროა ერთ-ერთი: ან ქართველი ხალხი უნდა გარუსდეს, ან ხელისუფალი გაქართველდეს. ჯერჯერობით არც ერთია შესაძლებელი, არც – მეორე. მაშასადამე, ხრამი ისევ ხრამად რჩება.

მიწა ჩემი სველია სისხლისა და ცრემლისგან; გული ჩემი სავსეა დარდისა და სევდისგან.

1927

დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია, და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც კი გააცოცხლებს.

„იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვიღა იქნებოდა!“ – ასე იწყება დღეს ზღაპარი. 1929/30

25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მქრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითიდღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ."

ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს შენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც მოითხოვს.

დედა-მდინარევ სამი ათასი წელინადია, რაც სწითლდები. დღეს რაც წითელი ქსოვილი მოიძებნებოდა, შენს ნაპირებს გადააფარეს, მაგრამ მაინც ვერ განითლდი. წითელი კი ხარ სისხლით

25 თებერვალი – უქმე პატივახდილი დედაკაცის უქმეა, რომელიც სწორედ 25 თებერვალს იხმარეს ძალით"

ბაზალეთის ტბის ძირიდან განგებამ ოქროს აკვანი ამოიღო. იმავე განგებამ სამი წლის შემდეგ წითელ ხიშტით უკანვე ჩააგდო.

ორი მეგობარი: ბოლ. და მენ. 1920 წ. შეხვდნენ ერთ ოჯახში. მენმა ის არ დააპატიმრა. მეგობარმა და ნათესაობამ დასძლიეს სახელმწიფო. 1924 წ. ბოლშევიკმა შეიტყუა მენშევიკი და დააპატიმრა.

იმისა და ახალი ქვეყნის შუა 25 თებერვალი ისე აიყუდა, როგორც გარდაუვალი მყინვარი.

დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია. საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სადმე. მხოლოდ სრულ თავისუფლებას შეუძლიან ეს უცხო სისხლი მოგვაშოროს. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განგვკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს – „ჩვენ კი – ჩვენ ჩვენ თავს არ ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენიარა.

2/VI-25 წ. მუხრანში ვიყავი. ილია ჭავჭავაძის მკვლელი მაჩვენეს. არ დავიჯერე. ლევან მეტრეველმა დამიდასტურა. შუ ტანის ჩასხმული მხეცი. ხშირი ულვაში. გრუზა. გმირად არის ჩათვლილი. ეხლა ყოველივე ცხადიაა. მაგონდება: 1909 ან 10 წელს სამიოდე იმის ამხანაგს სიკვდილი გადაუწყვიტეს. საზოგადოებამ პატიება სთხოვა. ოლღასაც მიაწერინეს წერილი. აპატიეს. მაგრამ ისტორია გვაპატიებს? დიდად მნშვნელოვანი ფაქტია. დაწვრილებით განვითარდეს. ეს კაცი მერე ხვრეტდა იმ ხალხს, რომელთაც ის გადაარჩინეს.

ბერბიჭაშვილი – ილიას მკვლელი 1925/XII აირჩიეს ც.საკ. კომ. წევრად!

ბოლშევიზმი უმნიკვლო და უზადო სარკეა რუსის ხალხის. იგი მისი შვილიც არის, დედაც, შობილიც, მშობელიც. ორივ ერთია, განუყრელია. ვინც ეს ჭეშმარიტება გაიგო, მან ყოველივე გაიგო. დროა გათავდეს უუყალბესი ზღაპარი, ვითომ ხალხი სხვა იყოს, ბოლშევიზმი კი – რაღაც განყენებული, ციდან ჩამოვარდნილი რისხვა. ვინც ასე მსჯელობს, თავს ვერ დააღწევს სქოლასტიკურ პოლიტიკას ან პოლიტიკურ სქოლასტიკას.

ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲐ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ-ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ (ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘ)

(1864-1929)

პოეტი, პროზაიკოსი, რედაქტორი. განდეგილმა დიდი ამაგი დასდო ქართველი ქალის უფლებების დაცვის საქმეს, 1914 წელს მან დიდი წვლილი შეიტანა „ქართველ ქალთა საზოგადოების" დაარსებაში.

○ პატარა ერის დიდებულნი ასულნი, 1926წ. (ნაწყვეტი)

წყარო: ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბ., 1976, გვ. 12; გაზეთი "სახალხო ფურცელი", 1926, № 478

პატარა ერის დიდებულნი ასულნი

ღირებულებები: თავისუფლება, მოქალაქეობა

დედაკაცი საფუძველია ბედნიერებისა, იგი ბურჯია ოჯახის, საზოგადოების და ერისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა. რამდენად მთლიანი თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია აზროვნება. ეს წვეთია კაცობრიობის ოკეანესი. ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არ არის, არამედ თავისუალი ადამიანია. თუკი რამ საკაცობრიო შექმნა მამაკაცმა, ეს დედაკაცის ნების და უნებლიე გავლენით. მოსპეთ დედაკაცი როგორც პიროვნება და მოისპობა თვით მშვენიერება.

შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. დედამ ოჯახი სკოლად უნდა აქციოს, შვილს ქართული სული შთაბეროს, ამცნოს თავისუფლება და მოვალეობა, შეაყვაროს შრომა, იხსნას ნივთიერი სიღატაკისაგან და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ბედნიერებას. ახსოვდეს, რომ თუკი ოდესმე სჭირდება მამულს დედა, ის დღევანდელი საქართველოს უფრო სჭირია იგი.

კონსტანტინე გამსახურდია

(1893-1975)

ქართველი მწერალი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. აქტიურად მონაწილეობდა ევროპაში ჩამოყალიბებული "საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მუშაობაში. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს ატაშე.

- ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი , 1921წ.

წყარო/ბმული: http://al-la.info/online-arqivi/21-konstantine-gamsakhurdias-gia-cerili-leninisadmi.htm

ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი

ღირებულებები: თავისუფლება, სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, ერი, პოლიტიკა, დემოკრატია.

უპირველესი ჩემი სურვილია ამ წერილმა თქვენამდის მოაღწიოს. ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი. ჩემში ლაპარაკობენ ტკივილები ქართველი ხალხისა. რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება არასოდეს ისე გამწვავებული არ ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა თქვენი წითელი არმია განმანთავისუფლებელის ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოში. დღევანდელი რუსეთი უფრო დიდ მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოს აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გაჰხადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს.

ვინ არ იცის, რომ საქართველოში უფრო მეტი კომუნისტია, ვიდრე ტფილისური კომპარტიის რეგისტრაციაში ირიცხებიან, მაგრამ ისინი, როგორც ქართველი პატრიოტები ვერ თანამშრომლობენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული.

ნუთუ დღეს ყველასათვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური „ნიუანსების და შტრიხების" წაშლა აწი აღარ შეიძლება? რამდენადაც რუსეთის კომუნიზმი ანტანტის მოპირდაპირე

იდეოლოგიაა, მემარცხენე რუსეთმა მაინც უნდა დაინახოს, რომ ამ ნაციონალური „შტრიხებისა და ნიუანსების" მიფუჩეჩება მეოცე საუკუნეში აღარ შეიძლება. ამის მსხვერპლი გახდა ნაპოლეონი. იგივე შეცდომები გაიმეორეს ვერსალში...

ყველამ წაიკითხოს ნაპოლეონის სანტ ჰელენის მარტვილობის დროს დაწერილი სტრიქონები: „მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ!"

საქართველოში ორიოდე თაობა შეიწირა ძველი რუსეთის ტლანქი ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალურ სახელმწიფოსათვის ბრძოლამ. ვერავინ უარყოფს, რომ დღეს ტფილისში ძველი შეცდომების გამეორებას ლამობენ. თქვენი ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის" განმეორებას! თუ მემარცხენე რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.

მე პირადად, როგორც ქართველ პატრიოტს, სრულიად არ მაშინებს ყველაფერი ის, რაც დღეს ტფილისში ხდება. საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიად არასოდეს ჩამითვლია ის იმპრესიონისტულად შეთხზული ნოტები, რომელიც დემოკრატიული მთავრობის დროს პარიზიდან და ლონდონიდან მოდიოდნენ ტფილისში, საქართველოს „ფაქტიურ" და „დე იურე" ცნობის ჟამს. არც ის პათეტიკური სიტყვები, რომლითაც ანტანტის დიპლომატები გვიმასპინძლდებოდნენ ტფილისურ ბანკეტებზე.

ერთად ერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს, უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს.

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას. მერწმუნე: ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები და მაკ სვეინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

კონსტანტინე გამსახურდია
1921 წელი

Anno 1923

(1923 წელს გამოცემული გაზეთ „საქართველოს სამრეკლო"-ს მეთაური წერილი)
წყარო/ბმული: https://poetry.ge/poets/konstantine-gamsakhurdia/essay/9519.anno-1923.htm

---

ღირებულებები: თავისუფლება, მოქალაქეობა,
დამოუკიდებლობა, ერი, საზოგადოება, პროგრესი.

ხვალ საქართველო ძველი ტკივილებიდან ახალი წლის იმედებისაკენ ხელს გაიშვერს. წელიწადი და საუკუნე არაფერს მისცემს ქვეყანას, თუ მას არაფერი აქვს თავის თავისთვის მისაცემი. ყოველი წელი ჩვენგან ელის თავის შინაარსს, ყოველი დრო ჩვენგან მოითხოვს ახალ სიტყვას და ახალ საქმეს. დრო თავისთავად ცარიელი სიტყვაა, იგი ჩვენს გარეშე არ

არსებობს. დრო ცარიელი საწყაულია, რომელიც ჩვენგან ითხოვს მუდამ შევსებას. მოდიან სასტიკი და ულმობელი წლები, მოისწრაფიან პირგამეხებული საუკუნის მესაყვირენი.

რაც უფრო წინ მიდის ადამიანის მოდგმა, მით უფრო რთულდება მსოფლიოს შეგნებისა და ბუნების დამორჩილების მაშინერია.

დღეს არც ერთ ერთს არ შეუძლია იმით ამაყობა, რაც ის ყოფილა, დღეს ყოველ ერი იმით ამაყობს, რაც ის არის; არა წელთა დაზიდულობა იძლევა წონას, არამედ შემოქმედების ხელმწიფეობა. ძველ ქართულ პატრიოტიზმს წარჩინებული წინაპრების მანდატით მოჰქონდა თავი. ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს, რომელიც მხოლოდ წარსულს დაემაყრება. ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს, რომელიც წინაპართა მავზოლეუმის ჩრდილს შეაფარებს თავს. მკვდრები - რაგინდ წარჩინებულნიც იყვნენ - ცოცხლების მაგივრად ვერ ილაპარაკებენ.

ჩვენ უარვყოფთ იმ რბილკანიან თაობათა იმედებს, რომელთაც ქალაჩუნური აღთქმებით მიაძინეს ქართული შემოქმედების სამერმისო იმპულსი. ჩვენ უარვყოფთ იმ თაობებს, რომელთაც ქართველ ერს გზა-კვალი აუბნიეს ქიმერიული იდეალებით. მოდიან სასტიკი და ულმობელი წლები! ადამიანის მოდგმა საშინელ ტკივილების კონვულსიებით იკაფავს გზას ახალი შემოქმედებისაკენ. ინგრევიან ძველი ციტადელები, ილეწება ძველი სამყარო და სამშვიდობოს მხოლოდ ის ერი გააღწევს, რომელსაც მავთულის ნერვები აქვს, პერსპექტივა არწივისა, გონებამახვილობა მაკიაველის.

ვინ გაიმართლებს დღეს თავს იმითი, რომ ბარიერი მაღალია, დაბრკოლება - დიდი, კონკურენცია - აუტანელი. ბარიერებს იმიტომ აშენებენ მაღალს, რომ კარგი მოჯირითეების ვაჟკაცობა გამოჩნდეს, დაბრკოლებანი იმისთვის არსებობენ, რომ დაძლეულ იქმნან. კონკურენცია იმისათვისაა მოგონილი - უნიჭიერესი და უძლიერესი გამოაჩინოს. სისუსტე სხეულის უძლურობის შედეგია. მხოლოდ სისუსტე ატავიზმია.

ვინ გაიმართლებს ამიერიდან თავს, რომ ისტორიის ფატალიზმმა 42 გრადუსზე მოაქცია და არა ოკეანის რომელიმე კუნძულზე.

მოდის ათას ცხრაას მეოცდასამე წელი და ქართველობა ერთხელ კიდევ უნდა დაფიქსირდეს. დაფიქრდეს არა იმისთვის, რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვეფხვისებური ნახტომი გააკეთოს წინ. დაფიქრდეს არა იმისთვის იქვნეულივით, რომ შეყოყმანდეს, არამედ იმისთვის, რომ შეპყრობილივით წინ გაეშუროს. ყველაზე უფრო დაფიქრება გვაკლია ჩვენ. დაფიქრება ბუნებაში ღრმად ჩახედვაა და არა განზე თითის გაშვერა. ქართველობას მუდამ განზე თითის გაშვერა უყვარდა. ქართველი პატრიოტები მუდამ განზე თითს იშვერდნენ და ქართველობის გარეშე ეძებდნენ ქართველობის დამღუპველებს და ქართული ოჯახის წახდომისა და დაქცევის მიზეზებს.

1923 წელს ჩვენ უნდა უთხრათ ჩვენს თავს, ჩვენ ამიერიდან არც ხანგადასული ქალები ვართ, რომელნიც სასიძოების მოლოდინში არიან. შინაგანი გარდატეხა გვჭირდება ჩვენ დღეს. ყოველი მორალური გარდაქმნა მხოლოდ შინაგანი ხასიათის უნდა იყოს.

არც სენტიმენტალური ნუნუნი უშველის ვისმეს. სენტიმენტალობა დღეს მხოლოდ ღიმილს იწვევს. სენტიმენტალობა სისუსტის სანიშნარია. არც დიდი საფრთხე გაამართლებს ვისმეს ჩვენზე გულს, რადგან ყოველ ერს მხოლოდ დიდი საფრთხისა და დიდი განსაცდელის პირისპირ შეუქმნია დიდი ღირებულებანი, დიდი საფრთხე და დიდი გასაჭირი უდიდესი

მასწავლებელია, დიდი გასაჭირი - უდიდესი იმპულსი. ყოველი პიროვნება და ყოველი ერი მხოლოდ გასაჭირის გენიაში ქმნიდა. დიდი უბედობა დიდი ცეცხლია. თუ თქვენ გულში დიდი ცეცხლი არ გაღვივდა, ისე ფოლადი არ გადნება, ისე ბედი არ გამოიჭედება. ქვეყანა იმისაა, ვისაც ათასორას გრადუსიანი ცხუნვარების ატანა შეუძლია.

მორალური შინაგანი გარდატეხა სჭირია უწინარეს ყოვლისა ქართველობას. ჩვენ ძველებური ქართული ურმებით ვერასოდეს ვერ მივეწევით ფეხმალ დროის პეგასებს. დრო მიფრინავს სიზმარს გადაყოლილივით. რადიო სადგურებმა ათასეული კილომეტრები გადალახეს. ერები იბრძვიან და ჰქმნიან აარ მარტო მიწაზე, მიწის ქვეშ, მიწის ზევით. იმ ერს, რომელიც მხოლოდ მიწის ზედაპირზე ახერხებს ორიენტაციას, დღეს არავინ გაუტოლდება, მას არავინ გაუყადრებს თავს.

იმ თაობებმა, რომელთაც ქართველი ერის სადავეები ეპყრათ ახლო წარსულში. მათ ქართულ მიწაზე ორიენტაცია ვერ მოახერხეს რადგან ქართული მიწა მათ ვერ იცვნეს და უცხო მიწამ ისინი უარჰყო და არ მიიღო. მათ ქართული სული არ უდგათ სხეულში. მათ არ უყნოსვიათ სინოყიერე ქართული მიწისა და ამიტომაც ქართული მიწის პოხიერება მათთვის უცნობი დარჩა. ქართველი ინტელიგენცია დაძველებული იდეოლოგიის კარაბადინებით სწამლობდა ქართველ ხალხს. ქართველი ინტელიგენცია გიორგი ერისთავის კომედიის გმირს ჰგავად, რმოელიც ოდესაში ნახულ ნაძვების კვალობაზე უპირებდა ტოტძალოვან ქართულ ჭადრებს შეპარსვას. ათეული წლები უნაყოფოდ გავიდა და ქართველმა ინტელიგენციამ ვერ დაასრულა განყენებული პრინციპების დოღი. შედეგი ყოველ ჩვენთაგანისათვის თვალსაჩინოა დღეს. ნაქცევაზეა მიმდგარი ქართული თეატრი, ცხოვრებას და თანადროულობას ჩამორჩა ქართული ლიტერატურა, უპატრონოა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. დრომოჭმულ დოგმებში გაყინულია ქართული ეკლესია. სრულ ლიტურგიულ ძილშია ქართული საზოგადოებრივი აზრი (უკეთ რომ ვსთქვათ, არც არსებობს ასეთი რამ დღეს საქართველოში).

მთელ რიგ ქართულ კულტურულ დაწესებულებაში მოკალათებულა ხერხემალგამშრალი აბულიით სნეული მეთაურები.

უიმედოა ქართული ახალ თაობის მომავალი. ახლო წარსულშიაც ჩვენი თაობები იზრდებოდნენ და ამას ზრდა როდი დაერქმევა (ცნება ზრდილობისა უცილოდ შეიცავს განვითარების ცნებას). ჩვენი წინამორბედი თაობების ზრდას უფრო „ვეგეტაცია", მცენარისეული ზრდა თუ ეწოდება. ქართველი კაცი იზრდებოდა ოჯახის, სახელმწიფოს, ლიტერატურისა და ეკლესიის ტრადიციების გარეშე. კულტურული ადამიანის პიროვნება დადაღულია აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით, ამით განირჩევა იგი უტრადიციო, უზნეო, ურწმუნო ველურისაგან.

მოდის წელი ახალი, განახლებას ითხოვს ქართული ოჯახი, ქართული ლიტერატურა, ქართული საზოგადოებრივი შეგნება.

ნაწილი ჩვენი მეთაური ინტელიგენციისა წალიწადზე მეტია, სრულიად ხელჩაქნეულია; ნაწილი - ეგოისტური ცხოვერბის დოღში ჩაება: მას არ ანიტერესებს არც ქართული გაზეთი (იგი სავსებით გადაეჩვია კითხვას), არც ქართული თეატრი, არც ქართული ლიტერატურა. ერთი ნაწილიც ელტვის, ვიდრე ოქროს მთები ზღვის გაღმიდან აიყრებიან და ჩვენთან მოვლენ.

მოდის ახალი წელი და იმედების ახალი პლანეტები მოექანებიან ჩვენსკენ.

ერის საქეთა მპყრობელებს კი დიდი სიფხიზლე და ნერვების დაჭიმვა სჭირდებათ - ვინც ზეზე მდგარი კუთებდაჭიმული არა სდგას კოფოზე და არ მართავს თავის ბედის ტაიჭებს, მას უთუოდ გადაუბრუნდება თავისი ეტლი, იგი უსათუოდ ასცდება თავის ბედის ცდომილს.

არც ისე უიმედოა ჩვენი მომავალი, არც ისე უჩინოა ჩვენი ბედის ვარსკვლავი. ქართველობას დიდი ამოცანები მოელის წინ. დასავლეთის დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ცეცხლოვანი ეტლი უახლოვდება ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. უახლოესს მომავალში ქართველობამ უნდა იკისროს ამ ახალი კულტურის შუამავლობა ძველს ლევანტში, ირანისა ად წინა აზიის მიდამოებში. ახლო აღმოსავლეთი, რომელიც ოდესმე ჩვენ შემოქმედებას ანაყოფიერებდა იდეურად, დღეს ჩვენგან მოელის განაყოფიერებას და აახლ იდეების თესლს.

ძალოვანი გრიგალები გადადიან ჩვენს თავზე, მაგრამ მით უფრო მადლიანია უზენაესის ხელით ჩვენს თავზე ჩამობერტყილი კალთა სიუხვისა. ქართველებში დღეასც თვალსაჩინოა ის ძლიერი აქტივისტური, შეტევითი ენერგია, რომელსაც ძუძუს აწოვებს ჩვენი ქვეყნის ციცაბოიანი მიდამო და მთების ქედმაღლობა. ამ ენერგიის წყალობით ვუძლებდით ჩვენზე მოიერიშე ხალხების ურდოებს. თუ წარსულში ჩვენ მოგერიებითი კულტურული პოლიტიკის წარმოებას ვუნდებოდით, ემრმისში ჩვენ პასიური კულტურული პოზა აქტიურ ატიტუდად ნუდა შევცვალოთ. ატყუებენ ქართველ ხალხს ისინი, ვინც მუდამჟამს ჩვენის მცირერიცხოვნობით ამართლებენ ქართველი ერის პასიურობას და უნაყოფობას. მცირერიცხოვანი ერი ყველაზე ადვილად ღებულობს კულტურის გალვანიზაციას, მცირერიცხოვანი ერი ყველაზე უფრო ელასტიურია, დიდი კულტურანი მუდამ მცირერიცხოვანი ერის წრეში შობილან. ასეა ძველი საბერძნეთი, პალესტინა, რომი, იტალია, ახალი დანია, შვეცია, ნორვეგია.

მცირერიცხოვანი ერი ყველაზე მძაფრად გრძნობს „ერთადყოფნის" ოკუმენურ მისტერიას.

მოდის ახალი წელი, ახალი პლანეტი ძველ პლანეტთა სისტემაში იმ იმედით, რომ ღმერთი სინათლისა და სიმართლისა ჩვენთან არის. ჩვენი რწმენაა ჩვენი ციხე-სიმაგრე.

ეს რწმენა აძლევდა ძალას ჩვენს წინაპრებს, როცა ისინი ველურ მეზობლებს ნათლავდნენ, ეს რწმენა აძლევდა მათ ძალას, როცა საქართველოს ქედმაღალ ციცაბოებზე ქართულ კათედრალებს და ციტადელს აშენებდნენ.

რევოლუციის დროს ხალხს ყველაფერი ავიწყდება. ახლა ვყელაფრის მოგონების დროა. საქართველოს ინტელექტუალურ სტომაქს გაწმენდვა უნდა, ძლიერ ბევრი ბალასტია მასში.

ჩვენი ლოზუნგია; ოკციდენტ! არავინ ისე არ უარყოფს, როგორც ჩვენ, არავინ ისე არ იტყვის ჰოს, როგორც ჩვენი ჰოს მთქმელი ბუნება.

განახლება უნდა ქართულ შემოქმედებას, დაფიქრება მართებას ქართველობას, მორალური გარდატეხა ჩვენს ეროვნულ პიროვნებას.

ახალი იმედებით გაცისკროვნებას მოელის ჩვენგან ახალი წელი.

წერილი ვაჟისადმი, 1955წ.

წყარო/ბმული: https://bit.ly/2YEZZru

ღირებულებები: თავისუფლება, ერი, მოქალაქეობა, საზოგადო საქმე, პასუხისმგებლობა.

მე სულ მგონია, როცა შენს ახლოს არა ვარ, შენ ჭკვიანად იქნები. მე, ერთის მხრით, გული მტკივა, რომ შენი ბავშვობა თავდება. მეორეს მხრით, მიხარია, რომ შენ სადაცაა, ყველა ჩემს სურვილს გაიგებ და მალე მხარში ამომიდგები. ალბათ, შენთვის დამიწერია (თუ მითარგმნია) მე ჰომეროსის სიტყვები: „ზევსს გეფიცები, აგელაი, ზევსს და მამაჩემის ტკივილებს". ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და ანი, დროა, შენ სერიოზულად ემზადო, რათა შეძლო, გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. გზაში მე გადავიკითხე შენი საყვარელი მუსიკოსების ბიოგრაფიები. ყველანი უკვე სიყრმიდანვე ემზადებოდნენ დიდი ამბებისათვის. გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ ინვის რაიმე მაღალი და ზეაღმტაცი ამბებისათვის. ამის გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება იმ საცოდავ და უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც ეწევიან ხოლმე მცენარეები და ცხოველები. თუნდაც ჩემი გამწარებული ცხოვრებაც რომ აიღო, მე რომ დიდი იდეების მოლაშქრედ არ წარმომედგინა ჩემი თავი, ვეღარ გავუძლებდი იმ ქარიშხლებს, რომელთა გადატანაც ასე თუ ისე შევძელი.

შენი მამიკო. 1955.

P.S. ქართველი კაცი, მითუმეტეს ქართველი მეცნიერი, უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს თავის ერს და სამშობლოს, არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ერის ინტერესებთან, უნდა იღწვოდეს მხოლოდ ერის ინტერესებიდან გამომდინარე და არ უნდა ემსახურებოდეს სხვა ათასნაირ „ჭეშმარიტებას"! მაშინ ხარ ბრძენკაციც და მხოლოდ ამას ჰქვია ერისკაცობაც, სხვას კი არაფერს!

ღია წერილი გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის დავით მჭედლიშვილისადმი - 1963წ. (ნაწყვეტები)

წყარო/ბმული: https://bit.ly/2KeXvae

ღირებულებები: თავისუფლება, მოქალაქეობა, სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, ერი, უფლებები, პატივისცემა, ტოლერანტობა.

ტფილისი 1963 წ. XII, გალის N16

ასლი ეგზავნება: საქართველოს კპ ცკ მდივანს, ამხ. დევის სტურუას და საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს. ერთიც ჩემს არქივში რჩება.

ჩვენს შორის მომხდარი არასასიამოვნო კონფლიქტის გამო მე საჭიროდ ჩავთვალე მომეწერა, რადგან თქვენ თურმე ინებეთ და მწერალთა კავშირის მდივნებს დაურეკეთ თით-

ქოს მე თქვენ გაგლანძღეთ. მე თქვენი ლანძღვა მაშინაც არ მინებებია, როცა თქვენ ჩემს მიმართ უფრო აქტიური მტრობა გამოიჩინეთ, ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს გვიწოდებენ და ლანძღვა რა საკადრისია.

თქვენ ერთი ასეთი რამეც გიბრძანებიათ – მე მტრობაც შემიძლიაო. ცხადია, თქვენ ისეთი დიდი ხმალი გიჭირავთ ხელში, მეტსაც იზამთ თუ მოინდომებთ, მაგრამ არც ისე მშიშარა ვარ, რომ შევკრთე.

მე საერთოდ კუკუდამალობანა არ მწამს პრინციპულ ბრძოლაში.

* * *

ახლა ვნახოთ რას წერენ ჩვენი გაზეთები? „გრიბოედოვი ჩვენი სიძეა“. „გორკიმ ახსენა საქართველო“. „მაიაკოვსკი დაიბადა ბაღდათში“. ვიცით, გავიგეთ, გვახსოვს, სირცხვილია ასეთი სერვილიზმი! საქართველო და კოლხიდა გორკის კი არა ჰომეროსს, გოეტეს, კანტს და ევრიპიდეს აქვს ნახსენები, მაგრამ რა მოხდა? მე ვამტკიცებ: მომავალი თაობები შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალხი ინტელექტისმიერი ვასალობისკენ მიჰყავს.

ხომ არის ეს უდიდესი „პოდხალიმობის“ ნიშანი, როცა გაზეთების მჯღაბნელები სწერენ: „გორკი და საქართველო“, „გრიბოედოვი და საქართველო“, „მაიაკოვსკი და საქართველო“, ნუთუ ისე უნდა დავბრმავდეთ, რომ არ გვესმოდეს საქართველო და ეს მწერლები, და არც არავითარი მწერლები ამ ქვეყნად, საქართველოს თანატოლნი არ არიან!

ჰკითხეთ ამ მატრაბაზებს რამ დააბრმავათ? თვალში ხომ არ ეცოტავებათ საქართველო, შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ვაჟა ფშაველა, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. ტაბიძე და არაერთი თანამედროვე. ასეთი სერვილიზმის სამწუხარო შედეგია, რომ არც ვახტანგ გორგასალს, არც დიდ ვაჟას, არც გურამიშვილს, არც ჩვენ დიდ მეფეებს, რომელთაც ტფილისი და საქართველო დაიცვეს, ტფილისში ძეგლი არა აქვთ და სანაპიროზე გამოჭიმეს რუსული იმპერიალიზმის ფუნქციონერის გრიბოედოვის, ერთი საწყალი პიესის ავტორის ძეგლი (საგულისხმოა რომ ამ მწერალს თვით რუსები არაფრად აგდებდნენ).

რუსი ხალხის, მისი კულტურისადმი პატივისცემაში მე არავის დავუთმობ პირველობას. ცნობილია, მილიონები კითხულობენ ჩემს რომანებს რუსეთში, გარდა ამისა, არც მე დავრჩენილვარ მათ ვალში. უგულითადესი წერილები ვუძღვენი მე უდიდეს რუს მწერლებს ლ. ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკის და გოგოლს. მაგრამ ასეთი პატივისცემა ერთია და მონური მლიქვნელობა მეორე.

* * *

მე დიახაც ვნანობ, თქვენ ჩემი წერილი განსვენებული აკადემიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ რომ მოგიტანეთ, საერთოდ ვნანობ თქვენი გაზეთის რედაქციაში ფეხი რომ დავდგი. თქვენ დიდი თავაზით მიმიღეთ, განყოფილებას უბრძანეთ მალე დაბეჭდეთო. ნახევარი წლის მანძილზე მატყუეს: ამ თვეში ოფიციალური მასალები გვაქვს, იმ თვეში სე-

სიაა, ბოლოს მე ბრაზი წამეკიდა როცა ცნობილი რუსი მწერლის მოთხრობას ბარე 6 გვედი დაუთმეთ. ალბათ მოგეხსენებათ, აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი უდიდესი არქეოლოგია და ისტორიკოსი, გარდა ამისა, მან მრავალი მილიარდის ღირებულების ქონება ჩამოუტანა ქართველ ხალხს.

კარგი, მე არ მცემთ პატივს, განა ე. თაყაიშვილის ბრალია, რომ ეს მეცნიერი ბაღდადში არ დაბადებულა? ისევ გეკითხებ ით: არის თუ არა ეს მტრობა? ხომ მართალი ვარ, როცა ტელეფონით გითხარით ჩემს ქვეყანაში არ მაყენებთ მეთქი. სტუმარს დიახაც პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ მასპინძელი კარში გავაგდოთ? რომელ კანონში გიწერიათ ეს?“

* * *

მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულისა და სიტყვის „მოჯამაგირე“ ყოფილა მუდამ. იგი ანმყოში და მომავალშიც ასე უნდა დარჩეს მუდამ, რადგან მისი საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიისა ან მთავრობისა. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები. ხოლო ერი უკვდავია ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანცი.

საქართველოს სახელმწიფო სუვერენობა ხელშეუხებელი უნდა იქნეს, სულერთია ეს დემოკრატიული რესპუბლიკაა თუ საბჭოთა რესპუბლიკა. მე ვდგევარ ამ შემთხვევაში პირველ დეკლარაციის ნიადაგზე, რომელმაც თვითვე აღიარა „საქართველოში სახელმწიფო ენა ეს ქართული ენააო.

იქადაგეთ კომუნიზმი, მაგრამ პატივი ეცით ამ ერის სუვერენობას, ქართულ ენასა და ქართულ კულტურას.

დავიცვათ საქართველოს ბუნება

წყარო: რჩეული თხზულებანი, ტომი VI, გვერდი 718-721

ღირებულებები: მოქალაქეობა, საზოგადო საქმე,
პასუხისმგებლობა, მზრუნველობა.

არა ერთგზის შემინიშნავს მკვიდრთა განუკითხველი თარეში ტყეში, ქურდულად ჩეხვა ტყისა, უბრალოდ ტაბიკის, ან კონკილას მოსაპოვებლად დაუზოგველად მოჭრა ახალგაზრდა ხისა; უკანასკნელ წლებში ამას დაემატა ა.წ. ნაძვის ხის კულტი, რომელიც არსებითად ჩრდილოეთის ხალხთა ჩვეულებაა. საქართველოში საახალწლოდ იცოდნენ ხის შემკობა, მაგრამ საამისოდ ხმარობდნენ უკვე გამხმარ ხეს.

ნაძვის ხის კულტი მომდინარეობს სკანდინავიიდან უპირატესად, სადაც წიწვიანი ხეები უზარმაზარ ტერიტორიებს ფარავენ. ჩვენი ქვეყნის ღარიბი ტყეებისთვის ეს ჩვეულება მომაკვდინებელია. ყოველ საახალწლო დღესასწაულისათვის მარტო ტფილისელებისათვის სჭრიან მრავალ ასეულ ათას ახალგაზრდა ნაძვს, ტფილისის შემოგარენი ისედაც ღარიბია

ტყეებით და ვინ მოსთვლის რამდენი უგუნური ადამიანი ქურდულად მოსჭრის ან მოსთხრის ახალგაზრდა ნაძვს, რათა სახელდახელოდ გაჰყიდოს ტფილისში.

ენგურის და ბზიბის ხეობაში ვისაც უმგზავრია, მათ უთუოდ შეუმჩნევიათ: უზარმაზარი ნაძვები და ფიჭვები მოუჭრიათ ცუდ მეურნეებს, მდინარემდის ვერ მიუტანიათ, ხანაც წყალში გადაუჩეხიათ და დაცურვება ვერ მოუხერხებიათ, აგრე ყრია ჩვენს ტყეებში მრავალი ათასი უპატრონო ხე და უსარგებლოთ ლპება.

მთა საციციანოში, გზის პირებზე მინახავს: გამოუვლია რომელიმე უგუნურ მეურმეს, ხის ქვეშ უთევია ღამე, ფიჩხის საძებრად შორს წასვლა დაზარებია, ცეცხლი შეუგზნია უზარმაზარ ნაძვისათვის. ცეცხლის საკმარისად არ მოსდებია ხეს, მერმე ნაჯახით ნაფოტები ჩამოუჩორგავს სხვა ხეებისაგან.

დგანან ეს მშვენიერი ხეები, დასახიჩრებულნი და გაოხრებულნი ისეთ ტყეში, სადაც რამდენიმე ვაგონი ფიჩხი და მხმარი ხე შეიძლება მოგროვდეს.

ერთმა მოხუცებულმა მეტყევემ შემომჩივლა: ჩვენი პრესა არ ეწევა ჯეროვან პროპაგანდას, რათა შეაგნებინოს მოქალაქეთა შორის ასეთ უგუნურებს, თუ რა უბედურება მოელის ჩვენს ქვეყანას ტყეების უსაზმნო შემუსვრისგან. ტყეებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგები ხელის გულზე გვაქვს უკვე: ჯერ კიდევ ჩემი თაობის თვალწინ საგრძნობლად შეიცვალა საქართველოს ბუნება. შესამჩნევად დაიკლო ენგურის, ტეხურის, რიონის, მტკვრის, ქსნისა და არაგვის წყლის დებეტმა.

გაძლიერდნენ უმური ქარები, მოხშირდნენ ტროპიული წვიმები საქართველოს დასავლეთში.

სხაგვარი მტერიც მრავალი ჰყავს ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ფლორას და ფაუნას. ეს არის ჩვენს დროში მომრავლებული მონადირე.

ჩვენს ბაზრებში ხშირად შეხვდებით მონადირეს, ათეული იხვი, ხოხობი ან კურდღელი მოუტანია და დღისით მზისით ვაჭრობს ნანადირევით.

ზოგ მონადირეს დიდ ვაჟკაცობად მიაჩნია რამდენიმე ათეული ფრინველის ან ნადირის დახოცვა და შემდეგ ნერონის პოზაში გამოჩენა ქალაქის ქუჩებში.

ერთხელ ასეთ ამბავს წავაწყდი ბორჩალოში: ხუთ მონადირეს 37 კურდღელი მოეკლა, ვერა ზიდეს ნანადირევი და ტყეშივე დაჰყარეს.

ასეთივე უწესო ნადირობის მსხვერპლია ჩვენი მშვენიერი, ოდესღაც თევზმრავალი მდინარეები. ამ საცოდავ, უმწეო თევზებს დინამიტებითა და ქლორით ებრძვიან ინტელიგენტი ვაჟკაცები, განსაზღვრულ მანძილზე ინამლება და ნადგურდება როგორც დიდრონი თევზები, ისე ლიფისტები და ქვირითი, სულწასულსა და ხელმოცარულ მეთევზეებს მოთმინება არა ჰყოფნით დასხდნენ მდინარეების პირად, ბუნების სიმშვენიერითაც დასტკბნენ, თანაც იანკესონ, ან ხელბადით მოჰყვენ მდინარეს.

ფრიად საჭიროა, რომ სისტემატური პროპაგანდა გაეწიოთ ზემოთ ჩამოთვლილ უწესო ნადირობისა და თევზაობის წინააღმდეგ.

მოვუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის, ბუნების სილამაზეს, მისი ტყეების და ველების სამკაულს, ნადირსა და თევზს.

გრიგოლ ფერაძე
(1899-1942)

თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. II მსოფლიო ომის დროს ხშირად იფარავდა ფაშისტების მიერ დევნილ ადამიანებს; 1942 წლის 6 დეკემბერს თავის თავზე აიღო ერთი მრავალშვილიანი ებრაელის სასჯელი და მის მაგივრად შევიდა გაზის კამერაში. მისი ხელმძღვანელობით პარიზში გამოიცემოდა ჟურნალი "ჯვარი ვაზისა".

● შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის - „მამაო ჩვენოს“ განმარტება, 1933წ. (ამონარიდი)

წყარო: ნაშრომი გამოქვეყნდა ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ში N3, პარიზი 1933წ.
ბმული: https://bit.ly/2OI71YX

შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის – „მამაო ჩვენოს“ განმარტება

ღირებულებები: მოქალაქეობა, ერი

ყოველ ადამიანს მომავალს ამ სოფლად მოაქვს როგორც საუნჯე უმთავრესად სამი რამ. პირველი ესაა მის წინაპრების მიერ მოპოებული, დაცული და მათი გმირულ შარავანდედით შემოსილი სამშობლო, ეს არის მეორე მასში ჩანერგილი პოტენცია, ამაღლება დღიურ ჭირ-ვარამიდან თვისი ცხოვრების უმაღლეს აზრისადმი დასამორჩილებლად და მესამე სინტეზი განცდათა, სამშობლოს გარშემო და სამშობლოსადმი სამსახურის გარშემო და ჩვენ ამას დავარქვით სახელად ენა – ამ უმთავრესად სამი დიდი საუნჯით დაჯილდოვებული მოდის ყოველი კაცი ამ ქვეყნად და მისი მოვალეობაა ამ ქვეყნად მოქალაქეობა.

მოქალაქე არ ნიშნავს პირველ რიგში ქალაქის მცხოვრებს, არამედ ყოველ შეგნებულ წევრს სამშობლოსი, გინდ იყოს ეს ქალაქელი, გინდ სოფლელი, გინდ მუშა. მოქალაქე არ ნიშნავს მას, ვისაც რაიმე კერძო საკუთრება აქვს თვის გარეშე. არამედ მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას. ამისთანა კაცს ჰქვიან ქართულად მოქალაქე და მის ცხოვრებას ჰქვიან მოქალაქეობა. ეს სიტყვაც არის მძიმე და შინაარსიანი და ეს სიტყვა სხვა ერებს არა აქვთ და ამის გამო ყოველი ქართველი მოვალეა ზედმიწევნით ჩაუკვირდეს ამ სიტყვის მნიშვნელობას და აგრეთვე განითვალისწინოს ის სიტყვები სხვა ერის, რომელნიც ჩვენ „მოქალაქეს" ან „მოქალაქეობას" ენათესავებიან, მაგრამ მაინც მთლად არ ამოსწურავენ. თუ ვისმეს თქვენგანს სადმე წმინდანის ცხოვრება უნახავს და სათაურისთვის ყურადღება მიუქცევია, დაინახავდა „ცხოვრება და მოქალაქეობა" ამა თუ იმ წმიდანის; ესაა სათაური ყოველ წმიდანის ცხოვრების. სიტყვა „ცხოვრება" უთითებს მხოლოდ გარეგან მხარეებს ამ წმიდანის ცხოვრების, დაბადება, დრო, ქვეყანა, მშობლები, პირობები და სხვა ამგვარი; სიტყვა „მოქალაქეობა" კი ჰგულისხმობს ამავე წმიდანის სულიერ ცხოვრებას, მის ბრძოლას თავის თავთან, თავის წრესთან და სიბნელესთან იმ აზრების და პრინციპების განხორციელებისთვის, რომელნიც მას აღელვებენ და რომელთა განხორციელება მათ თვისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს. სხვა ვარიანტი ამ „მოქალაქეობის" არის „მოღვაწეობა" ან „ცხოვრება და ღვაწლი" ამა თუ იმ წმიდანის. მე მგონია ეს უკვე ერთგვარი ცდაა რუსულის მიხედვით შესწორება, რომელსაც სიტყვა „მოქალაქეობა" არა აქვს ან და გართულება და ბუმბერაზულად დასახვა წმიდანის პიროვნების, რადგან „მოღვაწეობა" უფრო რიხიანია და რთული, ვიდრე „მოქალაქეობა" და ისეთივე განსხვავებაა როგორც ამ უბრალო მოქალაქის და „საზოგადო მოღვაწის" შორის; ჩვენს ერს კი სწორედ ამისთანა უბრალო და მარტივი მოქალაქენი სჭირდებიან – თვით მნიშვნელობა „ღვაწლის" სრულიად გათვალისწინებისთვის საჭიროა ეს მოქალაქეობა, რადგან ეს ღვაწლი – სწორედ შედეგია იმ მოქალაქეობის; ჩვენ კი რასაკვირველია ყოველთვის რთული და ძნელი რამე გვიტაცებს და სახლის შენება გვიყვარს არა საძირკველზედ, არამედ ღრუბლებში.

არა მხოლოდ მოქალაქეობა ყოველ წმიდანის არის ბრძოლა თავის წრესთან, დროსთან ან თავის-თავთან, არამედ მოქალაქეობა ყოველ მოქალაქის არის ბრძოლა თავის წრესთან, თავის დროსთან და თავის-თავთან. მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას; მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიან თვალით საგნების დანახვას, წინ დახედულებას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის, სხვის აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას. ესაა შინაარსი ჩვენი სიტყვის მოქალაქეობა. მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. თვისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათლებლად. ქართული მოქალაქეობა არც მაშინ გაურბის მსხვერპლს – როდესაც სხვები სიბნელეში და ჭაობში ყოფნას არჩევენ, ქართველი მოქალაქე მაინც მოქალაქეობს ვინაიდან მისი ჰორიზონტი გაცილებით შეუზღუდველია, ვინემ მისი ვინც სიმინდზედ ზევით აღარაფერს ჰხედავს. მან იცის, რომ თუ დღეს არა ხვალ მაინც და „ტყუილად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება".

შინაარსი მოქალაქეობის არის ცხოვრება და ცხოვრება აწმყოში და იესო ქრისტე მიტომ მოვიდა ამ ქვეყნად, რომ ადამიანისთვის ეს ცხოვრება და ეს სარგებლობა აწმყოთი

ესწავლებინა, ის ეთქვა ადამიანისთვის, რაც ორი სიტყვით გამოითქმება, რაც ჩვენმა წინაპრებმა ინტუიციით შეიგნეს და რაც დღეს ყოველ ქართველმა თვის შუბლზედ უნდა დაიწეროს, და ესაა: „ვინც ამ ქვეყნის მოქალაქედ არ ვარგა (მოქალაქედ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი მე ვიხმარე), იგი არც იმ ქვეყნის მოქალაქედ გამოდგება".

ჩვენ დავინახეთ თუ როგორი უნდა იყოს ცხოვრება და მოქმედება ჭეშმარიტ ქრისტიან მოქალაქის. ამ სიტყვა „მოქალაქე"-მ გამოიწვია ზოგიერთ მსმენელთა შორის უსიამოვნება და დაბრკოლება. მათი შეხედულებით ეს ტერმინი შექმნილია რევოლუციის დროს ან მის ზეგავლენით; სინამდვილეში კი ეს ტერმინი გაცილებით ძველია და იმ შინაარსის, რომელსაც ეს ცნება თვისში ატარებს, იმ სიდიადის, იმ სიწმიდის და იმ სისპეტაკის და კეთილშობილობის, რომელიც ამ ცნებაშია ჩაქსოვილი, მოსპობა ვერ შესძლო რევოლუციამ (და ან რისთვის უნდა მოესპო?).

ნოე ჟორდანია
(1868-1953)

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოსა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მენშევიკი, პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი

○ დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, 1933წ. (წიგნიდან „დემოკრატია")

წყარო: რჩეული ნაწერები / შეადგინა, წინასიტყვ. და შენიშვნ. დაურთო გურამ შარაძემ. - თბ. : საქართველო, 1990. - 420გვ. ; 20სმ.. - 6მ., 50000ც.[MFN: 3841] გვ. 187-190
ბმული: http://aboutgurla.blogspot.com/2015/05/blog-post.html

დემოკრატიის ძირითადი პრინციპები

ღირებულებები: ხალხი, ერი, დემოკრატია, სამართლიანობა, თავისუფლება.

ხალხი სოციოლოგიური ცნებაა, დემოკრატია - პოლიტიკური.

ხალხის გადაქცევა თვითმმართველ საზოგადოებათ ანუ დემოკრატიათ შესაძლებელია მხოლოდ ამ სოციოლოგიური ერთეულის ბაზაზე, მის მიუცილებელ, ბუნებრივათ ბოძებულ, გარდაუვალ სოციალურ თვისებებზე. ამ ერთეულის ცენტრალური ფიგურაა ადამიანი, მისი ინტერესები, მისი მოთხოვნილებები, მისი საარსებო საშუალებები, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. მაშასადამე, ცხოვრების მთელი დაწყობილება, საზოგადოების მთელი ურთიერთობა უნდა ემსახურებოდეს ამ ადამიანს და მის მოთხოვნილებათ.

მაშასადამე, დემოკრატიის ძირითადი პრინციპი: ადამიანი და მისი სუვერენობა, ის სუვერენია ინდივიდუალურათ თავის კერძო, საოჯახო საქმეებში, სუვერენია კოლექტიურათ, სხვასთან ერთათ, საერთო, საზოგადო საქმეებში.

ყველა ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა, რაგინდ დიდი განსხვავება იყოს მათ შორის, შეერთებულნი არიან აი ამ ძირითადი პრინციპის უარყოფაში. ისინი არ სცნობენ ადამიანის ამ ბუნებრივ უფლებებს და აღიარებენ აუცილებლობაც ერთი ადამიანის პატრონობის და მმართველობის, მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ, მეორის მიერ, არის ეს უკანასკნელი გვირგვინოსანი, ფეოდალი, ბატონი თუ რჩეული პირი თუ პირები.

მონის მფლობელი არ სცნობდა მონის არავითარ უფლებას, ყმის ბატონი სცნობდა ყმის ზოგ საოჯახო უფლებას. ბურჟუაზია აღიარებს პროლეტართა სუვერენობას მათ კერძო საქმეებში, უარს ყოფს მათ სუვერენობას პოლიტიკურ საქმეებში. ფაშისტი, ბოლშევიკი და მათი მიმყოლი დაჯგუფებანი აღიარებენ მხოლოდ თავის თავის ბატონობას ერზე და ერში. ერთი სიტყვით, იცვლება ბატონობის ხარისხი და ფორმა, იცვლება ბატონის ვინაობა, ხოლო არ იცვლება ბატონობა, პრინციპი სხვისი მმართველობისა რჩება. ამ ხაზზე რაიმე კომპრომისი, რაიმეს დათმობა, როგორც მაგალითათ ანტიდემოკრატიული სოციალიზმის აღიარება, ნიშნავს დემოკრატიის უძლეველი პოზიციის შენგრევას, აზროვნების არევას და მოპირდაპირეთა იდეოლოგიისკენ დაქანებას. საკმარისია ამ მოწინააღმდეგეთა ერთი დებულება იცნოთ, რომ მოხდეს იდეოლოგიის გათიშვა ადამიანისგან, მისი საზოგადოების მაღლა დაყენება, რომლის წინაშე ხალხი ვალდებულია დაიჩოქოს, მას ემსახუროს და თავისი საარსებო ინტერესები მის სამსხვერპლოზე მიიტანოს. იდეალის ადამიანზე მაღლა დაყენება, დეე ხალხი დაიღუპოს, ოღონდ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოსო - დამახასიათებელი თვისებაა ყველა სექტის, წინასწარმეტყველის და მხსნელის. ნათქვამია, საკმარისია ეშმაკს ცალი თითი გაუწოდოთ, რომ მთლათ დაგიპყროსო: ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი საკმაოა ამ „მხსნელებისაკენ" რომ სამუდამოთ მათი ტყვე გახდეთ.

მაშასადამე, დემოკრატიის ძირითადი პოლიტიკური პრინციპია თავისუფლება. მოქალაქეობრივი და პოლიტიკური. მაგრამ თავისუფლების ტენდენციაა შექმნას მოქალაქეთა ნივთიერი უთანასწორობა, გააბატონოს ეკონომიურათ ერთი მეორეზე, ღარიბი გააღარიბოს, მდიდარი გაამდიდროს, ასეთ პირობაში ხალხი აღარ არის დაინტერესებული დემოკრატიის შენახვასა და დაცვაში და მისი სუვერენობა ეცემა. თავისუფლება სპობს დემოკრატიას. ცხადია, დემოკრატიის მიუცილებელი საფუძველია არა ყოველნაირი თავისუფლება, არამედ, თავისუფლება განსაზღვრული, რომლის ასპარეზი იფარგლება მოქალაქის და საზოგადოების ინტერესებით. ეს საზღვარია მოქალაქეთა ეკონომიური თანასწორობა, პიროვნების ნივთიერი დამოუკიდებლობა, რომლის ჩარჩოში ადამიანი თავისუფლათ მოქმედებს. დემოკრატიის პრინციპია თავისუფლება და თანასწორობა. აქედან მძიმე პრობლემა: ამ ორი პრინციპის შეთავსება პოლიტიკაში ისე, რომ მათ ერთიმეორე არ მოსპონ და მით დემოკრატია არ დაანგრიონ. თუ თავისუფლების ტენდენციაა თანასწორობის დანგრევა, თავის მხრით თანასწორობის ტენდენციაა თავისუფლების მოსპობა ან მისი მაქსიმუმამდე დაყვანა მთელის, საზოგადოების და მისი მმართველობის, მოქალაქეზე გაბატონება. დემოკრატიის ძირითადი პრინციპი ილახება, დემოკრატია ეცემა. კერძო და საზოგადო ინტერესების შეთანხმება, მაშასადამე, არის საგანი ყველა დემოკრატიული უფლებრივი ნორმის. ეს ასე ესმოდათ ძველათ დემოკრატიის ყველა კანონმდებელთ და მის საფუძველზე აშენებდნენ ხალხურ ნყობილებას.

ქართველი სოციალ-დემოკრატია, 1947წ.

წყარო: http://european.ge/noe-jordania-qartveli-social-demokratia/

ღირებულებები: სოციალიზმი, დემოკრატია, ნაციონალიზმი, ხალხი, სამართლიანობა, პარლამენტარიზმი, თავისუფლება.

შესრულდა 56 წელი მას შემდეგ, რაც საქართველოში სოციალ-დემოკრატია გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე საკუთარი სოციალური და ნაციონალური პროგრამით: ბატონობა ხალხის, ბატონობა ერის, სოციალიზმი - აი ამ პროგრამის ძირითადი მუხლები.

ის დაუპირისპირდა რუსეთის თვითმპყრობელობას, დიდ მემამულეთა მიწათმფლობელობას და კაპიტალისტების გაბატონებას საქართველოში.

ის აღორძინდა და განვითარდა სრულიად დამოუკიდებლათ რუსეთის ასეთსავე მიმდინარეობისგან. ათი წლის მუშაობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პატარა ერის რევოლუციური ძალა სრულიად არ კმარა დიდი რუსეთის უღელის დასამხობათ და გადასწყვიტა შეერთებოდა რუსეთის ასეთსავე დაჯგუფებას და საერთო ბრძოლით თავისი დროშის გამარჯვებას. ეს შეერთება მოხდა 1903 წელს საერთო ყრილობაზე ლონდონში.

ეს გაერთიანება ჩამოყალიბდა ერთი ძირითადი საერთო მოთხოვნილების პირველ რიგში დაყენებით, რომლის განხორციელება კარს უღებდა დანარჩენ მოთხოვნილების გატარებას. ეს მთავარი მიზანი იყო მეფის რეჟიმის დაცემა და ხალხური რესპუბლიკის დაარსება."

პირველ აგორებულ რევოლუციურ ტალღამ თვითმპყრობელობა დასქრა, მაგრამ ვერ მოსპო. იწყება სათათბიროს პერიოდი. ყველა ოთხივე სათათბიროს დეპუტატებათ ქართველი ხალხი ირჩევდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს, ერთის გამოკლებით (სოციალისტ-ფედერალისტი). ყველა ოთხივე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მთელი რუსეთისას მეთაურობდნენ ქართველი სოცალ-დემოკრატები.

მეორეთ აგორებულ რევოლუციურ ტალღამ, 1917 წ. დაამხო მეფის რეჟიმი, გამოაცხადა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ დიდ გარდატეხის მთავარ ორგანოს, პეტერბურგის მუშათა ანტიბოლშევიკურ საბჭოს, მეთაურობდა ქართველი სოციალ-დემოკრატი, მეოთხე სათათბიროს წევრი, არცეული ერთხმათ მის თავმჯდომარეთ.

7. ქართველი სოციალ-დემოკრატია დაუპირისპირდა ბოლშევიზმს თავიდანვე, მისი აღორძინების დღიდანვე, ლონდონის კონგრესზე. პირველად ის გამოვიდა მის წინააღმდეგ პრინციპიალური კრიტიკით საერთო რუსეთის მასშტაბით, მაშინ როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატები მას ედავებოდნენ ორგანიზაციული მოტივებით. საქართველოში მან სავსებით გაანადგურა მათი ორგანიზაციული წყობა, გაანიავა მათი გავლენა მუშათა კლასზე.

8. ამიტომ როცა რუსეთში აღსდგა ძველი რუსულ-აზიური სულისკვეთება და ის დაუბრუნდა ეკატერინე მეორის წინ არსებულ სოციალურ წყობას, გაბატონებულს ბოლშევიკების მეთაურობით, საქართველოში ძალაში დარჩა ევროპული სულისკვეთება და მთელ რევოლუციურ ასპარეზს დაეპატრონენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. მათ პირველათ ახლა მიეცათ საშუალება განეხორციელებინათ თავისი პროგრამა.

9. საქართველოს და რუსეთის სავალი გზები საქვეყნოთ გაიყარნენ, რაიცა ჩამოყალიბდა შესაფერ ნაციონალურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფორმებში. პირველ ყოვლისა საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და გამოაცხადა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ასი წლის წინეთ შეწყვეტილი რუსეთის ჯარების მიერ; ყველა რევოლუციურ ორგანოებს და ერის ნაციონალურ მთავრობას მეთაურობდნენ სოციალ-დემოკრატები, მათ მისდევდნენ, მათ მეთაურობას სცნობდნენ ყველა ნაციონალურათ და პროგრესულათ მოაზროვნე დაჯგუფებანი მთელი ერისა. საქართველოს ირგვლივ აგორებულ რუსულბოლშევიკურ ტალღებს, რუსის გაბოლშევიკებულ მილიონიან ჯარებს დაუპირისპირდა ერთი მთლიანი ნაციონალური ფრონტი.

10. მთელ ძველ რუსულ იმპერიაში ერთადერთი საქართველო წარმოადგენდა ერთერთ კუთხეს, სადაც მეფობა მყუდროება, წესიერება და დისციპლინა თავისუფლების საფუძველზე. მის ირგვლივ ანთებული კოცონი სამოქალაქო ომისა მის სხეულს სრულიად არ მიეკარა, მის არცერთ ნაწილს და წრეს არ გადაედვა. ერის მეთაურის, სოციალ-დემოკრატიის ასეთი უმაგალითო ნაყოფიერი შემოქმედება აიხსნება მისი ძირითადი თვისებებით, რითაც ის განსხვავდებოდა და განსხვავდება დღესაც რუსეთის და დასავლეთის ასეთსავე მიმდინარეობისგან.

ა) მისი სოციალიზმი იყო და არის რევოლუციური და არა პარლამენტალური, საარჩევნო, საკარიერო და სალაპარაკო ხასიათის;

ბ) მისი დემოკრატიზმი იყო და არის ურყევად ხალხური, ანტიბურჟუაზიულ-პლუტოკრატიული, ანტითავადაზნაურულ-პომეშჩიკური;

გ) ის იყო და არის მომხრე და შემქმნელი ერის სამი კლასის ბლოკის: გლეხების, მუშების, და წვრილი ბურჟუაზიის. ეს ბლოკი, მცხოვრებთა ეს დიდი უმრავლესობა, არის ბატონი და პატრონი მთელი ერის, წინამძღოლი მისი სავალი გზების, მისი ყოფა-ცხოვრების ამწყობი და დამწყობი. ნაციონალური ბურჟუაზიის უყოლობის გამო, მის გარეთ დარჩა მხოლოდ მემამულეთა კლასი, ძველი ისტორიული თავად-აზნაურობა, რომელიც დაემორჩილა ისტორიის განაჩენს და უბრძოლველად, უკონტრ-რევოლუციოთ გაყვა ერის უმრავლესობას.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის სოციალიზმი და დემოკრატიზმი იყო და არის მართლაც თავისებური, უაღრესათ ნაციონალური და ხალხური, რაიცა გაკვირვებით აღნიშნა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიის მეთაურმა კ. კაუცკიმ თავის წიგნში „საქართველო". სოციალიზმი ერის სამსახურში აი, რა აწერია თავიდანვე მის დროშას.

11. რაკი ქართული სოციალიზმი იყო უაღრესად ნაციონალური, ამიტომ პირველი მისი რეფორმატორული ნაბიჯი შეიცავდა ერის დიდი უმრავლესობის – გლეხობის ინტერესების დაცვას, მისი დაბალი სოციალური საფეხურიდან მაღლა ამოყვანას და ერის ფუძეთ გამოცხადებას. ეს კი იქნა შესრულებული აგრარული რეფორმით. მიწათმფლობელთა წოდებას ჩამოერთავა უსასყიდლოთ მამულები და ყველა სახნავ-სათესი მიწები დაურიგდა უმიწაწყლო და მცირე მესაკუთრე გლეხობას, ხოლო დიდი გაშენებული მამულები, ტყეები და საბალახოები გამოცხადდა ნაციონალურ საკუთრებად.

12. ერის ხელში გადავიდა აგრეთვე მტამადნები, გზები, წყლები, კულტურულათ დამუშავებული სხვილი მამულები. რის გაყოფა იქნებოდა ეკონომიკური უკანდახევა. და აგრეთვე რუსის ხაზინის მთელი ქონება საქართველოში დარჩენილი.

13. ამნაირათ, საქართველოში დამყარდა კოორდინაცია, მოთანხმება სახელმწიფო და კერძო ეკონომიკას შორის. სხვილი ნაციონალური და წვრილი კერძო საკუთრება შეიქმნა ახალი საქართველოს სოციალურ ფუძეთ.

14. ქართველი მუშათა კლასი ღებულობს ყველა მისთვის მიუცილებელ რეფორმებს ამ კერძო და ნაციონალური საკუთრების ფარგლებში და მჭიდროთ ეკავშირება ერის უმრავლესობას – მცირე მესაკუთრეთა კლასს, რომელსაც ის იმავე დროს უნევს მეთაურობას სოციალ-დემოკრატიის დროშით.

15. ეს ახალი, ხალხური საქართველო თავის საგარეო პოლიტიკას აწყობს ორ დებულებაზე; თავის ძველი საზღვრების აღდგენა და მისი დაცვა გარედან შემოსევისაგან. პირველი ამოცანა მან დიდებულად შეასრულა. მან დაიბრუნა ოლქები ბათომის , ართვინის და არდაგანის. 1918 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობას ჯერ ფაქტიურათ, შემდეგ იურიდიულად ევროპის ყველა სახელმწიფოები. მისი დამოუკიდებლობა იცნო აგრეთვე განსაკუთრებული ხელშეკრულობით რუსეთის საბჭოთა მთავრობამ.

16. ამ ნაციონალურ და სოციალურ გარდაქმნას აგვირგვინებს ხალხის პოლიტიკური გაბატონება. მას მიეცა ყველა თავისუფლება, გარდა ერთისა – ნაციონალური და სოციალური წყობის დანგრევისა, მის წინააღმდეგ ბრძოლისა.

17. ქვეყნის უმაღლეს გამგეთ გამოცხადდა ერთპალატიანი პარლამენტი, უპარლამენტარიზმოთ. მთავრობა ირჩეოდა მის მიერ ვადით, რომლის განმავლობაში მისი შეცვლა სხვადასხვა საარჩევნო კომბინაციებით არ შეიძლებოდა, მთავრობა ასრულებდა პარლამენტის დადგენილებებს. უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა დაეკისრა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც იმავე დროს იყო შეფი სახელმწიფოსი. ხალხს მიეცა უფლება კანონმდებლობის ინიციატივის და გამოცემული კანონის გადასინჯვის (რეფერენდუმი)

18. აი ეს ახალი საქართველო, გამთლიანებული ტერიტორიალურათ, სულიერად და ნაციონალურათ შექმნა ხანგრძლივ სახალხო მოძრაობამ სოციალ-დემიკრატიის მეთაურობით და თავდადებით, რაიცა, იქმნა დადასტურებული თითქმის ერთხმად დაფუძნებული კრების არჩევნებით (1919 წ.) დეპუტატთა ოთხმოცი პროცენტი ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიას, ხოლო დანარჩენი დაჯგუფებანი- სოციალისტ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები მთავარ საკითხებში არ განსხვავდებოდნენ მართველი პარტიისაგან.

19. საქართველოს დაპყრობისთანავე მოსკოვის მიერ იგივე სოციალ-დემოკრატია ეწყობა არალეგალურ, საიდუმლო ორგანიზაციებში, აჩაღებს ბრძოლას საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ და თავის ირგვლივ იკრებს ყველა თავდადებულ მებრძოლს. ეს ბრძოლა გაგრძელდება 1921 წლიდან დღევანდლამდე; მას შეეწირა მრავალი მსხვერპლი, დაიხვრიტა ათასობით საუკეთესო მებრძოლი, მაგრამ ის ვერ ჩაკლეს, ვერ შეაჩაერეს ტირანებმა ვერავითარი ზომით. ამავე დროს დაფუძნებული კრების მიერ ევროპაში გამოგზავნილი ნაციონალური მთავრობა მთელი ამ ხნის განმავლობაში ეწევა პილიტიკურ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ და საქართველოს განსათავისუფლებათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა, არც ერთი ყრილობა სოციალისტური ინტერნაციონალისა, რომ არ დაესვას საქართველოს საკი-

თხი. ერთა ლიგა, პარლამენტები, ჟურნალ-გაზეთები, კონგრესები ხდებოდნენ ამ საკითხის მთავარ ასპარეზათ. ის ისმოდა აგრეთვე ყველა მთავრობათა წინაშე.

20. მთელ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი სოციალ-დემოკრატია მუშაობდა აშკარათ, ლეგალურად მხოლოდ ოთხ წელიწადს (1917-1921). საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. მთელი დანარჩენი დრო ის ეწეოდა ბრძოლას და ეწევა დღეს არალეგალურათ, კონსპირატოულათ, საიდუმლო ორგანიზაციების საშუალებით, არალეგალური პრესით, ჩუმი კრებით და სიტყვიერი პროპაგანდით, დროის დროს კი ქუჩაზე გამოსვლით, დემონსტრაციებით და აჯანყებებით. ამავე ლეგალურ პერიოდში ის ხელიდან არ უშვებდა არც ერთ ლეგალურ შემთხვევას, რომ თავისი პრინციპები საჯაროთ არ გამოეფინა. მთელ იმ პერიოდში მხოლოდ საქართველოში ქართულ ენაზე, მანამდე კი ის იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ლეგალურ ორგანოებში.

მონარქიულ და ბოლშევიკურ ტირანიამ ვერავითარი რეპრესიებით მისი მუშაობა ვერ შეაჩერა, ვერ ჩაკლა. საქართველოს სოციალ-დემოკრატია დარწმუნებულია იმაში, რომ, როგორც დაეცა მისი პირველი მტერი ცარიზმი, დაეცემა აგრეთვე მისი მეორე მტერი კომუნიზმი და თვით დარჩება საბოლოოთ გამარჯვებული.

გრიგოლ რობაქიძე
(1882-1962)

ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1917 წელს რობაქიძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი. 1931 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური ემიგრანტი. 1942 წელს მისი უშუალო მოღვაწეობით ემიგრაციაში დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი. რობაქიძე იყო, აგრეთვე, ანტიბოლშევიკ ერთა ლიგის თვალსაჩინო მოღვაწე.

● მიმართვა ახალგაზრდობისადმი, 1954წ.
(გადაიცა რადიო თავისუფლების ეთერით)

წყარო: ნაწერები, წიგნი 5, თბ.: 2012, გვ. 387-389;
ხმული: https://www.youtube.com/watch?v=sYAQBYRwl9E
ან http://genia.ge/?p=17942

მიმართვა ახალგაზრდობისადმი

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია, ერი.

მამური გულით გიხმობთ შორეთიდან ახალგაზრდებო! თუ ჩემი მწერლური ნაქმი უცნობია თქვენთვის, სახელი მაინც გაგეგონებათ ჩემი. შემეკითხებით: რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული ეგზომ მშვენიერი და ტკბილი? მოგითხრობთ. ბოლშევიკები გაჰყვირიან: „ხალხურ დემოკრატიას" ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს: „დემო" ნიშნავს ბერძნულად ხალხს; მაშასადამე, „ხალხური დემოკრატია" ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური, ხალხო-კრატია." ვამყარებთ დემოკრატიასო, უფრო მართალი

იქნებოდა ეთქვათ: „ვამყარებთ დემონოკრატიასო." ეს არაა ხუმრობა. ადამიანისათვის უკანასკნელი საყრდენი უზენაესია - ღმერთი. საბჭოეთში ყოველი რწმენა ზებუნებრივისა დადაგულია ლენინის ქეძაფის სიტყვებით: „ტრუპოლოჟესტვა." ყურები გვაქვს გამოჭედილი, ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიბრძვითო, ამავე დროს, ხალხს როგორც ცოცხალ კრებულს ბასრი დანით სახსრებს უხსნიან. ხალხის ალაგს მასაა გამეფებული, რომელშიაც პიროვნება, ეს უხვთიერესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება. არავითარი სახე აქ არაა და მაშასადამე არავითარი სახიერი. დილითგან შუაღამემდე გაისმის: „დავეწიოთ, გავუსწროთ!" ხალხი წელზე ფეხს იდგამს და ქაპანწყვეტაშია. ყოველი ცალკეული ნუმერია მხოლოდ და ნუმერი – ნაკელი, ეგრედ წოდებულ: `სოციალისტური მშენებლობისათვის.

ვამეტებ? დღევანდელი მოდგმა ნაკელად ეფინება ხვალინდელს, ხვალინდელი ასევე უნდა ეფინებოდეს მომავალს და ასე დაუსრულებლად. რაც ნოყიერდება ნაკელით, არის მხოლოდ კოლექტივი – ბნელი და უსახელო. ხალხისთვის რჩეული თავისთავს სწირავდა და როგორც გმირი, სახელი მისი ნათელით იფინებოდა მთელი ისტორიის კიდეგანით. საბჭოეთში ქანცმორეული „სტახანოვეცი", კოლექტივისათვის განწირული, ამოტივტივდება ხოლმე გაზეთების ფურცლებზე და ამ ფურცლებთან ერთად, რომელთაც სხვა მიზნისთვის ხმარობენ, ივიწყება ისე, რომ მისი სახსენებელიც აღარ რჩება.

მცენარე იზრდება; ქართველთა გენია იტყვის: მცენარე ხარობს. არის სიხარული საბჭოეთის მშენებლობაში? ძველად გლეხი, თითქოს მზის თესლებით სავსე, სიყვარულით უახლოვდებოდა მიწას, ვითარ ქმარი, რათა გაენაყოფიერებია მისი საშო. მიწა ნაყოფს გამოიღებდა მადლით, გლეხი სიხარულით თვრებოდა. თუ მონახავთ ასეთ გლეხს რომელიმე კოლმეურნეობაში, თუ გინდ ერთადერთს სიტყვა უკან წამიღია. ვერ მონახავთ. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია; თავისუფლება ა სხივური ელემენტი ადამიანში. ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ. იქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებული. დღეს რომ ერთი ბრძანებლობს ხვალ იგი დასახვრეტად მიჰყავთ. ბერიას ხვედრი საბჭოეთში გამონაკლისი არაა. იქ იგი ყოველდღიური მოვლენაა. დამხვრეტთ გუშინდელი მბრძანებლისა შიშის ქარი ურბენთ სახსრებში; ფიქრობენ: მათაც არ ხვდეთ ეს ბედი. არის ეს დემოკრატია? შესაძლოა შემედაოთ ამ დებულების გამო, გარნა ვიცი სადღაც მიმალულ კუნჭულში თქვენი არსისა დამეთანხმებით. თანხმობას მყისვე მიჩქმალავთ, რადგან შიში აგიყვანთ, მალული აზრი თქვენი, რომ არ იქნას ყურადღებული. საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერც კი დაუძინია. ეშინია სიზმარში ბოდვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე. ეს სამოთხე მივატოვე და არა ნამდვილი სამოთხე, შეუდარებელი სამშობლო ჩვენი. მოწყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია უცხოეთში რომ მაცოცხლებენ. ქალნო და ვაჟნო, ახალგაზრდებო! დღე არაა თქვენზე და თქვენთვის არ ვფიქრობდე გულაჩუყებული და თვალცრემლიანი. ვფიქრობ, თქვენში შექრილია ბოლშევიზმის გამხრწნელი ძალა. თანვე ამასაც ვიგულვებ, რომ ეს შექრა ძირა ფენებს თქვენი არსისა ჯერ კიდევ არ წვდენია. თუ რაა ეს ფენები ამას ერთი მაგალითი ნათლივ დაგისახავთ. იყო ერთი ქართველი, თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა. საქართველოს ბავშვობიდან იყო მოწყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წუთებში, როცა ადამიანის მთელი არსი შეირხევა

საუკუნეთგან მოშვებული ფესვებით, მას უეცრად რუსულიც დაავიწყდა, ფრანგულიც და ინგლისურიც. მომაკვდავმა ქართულად იწყო ლუღლუღი. აი რა ძალისა არიან ძირა ფენები ადამიანისა, განსაკუთრებით ქართველისა. ეს რომ არ ვიცოდე ამ სიტყვითაც არ მოგმართავდით.

გულწრფელ იღეთ ყურად სიტყვა ესე, სიტყვა, რომელიც წრფელი გულიდგანაა წარმოშვებული და მამური გრძნობებით თქვენკენ მოშვებული. დაენდეთ მხოლოდ და მხოლოდ ღრმა სიტყვას ამ ძირა ფენებიდგან; იქაა გულის ძგერა და მაჯის ცემა საქართველოსი; იქაა განმეტყველება მისი. ისმენთ ამ ხმას, თქვენში წამოიჭრებიან წმინდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვარით გვაზიარა ქრისტეს მცნებას, დავით აღმაშენებელი – ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარ, მზიური შარავანდი იმ ხელმწიფებისა, ქეთევან დედოფალი – წმინდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვარისათვის, მესიტყვენი დიდი კარდუსი, ჩვენი მითიური თაურმდგენისა: იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩული, შოთა, საბა სულხან ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა; წამოიჭრებიან თქვენში ძლევამოსილებით და მხრებში ამართულთ თქვენ ვერა გძლევთ რა, იყვეს იგი თუგინდ დემონური ძალა ბოლშევიზმისა. დაიმყენით სიტყვა ესე თქვენ ყმაწვილნო გულებში, ახალგაზრდებო!

ხალასო ნერგებო საქართველოს მომავლისა! გესმით? გიხმობთ ქართველი მწერალი, რომელსაც მწერლური გეზით ჯერ კიდევ მარდათ აქვს ამართული მარჯვენათი მეწამული ალამი საქართველოსი. ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასძახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელი იყავ საქართველო!

გიორგი ლეონიძე

(1900-1966)

მწერალი, პოეტი, ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობათა მკვლევარი, ძველი ხელნაწერების მაძიებელი და გამომცემელი.

● ჩორეხი, 1962წ. (ამონარიდი)

წყარო/ბმული: http://geollt.ge/leonldze/proza/natvris_khe/chorekhl.htm

ჩორეხი

ღირებულებები: თავისუფლება, ერი.

სკოლიდან მხიარულად გამოცვივნულ ბავშვებს სოფლის დიდ ცაცხვთან დაგვხვდებოდა ჩორეხი და როგორც ბატკნებს მწყემსი, ისე გადაგვარჩევდა რამოდენიმეს და გვმოძღვრიდა, გვწვრთნიდა, გვრჯულავდა, გვასწავლიდა...

ჩვენი ნამდვილი მასწავლებელი მართლაც ჩორეხი იყო და არა ქროღა ლონგო, რომელმაც თავისი გაკვეთილების მეტი არაფერი იცოდა!

დარბაისელი ჩორეხის საგანი ერთადერთი იყო – საქართველო და მისი სიყვარული!

და აი, ახლაც, ცაცხვის ქვეშ, გვიკითხავს „საქართველოს ისტორიიდან" თევდორე მღვდლის თავდადებას და ბოლოს ლოცვასავით ჩაგვიკითხავს ზეპირად, როგორც გულში გადამდნარ საკუთარ გულისთქმას, და ხმამაღლა გაგვამეორებინებს „კალმასობიდან":

„ქართველნი წინაპარნი ჩვენნი იყვნენ თუმცა კირთებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ, – მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, ეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვითთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმაგრე სულისა ვერა დაატოვებიეს, იძლევდნენ და სძლიეს, იდევნენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს უკვდავებისა სახელი!" ამ სიტყვებზე ჩვენ ვბორგავდით, ვბობოქრობდით, აღარ ვიცოდით, სად წაგვეღო ხელები.

რა გვანრთობდა მაშინ ქართველ ბავშვებს? – „დედა ენა", „ჯეჯილი" და რუსთა მეფის სიძულვილი!

მამულის თავისუფლების აზრის ცეცხლი იძვროდა ჩვენს სულში, მან დააალმურა ჩვენი გონებაც და უკვე მოზარდები, მამულის სევდით სახემეკომლილები დავდიოდით. ეს სევდა გვაკაუებდა მაშინაც, ულვაშის გინგლი რომ დაგვეტყო, როცა „ყოველივე ფერმკრთალდებოდა ოცნების წინაშე!"

თუ აქამდე ჩვენ გვნამდა „წმინდანნი ზეცისანი", ახლა შემოგვესხივნენ „წმინდანნი ქვეყნისანი", – ჩვენი ქვეყნის მამულიშვილები, – ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე და, როგორც ჩორეხი იტყოდა, „ხმალშეუხსნელი ერეკლე!"

ერეკლეს სახელს ჩორეხი უსათუოდ ოხვრით დაატანდა: – ა, ბეჩავ, ბაგრატიონო!

ბაზალეთის ლერწმოვანები ჩვენთვის საიმედოს მღეროდნენ და ყურიც კარგად არჩევდა შორეულ მუსიკას.

„უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყე მარჯვენე ჩვენი"! – ეს იყო ჩვენი პირველი აღთქმა მამულისადმი, აღთქმის საყვარელი გამოთმა!

– ემთხვიეთ ქართულ მიწას! – და ჩვენც ვემთხვეოდით.

– აკოცეთ წარსულის ნაშთებს! – ჩვენც ვასრულებდით ჩორეხის ბრძანებას და ძველი ტაძრის თუ კოშკის ხავსიან ქვებს დაჩოქილები ვეამბორებოდით.

ბავშვი ისე არ გაეტირება თავის დედას, როგორც ჩორეხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას. გაშლიდა რუკას, შემოგვისხამდა გარს, დაადებდა თითს რუკაზე:

– მესხეთი, – შეეალერსებოდა, თან ღიმილით იტყოდა, – ჩემი გვარიც იქიდან არი! იქიდან ვართ წამოსულები!

– სამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, სრულიად ჭანეთი, – აი, საქართველოს ნატამალი! კურთხეული მხარე! არ დაივიწყოთ საქართველოს მოჭრილი ძუძუ! ჩვენი აკვანი! ქართული სალმით ამოდის იქ მზე. იქ გამოიგონეს ქართველებმა პირველი ფოლადი; იქ დაარტყა პირველად ურო თუბალაურმა!

„აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე!"

– დიდი მშრომელი ხალხი ყოფილა ჩვენი წინაპარი ქართველობა! შეხედეთ, ჩვენ სამშობლოში პატარა გორაკიც კი არ არის, რომ ზედ არ იდგეს ტაძარი, ციხე-კოშკი, სიმაგრე. დიდი ოფლია დაღვრილი, დიდი! ეს უნდა გვახსოვდეს. მარტო ყანწის ტრიალი კი არ ვიცოდით!

...

აღარ არის ჩორეხი – სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახი, სევდით გულდაღამებული, მხოლოდ წარსულის ტრფიალი, კეთილშობილი, თუმც უღვაწი კაცი, მაინც დიდი მონადინე და სევდით ნაჯაფარი...

გულჭირიანს და ფესვმოკვეთილს ღრმა ძილით სძინავს თავის შავ სევდასთან ერთად...

მის გარშემო აღარ ტრიალებდა ეჭვები და ჭორები.

რატომღაც მგონია, რომ ჩორეხი არ არის მკვდარი; და რომ სადღაც, შავს ტყეში თუ ძველ ნანგრევში არის შეხიზნული! თითქოს მისი ხმაც კი მომესმის მკაფიოდ; ხან ბინდისას ვხედავ შარაგზაზე აჩქარებით მიმავალს, თმადაბურდულს, აქეთ-იქით თვალის მაძგერებელს.

რევაზ გაბაშვილი
(1882-1969)

პოლიტიკური და კოოპერაციული მოძრაობის მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ეკატერინე გაბაშვილის (თარხნიშვილი) უფროსი ვაჟი. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1959 წელს მიუნხენში გამოქვეყნდა მისი გახმაურებული მემუარები – „რაც მახსოვს". წიგნმა ქართული ემიგრანტული, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიული წრეების აღშფოთება გამოიწვია.

● ინტერვიუ რეზო გაბაშვილთან, 26 მაისი, 1968 წ.
(რადიო „თავისუფლება")

(ფირი, ამონარიდი)
წყარო: ჟურნალი "ისტორიანი", 2011 წლის ნოემბერი, #11
ბმული: https://www.kvlrlspalltra.ge/lstorlanl/40725-revaz-gabashvllls-qambokhl-sull-da-mkbenare-kalamlq.html?devlce=xhtml

ინტერვიუ რეზო გაბაშვილთან

ღირებულებები: დამოუკიდებლობა, დემოკრატია, თავისუფლება

ოთარი: ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე პარიზიდან!

პატივცემულო თანამემამულენო, ვინ არ იცნობს ჩვენში ჩვენს სახელოვან მწერალს, ეკატერინე გაბაშვილს. თქვენ ალბათ არ იცით, რომ მისი ვაჟიშვილი, ბატონი რეზო გაბაშვილი, რომელიც ახლა 86 წლისაა, ცხოვრობს პარიზში. ჩვენ გვსურს ბატონ რეზოს შევე-

კითხოთ, თუ რა განიცადა მან 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, როცა აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სანამ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს შევეხებოდეთ, გვსურს ბატონ რეზოს ვკითხოთ, თუ რას მოგვიყვება ის თავისი ცხოვრების შესახებ, რომელიც მან განვლო საქართველოში და შემდეგ ემიგრაციაში, უმთავრესად, პარიზში.

ბატონო რეზო, ხომ არ მოგვითხრობთ თქვენი ცხოვრების მთავარ მომენტებს?

რეზო: დავიბადე წარსულ საუკუნეში, 1882 წელს, 6 ნოემბერს, თბილისში, საკუთარ სახლში; დღეს დაარქვეს ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა.

ოთარი: სად მიიღეთ დაწყებითი განათლება, ბატონო რეზო?

რეზო: წერა-კითხვა თვითონ დედაჩემმა მასწავლა და რვა წლისა შევედი ე.წ. სათავადაზნაურო სკოლის მეორე განყოფილებაში... მერე ეს სკოლა გადაკეთდა გიმნაზიად და 1902 წელს იყო მესამე გამოშვება და მეც ამ წელს დავასრულე გიმნაზია. მაშინვე წავედი საზღვარგარეთ, ბელგიაში - ლიეჟში; იქ იყო მაშინ ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, სადაც დავყავი 1905 წლის ზაფხულამდე, როცა რუსეთსა და საქართველოში პირველმა რევოლუციამ იფეთქა და რადგანაც მთელი ქართველობა ვემზადებოდით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ჯერ კიდევ მაშინ... ერთი ყიფიანი იყო ბრიუსელში. ის გვასწავლიდა თოფის სროლას... ვემზადებოდით, ასე ვთქვათ, რევოლუციისა და საქართველოს გათავისუფლებისთვის... და ზაფხულში, როცა მე შევისწავლე ბომბებისა და ასაფეთქებელი მასალების დამზადება, დავბრუნდი საქართველოში. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ჩავწერილვარ წევრად, მაგრამ რადგან ორი პარტია იყო - ერთი დემოკრატიული, რომელიც ემსახურებოდა მარტო რუსეთის დემოკრატიას, მეორე - ფედერალისტები, რომლებიც აყენებდნენ, ასე თუ ისე, ეროვნულ საკითხს, მე იმათ მივეკედლე...

ეს იყო ჩემი პირველი პოლიტიკური გამოსვლა. აქტიური გამოსვლა, თორემ პოლიტიკურ საკითხებში, პოლიტიკურ ასპარეზზე მე უკვე 15-16 წლიდან გამოვედი: ვესწრებოდი 1890-იან წლებში ძალიან გავრცელებულს მთელ რუსეთსა და საქართველოში ე.წ. «სამეცნიერო წრეებს», სადაც პოლიტიკური მოღვაწეები გამოდიოდნენ და გვასწავლიდნენ ამ მთელ რევოლუციურ ამბებს, თავიანთ მეცნიერულ შეხედულებათა მიხედვით. მე ვესწრებოდი ამ კრებებს; და პირველი პოლიტიკური გამოსვლა იყო 1901 წელს. მაშინ მე დავესწარი დემონსტრაციას და ჩემი თვალით ვნახე საშინელი ამბები - ყაზახებმა როგორ თავ-პირი დაამტვრიეს დემონსტრანტებს... სცემდნენ, თავ-პირს ამტვრევდნენ და მე ვერ მოვითმინე, 18 წლის ვიყავი მაშინ, და დავიყვირე: «არა გრცხვენიათ, ტყვე ხალხს თქვენ კიდევ სცემთ მათრახებს?» გამომიდგა ერთი ყაზახი ცხენით და ტროტუარზე რომ არ წაქცეოდა ცხენი, თავს გამიხეთქავდა... ხმალი მოიქნია და უნდა დაერტყა და სწორედ ამ დროს ცხენი წაექცა ქვაფენილზე და მე ამ დროს ვისკუპე, ალექსანდრეს ბაღია თბილისში, და ამით გადავრჩი სიკვდილს. სოციალ-დემოკრატების გამოსვლა იყო ერევნის მოედანზე და იქ საშინელი ამბები დატრიალდა. სოციალ-დემოკრატებს ჩამოტანილი ჰქონდათ სოფლებიდან სარები, კეტები და ამით აპირებდნენ შებრძოლებას ყაზახებთან...

...

ოთარი: რომელ წელს დააარსეთ, ბატონო რეზო, საქართველოს ეროვნული პარტია?

რეზო: ეს იყო 1911 წელს.

ოთარი: ვინ შეადგინა ამ პარტიის პროგრამა?

რეზო: ჩვენ ვიყავით სამნი - მე, შალვა ამირეჯიბი და დათა ვაჩნაძე. მერმე, პირველივე თვეებში, ჩვენ შემოგვიერთდნენ უფროსი თაობიდან და ახალგაზრდობიდან. ასე რომ, პირველივე თვეებში ჩვენ ავიყვანეთ პარტიის რიცხვი თითქმის ას კაცამდე. და მერმე არსებობდა ჩვენი პარტია, ეროვნული პარტია 1917 წლამდე, ვიდრე მოხდა რევოლუცია და მაშინ გადაკეთდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად.

ოთარი: ბატონო რეზო, ახლა ჩვენ ვუახლოვდებით იმ პერიოდს, როცა თებერვლის რევოლუცია მოხდა და საქართველოში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რას გვეტყოდით ამ პერიოდზე?

რეზო: ამისათვის ცოტა უნდა უკან დავიხიოთ: 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი, დიდი პოლიტიკური მოღვაწე და გონიერი ადამიანი. ჩამოგვიტანა გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმალეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომ ეს სამი სახელმწიფო სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და როგორც კი რომელიმე ამ სახელმწიფოს ჯარი ფეხს შემოდგამდა საქართველოს ტერიტორიაზე, გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და სცნობდენ იურიდიულად. ჩვენ მივიღეთ თუ არა ეს ხელმოწერილი ხელშეკრულებანი, მოვიწვიეთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები - სოციალ-დემოკრატებისა, ფედერალისტებისა და ქუთაისში გაიმართა კონფერენცია, 1915 წელს, გაქანებული ომის დროს. სოციალ-დემოკრატებიდან იყვნენ წარმომადგენლები - თვითონ ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი, ფედერალისტებიდან: გრიგოლ რცხილაძე და სამსონ ფირცხალავა, ჩვენი მხრიდან ვიყავით მე და შალვა ამირეჯიბი. ეს კრება ჩატარდა ახალგაზრდა ქართველის სახლში, რომელიც იმავე დროს ამ კონფერენციის თავმჯდომარე იყო. ამ კრებას გიორგი მაჩაბელმა გააცნო მთელი მდგომარეობა და გადმოულაგა ეს ხელშეკრულებანი და დავიწყეთ მსჯელობა. ბატონმა ჟორდანიამ განაცხადა შემდეგი: «ბატონებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ, მე და ჩვენი პარტია, ვართ ამ ომში მომხრენი ანტანტისა და იმავე დროს რუსეთისა და ამას ვერ გადავცდებითო. მხოლოდ თქვენ იმუშავეთ მაგ გზითო, ე.ი. გერმანელებთან ერთად და ჩვენ არანაირ ხელს არ შეგიშლით და პირიქით, თუ საჭირო იქნება, აქა-იქ დაგეხმარებითო». და მე უნდა დავუმატო ამას, რომ მართლაც, როდესაც ჩვენ შემდეგ მოგვიხდა გერმანელებთან ასე თუ ისე კავშირის დამყარება, - ჟორდანიამ ხელი კი არ შეგვიშალა, პირიქით, ხელს გვიწყობდა. აი, ეს ერთადერთი გასამართლებელი მოვლენა, რომელიც მე მახსოვს მთელი ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიიდან და ისტორიიდან.

ოთარი: ბატონო რეზო, ხომ არ მოგვითხრობთ, თქვენ პირად განცდებზე, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ე.ი. 1918 წლის 26 მაისს? სად ბრძანდებოდით მაშინ?

რეზო: მე, რასაკვირველია, ვიყავი თბილისში და დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ბევრი შრომა გავწიე პირადად და პარტიის საშუალებითაც. აი, ამ სამზადისის ერთ-ერთი მაგალითი: ქუთაისის კონფერენცია გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლის დროს. გარდა ამისა, ჩვენ ვაგროვებდით იარაღს მომავალი დამოუკიდებლობისთვის და ეს იარაღი შემოდიოდა როგორც ყიდვით, ისე შემოწირულებით რუსის ჯარის ოფიცრებიდანაც კი და მოგვდიოდა წყალქვეშა ნავებით გერმანიიდან.

ოთარი: როგორ შეხვდა ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის გამოცხადებას?

რეზო: ქართველი ხალხი, შეიძლება ითქვას, დედიან-ბუდიანად, დიდი აღტაცებით შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. როდესაც პარლამენტში ნოე ჟორდანიამ წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი და მერე აივნიდან ხალხს გამოუცხადა, შეიძლება ითქვას, რომ სასახლის გარშემო მთელი თბილისი იყო და აღტაცებით ტაშს უკრავდა, მღეროდნენ და ზეიმობდნენ.

ოთარი: ასეთივე მდგომარეობა იყო ალბათ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში?

რეზო: ყველგან... სოფლებში, ქალაქებში დიდი აღტაცებით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იმ დღეს, ვლასა მგელაძე გაიქცა მამადავითის ეკლესიაში, ზარები დარეკა და ილია ჭავჭავაძისა და აკაკის საფლავს ჩასძახა, - გაიხარეთ, საქართველო დამოუკიდებელი გახდაო.

ოთარი: როგორც იცით, ბატონო რეზო, საქართველოში გვყავს ახალი თაობა, რომლებიც დაიბადნენ დამოუკიდებლობის პერიოდის შემდგომ დროში და მათ არა აქვთ საშუალება გაეცნონ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს. თქვენ რას ეტყოდით ჩვენს ახალგაზრდობას... რას უსურვებდით ჩვენს ხალხს და ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოში?

რეზო: ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებით და მეტადრე ხუთი ათასი წლის ისტორიის შესწავლით, მეცნიერულად, არქეოლოგიურად და ენათმეცნიერების საშუალებით, მე დავრწმუნდი, რომ ყოველი პატარა ერი, რომელიც ებრძვის თავის მოძალადეს და მოწინააღმდეგეს, უფრო მეტს იგებს, ვიდრე როდესაც ის შეურიგდება და ნაუწვება დამპყრობელს.

ოთარი: დიდად გმადლობთ, ბატონო რეზო.

აკაკი ბაქრაძე

(1928-1999)

ქართველი კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1980-იან წლებში აკაკი ბაქრაძის წიგნებმა და სტატიებმა, საჯარო ლექციებმა დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღის წარმოქმნაში.

○ დაკვირვებანი, 1980წ. (ნაწყვეტი: საბჭოთა ტვირთი)

წყარო/ბმული: https://bit.ly/2LTlbYz

დაკვირვებანი

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია, კანონიერება, პროტესტი.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ქურდობა, ფლანგვა, მექრთამეობა, ხალტურა, გამომძალველობა არ მოისპობა სსრკ-ში. ეს გახლავთ სრული და საყოველთაო უნდობლობა კომუნისტური სიტყვისა და საქმისადმი, – აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე საბჭოთა პერიოდის თავის ერთ-ერთ წერილში და მოგვიანებით დასძენს:

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე საბჭოთა ხალხმა კარგად გააცნობიერა და გაიგო, სად ცხოვრობს და ვისთან აქვს საქმე. პროტესტის საყოველთაოდ აღიარებულ რომელიმე ფორმას (გაფიცვა, მიტინგი, დემონსტრაცია) იგი ვერ მიმართავს. ამისთვის მას სრული გაჟუჟვა ელის. მაგრამ ხალხს არ შეუძლია გულხელდაკრეფილი იდგეს და ხმისამოუღებლად უყუროს, როგორ ატყავებს მას კომუნისტური ელიტა. უნდა იბრძოლოს, თავი დაიცვას და საბჭოთა ხალხიც მიმართავს პროტესტის მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას – ქურდობას, ფლანგვას, ხალტურას და ა.შ. დიახ, ეს პროტესტის ფორმებია, მაგრამ მახინჯი. რა ჰქნას ხალხმა, პროტესტის სხვა საშუალება არა აქვს და მიმართავს იმას, რაც გამოძებნა. ამიტომ

გავრცელდა ტოტალური ფლანგვა, ხალტურა, ქურდობა, კომბინაცია.. ამიტომ სარგებლობს პატივისცემით ქურდი, კომბინატორი, მფლანგველი, ხალტურისტი.. ისინი ხალხმა პროტესტანტებნად მიიჩნია და „კაი ბიჭის" რეპუტაცია დაუმკვიდრა.

სად მიგვიყვანს პროტესტის , ბრძოლის ამგვარი მახინჯი ფორმა? აუცილებელ და გარდაუვალ კატასტროფამდე. ოღონდ არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების კატასტროფამდე, არამედ ხალხის დაღუპვამდე.

პროტესტის ეს მახინჯი ფორმები ხრწნის ხალხის ფსიქიკას, შლის მის სულიერ სიმტკიცეს, სპობს შრომისადმი პატივისცემას. ყველა დროში, ყველა ეპოქაში ხალხი ხელისუფლებას ებრძოდა და ებრძვის კანონიერების დაცვის პოზიციიდან. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ხალხი ხელისუფლებას ებრძვის კანონიერების დარღვევის პოზიციიდან არის სსრკ.

მწერლობის მოთვინიერება, 1983წ. (ნაწყვეტი)

წყარო/ბმული: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4458/1/III%20toml-1.pdf

---

ღირებულებები: თავისუფლება, ერი.

თუ ქართველი ხალხი, ქართული მწერლობა არ იქნება თავისუფალი, არ ივლის თავისი გზით, ვერც ერი და ვერც მწერლობა ვერ გახდება სრულუფლებიანი თავისთავადი წევრი კაცობრიობისა, უნივერსუმისა. როგორც ჩვენი ხალხი, ისე ჩვენი მწერლობა მუდამ დარჩება სხვისი ჩრდილი. ჩრდილი კი, ყველას კარგად მოეხსენება, რა იოლად ქრება.

აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ ეს. ეს ერთი მხარეა საკითხისა. არის მეორე მხარეც: რა არის საჭირო იმისათვის, რომ რუსული ხასიათი გათავისუფლდეს დესპოტიზმისგან, ხოლო ქართული - ხიზანის შეგნებისაგან? იგრძნოს ქართველმა თავი თავისუფალ ადამიანად და არ ეძებდეს მფარველს?

ჩემი აზრით, ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს - საჭიროა სულის რევოლუცია.

დიალოგი, 1988წ. (ნაწყვეტი)

წყარო: გაზეთი «ქართული ფილმი», 22 ივნისი, 1988წ.
ბმული: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4464/1/Toml_VII.pdf

---

ღირებულებები: თავისუფლება, ერი.

ჩვენ არ გვაქვს ჩვენი მწერლობა-ხელოვნების სტრატეგიული მიზანი, საით მიდის ჩვენი მწერლობა-ხელოვნება და საით მიჰყავს მას ჩვენი ხალხი. მე არა მაქვს აქ მხედველობაში მარტო ეროვნული სტრატეგია. ვგულისხმობ ესთეტიკურ და ზნეობრივ სტრატეგიასაც. სტრატეგიული მიზნის უქონლობა ყველაზე მკაფიოდ მაშინ ჩანს, როცა ფილმებში, რომანებში, სპექტაკლებში რელიგიას ვეარშიყებით. აღარც მორწმუნე კაცია ჩვენს მხატვრულ ნაწარმო-

ებებში და აღარც ათეისტი. არის რაღაც შუაში გარჩენილი. ისევეა მაშინაც, როცა ზნეობრივ პრობლემებზე ვლაპარაკობთ, ანდა ესთეტიკური კრედოს გამოხატვა გვინდა. ლაპარაკს სანახევროდ ვბედავთ და ამას, ცხადია, არსად მივყავართ. ახლა ჩვენს მუშაობას თვითნებური ხასიათი აქვს. რატომღაც მოხდა ისე, რომ თვითნებობას შემოქმედებითი თავისუფლება დავარქვით. შემოქმედებითმა თავისუფლებამ ყოველთვის იცის რას ემსახურება. თვითნებობამ კი ისიც არ იცის, თავად თვითნებას რა უნდა, თუმცა ჯიუტად ებღაუჭება ამორჩემებულს. მე მგონია, რომ დღეს ის დღეა, როცა ჩვენმა მწერლობა-ხელოვნებამ სტრატეგიული მიზანი უნდა დაისახოს და იქით წავიდეს. ეს არავის შემოქმედებითს თავისუფლებას არ შეზღუდავს."

აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს, 1989წ. (ნაწყვეტი ინტერვიუდან)

წყარო: გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», 28.IV.1989.
ბმული: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4464/1/Tomi_VII.pdf

---

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია, ერი.

თენგიზ თალაკვაძე – გაოგნებული ვართ 9 აპრილის ტრაგედიით... ალბათ, აზროვნების უნარიც კი დაგვიქვეითდა, მომხდარის ანალიზი გვიჭირს. ასე უნდა მიექანებოდეს დემოკრატია უფსკრულში?..

აკაკი ბაქრაძე – «დემოკრატია», რომელიც დღეს სსრკ-შია, შეიძლება დავახასიათოთ იმანუილ კანტის სიტყვებით: «იმსჯელეთ რამდენიც გნებავთ, რაზეც გნებავთ, ოღონდ მორჩილი იყავით».

თუ მორჩილება არ გინდა, მაშინ ვაი შენი ბრალი. მორჩილის «დემოკრატია» კი არ არის დემოკრატია. ამას ბევრი მტკიცება და ბევრი საბუთი არ სჭირდება. ისედაც ცხადზე ცხადია. კანტი იმის პასუხსაც იძლევა, როდის იწყება დემოკრატია. „შაპერე აუდე!" – იქონიე ვაჟკაცობა და ისარგებლე საკუთარი ჭკუით!» ესეც არ არის საკმარისი. კანტი უმატებს, რომ საკუთარი ჭკუით სარგებლობა საჯაროდ, სახალხოდ უნდა ხდებოდეს. «საკუთარი ჭკუით საჯაროდ სარგებლობა ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი. მხოლოდ ასე შეიძლება მისცე ხალხს განათლება».

არ არის იოლი საკუთარი ჭკუით ცხოვრება, რადგან (კიდევ შევაწუხებ კანტს) «თუ მე მაქვს წიგნი, რომელიც ჩემ მაგიერ აზროვნებს, თუ მყავს სულიერი მოძღვარი, რომლის სინდისს შეუძლია შეცვალოს ჩემი, მყავს ექიმი, რომელიც მიმითითებს ცხოვრების წესს და ა.შ. მაშინ რისთვისღა შევიწუხო თავი».

ჩვენ ათეული წლების მანძილზე ვცხოვრობდით სხვისი ჭკუით, სხვისი სინდისით, სხვისი ნებით, სხვისი კარნახით, თავის შეუწუხებლად. ახლა აღარ გვინდა ეს. თვალი გავახილეთ, გონება გაგვეხსნა და ნამუსმა შეგვაწუხა. გვინდა გვქონდეს ვაჟკაცობა და ვცხოვრობდეთ საკუთარი ჭკუით. გვინდა დემოკრატია, მაგრამ არა მორჩილისა. გვინდა თავისუფალი ადამიანის დემოკრატია. ამიტომ ვთქვით უარი მორჩილებაზე. მაგრამ ჩვენ სსრკ-ში ვცხო

ვრობთ, სადაც არსებობის ძირითადი და წარმმართველი პრინციპი მორჩილებაა. ამიტომ „გაგვიმასპინძლდნენ" ორლესული ბარებით, ქიმიური ბომბებით და ტანკებით. ეს კანონზომიერი შედეგია „დემოკრატიისა", რომელიც უარს არ ამბობს მორჩილებაზე, რომელმაც არ იცის, რა არის თავისუფლება.

ასე, რომ მორჩილების «დემოკრატიამ» ერთხელ კიდევ მოგვატყუა. მაგრამ მომხდარმა ტრაგედიამ ჩვენ არც უნდა დაგვაბნიოს და არც უნდა შეგვაშინოს.

ტრაგედია სულს წმენდს, ამაღლებს, ასპეტაკებს. განწმენდილი, გასპეტაკებული სულით ჩვენ ვივლით წინ, იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც ეწოდება დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო. ისიც უნდა გავიხსენოთ, რაც ვაჟამ გვიანდერძა: „არ გვეშველება, თუ ერთ დღეს, სისხლად არ იქეც, მელანო!.." ჩვენი მელანი უკვე იქცა სისხლად და ჩვენი თავისუფლებაც დაიწყო.

თ.თ. – თქვენ გჯერათ, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალი პროცესი არ შეჩერდება, გაგრძელდება. თუ ასეა, ხომ არ არსებობს საშიშროება, რომ 9 აპრილის ტრაგედია განმეორდება და თან უფრო დიდი მასშტაბით?

ა.ბ. – ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ გამორიცხული არაფერია. მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ვეღარ განმეორდება. ვეღარ გაბედავენ. შევეცდები ავხსნა, რატომ.

პროცესი, რომელიც ამჟამად სსრკ-ში მიმდინარეობს, ადრე იქნება თუ გვიან, დამთავრდება ერთი შედეგით – საბჭოეთის ხალხების სრული თავისუფლებით.

რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? უპირველესად ის მოვლენები, რომლებიც ხდება ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, ამიერკავკასიაში, თვითონ რუსეთში. მალე ამგვარივე მოვლენები გაჩნდება შუა აზიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში. აღორძინებულ ეროვნულ მოძრაობას ვერარა ძალა ვეღარ შეაჩერებს. თქვენ შეიძლება მითხრათ – მიმართავენ ისევ სამხედრო ძალას, როგორც ჩვენთან, და ძალით მოსპობენ ყოველგვარ მოძრაობასო. დასაშვებია, არ უარვყოფ, მაგრამ რამდენ ხანს? ვერავითარ პოლიტიკურ სისტემას სამხედრო ძალა დიდხანს ვერ აარსებებს. როგორ გგონიათ, რუსეთს სამხედრო ძლიერება აკლდა 1917 წელს? არ აკლდა. რუსეთის არმია იმდროინდელ უძლიერეს გერმანულ არმიას უმკლავდებოდა, მაგრამ მონარქია მაინც დაემხო. დაემხო უპირველესად იმიტომ, რომ ხალხს აღარ სჯეროდა მისი, აღარ სწამდა. როცა ხალხი აღარ უცხადებს ხელისუფლებას ნდობას, ამ ხელისუფლებას ვეღარაფერი გადაარჩენს.

ხელისუფლებამ თავად აღიარა, რომ ათეული წლების მანძილზე დანაშაულს სჩადიოდა. ხელისუფლება, რომელიც 70 წლის მანძილზე ან ბოროტებას სჩადის, ან თავს იმართლებს და ახალ დაპირებას იძლევა, რომელსაც ვერ ასრულებს, ვერ აღიდგენს ხალხის ნდობას. მართალია, ძალიან გვინდა, რომ ყველა უბედურება ერთს ან ორ კაცს დაბრალდეს, მაგრამ არ გამოვა ეს. ერთი კაცი, ვინც უნდა იყოს იგი, ვერაფერს შეძლებს, თუ მხარს არ უჭერენ მას. სტალინის მიერ ჩადენილ ბოროტებას პარტია ვერ აიცილებს. როცა სტალინი ბოროტებას სჩადიოდა, პარტია მას მხარს უჭერდა. ასევე უჭერდა მხარს ხრუშჩოვსაც და ბრეჟნევსაც. ჩვენ ყველა მანკიერება, ყველა უბედურება, რომელიც საბჭოეთს თავს დაატყდა, გვინდა ავხსნათ პიროვნების კულტით (ან, სხვაგვარად, – სტალინის კულტით). ესეც თავის მოტყუებაა. აქაც ბოლომდე არ ვამბობთ სიმართლეს. არადა უნდა ვთქვათ. სსრკ-ში არსებობს პარტიის კულტი და არა პიროვნებისა. სტალინი 1953 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მის მერეც არა-

ფერი შეცვლილა სსრკ-ში. პიროვნების კულტი სტალინის სიკვდილს თან გადაჰყვა. მაშ რატომ არაფერი შეიცვალა? უბრალოდ იმიტომ, რომ პარტიის კულტი დარჩა. სანამ პარტიის კულტს არ მოვიცილებთ, მანამ სსრკ-ში არაფერი შეიცვლება. ეს ხალხმა მკაფიოდ დაინახა. მართალია, ჯერ ხმამაღლა ეს არ უთქვამს. მაგრამ თავისი უნდობლობით გამოხატა. ის მოძრაობა, რაც ამჟამად მთელ სსრკ-ში მიმდინარეობს, ამის პირდაპირი და უშუალო დასტურია.

ყოველგვარი კულტი, პიროვნების იქნება თუ პარტიისა, დროებით შეიძლება არსებობდეს. მერე ყველაფერს ნათელი ეფინება და პატარა, გაბედული ბიჭი დაუფარავად ამბობს – მეფე შიშველიაო.

ხალხი არა მარტო ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული სისტემების შეცვლას მოითხოვს, არამედ პოლიტიკური სტრუქტურისაც. არა მარტო პიროვნულ თავისუფლებას მოითხოვს, არამედ – ეროვნულსაც. მაკიაჟი და ცხვირის ოპერაცია პრობლემას ვერ მოაგვარებს. მას ძირეული, ფუნდამენტური შეცვლა სჭირდება. ძირეული, ფუნდამენტური ცვლილება მაშინ მოხდება, როცა დანყებული პროცესი ბუნებრივად განვითარდება და ლოგიკურ ბოლომდე მივა.

რა თქმა უნდა, ბევრი შეეცდება ამ პროცესს ხელი შეუშალოს. არც სამხედრო დიქტატურის დამყარების ცდაა გამორიცხული. მაგრამ სამხედრო დიქტატურას დროებით თუ შეუძლია პროცესი დააბრკოლოს. უფრო მეტს ვერ მოახერხებს. მეტსაც ვიტყვი: თბილისში მშვიდობიანი მიტინგის გაჟლეტა მარტო ჩვენს დასაშინებლად არ მომხდარა, მას უფრო დიდი მიზანი ჰქონდა: ეს იყო ცდა სამხედრო დიქტატურის დამყარებისა მთელი კავშირის მასშტაბით. თუ ეს ცდა თბილისში გაამართლებდა, მას გაიმეორებდნენ სხვაგანაც. მაგრამ ხრიკმა არ გასჭრა. ქართველი ხალხი არ შეშინდა. არ დახარა მორჩილად თავი. ხოცვა-ჟლეტის ინიციატორებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჩვენი გოგო-ბიჭებისა და ხანდაზმული მანდილოსნების სისხლმა მომავალი თავისუფლება გადაარჩინა და არა მარტო ჩვენთვის, არამედ სსრკ-ის სხვა ხალხებისთვისაც. ამიტომ ვართ გამარჯვებულნი. ამიტომ არ მჯერა ისიც, რომ შეიარაღებული ძალა საქართველოს ხელისუფლებამ მოიწვია. იგი გამოგზავნა სამხედრო დიქტატურის მოტრფიალეებმა. თქვენ ნახავთ, რომ ამას ისტორია დაადასტურებს.

თ.თ. – მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ის საქმიანობა, რომელიც ამიერიდან უნდა გასწიოს ჩვენმა საზოგადოებამ?

ა.ბ. – ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს – თეორიულიც და პრაქტიკულიც. წეღან, ზემოთ, კანტის სიტყვები მოვიშველიე. იგი მარტო პიროვნებას არ ეხება. მთელ ერს ეხება. ერიც საკუთარი ჭკუით უნდა ცხოვრობდეს. მართალია, ჩვენ გამოვფხიზლდით, მაგრამ საკუთარი ჭკუით ცხოვრება ჯერ კიდევ არ დაგვიწყია. ისევ მოსკოვიდან ველით განკარგულებებს. ვცდილობთ ეს განკარგულებები მივუსადაგოთ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებს. თუ ასე გავაგრძელეთ, ჩიხიდან გამოსასვლელს ვერ მოვძებნით. აუცილებელია ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ თავის თავს თავად მოუაროს.

ახლახან ლიტვიდან ჩამოიტანეს დოკუმენტი, რომელსაც რუსულად ეწოდება «Материалы к Пленуму ЦК КПСС о совершенствовании межнациональных отношений в СССР».

იგი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიას შეუქმნია და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებისთვის დაუგზავნია 1988 წლის დეკემბერში. თუ ეს დოკუმენტი ლიტვის მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო, დავიჯეროთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არ მოსულა? თუ

მიიღეს, რატომ არავინ არაფერი იცის? რას ფიქრობს, როგორ უნდა წარდგნენ მომავალ პლენუმზე ის სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთაც უშუალოდ ევალებათ ეროვნულ ურთიერთობათა ახლებური მოწესრიგება? რას ფიქრობენ ჩვენი სამეცნიერო ინსტიტუტები – ისტორიის, ფილოსოფიის, სამართლის, ეკონომიკის თუ სხვანი? არ შეიძლება ხალხი არ იცნობდეს იმ დოკუმენტს, რომლითაც საქართველო მიიღებს მონაწილეობას პლენუმში. ხალხმა ამ დოკუმენტზე უნდა იმსჯელოს.

მომავალი კონსტიტუციები, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე მთელი კავშირის ამ პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაიწერება. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. თორემ თუ კონსტიტუცია დაიწერა, მერე ვეღარავინ გაასწორებს. გვექნება ისეთივე ყალბი კონსტიტუცია, როგორიც დღევანდელია. თვალთმაქცობა უფრო შორს სადღა უნდა წავიდეს? გვეუბნებიან – კონსტიტუციის ფარგლებში ყველაფრის უფლება გაქვთო. როცა კონსტიტუციით დაპირებული – სსრკ-დან თავისუფალი გასვლის უფლება მოვითხოვეთ, დიდიან-პატარიანად მუსრი გაგვავლეს.

თქვენ იცით, ადრე ჯერ სსრკ-ის კონსტიტუცია იწერებოდა და მერე მოკავშირე რესპუბლიკებისა. იმიტომ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციას არსებითად უნდა გაემეორებინა ის, რაც სსრკ-ის კონსტიტუციაში ეწერა. ახლა ხალხი სამართლიანად ითხოვს, რომ ჯერ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები დაიწეროს და მერე – სსრკ-ისა. სსრკ-ის კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს იმ თავისებურებებს, რომლებიც ბუნებრივად აქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. მაგალითად, შეუძლებელია ერთნაირი კონსტიტუცია ჰქონდეს ყაზახეთსა და საქართველოს. მათ შორის ისტორიის, ტრადიციის, რელიგიის, ცხოვრების წესის, გეოგრაფიული ლანდშაფტის, ერის ხასიათის და ა.შ. იმოდენა განსხვავებაა, რომ ერთნაირი კონსტიტუციით ყაზახი და ქართველი ხალხის დაჩაგვრისა და დამონების მეტი არაფერი გამოვა. ყოველი ხალხი ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ჯიში, ზნეჩვეულება, გენი ითხოვს.

ასე რომ მოხდეს, ამის არა მარტო უფლება უნდა გვქონდეს, არამედ ყოველმხრივ უნდა ვიყოთ ამისათვის მზად.

კონსტიტუცია არა მარტო ძირითად კანონთა კრებულია, არამედ იდეალის დამსახავიც. იმ იდეალის, რომლის რეალურად განხორციელებისათვის იღვწის ერი.

ჩვენი იდეალი – თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო – მკაფიოდ დავსახეთ. მაგრამ ასევე მკაფიოდ ჯერ არ ვიცით, კონსტიტუციურად რა უფლებანი უნდა მოვიპოვოთ, აღთქმულ მიზანს რომ მივაღწიოთ. როგორი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული, საგანმანათლებლო და ა.შ. სისტემები გვჭირდება ოცნების განსახორციელებლად. ეს საკითხები რომ მოვაგვაროთ, აუცილებელია სპეციალისტების ხელდაკაპიწებული მუშაობა. მეცნიერულმა აზრმა უნდა გამოკვეთოს პრაქტიკული გზები, თორემ გრძნობის პატრიოტიზმის ამარა დავრჩებით. გრძნობის პატრიოტიზმის გამოვლენა უკეთილშობილესი საქმეა, მაგრამ უკმარია. მას აუცილებლად ცივი გონება, რაციონალიზმი უნდა მიეშველოს. გრძნობისა და გონების შეერთების თვინიერ გამარჯვების გზით ვერ ვივლით. კონკრეტულად რა როგორ წარმომიდგენია, ამაზე უკვე ვილაპარაკე, თუ სრულად არა, დაახლოებით მაინც, ა.წ. 23 მარტის «თბილისში» და განმეორებით თავს აღარ შეგაწყენთ. დავამატებ მხოლოდ, რომ ისტორიის პროცესი ჩვენს სასარგებლოდ მიმდინარეობს. მას ალღო უნდა ავუღოთ და

ჭკუით მივყვეთ, 21-ე საუკუნეს ჩვენ თავისუფალი შევხვდებით. ეს გარდაუვალია. ოღონდ რაკი კანტით დავიწყე, მისივე სიტყვებით დავამთავრებ:

«რევოლუციის საშუალებით შეიძლება მოიცილოთ ანგარებისა და ძალაუფლების მოყვარულთა პიროვნული დესპოტიზმი და ჩაგვრა. მაგრამ რევოლუციის გზით ვერასოდეს მოახერხებთ განახორციელოთ აზროვნების წესის ჭეშმარიტი რეფორმა».

თუ აზროვნების წესი არ შეიცვალა, ერთი დესპოტის ნაცვლად მივიღებთ მეორეს. დემოკრატია კი საპნის ბუშტივით გაქრება.

მთავარია დავიბრუნოთ ღირსება, 1998წ., 22. IV.

წყარო/ბმული: https://burusi.wordpress.com/2009/07/06/akaki-girsea/

ღირებულებები: ღირსება, დამოუკიდებლობა, ხალხი, თავისუფლება, პატრიოტობა.

ერთხელ რევაზ გაბაშვილის მოგონებებში – «რაც მახსოვს» – დაუჯერებელი რამ წავიკითხე. ეს მაშინ მომხდარა, როცა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულებით რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს ტერიტორია, ქართველთა უკითხავად, თურქეთს დაუთმო. ვითარების მოსაწესრიგებლად ტრაპიზონის კონფერენციაც გაიმართა. მაგრამ იგი ქართველთა მარცხით დამთავრდა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებითა და ტრაპიზონის კონფერენციის მარცხით გათამამებული თურქეთის არმია ბათუმსაც დაპყრობით დაემუქრა. ქართველ პოლიტიკოსებს თავგზა აერიათ. თავწაჭრილი ქათამივით ფართხალებდნენ. აქეთ-იქით აწყდებოდნენ საშველის ძებნაში. მაშინ გენერალი ვასილ გაბაშვილი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, გამოცდილი და გამობრძმედილი მეომარი, მისულა ქართველ პოლიტიკოსებთან და უთქვამს – ბათუმის ციხესიმაგრეს ისე ვიცნობ, როგორც ჩემს ხუთ თითს. მომეცით სამი ათასი ჯარისკაცი და სიტყვას გაძლევთ, თურქეთის ჯარი კი არა, ჩიტიც ვერ გადმოფრინდებაო საზღვარზე.

ევგენი გეგეჭკორი, დემოკრატიული საქართველოს მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი, საშინლად აღშფოთებულა, ეს სიტყვები რომ გაუგონია.

„– რას ბრძანებთ, ბატონო გენერალო, თქვენი თავი საშუალო საუკუნეებში ხომ არა გგონიათ, – ზარბაზნებსა და ციხეებზე გველაპარაკებით? ან სადა გვყავს ჯარი?! ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი. იქ საპროტესტო მიტინგები გავმართოთ და, როცა ოსმალები დაინახავენ, რომ მთელი ქართველი დემოკრატია წინააღმდეგია მათი, – დღეს დემოკრატიის ხანაა და ოსმალეთის დემოკრატიაც ჩვენი ძმები არიან, – ისინი ვერასოდეს ვერ გაბედავენ ბათუმში შესვლას" („დაბრუნება", ტ.3, 1992 წ., გვ.199).

ჯარის მაგიერ მიტინგები. თავდაპირველად გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ ამგვარი სიბრიყვე შეიძლებოდა ეთქვა პოლიტიკოსს. ვიფიქრე: რევაზ გაბაშვილს, პარტიულობით ეროვნულ-დემოკრატს, სძულდა სოციალ-დემოკრატები და ამას მათი სახელის გასატეხად ამბობს-მეთქი. მაგრამ მერე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ რევაზ გაბაშვილი იოტის ოდენადაც

არ აჭარბებდა. ჯარის მაგიერ მიტინგები – ქართული პოლიტიკის «აღმოჩენა» და «თავისებურება» ყოფილა.

მიუნხენში «ბაიერიშეს ჰაუპშტაატსარხივში» (ბავარიის სახელმწიფო მთავარი არქივი) ინახება არტილერიის გენერლის ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის მოგონებანი – «ჩემი მისია კავკასიაში». იგი 1918 წელს საქართველოში, კერძოდ, და, საერთოდ, კავკასიაში გერმანიის სამხედრო მისიას ხელმძღვანელობდა. გერმანელი გენერალი ადასტურებს: მართლაც არ სურდათ, თურმე 1918-21 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატ ხელმძღვანელებს არმიის შექმნა. მტრებს მიტინგებითაც იოლად გავუსწორდებითო, – ამტკიცებდნენ. ქართველი პოლიტიკოსების «სიბრძნით» გაოგნებულა გერმანელი და უფიქრია: ეს უბედური ქვეყანა შეშლილებს ჩავარდნიაო ხელში.

მათი მმართველობის შედეგიც ბუნებრივია: საქართველომ, რომელსაც ბრძოლისუნარიანი არმია არ ჰყავდა, ერც შეძლო თავდაცვა. ბოლშევიკ-კომუნისტურმა რუსეთმა ადვილად მოახერხა მისი ისევ დაპყრობა. მას მერე 80 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ არმიის შექმნისადმი დამოკიდებულება საქართველოში არსებითად არ შეცვლილა. ისეთ სასხვათაშორისოდ კეთდება ეს საქმე. ისევ მიტინგებით ფიქრობენ ომის მოგებას. ისეთ «ხალხთა ძმობის» ზღაპრების მოყოლა გრძელდება. ამგვარ საქმიანობას, როგორც წესი, ყოველთვის საქართველოს საბედისწერო დამარცხება მოაქვს.

დღესაც დამარცხებულია საქართველო. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი მტერს აქვს დაპყრობილი. ამ ტერიტორიის დაბრუნების იმედის ნაპერწკალიც კი არსად ჩანს. დაბრუნება კი არადა, თუ ჩვენ ისეთი არმია ვერ შევქმენით როგორიც ისრაელს ჰყავს შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა იმ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რაშიც მე-18 საუკუნის ბოლოს იყო, როცა ქართულმა სახელმწიფომ რუსეთის კალთაში დალია სული. გახსოვთ, რა უთხრა ტარას ბულბამ ანდრის, სანამ მოკლავდა? «მე გშობე, მევე უნდა მოგკლა». რუსეთმა დაშლილ-დანაკუწებული ქართული სამეფო-სამთავროები დაიკავა. იგი თვლის, რომ ტერიტორიულად საქართველო მან გააერთიანა (სამწუხაროდ, უმეცრების გამო ბევრი ქართველი პოლიტიკოსიც იმეორებს ამას თუთიყუშივით). იმას კი რუსებიც მალავენ და ქართველებიც, რომ რუსეთი საქართველოს კი არ აერთიანებდა, არამედ იმპერიის საზღვრებს აფართოებდა. ამას უტყუარად ადასტურებს ის პოლიტიკა, რომელსაც მე-19 საუკუნეში რუსეთი ატარებდა საქართველოში. ამ პოლიტიკას ქართველი ხალხის სულიერი, ეთნიკური და რელიგიური დაშლა ერქვა სახელად. იგი მეტად ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამის დასაბუთებით თავს არ შეგაწყენთ. ვისაც მართლა აღელვებს საქართველოს ბედ-იღბალი, იმან ეს კარგად იცის. მარტო იმას გაგახსენებთ, როგორ ხდებოდა მე-19 საუკუნეში საქართველოში და თბილისის მოსახლეობის აღწერა. აღწერილია ასე – ქართველები, იმერლები, ხევსურები, ფშავლები, გურულები, მეგრელები, აჭარლები და ა.შ. ამის ნიმუშებს ნებისმიერ სტატისტიკურ ცნობარში იპოვნით. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაშიც კი. როგორ ფიქრობთ, – რუსმა სპეციალისტებმა არ იცოდნენ, რომ აქ ჩამოთვლილი ტომები ერთიან ქართველ ხალხს შეადგენდნენ? რა თქმა უნდა, იცოდნენ. მაგრამ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას ჭირდებოდა ქართული ეროვნული სხეულის დაშლა და შლიდნენ. ეს პოლიტიკა გრძელდებოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროსაც. ამის შედეგია ერთი ციცქნა საქართველოში ავტონომიები. ქართული მიწა-წყლის გადაცემა სხვისათვის.

ასე, რომ «მეგობარი» რუსეთი ტარას ბულბასავით ეუბნება საქართველოს: მე გაგაერთიანე და მევე დაგანაკუნებ. ქართული პოლიტიკოსების დიდი ნაწილი კი ალერსიანად შესციცინებს თვალებში რუსეთს და ყმური ერთგულებით უდასტურებს – მართალი ბრძანდებითო. ადამიანი ან უზომოდ ემინი უნდა იყოს ან უნუგეშოდ აბუეტი, რომ დაიჯეროს რუსეთს საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ეოცნებებაო. რუსეთი იყო საქართველოს მტერი და ასეთად დარჩება მანამ, სანამ საბოლოოდ არ ირწმუნებს, რომ მისი დიდი იმპერია ერთხელ და სამუდამოდ დაიშალა. როცა ამას დაიჯერებს, მერე აირჩევს კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მანამდე კი არა. მანამდე ისევ ძველებურ იმპერიულ პოლიტიკას გააგრძელებს. ხომ ხედავთ: სულს ღაფავს და იმაზე ოცნებობს რუსეთ-ბელორუსიის კავშირს იუგოსლავიაც შეუერთოს.

ამ ვითარებაში გამოუსწორებელი შეცდომაა ქართული არმიის შექმნის მცდელობა რუსული ან საბჭოთა არმიის მოდელის მიხედვით. გასაგებია: საბჭოთა არმიის ქართველი გენერლები და ოფიცრები სხვანაირ ჯარს ვერ ჩამოაყალიბებენ. მათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ის, რასაც მთელი სიცოცხლე ერთგულად ემსახურებოდნენ. სხვანაირი გახდი და სხვანაირად იაზროვნეო. მათ ვერც მოსთხოვ. ამგვარი სახეცვლილება ადამიანს არ ძალუძს (ყველა ხომ არ არის ისეთი ნიჭიერი, რომ მთელი სიცოცხლე მამალი ათეისტი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ღრმად მორწმუნე თეისტი გახდეს!). სრულებითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ყოფილი საბჭოთა არმიის ქართველ ოფიცრებსა და გენერლებს საქართველოსათვის სიკეთე უნდათ. მაგრამ მათ ეს სიკეთე ისე ესმით, როგორც შთააგონეს და ასწავლეს. ეს ცოდნა და შთაგონება კი დღევანდელ საქართველოს არ გამოადგება. საქართველოს წინ სრულიად სხვა მიზანი და ამოცანა დგას. ეს მიზანი და ამოცანა დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის მიზანი და ამოცანაა, რომელსაც არ სურს სხვისი დამონება და არც ის უნდა, რომ თავად იყოს სხვისი ყურმოჭრილი ყმა. არმიაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით უნდა აღიზარდოს. ამას პროპაგანდისტთა კარგად მომზადებული რაზმი სჭირდება. იგი კი არსად ჩანს.

კარგად მოგეხსენებათ: როცა ბოლშევიკ-კომუნისტები წითელ არმიას აყალიბებდნენ, როგორც სპეციალისტებს, მეფის არმიის ოფიცრებს იყენებდნენ, მაგრამ მათ გვერდით აუცილებლად იდგა ბოლშევიკი კომისარი. ეს არ იყო შემთხვევითი. პროფესიული ცოდნა შეიძლებოდა მიეცა მეფის არმიის ოფიცერს, მაგრამ იდეა – რას ემსახურებოდა წითელი არმია, რისთვის უნდა ებრძოლა – ამას კი მხოლოდ ბოლშევიკი კომისრები ასწავლიდნენ. ჯარისკაცმა არა მარტო იარაღის კარგად ხმარება უნდა იცოდეს, არამედ ისიც (შეიძლება უფრო მეტადაც) – რას ემსახურება და რისთვის იბრძვის. რისთვის უნდა დაღვაროს როგორც საკუთარი, ისე სხვისი სისხლი.

ამ იდეას დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მომავალ არმიას ის ადამიანები ვერ შთააგონებენ, რომელთაც ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ნოსტალგია აწამებთ. ამას სრულიად სხვანაირი და სხვაგვარი ცნობიერების ადამიანები სჭირდება. ისეთი, ვისაც შეუძლია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეა დანერგოს არმიაში. საქართველოს ღირსების იდეა დაამკვიდროს. საუბედუროდ და სავალალოდ, დღეს საქართველო უღირსებო ქვეყანაა, შერცხვენილი და თავლაფდასხმული. ქვეყანა ომს რომ წააგებს, ღირსებასაც კარგავს, ამას ყველაზე მეტად არმია უნდა განიცდიდეს, რადგან იგია ქვეყნის ღირსების

დარაჯი, დამცველი და ქომაგი. მაგრამ არმიამ რომ ქვეყნის ღირსების დამცველის როლი შეასრულოს, აუცილებელია ერი და ბერი მას პატივს სცემდეს, უყვარდეს, აფასებდეს, უფრთხილდებოდეს და ზრუნავდეს. რად უნდა იმას მტკიცება და საბუთი, რასაც ბრმაც კი ხედავს: დღეს ქართველი ხალხი ასე არ იქცევა. პირიქით: ყოველგვარად ცდილობს გაექცეს სამხედრო სამსახურს. თავი აარიდოს მას. სხვაგვარად ის ერი ვერ მოიქცევა, რომელიც ფიქრობს – ჯარი არ გვჭირდება. მტერს მიტინგებით დავამარცხებთო. ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის მთელი ისტორია ბრძოლა და ომია საკუთარი ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ამგვარი ვითარების შექმნა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო არა მარტო ტერიტორიულად დაიშალა, არამედ ცნობიერადაც? ვაი, რომ ნიშნავს. ამიტომ ქართული არმიის შესაქმნელად ბრძოლა-საქმიანობა არა მარტო ჯარის შექმნისათვის ბრძოლა-საქმიანობაა, არამედ ერთიანი ეროვნული ცნობიერების აღდგენისათვის ბრძოლა-საქმიანობაც. ეს უმთავრესი და უპირველესი პრობლემაა. პრობლემაა მთელი ხალხის, მთელი ერის და არა ამა თუ იმ პიროვნების ცალცალკე. თუ ამას ქართველი ხალხი ვერ გაიცნობიერებს, მაშინ იგი ვერც იმ ღირსებას დაიბრუნებს, რომელიც სამარცხვინოდ დაკარგა და ვერც ღირსეულ ბრძოლისუნარიან არმიას შექმნის.

ქართული საქმე ქართველმა უნდა გააკეთოს, 1999წ. (ნაწყვეტები უკანასკნელი ინტერვიუდან)

წყარო: გაზეთი «საქართველო», 4-11 აპრილი, 2000 წ.
ბმული: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4464/1/Toml_VII.pdf

---

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია,
ერი, მოქალაქეობა, თანხმობა, პატივისცემა.

ეს უკანასკნელი ინტერვიუ, რომელიც გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე შედგა, ალბათ ერთგვარი ზნეობრივი და პოლიტიკური ანდერძიცაა ქართველთა მომავალი თაობების მიმართ. ინტერვიუ მზად გვქონდა დასაბეჭდად, როდესაც ბატონ აკაკის გარდაცვალების ამბავი მოვიდა და მხოლოდ იმის მოსაზრებით, რომ საზოგადოებას «ცხელ-ცხელ» ინფორმაციაზე დახარბებულად არ ჩაეთვალეთ, შეგნებულად შევიკავეთ თავი მისი იმჟამად გამოქვეყნებისაგან...

თენგიზ ჩხაიძე – ერს ძნელბედობის დასაძლევად, ურთულესი ვითარებიდან თავის დასაღწევად, თავის გადასარჩენად და კეთილდღეობის მოსაპოვებლად, უწინარეს ყოვლისა, მოგეხსენებათ, ერთობა ესაჭიროება. ბავშვობიდანვე დაგვისწავლია აკაკის ბრძნული ნათქვამი – ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისათვის სახრჩობელაო. ჩვენი სულიერი მოძღვარნიც (მხედველობაში მყავანან სასულიერო პირები) ხშირად შეგვაგონებენ: ძალა ერთობაშია. ერთობა სიყვარულში. რა გვიშლის ხელს, თქვენი აზრით, ბატონო აკაკი, ვიყოთ ერთიანნი, გვიყვარდეს ერთმანეთი, თითოეული ცალცალკე და ყველანი ერთად ვასრულებდეთ პატრიოტის უმთავრეს მცნებას: ჯერ საქართველო, მერე – მე.

აკაკი ბაქრაძე – მართალია, გვასწავლიდნენ. დღესაც ასწავლიან. მაგრამ სწავლებას მეორე მხარეც აქვს – ათვისება. ავითვისეთ კი ის, რასაც გვასწავლიდნენ? ჩავწვდით მის არსს, თუ ვერა? სამწუხაროდ, ვერც ავითვისეთ და ვერც ჩავწვდით. შეიძლება მექანიკურად გავიზეპირეთ კიდეც, მაგრამ ეს არ კმარა. აკაკის ღაღადისს ჩვენი სული და გული არ შეუძრავს. აკაკის მონოდება ქართველის არსებობის მიზანი არ გამხდარა. როგორც ვიყავით ფეტვის მარცვლებივით დაფანტული, ისეთივე დავრჩით.

ვერც ერთი ერი ვერ გაერთიანდება, თუ მას საერთო მიზანი, საერთო იდეალი არა აქვს. რა მიზანი აქვს დღეს ქართველ ხალხს, რა იდეალი? არავითარი. ქართველებმა საერთო ეროვნულ მიზნად მტრის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის (აფხაზეთი და შიდა ქართლი) დაბრუნებაც კი ვერ ვაქციეთ. აფხაზეთისა და შიდა ქართლის ბედიღბალზე მარტო დევნილები წუხან. დანარჩენ საქართველოს კი ეს პრობლემა სრულებით არ აწუხებს, ყურსაც არ აბარტყუნებს. ახლა კი არა, ომის დროსაც ასე იყო. როცა ქართველების უმცირესი ნაწილი სისხლს ღვრიდა, თავს წირავდა, უმრავლესობა (უდიდესი უმრავლესობა!) «ვარხალალოს" დასძახოდა, ქეიფსა და ჭამა-სმაში ატარებდა დროს. სრულებით არ ადარდებდა ქვეყნისა და თანამოძმეთა მდგომარეობა. წლები გავიდა, რაც აფხაზეთი და შიდა ქართლი წართმეული გვაქვს. დაბრუნებას არავითარი პირი არ უჩანს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ქრება დაბრუნების იმედი. ეს ვითარება მთელი ერის წუხილის საგანი ვერ გახდა. სამაგიეროდ, მთელი საქართველო იმით არის აჭყლოპინებული, რომ აზია-ევროპის დერეფანი ვიქნებით. ყველა ამ დერეფანში გაივლის. გამვლელ-გამომვლელი ნასუფრალს გადმოგვიყრის და ერთი მაგრად გავძღებით. ამის მეტზე არაფერზე არ არის ლაპარაკი. დერეფნობა არ შეიძლება ერის მიზანი იყოს, მისი იდეალი გახდეს. თუ ქართველის ოცნება ის არის, რომ მსოფლიოს ორღობე გახდეს, მაშინ საბოლოოდ დაღუპულა ჩვენი საქმე და ეგ არის.

ისტორიულად ქართველ ხალხს ჰქონდა მისია – ყოფილიყო კავკასიის მეთაური და დაეცვა ქრისტიანობა კავკასიურ სივრცეში. მე-7 საუკუნიდან მოყოლებული მე-19 ასწლეულის დასაწყისამდე ქართველი ხალხი ასრულებდა ამ მისიას ისე, როგორც შეეძლო, ხან წარმატებით, ხან წარუმატებლად. მე-19 საუკუნეში რუსეთმა ჩამოართვა საქართველოს ეს მისია. კავკასიის მეთაურობაც მან იკისრა და ქრისტიანობის დაცვაც. ქართველი ხალხი დარჩა უმისიოდ, უმიზნოდ და უიდეალოდ. ეს იყო ყველაზე მძიმე, გამანადგურებელი შედეგი, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას მოჰყვა. უმიზნოდ, უიდეალოდ, უმისიოდ დარჩენილი ერი აღარ არის უკვე ერი. ქართველობა თავისთავს თვითონვე არ თვლის ერად და ხშირად ამას უბრალოდ ვერც კი ამჩნევს. ორ სრულიად მარტივ მაგალითს მოვიტან ამის საბუთად. ახლახან თურქეთში საშინელი მიწისძვრა მოხდა. ის რაიონებიც დაზარალდა, სადაც ქართველები მოსახლეობენ. პრესაში, რადიო-ტელევიზიაში დაიწყეს ლაპარაკი – თურქი ქართველებიც შეეწირნენო მიწისძვრას, იმის მაგიერ, რომ ვთქვათ – თურქეთის ქართული მოსახლეობაც გახდაო სტიქიური უბედურების მსხვერპლი. რა ცნებაა, რა ტერმინია თურქი ქართველი? თუ თურქია, ქართველი როგორღა არის? თუ ქართველია, თურქი როგორღა არის? რატომ მოვიგონეთ ეს ყოვლად გაუგებარი ცნება? იმიტომ რომ ქართველი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, თავის ხალხს ერად არ თვლის. მისთვის ქართველი რაღაც ეთნიკური ტერმინია, მაგრამ ვერ გარკვეულა, რა შინაარსის.

რაც უკვე მოგახსენეთ, იმისვე გამეორება შეიძლება «თურქი მესხის" მიმართაც. თან თავგამეტებული ვამტკიცებთ იმას, რომ მესხები ქართული ტომია, თან ყველა დოკუმენტში ვწერთ – «თურქი მესხები". როცა გავაცნობიერებთ, რომ «თურქი მესხი" აბსურდული ცნებაა, აღშფოთებული გავიძახით – ვინ მოიგონა ეს. როგორ შეიძლება «თურქი მესხი" არსებობდეს. ეს მტრების შემოგდებული ტერმინია და ა.შ. «თურქი მესხი" უცხოს არ მოუგონია, ისევე, როგორც «თურქი ქართველი". ორივე ცნება ჩვენ, ქართველებმა, მოვიგონეთ, დავამკვიდრეთ, მას-მედიაში და დოკუმენტებში გზა გავუკაფეთ. რამდენი ათეული წელიწადია ვერ მივხვდით იმას, რომ «თურქი მესხის" მაგიერ ვთქვათ – სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მუსლიმი ქართველი. რატომ ვართ ჩვენ ყოველთვის წაგებული, როცა მტრებს ან მოკეთეებს ვეკამათებით? იმიტომ, რომ ცნებებს მყარ შინაარსს ვერ ვანიჭებთ და სწორად ვერ ვხმარობთ. თუ ჩვენ „თურქი მესხის" ძახილს თავს არ დავანებებთ, დედამიწის ზურგზე მესხებს ქართველებად არავინ ჩათვლის და არც მესხეთს მიიჩნევენ ქართულ ტერიტორიად.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ორი პაწია მაგალითი ნათლად ადასტურებს იმასაც, რომ ჩვენი ერთიანი ეროვნული ცნობიერება ბუნდოვანია, ჩამოუყალიბებელია. ის ხალხი ვერ გაერთიანდება, რომელსაც ერთიანი ეროვნული ცნობიერება ესოდენ ბუნდოვანი, ჩამოუყალიბებელი და ქაოტური აქვს.

იმისათვის, რომ ქართველი ხალხი ერთიანი იყოს, აუცილებელია მიზანი, იდეალი, მისია, რისთვის არსებობს ქართული სახელმწიფო? სანამ ეს არ გაკეთებულა, ვერავითარი მოწოდება ქართველობას ვერ გააერთიანებს.

თ.ჩ. – საბჭოური ხელისუფლება ავიწროებდა, დევნიდა ეკლესიას. ვითარება ძირეულად შეიცვალა. ხელისუფლება ხელს უწყობს საეკლესიო მოღვაწეობის გაშლას, ქრისტიანული სარწმუნოება თითქოს აღორძინების გზას ადგას. და მაინც, ჩვენი სინამდვილის შემხედვარენი, ალბათ, ვერ ვიტყვით, საზოგადოებაში ქრისტიანული ზნეობა მკვიდრდებაო. რისი ბრალია, თქვენი აზრით, ეკლესია რომ ჯეროვან ზეგავლენას ვერ ახდენს ხალხზე, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის სულიერ ფორმირებაზე?

ა.ბ. – სამოცდაათი წელიწადი არსებობდა საქართველოში ათეისტური საზოგადოება, 1921 წლის შემდეგ დაბადებული ყოველი ადამიანი საქართველოში ათეისტი იყო, მყარად ჩამოყალიბებული კომუნისტური ცნობიერებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრკ-ში მცხოვრები ხალხების ცნობიერებიდან რელიგიურობა სრულიად განდევნილი იყო. მერე მოუმზადებლად ვითარება შეიცვალა, კომუნიზმი დაემხო. კომუნისტური იდეოლოგია სასაცილო გახდა. აზრობრივ სიცარიელეში დარჩენილმა ხალხმა ისევ ეკლესიას მიაშურა. მაგრამ მიაშურა მექანიკურად, არაგააზრებულად, არაცნობიერად.

ქრისტიანობა ურთულესი და უღრმესი მოძღვრებაა. მისი წვდომა იოლად შეუძლებელია. გუშინდელი ათეისტი ხელის ერთი დაკვრით ქრისტიანი ვერ გახდება. ამას დიდი დრო უნდა. მხოლოდ ეკლესიაში სიარულით, პირჯვრის გარდასახვით, ხატების კოცნით ადამიანი ქრისტიანი ვერ გახდება. ქრისტიანად გახდომა მაშინ შეიძლება, როცა ეს მოძღვრება ადამიანის სულის უფსკრულში შეაღწევს. ისტორიულადაც ასე იყო: პირველ საუკუნეში დაიწყო საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება ანდრია პირველწოდებულმა, მაგრამ ქართველი ხალხი ქრისტიანი მეოთხე ასწლეულში გახდა. ხედავთ, რა უზარმაზარი დრო დასჭირდა ქრისტიანობის დამკვიდრებას? ახლა კი გვინდა, რომ 70-წლიანი ათეისტური საზოგადოება,

უცბად, რამდენიმე წელიწადში ქრისტიანული გახდეს? საქართველოში (რუსეთშიც, უკრაინაშიც, სომხეთშიც) ქრისტიანობად მოქცევა მეორედ მიმდინარეობს. ეს რთული და ძნელი პროცესია. ამიტომ ქრისტიანული ზნეობაც ძნელად მკვიდრდება.

ამას გარდა, სხვა სირთულეებიც არის. კომუნისტურ-ათეისტურ საზოგადოებაში ხელმეორედ დაიწყო რელიგიურობამ აღორძინება, ეკლესიაში ბევრი ხელმრუდე და სულმრუდე ადამიანი შეიპარა. ფეხი მოიკიდა. ზოგჯერ გაბატონებული მდგომარეობაც დაიჭირა. ისინი ეკლესიას სახელს უტეხენ. საქართველოში კიდევ ერთი ახალი რუისურბნისის კრებაა საჭირო, რომ ქართული ეკლესია უკეთურობისაგან განიწმინდოს. თუ ეს არ მოხდა, ათეიზმი შეიძლება ისევ შემობრუნდეს, თანაც უფრო მძლავრად, ვიდრე ეს კომუნისტური რეჟიმის დროს იყო.

რაც მოგახსენეთ, იმაზე უფრო არსებითი მიზეზიც არსებობს, რომელიც ხელს უშლის საქართველოში ქრისტიანული ზნეობის დამკვიდრებას. ეს გახლავთ საერთოდ მსოფლიოში რელიგიური (ქრისტიანული, ისლამური, ბუდისტური და სხვა) ზნეობის ტოტალური რღვევა. სხვათა შორის, ისლამური ფუნდამენტალიზმი ისლამური ზნეობრივი კატეგორიების რღვევამ წარმოშვა. ფუნდამენტალიზმით ცდილობენ შეაჩერონ ეს რღვევა. მაგრამ ეს მწარე შეცდომაა. ძალადობით ისტორიული პროცესის შეჩერება შეუძლებელია. წარმოუდგენელია უფრო დიდი ძალადობა, ვიდრე ის, რასაც კომუნიზმი იყენებდა, მაგრამ მან ვერაფერს მიაღწია. პირიქით, თავად დაიღუპა. ამდენად ფუნდამენტალიზმი, გნებავთ ისლამური, გნებავთ ქრისტიანული, ზნეობრივი კატეგორიების რღვევას ვერ აღკვეთავს.

როცა მთელ მსოფლიოში ტოტალური რღვევა მიმდინარეობს რელიგიური ზნეობრივი კატეგორიების, საქართველო მარტო ვერ მოახერხებს ზნეობრიობის შენარჩუნებას. ამის მოხერხებას რკინის ნებისყოფა და სიმტკიცე სჭირდება. დრომ გვიჩვენა, რომ ქართველს რკინის ნებისყოფა და სიმტკიცე კი არა, ცვილის ნებისყოფა და სიმტკიცე არ აღმოაჩნდა. თუ მსოფლიო გამოძებნის გზებს თავი დააღწიოს რელიგიური ზნეობრივი კატეგორიების რღვევას, მაშინ საქართველოც მოახერხებს რაღაცას. თუ მსოფლიომ ეს გზები ვერ გამოძებნა, ვერც საქართველო გადაურჩება უზნეობას.

თ.ჩ. – რაიმე მოვლენის ანალიზისას საჭიროა სწორად შევაფასოთ იგი, განვსაზღვროთ მისი არსი. მცდარი დიაგნოზი ჩიხისაკენ მიმავალი გზაა. საქმე, უპირველეს ყოვლისა, ეხება ქვეყნის ახლანდელი პოლიტიკური მიმართულების სისტემის არსის სწორ განსაზღვრას. უამისოდ როგორ ავაგებთ მართებულად საშინაო პოლიტიკას. ან რა საფუძველს დაემყარება ჩვენი რწმენა საქართველოს უკეთესი მერმისისა? ხელისუფლების, ოფიციოზისა და ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი, ჩვეულებრივ, ამბობს: ვაშენებთ დემოკრატიულ საქართველოს, საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. მართლა ასეა თუ არა? ზოგიერთი ნიშნის მიხედვით (სიტყვის, აზრის, პრესის თავისუფლება) ასეა. მაგრამ, თუ სინამდვილეს უფრო ღრმად ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ახლანდელი პოლიტიკური მმართველობის სისტემა თავისი არსით პლუტოკრატიაა. თქვენ, ბატონო აკაკი, მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ იმ ძალას, ქურდობით, ხალხისა და სახელმწიფოს ძარცვა-გლეჯით გამდიდრებულ იმ ჯგუფებსა თუ ფენას, რომელიც საზოგადოებრივ ბატონობას ესწრაფოდა და მიაღწია კიდეც სანადელს, კლეპტოკრატები უწოდეთ. იზიარებთ თუ არა დღესაც ამ აზრს, და თუ იზიარებთ, რა გზა, რა საშუალება გესახებათ საიმისოდ, რომ პლუტოკრატია (კლეპტოკრატია) დემოკ-

რატიულ წყობად გარდაიქმნას, რამდენადაც საზოგადოების წყლულების წარმატებით მკურნალობა პლუტოკრატიის (კლეპტოკრატიის) ვითარებაში შეუძლებელია?

ა.ბ. – ღარიბ-ღატაკ ქვეყანაში დიქტატურა შესაძლებელია. დემოკრატია არა. სიღარიბე და სიღატაკე როგორც ხალხს, ისე ხელისუფლებას ნამდაუნებ აიძულებს, დაარღვიოს წესი და კანონი. სადაც წესი და კანონი ირღვევა, იქ, ბუნებრივია, დემოკრატია ვერ იარსებებს. დემოკრატია წესის და კანონის უმტკიცეს დაცვას გულისხმობს.

დღევანდელი საქართველო ღარიბ-ღატაკი ქვეყანაა. მოსახლეობის სულ ცოტა 95%-ს საარსებო მინიმუმი არ გააჩნია. თვეობით და წლობით ადამიანები ვერ იღებენ ხელფასს, პენსიას. არ არსებობს სოციალური დაცვის უზრუნველყოფის არავითარი სისტემა. ვერცერთი პროფესია – გნებავთ ექიმობა, გნებავთ ინჟინრობა, გნებავთ აგრონომობა, გნებავთ პედაგოგობა – ვერ იძლევა გარანტიას, რომ შეგეძლებათ თავის და ოჯახის რჩენა. თუ ძარცვა-გლეჯას არ მიმართეს, საშიმშილოდ არიან განწირულნი სამხედრო მოსამსახურენი, პოლიციის თანამშრომლები. ვისაც ძალ-ღონე ჰყოფნის, უცხოეთში გარბის ლუკმაპურის საშოვნელად. კორუფცია ყველაფერს ჭამს. დაუზოგავად იძარცვება სახელმწიფო ხაზინა. ქვეყანა მთლიანად მოშლილი და დაშლილია. ასეთ ვითარებაში დემოკრატია ვერ იარსებებს.

არც არსებობს საქართველოში და არც სხვაგან სადმე.

დემოკრატიის არც გარეგნული ნიშნებია საქართველოში. რასაც დღეს პრესის თავისუფლებას ეძახიან, ის სინამდვილეში აღვირახსნილობა და თავაშვებულობაა. რაც სიტყვის თავისუფლებად არის მიჩნეული, ის სინამდვილეში ლანძღვა-გინების, თათხვა-ძაგების ნებართვაა. საქართველოში არ დარჩენილა არავინ – არც პრეზიდენტი, არც პატრიარქი, არც საზოგადო მოღვაწე, არც მწერალი, არც ხელოვანი, არც მეცნიერი, ერთი სიტყვით, არავინ – ვინც არ გაელანძღოთ, არ გაეთათხოთ, თავზე ლაფი არ დაესხათ. ყველა ჩიტირეკია და შარახვეტია, ვისაც მოისურვებს იმას გათათხავს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვინ არის ის პიროვნება, ვისაც ჩიტირეკიები და შარახვეტიები მიესიენ. მთავარია, თათხვის სურვილი გქონდეს. თუ, ერთი მხრივ, ეს იმას მოწმობს, რომ საქართველო უპრინციპო და უზნეო ქვეყანაა, მეორე მხრივ, იმას ადასტურებს, რომ იგი არავის სცემს პატივს, არავინ და არაფერი მისთვის ფასეული არ არის. მე სრულებით არ ვგულისხმობ კერპთაყვანისმცემლობას, ან ლენინიზაციას, ანუ ადამიანის ღვთაებად ქცევას. ვგულისხმობ ეთიკას, პოლემიკის ეთიკას, როცა განსხვავებულ აზრს გამოთქვამ, კამათობ, დავობ, მაგრამ მოკამათის ადამიანურ ღირსებას არ შეურაცხყოფ. თქვენ კარგად იცით ეს: ლალი ავალიანმა გამოაქვეყნა საპოლემიკო მასალები, ერთი მხრივ, გრიგოლ რობაქიძესა და მეორე მხრივ, არჩილ ჯორჯაძეს, დიმიტრი უზნაძეს და ლევან მეტრეველს შორის. მიმოხილვით წერილში, რომელიც ამ საპოლემიკო მასალას ერთვის, ქალბატონი ლალი აღნიშნავს, განსაცვიფრებელიაო ის ეთიკა, ურთიერთპატივისცემა, რასაც მოპაექრეები ამჟღავნებენ. ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებიან, დავობენ, პაექრობენ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ განმსჭვალულნი არიან უღრმესი პატივისცემით და ღვაწლის დაფასებით. ეს ძველი ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ვთქვა – აზრის თავისუფლება ეს არის. ერთმანეთის ლანძღვა – თათხვა არც აზრის, არც სიტყვის თავისუფლებასთან არის კავშირში და არც დემოკრატიასთან. ასე რომ იყოს, მაშინ 30-იანი და 40-იანი წლების საბჭოური პრესა თავისუფალი პრესა ყოფილა და კომუნისტური რეჟიმი – დემოკრატიული რეჟიმი. აბა, გადაათვალიერეთ მაშინდელი პრესა და ნახავთ, რა

ლანძღვა-თათხვაა გაჩაღებული! სამწუხაროდ, ამ კომუნისტურ ტრადიციას, დღევანდელი პრესა დიდი წარმატებით იყენებს და შესაშურ მემკვიდრეობითობას ამჟღავნებს.

რატომ არის ასე გალაღებული ეს მემკვიდრეობითობა? იმიტომ, რომ საქართველოს ისევ ის კლეპტოკრატები მართავენ, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს მართავდნენ. გვარებითაც კი შეიძლება ჩამოვთვალო. კომუნისტური რეჟიმის დროს მათ დიდძალი ფული მოიპარეს ხაზინიდან. როცა კომუნისტური რეჟიმი დაეცა, ამ მოპარული ფულით ქონებაც შეიძინეს და ხელისუფლებასაც ისევ დაეუფლენ. ხალხი კი როგორც იყო გაძარცვული, ისევ ისე დარჩა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ეს ასე იყო ჩაფიქრებული. განხორციელებითაც ისე განხორციელდა, როგორც ჩაფიქრებული იყო.

კომუნისტური რეჟიმი ორი მხრიდან შეტევამ დასცა. პირველი გახლდათ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბრძოლა. ეკონომიკურად სოციალიზმმა ვერ აჯობა კაპიტალიზმს. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ე.წ. ცივი ომის ეპოქაში. კაპიტალიზმმა ეკონომიკურად ძირი გამოუთხარა სოციალიზმს, საყრდენი გამოაცალა და სოციალიზმი ისე დაინგრა, როგორც საძირკველმორღვეული შენობა. კაპიტალიზმს გაუადვილდა სოციალიზმის დაშლა იმიტომ, რომ ამას დიდად შეუწყო ხელი სსრკ-ში კომუნისტი კლეპტოკრატების, ანუ ხაზინის ქურდების გაბატონებამ. ეს იყო სოციალიზმის დამხობის მეორე მიზეზი. კლეპტოკრატები უმოწყალოდ ძარცვავდნენ ხაზინას. მათ უთვალავი ფული ჰქონდათ გადამალული. მაგრამ ამ ნაპარავ-დამალულ ფულს ვერ ხმარობდნენ. კომუნისტური იდეოლოგია და რეჟიმი უშლიდა ხელს. ამიტომ კლეპტოკრატებისათვის აუცილებელი იყო სოციალიზმის დანგრევა. ამით საშუალება მიეცემოდათ ნაქურდალ-გადამალული ფულის სამზეოზე გამოტანისა და ღიად მოხმარებისა. ასეც მოხდა: სოციალიზმი და სსრკ დაანგრიეს მსოფლიო კაპიტალიზმის შემოტევამ და შიგნით არსებულმა კომუნისტურმა კლეპტოკრატიამ. მაგრამ კომუნისტურმა კლეპტოკრატიამ სოციალიზმი და სსრკ იმიტომ კი არ დაანგრია, რომ ძალაუფლება ხელიდან გაეშვა, არამედ იმიტომ, რომ მოპარული ფულიც თავისუფლად მოეხმარა და ძალაუფლებაც შეენარჩუნებინა. ეს ცხადად და ნათლად გამოჩნდა, როცა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ხელისუფლების სათავეში ისევ ძველი კომუნისტები დარჩნენ.

ასე რომ, კლეპტოკრატები ისევ ისე მართავენ საქართველოს, როგორც ადრე, კომუნისტური რეჟიმის დროს მართავდნენ. კლეპტოკრატია და დემოკრატია ძალიან შორს არიან ერთმანეთისგან. არავითარი დემოკრატია არ იქნება საქართველოში მანამ, სანამ ისევ კლეპტოკრატები ჭამენ ქვეყანას.

დ.ჩ. – რა პრაქტიკული ზომების განხორციელება მართებს, თქვენი აზრით, ხელისუფლებას ახალგაზრდობის პრობლემების მოსაგვარებლად?

ა.ბ. – სანამ საქართველოში ეკონომიკური ვითარება ძირეულად არ შეიცვლება, არც ახალგაზრდობისა და სწავლა-განათლების მდგომარეობა შეიცვლება. განათლების კარგი სისტემა იმ ქვეყნებშია, სადაც მძლავრი ეკონომიკაა. თანამედროვე სკოლას სრულყოფილი ტექნიკური აღჭურვილობა სჭირდება. მარტო მერხი, დაფა და სახელმძღვანელო აღარ კმარა, აუცილებელია კომპუტერები, ლაბორატორიები, საცდელ-ექსპერიმენტული ხელსაწყოები. უცხოეთში დღეს სკოლები უზარმაზარ სამეცნიერო-სამრეწველო დაწესებულებას ჰგავს. ამ მხრივ დედაქალაქისა და სოფლის სკოლა თანაბრად და ერთნაირად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საქართველოს ბევრ დაბა-სოფელში სკოლა იმ დროს გაგახსენებთ, როცა ხა-

რის ბეჭზე ნახშირით ასწავლიდნენ წერა-კითხვას. უსახსრობისა და სიღარიბის ბრალია ეს. ქართულმა სკოლამ რა უნდა ჰქნას, როცა მასწავლებლებს თვეობით ვერ მიუღიათ ის საცოდავი ხელფასი, რაც დღეს პედაგოგებს აქვთ. მშიერი მასწავლებელი და მშიერი მოწაფე! რა განათლება დაიბადება ამგვარი წყვილისაგან?

ხელისუფლებამ, რადაც უნდა დაუჯდეს, ეკონომიკა უნდა ააღორძინოს, ქართულ სკოლასაც მაშინ ეშველება, მაგრამ ქართული ეკონომიკა ქართველმა მეწარმეებმა უნდა ააღორძინონ. საწარმოო და სამრეწველო ობიექტების გაყიდვა ქართულ ეკონომიკას ვერ უშველის. უცხოელი ქართულ საქმეს არ გააკეთებს, ქართული საქმე ქართველმა უნდა გააკეთოს, ქართული ეკონომიკაც ქართველმა უნდა დააყენოს ფეხზე. თუ ეს მოხდება, სკოლებისა და სწავლა-განათლების საქმეც წელგამართული ივლის.

თ.ჩ. – თქვენს ხელში რომ ძალაუფლება იყოს, პირველ ყოვლისა, რას მოიმოქმედებდით, რას გააკეთებდით?

ა.ბ. – თქვენმა შეკითხვამ ერთი შემთხვევა გამახსენა, რომელიც კინოსტუდია «ქართულ ფილმში" მოხდა. კინოსტუდიაში, 50-იანი წლების დასაწყისში, ბევრი კინორეჟისორი მუშაობდა, რომელსაც ფილმის გადაღების საშუალება არ ეძლეოდა. არ ეძლეოდა იმის გამო, რომ «ქართული ფილმის" წლიური გეგმა მხოლოდ ორი ფილმი იყო. ორი ფილმი კი გადასაღებად მხოლოდ ძველი სახელმოხვეჭილი კინორეჟისორების ულუფა იყო. დანარჩენები კი უნუგეშო მოლოდინით ელოდნენ თავის ხვედრს. და, აი, 1957 წლიდან ქართულ ფილმს გეგმა გაეზარდა და წელიწადში შვიდი ფილმის გადაღების უფლება მიეცა. აქამდე გაჩუმებული და მომლოდინე კინორეჟისორები ერთხმად ახმაურდნენ და მოითხოვეს – მათთვისაც მიეცათ ფილმის გადაღების საშუალება. იყო კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოზე ერთი დავა-კამათი. როგორ მოქცეულიყვნენ, რა ექნათ, ვისთვის მიეცათ დადგმა-გადაღების საშუალება და ვისთვის – არა. მაშინ წამოდგა კინომსახიობი და რეჟისორი ლევან ხოტივარი და იმ კინორეჟისორებს მიმართა, რომელთაც ასე თუ ისე, მუდამ ჰქონდათ გადაღების საშუალება. თქვენთან შედარებით მე ერთი უპირატესობა მაქვსო – უთხრა მათ ლევან ხოტივარმა, - თქვენ ყველამ უკვე დაამტკიცეთ, რომ უნიჭოები ხართ. მე ჯერ ეს არ დამიმტკიცებია, რადგან არაფერი გადამიღიაო. ახლა მეც მომეცით საშუალება ჩემი უნიჭობის დამტკიცებისო.

ლევან ხოტივარისა არ იყოს, ჩემი უპირატესობა ის არის, რომ მე, სხვებივით, ვინც ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პოლიტიკის ასპარეზზე ფაფხურობდა, ჩემი პოლიტიკური უნიჭობა ჯერ არ დამიმტკიცებია, რადგან ძალაუფლება არ მქონია. ახლა თქვენ გინდათ საიდუმლო გამომტყუოთ, რომ ჩემი უნიჭობაც აშკარად გამოჩნდეს? არ გეტყვით.



მერაბ კოსტავა
(1939-1989)

ქართველი დისიდენტი, მუსიკათმცოდნე, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

○ ფიქრები საქართველოს მისიაზე, 1984წ. (ამონარიდი)

წყარო/ბმული: https://bit.ly/334bqsa

ფიქრები საქართველოს მისიაზე

ღირებულებები: თავისუფლება, ერი

რადგან საქმე კონკრეტულად ქართველი ერის ბედს შეეხება, ისიც აღვნიშნოთ, შემთხვევით ხომ არ უთქვამთ ქართველებზე „მებრძოლი შავი ბედისა", სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელი გასაძლისი გამოცდები არ მობეზრდება, ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდაუვალია, თუკი ისედაც ბინდის ფერი სოფელი უფრო და უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც აროდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად, „რომ შეუპოვრად კვლავ ჰუნე ჩვენი შავი ბედის წინ გამოგვიქროლდეს.

უარესისთვისაც მზად ყოფნა ხომ უკეთესის სანინდარია! ამიტომ მხიარულის გულით ამას გეტყვით: უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ქვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.

წარსული და აწმყო ჩვენი ერისა მეტად თუ ნაკლებად ცნობილია, ათასგზის და ათასგვარად გაანალიზებული, ქართველის ბუნება და ხასიათი ასე თუ ისე გარკვეული და საქართველოს ისტორიული მისიაც რამდენადმე გათვალსაჩინოებულია მათთვის, ვინც ეროვნებათა ისტორიას მსოფლიოს ერთიან ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ერის მისია კი განისაზღვრება სხვებისგან გამოსარჩევი იმ თავისებურებებით, მის ხასიათში, მის საქმიანობაში, მისგან მომდინარე იდეებში რომაა მოცემული და რომელიც მას მიაქვს მსოფლიოს კულტურის სამსხვერპლოზე როგორც შეთავაზებული, ზოგჯერ კი საუბედუროდ, როგორც თავს მოხვეული ძღვენი...

მაგრამ წარსულზე ფიქრი, მომავლისთვის მზაობასაც ხომ ნიშნავს?! ჩვენ კი გვაწვალებს არა იმდენად წარსული, რამდენადაც გარდასახდენი. რა გველის მომავალში? როგორი ვიქნებით მერმისში? კვლავაც იმგვარი შემართებით შევებრძოლებით ბედს, თუ მრუმე ფერებით შეიმოსება იგი. კვლავ თავის შენარჩუნებაზე გვექნება საფიქრალი, თუ იმდენად აღვემართებით, ისეთ ძალას მოვიკრებთ, რომ სხვათა იმედად და ხელის მომმართველადაც გადავიქცევით. კმარა ნელებზე ფეხის დგმით თავის შენარჩუნებაზე ფიქრი. დროა დიდ ერად ქცევაზე ოცნების ჟამმა დარეკოს. დაე, არწივის გაფრენას ედაროს ოცნება იგი, რათა ოცნება მიზნად იქცეს, მიზანი კი საქმედ.

მოდით, ორიოდე სიტყვა ვთქვათ „დიდი ერის“ ჩვენეული გაგებისათვის. „დიდის“ ქვეშ ვგულისხმობთ მისაბაძს, სამაგალითოს და არა სამუდამო პრივილეგიას, ვგულისხმობთ იმ უპირატესობას, ამა თუ იმ ეროვნების ხალხს თავისი მონდომებით, ქცევითა და საქმიანობით, ხასიათად და მაღალ უნარად რომ უქცევია. ეს თვისებები მისაბაძი ხდება სხვებისთვის და ის ხალხები, დღეს რომ მისგან სწავლობენ და ბევრით არიან დავალებული, ხვალ შესაძლოა გაუთანასწორდნენ ან გადაასწრონ კიდეც მას, რისი მაგალითებიც უამრავია ისტორიაში. ბევრი რამ შეიძლება იყოს მისაბაძი: სიმამაცე, გამტანობა, ერთგულება, სიყვარული, სიბრძნე, შემოქმედებითი უნარი, თავისუფლების მოყვარეობა, ქედუხრელობა, შემწყნარებლობა, ხელგაშლილობა, სიუხვე, კონცენტრაციის, შრომისა და სიძნელეთა გადალახვის უნარი, ორგანიზებულობა, მეობის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის, ამავე დროს, სხვათა უფლებების პატივისცემის გრძნობა და ა.შ. შესაძლოა გვითხრან: რაოდენობით არა, სულიერი სიმტკიცით, ისტორიითა და კულტურით ისედაც დიდი ერი ხართო. მართლაც, სისასტიკითა და ხანგრძლივობით რომელი ქალაქისა და ქვეყნის ბლოკადა შეედრება იმ ბლოკადას, ჩვენს შესამუსრად ალესილმა უსასრულო წყვდიადმან მტრისამან რომ მოგვიწყო. არც ერთ მიწას არ განუცდია ასეთი დაწოლა, კავკასიონის მთების საგაზაფხულო წყალდიდობაც ვერ შეედრება აქ დანთხეული სისხლის მდინარეებს, რომელთა ავბედით კალაპოტს განუწყვეტლივ აღავსებდნენ მის მყინვარებზე არანაკლებ მარადიული ომები. განუზომლად დიდია იმ პრინციპების ღირებულება, რისთვისაც საქართველომ ეს სისხლი გაიღო. მაგრამ ზემოთთქმულისთვის „დიდ ერად“ არავის შევურაცხივართ, რადგან დიდ ერად მიაჩნიათ არა ის, ვინაც საკუთარ ღირსებას და მეობას იცავს მხოლოდ, არამედ ის, ვინც თავისი კულტურით და იდეებით ხანგრძლივად და ინტენსიურად ზემოქმედებს სხვა ხალხებზე და განაპირობებს მათ განვითარებას. მაგრამ, აქამდე რომ ვერ მოვხვდით მსოფლიოს მეთაურ ერთა მცირერიცხოვან ნუსხაში, ეს როდი ნიშნავს, რომ ან არ ძალგვედვა, ან მომავლისთვის არ ძალგვიძს ამგვარი რამ.

მიმართვა მომიტინგეებს, 1989წ.

წყარო/ბმული: https://bit.ly/2Zpr7rL

ღირებულებები: თავისუფლება

დღეს დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ნებისმიერი თაობის ადამიანი, ნებისმიერი თანამდებობის, ნებისმიერი მიმართულების, ფიქრობს მხოლოდ ერთზე – საქართველომ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებლობა! საქართველო ღირსია სრული თავისუფლების! საქართველო ღირსია იმის, რასაც მიაღწიეს მსოფლიოში ყველაზე განვითარებულმა, ყველაზე დემოკრატიულმა და ჰუმანურმა ერებმა! მეგობრებო, ჩვენს ყველა მიტინგსა და დემონსტრაციაზე, ამ დღის შემდეგ, პირველ მოთხოვნად ვაქცევთ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნას!

მერაბ მამარდაშვილი
(1930-1990)

ქართველი ფილოსოფოსი.

- აზროვნებისა და ენის განსაბჭოება, 1990წ.

(ნაწყვეტები)

წყარო/ბმული: https://bit.ly/33eQEGC

„აზროვნებისა და ენის განსაბჭოება“

ღირებულებები: საზოგადოებრივი წყობა, ხალხი,
თავისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება, ღირსება,
პატივი, კრიტიკა, სამართლებრივი სახელმწიფო

„იცხოვრო დროის შესაბამისად“

როგორც საბჭოთა ადამიანთა მთელი ერთობლიობა, ჩვენც იმდენ ხანს ვთვლემდით, ისე გავიყინეთ, რომ დღეს ხელახლა უნდა ვისწავლოთ სიცოცხლის გარჩევა სიკვდილისაგან, ოცნებისა - რეალობისაგან. ქართველებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, განდევნონ უვიცობა და ისტორიული წყვდიადი მათ ზნეში, საქმიანობაში, ცოდნაში რომ დაგროვდა. საბჭოურად დაპატარავებულებმა, ენერგიადამრეტილებმა დავკარგეთ პოლიტიკის შეგრძნების უნარი, აღარ ვიცით, როგორ ვიცხოვროთ რთულ საზოგადოებაში.

სამოქალაქო საზოგადოება იქმნება კერძო პირთა ავტონომიურობის საფუძველზე, ავტონომიურობისა - ამ სიტყვის ონტოლოგიური მნიშვნელობით. საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ჩამოყალიბდა გამჭვირვალობის ისეთი მეტაფიზიკური გრძნობა, რომ კერძო პირთათვის დამახასიათებელი ხელშეუხებელი სიღრმე, ეს უკუმშვადი სიღრმე, რომელიც ჩემშია, რომელიც არსებობს „მე-სა“ და „ჩემს“ შორის და რჩება მარად შეუვალი, დაინგრა სამოქალაქო საზოგადოების ნგრევასთან ერთად. ნივთთა ფანტომურობა და ადამიანთა ფანტომური, ზომბის ხასიათი ცხოვრების წესად იქცა. რაციონალური კრიტიკით ამის დანგრევა შეუძლებელია. ცხოვრების ასეთი ფორმა ისევე, როგორც ნებისმიერი პათოსი, დაყოფას

არ ექვემდებარება; ზემოქმედება უშედეგოა. საჭიროა, შეიქმნას ერთი „გვერდითი" ცენტრი, ფიზიკურ ძალთა მიზიდულობის სხვა ცენტრი, საითკენაც უნდა იქნეს მობილიზებული მთელი საზოგადოება. საქართველოში და სხვაგანაც ვერ დააფუძნებენ სამართლებრივ სახელმწიფოს, თუ საკუთარ თავს არ გამოცდიან, თუნდაც ეს გამოცდა გადიოდეს სიძულვილზე საკუთარი თავის მიმართ. საჭიროა, საკუთარი თავის წინაშე აღმართო ღირსებისა და პატივის იდეალი და გეყოს ვაჟკაცობა, გაიარო საკუთარი თავის მიმართ უკიდურესი სიძულვილის გზაზე. აი, ისტორიული აუცილებლობა მილიონობით ადამიანისათვის. თუ პიროვნებებს არ შესწევთ უნარი, წინ სარკე დაიდგან და საკუთარ ანარეკლს გულის არევამდე უყურონ, საკუთარ თავში ვერ აღმოაჩენენ აუცილებელ შინაგან ძალას რაიმე ცვლილებისათვის; კვლავ გააგრძელებენ ცხოვრებას ლანდების სამყაროში, რომელიც სისხლით საზრდოობს. საკუთარი თავისა და წარსულის მკაცრი გამოცდის დრო ჯერ არ დამდგარა. ჯერ ისევ სურთ ურთიერთობის განახლება რუსულ აზროვნებასთან, მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან, მაგრამ რუსულმა აზროვნებამაც და მართლმადიდებელმა ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა. კვლავ აგრძელებენ პატივმოყვარეობის მაამებელი ხატების შექმნას: ოჰ! რა კარგად ვიყავით, კულტურაც გვქონდა, სოფელიც ყვაოდა!.. მაგრამ თავად გლეხობის ნაწილმა მოსპო ნამდვილი გლეხები. ვიდრე ამ ყალბ ნუგეშისცემას გააგრძელებენ, დაუსრულებლად იტრიალებენ წრეში, როგორც დანტეს გმირები - ჯოჯოხეთში.

დღეს თბილისში მეტისმეტად აღგზნებული ადამიანები ჩანან მანიფესტაციებზე, დამოუკიდებლობის საკითხზე გაღიზიანებით რომ ლაპარაკობენ. ზოგი მიელტვის სიმბოლოებს, ლოზუნგებს და არ ფიქრობს, რომ ყველაფრის მოპოვებას სწავლა სჭირდება. ჩვენში არსებობს საფრთხე, რომ ეროვნულმა მოძრაობებმა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების გამოღვიძების ერთ-ერთმა ფორმამ, ჩვენი ხალხი ჩაძიროს განუვითარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მორევში და ხელახლა დაუბრუნოს მას მიწისა და სისხლის მძაფრი ვნებები, რომლებიც წარმოქმნიან ყველაზე ულმობელ მხეცს ადამიანურ მხეცთაგან. ქართველი ახალგაზრდობა, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაწილი მაინც, ორ ცეცხლს შუაა - ერთი მხრივ, ისინი სწავლისაკენ ისწრაფვიან, რეფლექსიისთვის დროს ელიან, მაგრამ, მეორე მხრივ, ვეღარ იტანენ მოზრდილებს, უარს ამბობენ მათ საღ აზრზე; ახალგაზრდობას ეს აზრები არ მიაჩნია არც ვაჟკაცურად, არც ჰეროიკულად - ისინი ხომ რაინდობის იდეალებით არიან შეპყრობილნი და ჰგონიათ, რომ ისტორიას მხოლოდ ლეგენდები ქმნიან. ასეთ დროს არავის ძალუძს მათი დახმარება, არც რაიმეს გაკეთება მათ მაგივრად. ამგვარი დახმარების ილუზიიდან გამოსვლა კი აუცილებელია, რადგან მას ტოტალიტარული შედეგები მოჰყვება. რა არის ტოტალიტარიზმი თუ არა პატერნალიზმი?!

დახმარება ჩვენი არსების ნაწილია

ჩვენ გვეხმარებიან, დახმარება ჩვენი არსებობის ნაწილია. ჩვენ ხომ არასოდეს გვიგემია „განმანათლებლობა", რეალური ძალა საკუთარი აზროვნებით აზროვნებისა, როცა ფლობ შინაგან უნარს, თავად გაერკვე და გაუძღვე საკუთარ თავს ჩირაღდანის, ან იმ ხელების გარეშე, რომლებსაც დავეყრდნობოდით.

XVI საუკუნიდან მოყოლებული, ფრანგებს შესწევთ გახსნილი ცხოვრების უნარი, ისინი გამბედავი, მოქმედი და ძლიერი ადამიანები არიან. გერმანელებს კი ამ ტიპის ცხოვრება ძალზე გვიან დაუდგათ. ყველა დაგვიანებული მოვლენა საშიშია. დიდი ხნის განმავლობაში გერმანელებმა იცხოვრეს ინტენსიური ცხოვრების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებელი გრძნობით. სწორედ ამიტომ წარმოიშვა ფაშიზმი, რომელიც გერმანელებს ჰპირდებოდა დიად, სისხლსავსე ცოდნასა და გამოცდილებას. საქართველოში და, საზოგადოდ, რუსეთშიც, იგივე დრამა გათამაშდა, განსაკუთრებით - ახალგაზრდობისათვის. ამ უკანასკნელთ როგორც კი უჩნდებათ კითხვა, თუ სად ცხოვრობენ, რას აკეთებენ, ამჩნევენ, რომ მათ ირგვლივ ფეხზე მდგომი გვამების უღრანია, სული ეხუთებათ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც, თითქოს, ცოცხლობენ, მაგრამ მკვდრები არიან - სიცრუით, ფანტომებით, ჩაგვრა-შევიწროებით, უაზრობითა და უვიცობით.

ჩემთვის თავისუფლება არის შემდეგი: ადამიანმა უნდა მოიპოვოს თავისი შინაგანი თავისუფლება საკუთარ თავთან და ადამიანთა საზოგადოებასთან ბრძოლაში. ამას მე ვხედავ დეკარტთან და პრუსტთან, რომლებიც უფრო მეტს მასწავლიან, ვიდრე მონობის მწარე თუ ნაღვლიანი მხილებაა. აი, ამიტომ არის ფილოსოფიის სწავლება ჩემთვის ის იშვიათი შესაძლებლობა, რომ მივაღწიო იმას, რასაც ამბობს მონტენი: „ყველაზე უმაღლესი - ეს არის იცხოვრო დროის შესაბამისად". ადამიანები არსებობას ფიზიკური დაწოლით აღიქვამენ, რეაგირებენ სწორედ იმ ბიძგებზე, თავად არსებობის რისკით რომ არის გამოწვეული. როდესაც შენ რაიმეს წერ, შეგიძლია დაუბრუნდე ამ სამუშაოს, მოსაფიქრებელი დრო მისცე საკუთარ თავს, დროის კვალდაკვალ იმუშაო. მაგრამ ლაპარაკის დროს ეს გამორიცხულია; შენ ამ დროს მოქმედებ, არ შეგიძლია, ხელახლა დაიბრუნო, რამე შეცვალო ამ მომენტში; შენ უნდა ძალ-ღონე მოიკრიბო და ეს მოცემული წამი დაიჭირო. სწორედ ამიტომ, პეგი წერდა დეკარტზე: ის იყო რაინდი, რომელიც ქვეყნად მტკიცე ნაბიჯით დადიოდა.

საჭიროა, მიაღწიოთ სწავლებას სწავლების გარეშე, უშუალოდ

ლექციის დროს ფიზიკურად არ შემიძლია ტექსტის წაკითხვა, ენა მებმის, ვიბნევი, თავს ვგრძნობ სრულ იდიოტად. თქვენ იცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, პლატონმა მიატოვა ტირანი, რომელიც ჩემულობდა მის მოწაფეობას და ავრცელებდა მის მოძღვრებას. პლატონს - ისევე როგორც დეკარტს ან კანტს - ამ ჭეშმარიტ მებრძოლ მოაზროვნეს, ახასიათებდა საოცარი ვაჟკაცობა, სხვათა წინაშე ემხილებინა საკუთარი თავი, დაენებებინა თავისი პირადი არსებობა სხვისი განსჯისათვის ისე, რომ თავი არ დაეცვა.

პლატონი ეუბნება ტირანს: არავინ შეიძლება იყოს ჩემი მოწაფე, რადგან მე არასდროს არაფერი დამიწერია, არც ვინმესთვის მისწავლებია რაიმე.

აი, უდავო ამოცანა! პლატონმა ხომ ბევრი რამ დაწერა, მაგრამ დახეთ, - არავის შეუძლია იქონიოს პრეტენზია, რომ იგი მისი მოწაფეა, მაშინაც კი, თუ პლატონი მას ასწავლის. საჭიროა, ვასწავლოთ სწავლების გარეშე, შიშვლად, უბრალოდ და უშუალოდ.

ზვიად გამსახურდია

(1939-1993)

საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

● გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს (ნაწყვეტი)

წყარო: საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 1991-2004 წლები, კრებული, თბილისი, 2007.
ბმული: https://bit.ly/2YAZzP9
https://bit.ly/2H31dCT

გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, მშვიდობიანი თანაარსებობა, უფლებები და თავისუფლებები, მოქალაქე, თანასწორუფლებიანობა.

პატივცემულო დეპუტატებო, პატივცემულო სტუმრებო, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს მოგმართავთ, ვითარცა თანამემამულეთა მიერ არჩეული პრეზიდენტი საქართველოსი. ვიდრე სრულად გავისიგრძეგანებდეთ იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოვჩნდით დღეს, ესოდენ ცვალებად და დაძაბულ ეპოქაში, უწინარეს ყოვლისა, მსურს მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ხმა მომცა და მხარი დამიჭირა ამ არჩევნებში. მსურს აგრეთვე თქვენი ყურადღება მივაპყრო უდიდეს მნიშვნელობას საერთო სახალხო არჩევნებისას. 28 ოქტო-

მბრის შემდეგ განვლილი პერიოდი გახლდათ ურთულესი გამოცდა როგორც ხალხის, ისე მის მიერ არჩეული ხელისუფლებისა და მთავრობისათვის. ვინაიდან მძიმე და ეკლიანია თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. მით უმეტეს, ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული. როდესაც გაივლის პირველი ენთუზიაზმი, გამოჩნდებიან პირველი და სამწუხაროდ, არა უკანასკნელი შეცდომილნი და გზააბნეულნი, როდესაც ფიზიკური შეზღუდულობა ადამიანისა,ამქვეყნიური ხორცისმიერი პრობლემები თითქოსდა შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით შეუდარებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება.

მოგეხსენებათ, პრეზიდენტის ძალაუფლების კანონიერება უეჭველი იყო პარლამენტის მიერ ჩემი არჩევის დროსაც, არავითარი იურიდიული საჭიროება არ არსებობდა საერთო სახალხო არჩევნების მოსაწყობად და მაინც, ხელისუფლება ვალდებული იყო შეემოწმებინა ხალხის შინაგანი მზაობა თავისუფლებისათვის, რადგან არ შეიძლება ოდენ გარეგანად მივანიჭოთ ხალხს იგი. პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ მხოლოდ ხელი შეუწყონ ხალხის ნების გამოვლენას, მისცენ მას სწორი კალაპოტი, ძალადობით აქ ფონს ვერ გავალთ. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ტოტალიტარული სისტემა ისტორიულად განწირული გახლავთ.

დღეს, უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქართველი ერის ნება დააღწიოს თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი თანმიმდევრულად და პრინციპულად ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი. ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი, ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. მხოლოდ ღვთის შეწევნით და თითოეული ჩვენგანის თავდაუზოგავი საქმიანობით შეიძლება მივაღწიოთ მას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტ მომენტში ქართველთა გვერდით დადგა არაქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ამას ჩვენი ერი არასოდეს დაივიწყებს. უპრეცედენტო ანტიქართული პროპაგანდის პირობებში ჩატარებულმა არჩევნებმა მსოფლიოს წინაშე დაამტკიცა, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს გააჩნია არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ყველა უფლება, არამედ არსებობისათვის ესოდენ აუცილებელი კულტურული სივრცეც, რომლის გარეშეც ვერც ერთი ეროვნული უმცირესობა ვერ იარსებებს და რომლის გარანტირება არ შეუძლია არც ერთ დაწერილ კანონს.

საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიამ და არჩევნებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩინა ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული ხელისუფლების მაღალი ავტორიტეტი. ამ არჩევნებმა გამოხატა ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის ნებისა და პოლიტიკური გეზის ჭეშმარიტი ერთიანობა. საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებების ერთ-ერთი საწინდარი გახდა ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა იმ ძირეული რეფორმებისადმი, რომელთაც არჩევნებისთანავე ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა.

დამოუკიდებლობისაკენ მავალ საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მწვავე და პოლიტიკური კონფრონტაცია, მისგან გამოწვეული მძიმე სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად უაღრესად მოკლე ვადაში ეროვნულმა ხელისუფლებამ გა-

ნახორციელა რადიკალური საშინაო რეფორმა. ამ რეფორმის პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა და საბჭოების სანაცვლოდ მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება. ხალხის მხარდაჭერა დასტურია იმისა, რომ უზენაესმა საბჭომ ამ მიმართულებით პრინციპულად სწორად წარმართა საქმიანობა. მის მიერ განხორციელებული იქნა სახელმწიფო მმართველობის სამართლებრივი სისტემის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმირება. საფუძველი ჩაეყარა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის დამოუკიდებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია, რეფერენდუმში ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერის შედეგად, სამართლებრივი აქტით აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი ქართველი ერის და ეროვნული ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებაა. ეროვნულმა ხელისუფლებამ, გატარებული მნიშვნელოვანი ცვლილებების, მრავალპარტიულობის იურიდიული და ფაქტობრივი დამკვიდრების, მთავრობის რეორგანიზაციის,ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების - საკრებულოების და პრეფექტების შემოღების, პრეზიდენტის ინსტიტუტის დანესების შედეგად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით დაამკვიდრა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა. ეროვნულმა ხელისუფლებამ რეალური პერსპექტივა შეუქმნა საქართველოს თავდაცვის სისტემის ფორმირებას. 1991 წლის 26 აპრილს, სამშობლოს ერთგულების ფიცი დასდეს ეროვნული გვარდიის პირველმა შენაერთებმა. ეროვნული ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით იურიდიულად დასრულდა გარდამავალი პერიოდი და შეიქმნა რეალური წინაპირობა მისი ფაქტობრივი ასრულებისთვისაც.

ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება — ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი... საქართველოს საერთაშორისო ცნობის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან. ფაქტობრივად დამთავრდა ცივი ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იძენს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის იდეები. ამის ნათელი დადასტურებაა ევროპის გაერთიანებული ქვეყნების კავშირურთიერთობანი, ინიციატივა, ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე, განცხადებულია ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის პრინციპები. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას-იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ექნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა. საქართველოს რესპუბლიკა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობას ააგებს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთიანი, მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში.

ჩვენ, არაერთგზის განგვიცხადებია და ახლაც ვადასტურებთ, რომ სსრკ-თან ურთიერთობის მოგვარება უმნიშვნელოვანესია საქართველოსათვის. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია საქართველოს რეალური სამართლებრივი სტატუსით, ხოლო მეორე მხრივ

საქართველოსა და სსრკ-ს, როგორც ორი მეზობელი სახელმწიფოს დღევანდელი ურთიერთობით. სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფმა 9 რესპუბლიკამ ფაქტობრივად განსაზღვრა თავისი მომავალი სახელმწიფოებრივი არსებობა რესპუბლიკათა კავშირის სახელით. ეს არის მათი ნება და უფლება. აშკარად გამოხატულია აგრეთვე დანარჩენი 6 რესპუბლიკის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სულ ახლახანს, კიშინიოვის ფორუმზე მიღებული დოკუმენტები. ეს და სხვა პოლიტიკური პროცესები გვაძლევს იმედს, რომ შესაძლებელია ჩატარდეს თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ, ანექსირებულ და არასამართლებრივად ინკორპორირებულ სახელმწიფოთა შორის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოლაპარაკების პროცესში, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვაც; ამ ინიციატივის წარმატებით განხორციელება, ჩვენის აზრით, უზრუნველყოფს მსოფლიოს დიდ ნაწილზე მშვიდობისა და დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზაციას. ჩვენის აზრით, ეს არის ერთადერთი გზა იმ გლობალური პრობლემების გადაწყვეტისა, რომელიც დგას მსოფლიოს ნინაშე 70 წლის მანძილზე. ყოველივე ეს, შესაძლოა გახდეს გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ პოლიტიკისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების მიზანთა ურთიერთშეხების წერტილიც. ჩვენს მეზობლებთან, სახელმწიფოთა შორის სამთავრობათაშორისო დონეზე ურთიერთობის განსაზღვრა დაემყარება არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ერი, ვერ იქნება გულგრილი ჩვენი ისტორიული მეზობლების - სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული კონფლიქტის მიმართ. ყარაბახის პრობლემა კავკასიელთა სატკივარია და მისი მშვიდობიანი მოგვარებისათვის საქართველოს რესპუბლიკამ უკვე იკისრა შუამავლის როლი. ქართველ ერსა და ქართველ სახელმწიფოს ტრადიციულად ჰქონდა კავკასიის რეგიონში მასტაბილიზირებელი როლი პოლიტიკური, ეროვნებათაშორისო და სხვა პრობლემების თვალსაზრისით და ყოველთვის ღირსეულად ართმევდა მას თავს. ამ ფუნქციის ღირსეულად შესრულებას საქართველო უფრო მეტად შესძლებს საშინაო ვითარების შემდგომი სტაბილიზირების შემთხვევაში, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება მისი პოლიტიკური სისტემა და და გაირკვევა მისი ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობა. ამავე დროს მოხდება სამაჩაბლოს კონფლიქტის მოწესრიგება, რისთვისაც აგრეთვე აუცილებელია საქართველოსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და საქართველოს დიპლომატიური ცნობა უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ, საქართველოს მიღება გაეროს წევრად, რასაც დააჩქარებს ცენტრთან ჩვენი მოლაპარაკება.

სახელმწიფო მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს მმართველობისა და თვითმმართველობის ისეთი პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც გამორიცხავენ სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირებას, დაიცავენ სახელმწიფოს ერთიანობას და ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესების დაცვას. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი უნდა იყოს, აფხაზების, როგორც საქართველოს მკვიდრი ერის პოლიტიკურ უფლებათა აღიარება, ტრადიციული ქართულ-აფხაზური მეგობრობა. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი სამ-

შობლოა როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა. საქართველოს რესპუბლიკის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია და აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენასთან ერთად, უნდა აღდგეს ტრადიციული ურთიერთობა აფხაზთა და ქართველთა შორის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალს განსაზღვრავს თავად აჭარის მოსახლეობა. ეროვნულ სახელმწიფოებრივი მოწყობა ისევე, როგორც მთელი პოლიტიკური სისტემა, უნდა განისაზღვროს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით. ეროვნულ-სამართლებრივი სისტემა უნდა დაეფუძნოს ქართულ სამართლებრივ კულტურასა და ტრადიციებს, რომელთა საფუძველზეც და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აღორძინდება ეროვნული კანონმდებლობა. აღდგება სამართლის სუვერენიტეტი, რომელიც შესაბამის საზღვრებსა და პროცესუალურ ფორმებში მოაქცევს სახელმწიფო აპარატის ფაქტობრივ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და პიროვნების სამართლებრივ ურთიერთკავშირს. პოლიტიკურ და სამართლებრივ რეფორმათა გატარებამ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობის და ავტორიტეტის დამკვიდრებას, სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, სამართლებრივი ნიჰილიზმის შეცვლას სამართლებრივი რწმენით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნას, რომლის დაცვა და პატივისცემა სავალდებულოა ხელისუფალთათვის, რამეთუ სახელმწიფოს უპირველესი მიზანია მის მოქალაქეთა ღირსეული არსებობის პირობები. აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა და ურთიერთმიმართება განისაზღვროს სამართლებრივი კანონებით და უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო გარანტიებით.

სამართლებრივი რეფორმის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოთა ურთიერთგამიჯვნა. ეს გამორიცხავს ხელისუფლების მონოპოლიზაციას, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი სისტემის შესაბამისობას სამართლის მოთხოვნებთან და მათ თანმიმდევრულ ასრულებას. სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების გზაზე, საჭიროა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობის უზრუნველყოფა. ეს უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის გამომხატველი,გამოდის არა როგორც უბრალო საკანონმდებლო, არამედ არსებითად დამფუძნებელი ორგანოს სახით, რომელიც ადგენს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტებს, ნორმებსა და პროცედურების სისტემას. ამ გზით იგი უნდა იქცეს სამართლებრივი სახელმწიფოს დაფუძნებისა და მისი რეალური ფუნქციების სუვერენულ ხელისუფლებრივ გარანტად.

საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ისტორია ცხადყოფს ეროვნული თავდაცვის სისტემის აუცილებლობას. ტრადიციულად, ცნობილია ქართველთა მხედრული შემართება და მებრძოლი სული. დღეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების და მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევით შეიქმნა ეროვნული არმიის ჩამოყალიბების პერსპექტივაც. საქართველოს სამხედრო დოქტრინა თავდაცვითი ხასიათისაა. პირველ რიგში, იგი გაითვა-

ლისნინებს საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნისათვის ხელშეწყობას. ეს არის საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებობისა და მათი სტატუსის ძირითადი პრინციპი. ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციური წყობის გარანტიების დაცვა, ეროვნული უშიშროების სამსახურის და საქართველოს შეიარაღებული ძალების უპირველესი ამოცანაა.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ყოველნაირად უწყობდა ხელს ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის გარეშე. ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და ანმყოც. სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან. დღევანდელი მოძრაობა თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნული პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას და ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით. ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს - ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ-ზნეობრივ საწყისებს. სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობასა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას. ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმეში. მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც ემყარება. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება, იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მშენებლობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება. საგანმანათლებლო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე. მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა თავისუფლება იყოს აღმსარებელი იმ

სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

საბჭოთა ხელისუფლების აგების ძირითადმა პრინციპმა, მონოპოლიზმმა, თავსმოხვეულმა ეკონომიკურმა სისტემამ, ქართველი კაცისთვის უცხო, არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა დავიწყებას მისცა საუკუნეებით გამომუშავებული და მის ეთნოფსიქიკაზე დაფუძნებული სამეურნეო სისტემა. ყოველივე ამან, გამოიწვია ეკონომიკის მოშლა, მეურნეობის მართვის გაუარესება, ეკონომიკური მიზანშეწონილობისათვის ძირის გამოთხრა და საზოგადოება მიიყვანა ზნეობრივ დეფორმაციამდე. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ღრმად კრიზისული. დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ერთი - აუცილებელია ძირეული ეკონომიკური რეფორმის გატარება. იგი უნდა დაეყრდნოს ქართული ეროვნული ტრადიციების, სამეურნეო ჩვევების და ურთიერთობის აღორძინებას, რისი განხორციელებაც შეუძლებელია გეგმური მმართველობის პირობებში. ჩვენ ვთვლით, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში უნდა ჩაერიოს იმ ზომით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის. სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის ლიკვიდაცია ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ იგი პრობლემების მხოლოდ ერთი მხარეა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელიც პასუხობს ადამიანთა მოთხოვნილებებს. ასეთად, სოციალური საბაზრო მეურნეობა მიგვაჩნია. იგი ანსახიერებს ამ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფასეულობას, თავისუფლებას, ეფექტიანობას და სოციალურ თავისუფლებას. მის პირობებში ერთმანეთთან შეხამებულია თავისუფალი შრომის და სოციალური უფლებების გარანტიები - საკუთრებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი სარგებლიანობა, თავისუფალი მეწარმეობა და კეთილსინდისიერი კონკურენცია. სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას გარკვეული დრო სჭირდება და თანაც პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესება. ჩვენ გვესმის, რომ ამ გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე შეიძლება მოხდეს წარმოების მოცულობის დროებითი შემცირება, მაგრამ ეს არის ჩვენი საზღაური 70-წლიანი ტოტალიტარული სისტემისაგან გასათავისუფლებლად, რადგან მხოლოდ ეს გზა იძლევა თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის შესაძლებლობას. ამავე დროს, ჩვენი მიზანია ეს გადასვლა განხორციელდეს მინიმალური დანაკარგებით, რადგან დგება საქართველოს განთავისუფლების ჟამი. და იგი არ უნდა ასოცირდებოდეს უმუშევრობასთან ან ინფლაციასთან. ეკონომიკის მძიმე, კრიზისული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია საქართველოსათვის თავსმოხვეული დეფორმირებული საკუთრებითი ურთიერთობების სისტემა. წარმოების საშუალებები ფაქტიურად მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება. ამიტომ, ეკონომიკური რეფორმის მთავარ ამოცანად საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და სახეების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით თანაბარი სასტარტო პირობები შევუქმნათ ყველას, რათა პრივატიზაციის შედეგებით ისარგებლონ ნამდვილად სამეურნეო და მეწარმეობის უნარის მქონე პირებმა. პრივატიზაცია ჩვენ გვესმის, როგორც საქონლისა და მომსახურე-

ბის გადაცემის სტრატეგია, რომელიც ორგანიზებულია სახელმწიფო საწარმოებში კერძო კომპანიების ხელში მთავრობის ხარჯების შემცირებისა და იმ უპირატესობის გამოყენების მიზნით, რომელსაც იძლევა საბაზრო სისტემა - (რონალდ რეიგანი). უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩატარდეს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ინვენტარიზაცია. მოხდეს მისი სწორი შეფასება, რაც განსაზღვრავს, თუ სახელმწიფო ქონების რა ნაწილი, რა სფეროები და როგორი თანმიმდევრობით გადაეცეს კერძო სექტორს. პრივატიზაციასთან ერთად, უნდა გატარდეს ბიუჯეტური დეფიციტის აღმოფხვრის მკაცრი ზომები და კრედიტის შეზღუდვა, თავისუფალ ფასებზე გადასვლა და საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა. ყოველივე ეს კი წარმოადგენს ეკონომიკის გაჯანსაღების ერთადერთ წინაპირობას. პრივატიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს არა მარტო შევამციროთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაუმართლებელი დანახარჯები, რომელიც მიმართული იყო ზარალიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესანახად, არამედ ხელს შეუწყობს მოსახლეობიდან გადავადებული მოთხოვნის სახით ფულადი სახსრების ამოღებას ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამით შემცირდება აჟიოტაჟური მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე და ურთიერთშესაბამისობაში მოვა მოთხოვნა და მოწოდება.

დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული პრობლემაა მიწის საკითხი. კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში მომწყვდეულმა ძალადობით თავსმოხვეულმა სამეურნეო წყობამ ქართველ გლეხს წაართვა ყველაზე მთავარი - მიწა და თავისუფლება, შეაძულა მას შრომა. მეურნე გლეხი ფაქტიურად კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. ასეთმა მიდგომამ უარყოფითად იმოქმედა ქართველი კაცის ბუნებაზე, მის ფსიქიკაზე, მისი ცხოვრების ტრადიციულ წესზე. სწორედ ამით დაიწყო სოფლის გაჩანაგება და დაცარიელება. აქაც კარდინალური რეფორმების გატარებაა საჭირო. მიწის რეფორმა საქართველოს ყოველ ისტორიულ მხარეში, მათ თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, რათა დავამაგროთ მოსახლეობა სოფლად, რაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანაა. უპირველესად იგი მთიანი ზონის რეგიონებში უნდა გატარდეს, აგრეთვე უნდა მოხდეს ზარალიანი და გადახდისუუნარო საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლა და მათ ბაზაზე გლეხური საკომლო მეურნეობების ჩამოყალიბება. მიწა უნდა დაუბრუნდეს გლეხს. ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მათ უნდა შეასრულონ გლეხური მეურნეობებისათვის აუცილებელი მასალებით და ტექნიკით მომარაგების ფუნქცია: ამ გზით ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენ სათავეს დავუდებთ სოფლად ქართული ტრადიციული მეურნეობრივი პრინციპების აღდგენას.

ამავე დროს, ჩვენი აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. საზღვარგარეთელ პარტნიორებს საშუალება მიეცემათ იმოქმედონ ჩვენს ბაზარზე, დააბანდონ თავიანთი სახსრები, აიღონ იჯარით საწარმოები, შექმნან ერთობლივი წარმოებები, გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები, ფილიალები და ა.შ. ამ ეტაპზე საგარეო ვაჭრობაში აუცილებლად მიგვაჩია ლიცენზირების პოლიტიკის გატარება. ის და საბაჟო ურთიერთკავშირში უნდა იქნას მოყვანილი სასაქონლო ბაზრის მოთხოვნილებასთან და უზრუნველყოფდეს იმპორტული და სამამულო საქონლის კონკურენციის შესაძლებლობას. ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად მოხდება საგარეო ვაჭრობის თანდათანობითი ლიბერალიზაცია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უნდა ააღორძინოს შრომის სტიმულები, აა-

მაღლოს სამუშაო ძალის ფასი, ხელფასის სიდიდე, ძირითადად, დამოკიდებული უნდა იყოს საწარმოს ეფექტიანად მუშაობაზე და სახელმწიფოს მიერ მისი რეგულირება უნდა ხდებოდეს საგადასახადო სისტემის მეშვეობით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა წარმოადგენს. საჭიროა შედგეს სპეციალური პროგრამა, გატარდეს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა, რომელიც დასაქმებულია რაოდენობის გაზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებით.

დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გატარდეს შეღავათიანი დაბეგვრის პოლიტიკა იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც შექმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. ამავე დროს საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, ვისაც ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია წარმოების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება. ამის მიზეზი მრავალია: ადამიანთა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მრავალშვილიანობა, სამუშაოს დროებითი დაკარგვა და ა.შ. აუცილებელია ამ ადამიანებს შევუქმნათ სოციალური დაცვის გარკვეული მექანიზმი, რომელიც მათ ცხოვრებას საარსებო მინიმუმის დონეზე მაინც უზრუნველყოფს, როგორც ამას ადგილი აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს პენსიებს, სტიპენდიებს, შემოსავლების ინდექსაციას, მცირე შემოსავლიან და მრავალშვილიან ოჯახთა მატრეიალურ დახმარებას, ხელფასის გარანტირებულმინიმალურ დონეს, დროებით არაშრომისუნარიანთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების გარკვეულ დონეს, კადრების მომზადებას და გადამზადების სისტემას და ა.შ. სოციალური გარანტიების ამ ელემენტების შემოტანამ უნდა შეარბილოს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლით გამოწვეული პრობლემების სიმწვავე და უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ქალბატონებო და ბატონებო!

ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს არის მოწამეობრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. ისტორია გვაძლევს შესაძლებლობებს, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპისეულ გზას, ავაღორძინოთ რწმენით თავისუფალი საქართველო. დგება ჟამი, როცა უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის, ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ეროვნული ხელისუფლების ვალია, იყოს ღირსი უდიდესი მისიისა, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან. დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა! ნება ერისა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გვფარავდეს ღმერთი!

ლევან ბერძენიშვილი
(1953-)

ქართველი ფილოლოგი, პოლიტიკოსი. 1978 წლის 21 მაისს ვახტანგ ძაბირაძესთან, ვახტანგ შონიასთან და დავით ბერძენიშვილთან ერთად შექმნა საქართველოს რესპუბლიკური პარტია. 1998 წლიდან დაინიშნა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორად. იყო 2004-2008 და 2012-2016 წლების მოწვევების საქართველოს პარლამენტის წევრი. არის რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი.

● სამოქალაქო საზოგადოება, 1998წ. (ნაწყვეტი V თავიდან)

წყარო/ბმული: https://bit.ly/317X6Nw

სამოქალაქო საზოგადოება

ღირებულებები: სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, მოქალაქეობა

5.1.1 შესავალი

საქართველო დგას გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც აუცილებლად უნდა შეეხოს ეს პროცესი, არის საზოგადოება და საზოგადოებრივი სტრუქტურები. დღეისათვის საქართველოში არსებული საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის გამოსული ტოტალიტარული წარსულიდან და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი წარმოდგენებიდან. მაშინ, როდესაც ახალი საბაზრო და პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც რკინის ფარდის გაუქმების შემდეგ მკვიდრდება ჩვენში, მოითხოვენ სხვანაირ სოციალურ წესრიგს, სხვა სოციალურ კაპიტალს.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია საზოგადოება, რა სახის ურთიერთობები არსებობს მასში ყალიბდება სახელმწიფოს მართვის სისტემაც. ქვეყანაში დემოკრატიული ორგანიზაციული ფორმის არსებობის პირობებში, თუ საზოგადოება არ არის მზად მართვაში თანამშრომლობისათვის და მონაწილეობისათვის, მმართველობა იძულებული ხდება თავის თავზე აიღოს მართვის მთელი ფუნქცია, რაც გამორიცხავს ქვეყნის, როგორც მთლიანის დემოკრატიულობას.

დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა თავის თავში გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც დემოკრატიულად ყოფნის უფრო მაღალ საფეხურს. შესაძლებელია საზოგადოებაში არ იყოს ამის უნარი ანდა, იგი არსებობდეს, ოღონდ მიჩქმალული სახით. ამ შემთხვევაში საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოწვევა არსებობისათვის, მათი შენების დაწყება. თუმცა სამოქალაქო საზოგადოება გამომდინარეობს და იგულისხმება: დემოკრატიულობის ცნებაში, არ არის აუცილებელი ისტორიულადაც იგივე გამომდინარეობა განმეორდეს. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ინტენსიფიკაციისა და ინტეგრაციის პროცესების ფონზე „მოცდა" შეუძლებელია. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისაკენ მიმართული მოქმედებები არის ერთადერთი გზა, რომელიც აგვაცილებს არასასურველ ისტორიულ კატაკლიზმებს და სწორი გზით შეგვიყვანს მსოფლიო თანამეგობრობაში.

აქედან გამომდინარე, ახალი სოციალური კაპიტალის დამკვიდრების აუცილებლობა, სოციალური სნავლების ინტენსიფიცირება გულისხმობს ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების მშენებლობის გარკვეული სტრატეგიის შემუშავებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების კაპაციტეტი შეიძლება მიჩქმალულად არსებობდეს საზოგადოებაში. საქართველოს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის ბატონობის გამო მოხდა გათითოკაცება და დაიკარგა ერთობის ის ტრადიცია, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სამოქალაქო საზოგადოებას. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არის უცხო საქართველოსათვის, რაკი მისი კულტურა და გაბატონებული ცხოვრების წესი ეფუძნება იმ ცივილიზაციას და ტრადიციას, რომელშიც ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების იდეა. ამიტომ საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების პროვოცირება, მისი გამოწვევა არსებობისათვის. აუცილებელია სახელმწიფო სტრატეგიის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მხრივ წარმართული აქტიობების წარმატებით განხორციელებას, ანუ, უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების უნარის მშენებლობის ინსტიტუციონალიზაცია. ამ ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია სამოქალაქო საზოგადოების ფონდების არსებობის აუცილებლობა საქართველოში, რომელთა მუშაობაც სხვა სახის აქტიობებთან ერთად გულისხმობს ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების მშენებლობის აუცილებლობის და გარდაუვალობის დანახებას საზოგადოებისათვის, კონკრეტული კომუნების ჩამოყალიბების პროცესის კონსულტაციას, შესაბამისი გამოკვლევების ჩატარებას და ფინანსურ დახმარებას.

მსგავსი ფონდების ასეთი საქმიანობა ნიშნავს დიალოგის, სახელმწიფოებრიობის და მოქალაქეობის კაპაციტეტის მშენებლობის ინსტიტუციონალიზაციას და ამ უნარების და ღირებულებების ჩამოყალიბების და პროვოცირების სახელმწიფო მართვის სისტემის განუყოფელ ელემენტად ქცევას.

...

5.1.4. ერთობაზე დამყარებული ორგანიზაციების მშენებლობის სპეციფიკური ხასიათი საქართველოში

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის 70-წლიანი ბატონობის შედეგად მოხდა მთელი რიგი სოციალური ჩვევების და ინსტიტუტების დევალვაცია, გაუქმება, ღირებულება დაეკარგა ისეთ სოციალურ ინტენციას, როგორიცაა ერთობაზე ორიენტაცია და საზოგადოების, როგორც ერთობის გაგება.

ეს დევალვაცია მოხდა იმის გამო, რომ საზოგადოების ასეთი მოწყობა საბჭოთა წყობილების და სისტემის მიერ აყვანილი იყო იდეოლოგიის დარგში და მისი დამკვიდრება ხდებოდა ძალისმიერი მეთოდებით, სადაც იყო და არ იყო საჭირო. ბუნებრივია, ასეთმა სიტუაციამ გამოიწვია საზოგადოებაში ერთობის იდეის სრული მიუღებლობა და ყველა მოწოდება ერთობის დამყარებისაკენ აღიქმებოდა როგორც კომუნისტური სივრცის გამაგრების სურვილი. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია საზოგადოების ღირებულების გაქარწყლება და საბოლოოდ მისი გაქრობა ქართული სინამდვილიდან, იმიტომ, რომ ერთობის ღირებულება, რომელიც საზოგადოების საფუძველია, იყო გაქარწყლებული და უარყოფილი.

ასეთი საქმის ვითარება არ იყო ცენტრალური ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც „რკინის ფარდის" მოხსნის შემდეგ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ჯერ ერთი, ისინი შედარებით ცოტა ხანს იმყოფებოდნენ კომუნისტურ რეჟიმში და ამიტომ თავისუფალი ეკონომიკის გამოცდილება არ იყო დავიწყებული. მეორეც, მათ, როგორც წესი, ჰქონდათ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფოდ ყოფნის გამოცდილება და ამიტომ, საკუთარ სახელმწიფოებრივ სივრცეში საზოგადოებად ყოფნის ჩვევები.

ამის გამო, საქართველოში ერთობაზე დამყარებული ორგანიზაციების მშენებლობა ნიშნავს საზოგადოების საფუძვლების თავიდან მშენებლობას, რაც გულისხმობს სახელმწიფოებრიობის და მოქალაქეობის დეკლარაციული დონიდან ინსტიტუციონალურ განზომილებაში გადაყვანას.

საზოგადოების თავიდან მშენებლობა, აგება ნიშნავს ერთი მხრივ ერთობისათვის ღირებულების კვლავ მინიჭებას, და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ეთიკური განზომილების შემოტანას: მოხალისეები, რომლებიც მონაწილეობენ ერთობაზე დამყარებული ორგანიზაციებში, უპირველეს ყოვლისა საკუთარ პრობლემებს წყვეტენ, რომლებიც, ამავე დროს სხვების პრობლემებია და მათ წინაშე არ დგას საქმიანობის ანაზღაურების საკითხი. გარდა ამისა, ასეთი საქმიანობის გამო მიმდინარეობს საზოგადოებაში ახალი პროფესიების შეძენის პროცესი, მიმდინარეობს ახალი შრომითი ფუნქციების ძიება. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალი საზოგადოება, გარდა ახალი პროფესიებისა, მოიპოვებს მყარ, ტრადიციულ საფუძველს, რომელიც დაიცავს მას კატაკლიზმებისაგან და დაშლისაგან.

ტრადიციული საფუძვლის ქონა ნიშნავს ტრადიციულობას ეთიკური კატეგორიების მიმართ, როდესაც საზოგადოება დგას მოვალეობის გრძნობაზე, რომელიც მის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს სხვის მიმართ.

საზოგადოების თავიდან მშენებლობა ნიშნავს მოქალაქეობის ეთიკურ კატეგორიად ქცევას და სოციალური ფენომენებისთვის (როგორებიცაა სახელმწიფო, საზოგადოება, მო-

ქალაქე) ეთიკური მნიშვნელობის მინიჭებას. ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების არსებობისათვის ხელშეწყობა არის მორალური საზოგადოებისაკენ მიმართული სტრატეგიის ნაწილი.

სამოქალაქო საზოგადოება, რომლის განხორციელებასაც ჩვენ ვესწრაფვით, გულისხმობს ახლებურ სისტემურ ელემენტებს, როდესაც საზოგადოების არსებობის და ყოფნის განმსაზღვრელი არის არა პოლიტიკური სისტემა, არამედ ის ეთიკური ფუნქციები, რომელიც ამოიკითხება ამ საზოგადოებრივ სისტემაში და რომელიც ხორციელდება ამ საზოგადოების არსებობით.

ასეთი საზოგადოება არის ბევრად უფრო მდგრადი, ვიდრე პოლიტიკური და რელიგიური იდეოლოგიით შეკრული სისტემა. იდეოლოგიური სისტემები ყოველთვის გულისხმობენ უფრო მეტს, ვიდრე საზოგადოების, როგორც ასეთის არსებობისთვისაა საჭირო. ანუ, ისინი გულისხმობენ გარკვეული, განსაზღვრული იერარქიის აუცილებლობას. მაშინ როდესაც ეთიკური იმპერატივი, რომელიც „მხოლოდ" ერთობის და მისგან გამომდინარე აქტიობების აუცილებლობას გულისხმობს, არის ის მინიმუმი, რომელიც საჭიროა საზოგადოების არსებობისათვის გარედან თავს მოხვეული ძალადობის გარეშე, ანუ, ერთობაზე დამყარებული ორგანიზაციების არსებობაზე გადის გზა, რომელსაც მივყავართ საზოგადოებამდე, რომელიც არის არა რაიმე ხელშეკრულებით, ანუ იურიდიულ-პოლიტიკური მეთოდებით გამაგრებული, რომელშიც საზოგადოებრივი სივრცე პოლიტიკურადაა მოწყობილი და ეთიკური კანონები ყალიბდება ამ სივრცეში ურთიერთობების დასარეგულირებლად, არამედ რომელიც ეთიკური ნორმითაა შეკრული, რომელშიც სისტემქმნადი ელემენტი არის ერთი მხრივ, ადამიანის სოციალურობის მოთხოვნილება, და მეორე მხრივ, ამ მოთხოვნის მენტალური ფორმა - ერთობის ცნობიერება და ამ ცნობიერების მატარებელი მოქალაქე.

მოქალაქე, რომელიც ერთობაზეა დამყარებული ორგანიზაციაში და მასთან ერთად ჩნდება, არის სახელმწიფოებრიობის ღირებულების სრულყოფილი ინსტიტუციონალიზაციის წინაპირობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში არ არსებობს (აღარ არსებობს) ამ ფენომენის წარმოქმნადი ფაქტორები. ამისათვის საჭიროა ამ სისტემქმნადი ფაქტორების გამონვევა არსებობისათვის, მათი პროვოცირება, მათი შექმნა იმ საფუძვლიდან, რომელიც ქვეყანაში არსებობს, ანუ, საჭიროა ინდივიდის გარდაქმნა მოქალაქედ, მოსახლეობის გარდაქმნა საზოგადოებად, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიის გარდაქმნა სახელმწიფოდ.

ამიტომ, ერთობაზე დამყარებულ ორგანიზაციებს უნდა მიეცეს არსებობის საშუალება. ამ მხრივ, სახელმწიფოს უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს შესაბამისი ფონდების ჩამოყალიბება და მათი არსებობის სამართლებრივი საფუძვლის დადგენა. სამოქალაქო საზოგადოების ფონდები არსებობენ ცენტრალური ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგრამ მათ ერთობაზე დამყარებულ ორგანიზაციების პროვოცირების ამოცანა არ უდგათ წინ. გარდა ჩვეულებრივი საქმიანობისა (ქვეყანაში არსებული ერთობაზე დამყარებულ ორგანიზაციების სოციოლოგიური სურათის შექმნა საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტების დასადგენად, ერთობაზე დამყარებული ორგანიზაციების კონსულტაცია, ფინანსური დახმარება) ამ ფონდებმა თავის თავზე უნდა აიღონ პოტენციური ერთობაზე დამყარებულ ორგა-

ნიზაციების მოძებნა და მათი ამოქმედება. ამისათვის უნდა იქნეს გამოყენებული ორგანიზაციული მუშაობის ყველა მეთოდი, უნდა შეიქმნას ინფორმაციული ქსელი, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა მოიცვას. სახელმწიფოს მიერ ამის გათვალისწინების და აქტიური ხელშეწყობის გარეშე ეს საქმიანობა ვერ მიიღებს საჭირო გავრცელებას. ერთობაზე დამყარებული ორგანიზაციები არის საფუძველი საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში ჩართვისათვის. საქართველოში მათი ჩამოყალიბების სპეციფიკა მოითხოვს მმართველობის მხრიდან აქტიურ ჩარევას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ვერ მოექცევა მსოფლიოს განვითარების ხაზში, რომელიც ჩვენს თვალწინ ყალიბდება და რომელშიც უკვე ჩართვის შესაძლებლობა ჩვენს ხელთაა.

ჭაბუა ამირეჯიბი
(1921-2013)

მწერალი

- ანდერძი შთამომავლებს

წყარო/ბმული: https://bit.ly/2MqzS1c

ანდერძი შთამომავლებს

შვილებო და შვილიშვილებო!

ეს წერილი თვრამეტისას წააკითხეთ თქვენს ბალღებს!

ჩემო პატარა ბატონებო და ქალბატონებო!

ბატონობით მოგმართავთ, რადგან სულ ცოტა ათი არისტოკრატიული გვარისა და ბატონთა მოდგმისანი ხართ.

ოთხმოცისა გიტოვებთ ამ წერილს თქვენი პაპა და პეპერა მზექაბუკ (ჭაბუა) ირაკლის ძე ამირეჯიბი და თავს მოვალედ ვთვლი, ზოგი რამ გირჩიოთ:

წარმომავლობა გიხსენეთ. სწორედ ეს უნდა იყოს პირველმიზეზი იმისა, რომ ამპარტავნობისკენ კი არა, თავმდაბლობის, მიმტევებლობისა და სიყვარულისკენ უნდა მიიდრიკოს თქვენი ხასიათი, სიცოცხლისა და სამყაროსადმი დამოკიდებულება.

მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ მხოლოდღა დედ-მამისა და ბებია-პაპების ნაშიერი კი არა, ქართველი ერის შვილები ხართ ისევე, ყოველი ქართველი მამულიშვილი – ერისა, რომლის უანგარო სამსახურს შეალიეს თავისი სიცოცხლე ჩვენ წინაპართაგან ურჩეულესებმა. უნდა იცოდეთ და ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას ითვალისწინებდეთ,

რომ ხალხი, როგორც ფენომენი, მხოლოდღა დღესდღეობითი ნაწილია იმ მარადიულობისა, რასაც ქართველი ერი ჰქვია, ხოლო ერის საწყისი და ძირითადი ბირთვი ოჯახია, რაიც თავად თქვენც უეჭველად უნდა შექმნათ და იმრავლოთ, რათა ხსენებული მარადისობა უზრუნველჰყოთ. ეს თქვენი წმინდათაწმინდა ვალია!

სამშობლოში თქვენი ოჯახის ელჩი და სახე უნდა იყოთ, სამშობლოს გარეთ თქვენი ერის სინდისი და ღირსება.

უნდა ეცადოთ, არავინ გძულდეთ. სიძულვილი ბოროტებას ბადებს. მტრისაც კი პატივისცემა გმართებთ, რადგან იგი თქვენში მებრძოლს აყალიბებს.

ჩინური ანდაზაა – „თუ გინდა იდგე – სულ უნდა ირბინო". იგულისხმება განუწყვეტელი მოქმედება. ასეთები იყვნენ თქვენი წინაპრები, მათ შორის თქვენი პაპები და პეპერები. იმ დროისთვის როცა ამ წერილს წაიკითხავთ, უკვე გეცოდინებათ, რას მიაღწიეს მათ მოღვაწეობის სხვადასხვა დარგებში და იცოდეთ, ყოველივე იმის წყალობით იყო, რომ სულ დავრბოდით. ახლის ძიება, მოქმედება და აღსრულება იყო ჩვენი სიცოცხლის აზრი და დევიზი.

ყოველივე ადამიანი (მათ შორის თქვენც), უპირველესად ყოვლისა, საკუთარი შესაძლებლობების ჯამი და ყულაბაა. შესაძლებლობები კი კაპიტალია. კაპიტალს ასეთ ნიადაგში ჩაბანდება ურჩევნია, საიდანაც მეტი ამონაგები ექნება.

დააკვირდით, ვინ მეტი მოიმკა, ვინც საკუთარ მატერიალურ კეთილდღეობაში ჩააბანდა, თუ მან, ვინც მამულიშვილობაში, სამშობლოს სამსახურში, ერის, ადამიანისა და მშვენიერების სიყვარულში ჩაიფერფლა? იფიქრეთ ამაზე, გამოიტანეთ დასკვნა და ისე აირჩიეთ თქვენი „სირბილის" ასპარეზი.

იმედს ვიტოვებ, რომ ღირსეულად გასწევთ თქვენი წინაპრების დამსახურებათა, თავდადებისა და უკვდავი სახელების საამაყო ჭაპანს იმ ოთხი სათნოებით მათ ჩვენ – თავის ჩამომავალთ, რომ გვიანდერძეს – ვაჟკაცობით, სამართლიანობით, თავშეკავებითა და გონიერებით.

დანარჩენს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება შეგძენთ.
სამშობლო უწინარეს ყოვლისა!

თქვენი პაპა-პეპერა – ქაბუა ამირეჯიბი
თბილისი, 04.07.2001

გია მაისაშვილი
(1962-2018)

ეკონომისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

- ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა, სოც. სოლიდარობა, 2003წ. (ნაწყვეტი)

წყარო: წიგნი „ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა, სოც. სოლიდარობა", თბილისი, 2003, გვ. 88-89

ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა, სოც. სოლიდარობა

ღირებულებები: მოქალაქეობა, თავისუფლება, საზოგადოება, სოლიდარობა

ჩვენ საბჭოთა მეგასახელმწიფოში მცხოვრებთ, თითქმის სულ გაგვიქრა მოქალაქეობის განცდა, რომლის გარეშეც თანამედროვე წარმატებული საზოგადოება წარმოუდგენელია. პატრიოტიზმი გულისხმობს საკუთარი ქვეყნისათვის ადამიანების თავგანწირვას და ამისათვის მზადყოფნას. იგი თავისი შინაარსით უნივერსალური ფენომენია, ხოლო მოქალაქეობის გრძნობა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის კეთილდღეობისათვის ცხოვრებას, თავისი შინაარსით დასავლური კონცეპტია.

მოქალაქეობა ევროპაში რომის იმპერიის გაქრობისთანავე გაქრა. მე-17-18 საუკუნეებში განმანათლებლობის ერამ და ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობამ, მოქალაქეობის ფენომენი კვლავ დაბადა დასავლეთში. მოქალაქეობის მისია გულისხმობს მოქალაქის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებრიობისათვის სამსახურის გაწევას და საერთო საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადებას პირადი გამორჩენისა და ინტერესების გარეშე. ეს ნიშნავს

იმას, რომ მოქალაქე, პირველყოვლისა, მსახურია თავისი ქვეყნისა და საზოგადოებისა და ეს მსახურება არის ძირითადი ნიშანი სამოქალაქო საზოგადოებისა.

ქართული საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეძენა, რადგან სწორედ მოქალაქეობაში დევს ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი აღორძინების საიდუმლო გასაღები. საზოგადოება, სადაც ყველას აქვს მორალური და ემოციური წილი, იბადება მხოლოდ აქტიური მოქალაქეობის შეგნების შედეგად. ჩვენი მთავარი მიზანია შესაძლებლობების საზოგადოების შექმნა, სადაც ყველა მსურველსა და ბეჯითად მშრომელ მოქალაქეს საზოგადოება უქმნის წარმატების უზომო შესაძლებლობებს და აძლევს არჩევანს მოღვაწეობის ყველა სფეროში. მეორე დიდი ამოცანაა პასუხისმგებლობის გრძნობის წარმოჩინება საზოგადოებაში, რომლის გარეშეც თავისუფლება მხოლოდ ანარქია და ქაოსია. მესამე ამოცანა კი საზოგადოების სოციალური სოლიდარობაა. სოლიდარობა მოყვასისადმი ჩვენი მოქალაქეობრივი, პატრიოტული და ამავე დროს სამართლიანი მონოდებაა, რამეთუ სრული ბედნიერება კი არა სულ უფრო მზარდი საკუთარი ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილებას მოსდევს, არამედ მოყვასისა და თანამოძმის მსახურებას. სწორედ ასეთ კეთილშობილ საქართველოში ღირს ცხოვრებაცა და სიკვდილიც.

თავისუფლება, 2004წ.

საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო ჰიმნი, „თავისუფლება“, შემოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ 2004 წლის 21 მაისიდან. საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორია დავით მაღრაძე, მუსიკა ეკუთვნის ზაქარია ფალიაშვილს, რომელიც ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ. ტექსტში გამოყენებულია ნაწყვეტები ქართველი კლასიკოსების: აკაკი წერეთელის, გრიგოლ ორბელიანის და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან.

წყარო: https://www.president.gov.ge/geo/saqartvelo/sakhelmcifo-simboloebi.aspx

---

ღირებულებები: თავისუფლება, სამშობლო.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!

გია ნოდია
(1954-)

ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი და მშვიდობის,
დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე
1992 წლიდან.

○ „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები", 2005წ.
(ნაწყვეტები III თავიდან)

წყარო: „სამოქალაქო საზოგადოების განეითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები - სტრატეგიის განაცხადი", მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. 2006., თბილისი.
ბმული: http://www.clpdd.org/upload/files/POLICY.PDF ან https://bit.ly/2OyzT5J

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები

ღირებულებები: სამოქალაქო საზოგადოება,
საზოგადოებრივი წყობა, დემოკრატია, ერი, თავისუფლება.

3.1. პრესაბჭოთა პერიოდი: შეწყვეტილი განვითარება

საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩემოყალიბებაზე საუბარი მე-19 საუკუნის შუახანებიდან შეიძლება დავიწყოთ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი უკვე შუა საუკუნეებიდან ქალაქ თბილისში ხელოსანთა და ვაჭართა გილდიების არსებობით უნდა დავიწყოთ, რომელთა ტრადიცია საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებამდე მოქმედებდა და ხელს უწყობდა სამოქალაქო მონაწილეობის

შედარებით მაღალ დონეს. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება რომ ამგვარი საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტრადიციაზე ყოფილიყო დამყარებული, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ტიპოლოგიურად ის „სამოქალაქო საზოგადოების" კლასიკურ, დასავლეთ-ევროპულ მოდელს უახლოვდება. მაგრამ აშკარაა, რომ ქალაქური ცხოვრების ტრადიცია საქართველოში საგრძნობლად ჩამორჩებოდა შესაბამის დასავლეთ-ევროპულ გამოცდილებას. როგორც გინდა შევაფასოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ამ ვექტორის მნიშვნელობა, ის ნაკლებ რელევანტურია დღევანდელი ვითარებისთვის, რადგან არ ჩანს მისი რაიმე სახით გავლენა იმ საზოგადოებრივი ჯგუფების და ინსტიტუტების არსებობის და საქმიანობის წესზე, რომელთაც დღეს „სამოქალაქო საზოგადოების" ცნებით მოვიხსენიებთ. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება უფრო კლასიკური დასავლეთის გარეთ, განსაკუთრებით - აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ მოდელს უახლოვდება, სადაც სამოქალაქო საზოგადოების სახელით ცნობილ ინსტიტუტებში წამყვან როლს არა ეკონომიკური ინტერესების გარშემო გაერთიანებული ჯგუფები (ამქრები თუ გილდიები), არამედ ლიბერალური იდეების მატარებელი ადამიანთა ჯგუფები, „ინტელიგენცია" თუ „ინტელექტუალები" თამაშობენ.

ამ მოდელის შესაბამისად, საქართველოში ლიბერალური იდეების, მასთან ერთად კი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთა გავრცელებას ძირითადი ბიძგი მისცა „თერგდალეულების", ანუ რუსეთის უნივერსიტეტებში განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდების მოღვაწეობამ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ფიგურა. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება საქართველოში პრესა, როგორც საზოგადოებაში არსებული საჭირბოროტო პრობლემების განხილვის ფორუმი. ჩნდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც, რომელთაგან ნიშანდობლივია, მაგალითად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თუ პირველი სამოქალაქო გაერთიანებები თავისი საქმიანობის წესით და მიზნებით ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო იყო, მე-19 საუკუნის ბოლოდან პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარებაც იწყება.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეს პერიოდი 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობით მთავრდება. ამ სახელმწიფომ სამ წელზე ნაკლებ ხანს იარსება და მისი ძირითადი საზრუნავი თვითგადარჩენა იყო, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრება აქ დემოკრატიულ საწყისებზე იყო დამყარებული, რაც შეუძლებელი იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარკვეული დონის გარეშე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩამოყალიბებული კომუნისტური სისტემა ტოტალიტარულ პოლიტიკურ რეჟიმად ჩამოყალიბდა, რომელიც ადამიანებს საჯარო სივრცეში დამოუკიდებელი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას არ უტოვებდა. ამ დროსაც არსებობდა ე. წ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციების იმიტაციას წარმოადგენდა (პროფკავშირები, კომკავშირი, მშვიდობის კომიტეტი, შემოქმედებითი კავშირები და ა. შ.), მაგრამ ისინი არ აკმაყოფილებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ელემენტარულ კრიტერიუმებს - ნებაყოფლობითობას და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობას. ამ პირობებში ჭეშმარიტი სამოქალაქო აქტივობის გამოჩენა, როგორც წესი, პოლიტიკურ რეჟიმთან კო-

ნფრონტაციას ნიშნავდა, რაც მკაცრი სასჯელის - სიკვდილის ან ხანგრძლივი პატიმრობის საფრთხეს შეიცავდა. საბჭოთა რეჟიმის არსებობის ბოლო პერიოდში, 1960-80-იან წლებში, რეჟიმის შედარებითმა შერბილებამ ე. ნ. დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბება გამოიწვია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დისიდენტური მოძრაობა იაზრებდა თავს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ფორმას, და აქტიურად ამკვიდრებდა თვით ამ ტერმინს. მაგრამ საქართველოში არ უარსებია ძლიერ დისიდენტურ მოძრაობას, ხოლო შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები, ძირითადად, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით იყვნენ მთაგონებულნი და ლიბერალური იდეების გავრცელებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მეორე მხრივ, დაშვებული ფსევდო-სამოქალაქო ინსტიტუტების ფარგლებში, განსაკუთრებით, შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში, ამ დროს შედარებით უფრო იწყნარებდნენ ოფიციალური იდეოლოგიიდან რბილ, შენიღბულ გადახვევებს. სახელმწიფო კვლავ არ უშვებდა არანაირი ალტერნატიული, დამოუკიდებელი სამოქალაქო გაერთიანებების არსებობას. ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოების თუნდაც ჩანასახოვან ინსტიტუტებზე ლაპარაკი ამ პერიოდში ჯერ არ შეიძლება.

3.2. სახელმწიფოს წინააღმდეგ: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ხელახალი აღმოცენება უკავშირდება საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაციას 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, რაც უკანასკნელი საბჭოთა ლიდერის, მიხეილ გორბაჩოვის, პერესტროიკისა და გლასნოსტის (გარდაქმნისა და ღიაობის) პოლიტიკამ მოიტანა. სახელდობრ, საქართველოში ამ პოლიტიკის პირველი შედეგები იყო, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფების შექმნა, მეორე მხრივ კი - მედიაზე კონტროლის თანდათანობითი შესუსტება. ამ ჯგუფების მიერ შემოტანილი ახალი საჯარო დისკურსი ნაციონალისტურ და ანტიკომუნისტურ იდეებს ემყარებოდა. მისი ორიენტირი იყო დამოუკიდებელი, ზოგადად დასავლურ სტანდარტებზე დამყარებული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა. შეიქმნა სხვა ჯგუფებიც, რომელთა დღის წესრიგი გარეგნულად პოლიტიკური არ იყო და გარემოს დაცვას და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას გულისხმობდა. მაგრამ, სინამდვილეში, ამგვარ აქტივობასაც ცალსახა პოლიტიკური იმპლიკაციები ჰქონდა. ამ პერიოდში ჩატარდა გახმაურებული და წარმატებული საზოგადოებრივი საპროტესტო კამპანიები ტრანსკავკასიური რკინიგზის და ჰუდონის ჰესის მშენებლობათა წინააღმდეგ, რომლებიც ფორმალურად გარემოსდაცვითი ნუხილებით იყო მოტივირებული. პროტესტის სამიზნე იყო საბჭოთა არმიის სასწავლო სროლებიც დავით გარეჯის შუასაუკუნეების სამონასტრო კომპლექსის მახლობლად, რომლებიც ამ ძეგლს აზიანებდა. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ძირითადი მოტივი საბჭოური კომუნისტური წყობის წინააღმდეგ მასობრივი პროტესტის მობილიზაცია იყო.

ამ პერიოდში შექმნილი სსო-ების თავისებურება რამდენიმე ნიშნით შეიძლება შევაჯამოთ. არ არსებობდა მკაფიო გამყოფი ხაზი პოლიტიკურ პარტიებსა და არაპოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის. ღირებულებითი თვალსაზრისით, წარმმართველი იყო ნაციონალიზმი და ანტიკომუნიზმი. ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები და დღის წესრიგი მეორე პლანზე იდგა, თუმცა, მათი ზოგადი დეკლარირებაც ხდებოდა. ახალი

ასოციაციები ორგანიზაციულად სუსტად იყო განვითარებული. ისინი ენთუზიასტთა მცირე ჯგუფების მოხალისეობაზე იყვნენ დამოკიდებული, თუმცა, ხანდახან - სპორადულად - იღებდნენ შემონირულობებსაც კერძო თუ ნახევრად კერძო ბიზნესის ჩანასახოვანი ფორმებისგან. ეს სამოქალაქო აქტივობის ამ პერიოდს ერთგვარი „სინაღდის" და რომანტიკულობის ელფერს აძლევდა, მაგრამ მას მეტად არამდგრადს ხდიდა.

სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელოვან სახედ განვითარდა კერძო შეიარაღებული დაჯგუფებები, რომელთაგან ყველაზე ცნობილი „მხედრიონი" გახდა. ესენი, ზემოთგანხილული ტერმინოლოგიით, „არასამოქალაქო საზოგადოების" ტიპური ნიმუშებია. მათი ისტორია ამ ტერმინის ამბივალენტობის ილუსტრაციადაც შეიძლება გამოდგეს: „მხედრიონი" დაიწყო როგორც პატრიოტული მოძრაობა, რომლის დამფუძნებელთა ნაწილს მაინც იდეალისტური მოტივები, კერძოდ, საქართველოში ეთნიკური მშვიდობის შენარჩუნება ამოძრავებდა. მაგრამ საკმაოდ მალე მოხდა ამ მოძრაობის კრიმინალიზაცია, ხოლო „ფანდრაიზინგის" ძირითად მეთოდად იარაღის მუქარით ფულის გამოძალვა იქცა.

3.3. სამოქალაქო საზოგადოება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები: ახალი პარადიგმა

1992 წლიდან, ანუ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული ქვეყნები დაინტერესდნენ საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში, სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით. თავის მხრივ, ქართული საზოგადოების აქტიურ ნაწილს საშუალება მიეცა, თავისი საქმიანობისთვის ახალი რესურსები მოეძია. ამან ძირფესვიანად შეცვალა სამოქალაქო აქტივობის ასპარეზი საქართველოში. შეიქმნა „არასამთავრობო ორგანიზაციები", რომლებიც, არსებითად, დასავლური ფონდების ფინანსურ დახმარებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. ისინი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ძირითად ფორმად იქცნენ: ამას შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოების „ენჯიოიზაცია". 1992-95 წლებში საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია. ამ ეტაპზე, არასამთავრობო სექტორის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს ფონდებმა ღია საზოგადოება - საქართველო (რომელსაც ცნობილი ამერიკელი ფილანტროპი ჯორჯ სოროსი აფინანსებდა), ევრაზია და ISAR-Georgia (მოგვიანებით - ფონდი „ჰორიზონტი"), რომლებიც აშშ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ.

ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოებას მრავალი ახალი ნიშანი გამოარჩევდა. გაჩნდა მკაფიო ზღვარი პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ღირებულებითი ორიენტაციის თვალსაზრისით, ამ ორგანიზაციათა საქმიანობაში დასავლური ტიპის ლიბერალური პრინციპების დაცვა სჭარბობდა. უფრო მრავალფეროვანი გახდა მათი საქმიანობის სფეროები: არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფები მუშაობდნენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდაჭერაზე, მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების პრობლემებზე, სამოქალაქო განათლებაზე, გარემოს დაცვის პრობლემებზე, ქალებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვაზე, სოციალურ პრობლემებზე და ა. შ. გაიზარდა სსო-ების პროფესიული დონე და ორგანიზაციული მდგრადობა: თუმცა, ზოგი ორგანიზაცია მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა ან ერთი-ორი პროექტის განსახორციელებლად იქმნებოდა

და შემდეგ წყვეტდა არსებობას. რამდენიმე ათეულმა ორგანიზაციამ, დასავლური ფინანსური დახმარების გონივრული გამოყენების წყალობით, შეძლო მუდმივი თანამშრომლების ბირთვის ჩამოყალიბება და მენეჯმენტის მდგრადი და თანამედროვე სისტემების განვითარება. განვითარდა არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობისა და სინერგიის მექანიზმები: ისინი თავის თავს განიხილავდნენ როგორც „მესამე სექტორს" და ისწავლეს ძალისხმევის გაერთიანება კონკრეტული მიზნების მისაღწევად. შედარებით განვითარებულმა სსო-ებმა გარკვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენა მოიპოვეს. საზოგადოებამ გაიცნო „მესამე სექტორი" და ის გარკვეული ღირებულებების დაცვასთან გააიგივა. განვითარდა საქართველოს სსო-ების საერთაშორისო კონტაქტები: საქართველოს „მესამე სექტორი" გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ქსელის ნაწილი გახდა.

სამოქალაქო საზოგადოების „ენჯიოიზაციას" თავისი ნეგატიური მხარეებიც ჰქონდა. „მესამე სექტორი" ცალმხრივად იქცა დამოკიდებული დასავლური ფონდების დახმარებაზე, რამაც ფინანსური მდგრადობა მის გრძელვადიან და გადაუწყვეტელ სტრუქტურულ პრობლემად აქცია. ეს დამოკიდებულება სექტორს ლეგიტიმურობის თვალსაზრისითაც უქმნის პრობლემებს. საზოგადოების ერთი ნაწილი - განსაკუთრებით ის, რომელიც პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი მოტივით ეჭვის თვალით უყურებს დასავლური ღირებულებების გავლენას საქართველოზე - არასამთავრობო ორგანიზაციებს, ერთი მხრივ, საქართველოსთვის უცხო ინტერესთა და ღირებულებათა დამამკვიდრებლებად, მეორე მხრივ კი - დასავლური ფულის უპრინციპო მხარჯველებად („გრანტიყლაპიებად") თვლის. ამ უკანასკნელ ბრალდებას გარკვეული საფუძველი აქვს: ზოგადი ეკონომიკური განუვითარებლობის ფონზე დასავლური გრანტები შედარებით მაღალი შემოსავლის შანსს აძლევენ მათ მიმღებებს და, ბუნებრივია, იქმნება ორგანიზაციები, რომელთაც სამოქალაქო აქტივობა ერთგვარ ბიზნესად აქვთ ქცეული. ამავე დროს, ქართულ ორგანიზაციებს ნაკლები საშუალება აქვთ, დასავლური ფონდების საქმიანობის ზოგად მიმართულებებზე მოახდინონ გავლენა, ამიტომ ხშირად უხდებათ თავიანთი საქმიანობის ცვლა დასავლელი დამფინანსებლების პრიორიტეტების ცვლის კვალდაკვალ.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, დასავლური ფინანსური დახმარების წყაროების გაჩენა მნიშვნელოვნად ზრდის სსო-ების მდგრადობას და ამით, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს მის საზოგადოებრივ გავლენასაც, მაგრამ ამავე დროს აჩენს ეჭვებს მისი „ნამდვილობის", საკუთარ საზოგადოებაში „ფესვგადგმულობის" და დეკლარირებული ღირებულებებისადმი რეალური ერთგულების მიმართ. პრობლემა აქ ის არ არის, რომ სამოქალაქო სექტორი მართლაც უპრინციპო ოპორტუნისტებით არის დაკომპლექტებული: პრობლემა ისაა, რომ შესაბამისი ბრალდებების საფუძვლიანობის სანდო შემოწმება ობიექტურად ხდება შეუძლებელი.

3.4. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და „ვარდების რევოლუცია"

ვარდების რევოლუციამ, მისმა წინამორბედმა და შემდგომმა პერიოდმა ხაზი გაუსვა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. დაახლოებით 2000-2001 წლიდან დაიწყო ხელისუფლების პოპულარობის მკვეთრი დაცემა, რასაც დაემთხვა განხეთქილება მის რიგებში: ხელისუფლების შედარებით ახალგაზრდა და

რეფორმისტული ფრთა, რომელსაც წარმოადგენდნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი და, ნაწილობრივ, „ახალი მემარჯვენეები," გაემიჯნა მას და წამყვან ოპოზიციურ ძალად იქცა.

ამან პრინციპულად შეცვალა ურთიერთობა, ერთი მხრივ, სსო-ებს, მეორე მხრივ კი, ხელისუფლებასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. ამ პერიოდამდე „მესამე სექტორი" ცდილობდა დისტანცია დაეცვა პოლიტიკური სფეროსგან. მაგრამ ახალ პოლიტიკურ რეალობაში, როდესაც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება სულ უფრო იხრებოდა ავტორიტარიზმისკენ, ხოლო ოპოზიციის წამყვანი ძალა დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტაციის დეკლარირებას ახდენდა, ყველაზე აქტიური ორგანიზაციების ნაწილმა (მათგან ყველაზე ცნობილი თავისუფლების ინსტიტუტი იყო) ხელისუფლების მიმართ აშკარა დაპირისპირების პოლიტიკა არჩია. თუმცა, ფორმალურად ეს არ ნიშნავდა რომელიმე ოპოციზიური პარტიის მხარდაჭერას, პრაქტიკულად, „მესამე სექტორი" პროდასავლური ოპოზიციის, განსაკუთრებით კი, მიხეილ სააკაშვილის და მისი „ნაციონალური მოძრაობის" მეკავშირედ მოგვევლინა. სამოქალაქო საზოგადოების ამ ნაწილმა, ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს ფასილიტაციით, შექმნა სამოქალაქო საზოგადოების საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითადი მიზანი იყო საზოგადოების რესურსების მობილიზაცია სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად და ხელისუფლებისათვის არადემოკრატიული მოქმედებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდული ორგანიზაცია „კმარას" შექმნა, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მშვიდობიანი აქციების ორგანიზებაზე იყო სპეციალიზებული.

ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციამ (კერძოდ, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ადამიანის უფლებებისთვის), მესამე სექტორის პოლიტიზაცია მიუღებლად ჩათვალა და მოითხოვდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიუმხრობელი არბიტრის როლი შეესრულებინათ. მათ მიაჩნდათ, რომ პოლიტიზაცია სსო-ებს პოლიტიკური პარტიების დანამატად აქცევდა. თუმცა, ამ აზრის მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ამ პოზიციაზე მყოფი ორგანიზაციების კოალიციამ წარმატებით მოახდინა ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის გასამართად იმ საკითხზე, საჭიროა თუ არა საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-მდე შემცირება.

2003 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლება შეიცვალა მშვიდობიანი, მაგრამ არაკონსტიტუციური გზით. მოქალაქეთა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაახლოებით სამ კვირას გაგრძელდა და 23 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, გადადგომით დაგვირგვინდა. პროტესტი გამოიწვია დარღვევებმა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე, რომლის შედეგები, ფართოდ გავრცელებული აზრით, სახელისუფლებო პარტიების, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის და აღორძინების კავშირის სასარგებლოდ იყო გაყალბებული. ეს შეფასება დაადასტურა განსხვავებებმა არჩევნების წინასწარ შედეგებსა და ეგზიტპოლებს, აგრეთვე ხმების პარალელური დათვლის შედეგებს შორის. ხელისუფლების შეცვლის ეს ეპიზოდი „ვარდების რევოლუციის" სახელით შევიდა ისტორიაში, საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესმა ნაწილმა „ვარდების რევოლუცია" ჩათვალა მნიშვნელოვან ნიშანსვეტად, რომელიც საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისაკენ შებრუნებას მოასწავებდა.

გადამწყვეტი როლი „ვარდების რევოლუციაში" ითამაშა ახალმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ, პირველ რიგში - მიხეილ სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა მოძრაობამ", აგრეთვე ნინო ბურჯანაძის და ზურაბ ჟვანიას „ახალმა დემოკრატებმა" და ზოგიერთმა სხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფალი მედიის, განსაკუთრებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის საქმიანობას. მაგრამ, ფართედ გავრცელებული აზრით, „ვარდების რევოლუციის" წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სსო-ებმაც, თუმცა ამ როლის კონკრეტული შეფასებები საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს. სამოქალაქო საზოგადოების წვლილი „ვარდების რევოლუციაში" რამდენიმე მიმართულებით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

სამოქალაქო საზოგადოებამ დიდად შეუწყო ხელი ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დელეგიტიმაციას და დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის ჩამოყალიბებას. სსო-ებში მოხდა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსების კონცენტრაცია, რის გამოც მათ - განსაკუთრებით სექტორის ცნობილი, პოპულარული წარმომადგენლების სახით - შეეძლოთ საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რომლებიც დამოუკიდებელი ექსპერტული კომენტარის წყაროდ ყველაზე ხშირად „მესამე სექტორის" წარმომადგენლებს იწვევდნენ. ყველაზე აქტიურ სსო-თა წრე რეგულარულად ახდენდა რეაგირებას ხელისუფლების არამართლზომიერ ქმედებებზე და ამკვიდრებდა აზრს კონკრეტული დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობაზე. ამდენად, სსო-ებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს იმ დისკურსზე, რაც „ვარდების რევოლუციას" დაედო საფუძვლად.

საპროტესტო მოძრაობის ორგანიზებული და მშვიდობიანი ხასიათი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დაახლოებით ათწლიანი მეცადინეობით ქვეყანაში გავრცელდა სამოქალაქო აქტივობის გარკვეული ფორმები, რომლებიც დემოკრატიულ ღირებულებებს და ინსტიტუტებს უკავშირდებოდა. ამ საქმიანობის გარშემო ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა დემოკრატიული აქტივისტების ქსელი. ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში და უშუალოდ ნოემბრის პროტესტების დღეებში ეს ქსელი ადამიანური და ინსტიტუციური რესურსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მისმა არსებობამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ საპროტესტო მოძრაობის მობილიზაციას, არამედ მის მდგრად, ორგანიზებულ, კონტროლირებად და მშვიდობიან ხასიათს.

არჩევნების შედეგების არალეგიტიმურობის დასაბუთება. თუმცა, „ვარდების რევოლუციის" ზოგად წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის უუნარობა გადაეწყვიტა საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემები, რევოლუციის უშუალო გამომწვევი მიზეზი იყო კონკრეტული დემოკრატიული ინსტიტუტის - არჩევნების - დაცვა ხელისუფლების მიერ მათი გაყალბების მცდელობისგან. სწორედ ამან განსაზღვრა რევოლუციის დემოკრატიული ლეგიტიმურობა. მართალია, წარმოდგენა იმის შესახებ, რომ საქართველოს არჩევნები მასობრივად ყალბდება, მანამდეც იყო გავრცელებული, მხოლოდ 2003 წლის არჩევნებზე მოხერხდა იმის დამაჯერებელი საბუთების მოპოვება, რომ გაყალბების მასშტაბი ეჭვის ქვეშ აყენებდა მთლიანად პროცესის ლეგიტიმურობას. ეს, უპირველეს ყოვლისა,

სწორედ არასამთავრობო სექტორის დამსახურება იყო. უკვე ნახსენები საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მოხდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ეგზიტპოლების ორგანიზებაში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათი შედეგების ლეგიტიმაციაზე. საერთაშორისო საზოგადოებამ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიისათვის ჩაატარა ხმების პარალელური დათვლა და არჩევნების გაყალბების განსაკუთრებით ძლიერი საბუთი შექმნა. როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები პარტიული სიების ნაწილში, ის სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ საბუთებს ეყრდნობოდა.

3.5. პოსტრევოლუცია: ახალი ამოცანები და გამოწვევები

„ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი საზოგადოების თვალში ახალ ხელისუფლებასთან ასოცირებული აღმოჩნდა. გარკვეულწილად, ასეთი იყო დონორთა აღქმაც. ეს აღქმა გააძლიერა იმანაც, რომ სსო-ები ხელისუფლებისათვის ადამიანური რესურსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

ასეთი ასოცირება „მესამე სექტორისთვის" მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. როგორ უნდა აეწყო მას ურთიერთობა, ერთი მხრივ, ახალ ხელისუფლებასთან, მეორე მხრივ კი, ფართე საზოგადოებასთან, თუ ჩაითვლებოდა, რომ ხელისუფლება თავისი ღირებულებებით პრინციპულად აღარ განსხვავდებოდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისაგან? შეძლებდა თუ არა სამოქალაქო სექტორი მოვლენათა ობიექტური შემფასებლის ფუნქციის შესრულებას, თუკი ხელისუფლება მისი მეგობრებისგან (ხშირად - პირადი მეგობრებისგან) შედგებოდა?

ამ პერიოდში აშკარად შემცირდა წარმოდგენა სამოქალაქო სექტორის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ სსო-ების საუკეთესო ადამიანური რესურსების დიდი ნაწილი უკვე „აითვისა" და გარეთ დარჩენილების აზრის მოსმენა მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო - მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერის დეფიციტი არ აწუხებდა. დონორთა შორის გავრცელდა აზრი, რომ დაფინანსების ნაკადები, ძირითადად, ახალი ხელისუფლების დაფინანსებაზე უნდა წარმართულიყო, რადგან ეს უფრო მოკლე და ეფექტური გზა იქნებოდა მიზნის - ქვეყნის დემოკრატიული განვითარების - მისაღწევად. მედია სულ უფრო ნაკლებად მოდიოდა სსო-ების ორგანიზებული ღონისძიებების გასაშუქებლად, რადგან არ მიიჩნევდა მათ მნიშვნელოვან მოქმედ პირად.

ის ორგანიზაციები, რომლებმაც რევოლუციას მხარი არ დაუჭირეს, თავის მხრივ, გამოთქვამდნენ შიშს, რომ სამოქალაქო საზოგადოების „პრორევოლუციური" ნაწილის მხრიდან იზოლაციის, ხოლო ხელისუფლების მხრიდან - რეპრესიების მსხვერპლნი გახდებოდნენ.

თუმცა, არსებობდა შედარებით უფრო პოზიტიური მოლოდინებიც. თუკი არ იყო არსებითი ღირებულებითი განსხვავება ხელისუფლებასა და სსო-ებს შორის, მათ შორის შეიძლებოდა უფრო პროდუქტიული თანამშრომლობითი ურთიერთობები შემდგარიყო კონკრეტული დემოკრატიული რეფორმების განხორციელების გზაზე. ამ თვალსაზრისით, სსო-ები იმდენად ხელისუფლების ოპონენტების ან ზეწოლის ჯგუფების როლს კი არ შეასრულებდნენ, არამედ კონკრეტული საზოგადოებრივი სარგებლობის მომტან პროექტებზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება გაკეთდეს ზოგადი შეფასება, რომ ცვლილებები სსო-თა სტატუსსა და საქმიანობაში ნაკლებ ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე უშუალოდ რევოლუციის შემდგომ თვეებში ამის მოლოდინები არსებობდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ, მრავალი მოლოდინის საპირისპიროდ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ პრიორიტეტი მიანიჭა არა საკუთრივ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვას, არამედ ზოგადად სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას. ხელისუფლების პირველივე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - 2004 წლის თებერვალში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, სამოქალაქო საზოგადოების მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა, რადგან ეს ცვლილებები, მათი აზრით, მნიშვნელოვნად ასუსტებდნენ პარლამენტს და საქართველოს პოლიტიკურ სისტემას უფრო ავტორიტარულ, სუპერპრეზიდენციალისტურ ელფერს აძლევდნენ. ახალი ხელისუფლების ლიდერებთან პირადი კონტაქტების არსებობა ვერ დაეხმარა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ნაწილს, დაერწმუნებინათ ისინი კონსტიტუტციის ასეთი ცვლილებების არადემოკრატიულობაში. მეტიც, ცვლილებები სათანადო საზოგადოებრივი განხილვის გარეშე იქნა მიღებული.

ახალი ხელისუფლების პრაქტიკა სხვა თვალსაზრისითაც იმსახურებდა „მესამე სექტორის" წარმომადგენელთა კრიტიკას. ეს შეეხებოდა ადამიანის უფლებების და კანონმდებლობის ნორმათა დარღვევებს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის ფარგლებში, ზენოლას სასამართლო ხელისუფლებასა და დამოუკიდებელ მედიაზე ახალი ლიდერების მხრიდან, ხელისუფლების არაშემწყნარებლურ რიტორიკას თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ და ა. შ.

ასე რომ, დაახლოებით 2004 წლის შემოდგომიდან ურთიერთობა ხელისუფლებასა და სსო-ებს შორის თითქმის დაუბრუნდა ჩვეულებრივ კალაპოტს, სადაც თანამშრომლობა და ოპონირება ერთმანეთს ეხამება. მეორე მხრივ, ხელისუფლებაში კადრების მიგრაციას არ გამოუწვევია სსო-ების ორგანიზაციული პოტენციალის სერიოზული დასუსტება. კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა ის საკითხები, რაც სამოქალაქო სექტორს რევოლუციამდეც აფიქრებდა: კონკრეტული სამოქმედო პრიორიტეტების გამოკვეთა, ორგანიზაციული უნარების განვითარება, მდგრადი რესურსების მოძიება, სოციალური ბაზის და საზოგადოებრივი მონაწილეობის გაფართოება.

1 იხ. გიგი თევზაძის გამოსვლა, „მესამე სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი", დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში 2 (8), თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2003, გვ. 18-19.

2 2003 წლის არჩევნებში საქართველოს აღორძინების კავშირი, სინამდვილეში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის, ასლან აბაშიძის, პარტია, ოპოზიციური პარტიის სტატუსით გამოდიოდა, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ პროდასავლურ პარტიებთან მიმართებაში მისი ინტერესები მმართველი პარტიისას თანხვდებოდა.

ლევან რამიშვილი

(1973-)

ქართველი პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, 1996 წლიდან "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორი.

- ჩვენ არჩევანი გვაქვს, 2009წ. (ნაწყვეტი ინტერვიუდან)

წყარო: ინტერვიუ, ესაუბრა მაია ჭალაგანიძე, გაზეთი „24 საათი", 17/03/2009
ბმული: https://burusi.wordpress.com/2010/12/24/levan-ramishvili-4/

ჩვენ არჩევანი გვაქვს

ღირებულებები: საზოგადოებრივი წყობა, კონსტიტუცია, თავისუფლება, დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება.

ლ.რ.: ჩვენს წინაშე მარტივი არჩევანია - ან წინ წავალთ ან უკან. მარჯვნივ ან მარცხნივ აქ არ არსებობს, ვინაიდან საქართველოში რეალურად პარტიებს ერთმანეთისაგან განსხვავებული იდეოლოგიები არა აქვთ. რეალურად, ჩვენს ქვეყანას აქვს ალტერნატივა - ან ვვითარდებით, ან ვეგუებით ჩამორჩენილობას. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ არც წინ მივდივართ და არც უკან, არამედ ერთ ადგილზე ვართ და ქვევით მივდივართ - ჭაობში ვეფლობით. მთავარი გამოწვევა ისაა, რომ ხელისუფლებამ და უფრო ფართოდ, პოლიტიკურმა კლასმა, საბოლოო ჯამში კი მთელმა საზოგადოებამ, რომლის ნაწილიც არიან პოლიტიკოსები, მიუნჰჰაუზენივით საკუთარი თავი ამ ჭაობიდან ამოათრიოს. ეს ყველაფერი შინაგან რწმენაზეა დამოკიდებული. ეს რწმენა არის საყრდენი წერტილი და თუ ამას ვიპოვით, შევძლებთ, რომ სამყარო გადავატრიალოთ. ეს საყრდენი წერტილი ჩვენს თავში უნდა ვიპოვოთ. ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არავინ გააკეთებს.

მ.ჭ.: საყრდენ წერტილად, ალბათ, გულისხმობთ საზოგადოების ნდობას ხელისუფლებისადმი...

ლ.რ.: კონსტიტუციური პროცესის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ლიდერებისადმი მოქალაქეთა ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პირველ რიგში, ვგულისხმობ საზოგადოების საკუთარ თავში რწმენას, არჩეული გზის ერთგულებას. მთავარი კითხვა, რაზეც პასუხი უნდა გაეცეს ისაა, კვლავაც ესწრაფვის თუ არა ხალხი მოდერნიზაციას, დასავლურ ორიენტაციას და საბოლოო ჯამში ეროვნულ, სამოქალაქო და ეკონომიკურ თავისუფლებას. ეს ყველაფერი უცებ ვერ მოხდება. ალბათ, 20-30 წელი დაგვჭირდება, რომ საშუალო ევროპული განვითარების ქვეყანა გავხდეთ. ყველაზე მეტად, რაც ახლა გვჭირდება არის ცოდნა, რომ სწორი გზა ავირჩიოთ, ძალა, რომ ეს გზა განვვლოთ და რწმენა, რომ დაბრკოლებებს არ შევუშინდეთ.

მ.ჭ.: ფიქრობთ, რომ დღეს საზოგადოების განწყობა ხელისუფლების მიმართ არამხოლოდ კრიტიკულია, არამედ სრული უნდობლობით განმსჭვალული?

ლ.რ.: საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკური კლასისადმი ინსტრუმენტალურია და არა ინტიმურ-რელიგიური. პოლიტიკური ლიდერებისადმი მხარდაჭერა პირობითია. მათ მხარს ვუჭერთ იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენს ფასეულობებს იზიარებენ, ჩვენი პრობლემების გადაჭრის ხედვა აქვთ და ჩვენ გვჯერა მათი უნარის, რომ ამ პრობლემების გადაჭრისას უფრო მეტ ახალ პრობლემას არ შექმნიან. ცოდნის და გამოცდილების დეფიციტი მთელ საზოგადოებას აქვს და ჩვენი ლიდერები ამ საზოგადოების შვილები არიან. ჩვენ, როგორც საზოგადოება, ახლა ყველანი ერთად ვსწავლობთ, რას ნიშნავს ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და თვითონ მოვუაროთ საკუთარ პრობლემებს. თან ვსწავლობთ და თან ვაშენებთ ახალ საქართველოს. ბუნებრივია, რომ ამ დროს ჩვენ ყველანი - რიგითი მოქალაქეებიცა და პოლიტიკური ლიდერებიც - ბევრ შეცდომას ვუშვებთ. მთავარია, ამ შეცდომების გამო რწმენა არ დავკარგოთ და სულმოკლეობის გამო საკუთარ არჩევანზე უარი არ ვთქვათ მარტო იმიტომ, რომ პირველივე მცდელობა სრული წარმატებით არ დასრულდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარ შეცდომებში გავჯიუტდეთ და კრიტიკულად არ გადავაფასოთ დაგროვილი გამოცდილება. ბოლოს და ბოლოს, არჩევნებიც ხომ ამისთვის ტარდება, რომ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში და პროცედურებით პერიოდულად ყველანი დავფიქრდეთ და ახალი გამოწვევების შესაბამისი არჩევანი გავაკეთოთ. პრობლემა მხოლოდ პოლიტიკოსებში არაა. პირველ რიგში, თავად საზოგადოებამ უნდა შეძლოს საკუთარი პრობლემების გაანალიზება. პოლიტიკისადმი მომხმარებლური დამოკიდებულებით შორს ვერ წავალთ. თუ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არანაირ წვლილს არ შევიტანთ და მხოლოდ მოლოდინი გვექნება იმისა, რომ ყველაფერი თავისით გამოსწორდება, მერე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს მოლოდინი არ მართლდება. მერე, როცა შედეგით უკმაყოფილონი ვართ, მიზეზებს საკუთარ თავში არ ვეძებთ, არამედ გვინდა ვიპოვოთ ვიღაც, ვიზეც ადვილია ყველაფრის გადაბრალება. ბუნებრივია, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც პოლიტიკური კლასი გაექცევა, მაგრამ, რაღაც დონის პასუხისმგებლობა რიგით მოქალაქეებსაც აქვთ. პოლიტიკოსები უნდა განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ფუნქცია. მოთხოვნა-მიწოდების კანონი არამხოლოდ თავისუფალ ბაზარზე მოქმედებს, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. როგორც ამბობენ, ყველა ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს. ჩვეულებრივ, პოლიტიკოსები ატარებენ იმ კურსს, რაზეც სოციალური დაკვეთა არსებობს, ანუ ცდილობენ ბაზარზე გასაყიდად გამოიტანონ ის საქონელი, რაზეც მეტი მოთხოვნილებაა. ეს

თვითგადარჩენის კარგად აპრობირებული და ტრივიალური მეთოდია. მაგრამ ასე არ იქცევა ის ხალხი, ვისაც ისტორიაში შესვლა უნდა. ბიზნესის შემთხვევაშიც იგივეა - ვიზიონერი მეწარმეები არსებულ მოთხოვნას კი არ პასუხობენ, არამედ ქმნიან მოთხოვნას. დიდი სახელები კრეატიული იდეების, ინოვაციური მიდგომების, წინჭვრეტის უნარის, რისკისა და გაბედულების შედეგად იქმნება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათი ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ, ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ. ახალი ხელისუფლება იქაც უშვებდა შეცდომებს, ყოფილი მოკავშირეები იქაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ, საზოგადოების ნაწილი იქაც მოიცვა ფრუსტრაციამ. განსხვავება ისაა, რომ იმ ქვეყნებს ტერიტორიის მესამედი არ ჰქონდათ ოკუპირებული და რევიზიონისტულ რუსეთთან არ უხდებოდათ ომი. შესაძლოა, ამის გამოცაა, რომ ჩვენ უფრო კონსოლიდირებულები ვართ...

მ.ქ.: როგორ უნდა გააქტიურდეს ინდიფერენტული ნაწილი, რა შეუწყობს მათ გააქტიურებას ხელს?

ლ.რ.: მაგიური ფორმულები არ არსებობს...

მ.ქ.: არა, მაგრამ რაღაც უნიკალური ხომ მაინც გვქირს? მაგალითად, თუნდაც ის, რომ აგერ უკვე ოცი წელია ერთ წრეზე ვტრიალებთ, ერთი და იგივე შეცდომები, ერთი და იგივე პრობლემები... ასე არ ფიქრობთ?

ლ.რ.: მე მგონი, ეს წრე არ არის, უფრო სპირალია. რაღაცეები, ალბათ, მეორდება, მაგრამ თვისობრივად მაინც სხვა განზომილებაში ვართ.

მ.ქ.: რა როლი აქვს დღეს არასამთავრობო სექტორს, რომლის აქტიურობაც ბოლო 5 წელია ერთგვარად მინავლულია?

ლ.რ.: რევოლუციის შემდეგ უფრო ნათელი გახდა ის შინაგანი სისუსტეები, რომელიც არასამთავრობო სექტორს ჰქონდა. ამ პრობლემების გამოაშკარავებამ შექმნა ილუზია, რომ თითქოს, რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება დასუსტდა. თუკი აბსოლუტურ განზომილებაში ვისაუბრებთ, ის ამაზე ძლიერი არც არასდროს ყოფილა. რევულუციამდე თავად სახელმწიფო იყო ერთი დიდი, ინერტული და მოუქნელი არასამთავრობო ორგანიზაცია და არა მოცემულ ტერიტორიაზე ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლისტი. მასთან კონკურენცია სხვა, უფრო პატარა და მობილური არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ბევრად უფრო ადვილი იყო. რევოლუციამ ახალი დინამიკა შემოიტანა, სახელმწიფო გაძლიერდა, სამოქალაქო საზოგადოება კი დარჩა იმად, რაც იყო - ანუ ფარდობითად დასუსტდა.

მ.ქ.: იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ახალი ხელისუფლება არასამთავრობოთა ხარჯზე გაძლიერდა?

ლ.რ.: ერთი-ორი ადამიანის წასვლა ძირეულად სურათს არ ცვლის, და ასეც რომ იყოს, თუ სულ რაღაც ორ ადამიანზეა დამოკიდებული, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამოქალაქო საზოგადოება სუსტია და ინსტიტუციონიზება აკლია. არასამთავრობო ორგანიზაციების პრობლემა ისაა, რომ ისინი არავის წარმოადგენენ საკუთარი თავის გარდა. როცა მთავრობასაც დემოკრატიული ლეგიტიმაციის დეფიციტი აქვს, მაშინ მოხალისეობის დაბალი ხარისხი და წევრთა სიმცირე არც ისეთი სიმწვავით ჩანს. არჩევნების გზით მოსულ ხელისუფლებას შეუძლია საკუთარ თავს მისცეს იმის უფლება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ისევე შეხედოს, როგორც ყველა სხვა ლობისტურ ჯგუფს, მოუსმინოს, მაგრამ იმოქმედოს საკუთარი საარჩევნო მანდატის შესაბამისად.

ზურაბ კიკნაძე
(1933-)

ქართველი ორიენტალისტი-ასირიოლოგი, ბიბლეისტი, ფოლკლორისტი, ლიტერატორი, ილიას უნივერსიტეტის ემერიტუსი და თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი. 1996 წლიდან არის „გაერთიანებულ ბიბლიურ საზოგადოებათა საქართველოს წარმომადგენლობის" მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

- შეცვლილი ისტორიული რეალობა, 2009წ.

წყარო: ჟურნალი - ცხელი შოკოლადი; 2009 წლის 1 აგვისტო
ბმული: https://bit.ly/2KeKPJE

შეცვლილი ისტორიული რეალობა

ღირებულებები: თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ერი, მოქალაქეობა, ტოლერანტობა.

გვახსოვს, რუსეთ-ჩეჩნების ომის დროს ბევრი ქართველი და, ვფიქრობ, უმეტესობა ჩვენს საზოგადოებაში შურით უყურებდა ჩეჩნების შეუპოვარ წინააღმდეგობას, რომელსაც მათთვის არავითარი წარმატება არ მოუტანია. იყო თავგანწირვანი, ეს უდავოა, შეგვეძლო აღფრთოვანება ამ აქტებით, და შურიც იმის გამო, რომ ჩვენ ჩვენს ომში ამგვარად მოქცევა ვერ შევძელით, მაგრამ იყო ისეთი სისასტიკეები, არ ვგულისხმობ მხოლოდ ტერორისტულ აქტებს, გარდაუვალ თანამდევთ მცირე ერების განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რისი მოქმედნიც ნამდვილად არ ვისურვებდით, რომ ვყოფილიყავით. მაშინაც ვგრძნობდით ერთგვარ უნდობლობას ამ ბრძოლებისადმი. ვის სჭირდებოდა ეს ბრძოლები? რის დასაბრუ-

ნებლად იბრძოდა ეს ხალხი? იქმნებოდა ილუზია, თითქოს ამარცხებდნენ რუსეთს და ახლოს იყვნენ დამოუკიდებლობასთან, რომლის გამოცდილება მათ არ ჰქონიათ ისტორიულად და, საეჭვოა, გამოეყენებინათ. ამ კუთხის დამოუკიდებლობის შემთხვევაში რუსეთს შეეძლო ისე წარემართა საქმე, რომ ამ მცირე ხალხს ბედი ენწყევლა და კვლავ მის წიაღს დაბრუნებოდა. მაგრამ რუსეთმა გადაწყვიტა, ისე მოქცეოდა, რომ მათ საბოლოოდ დაჰკარგოდათ დამოუკიდებლობის ხალისი. იქნებ ამას მიაღწია კიდეც თავისი ხალხის გადამეტებული სისხლის და ქვეყნის გაპარტახების ფასად. კიდევ ერთი ომი და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ამ ტომისთვის კატასტროფით დამთავრდება.

რატომ დავიწყე ჩვენი მეზობლების მწარე და, შესაძლოა, უნაყოფო გამოცდილებაზე ლაპარაკი? არა ტრივიალური მოტივით, რომ გავფრთხილდეთ, რომ რუსეთთან ომი შეუძლებელია, რომ მასთან ბრძოლაში დამარცხება გარდაუვალია. ეს ისედაც ცხადია, ხოლო მარცხი არ არის არც სირცხვილი და არც საბოლოო კატასტროფა. ამ ლაპარაკით მსურდა მიმენიშნებინა, რომ არის არსებითი განსხვავება ხალხებს შორის. არის ხალხი, რომელსაც, ან უფრო სწორად, მათ, ვინც მათი სახელით იბრძვიან, დასაკარგავი არაფერი აქვთ. და არის ხალხი, რომელსაც იმ ლანდშაფტში და ოიკუმენაში, სადაც სახლობს იგი უკვე რამდენი ათასწლეულია, და ინახავს ამის ხსოვნას, ისტორიული პასუხისმგებლობა აკისრია. რა ხანია, ერთი და იგივე რიტორიკა გაისმის: დავიბრუნოთ ტერიტორია, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა! მაგრამ პოლიტიკურად სრულიად კანონზომიერი ეს ლოზუნგი ცალმხრივია და, ამდენად, მანკიერი. აქა-იქ იყო შეძახილი: რატომ ვლაპარაკობთ ტერიტორიის დაბრუნებაზე და არა ადამიანების დაბრუნებაზე? მაგრამ სუსტი იყო ეს ძახილი და იგი მონოდებად არ ქცეულა. შეიძლება პარადოქსი იყოს, მაგრამ ეს ორივე ტერიტორია იმ ხალხთან ერთად, რომელიც ამ მხარეებში ცხოვრობს, უფრო ადრე დავკარგეთ, ვიდრე ომი დაიწყებოდა. ტრაგიკული იმდენად არა ტერიტორიის დაკარგვაა, არამედ ხალხის გაუცხოება და, საბოლოოდ, ყველაზე მძიმე პერსპექტივაში მტრად ქცევა. ეს ხალხი თანდათან იკარგებოდა. ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც დააჩქარა ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, ლომის წილი აქვს, ვერავინ შეეცილება – ვერც ოზგანი, ვერც არძინბა, ვერც ჩოჩიევი, ვერც ტორეზი და ვერც კოკოითი. ვერც რუსები. რას გახდებოდნენ ეს პერსონები და უფროსი ძმა, ჩვენ რომ რეალურად ისეთი ძმური ურთიერთობა გვქონოდა ამ ხალხებთან, როგორსაც წარმოვიდგენთ ხოლმე და რომლის პრეზენტაციასაც ვახდენთ ხშირად ტელეგადაცემებში. ერთი მწარე შეცდომაა დაშვებული: ერთმანეთში გვაქვს აღრეული პირადი ურთიერთობები ხალხების წარმომადგენლებთან და ურთიერთობები ხალხებთან, როგორც ხალხებთან. გვავიწყდება, შესაძლოა, არც ვიცით, რომ ინდივიდი სხვაა და ხალხი, რომელიც ამ ინდივიდებისგან შედგება, სხვა. სხვაა არა მხოლოდ ოდენობით, არამედ თვისობრიობით, რომ მას აქვს თავისი იდენტობა და მის უგულებელყოფას მტკივნეულად განიცდის. რა გვაქვს დასამალი: ჩვენ შეგვეძლო მათი მწყემსი ვყოფილიყავით. მე მიყვარს ჩემი «იტალიური ეზოს» მეზობელი, უკანასკნელ ლუკმას ვუყოფ მას, თავს დავდებ მისთვის, რადგან მას ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, ეგზისტენციალური არსებობა აქვს, მისი ბედი ჩემს ბედთან არის გადაჭდობილი, მაგრამ თუ ვხედავ პიროვნებას იმ სიმრავლეში, რომელსაც ჩემი მეზობელი ეკუთვნის? სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. თუ მიფიქრია, განსაკუთრებით ჩვენი საამაყო ეროვნული მოძრაობის დროს, რომ მას, როგორც ხალხს და ჩემს მეზობელს მასთან ერთად,

შეიძლება გასჩენოდა არსებობის შიში ჩემი ქცევების გამო? არ მიფიქრია. თუ მიგრძვნია პასუხისმგებლობა მისადმი და არ დამიტოვებია ადგილი სხვისთვის, რომელსაც მესამე ძალას ვუწოდებდით, რომ შემცილებოდა პასუხისმგებლობაში?

ნაცვლად იმისა, რომ «აიდგილარასა» და «ადამონ ნიხასის» ხალხთან ძმურად და მეზობლურად გვესაუბრა, მოგვეწვია ისინი ჩვენ თავყრილობებზე, გაგვეწევრიანებია ჩვენს პარტიებსა თუ მოძრაობებში, ცალკ-ცალკე დავუგზავნეთ მათ გულისწყრომისა და მუქარის წერილები და იქამდე მივიყვანეთ საქმე, რომ მათ ერთმანეთთან შეკრეს კავშირი ჩვენს წინააღმდეგ. მათი ალიანსი ჩვენი ეროვნული მოძრაობის პირმშოა. ჩვენ გვეგონა, რომ ავტობუსებით «გმირული» იერიში ცხინვალისკენ და მერე «დიდსულოვნად» უკან გამობრუნება უკვალოდ ჩაივლიდა. ასეთი ჩავარდნები ბევრი გვქონდა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ათეულში. თუმცა ჩვენ ისტორიულად მოცემული გვქონდა უნიკალური შანსი და ალბათ ისტორიულად მოწოდებულიც ვიყავით საქართველოში ახალი წესრიგის და ახალი ერთობის დასამყარებლად. მაგრამ ვერ გამოვიყენეთ ეს შანსი და ისტორიული მოწოდება, რომ ჩვენს ეროვნულ ინტერესებში ამ ორი ხალხის ინტერესებიც გაგვეთვალისწინებინა, რომ ისინიც გამხდარიყვნენ ქვეყნის მომავლის შენების მონაწილეები. და დღემდე, როცა ჟამი გაშვებულია, ვლაპარაკობთ ისევ და ისევ ტერიტორიულ მთლიანობაზე, იქ მცხოვრები ხალხი კი მესამე ძალას ჩავაბარეთ, რათა გამოეყენებინა იგი როგორც ინსტრუმენტი იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ნაცვლად იმისა, რომ დემოკრატიის, ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო კულტურის შენებით მათთვის მიმზიდველი გაგვეხადა ეს გაუცხოებული ქვეყანა (დასავლეთ-აღმოსავლეთ გერმანიის მაგალითი რომ გავიხსენოთ), ლეგალური თუ ფარული ურთიერთობებით აღგვედგინა ურთიერთნდობა და ტრადიციული კავშირები, დავადექით ახალი კონფრონტაციის გზას საეჭვო ღირებულების ალტერნატიული ადმინისტრაციის შექმნით და, რაც მთავარია, ქვეყნის მილიტარიზაციით, რომლის მატერიალური რესურსი სამ დღეში გაცამტვერდა და მორალურიც გადაიყოლა. არავინ გაამართლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობას წამოწყებული ომის გზით, არც თუნდაც უნებლიე წამოგება ანკესზე – სიბეცისა თუ სულმოკლეობის ნიშანი – არის საპატიებელი იმ სახელმწიფოსთვის, სადაც უშიშროება «ქვეყნის ხერხემალია». სხვაგან სად უნდა გამოჩენილიყო ხელისუფლების გონივრული პოლიტიკა, თუ არა იქ, სადაც პროვოცირების საფრთხეა ჩასაფრებული? ამ საფრთხეს ხორცი შეესხა, როცა შეიარაღება (მილიტარიზაციის ერთგვარი ევფემიზმი) ქვეყანაში პრიორიტეტული გახდა. ამბობენ და ასეც მოხდა: პირველ აქტში დატენილი თოფი ბოლო აქტში გავარდა. ამ იგავის ილუსტრაციას შევესწარით ჩვენს დღეებში.

ქრესტომათიულია, რომ საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა და რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა ომების პროცესში ჩამოყალიბდა. მაგრამ რამდენად გამოსადეგია ეს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება დღევანდელ ისტორიულ პირობებში, დღევანდელ, როგორც იტყვიან, გამოწვევებში, რომელთა წინაშე დგას ეს ქვეყანა? ის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით დაუბრუნებია დაკარგული ტერიტორიები, რჩება თუ არა დღესაც ერთადერთად და უალტერნატივოდ? ჩვენში მოარული იყო და, შესაძლოა, დღესაც არის, თქმა: ძალით წართმეულის დაბრუნება მხოლოდ ძალით შეიძლება. ეს დებულება ვიცით, მაგრამ არ ვიცით, ან არ ვცნობთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ისტორია იცვლება; რომ არსებობს ისეთი რამ, როგორიც არის შეცვლილი ისტორიული ვითარება; რომ ისტორიული რეალობა

შეიძლება შეიცვალოს, ჩვენ კი ჩვენი მოლოდინებით და ოცნებებით წარსულში ჩავრჩეთ. ჩვენთვის დღემდე იდეალი დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლევამოსილი ერთიანი საქართველოა. იდეალს არსებობის უფლება აქვს და თითქოს სასარგებლოც არის: უკეთესისკენ სწორებას მოგვიწოდებს, მაგრამ საბედისწერო შეცდომაა, როცა ეს სწორება ისევ და ისევ წარსული ეპოქის შინაარსით არის ავსებული. რომელი ხელისუფლება გაბედავს დღეს თავისი მეტოქეების იმ მეთოდებით ჩამოშორებას, რომელთაც მეფე იყენებდა? დავფიქრდეთ, რის ფასად უნდა დაჯდომოდა (წყაროები დუმან) მოსახლეობას უცხო ტომის ჩამოსახლება, ან თუ შეძლებდა დღევანდელი ხელისუფალი, მიემართა ამ საშუალებისთვის ქვეყნის გასაერთიანებლად, ქვეყნის შიგნით სტაბილიზაციის დასამყარებლად ან თუნდაც, გარეშე მტრების მოსაგერიებლად? ან თუ შევძლებდით დღეს მოვქცეულიყავით ისე, როგორც თამარის მხედართმთავარი მოიქცა, რომელმაც დურძუკების ხელით დაარბია ტახტისგან განმდგარი დიდოელები და ფხოველები (არც ერთი, არც მეორე, როგორც დღევანდელ შემთხვევაში, ქართველთა ნათესავს არ ეკუთვნოდა)? ან თუ აღგვაფრთოვანებდა დღეს ის სიტყვები, რომლებითაც ივანე ათაბაგმა მიულოცა მეფეს გამარჯვება («იქმნა ბრძანება შენი! მოვაოხრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი») და ამის შემდეგ კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის იმედით ვიქნებოდით?

ისტორიული ვითარება კვლავ შეცვლილია. ის, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელ რეალობად გვეჩვენება, უკან მოუბრუნებლად ჩაიძირა წარსულში. ჩვენ იქ აღარ ვდგავართ, სადაც გუშინ და გუშინწინ ვიდექით.

კახა ბენდუქიძე

(1956-2014)

ქართველი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ბიზნესმენი, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ცოდნის ფონდის" დამფუძნებელი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

● ღარიბი ადამიანების გასაჭირი, 2010წ.

წყარო/ბმული: http://www.tabula.ge/ge/blog/52361-gharibi-adamianebis-gasachiri

ღარიბი ადამიანების გასაჭირი

ღირებულებები: საზოგადოებრივი წყობა, სახელმწიფო, გლობალიზაცია, ერი.

ჩვენ დიდი ხანია, ერთად არ გვიცხოვრია. არ ვიცით, თუ რა არის სახელმწიფო წყობა. არა, წიგნები კი წაგვიკითხავს, მაგრამ უშუალო განცდა არ გვაქვს. ერთი იყო და, ნოე რამიშვილსა და ნოე ჟორდანიას შორის ხელისუფლების გადაცემას დაესწრო ჩემი ბებიებისა და ბაბუების თაობა. ეგ არის ერთადერთი დემოკრატიული ხელისუფლების ცვლილება ჩვენს ისტორიაში. ასეთი მშვიდობიანი პოლიტიკური გამოცდილების გარეშე არ ჩამოყალიბდება სახელმწიფო. საზღვრების მქონე ტერიტორია შეიძლება ჩამოყალიბდეს, სახელმწიფო - არა. ერი-სახელმწიფო უფრო სხვა არის, ვიდრე შემოღობილი ტერიტორია.

კიდევ რა გვაკლია? არ ვარ დარწმუნებული, რომ ამომწურავ პასუხს გაგცემთ. მაგრამ ეკონომიკური თანაცხოვრების გამოცდილება რომ გვაკლია, ეგ ნამდვილად ვიცი.

სკოლის მოწაფე რომ ვიყავი, დედაჩემს დავყვებოდი ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. რამდენჯერმე ვიყავი სვანეთში, სამეგრელოში, ზემო აჭარაში - ალბათ საქართველოს სილამაზის დიდი ნაწილი მაშინ ვნახე. დედაჩემი ჩანაწერებს აკეთებდა წეს-ჩვეულებებზე, ყოფაზე. მისი მთხრობელები მოხუცები იყვნენ, რომლებსაც ახსოვდათ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის საქართველო. ბევრი საინტერესო რამ გავიგე. ერთს გეტყვით - ჩემდა გასა-

კვირად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხშირად სხვადასხვა თემში ან სოფელშიც კი, სხვადასხვა საწყაოს ხმარობდნენ: ერთგან ხორბლის რაოდენობას ერთნაირად ზომავდნენ, მეორეგან - მეორენაირად, მესამეგან - მესამენაირად. ადვილად მიხვდებით, რომ ეს ვაჭრობის ფაქტიური არარსებობის მაჩვენებელია.

ახლა ამ ნარკვევს ვწერ იაპონურ კომპიუტერზე, რომელიც ნაწილობრივ მალაიზიაშია გაკეთებული, მინიმუმ, ერთი ჩიპი ტაივანიდან აქვს, ერთი - სამხრეთ კორეიდან. ვწერ ამერიკაში შექმნილი პროგრამის მეშვეობით, ქართული ჟურნალისთვის, რომელიც ფინურ ქაღალდზე გერმანული დანადგარით დაიბეჭდება.

ამას ახლა გლობალიზაცია ეწოდება - კაცობრიობამ ისწავლა გლობალურად ვაჭრობა.

ჩვენ ამ გლობალიზებულ სამყაროში პატარა ქართული გლობალიზაცია გვინდა - რაც არ დაგვცალდა და ჯერ წინა გვაქვს - როცა ქართველები ერთმანეთთან ვაჭრობას ვისწავლით.დე გოლმა თქვა ფრანგებზე - როგორ უნდა მართო ხალხი, რომელსაც 300 სახეობის ყველი აქვსო. ვერანაირად - დავეთანხმები მე. ასეთი ხალხი თავს თვითონ მოუვლის, ვინაიდან 300 მეყველეს 3 000 ყველის ვაჭარი, 6 000 რძის მწარმოებელი, 2 000 თივის გამყიდველი, 800 ყასაბი, 7 000 მზარეული და კიდევ სხვა ჰყავს ჩაბმული კაპიტალისტურ ფერხულში. ასჯერ იფიქრებს თითოეული, სანამ სხვას გაემიჯნება ან გადაემტერება - მაშინ გაუყიდავი რძე აეჭრება და თივა ჩაუწვება.

აი, ეს უნდა მოხდეს - ოთხი მილიონი ქართველი თავისი ბურჟუაზიული ინტერესებით დაუკავშირდება ერთმანეთს, დამოკიდებული გახდება ერთმანეთის წარმატებასა და მარცხზე. ასეთი ქართული საზოგადოება კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება შემოღობილი ტერიტორიიდან საქართველომდე. დიდი ნაბიჯი.

გაუმარჯოს ქართველ ვაჭრებს!!!

უგზოდ მვლელნოო, უსწავლელნოო, 2010წ.

წყარო/ბმული: http://www.tabula.ge/ge/blog/53070-ugzod-mvlelnoo-ustsavlelnoo

---

ღირებულებები: საზოგადოება, ღირსება, პიროვნება,
ტოლერანტობა, მორალი, კრიტიკა, ეთიკა,
დამოუკიდებლობა, განათლება.

განათლების სისტემა, სკოლა, უნივერსიტეტი – ხანდახან ფეხბურთსაც კი უტოლდებიან პოპულარობით. გუშინწინ ერთი შეხვედრის მერე მეც ბევრი ვილაპარაკე ამ საკითხზე და თუ ასეა, დაწერეთო, მითხრეს. წერა დავიწყე და მივხვდი, რომ ერთი სვეტით ვერ შემოვიფარგლები. ასე რომ, მომიწევს რამდენიმეჯერ შეგაწუხოთ.

ძალიან კი თავს ვარიდებდი ამ თემას – ვინაიდან რაც მინდა ვთქვა, ალბათ ნაკლებს მოეწონება. და კარგ ხალხს ვაწყენინებ.რა არის სკოლის მიზანი –აღზრდა? ცოდნის მიცემა? რომელია მთავარი? ჩემი აზრით, აღზრდა, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბება უფრო მნიშვნელოვანია.

მაგრამ უსუბ ეუბნება:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!"

გასაკვირი იქნებოდა, რამე კონკრეტული ცოდნის შესახებ უსუბს იგივე რომ ეთქვა – სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ ალგებრა ან ორგანული ქიმია ვერ მისწავლებიაო – და ჩახმახისთვის ხელი გამოეკრა.

დაამთავრო სკოლა, და შეძლო საზოგადოებაში არსებობა, ჩემი აზრით, ნიშნავს:

- გესმოდეს, რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება.
- შეგეძლოს რაოდენობრივი აზროვნება.
- გააგებინო სხვა ადამიანებს შენი აზრი ზეპირად და წერილობით.
- გამოიყენო კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება ახალი ცოდნის შესაძენად.
- მიიღო ეთიკური გადაწყვეტილება მორალური ღირებულებების საფუძველზე.
- აღიარებდე საზოგადოების მრავალფეროვნებას და იყო ტოლერანტული.
- შეგეძლოს საკუთარ ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

არავითარ შემთხვევაში საშუალო სკოლაში სწავლის მთავარი მიზანი არ შეიძლება იყოს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება – ეგ მთლიანად ამახინჯებს სასწავლო პროცესს და პიროვნების განვითარების მიზნებს ანაცვლებს დაზეპირებით და მახსოვრობის ვარჯიშით. მზად ვარ შემდგომში ამაზე ბევრი ვიმსჯელო და ვიკამათო.

კი მაგრამ, ხომ გაგიგიათ აზრი, ვაი, ვაი, ახლა სკოლაში მეცნიერების ამა თუ იმ დარგს არ ასწავლიან ღრმად და კარგადო?

ამ აზრის ფესვები საბჭოთა წარსულშია. საბჭოთა კავშირში სკოლა გადაიქცა უმაღლესი განათლების მოსამზადებელ ეტაპად, ბევრი იყო საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების საათები, ისწავლებოდა სულ უფრო რთულად და რთულად. 70-იან-80-იან წლებში სასკოლო დისციპლინები ისე გართულდა, რომ მშობლებსაც კი უჭირდათ საშინაო დავალებების ამოხსნა.

საჭირო იყო ბევრი ნიჭიერი ადამიანი, რომელიც კარგად ისწავლიდა ფიზიკას, მათემატიკას, ქიმიას, და შექმნიდა ახალ იარაღს. სწორედ ეს საქმიანობა ფინანსდებოდა გულუხვად, და ამ გულუხვობის ნამცეცები სხვა მეცნიერებსაც გადაუვარდებოდა ხოლმე. კარგი იარაღის შემქმნელებს უფლება ჰქონდათ ცოტათი დისიდენტებიც კი ყოფილიყვნენ.

ფაქტობრივად შეიქმნა ის, რასაც შეიძლება სამხედრო-საგანმანათლებლო კომპლექსი ვუწოდოთ. და ამ კომპლექსს სჭირდებოდა ახალგაზრდების დიდი ნაკადი. სასკოლო განათლება კი ამ ნაკადს ქმნიდა.

სკოლის ასეთ ტრანსფორმაციას – უმაღლესი განათლების მოსამზადებელ საფეხურად – ჰქონდა კერძო ინტერესების მხარდაჭერა – სამხედროები, რომლებსაც ახალი იარაღი უნდოდათ, აკადემიური წრეები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ უკვე საკმაოდ მომზადებული კადრების მოზიდვით, და მშობლები, რომლებიც შვილს პრივილეგირებულ სამეცნიერო კარიერის გზაზე აყენებდნენ. თანაც ბიჭი თუ იყო, საბჭოთა ჯარისაგანაც თავს დაიღწევდა.

ასე სკოლის მიზანი – კომუნისტური საზოგადოების წევრის გაზრდა/აღზრდა – თანდათან ჩანაცვლდა პრაგმატული მიზნით – მოვამზადოთ ის, ვინც შემდეგ წარმატებით ჩააბა-

რებს უმაღლესში, შემდეგ განაგრძობს სამეცნიერო საქმიანობას, გააკეთებს ამის შედეგად კარგ რაკეტას, ტყვიამფრქვევს, ბომბას, ან რამე მსგავსს, გახდება პროფესორი, აკადემიკოსი, მიიღებს ლენინის პრემიას, აგარაკს და ოთხოთახიან ბინას საჩუქრად და ნეკროლოგს გაზეთ პრავდაში.

ანუ საბჭოთა განათლების ფაქტობრივი მიზანი გახდა „ბევრი“ სამეცნიერო ცოდნის მიღება. და ეს მაშინ, იმ დროს, კარგი იყო – ნამდვილად უკეთესი, ვიდრე პატარა მარქსისტ-ლენინელების გამოზრდა. გავიდა დრო, და არაეფექტურობამ და არაადამიანურობამ საბჭოთა კავშირი დამალა. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ. ახლა რა გვინდა?

ჩვენც გვინდა ახალგაზრდებმა ბევრი იცოდნენ, სხაპასხუპით პასუხობდნენ შეკითხვებს, ახსოვდეთ ფორმულები და თარიღები, თუ გვინდა ისინი ღირსეული ადამიანები იყვნენ? გაიზარდონ თუ განსნავლულდნენ? ხშირად ხდება – ადამიანს ფეხს მოსჭრიან ექიმები, მას კი კვლავაც მოჭრილი ფეხის ცერა თითი სტკივა. ამას ფანტომურ ტკივილებს ეძახიან.

ნაწილობრივ ჩვენც ასეთი ფანტომური ტკივილი გვაწუხებს. დღევანდელი ქართული სკოლა შუაში გაეჩხირა – საბჭოთა სკოლად აღარ ვარგა და თანამედროვე სკოლად არ ჩამოყალიბდა. რატომ და რა უნდა ვქნათ – ამაზე მერე ვილაპარაკებ.



ჯანრი კაშია

(1939-2012)

ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, ფილოსოფოსი

- საქართველო 228 წლის გზასაყარზე, 2011წ. (ნაწყვეტი)

წყარო/ბმული: http://janrikachla-jkk.blogspot.com/

საქართველო 228 წლის გზასაყარზე

ღირებულებები: საზოგადოება, თავისუფლება, დემოკრატია, ერი, თვითმმართველობა.

საზოგადოებრივი ცხოვრების რთული მექანიზმი განუწყვეტელ გაპოხიერებასა და გაზეთვას საჭიროებს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჟანგი ედება და მცირე ხნის საცოდავი ჭრიალის შემდეგ, ყოველი მოძრაობა ქვავდება. გაქვავებულ საზოგადოებრივ ყოფაში აღარც დრო არ მოძრაობს. ხოლო რადგან დროის სვლა მეხსიერებასთანაა დაკავშირებული[35] ეს საზოგადოებრივი სისტემა საკაცობრიო ისტორიის მიღმა რჩება, ცხოვრება იყინება და ჩამონოლილ სუსხსა და წყვდიადში, ადამიანი ჰკარგავს გზა-სავალს. გათოშილი, ლუკმა პურისა და ყლუპი წყლისათვის ზრუნვით მოცული იწყებს იგი წრიალს დღე-ღამის წრებრუნვაში. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას იშოვის იგი ამ ზრუნვით მოცული, დოშ-ხიზილალას თუ მართლაც ლუკმა პურს, -არსება მისი არ იცვლება ამით, რადგან შემდგარია საზოგადოებრივი ცხოვრება და დამონებული სული მისი.

ცხადია შემთხვევითია დამთხვევა სიტყვებისა „გაზეთი“ და „გაზეთვა“. მაგრამ არის მართლაც საიდუმლო კავშირი და აზრი იმაში, რომ ამ მაპოხიერებლისა და გამზეთავის რო-

ლს სწორედ თავისუფალი პრესა, თავისუფალი, ანუ კრიტიკული აზრი ასრულებს. არაფერი არაა დემოკრატია, თუ არა ამ დამოუკიდებელი და თავისუფალი აზრის ბატონობა საზოგადოებაში. იგია ერთადერთი, ლიბერალური საზოგადოებისაგან განუყოფელი ინსტიტუტი. მოსპეთ ყველა პარტია – ერი რჩება, ხოლო მოსპეთ თავისუფალი და დამოუკიდებელი აზრი – ისპობა საზოგადოება, იგი ჟანგდება, ხავსი ეკიდება, იყინება, წერტილოვანი ხდება... შავი ნახვრეტი! რეჟიმად იქცევა, რადგან კვდება მეხსიერება ანუ ის, რაც საზოგადოებისა და სიცოცხლის პირველწყაროა – პიროვნება. ხოლო საზოგადოება სხვა არა არის რა, თუ არა საერთო მეხსიერების მქონე პიროვნებათა ერთობა. ერიც, საბოლოოდ, საერთო მეხსიერების მქონე ადამიანთა ერთობაა, რადგან კულტურა, რომელიც ერის არსებობის ფორმაა, ამ საერთო მეხსიერების განსხეულებული სახეა.

სიტყვის თავისუფლება, ანუ კრიტიკული აზრი, არის თანამედროვე კოგიტალური არსებობის პირველსახე, არქეტიპი, და გარანტია ადამიანის სამართლებრივი სოციალური არსებობისა. რადგან კოგიტალური არსებობა კანონის, კონსტიტუციის საფუძველზე არსებობაა. კანონი კი განუწყვეტელ გადააზრებასა და დახვეწას ითხოვს. ეს ერთგვარი აქსიომაა. აზრისა და სიტყვის თავისუფლება ადამიანს პიროვნებად და ე.ი. საზოგადოების პირველწყაროდ და ნევრად ხდის. რამეთუ საზოგადოება თავის უფალ ადამიანთა ერთობაა, ერთიანი მიზნის, საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. ამიტომაც ძნელი მოსანახია სხვა მაგალითი ადამიანის არასაზოგადოებრივი არსებობისა, გარდა ტოტალიტარული რეჟიმებისა, ან სისტემებისა.

დღევანდელ დღეს, უფრო სწორად, ახალ და უახლეს ისტორიაში, წარმოშობის დღიდან, დამოუკიდებელი პრესა წარმართავს საზოგადოების ცხოვრებას და არის გარანტია საზოგადოებრივი სიჯანსაღისა. იქ კი, სადაც ამგვარი დამოუკიდებელი პრესა არ არსებობს, საცა თავისუფალი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მოსპობილია, ან, საერთოდ, ერთ ხელს უპყრია ეს გასაღები, იქ ახვირაკულ, ან როგორც ვაჟა იტყოდა ბრიყვ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე...ამა თუ იმ წყობის ლიბერალურობა (რომ აღარ ვახსენოთ უკვე საკმაოდ გაბუნდოვანებული „დემოკრატიულობა") სიტყვის თავისუფლებისა და კრიტიკული აზრის სიღრმით გამოიხატება. დაპყრობილი ერისათვის, ან რომელიმე „კავშირში" მყოფი ერისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად შეუძლია მას ხმა ამოიღოს საკუთარი უფლების, საკუთარი მეობის დასაცავად და თავისუფლად, საჯაროდ, მთელი ერისათვის ხელმისაწვდომად გაიაზროს თავისი მდგომარეობაცა და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზები და საშუალებანი. განა იგივეს არ გულისხმობს პიროვნების თავისუფლება და ადამიანის უფლებები, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მთელი შენობა? ეს ეხება როგორც საერთო ეროვნულ საკითხებს, ისე შიდასაზოგადოებრივსაც.

ევროპულ ცივილურ წყობაში აზრის და პრესის თავისუფლებას ბუნებრივად ენიჭება პიროვნების, საზოგადოების და ერის თავისუფლების მტკიცე გარანტიის სახე. ლიბერალიზმის რაობა, ხალხის თვითმმართველობაც, რომლის საზღვრებშიაც ხორციელდება პიროვნების თავისუფლება, სწორედ თავისუფალი პრესის არსებობითაა გარანტირებული. მოსპეთ ეს თავისუფალი პრესა და თქვენ მიიღებთ ყბადაღებულ ტოტალიტარულ რეჟიმს, რომლის დროსაც სახელმწიფოში ისპობა საზოგადოება და მყარდება, როგორც ვაჟა იტყოდა, უვიცობის სიბრიყვე, წყარო შიშისა და მონობისა."

ირაკლი შენგელაია
(1947-)

ქართველი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. 1987-1992 წლებში «ეროვნული მოძრაობის» ერთ-ერთი ლიდერი. «ეროვნული სამართლიანობის კავშირის» დამფუძნებელი.

- წონასწორობის სამი გაკვეთილი, 2010-2011წ.წ.

წყარო/ბმული: http://www.tabula.ge/ge/tablog/65129-tsonastsorobis-sami-gakvetili-pirveli
http://www.tabula.ge/ge/tablog/65145-tsonastsorobis-sami-gakvetili-meore
http://www.tabula.ge/ge/tablog/65171-tsonastsorobis-sami-gakvetili-mesame

წონასწორობის სამი გაკვეთილი

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია, წონასწორობა, კონსტიტუცია, ძალაუფლება, თვითმმართვა, არჩევნები, ერი, სახელმწიფო, ანგარიშვალდებულება, საკუთრება.

პირველი - I. იქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში

თემა. ამერიკის შეერთებული შტატებში 2008 და 2010 წლებში ჩატარებულმა არჩევნებმა ცხადყო სისტემური თვითორგანიზების უპირატესობა. ერაყში მიმდინარე ომისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2008 წელს აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის აშკარა და სრული დამარცხება საპრეზიდენტო და კონგრესის (როგორც სენატის, ისე წარმომადგენელთა პალატის) არჩევნებში, ამ პროცესის უმთავრესი მონაწილის - ამომრჩევლის - ნების აშკარა გამოხატულებად იქნა აღქმული. მსოფლიო დიდი კრიზისის ფონზე კაპიტოლიუმსა და თეთრ სახლში ამერიკელი დემოკრატების (მათ რიგში მრავლად მოიძევებოდა მოკომუნისტო იდეების მქონე პოლიტიკოსი) დიდი უპირატესობით მოსვლა სრულიად ახალი ერის - კაპიტალიზმის აღსასრულის - დასაწყისად მონათლეს მემარცხენე ინტელექტუალებმა, რომლებიც, სხვათა შორის, საკუთარ ქონებას დღესაც სწორედ „კაპიტალისტური მატერიალიზმის" სამყაროში „იხვეჭენ".

G-20-ის 2009 წლის ლონდონის სამიტის წინ ხმამაღალი განცხადებები გაკეთდა, რომ „დიდი ოცეულის" შეხვედრა საბოლოოდ დაასრულებდა ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელის არსებობას, რომელიც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე წარმართავდა მსოფლიოს და დაფუძნებული იყო სრულ თავისუფალ მოქმედებასა და თვითრეგულირებაზე (თუმცა ეს თეზისი მთლად მართებული არ არის).

გაჩნდა კონვერგენციის თეორიის ახლებური გააზრების მცდელობის სურვილი. თუკი 60-70-იან წლებში დაახლოების სუბიექტებს კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემები წარმოადგენდნენ, მათი მომავალი სინთეზის იმედით, ამჯერად დემოკრატიზმი და ავტორიტარიზმი უნდა გამხდარიყო მმართველობის მომავალი ფორმების საფუძველი. სამიტზე რუსეთის დელეგაციის წინადადებათა პაკეტი გულისხმობდა მსოფლიო ფინანსურ სისტემაში გაბატონებული ისედაც დირიჟისტული პოლიტიკის კიდევ უფრო კონტროლირებად ფორმებში მოქცევას.

განმარტების სახით მოგახსენებთ, რომ დღევანდელი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური, ე.წ. ბრეტონ-ვუდსის, სისტემის „იდეური მამა" გახლდათ ჯონ მეინარდ კეინსი, აშშ-ის იმჟამინდელი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მოსოციალისტო ინტელექტუალებთან ერთად.

2008 წლის არჩევნებიდან გავიდა სულ რაღაც ორი წელიწადი და ყოველგვარი უტოპიური იდეა (რომელიც მხოლოდ ვირტუალურ არსებობას ჯერდებოდა და ისიც, მემარცხენე ინტელექტუალების გონებრივ სივრცეებში) - ისევ ამომრჩევლის ნებით და 2010 წლის საშუალედო არჩევნების შემდეგ - სადღაც მიიმალა.

წარსულიდან. ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შეერთებულ შტატებში იპოთეკური ბაზრის კატასტროფას მოჰყვა, ანალიტიკოსთა ნაწილის აზრით დაიწყო გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 70-იან წლებში და ისევ და ისევ იმავე ქვეყანაში.

სურათი რომ ნათელი გავხადოთ, მკითხველს ვთავაზობ რამდენიმე მნიშვნელოვან ფრაგმენტს მსოფლიოს უახლესი ისტორიიდან. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1977 წელს სათემო რეინვესტირების აქტი (Community Reinvestment Act) მიიღო. ამ საკანონმდებლო ინიციატივას სწორედ სოციალ-ლიბერალური ფრთის პოლიტიკოსებმა დაუჭირეს მხარი, ხოლო მისი საზოგადოებრივი მოთავეები იყვნენ „შეურიგებელი" და „შეუპოვარი" მემარცხენე აქტივისტები, ე.წ. ჩიკაგოს ჯგუფის წევრები, რომელთა აქტიურობამ თავისი შედეგი გამოიღო.

ამ დროიდან მოყოლებული ფინანსური სისტემის მოწესრიგების მიზნით აშშ-ის უმაღლესმა კანონმდებელმა ორგანომ მიიღო 1989, 1991, 1992, 1994, 1999, 2008 წლების საკანონმდებლო (legislative) და 1995, 2005, 2007 წლების მარეგულირებელი (regulatory) ცვლილებები.

იდეა. ცვლილებების, რომელმაც მომდევნო წლებში კასკადური ხასიათი მიიღო, მიზანი იყო (რაც, საბოლოოდ, კეთილი სურვილების სტატუსს ვერ გასცილდა): საბინაო, საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობა; კომერციული ბანკებისა და ფინანსური ასოციაციების

წახალისება, დაეკმაყოფილებინათ მსესხებელთა, მათ შორის, დაბალ და საშუალოშემოსავლიანთა, მოთხოვნები; კომერციულ ორგანიზაციებს გაეცათ იპოთეკური სესხები ღარიბი და კრიმინოგენული რაიონების მცხოვრებთათვის. როგორც წესი, ეს რაიონები ნაციონალური უმცირესობებით იყო დასახლებული.

ვითარება თანდათან უკონტროლო გახდა. უფრო ზუსტად, ხელოვნურად შექმნილმა

სისტემამ საკუთარი ლოგიკით „ხარკი მოითხოვა". მოგვიანო ცვლილებებითა და შესწორებებით, ამერიკელი კანონმდებლები ბანკებს თანდათან აიძულებდნენ, სამომხმარებლო სექტორის დაკრედიტებას, ხოლო თუკი აღნიშნულ აქციაზე ფინანსისტები უარს ამბობდნენ და აცხადებდნენ, რომ გადახდისუუნარო მოვალისთვის ფულის სესხება წინდაწინ განწირული ქმედება და შეცდომა იყო, ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლები, მათივე მიღებული კანონებით, კომერციული ბანკებისა და ფინანსური ასოციაციების მიმართ რეპრესიების გატარების უფლებით აღიჭურვნენ - მაგ., „ურჩი" კერძო ფინანსური ორგანიზაციებისთვის არ მიეცათ ახალი ფილიალების გახსნის, სხვა ბანკების შესყიდვის ან მათთან გაერთიანების საშუალება...

ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ როდესაც კომერციული ფინანსური ორგანიზაციები მსესხებელისგან ითხოვდნენ სათანადო საბუთების წარდგენას, რომლითაც ეს უკანასკნელები დაადასტურებდნენ საკუთარ გადახდისუნარიანობას, მსესხებლები უხვად და დაუფიქრებლად აბარებდნენ კერძო ბანკებსა და ფინანსურ ორგანიზაციებს უსაფუძვლო და ყალბ ცნობებს...

მოწინააღმდეგეები და შედეგები. CRA-ს მოწინააღდეგეთა არგუმენტებით: იპოთეკური დაკრედიტების ახალი პროგრამა წარმოადგენდა გადაჭარბებულ ჩარევას თავისუფალი ბაზრისა და კერძო ფინანსური სექტორის საქმიანობაში; დაბალშემოსავლიანი სეგმენტებში სესხების გაცემას, ფინანსური პოლიტიკის თვალსაზრისით, უკეთესი შედეგი არ გამოუწვევია მაღალშემოსავლიან სეგმენტებთან შედარებით; წახალისდა მაღალრისკიანი კრედიტების გაცემა, რამაც გამოიწვია დაკრედიტების სტანდარტების მოდუნება...

ობამას ადმინისტრაციის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებებით ბანკები უნდა დათანხმებულიყვნენ სასესხო პროცენტის შემცირებას, რათა დაბალშემოსავლიან მოვალეებს, რომლებიც მაღალი განაკვეთის გამო საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგნენ, აეღოთ ახალი იპოთეკური სესხები დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამ ლოგიკით, ყოველთვიური გადასახადი მკვეთრად შემცირდებოდა, ხოლო ადამიანები თავიანთ სახლებს შეინარჩუნებდნენ...მოლოდინი არ გამართლდა.

მიუხედავად იმისა, რომ დავა CRA-ს შესახებ დღესაც გრძელდება და, ალბათ, დიდხანს გასტანს, ამომრჩეველმა შეძლო თავისი დამოკიდებულება გამოეხატა პროგრამის განახლებით გამოწვეული შედეგების მიმართ. მოსახლეობის იმედგაცრულება დიდი აღმოჩნდა, ხოლო განბილების განზომილებად ახლადჩატარებული საშუალედო არჩევნები იქცა.

თუმცა, ამერიკელმა „კაპიტალიზმის დამსამარებელმა" ინტელექტუალებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და პრეზიდენტ ობამას, უფრო ზუსტად, დემოკრატიული პარტიის დამარცხება სხვაგვარად შეაფასეს. „თეთრი ამერიკა ვერ ჰგუობს შავ პრეზიდენტს", - განაცხადა ეპატაჟურმა მაიკლ მურმა არანაკლებ ეპატაჟური ბილ მარის სატელევიზიო გადაცემაში(Real Time) გამოსვლის დროს. ამ განცხადებას შეეპასუხა აფრო-ამერიკელი ანალიტიკოსი ლარი ელდერი (http://www.patriotpost.com, 18.11.10). მისი თქმით, ახლახან დასრულებულ საშუალედო არჩევნებში „თეთრმა" დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილი დაკარგეს, ხოლო „შავმა" რესპუბლიკელებმა ბევრ „თეთრ" ოლქში გაიმარჯვეს. ავტორმა მურს მიანიშნა, რომ ამ უკანასკნელმა ისე წარმოაჩინა (ამასთან, ცუდად) ვითარება, თითქოს აშშ-ში გასული საუკუნის 50-იანი წლების რასიზმმა „გაიღვიძა".

იმავე ავტორმა, უფრო ადრე, 3 ნოემბერის სტატიაში (იგივე წყარო) დაასახელა მიზეზები, თუ რამ განაპირობა რესპუბლიკელების გამარჯვება: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზება; სოციალურ უზრუნველყოფის სისტემაში კერძო საპენსიო ფონდების აქტივობის წახალისება; სამედიცინო სისტემა და მომსახურება; სახელმწიფო საწარმოების ლიკვიდაცია და მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა; საგადასახადო სისიტემის ლიბერალიზაცია; ფედერალიზმის პრინციპების შემზღუდავი კანონმდებლობის გაუქმება. ლარი ელდერის საბოლოო დასკვნით, დემოკრატების დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ აშშ-ის მოსახლეობას აღარ სურს ჰყავდეს დემოკრატი პრეზიდენტი და, რომ ობამიზმი ამჟამად „დატუსაღებულია".

წონასწორული თვისება. შეიძლება მოხმობილი შეფასებები ზედმეტად მკაცრი ჩანდეს, ამიტომ მკითხველს გაცილებით ზომიერი შეხედულებების პუბლიცისტის მოსაზრებებს მოვახსენებ.

„მემარჯვენე-ცენტრისტულმა ქვეყანამ აღადგინა კონგრესის ნორმალური რუკა", - წერდა ვაშინგტონ პოსტის ავტორთა ჯგუფის წევრი ჩარლზ კრაუტჰამერი. „მმართველმა პარტიამ ეფექტურად ვერ შეაფასა საკუთარი მანდატი და ქვეყანამ ორწლიან ჰიპერ-ლიბერალურ ექსპერიმენტზე უარი განაცხადა". ბუნებრივია, აქ იგულისხმება არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ლიბერალიზმი (მემარცხენე გადახრით). ერთ-ერთ მაგალითად ავტორმა მოიხმო უაზარმაზარი საბიუჯეტო დანახარჯები სოციალურ და სამედიცინო სფეროში, რამაც უმუშევრობის მაჩვენებელი ვერ შეაჩერა (რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან მაღალი ინფლაციის პირობებში ფინანსური დანახარჯების ზრდა უმუშევრობას ვერ ამცირებს, თუმცა ამერიკელ დემოკრატ ფინანსისტებს სხვა შეხედულება აქვთ).

სტატიის ავტორს წმინდა ამერიკული შედარება მოჰყავს: „რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს დეფოლტის პირობებში; ამავე დროს, მათი პრიზი სახლის არაუმეტეს ორწლიანი იჯარაა; შენობა ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ, რაც წინანდელი დამქირავებელი გააძევეს ქედმაღლობისა და ცუდი საქციელისთვის, ხოლო წესით და რიგით, სახლი არ შეიძლება ცარიელი დარჩეს". კრაუტჰამერი ასკვნიდა: „ტალღები მიდიან, ტალღები მოდიან, რესპუბლიკა იტანს" (http://www.patriotpost.com. 05.11.10).

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის სრული გამარჯვება გააწონასწორა სენატში დემოკრატიული პარტიის უპირატესობის შენარჩუნებამ, ანუ ორპარტიული შეთანხმების გარეშე შეუძლებელი გახდება რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება ერთადერთი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რომელსაც კონსტიტუციით ქვეყნის „ყველა საკანონდებლო უფლებამოსილება ენიჭება".

წონასწორული მდგომარეობის აღდგენის, მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოში, მთავარ ინსტრუმენტს მუდამ წარმოადგენდა და, ბუნებრივია, დღესაც წარმოადგენს საარჩევნო სისტემა - ორ წელიწადში ერთხელ წარმომადგენელთა პალატის სრული გადარჩევა და სენატის მესამედის განახლება ანუ სახალხო წარმომადგენლობითი არჩევანის მოკლეპერიოდული დადასტურება.

გაწონასწორება ვერტიკალში. შეერთებულ შტატებში ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი პირი არის პრეზიდენტი, ხოლო შტატში - იგივე უფლებამოსილება გუბერნატორს გააჩნია. ა.წ. ნოემბრის საშუალედო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის წარმატება შტატების დონეზეც აშკარა იყო დემოკრატიული პარტიის ლიდერის - პრეზიდენტის უფლებამოსილე-

ბის გასაწონასწორებლად იმ სფეროში, რომელიც თითოეული შტატის კომპეტენციაში შედის. მხედველობაში მაქვს ის, რომ შტატის გუბერანატორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტაციის პოლიტიკის გაგრძელებას არ წარმოადგენს. მაგალითს მოვიხმობ, როდესაც პრეზიდენტმა ბუშმა კიოტოს (გარემოს დაცვის) ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, ხოლო გუბერნატორი შვარცენეგერი აღნიშნულ ხელშკრულებასთან კალიფორნიის შტატი მიერთების ინიციატივით გამოვიდა.

მთავარი პრინციპი, რაზედაც აგებულია აშშ-ის პოლიტიკური სისტემა არის სახალხო სუვერენიტეტის სრული განხორციელება - ნებისმიერი შტატის მოსახლეობა და მხოლოდ ის ირჩევს პირდაპირი არჩევნებით: გუბერნატორს, ლეგისლატურის (როგორც შტატის სენატის, ისე წარმომადგენელთა პალატის) წევრებს, სახელმწიფოს სენატორებს, წარმომადგენელთა პალატის წევრებს; ამრჩევთა კოლეგიის მეშვეობით (რომელიც ამომრჩეველთა ნების გათვლისწინებით მოქმედებს) - პრეზიდენტს (აშშ-ის მთელს ისტორიაში ერთადერთი გამონაკლისი მოხდა XX საუკუნის დასაწყისში, როცა ამრჩევთა კოლეგიის ორმა წევრმა თავისი შტატის მოსახლეობის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მისცა ხმა).

ნათელია, რომ სისტემა ეფუძნება თვითორგანიზების მაქსიმალურ განხორციელებას, თუმცა ისიც სათქმელია, რომ იდეალური არაფერია ამ ქვეყნად, განსაკუთრებით პოლიტიკურ სისტემაში. მაგრამ სწორედ თვითორგანიზების განხორციელების უფლებაში ამჟამინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციის დირიჟისტულმა ჩარევებმა, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საბაბით, განაპირობა (ბევრწილად) დემოკრატების წლევანდელი მარცხი.

მეორე- II. აქ, ჩვენში, საქართველოში

საკონსტიტუციო პერიპეტიები. ჩვენი პოლიტიკური ისტორია კონსტიტუციური ძვრებით არის აღსავსე. ჩამოვთვალოთ: 1921 წლის თებერვალი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ვერამოქმედებული კონსტიტუციის მიღება; 1921-1978 წლები - „საბჭოური" კონსტიტუციების კალეიდოსკოპური ცვლა; 1990-1991 წლები - ბოლო, 1978 წლის, საბჭოური კონსტიტუციის ტექსტში შესწორება-დამატებების მრავალგზის შეტანა; 1992 წლის იანვარი - პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროფანირებული აღდგენა; 1995 წლის აგვისტო - „ამერიკულ კონსტიტუციად" მონათლული სისტემური ვინეგრეტის დამტკიცება; 2003-2010 წლები - კონსტიტუციის ტექსტის იურიდიული ქრა-კერვა და ევროპულ კონსტიტუციურ მოდელზე გადასვლის მცდელობა; 2010 წლის ოქტომბერი - კონსტიტუციის ახალი რედაქციის სამომავლო შემუშავება-მოწონება...

საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესის თითოეული ეტაპი ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს. ამასთან, ვექვობ, რომ „კონსტიტუციური ქმნადობის" პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

დიდი გაუგებრობა. 1995 წლის „კონსტიტუციის მამებმა" ქვეყნიერებას ამცნეს, რომ პირველად არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ, არამედ პოსტსოციალისტურ სივრცეში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ამერიკული პრინციპებით შედგენილი უზენაესი კანონი. ეს პრინციპები იყო: სახელმწიფო ხელისუფლებათა გამიჯვნა; პრეზიდენტის გამოცხადება აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად... და კონსტიტუციის „ამერიკულობა" ამით შემოიფარგლა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ აქ მოხმობილი პრინციპები ტექსტუალური დეკლარირების დონეს არ გასცილებია.

ზემოხსენებული ორი პრინციპის ზერელე გამომღერება საკმარისი არ „აღმოჩნდა" ოკეანისგაღმური კონსტიტუციის მისაღებად. რატომ იყო შეუძლებელი საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ამერიკული მოდელის პრაქტიკული განხორციელება? პირველი - ჩვენს ქვეყანაში არჩევნები ტარდებოდა (და ახლაც ტარდება) პარტიულ-პროპორციული სიებით და კვოტირებულ ერთმანდატიან ოლქებში; ხელისუფლებათა განაწილება ამერიკულ სისტემაში ხორციელდება როგორც ჰორიზონტალურ, შეკავებისა და საპირწონეს პრინციპით, ისე ვერტიკალურ დონეზე, ფედერალიზმის საფუძველზე; ამერიკული სისტემა აგებულია საერთო და არა კონტინენტურ სამართალზე... და სხვა მრავალი ასეთი.

კონსტიტუციური ფსევდოაქტივობის შედეგმა არ დააყოვნა. რეფორმატორთა ჯგუფებმა, რომლებმაც კონსტიტუციის 1995 წლის რედაქციას დაუჭირეს მხარი, 90-იანი წლების ბოლოს განაცხადეს, რომ საქართველოში „ამერიკულმა მოდელმა", რომელსაც ჩვენში საერთოდ არ უარსებია (!), არ გაამართლა (მორიგი ქართული უცნაურობა) და საზოგადოებას შესთავაზეს ევროპულ საკონსტიტუციო მოდელზე გადასვლა.

ხელისუფლებათა გამიჯვნა ევროპულად. ევროპულ სისტემას პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძვლად (უშუალოდ თუ არა, ირიბად მაინც) ე.წ. გაყოფილი სუვერენიტეტის პრინციპი დაედო. იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, სამეფო ოჯახის ლეგიტიმიზმს, ანუ სახელმწიფოს მეთაურობისა და მისი უმაღლესი წარმომადგენლობის მემკვიდრეობით გადაცემას გვირგვინოსანი სახლისთვის, მეორე მხრივ, სახალხო წარმომადგენლობის სუვერენული უფლების მინიჭებას პარლამენტისთვის და ამ უკანასკნელის მიერ არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი მთავრობისთვის. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, დროთა განმავლობაში იგი დამოუკიდებელ სისტემად ჩამოყალიბდა (თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სამართლით სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხი სხვა ხელისუფლებათაგან მკვეთრად განსხვავებულია ამერიკული მოდელისგან).

დღევანდელი ინსტიტუციით: ევროპულ მონარქიულ სახელმწიფოებში ზემოაღნიშნული ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა მოქმედებს; არამონარქიულ სახელმწიფოებში უმაღლესი წარმომადგენლობა ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციას წარმოადგენს, საკანონმდებლო (პარლამენტისა) და აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობისა პრემიერ-მინისტრითურთ) ფუნქციების გამიჯვნა მეტ-ნაკლები ხარისხით ხორციელდება, სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარად.

მოდელური ნაირსახეობები. საქართველომ ხელისუფლებათა გამიჯვნის ამერიკულ მოდელთან ფლირტის დასრულების შემდგომ ევროპულ მოდელს მიაშურა, რისი მცდელობა ჩვენს ქვეყანაში ადრევე იყო, ამასთან რამდენიმეჯერ: პირველი რესპუბლიკა (1918-1921), მეორე რესპუბლიკის ორი მოდიფიკაცია (1990-1991; 1991-1992), მეოთხე რესპუბლიკა (2003-2010). მესამე ფსევდოამერიკული რესპუბლიკა, რაც უკვე აღვნიშნეთ, 1995-2003 წლებში შეიქმნა, ხოლო რაც შეეხება 1992-1995 წლებს, მას საკონსტიტუციო ლეგიტიმაციის მიღმა არსებობის ხანა შეიძლება ეწოდოს (მსგავსი ელემენტები პირველ რესპუბლიკასაც ახასიათებდა სახელმწიფო კონსტიტუციის მიღებამდე, თუმცა, რეალურად იგი ძალაში ვერ შევიდა და სამართლებრივად გაფორმდა, როგორც ოკუპირებული სახელმწიფოს უზენაესი კანონი).

2010 წლიდან იწყება ახალი, მეხუთე რესპუბლიკის, ჩამოყალიბება, რომელიც, როგორც ჩანს, კარგა ხანს გასტანს, თუ საერთოდ გაამართლა დღეისთვის არჩეულმა მოდელმა. მოგახსენებთ ამ სისტემისადმი ჩემი დამოკიდებულების, რაც არაერთხელ აღმინიშნავს, პა-

რადოქსულ ახსნას - საქართველოს პოლიტიკურ სისტემას (ზოგადად და არა ახალი მიღებულ-განსახორციელებელი მოდელით) პრემიერმინისტრის პოსტი ისევე ესაჭიროება, როგორც ურემს მესამე თვალი (ანუ ბორბალი).

სამართლებრივ-პოლიტიკური ვნებები. ნებისმიერი სახელწიფოს კონსტიტუციის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, სულ მცირე, სისტემური წონასწორობის შენარჩუნებაა, განსაკუთრებით - კრიზისულ ვითარებაში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მხედველობაში მაქვს 90-იანი წლებიდან დღემდე, ვერც ერთმა მოქმედმა კონსტიტუციამ აღნიშნულ ფუნქციას თავი ვერ გაართვა.

მოვლენათა მსგავსი განვითარება ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: პირველი, კონსტიტუცია რეალურად არ მოქმედებს და ასეთ ვითარებაში არსებული სისტემა ფუნქციობს, როგორც არაფორმალური ინსტიტუცია; მეორე, საზოგადოებაში არ არსებობს კონსტიტუციის საჭიროებისა და მისი ამოქმედების მოთხოვნა.

1990-1991 და 1991-1992 წლების საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური აგებულება, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებაზე, იმდენად შორს იყო რეალური ვითარებისგან, რომ ერთმა, თუნდაც მძლავრმა, ბიძგმა ქვეყანა დაანგრია.

ვითარება ვერ გამოსწორდა 1992 წელს განხორციელებულმა სამართლებრივად მეტად გაუმართავმა აქტმა, რის შემდეგაც „აღდგა" 1921 წლის კონსტიტუცია. კიდევ მეტი. გარკვეული პოლიტიკური (მათ შორის, შეიარაღებული) ჯგუფები პირველი რესპუბლიკის უზენაესი კანონის ბუკვალური ამოქმედების საბაბით მოითხოვდნენ 70 წლის წინანდელი სახელმწიფო სისტემის აღდგენას (მაგ., საქართველოს პროკურატურის გაუქმებასა და მის ნაცვლად სენატის შემოღებას, რომელსაც დამოუკიდებლობის პერიოდში არც კი უმუშავია... ავტონომიების მომავალზე, ისტორიულ-ტერიტორიული საზღვრების აღდგენასა თუ სხვა ამგვარ „სამართლიან მოთხოვნებზე" არაფერს ვამბობ).

სახელმწიფო ხელისუფლებათა გამიჯვნის 1995 წელს დეკლარირებული პრინციპის კონსტიტუციური პროფანაცია დასრულდა იმით, რომ ყველა შტო ერთ პირს, პრეზიდენტს, დაექვემდებარა. ამ ვითარებამ რამდენიმეჯერ კრიზისული მდგომარეობა შექმნა, სახელისუფლო სისტემის რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით.

ვერც 2003 წელს და შემდგომ მიღებულმა რადიკალურმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რასაც პოლიტიკური სისტემის ძირფესვიანი ცვლილება მოჰყვა, განაპირობა სრული წესრიგული მდგომარეობის მიღწევა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რეფორმების „შოკური თერაპიის" პრინციპით განხორციელებამ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, გარკვეული და მეტ-ნაკლებად წარმატებული შედეგი გამოიღო. ჩემი „წარსულის პროგნოზირების" პრინციპისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, არ შემიძლია დაბეჯითებით ვამტკიცო, თუ როგორ წარიმართებოდა და რა შედეგებით დასრულდებოდა პროცესები მოვლენათა სხვაგვარი განვითარების პირობებში.

მთავარია ვისაუბრო არსებული სისტემური წესრიგის ავ-კარგზე და ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვა მომავალი განვითარების შესაძლო ვექტორზე.

ზემდგომი ინსტანცია. ევროპულ პოლიტიკურ წრეებში ჩრდილო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, თუმცა,

ერთ საკითხში ყველა თანხმდება - ევროპული სახელმწიფოებისთვის ამერიკული საკონსტიტუციო (და არა მხოლოდ) მოდელი მიუღებელია.

პოსტ-სოციალისტურ-საბჭოურ სივრცეში ვენეციის კომისიის აქტიური მოქმედება იმის თვალნათელი დასტურია, რომ ევროპულ სისტემაში განევრების მსურველი ქვეყნებისთვის არსებობს დიდი და მძლავრი გზავნილი - ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს როლის გაზრდის მოთხოვნა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ხარჯზე. საუბარი არ არის ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპზე, ანუ სამი სუვერენული შტოს არსებობაზე, რომელიც დაფუძნებულია შეკავებისა და საპირწონეს მექანიზმზე. პრეზიდენტზე, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს პირს, საუბარიც კი ზედმეტია.

მოკლე მიმოხილვის შეჯამების სახით: ევროპულ თანამეგობრობაში შესვლის პირობები ასეთია - სახელმწიფო სუვერენიტეტის ტრადიციულ სფეროებზე უარის თქმა (ფულის ერთეული, საზღვრები...); საკანონმდებლო (მათ შორის, საკონსტიტუციო) უნიფიკაცია; ყველა სახის (პოლიტიკურ, ეთნიკურ, რელიგიურ, ენობრივ, სოციალურ...) უმცირესობათა უფლებების უპირობო აღიარება და დაცვა... და, რაც მთავარია, პოლიტიკური უნისონის არსებობა პრეზიდენტს, მთავრობას და პარლამენტს შორის. დასკვნის ფორმით რომ ითქვას - დასამყარებელია „დემოკრატიული ოაზისი", რომელსაც შექმნიან: პარლამენტი, მის მიერვე არჩეული მთავრობა (პრემიერ-მინისტრთან ერთად) და პრეზიდენტითურთ, ხოლო ამ ორი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი (უმრავლესობა მაინც) ერთი პარტიის წევრი იქნება.

მესამე - III. Consociatio

მცირე მიმოხილვა. სათაურში გამოტანილი ტერმინი აიხსნება, როგორც ასოციაცია. ცნება პოლიტიკის სფეროში ხელახლა XVI-XVII საუკუნეებში შემოიღეს (დაინტერესებული ადამიანები ავტორებს თავადაც მიაგნებენ). Consociatio იქმნება გაერთიანების მოწადინე სუბიექტების მიერ, გაერთიანების საფუძველს კი ადამიანი წარმოადგენს; ადამიანთა ერთიანობის პირველი საფეხური თემია, თანაცხოვრების საწყისი სივრცე; ერთობის შემდეგი საფეხური ტერიტორიაა, თემთა კავშირი; ტერიტორიების გაერთიანება ქმნის სახელწიფოს. აგების გზა - ადამიანიდან სახელმწიფომდე - არის ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების ერთადერთი მართებული ვექტორი, ხოლო გაერთიანების, თუ გნებავთ ხელოვნება, თუ გნებავთ ნიჭი, განსაზღვრავს პოლიტიკას კონკრეტულ საზოგადოებაში, რომელსაც სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურს.

ყოველივე ზემოთქმულს აზრი მაშინ მიეცემა, თუკი შესაძლებელია განვიხილოთ პრობლემა - არსებობს თუ არა საქართველოში ხსენებული ვექტორი და რა ხარვეზებით, რადგან მოუწესრიგებელი ვითარების ზეგავლენა ჩვენ სოციალურ რეალობაზე (არასტუქტურირებიდან მოყოლებული, თვითმართვის არქონის გავლით, სხვა ამგვარი მახასიათებლით დასრულებული) მეტად თვალშისაცემია.

ვინ და რას მართავს ? თავისუფალი საზოგადოების საფუძველმდებელ ღირებულებათა მიხედვით მმართველობის სუვერენული უფლება, რაც სხვა ტერმინით უკეთესად აისახება - თვითმმართველობის უფლება - გადაცემული აქვს ან უნდა ჰქონდეს ხალხს (ზოგიერთი მოსაზრებით ასეთი უფლება გადაცემული აქვს ან უნდა ჰქონდეს თავისუფალ ბაზარს). მართვა (თვითმართვა) უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, რა იმართება - ქალაქი, თემი თუ ტერიტორია. რაც შეეხება სახელმწიფოს, მისი მმართველობა უფრო მაღალ კატეგორიას

განეკუთვნება და განსხვავებულ წესებს ექვემდებარება. ამ წესებს კანონმდებლობა (ადგილობრივი, ტერიტორიული, ფედერალური) ადგენს, რომლის მიღება ხელეწიფება არჩეულ პერსონებს, რომელთაც ამომრჩეველთაგან გადაცემული აქვთ კანონშემოქმედების უფლება. ორივე მხარე ურთიერთვალდებულია: არჩეული იღებს ამრჩევის ინტერესების დამცველ კანონებს, ხოლო ამრჩევი უპირობოდ ასრულებს მათ. თითქოს ახალს არაფერს ვამბობ, თუმცა ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის აღნიშნული პრინციპი გვარიანად უცხოა.

საქართველოში მოქმედებს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“. თუ მკითხველი პირველ აბზაცში მოწოდებულ აზრს ეთანხმება, გამოდის, რომ ხსენებული კანონი წარმოადგენს სულ მცირე სამი (არარსებული) კანონის უხერხულ და მოუქნელ გაერთიანებას; სავარაუდოდ, ესენია: „სათემო თვითმმართველობის“, „საქალაქო თვითმმართველობის“, „რაიონული მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის“ კანონები. მეოთხე, ინტიტუციურად არარსებული სუბიექტის - მხარის - „თვითმმართველობის კანონზე“ საუბარი ცალკე თემაა.

თვითმმართველი სუბიექტები. ჩვენში სამოცდახუთი რაიონული მუნიციპალიტეტია და ხუთი -საქალაქო. ამით ამოიწურება თვითმმართველ ერთეულთა რაოდენობა. უნდა დამეთანხმოთ, რომ ეს რიცხვი ძალზე მცირეა. ახალ თვითმმართველ ერთეულთა შექმნა (რაც საქართველოს კანონმდებლობით, ცოტა ღრჭიალით, მაგრამ მაინც გათვალისწინებულია) ზრდის საზოგადოების თვითმართვის ხარისხს. ამასთან ხდება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფუნქციათა სივრცული გაშლა, რაც ერთადერთ პირობას წარმოადგენს დეცენტრალიზაციის პროცესისთვის. მთავარი კი ისაა, რომ აღნიშნული პროცესი თანდათან ამკვიდრებს სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს (და რომლის გარეშე ევროპულ ინტეგრაციაზე საუბარი ზედმეტია): ადამიანს (ინდივიდს) უნდა ჰქონდეს იმის გაკეთების უფლება, რაც მას ხელეწიფება და არ მოითხოვს საზოგადოების (თემის) ჩარევას; ის, რისი შესრულება ხელეწიფება თემს, არ შეიძლება მიითვისოს ზემდგომმა გაერთიანებამ; ტერიტორიული ერთეულის ფუნქციას მასში შემავალ თემთა უფლებების დაცვა და ტერიტორიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა წარმოადგენდეს; რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლებას, მან უნდა იკისროს პასუხისმგებლობა კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების დამკიდრების საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე.

თვითმართვის განშლის მაგალითები. საქართველოს მთიანეთის განვითარებაში სათანადო ადგილს იკავებს ხევსურეთის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, იგივე ითქმის თუშეთზე (სვანეთი და მთიანი აჭარა ამ გზაზე უკვე შემდგარია). მომავალში, იმედია, აღნიშნული პროგრამები საქართველოს მთიანეთის სხვა ეთნოგრაფიულ თუ სუბეთნოგრაფიულ სისტემებსაც შეეხება (ფშავს, რაჭას, ლეჩხუმს და კიდევ ბევრს სხვას). ფაქტობრივად, ამ ეტაპზე, მზადდება ნიადაგი იმისა, რომ ჩამოყალიბდეს ხევსურეთის (მომავალში სხვა განვითარებადი სისტემების) სათემო მუნიციპალიტეტი, ბუნებრივია, დუშეთის რაიონული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ. თვითმმართველი ერთეულების სისტემური ზრდა მოსახლეობის დამაგრების პრობლემასაც გადაჭრის, რადგან მათ უჩნდებათ ფუნქცია ადგილობრივ განვითარებაში მიიღონ მონაწილეობა და, რაც მთავარია, მართონ საკუთარი თავი. მაგრამ პროცესი უნდა ეფუძნებოდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკას და არა ფედერალურ საბიუჯეტო „ძუძუზე მიჯდომას“. სახელმწიფო საბიუჯეტო დოტაცია, სხვათა შორის, ხელსაყრელია უმაქნისი ადგილობრივი და სარფიანი ფედერალური მოხელეებისთვის (ვისაც აკისრია ფინანსების ცენტრალიზებულად განაწილების ფუნქცია).

პროცესის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით უპრიანია დამკვიდრდეს ახალი ცნებები - სათემო (ახალი თვითმმართველი ერთეულისთვის) და საქალაქო (რაიონისგან „გათავისუფლებული" ქალაქისთვის) მუნიციპალიტეტი, რაიონული მუნიციპალიტეტის იურიდიულ თანაბარზომად სუბიექტებად, შესაბამისი ადმინისტრაციული სამსახურებით და სრული თვითმართვის უფლებებით.

განსაკუთრებულ საზოგადოებას ერთ მოკრძალებულ რჩევას შევთავაზებ. მშვენიერი ნათქვამია, „რუსთაველის გამზირზე სიარული ნუ მომ(გვ)იშალოს ღმერთმა"-ო, მაგრამ არავის უთქვამს, იმავე გამზირზე გაუთავებელი პოლიტიკური დოღი მართეთ, შესაფერისი პოლიტიკურ-სამართლებრივ-ინტელექტუალური ღირებულების მქონე „ქუჩის რეზოლუციების" მიღებითაო. ბატონებო, ცოტა ხომ არ დაგაგვიანდათ? მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ მსგავსი პროცესები 80-90-იან წლებში დასრულდა.

მმართველ გუნდს „ცოტა უქირს" ახალი მუნიციპალიტეტების შექმნის პროცესის დაწყება. ჰოდა, რაღას უცდით, იქნებ „მიეხმაროთ", საქმის კეთებაშიც ჩაგეთვლებათ და მომავალ საარჩევნო კამპანიებშიც გამოგადგებათ ნაღვანი.

ტერიტორია. კარგა ხანია, ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს მთავრობის ე.წ. „გასვლითი სხდომები". მთავრობის აღმა-დაღმა სიარული, თუნდაც საქმიანი, სრულიადაც არ არის ხელისუფლების ხალხთან მიახლოების მაჩვენებელი; ხალხთან ახლოს მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება შეიძლება იყოს და ისიც ერთადერთი მიზეზით - მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება უშუალოდ, ანუ მედიატორის გარეშე, ხორციელდება.

მთავარი ისაა, რომ ფედერალურ ხელისუფლებას სხვა ფუნქცია ეკისრება, ადგილობრივს - სხვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ქვეყანაში ტერიტორიული სუბიექტის ხელისუფლება არ არსებობს, არა მხოლოდ რეალურად, არამედ ცნებით დონეზეც კი. პრაქტიკულად ასეთი სტრუქტურის შექმნა არც იგეგმება.

საქართველოს მხარეები, როგორც საშუალო სოციალურ-ეკონომიკური სისტემები, ისტორიულად არის ჩამოყალიბებული. თუმცა მათი დღევანდელი მდგომარეობა არაფორმალურია და ისინი არსებობენ მარტოდენ პრეზიდენტის რწმუნებულ-გუბერნატორის ნახევრადინსტიტუციური თანამდებობის (ან კიდევ, პოსტის) გასამყარებლად.

მთავრობის „გასვლით აქტივობა" ახსნილია, როგორც საქართველოს სიმცირით გამოწვეული კანონზომიერი ქმედება. რეალურად კი, ქვეყნის სიმცირე არაფერ შუაშია. ტერიტორიული მთავრობები საქართველოზე მცირე ევროპულ ქვეყნებში ფუნქციობენ. უბრალოდ, არ არსებობს დეცენტრალიზაციის სურვილი. რაც მთავარია, იგი არ გააჩნია არც მმართველ გუნდს, არც ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტებს.

საარჩევნო სისტემა. საარჩევნო სისტემის ირგვლივ არ წყდება გამუდმებული ლაპარაკი. დისკუსია ეხება ყველაფერს, საკუთრივ საარჩევო პრინციპის გარდა - არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტში ეჭვს არ იწვევს ერთიანი პარტიული სისტემის ხელშეუხებლობა. პოლიტიკურ პერსონათაგან უმრავლესობა, მათ ჟურნალისტების გარკვეული ჯგუფებიც უჭერენ მხარს, მიიჩნევს, რომ პარტიული სიებით არჩევნების გაუქმება იგივურად ტოლია მრავალპარტიული სისტემის გაუქმებისა. როგორც ჩანს, ამ ყაიდის მოაზროვნეებს მიჩნიათ, რომ სახელმწიფოებში, სადაც ყველა რანგის არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ მაჟორიტარული პრინციპით ტარდება, მრავალპარტიული სისტემა არ არსებობს. გულწრფელად გითხრათ, ვერაფრით ამიხსნია, რასთან გვაქვს საქმე - პოლიტიკანობასთან თუ უვიცობასთან.

ცნობილია, რომ არჩევნების დროს ამომრჩეველი საკუთარ სუვერენულ უფლებას გადასცემს რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტს. არაბუნებრივი აქ არაფერია. ამის შემდეგ (ჩვენში) იწყება დიდი ინილო-ბინილო. ქართული საარჩევნო კანონმდებლობით პარტიებისთვის დაწესებული ბარიერი ბევრი სუბიექტისთვის გადაულახავი ხდება. და ხელის ერთი აქნევით, ერთი ბარიერგადაულახავი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმები, ამომრჩევლის უკითხავად, გადადის ბარიერგადალახული სუბიექტების „ყულაბაში". კანონი ანესებს, არც მეტი, არც ნაკლები, „ხმების მითვისებას". ეს კონკრეტულად. ზოგადად, კი სახეზეა „გაყალბების" ინსტიტუციური ვარიანტი, არაინსტიტუციური შედეგებით.

პოლიტიკური სუბიექტები ამასაც არ სჯერდებიან და სიახლის შემოტანას ცდილობენ - ერთიან პარტიულ სიებს რეგიონული სიებიც დაურთონ. როგორც ჩანს, ერთიან სიებში ადგილების განაწილების დროს პარტიულ-რეგიონული ლიდერები მათთვის შესაფერის მდგომარეობას ვერ იღებენ და „მშობლიური პარტიები" რეგიონული სიებით ცდილობენ მათთვის სინეკურას (sine cura - თბილი ადგილი) მოძიებას.

სახელმწიფოს აგება. ჩვენს საზოგადოებას, პოლიტიკურს თუ არაპოლიტიკურს, ერთი უცნაური ჩვევა დასჩემდა - ნაგებობის სახურავიდან აშენება. სადავო არ უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საფუძველს საარჩევნო სისტემა და ტერიტორიული მოწყობა წარმოადგენს. ამ ორ პრობლემას წყვეტს სხვა არავინ გარდა პოლიტიკური პარტიებისა - ხელისუფლებაში მყოფიც და ოპოზიციურიც. ხალხი რატომღაც გვერდზე დგას, იგი მხოლოდ არჩევნების დროს აგონდება ყველას.

რომელიმე პოლიტიკოსს თუ მოსვლია აზრად, სახალხო გამოკითხის, რეფერენდუმის, ჩატარება ორ უმნიშვნელოვანეს თემაზე - ყველა რანგის არჩევნების ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ მაჟორიტარული პრინციპით და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში (პროპორციულობის დაცვით, ანუ ყველა საარჩევნო ოლქში მანდატის ღირებულების გათანაბრებით); საქართველოს მხარეების ინსტიტუციონალიზაცია (ანუ სამხარეო სტრუქტურების „ლეგალიზაცია").

სახელმწიფოს აგების ამ ორი ძირითადი პრინციპის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია: ჯერ ერთი, ბოლოს და ბოლოს, დასრულდება „ნადავლის სისტემით" (spoils system) ყველა დონის სახელისუფლ სტრუქტურების ჩამოყალიბების ტრადიცია და ნელ-ნელა ადგილს დაიმკვიდრებს „ღირსების სისტემა" (merit system); მეორე მხრივ, საქართველო დაადგება ბუნებრივი (სამხარეო) განვითარების გზას.

კიდევ ორ დადებით მომენტზე შეიძლება ყურადღების გამახვილება - მულტიპარტიული პარპაში, რაც ირიბად საზოგადოებაში ოქლოკრატიული ტენდენციების გაღრმავებას უწყობს ხელს, შეიცვლება რეალური მრავალპარტიული სისტემით; ადგილობრივ მართვას (თუ თვითმართვას) განახორციელებენ სათემო, საქალაქო, რაიონული (გარკვეულ დრომდე), სამხარეო სახელისუფლო სტრუქტურები.

შენიშვნის სახით დავსძენ, რომ მერიტოკრატია („ღირსეულთა მმართველობა"), რომელიც გათვლილია ერთპარტიულ მონაწილეობაზე, არ არსებობს. დემოკრატია უმრავლესობის მმართველობაა, უმრავლესობა კი უმცირესობებისგან უნდა შედგებოდეს (საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე).

პროცესი რთულია. მიუხედავად ამისა, მას დაწყება ესაჭიროება.

ლევან გიგინეიშვილი

(1972-)

ქართველი ფილოლოგი და პედაგოგი

- ტოლერანტობის ფენომენი ევროპის და საქართველოს მაგალითებზე, 2016წ. (ამონარიდი ვიდეო-ლექციიდან)

წყარო: ვიდეო-ლექცია ტოლერანტობის ფენომენი ევროპის და საქართველოს მაგალითებზე, 24 აპრილი, 2016წ. https://www.youtube.com/watch?v=rxPl-1ZOOtzE

ტოლერანტობის ფენომენი ევროპის და საქართველოს მაგალითებზე

ღირებულებები: ტოლერანტობა, მოქალაქეობა, თავისუფლება, უფლება

არის დიდი ტოლერანტობის ტრადიცია ჩვენს ტექსტებში, იოანე პეტრიწთან, როგორ იღებს ანტიკურ კულტურას, შოთა რუსთაველთან, ეს უდიდესი სამყაროა ტოლერანტობის. „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?" უცხოსთან გახსნილობის იდეა მთავარი იდეაა რუსთაველთან, სადაც უცხოების გახსნილობით ახალი სამყაროები ჩნდება.

ტოლერანტობის ევროპული ტრადიცია საქართველოში მაინც გაჩნდა და განმტკიცდა მე-18-მე-19 საუკუნეში, როცა ქართველები გაეხსნენ თვითონ ევროპულ კულტურას. დიდი ტოლერანტობაა ილია ჭავჭავაძესთან როცა სინდისის ტრადიციაზე ლაპარაკობს. ადამიანი პატარა ღმერთს, თავის სინდისს უსმენს და სხვაშიც აღიარებს ამ პატარა ღმერთს, სინდისს, ამ სინდისით შენ თვითონ იკვლევ რეალობას და შენ პატივს სცემ სხვის აზრს ყოველთვის. ილია როგორი წინააღმდეგი იყო, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის მერე აჭარა შემოუერთდა რუსეთის იმპერიაში და იყო საკითხი, აი, ეს მუსლიმი ქართველები არიან და როგორ მოვეპყროთ მათ, იყვნენ შეზღუდული აზროვნების მღვდელმთავრები და ამბობდნენ, ახლა მივაჩეჩოთ მუსლიმ ქართველებს მართლმადიდებლური ბროშურები და ეგრევე გავაქ-

რისტიანოთ, ილიამ თქვა, რას აკეთებთ, ამითი ხომ თქვენ უპატივცემულობას უცხადებთ ამ ხალხს, სარწმუნოება ხომ არ არის ასეთი ხელწამოსაკრავი საქმე, ძალიან ღრმა გადანყვეტილებაა. თქვენ გინდათ ერთი ათგვერდიანი ბროშურით ეს ხალხი გადმოიყვანოთ ქრისტიანობაზე?! ...დააფასეთ ადამიანი თავის თავისუფლებაში, მისი პიროვნება დააფასეთ იმავე რჯულში რომელშიც არის. მიეცით მას სამოქალაქო აქტივობის სივრცე, თავისი საქმით აჩვენოს როგორ უყვარს საქართველო, გაამახვილეთ ყურადღება საერთო ისტორიაზე, ენაზე, რად გინდათ ძალადობა?! ამით დააფრთხეს კიდევაც ბევრი მუსლიმი რომელთაც უპირებდნენ პროზელიტობას.

ვაჟა-ფშაველას მთელი პოემები ტოლერანტობაზეა, ერთმანეთთან როგორ გადაკვეთაა სხვადასხვა კულტურის და აღმოჩენა რაღაც უნივერსალურის, რომ კულტურა არ ამონურავს ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება სუნთქავს კულტურათშორის ამიტომ მე შეიძლება მუსლიმი ვიყო მაგრამ აღმოვაჩინო ის რაც მაახლოებს ქრისტიანთან ან პირიქით. შეიძლება ისეთი რამ აღმოვაჩინო რაც საკუთარ კულტურულ მოცემულობასთანაც კი მაუცხოებს.

...თანამედროვე საქართველოზეც შეიძლება დავსვათ შეკითხვა, ვართ თუ არა ვართ ტოლერანტები, რამდენად შემწყნარებლები ვართ სხვის მიმართ. შემწყნარებლობა არ არის ყველაფრის უპრობლემოდ მიღება, შეიძლება არ მომწონდეს რაღაც მაგრამ მე ვალდებული ვარ მოთმენის, მე არ მაქვს უფლება რომ შევიჭრა სხვა ადამიანის პირად სივრცეში, იმ სივრცეში რასაც ილია ჭავჭავაძე პიროვნულ ხელშეუხებლობას არქმევს. ... ეს არის „დიადი სიჩუმის" მდგომარეობა სადაც მე შემიძლია რაღაცები გადავწყვიტო მხოლოდ ჩემი თავისთვის. აი, ამ სივრცეში არ შეიძლება შეტოპვა. ამ სივრცეს პატივისცემა უნდა ნებისმიერი ადამიანის მიმართ...კანონი უნდა დავიცვა ნებისმიერ შემთხვევაში.

გიგი თევზაძე
(1967-)

ქართველი სოციოლოგი და ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი (2006-2014). 2016 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააარსა კრიტიკული აზროვნების გამავრცელებელი საზოგადოება - კრიტიკული აზროვნების სკოლა.

- პირდაპირი დემოკრატიის შესახებ, 2017წ.

(თანამედროვე სამყაროში, არსებული ტექნოლოგიების პირობებში, რა საჭიროა პარლამენტის წევრების არჩევა, როდესაც შეიძლება პირდაპირ მთავრობის წევრები აირჩიო?)
წყარო/ბმული: https://bit.ly/2SZK4Ps

პირდაპირი დემოკრატიის შესახებ

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია,
მმართველობა, გამჭვირვალობა,
ანგარიშვალდებულება, მოქალაქეობა.

რაკი კონსტიტუციის შესახებ მიდის კამათი, მეც შევიტან წვლილს ამ პროცესში. პირველი, რაც მინდა ვთქვა, არის ის, რომ სახელმწიფოს არსებული მართვის სისტემა, რომელიც კონსტიტუციაშია ასახული, გარდაუვლად და უიმედოთ დაძველდა. და არა მარტო საქართველოში. ყველგან. დაძველდა სწორედ იმიტომ, რომ დღევანდელი ტექნოლოგიები სულ სხვა ტიპის, ბევრად უფრო ეფექტურ და გამჭვირვალე მმართველობითი სისტემების შესაძლებლობას გვთავაზობენ.

პარლამენტის, ხელისუფლების შტოების და მსგავსი ფენომენების წარმოშობა დაკავშირებულია წარმომადგენლობითობის და ძალაუფლების კონტროლის პრობლემებთან: თუკი გვინდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ხმის უფლების მქონე მოქალაქეების მეტ-ნა-

კლებად სრული გამომხატველი იყოს, მაშინ ჯერ უნდა ავირჩიოთ ის ხალხი, ვინც მათ აირჩევს და შემდეგ ვაკონტროლოთ ისინი – სასამართლოთი, მედიათი, შემდგომი არჩევნებით და ა.შ.

ეს ყველამ ვიცით. მაგრამ, თუკი გვეტყვიან, რომ თანამედროვე ტექნოლოგია იძლევა საშუალებას მოქალაქემ, ხმის უფლების მქონე სუბიექტმა, პირდაპირ აირჩიოს და შემდეგ აკონტროლოს მთავრობის და სასამართლოს წევრი? მაშინ? რა საჭიროა კიდევ ვიღაც გამაშუალებელი ამომრჩეველსა და მთავრობის წევრს/მოსამართლეს შორის?

ამის წაკითხვის შემდეგ იკითხავთ: კი, მაგრამ, უზურპაცია? კონტროლის შესუსტება? კორუფცია? საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაყოფა?

უზურპაცია და კორუფცია ნაკლებად სავარაუდოა, თუკი ტექნოლოგიურად იქნება უზრუნველყოფილი მთავრობის წევრის გადარჩევა. მაგალითისთვის, წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება: თქვენ ხმას ელექტორნულად აძლევთ კონკრეტულ კანდიდატს. ის, რომ თქვენ ამ კანდიდატს დადებითი ხმა მიეცით, ეს ფიქსირდება, ანონიმურად, დიდ, კარგად დაცულ და დეცენტრალიზებულ სისტემაში. შემდეგ, თუკი კანდიდატი გახდა მინისტრი, ჩაირთვება გადარჩევის, გაწვევის ბლოკი, რომელიც მხოლოდ იმათ უარყოფით ხმებს დააფიქსირებს, რომლებმაც ამ მინისტრს დადებითი ხმა მისცეს. როგორც კი უარყოფითი ხმების რაოდენობა საერთო დადებითი ხმების 2/3-ს გადააჭარბებს, მინისტრი ავტომატურად გაიწვევა თანამდებობიდან. მისი ადგილი შეიძლება მეორე ადგილზე გასულმა კანდიდატმა დაიკავოს (რომელიც შეიძლება, ამ დორისათვის, მინისტრის მოადგილის თანამდებობაზეც იყოს) და ა.შ. ზემოდაღწერილი მხოლოდ მაგალითია: ბევრი სისტემის მოფიქრება შეიძლება. თანამედროვე ტექნოლოგია ამისათვის თითქმის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა).

ცხადია, ასეთი არჩევნებისას, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სოციალურ მედიას: საარჩევნო კამპანიები ძირითადათ სოციალურ მედიაში იწარმოებს. ამ სისტემაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრადიციული დიაქრონული მედია შეინარჩუნებს ჩვეულ ადგილს და მნიშვნელობას (ამაზე, უფრო მეტი, იხილე აქვე: www.blogmedia.ge/გიგი-თევზაძე-ტრადიციული/). რაც შეეხება მოსამართლეებს, ვფიქრობ, ისინი, უვადოთ უნდა იყვნენ არჩეულები, გაწვევის უფლების გარეშე.

კანონშემოქმედებაო, იკითხავთ. ვფიქრობ, პირდაპირი წესით არჩეული 10-12 ადამიანი უფრო კარგად გაართმევს თავს კანონების წერას, ვიდრე ახლანდელი პარლამენტები. მით უმეტეს, თუკი გაწვევის მექანიზმი იარსებებს.

ცხადია, ეს სისტემა გულისხმობს ქალაქების/სოფლების მმართველობის პირდაპირ არჩევასაც.

არც ის არის ვინმესათვის დასამალი, რომ დღეს არსებულ არჩევნებში, არა მარტო საქართველოში, გლობალურად, ხმას არა იმდენად იდეოლოგიებს, არამედ, კონკტრეტულ პროექტებს აძლევენ, რომლის განმახორციელებელებიც კონკრეტული ადამიანები არიან. მაშინ რაღა საჭიროა ეს შლეიფები – საკანონმდებლო ხელისუფლების სახით?

დეტალები, რა თქმა უნდა დასამუშავებელია. მაგალითად, რა ფუქციები ექნება პრეზიდენტს, სანამდე გაფართოვდება/დაზუსტდება სასამართლოს უფლებები და ა.შ. თუმცა, ჩემთვის ერთი რამ ცხადია: თუკი ვფიქრობთ სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე სისტემაზე, არ ვიფიქროთ ტექნოლოგიური განივთარების და მოცემულობის კონტექსტში,

უაზრობაა და კონტრპროდუქტიულია: ტექნოლოგიური განვითარება ავითარებს სოციალურ სისტემას. სახელმწიფო მართვის სისტემა კი ისეთივეა, როგორც სამი-ოთხი საუკუნის წინანდელი სოციალური სისტემების დროს. თუკი არ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიურ მოცემულობას, ყოველთვის და გარდაუვლად, მოძველებულ და არაეფექტურ სისტემას მივიღებთ.

რას მოგვცემს ასეთი სისტემა: 1. მთავრობაზე დანახარჯების შემცირებას; 2. მთავრობის პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულობის გაზრდას; 3. მთავრობის მეტ წვდომას ამომრჩევლის მიერ; 4. მეტ თავისუფლებას ქვეყანაში: თუკი განვევის მექანიზმი იმუშავებს, ყველა მინისტრი იქნება ორიენტირებული რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა დაუთმოს საზოგადოებას და ნაკლები დაიტოვოს (რაც მეტი პასუხისმგებლობა აქვს მინისტრს, მით მეტი უკმაყოფილო ეყოლება და მით მეტია მისი განვევის შანსი) და მხოლოდ დამარეგულირებელ/ გამაუმჯობესებლის ფუქნცია ჰქონდეს; 5. ეკონომიკის სწრაფ ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, ყოველ მოქალაქეზე აისახება და ყოველი მომდევნო არჩევნების შედეგად უკეთესი მთავრობა და სასამართლო გვეყოლება.

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იქნებ, სიტყვა „მინისტრს“ დაუბრუნდეს პირვანდელი მნიშვნელობა: ქვეყნის/სფეროს მმართველის გაუმართლებელი კონოტაცია, ისეც მსახურის და მომსახურის შინაარსმა შეცვალოს. რაც მოსალოდნელია, იმდენად, რამდენადაც, ამ სისტემაში, მთავრობის წევრის დაქირავებაც და დათხოვნაც რეალური და ხელშესახები გახდება.

ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, სავარაუდოა, რომ პოლიტიკური პარტიები შეწყვეტენ არსებობას, ან მთლიანად, ან – ახლანდელი ფორმით. როდესაც მთელი პარტიის მუშაობის შედეგი 10-12 ადამიანის თანამდებობაა, თან პარტიის მიერ ფორმალურად/რეალურად გაუკონტროლებელი თანამდებობა, საეჭვოა ამ სისტემამ ბევრ ადამიანში გამოიწვიოს პარტიის წევრობის ენთუზიაზმი.

ცხადია, არ ვფიქრობ, რომ ასეთი სისტემა პირველად საქართველში დაინერგება. თუმცა, ის, რომ თანამედროვე ტექნოლოგია და კომუნიკაციის სისტემები ამის საშუალებას იძლევა, უეჭველია. რატომღაც მგონია, რომ პირველად ამის მსგავს სისტემას ჩრდილო ევროპის რომელმე ქვეყანაში განახორციელებენ. ვნახოთ. მართლაც, რა საჭიროა წარმომადგენლობითობა და ამდენი დანახარჯი, როდელიც საბოლოო ჯამში ეფექტურობის საწინააღმდეგოა, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები პირდაპირი დემოკრატიის საშუალებას იძლევა?

არადა, საქართველოშიც კარგი იქნებოდა. რამდენი უაზრო სისტემა/ქვესისტემა გაუქმდებოდა, რამდენ ადამიანს მიეცემოდა შესაძლებლობა, აღარ ეფიქრა „ადვილად“ წარმატების მოპოვებაზე, აღარ ემუშავა დამღუპველი ბიუროკრატიის შენარჩუნებაზე და საკუთარი ინტელექტი კერძო/საზოგადოებრივ საქმეზე და განვითარებაზე მიემართა.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოლიტიკურ-სოციალური პროექტი, 2018წ.

წყარო/ბმული: https://bit.ly/2YmqPFN

ღირებულებები: თავისუფლება, საზოგადოება

შესავალი

ორ საუკუნეზე მეტია „ვეფხისტყაოსანი“ [ჯერ] ევროპის და [შემდეგ] მსოფლიოს შუა საუკუნეებით დაინტერესებულ ინტელექტუალთა თვალთახედვის არეალში მოექცა. მან მალევე მოიპოვა კონტრეტული – შუა საუკუნეების სარაინდო რომანის სტატუსი, რამაც ხაზი გაუსვა საქართველოს მიკუთვნებულობას იმდროინდელი შუა საუკუნეების ლიტერატურის [და, შესაბამისად, კულტურის] main-stream-ისათვის[1]. თუმცა ის მაინც რჩება უცნაურ, ორმაგ ფენომენად:

1. არაქართულენოვანი მკითხველისათვის ის წარმოადგენს, მართალია, შუა საუკუნეების გლობალური კონტექსტის ნაწილს, მაგრამ მაინც ლოკალურ, მხოლოდ საქართველოსათვის მნიშვნელოვან სარაინდო რომანს, რომლის გეოგრაფიული და ისტორიული ადგილი სადღაც „შაჰ-ნამეს“ და „სიმღერა როლანდზე“ შორის არის განლაგებული.

2. ქართველებისათვის, შუა საუკუნეების, კოლონიალური, პოსტკოლონიალური, მოდერნული, პოსტმოდერნული და პოსტპოსტმოდერნული ლიტერატურის მიუხედავად, „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ კიდევ რჩება ძირითად ტექსტად, რომლის ინტერტექსტუალური რეფერირება, ალუზია, დეკონსტრუქცია და რეკონსტრუქციაც მიმდინარეობს[2]. თანამედროვე სამყაროში ძნელია იპოვო ისეთი ვითარება, სადაც აქტიური ლიტერატურის ხერხემალი კვლავ 9 საუკუნის წინ დაწერილი ტექსტია.

ამ ქართული აღქმის მიზეზად, ქართველი მწერლების გაუნათლებლობას და პროვინციალიზმს ვერ დავასახელებთ: პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ჩახედულია ქართველი მწერალი თანამედროვე ლიტერატურის ტექნიკებში და პროცესებში, მით უფრო მიმართავს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც შემოქმედების წყაროს. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ ქართველი მკვლევარები, მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე, ძალიან ნოყიერ ნიადაგს პოულობენ „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა თეორიის თუ ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრების ნაკვალევის აღმოსაჩენად: აქაც, პროვინციალიზმი არ არის განმართლება: ამ მკვლევარების ნაწილი კარგად იცნობს და იცნობდა თანამედროვე აზროვნებას და მის გამოხატვებს [3].

თუკი დავუშვებთ, რომ ქართული აღქმა არ არის პროვინციალური და ტექსტს ადეკვატურად აღიქვამს, მაშინ კითხვა უნდა შევაბრუნოთ და „ვეფხისტყაოსნის“ ევროპელ მკვლევარებს გადავხედოთ: იქ ხომ არ არის რაიმე მიზეზი, რომლის მიხედვითაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაზიარებული ინტერპრეტაცია ჩამოყალიბდა: „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ენაზე წამკითხველ პირველ უცხოელ მკვლევარებს/მთარგმნელებს (XIX-XX საუკუნეები) რომ გა-

დავხედოთ, ვნახავთ უცნაურ ფაქტს: არც ერთი მათგანი არ იყო შუა საუკუნეების ლიტერატურის ან, თუნდაც ზოგადად, შუა საუკუნეების კულტურის სპეციალისტი. აი, მათი სია:

მარი ბროსე (1802-1880) – ჟურნალისტი, ლიტერატორი;
არტურ ლაისტი (1852-1927) – ჟურნალისტი და მთარგმნელი;
ნიკო მარი (1864-1934) – ენათმეცნიერი;
ბელა ვიკარი (1859-1945) – ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი;
ნიკოლაი ზაბოლოცკი (1903-1958) – პოეტი, მთრგმნელი;
ჰუგო ჰუპერტი (1902-1982) – მთარგმნელი;
მარჯორი უარდროპი (1869-1909) – მთარგმნელი;

მათი უმეტესობა გამოირჩეოდა ქართული ენის კარგი ცოდნით და ასევე იმით, რომ არ იყო შუა საუკუნეების კულტურის სპეციალისტი. შედეგად, მათი წარმოდგენები შუა საუკუნეების ლიტერატურაზე არ უნდა გასცდენოდა, ზოგადად, კარგი განათლების მქონე ჰუმანიტარის ცოდნის ფარგლებს. არ არის გასაკვირი, რომ „ვეფხისტყაოსანი" და შუა საუკუნეების სპარსულ/ ინდურ/ევროპული ეპოსი ერთმანეთთან არავის შეუდარებია[4].

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ არც „ვეფხისტყაოსნის" მეოცე საუკუნის საბჭოთა პერიოდის ქართველი მკვლევრები გამოირჩეოდნენ. კორნელი კეკელიძეს თავის „ქართული ლიტერტურის ისტორიაში" არაერთი გვერდი აქვს მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნისათვის",[5][6] თუმცა, არ აქვს გაკეთებული არცერთი შედარება შუა საუკუნეების სხვა სარაინდო რომანებთან. შესაძლებელია ეს საბჭოთა ცენზურის გამოც ხდებოდა: საბჭოთა კავშირის პირველ ათწლეულებში და შემდეგაც, რეპრესიულ მანქანას შეეძლო მკაცრად დაესაჯა ყველა, ვინც რაიმე პარალელს ავლებდა ბურჟუაზიული სამყაროს ისტორიასთანაც კი.

რომ შევადაროთ „ვეფხისტყაოსანი" სხვა, დაახლოებით მე-7-[5][6]-დან (კელტური ეპოსის „Táin Bó Cúailnge" და აღმოსავლეთ რომაული „დიგენის აკრიტასის" შემქნის დრო) მე-16 საუკუნემდე (არიოსტოს „გახელებული როლანდის" დაწერის დრო) დაწერილ ეპოსებს, საინტერესო სურათს მივიღებთ. შესაძლებელია გავაკეთოთ ოთხი მნიშვნელოვანი ნიშანის იდენტიფიცირება, რაც „ვეფხისტყაოსანს გამოარჩევს ამ პერიოდის სარაინდო რომანებისაგან.

1. სასწაულების მინიმალიზაცია/არარსებობა:

„ვეფხისტყაოსანი" უცნაურად სეკულარული ეპოსია: ძალიან რეალისტურია. უფრო ქრონიკებს ჰგავს, ვიდრე სარაინდო რომანს. თუმცა, ფორმაც, გადმოცემის წესიც და პესონაჟებიც სარაინდო/ზღაპრულია: უცხო ქვეყნები, უცხო მეფეეები, უცხო მხარეები. თუმცა, ამ ფორმის მიუხედავად, მასში არ არსებობს არც ერთი მაგიური ნივთი, სასმელი, ქმედება, ჯადოქარი. ყველა ფენომენი, სიტყვიერად აღწერილი როგორც საოცრება, მოგვიანებით აღიწერება, როგორც დახელოვნების შედეგი; ხოლო ყველა ნივთი, თავდაპირველად მოხსენიებული როგორც ჯადოსნური, შემდეგ ზუსტდება როგორც ოსტატური ნაკეთობა. მაგალითად, გრძნეულ ქაჯთა ხსენებისას სწრაფი დეკონსტრუქციაც ხდება – ავტორი ამბობს, რომ ქაჯები, უბრალოდ, განსწავლული და დახელოვნებული ადამიანები არიან. ერთადერთი ჯადოსნური მომენტი, რომელიც არ არის დეკონსტრუირებული, ფატმანის მონის სისწრაფეა. თუმცა, ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც, ეს სისწრაფე უფრო მხატვრული ხერხია, ვიდრე სიუჟეტის

არსებითი ნაწილი. ასეთ სარაინდო რომანს შუა საუკუნეები არ იცნობს: ისტორიულ ეპოსებსაც კი, წინ უძღვის მითოლოგიური გარემო; ხშირად ისტორიული თხზულებებიც/ეპოსებიც არ არის თავისუფალი სასწაულებისაგან და ჯადოსნობებისაგან.

ყოველივე ამის ფონზე, „ვეფხისტყაოსანი" სრულიად გამორჩეული ტექსტი უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების ნარატიული კულტურის ფონზე და, ალბათ, ისეთივე ზეგავლენა უნდა მოეხდინა მკითხველზე, როგორც „ჰარი პოტერმა" მოახდინა, ოღონდ პირიქით: თუკი როულინგმა ყველას დაანახა, რომ ჩვენს რუტინულ სამყაროს დამატებული ფანტაზია საოცარ შედეგებს იძლევა, „ვეფხისტყაოსნის" ავტორმა ყველას აჩვენა, რომ რუტინულ სასწაულებს მოშორებული ცხოვრებაც ისევე საინტერესოა და რომ ყველა შეიძლება გახდეს მის ნარატივებში აღწერილი ამბების წევრი[7].

2. სასულიერო პირების არარსებობა:

„ვეფხისტყაოსანში" ისეთი პერსონაჟიც კი არ არსებობს, რომლებიც მიახლოებით მაინც მოაგონებდა მკითხველს სასულიერო პირს; მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც ნახსენებია „მუყრნი და მულიმნი" (სტრ. 351), და ისიც სეკულარულ კონტექსტში, შესაბამისი, დამცინავი კომენტარით. მეტიც, არ არსებობს არც ერთი „ბრძენი მოხუცი", რომელმაც ოდნავ მაინც შეიძლება მოგვაგონოს სასულიერო პირი.

სრულიად შესაძლებელია, რომ „ვეფხისტყაოსანი" ამიტომაც იყო საუკუნეების განმავლობაში ეკლესიის მხრიდან დევნის ობიექტი და, ალბათ, ამითვე აიხსნება მისი უზომო პოპულარობა საქართველოს ტერიტორიაზე: შესაძლებელია, ამ მხრივ, „ვეფხისტყაოსანი" ჩვენთვის უცნობი პოლიტიკური სეკულარული მოძრაობის ანარეკლია, რომელიც ჰყვება, რომ შეიძლება არსებობდეს გარემო სასულიერო პირების გარეშე, სადაც ადამიანი, ავთანდილივით, პირდაპირ მიმართავს ღმერთს. ამ მხრივ, „ვეფხიტყაოსანი" სეკულარიზმის მანიფესტია.

3. „მოხუცების ადგილი აქ არ არის":

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მოხუცები რომანში მეორეხარისხოვანი/პასიური/უარყოფითი პერსონაჟები არიან: როსტევანი, რომელიც დადებითი, მაგრამ პასიური პერსონაჟია და ახალგაზრდებს უჯერებს; ფარსადანი, რომელიც აქტიურია, მაგრამ მხოლოდ უარყოფით საქმეებს სჩადის (სარიდანის სამეფოს მითვისება, ხვარაზმშას მოწვევა სიძედ, ნესტან- დარეჯანის გაგზავნა ქაჯებთან). ეს უცნაური თემაა სარაინდო რომანებისათვის; ბრძენი მოხუცი, რომელიც პროტაგონისტებს სწორ რჩევებს აძლევს, ეხმარება, სათავგადასავლო ლიტერატურის კანონია, „შაჰნამედან" და „ტრისტან და იზოლდადან", „რომეო და ჯულიეტამდე".

4. საეკლესიო და საერო კონტროლისაგან თავისუფალი გზები:

ჩვენთვის, ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანის" გმირები უდაბნოში გადაადგილდებიან და მხოლოდ მოგზაურებს თუ ხვდებიან, არ არის უჩვეულო, თუმცა, შუა საუკუნეების ქართველისათვის ეს ძალიან უცნაური ვითარება უნდა ყოფილიყო: ვახტანგ გორგასალის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს გზები „აღჭურვილი" იყო მონასტრებით, რომლებიც გზების გაკონტროლებელის და მცველის ფუქციას ასრულებდნენ. მონასტრები ერთმანეთისგან

ერთი ან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდნენ, რაც ერთსა და იმავე დროს, მოგზაურის კომფორტის და კონტროლის საშუალება იყო. მონასტრების უშუალო გამგებელი საქართველოს ეკლესია იყო. შესაძლებელია, ამიტომაც იყო შუა საუკენეებში ამდენი დაპირისპირება მეფეებსა და ეკლესიას შორის – ვინც აკონტროლებდა ეკლესიას, ის აკონტროლებდა სავაჭრო გზებს და მას ჰქონდა მეტი ფული.

არის კიდევ ორი ნიშანი, რომლებიც ასევე გამოარჩევს „ვეფხისტყაოსანს" შუა საუკუნეების სარაინდო ეპოსებიდან – უნივერსალიზმი: 1. იმდროინდელი ყველა ლიტერატურული სიუჟეტის ინკორპორირება და 2. ყველა სიმბოლოს, ხატის და ოპოზიციის გამოყენება, რაც მიღებული იყო შუა საუკუნეების ინტელექტუალთა წრეებში[8]. ეს ორი ნიშანი ხსნის „ვეფხისტყაოსნის", როგორც ლიტერატურული ნაწარმოების, დღესაც პოპულარობას და დაუძველებლობას, თუმცა უშუალო კავშირი „ვეფხისტყაოსანთან", როგორც სოციალურ-პოლიტიკურ პროექტთან არ აქვს.

რას შეიძლება მიუთითებდეს ეს ოთხი ნიშანი, რომელიც გამოარჩევს ვეფხისტყაოსანს ყველა მანამდელ, თუ შემდგომად დაწერილ სარაინდო რომანებისაგან? ეს ოთხი ნიშანია:

1. სათავგადასავლო რომანი ჯადოქრობის და ჯადოსნობის გარეშე;

2. პრინციპულად სეკულარული სამყარო, ადამიანის პირდაპირი კავშირი ღმერთთან, ყოველგვარი მედიატორების გარეშე;

3. სამყარო (ქვეყანა), რომელიშიც მოხუცების ადგილი არ არის: მართებულის, სწორი ქცევის და ახალგაზრდობის დაკავშირება ერთმანეთთან;

4. გზები სასულიერო და საერო კონტროლის გარეშე – გადაადგილების სრული თავისუფლება.

დასკვნა

ვფიქრობ, ცხადია, რომ ეს, ერთის მხრივ, რეალისტური, მაგრამ, ამვე დროს, სრულიად ახალი სამყაროა: სამყარო, სადაც არ არის რელიგია, სადაც არ მართავენ მოხუცები, სადაც გადაადგილება თავისუფალია, საერო და საეკლესიო კონტროლის გარეშე.

ვფიქრობ, სიმართლესთან ახლოს იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ამ კუთხით აღწერილი „ვეფხისტყაოსანი" პოლიტიკური და სოციალური პროექტია – სამყაროს სურათი, თუ როგორ არის შესაძლებელი სხვა სამყარო, სადაც მეტი თავისუფლებაა და სადაც თავისუფლების შეზღუდვები მინიმუმადეა დაყვანილი.

მაგრამ, ერთი შეხედვით ეს ლოგიკური დასკვნა უფრო მეტ კითხვებს წარმოშობს, ვიდრე პასუხებს: ვინ იდგა ამ პროექტის უკან? ვინ დააფინანსა ჯერ ამ პროექტის პროცესი, და შემდეგ, წიგნის საოცრად ეფექტური გავრცელება? საერთოდ, „ვეფხისტყაოსანი" ერთი ადამიანის დაწერილია, თუ რამდენიმეს? პროექტის მასშტაბურობა და მიზანი იმდენად გრანდიოზულია, რომ სავსებით შესაძლებელია ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მას ერთი ავტორი ჰყავდა. თუმცა, ის, რომ თუ პოემის დაწერაში არა, მის გავრცელებაში და პოპულარიზაციაში ნამდვილად რამდენიმე, თანაც ძალაუფლების და სიმდიდრის მქონე ადამიანს უნდა მიეღო მონაწილეობა, ვფიქრობ, დიდად სარწმუნოა.

„ვეფხისტყაოსანი" ნამდვილად არ არის ხელისუფლების პროექტი. ვერსია, თითქოს „ვეფხისტყაოსანი" ოფიციალური პოლიტიკის (დემნა უფლისწულის და მისი მომხრეების

რეპრესიები და თამარის მამის მიერ სამეფო ტახტის უზურპაცია) გასამართლებლად იწერება, არ უნდა იყოს სწორი. „მიბრძანეს მათთა საქებრად", როგორც ჩანს, მიმიკრიაა, თუნდაც იმიტომ, რომ ტარიელის პროტოტიპი აშკარად დემნა ბატონიშვილია, ხოლო ხვარაზმშას – ან გიორგი რუსი, ან დავით სოსლანი. მაშინ რა მოხდა? შეგვიძლია, ძალიან მოკრძალებული რეკონსტრუქციით, დავუშვათ, რომ „ვეფხვისტყაოსანი" ახალგაზრდა, მდიდარი, ხელისუფლებასთან დაპირისპირებული არისტოკრატების პროექტია, რომელთა მიზანიც ქვეყანაში (და ალბათ, არა მარტო) სოციალური და პოლიტიკური სისტემის შეცვლაა: მიზანი კი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც მართავენ ახალგაზრდები, სადაც არ არის რელიგია და სადაც ყოველ ადამიანს გადააადგილების სრული თავისუფლება აქვს. ამ მიზნის მისაღწევად მათ უცნაური, და ალბათ, მათი გადმოსახედიდან, ეფექტური გზა აირჩიეს: ასეთი ქვეყნის მიღწევა შეუძლებელია ცნობიერების, იდენტობის ძირეული ცვლილების გარეშე. ამიტომ, მათ შექმნეს, მანამდე წარმოუდგენელი და არარსებული, მხატვრული და იდეური ძალის პოემა, რომელსაც გავრცელებისას უნდა მოენადირებინა ადამიანების გულები, მათ თავში ჩამჯდარიყო და ასე გამოეწვია სასურველი ცვლილება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ეკლესია საუკუნეების განმავლობაში სდევნიდა ამ წიგნს, როგორც საკუთარი ძალაუფლების ყველაზე დიდი საფრთხეს. ანდა, სრულიად შესაძლებელია, წიგნის გავრცელებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ახალგაზრდა არისტოკრატები მსგავს რევოლუციას გეგმავდნენ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" მკითხველისათვის იდეურად უკვე მისაღები უნდა ყოფილიყო.

როგორ დამთავრდა პროექტი „ვეფხისტყაოსანი"? რევოლუცია არ მოხდა, თუკი დაგეგმილი იყო. თუმცა, თვითონ პროექტის შედეგი მაინც არ არის ერთმნიშვნელოვანი: არც წარუმატებელია, მაგრამ არც წარმატებული: „ვეფხისტყაოსანი" ნამდვილად ჩაჯდა ყველა ქართველის თავში, მაგრამ ცნობიერების ცვლილება არ გამოიწვია, ისევ და ისევ იმის გამო, რომ ადამიანი ორიენტირებულია დაინახოს და გაიგოს არა ის ახალი, რასაც მას სთავაზობენ, არამედ ის, მან რაც უკვე იცის.

და ბოლოს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუკი ეს ყველაფერი ასეა და ზედაპირზეა, რატომ არ არის ეს ცხადი უცხოელი და ქართველი მკვლევარებისთვის? ბოლოს და ბოლოს, რატომ არავის არ მიუქცევია, ამ, აშკარად ზედაპირზე მყოფი ფაქტებისათვის, ყურადღება?

პასუხი, ვფიქრობ, მარტივია: „ვეფხვისტყაოსანი" არასოდეს მოხვედრილა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის სერიოზული მკვლევარის თვალთახედვის არეში. ხოლო რაც შეეხება განათლებულ არასპეციალიტებს: თანამედროვე (modern) მკითხველისათვის რაინდები, ნადირობა, მიჯნურობა, სიყვარული, ცხენდაცხენ და საზღვაო ბრძოლები იმდენად არის რომანტიკით და ზღაპრულობით მოცული, რომ „ვეფხისტყაოსანი" განწირულია, იყოს აღქმული როგორც ჩვეულებრივი ზღაპრული სარაინდო რომანი.

შენიშვნები:

[1] Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, СПб., 1802; M. Brosset, Recherches sur la poesie georgienne, Nouveau journal Asiatique, V, 1833.

Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витяза в барсовой коже Шоты из Рустава.

Грузинский текст, русский перевод и пояснения с этюдом „Культ женщины и рыцарство в поэме", ТР, XII, Санкт-Петербург, 1910

[2] Chota Ruslaveli, L'homme a la peau de leopard. Texte francais de m. Georges Gvazava et de m-me Anie Marcel-Paon, Paris, 1938;

[3] Schota Rusthaveli, Der Recke im Tigerfell, Altgeorgisches Poem, Deutsche Nachdichtung von Hugo Huppert, Berlin, 1955, 1970 აგრეთვე, იხ. „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში". თბილისი, 1976. იხ. აკა მორჩილაძე, „წიგნი" თბილისი, 2003; პაატა შამუგია, „ანტიტყაოსანი". თბილისი, 2007;

ინტერვიუ რობერტ სტურუასთან, გაზ. „24 საათი", 15 თებერვალი, 2003

[4] გამონაკლისს წაარმოადგენს ვიქტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელი ხელნწერი, სადაც ის შუა საუკუნეების სარაინდო და ეპილური პოემების და „ვ"-ს სიუჯეტებს დარებს ერთმანეთს.

[5] [6] კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 149-160

[7] თუმცა, ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ თუკი როულინგმა არსებული [ფენტეზის] ტრადიცია გააგრძელა და საყოველთაოდ მისაღებად/გაზიარებულად აქცია, „ვეფხისტყაოსნის" ავტორის პროექტი ჯერ-ჯერობით – უპრეცენდენტოდ გამოიყურება. „ვ" თვითონ გვევლინება ტრადიციის შემქმნელად.

[8] იხ. გიგი თევზაძე „ვ?": ბოლოს და ბოლოს რა არის ეს „ვეფხისტყაოსანი". ჟურნალში „კადმოსი". ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2013. https://bit.ly/2MsoUt0

როგორ ლპება ჩვენი სახელმწიფო, 2018წ.

წყარო/ბმული: https://bit.ly/314PmvG

ღირებულებები: თავისუფლება, დემოკრატია,
მმართველობა, პასუხისმგებლობა, გამჭვირვალობა,
ანგარიშვალდებულება, კონტროლი, დეცენტრალიზაცია,
მოქალაქეობა.

ჩვენი სახელმწიფო სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებულია. ეს ყველამ იცის. მაგრამ, არა მგონია, ყველამ იცოდეს, რას ნიშნავს ეს. ყველამ იცის, რომ ცენტრალიზებულ სისტემაში სისტემის ყოველი რგოლი/საფეხური იერარქიულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. ხოლო ამ იერარქიის წვეროშია მთავრობა, მმართველი პარტია, პარტიის თავმჯდომარე.

მერე რა? იკითხავთ თქვენ. რა არის ამაში ცუდი? განა ცუდია ის, რომ პასუხისმგებლობა სისტემის მუშაობაზე პოლიტიკურია? განა ცუდია ის, რომ ერთი ხედვით, ერთი სტრუქტურით, ერთი მიზნით იმართება სისტემა? თუ რამე არ გამოდის, ეს ხომ კონკრეტული ადამიანების ბრალი უფრო უნდა იყოს, ვიდრე სისტემის? რა ჯობია ერთი, ჩამოყალიბებული სტრატეგიით მართვას? რა ჯობია, როდესაც ყველა ცალკეულ შემთხვევაში, განათლება იქნება ეს, კულტურა, ეკონომიკა თუ ჯანდაცვა, ერთი უწყება/ადამიანი მართავს და ყველა მასთანაა პასუხისმგებელი სისტემის მუშაობაზე?

ერთი შეხედვით თითქოს ასეა. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ეს სისტემა, ეს იერარქია, კონკრეტულ ადამიანებში გამოიხატება/ითარგმნება. ოღონდ, ეს იერარქიული ვერტი-

კალი იმდენად გრძელია, რომ ერთი ადამიანის არც დრო და არც შესაძლებლობები არაა საკმარისი, რომ ყველა პასუხისმგებელი სუბიექტი/ქვე-სისტემა შეამოწმოს და ანგარიში ჩაიბაროს.

ამიტომაცაა, ცენტრალიზებულ სისტემებში ბიუროკრატია აყვავებული: მმართველი ცდილობს, დაიქირავოს გადამბარებელი, სხვას გადააბაროს კონტროლი, ისე, რომ კონტროლი არ დაკარგოს. ჰოდა, ბიუროკრატიც ადამიანია. მასაც აქვს სურვილები და მისწრაფებები. მასაც არ აქვს საკმარისი დრო. ბოლოს ეს დაქირავებულიც ცდილობს დაიქირავოს ის, ვისაც გადააბარებს კონტროლს ისე, რომ თვითონ კონტროლი არ დაკარგოს და ა.შ. საბოლოოდ კი ისე ხდება, რომ ცენტრალიზებული სისტემა ყველაზე უკონტროლო, არაანგარიშვალდებულ სისტემად გადაიქცევა: არავის აქვს დრო, სისტემის მიხედვით, სისტემურად აკონტროლოს ქვემდგომების საქციელი. ამიტომ, სისტემა იმუშავებს დათქმებს: როდის უნდა ჩაერიოს ზემდგომი ქვემდგომების მოქმედებაში და აწესებს ჩარჩოებს, რომლის გადაკვეთაც ზემდგომის ჩარევას, დიდი ალბათობით, ფატალურს, იწვევს. ამ ზღვარის გადალახვა უპატიებელია. მაგრამ, იმდენად, რამდენადაც ცენტრალიზებული სისტემა ფართოვდება [პრინციპში, უსასრულოდ], და იერარქიული ვერტიკალი იზრდება, ეს ზღვარი საბოლოოდ, პოლიტიკურ ლოიალობაზე დაიყვანება.

ახალი არც არაფერი მითქვამს. ყველა ცენტრალიზებული სისტემა ერთნაირია: სრული თავისუფლება იერარქიის მმართველებს იმ დათქმით, რომ საზღვარი არ უნდა გადაიკვეთოს. შესაბამისად, ცენტრალიზებულ სიტემაში, ყველა, ვინც რაიმე ძალაუფლებას ფლობს, ამ ძალაუფლების ფარგლებში შეუზღუდავად მოქმედებს. იმიტომ, რომ ეს მმართველები ანგარიშვალდებულნი არიან იმათთან, ვისაც მათთვის არ სცალიათ. სხვა ყველა კი, მათი ძალაუფლების სამყაროში, უმნიშვნელოა. შედეგად, ცენტრალიზებული სისტემა იმას კი არ აპროდუცირებს, რისთვისაც შეიქმნა [მაგალითად, ადამიანის უსაფრთხოებას, ან - ადამიანის უფლებების დაცვას, ან - განათლების ხარისხს, ან - კულტურის ძეგლების დაცვას, ან - ეკონომიკის ზრდას], არამედ, იერარქიას. ცენტრალიზებული სისტემა მხოლოდ იერარქიის წარმოებას და კვლავწარმოებას ეწევა. ის მიზნები, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, სრულდება, ოღონდ, რაც უფრო და უფრო ცენტრალიზებული ხდება სისტემა, მით უფრო და უფრო ფორმალურად და ბოლოს, არც არავინ აქცევს მათ ყურადღებას: არც ის, ვისაც ევალება შესრულება (მთავრობა), და რაც მთავარია, არც ის, ვინც, კანონით, ეს მომსახურება უნდა მიიღოს (მოქალაქე).

არც ერთ შემთხვევაში ეს არ არის კონრეტული ფსიქიკური შემთხვევა: ცენტრალიზებულ სისტემაში ყველა მმართველი და მოქალაქე ასეთია. დეცენტრალიზებულში, სადაც პასუხისმგებლობის მაკონტროლებელი ბევრია [საზოგადოებები] - სხვანაირი. შესაბამისად, სტრუქტურა აიძულებს ადამიანებს ასე მოიქცნენ. და არა აღზრდა ან/და მემკვიდრეობითობა. „ინსტიტუტები ფიქრობენ, და არა ადამიანები" (მერი დუგლასი).

ჰოდა, ჩვენი სახელმწიფო სისტემა ასეთია. აი ანალოგია, რომელიც ვფიქრობ, დაგვეხმარება გავიგოთ, მაინც როგორი სისტემაა ეს: რა ხდება ცოცხალ ორგანიზმში, როდესაც კონტაქტი, კავშირი, მის უბნებს და ქვე-უბნებს შორის მინიმუმამდეა დაყვანილი? როცა ეს უბნები მხოლოდ განსაკუთრებულ ექსტრემალურ შემთხვევებში იწყენებ ერთმანეთთან სწრაფ

და დროებით ურთიერთობას? ეს ორგანიზმი ლპება. სულ ეს არის. და სულ ეს არის რაც ჩვენი სახელმწიფოს სისტემას ემართება. ლპობადი ორგანიზმიც ცოცხალია, თავისი სიცოცხლით: მასში ლპობის პროცესი მიმდინარეობს. ოღონდ, ეს პროცესი რადიკალურად განსხვავდება იმ, თავდაპირველი ორგანიზმის სოცოცხლისაგან. სხვა მიზნები და ამოცანები აქვს.

სისტემის ლპობა სხვადასხვანაირად ვლინდება. შეიძლება ეს - თამბაქოს წილების გადანაწილება და მინისტრის სარდაფში ჩათრევა იყოს, შეიძლება - სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი პროფესორის უნივერსიტეტიდან დათხოვნა. მიზეზი ერთია - სისტემის ლპობა. ყველა ეს აქტი - ლპობის მანიფესტაციაა.

შესაბამისად, ლპობად სისტემაში, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც კიდევ უფრო მეტ კონტროლზეა მიმართული, რაც არ უნდა მომგებიანად და ბრძნულად გამოიყურებოდეს მავანისთვის დროის კონკრეტულ მომენტში, მცდარია და ლპობის ხელშემწყობი. ასევე, საპირისპიროდ, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც სისტემის დეცენტრალიზაციაზე, პასუხიმგებლობების გავრცელებაზე/გადანაწილებაზეა მიმართული, სწორია. რაც არ უნდა ბუნდოვნად და გაუგებრად გამოიყურებოდეს ეს გადაწყვეტილება ცენტრალიზებული ქვრეტით.

ჩვენთის ძნელია ამ ლპობის დანახვა. უბრალოდ იმიტომ, რომ სხვანაირ სიტემაში არც გვიცხოვრია. ჯერ საბჭოთა კავშირში, მერე - დამოუკიდებელ საქართველოში. ვერ იტყვი, რომ არ იყო სხვა სისტემის შემქნის მცდელობები. მაგრამ, მხოლოდ მცდელობები და სხვა არაფერი. გარე თვალისთვის ეს მცდელობები შეუმჩნეველი დარჩა. ამიტომ, ლპობის პროცესის დრო-და-დრო გააქტიურება სისტემის განახლება გვგონია.

რა არის გამოსავალი? ჯერ-ჯერობით, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მოსწონს ლპობად სისტემაში ცხოვრება. მთავრობას - ცხადია რატომაც. ოპოზიციასაც: ყველას უნდა ცენტრალიზებულ სისტემას კენწეროში მოექცეს. ზოგს - გულუბრყვილოდ სჯერა, რომ სასიკეთო ცვლილებები ასე უფრო სწრაფად მიიღწევა, ზოგი - ვერ მალავს სწრაფი გამდიდრების სურვილს. დეცენტრალიზაციის ერთ-ორ დაპირებას თუ გაიგონებ (თუ არ ვცდები - მხოლოდ ვაშაძე და გირჩი), დეცენტრალიზაციის შესახებ მმართველი და ოპოზიციური პარტიების ორგანიზებული დუმილის ფონზე.

არადა, დეცენტრალიზაცია მხოლოდ ლპობის შეტრიალება არ არის. დეცენტრალიზაცია, ამავე დროს, პოლიტიკოსების და პოლიტიკის უსაფრთხოებაა. აბა წარმოიდგინეთ, სად უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს პოლიტიკოსი და უფრო ნაკლები პოლიტიკური ტრაგედიებია: როდესაც ერთი ხელის მოსმით, როდესაც „დრო მოდის", ყველა იცვლება და ახალმოსული მმართველები ყველას და ყველაფრის ცვლილებას იწყებენ, თუ როდესაც, ქვეყნის რამდენიმე რეგიონში, რომლებიც იმდენადაა დეცენტრალიზებული, რომ მათ საკუთარი ბიუჯეტი და გადასახადები აქვთ, ყოფილი მმართველი პარტია ინარჩუნებს მმართველ პოზიციას? ისე კი არა, როგორც ჩვენთან, ეს რეგიონები მხოლოდ ფორმალურად რომ არიან დამოუკიდებლები და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მმართველი პარტია ყველა ხერხს რომ მიმართავს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების თანამდებობიდან გადასაყენებლად.

მიხვდება ან ეს, ან მომავალი მთავრობა, რომ დეცენტრალიზაცია მათივე უსაფრთხოებაა? ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ვერცერთი მთავრობა და მმართველი პარტია ამას

ვერ მიხვდა. არადა, დღეს, ვფიქრობ, ზუსტად ის დროა, როდესაც, საკუთარ უსაფრთხოებაზე მზრუნველმა მთავრობამ რეალური დეცენტრალიზაცია დაიწყოს. იმიტომ არა, რომ ეს პროცესი ქვეყანას წაადგება, ეკონომიკა განვითარდება, განათლება, მეცნიერება და კულტურა აყვავდება. არა. ეს შედეგი იქნება, დეცენტრალიზაციის შემთხვევაში. მიზეზი - საკუთარი უსაფრთხოებაა. ახლო, ანდა, თუნდაც, შორეულ მომავალში.

წარსულის განვითარების სცენარები: სხვა ისტორია და სხვა მომავალი, 2018წ. (ნაწყვეტი - სხვა ისტორიის გაკვეთილები)

წყარო: გიგი თევზაძე - სხვა ისტორია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018წ., თბილისი.
ბმული: https://bit.ly/2Myhm70

ღირებულებები: თავისუფლება, სახელმწიფო, გლობალიზაცია

საქართველო დღეს ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე სამყაროს ეკონომიკური და პოლიტიკური აქტორებისათვის, როგორც შუა საუკუნეებში იყო. მნიშვნელობა მას ტექნოლოგიების განვითარებამ დაუკარგა (რკინიგზა აღმოსავლეთში), და ასევე, ტექნოლოგიური განვითარება უბრუნებს/ანიჭებს მნიშვნელობას (საზღვაო გადაზიდვები). ცხადია, მნიშვნელოვანი იყო შევარდნაძის და შემდეგ, სააკაშვილის მცდელობები, მაგრამ, დასავლეთი და გლობალური ეკონომიკა მაშინ გელაპარაკება, როდესაც მას ეს სჭირდება და არა მაშინ, როდესაც ეს შენ გინდა. დღეს ის მომენტია, რომ გლობალური ეკონომიკა, და შესაბამისად, პოლიტიკა შემოდის საქართველოში. ეს კი, ის შანსია, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. რატომ? ქვემოთ ავხსნი:

საქართველოში, რაც არ უნდა არდასავლეთელი პოლიტიკოსი და პოლიტიკოსები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, გლობალური პოლიტიკა გააგრძელებს ყოფნას და მთავრობებთან კომუნიკაციას, სანამ ეს გლობალურ ეკონომიკას სჭირდება და უღირს. ჩემი გათვლებით, ახალი ტექნოლოგია, რომელიც საზღვაო გადაზიდვებს წარმატებულად ჩაანაცვლებს, კიდევ 15-20 წელი არ გამოჩნდება. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ, ქართველებს, გვაქვს 20 წელი, რომ ქვეყანა მოვამზადოთ იმ დროისათის, როდესაც საქართველოს გლობალური მნიშვნელობა კვლავ დაიკლებს/გაქრება.

ეს მომზადება კი, უნდა ვაკეთოთ იმ პოლიტიკოსების არჩევით, რომლებიც ქვეყანაში ცოდნის, განათლების, ეკონომიკის განვითარებაზე, პიროვნული თავისუფლების ხელშეწყობაზე იქნებიან ოროენტირებულები. მანამ, სანამ გლობალურ ეკონომიკას აინტერესებს საქართველო, საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, ანუ, რადიკალური პრო-დასავლურობა, ანდა პრო-ევროპელობა, პრო-რუსობაც კი, არაფერს ნიშნავს: დასავლეთი და გლობალური ეკონომიკა აქაა და გელაპარაკება. როდესაც საქართველოს გლობალური მნიშვნელობა

დაიკლებს/გაქრება, გლობალური პოლიტიკა და ეკონომიკა კვლავ გავა საქართველოდან. ამიტომ, მნშვნელოვანია, როგორ დავხვდებით ამ გამოწვევას. ამ გამოწვევისათვის კი ახლავე უნდა მოვემზადოთ.

ამიტომ, მნიშვნელოვანია, არა ის (ან, არა იმდენად ის), რამდენად ამჟღავნებს/ადეკლარირებს პოლიტიკოსი დასავლეთის, ევრო-ატლანტიკური ღირებულების და ქვეყნების ერთგულებას, არამედ ის, თუ რას აპირებს ის იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა იყოს ცოდნაზე დამყარებული და მხოლოდ გზის გამო არ იყოს მნიშვნელოვანი თანამედროვე მსოფლიოსათვის, ხოლო საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ მნიშვნელოვანი თავისუფლება თვით-განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ის, თუ რას გააკეთებს ყოველი ჩვენგანი იმ დროისათვის მოსამზადებლად, როდესაც გლობალური დასავლეთისათვის საქართველოს ტერიტორია, როგორც გზა, კვლავ აღარ იქნება საინტერესო.

თავისუფლება,
სამართლიანობა და დემოკრატია
ქართულ აზროვნებაში

კრებული

ISBN 978-9941-8-1582-9
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
© 2019 წელი

ეს ქვეყანა შენია

გაიზიარე პასუხისმგებლობა

კამპანია „ეს ქვეყანა შენია“ ემსახურება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, სამოქალაქო ღირებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პოპულარიზაციასა და სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობას.

კამპანია მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფუნქციის და როლის გაცნობას საზოგადოებისთვის, აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო ჩართულობის წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს სამოქალაქო ფასეულობებისა და დემოკრატიის გამყარებას. ღირებულებებზე დაფუძნებული კამპანია დაეხმარება საზოგადოებას გააცნობიეროს, რომ გზა ევროპული ტიპის საზოგადოებისკენ (სადაც დაცულია უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, არის ეკონომიკის, განათლების მაღალი დონე, დაცულია სოციალური უფლებები) გადის სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებებზე.

ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღნიშნულ პროცესში თითოეული მოქალაქის მიერ მისი როლისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე.

დი ფეისბუქზე

შენია • This country is yours